

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

II საერთაშორისო სიმპოზიუმი
ლიტერატურათმცოდნეობის
თანამედროვე პრობლემები

ნაწილი II

2nd International Symposium
Contemporary Issues of
Literary Criticism

Volume II

მასალები Proceedings

•
თბილისი 2009 Tbilisi



ეძღვნება სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან 350-ე წლისთავს
Dedicated to the 350th Anniversary of Sulkhvan-Saba Orbeliani

II საერთაშორისო სიმპოზიუმი
ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები
მასალები

2nd International Symposium
Contemporary Issues of Literary Criticism
Proceedings

რედაქტორი
ირმა რატიანი

Editor
Irma Ratiani

სარედაქციო კოლეგია
მაკა ელბაკიძე
ირინე მოდებაძე
მარიამ ნებერიძე
მირანდა ტყეშელაშვილი

Editorial Board
Maka Elbakidze
Irine Modebadze
Mariam Nebieridze
Miranda Tkeshelashvili

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2009
© Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, 2009

ს ა რ ჩ ე ვ ი

ხვთისო მამისიგადიშვილი

საქართველო, თბილისი

კოსმიური მთის მითოლოგემა ნართების ეპოსში 9

М.М. Масарская

Брюссель, Бельгия

Поэтика прозаического текста и трудности перевода 16

სოსო მახარაშვილი

საქართველო, თბილისი

„წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრება“ და „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (ტიპოლოგიური პარალელები) 21

ტრისტან მახაშრი

საქართველო, თბილისი

სამონადირეო მითოსის კვალი ვაჟა-ფშაველას პოემებში 28

Т.Г. МЕГРЕЛИШВИЛИ

Грузия, Тбилиси

Нарратология романтической поэмы в русской литературе..... 35

დარეჯან მენაბდე

საქართველო, თბილისი

ქართული სამოგზაურო ლიტერატურა
ქართულ-რუსულ ურთიერთობათა კონტექსტში 47

ინგა მილორავა

საქართველო, თბილისი

„ნივთის“ მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია
მოდერნისტულ ტექსტში 55

И.И. МОДЕБАДZE

Грузия, Тбилиси

Символика ущелья/пути/
в кавказском тексте русского романтизма 66

ნანა მრავლიშვილი

საქართველო, თბილისი

ეგზეგეტიკური ჟანრის განვითარების ძირითადი ტენდენციები
ბიზანტიასა და საქართველოში 82

სოფიო მუჯირი

საქართველო, თბილისი

ინტერკულტურული ჰერმენევტიკა და თანამედროვე გერმანულენოვანი ლიტერატურა 90

მაგდა მჭედლიძე

საქართველო, თბილისი

პოლიტიკური კომედიის ჟანრი და დემოკრატია 98

ქეთევან ნაღარაიშვილი

საქართველო, თბილისი

ევრიპიდეს „ელენე“ და ბერძნული რომანი — მსგავსებები და განსხვავებები 109

ირინა ნაცვლიშვილი

საქართველო, თბილისი

მირიან მეფის „ნიგნი-ანდერძის“ მხატვრულ-ესთეტიკური ბუნებისათვის 117

М.А. НЕСТЕЛІЕВ

Украина, Киев

Психоаналитический метод в литературоведении (на примере советской прозы 20-30-х гг. XX ст.) 128

მარიამ ნინიძე

საქართველო, თბილისი

სეკულარიზაცია ლიტერატურათმცოდნეობაში 141

ქეთი ნინიძე

საქართველო, თბილისი

XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურული პერიოდიკის დასახელებები და ლიტერატურის პოლიტიკის საკითხები 150

რუსუდან ნიშნიანიძე

საქართველო, თბილისი

ტრადიცია და თავისუფლება 156

ლია ნოზაძე

საქართველო, თბილისი

მუსიკალური სტრუქტურა მარსელ პრუსტის ნაწარმოებში „სვანის მხარეს“ 160

თამარ მოხეჯური

საქართველო, თბილისი

ფსევდონონეს კომენტარები —

ქრისტიანთა გზამკვლევი ბერძნულ მითოლოგიაში 166

В.И. ОЦХЕЛИ

Грузия, Кутаиси

Реминисценции из поэмы Адама Мицкевича «Конрад Валленрод»

в повести Уиараго «Мамелюк» 174

თამარ ვანიჭაძე

საქართველო, თბილისი

ფსიქიკის რევოლუციიდან - ფუტურისტულ ღამეებამდე 183

ნინო ვოპიაშვილი

საქართველო, თბილისი

ეთნიკური კონფლიქტის თემა

ქართულ პოსტსაბჭოთა ლიტერატურაში 194

ირმა რატიანი

საქართველო, თბილისი

კარნავალური კულტურა, სოციალური იმაგოლოგია

და კომპარატივისტულ ანალიზის პრინციპები 200

ავოლონ სილაგაძე

საქართველო, თბილისი

ქართული ლექსის კვალიფიკაციის საკითხი 209

К.К. СУЛТАНОВ

Россия, Москва

Текст, идентичность, диалог о коммуникативном

аспекте изучения национальной литературы 214

В.Н. ТЕРЁХИНА

Россия, Москва

Русский экспрессионизм под маской акмеизма 224

Ф.Т. УЗДЕНОВА

Россия, Кабардино-Балкария, Нальчик

Поэтические системы Северного Кавказа:

общее и частное в видовой модели 233

Н.Д. КАДЖАЯ
Грузия, Кутаиси
Текст и читатель 238

მუზაფარ ქირი
საქართველო, თბილისი
რელიგიური წარმოდგენები ნ. დუმბაძის რომანის
„მე ვხედავ მზეს“ თურქული თარგმანის მიხედვით 243

თეიმურაზ ქურდოვანიძე
საქართველო, თბილისი
მაგიური ძალის სიტყვისა და ქმედების ჩაკეცვა,
როგორც საკრალური რიტუალი 250

Л.М. ШАЙКЕНОВА
Казахстан, Алматы
Авторская интенция и читательское восприятие
в научной коммуникации 258

თამარ შარაბიძე
საქართველო, თბილისი
ბუნების, როგორც მხატვრული ნაწარმოების
მნიშვნელოვანი კომპონენტის ფუნქცია
ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში 265

К.И. ШАРАФАДИНА
Россия, Санкт-Петербург
Природная символика в комедийной трилогии
А. Н.Островского о Бальзаминове 271

С.Ш. ШАРИФОВА
Азербайджан, Баку
Глобализация и
методологические проблемы литературоведения 288

ქეთევან შენგელია
საქართველო, თბილისი
ამოუცნობის ინტერპრეტაციები დრამატურგიაში
(სამუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“ და
მორის მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი“) 296

А.И. ЧАГИН
Россия, Москва
От «Фантастического кабачка» - до кафе «Порт-Рояль» 303

М.А.ЧЕРНЯК

Россия, Санкт-Петербург

Феномен российской современной массовой литературы 316

ეკატერინა ჩიკვაძე

საქართველო, თბილისი

სვეტიცხოვლის საკითხავის

ჟანრობრივი სპეციფიკის საკითხები 329

ნათელა ჩიტაური

საქართველო, თბილისი

XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა

ქართული ხასიათის შესახებ 352

თამარ ჩიხლაძე

საქართველო, თბილისი

ლიტერატურა კაფეში ანუ

ლიტერატურული კაფეს რაობა

თანამედროვე ლიტერატურულ

პროცესებთან მიმართებაში 361

რუსუდან ჩოლოყაშვილი

საქართველო, თბილისი

მელიის მითოსური სახე ქართულ ფოლკლორში 369

ეკა ჩხეიძე

საქართველო, თბილისი

კლასიკური ტექსტების იმიტაცია და ინტერპრეტაცია

აკა მორჩილაძის პროზაში 379

ლევან ცაგარელი

საქართველო, თბილისი

მხატვრული სამყაროს დეკონსტრუქცია ქრისტოფ რანსმაირის

რომანში უკანასკნელი სამყარო 387

რუსუდან ცანავა

საქართველო, თბილისი

მეტაფორა და მეტამორფოზა 398

ზოია ცხადია

საქართველო, თბილისი

ინტერტექსტუალური ძიებანი თანამედროვე ქართულ პოეზიაში

(გივი ალხაზიშვილი, გიგი სულაკაური,

ზვიად რატიანი, ზაზა თვარაძე) 408

ლია ნერეთელი

საქართველო, თბილისი

ტაბახმელა და ბეთლემი

(„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ —

სახისმეტყველება) 416

დავით ნონკოლაური

საქართველო, თბილისი

მხატვრული აზროვნება და

ღირებულებითი ორიენტაციის რაობა 422

რამაზ ჭილაია

საქართველო, თბილისი

გარესამყარო მხატვრულ ტექსტში 432

Н.М. ХАЙБУЛАЕВА

Россия, Дагнстан, Махачкала

Формирование образа Кавказа и кавказцев

в русской публицистической литературе XIX века

(по материалам газеты «Кавказ») 435

ლელა ხაჩიძე

საქართველო, თბილისი

საგალობლის გენეზისი და სტრუქტურა 440

მანია ჯალიაშვილი

საქართველო, თბილისი

თამაზ ბიბილურის ნარატივის თავისებურებანი

(რომანი „შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“) 446

გინა ჯონსაძე

საქართველო, თბილისი

Femme Fatal ანუ იოსიფ ბროდსკის სიყვარული 456

სვთისო მამისიგაღიშვილი

საქართველო, თბილისი

კოსმიური მთის მითოლოგემა ნართების ეპოსში

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა საგმირო-სათავგადასავლო ეპოსი ნართებზე განსაკუთრებით მდიდარია მითოლოგიური მოტივებითა და მითოლოგემებით. მითოლოგემა არის მითოლოგიური ტექსტის საშენი მასალა, რომლის გაშლითაც წარმოიქმნება მითოლოგიური ნარატივი. ნართების ეპოსის თითქმის ყველა ნაციონალურ ვერსიაში გვხვდება მთის მითოლოგემა, რომელიც განასახიერებს ცასა და მიწას შორის არსებულ კავშირს, აგრეთვე სამყაროს შუაგულს.

მითოლოგიური შინაარსის ტექსტებსა და ბიბლიაში მთა მოაზრებულია საკრალურ სივრცედ. ასეთია ინდოელთა ჰიმალაი, ბერძენის ოლიმპო, იაპონელთა ფუძიამა, ისრაელთა სინა, ქართველების მთანმინდა. კავკასიის ხალხების თქმულება-გადმოცემებში მაღალი მთების მწვერვალები: იალბუზი, მყინვარწვერი, ბაშლამი და მთანმინდა — ღვთაებრივ ძალთა შეკრების ადგილია. ეს მოტივი დადასტურებულია ნართების ეპოსშიც.

ბაშლამის მთაზე ადის ნართი მჭედელი ფჰარმათი, რათა ნართ-ერსთხოვლებს მოუტანოს ზეციური ცეცხლი. ბაშლამის მთა, იგივე მყინვარწვერი, რომელიც ხშირად ხსენდება ჩეჩნურ თქმულებებში, წარმოადგენს ცისა და მიწის შემაერთებელ ღერძს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ზეციური ღმერთების სამყოფელში მოხვედრა. წმინდა მთაზე ასვლა ჩვეულებრივ მოკვდავთ არ შეუძლიათ და განგებისგან ეკრძალებათ კიდევ. ბაშლამზე ასვლა გმირისგან ზეადამიანურ ძალისხმევას მოითხოვს. ნართი ფჰარმათი როგორც ცომს, ისე დაეკრა თავისი რაშის, თურფალის უნაგირს და იმ გზას დაადგა, რომელზედაც, თქმულების მიხედვით, ჯერ არავის გაევიდა, უკან ვეღარ მობრუნებულყო. ნართ-ერსთხოვლებმა რიტუალები აღავლინეს, ფჰარმათს გზა დაულოცეს, მის კვალზე ფეტივი მოაბნინეს — მშვიდობიანი გზა ჰქონდესო, ქერით სავსე თასი დადგეს: იქითობას — მსუბუქი და ლალი, აქეთობას — ბარაქიანი გზა ჰქონდესო!

ხალხური ტექსტის მიხედვით, „ბაშლამს თავით ეჭირა ცა, რომელზედაც ჭექა-ქუხილის ღმერთი სიელა ცხოვრობდა. ციცაბო, მეტად საშიში და ძნელი აღმართები აიარა ნართმა ფჰარმათმა. ბაშლამის წვერი კი ძალზე სურნელოვანი ბალახებითა და ფერად-ფერადი ყვავილებით იყო მოფენილი.“ ბაშლამის წვერზე, როგორც საუკეთესო, ყველაზე ჰარმონიულ ადგილზე, ციდან ღმერთები ჩამოდიან და ისვენებენ. როდესაც ფჰარმათი მთაზე ავიდა, „იმ ჟამს ბაშლამის წვერზე დასასვენებლად ეშვებოდა თურმე მზის სხივოსანი სათა. იგი თეთრ ფრინველად იქცა და შეეგება ფჰარმათს“ (კავკასიის ხალხთა ფოლკლორი 2008: 399). სელა-სათა, როგორც ქალღმერთი,

ადამიანებს მფარველობს და შუამავლობს სიელასთან. ბაშლამის მთის მწვერვალზე ასული ფჰარმათი ქალღმერთს ესაუბრება და მისგან რჩევებს იღებს. ბაშლამი წმინდა, ღმერთთან სასაუბრო, ჰიეროფანიის ადგილია. როგორც ვაჟა იტყვოდა:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ
თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა“.

ხეთურ მითოლოგიაში ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი ფიგურაა „მთის ქალბატონი“. ამ სამყაროში მთა, ტახტი და დედოფალი თავდაპირველ ერთიანობაშია. წინა აზიაში მთებზე მობინადრე ქალღმერთი ითვლებოდა სიმაღლეთა ღმერთად, მონადირეების მფარველად, მარადიულ ქალწულად და ქალწულთა დამცველად. ე. გაბლიანის ცნობით, ასეთივე წარმოდგენები ჰქონდათ სვანებს ქალღმერთ დალის შესახებ, რასაც მშვენივრად გვიმტკიცებენ გადმოცემები მჭედელ დარჯელანზე, აგრეთვე საფერხულო სიმღერები: „დალი კლდეში მშობიარობს“ და „ბეთქილი“ (გაბლიანი 1925: 37).

მზეთუნახავი ნართების ეპოსის სხვადასხვა ნაციონალურ ვერსიაში მკვეთრად გამოკვეთილ ქალღმერთის ნიშან-თვისებებს ატარებს და უმეტესად მაღალ და მიუვალ მთის მწვერვალზე ცხოვრობს. ამ შემთხვევაში მაღალი და მიუვალი მთის მწვერვალი მზეთუნახავის ქალწულებრივ სისპეტაკეს, მიუწვდომლობასა და ღვთაებრივ ძალმოსილებას გამოხატავს. მთა, როგორც ხმელეთის უმაღლესი ადგილი, ცისა და მიწის, ზეციური და მიწიერი ძალების, ამქვეყნიური და ღვთიური სამყაროს დამაკავშირებელია. ასეთია სავხობი (შავი მთა) ნართების ეპოსის ოსურ ვერსიაში, სადაც მზის ასული აცირუხსი ცხოვრობს. მზიურ ნიშნებს ატარებს აირგების ასული აფხაზური ნართების ეპოსში, რომელიც ყველაზე მაღალი მთის მწვერვალზე ცხოვრობდა. აირგების ასულის ღვთაებრივი ძალმოსილების ნიშანია მანათობელი ნეკი, რომლითაც ის სასრიყვას ღამით გზას მზის სხივივით უნათებდა და წყვდიადს ფანტავდა. მანათობელი ნეკი აირგების ასულის მზიურ ბუნებას გამოხატავს და ის, როგორც ღვთიური ნაწილი, საიდუმლო იყო, მის შესახებ სხვებმა არაფერი იცოდნენ. „როცა სასრიყუა ღამით შინ ბრუნდებოდა, გაყოფდა ქალი სარკმელში ნეკს და მზის სხივივით აშუქებდა ის ნეკი, წყვდიადს ფანტავდა. საცა კი მოუსწრებდა ეს შუქი სასრიყუას, იქიდან სახლამდე უკვე განათებული ჰქონდა სავალი. შემოვიდოდა თუ არა ქმარი ეზოში, ცოლიც დამალავდა ნეკს და უვნებელი სასრიყუაც არხინდა შედიოდა სახლში.“— მოგვითხრობს აფხაზური ნართების ეპოსი (აფხაზური ნართები 2007: 244).

ნართების ეპოსის სხვადასხვა ნაციონალურ ვერსიებში მთების მწვერვალები, თოვლისა და ყინულის ნაცვლად, მზის შუქითა და

სიმწვანით არის შემოსილი. იგი ამქვეყნიური სამოთხის ნიშნებს ატარებს და ხალხურ ტექსტებში მარადიული გაზაფხულის მითოსური ხსოვნის ანაბეჭდია. ეს მოტივი, როგორც ვხედავთ, ნართების ეპოსშიც დასტურდება.

ნართების ეპოსში მთაზე ასვლა გმირის აპოთეოზია. მთაზე ასვლა ზეადამიანურ ძალისხმევას მოითხოვს. აფხაზური ნართების ეპოსის მიხედვით, აირგების ასულის დასანიშნად წასულ სასრიყვას ურთულესი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა, რომ მთის მწვერვალამდე მიეღწია. სასრიყვასთან ერთად აირგების ასულის დასანიშნად მისულმა ნარჯხიოუმ დიდი მცდელობის მიუხედავად ვერ შეძლო მთაზე ასვლა და აირგების ასულის სამყოფლამდე მიღწევა: „ნარჯხიოუმ ცხენს მათრახი გადაუჭირა და ასვლას შეუდგა. ადის, მაგრამ როგორ ადის! სულ ლოდებსა გლეჯს ფლოქვებით მისი რაში, ცაში ადის ქვა-ლორღი და სეტყვასავით ძირს ცვივა. შუა კლდეზე კი ავიდა და მოწყდა, ძირს დაექანა. არაფერი მოსვლია მხედარს. ისევ გააჭენა რაში, ისევ მალლა-მალლა მიიწევს. იხაგრება რაში, ფლოქვებით ლოდებს ეტოტება, კლდეს კბილებითა ღრღინის, მაგრამ ნახევრამდეც ვერ ავიდა, კვლავ მოწყდა, ძირს დაექანა. მესამედაც ველარ ავიდა.

— არა, სასრიყუა, ეტყობა ჩემი ბედი აღარაა ის ქალი, ვერაფერს გავხდი! ახლა შენ სცადე, ხელი მოგემართოს იქნებ! — უთხრა ნარჯხიოუმ სასრიყუას“ (აფხაზური ნართები 2007: 211).

როგორც ამ ეპიზოდებიდან ირკვევა მთაზე ასვლა ყველას არ შეუძლია და მხოლოდ რჩეულთათვის არის მისაწვდომი. ბიბლიური ტრადიციით, ჩვეულებრივ მოკვდავთა მთაზე ასვლა ეკრძალებოდათ: „მოერიდეთ მთაზე ასვლას და ნუ მიეკარებთ მის კალთებს, ვინც კი მათს მიეკარება, ვერ გადაურჩება სიკვდილს...“ (გამოსვლ. 19:12). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მაღალი მთის მწვერვალები ჯვარ-ხატების მთაზე დაბრძანების შედეგად წმინდა, კვრივ ადგილებად არის გამოცხადებული, სადაც მხოლოდ ძლიერად მონმიდარი კულტის მსახურები ადიან და ისიც წელიწადში ერთხელ. რიტუალი უბიძგებთ მათ, გადალახონ საზღვრები, ავალდებულებთ დაიჭირონ ადგილი ჯვარ-ხატებისა და მითოსური გმირების გვერდით. მითოსი ამაღლებს ადამიანს. მთაც სულიერი ამაღლებისა და სრულყოფის ადგილია. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ეპოსებისა თუ თქმულებების ტრადიციული გმირი ხშირად მთის მწვერვალზე აღესრულება (ოიდიპოსი, თეზევსი, ჰერაკლე და სხვ.), რაც სიცოცხლის სიმალლეზე მსხვერპლად ატანას, გმირის ამაღლებასა და აპოთეოზს აღნიშნავს.

ზოგიერთი ვერსიით, ამირანმა მაღალი მთის მწვერვალზე გაუმართა ღმერთს ორთაბრძოლა, რაც გამოხატავს ამირანის ზვაობის მწვერვალს, საიდანაც უნდა დაიწყოს მისი დაცემა“ [კიკნაძე 2001ბ: 33]. მთა ღმერთთან მებრძოლ გმირთა დასჯისა და მიჯაჭვის ადგილიც არის.

ადილური ნართების ეპოსის მიხედვით, გმირი ნასირენ-ყაჩე ღმერთმა პაკომ ოშხამახოს მთაზე მიაჯაჭვა. იალბუხის მთაზე, რომელსაც ადილურ ენაზე ოშხა-მახო (ბედნიერი მთა) ჰქვია, გადმოცემების თანახმად, იქ ღმერთები იკრიბებიან, როგორც ბერძენთა ღვთაებები ოლიმპოს მთაზე.

არა მხოლოდ მზეთუნახავებმა, ნართების ზოგიერთმა სხვა პერსონაჟმაც, კერძოდ, ფოლადოვანმა ბათრამმა და „მზიურმა“ გმირმა სოზირიკომ, ჩვენამდე მოღწეულ თქმულებებში შეინარჩუნეს მითოსური არსი. ისინი, ჟ. დიუმეზილის აზრით, გვაგონებენ სკვითთა იმ ღმერთებს, რომლებმაც ძველი ბერძნები თავიანთ არესსა და აპოლონს ხედავდნენ [დიუმეზილი 1976: 91]. მიუხედავად ამისა, ოსების ცნობიერებაში ისინი გმირები იყვნენ და არა ღმერთები. ცნობილია, რომ გამქრალი რელიგიის ღვთაებები თუ არ დაილუპნენ, ისინი ხალხური სიტყვიერების, მითებისა და ზოგჯერ ძველი „ისტორიების“ გმირებად იქცევიან.

სასრიყუა, აფხაზური ნართების მიხედვით, რჩეულობის მრავალ ნიშანს ატარებს და მან, როგორც სასწაულებრივად შობილმა, ღმერთებისგან ნანრობმა, ხელდასმულმა გმირმა მიაღწია მაღალი მთის მწვერვალს, სადაც აირგების მზიური ასული ცხოვრობდა. მთა ლურჯი იყო მოკრიალებულ ცასავით. სასრიყვას თვალწინ მომაჯადოებელი ლანდშაფტი გადაიშალა: „ავიდა სასრიყვა მთაზე და რას ხედავს: ლამაზი ველია, ყველა ჯიმის ყვავილებით მოქარგული, რაც კი ხარობს ქვეყანაზე“. იქ ცხოვრობდა აირგების ერთადერთი და, მზეთუნახავი ასული. აირგების ასულის სამყოფელი მთაზე ამქვეყნიური სამოთხის ყველა ნიშანს ატარებს: „კაცის ენა ვერ იტყოდა ამ ქალის სილამაზეს. — მოგვითხრობს ნართების ეპოსი. — არც ბერდებოდა, არც ახალგაზრდავდებოდა, მარადი მშვენებით იყო ცხებული. სულმუდამ ჰყვაროდა, სულმუდამ იფურჩქნებოდა, მარად გაზაფხულსა ჰგავდა“ [აფხაზური ნართები 2007: 210]. იქ, მთის მწვერვალზე, ისევე როგორც სამოთხეში, ერთჟამობაა, თითქოს შეჩერებულია დროჟამის ბრუნვა. აირგების ასულიც სისპეტაკით სამოთხის პირველ ბინადარს გვაგონებს.

მთაზე ასვლა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო რიტუალურ გადასვლებთან, როცა ტრადიციული საზოგადოების წევრი იცვლიდა ასაკობრივ და სოციალურ სტატუსს. ნართი გმირების მსგავსად როვმანიც აზერბაიჯანულ „ქოროლლის ეპოსში“ ინიციაციას მაღალ მთაზე გადის. როვმანი მთაზე მაშინ ავიდა, როცა ვარსკვლავების შეჯახებაზე ყოშაბულადი ამოდულდა და თეთრი ქაფი კაცის სიმაღლეზე ამოჩქეფდა. აზერბაიჯანული ეპოსის ეს ფრაგმენტი აშკარად შეიცავს გმირის რიტუალური გადასვლის ნიშნებს. როვმანი ყოშაბულადის მთაზე ასაკობრივ ზრდასთან ერთად იცვლის თავის სოციალურ სტატუსს.

საეზოხის მთა, სადაც ოსური ნართების ეპოსის მიხედვით, მზის ასული აცირუხსი ცხოვრობდა, პირველყოფილ ჰარმონიას

განასახიერებს. სავზოხის მთის, როგორც სულიერი ცენტრის, საკრალურ ნიშნებს მარადიულ გაზაფხულთან ერთად, ოქრო, მზე და ირემი წარმოადგენს. სანადიროდ წასული მგლის რძეში წანართობი სოსლანი ოქროსბენჯიანმა ირემმა აიყვანა სავზოხის მაღალ მთაზე, სადაც მზის ასული აცირუსი ცხოვრობდა. სავზოხის მთა გმირი ნართების მოქმედებათა შუაგულს წარმოადგენს. ეპოსის მნიშვნელოვანი ამბები სავზოხის მთასთან არის დაკავშირებული [ოსური ნართები 1988: 143].

ჩეჩნური ნართული თქმულების თანახმად, თოვლი არ მოდიოდა ბაშლამის (მყინვარწვერი) მთაზეც: „ძველად, უხსოვარ დროში, აგერ, მაღალ მთებს რომ ხედავ, ეგენი უფრო მაღლები ყოფილან. მწვერვალებზე, როგორც ახლა, თოვლი და ყინული კი არა, ლამაზი ბალახი და ყვავილი ხარობდა“.

ქართულ მითოლოგიაშიც მარადიული გაზაფხული და ქალწულებრივი სისპეტაკე დაკავშირებულია მთასთან და მეფე თამართან. ხალხური ტექსტების მიხედვით, თამარს იალბუზზე სასახლე და ოქროს ტახტი ჰქონდა. მარადქალწული მეფე, როგორც ის ხალხურ ტექსტებშია დახატული, ქვეყნის უმაღლესი ადგილიდან, სადაც თოვლი არ მოდიოდა, მართავდა ქვეყანას. ბაშლამის მთის მსგავსად, თამარის იალბუზზეც მწვანე ბალახი და ლამაზი ყვავილები იზრდებოდა.

კოსმიური მთის სურათი იხატება ცნობილ ლექსში ვახტანგ მეფეზე, რომელიც „ღმერთს უყვარდა“, „იალბუზზე ფეხი შედგა“ და „ციდან ჩამოესმა რეკვა“. ზ. კიკნაძის აზრით, „ამ ლექსის პერსონაჟად შეიძლება თამარიც მოგვევლინოს. ყოველ შემთხვევაში, ლექსში გადმოცემული ამბავი შეიძლება ჩავთვალოთ სამოთხის მითოსის პროლოგად. თამარი აღის მთაზე, სადაც ის ამქვეყნიურ სამოთხეს ამკვიდრებს.“

შუმერულ ტექსტებში მესქიაგაშერის მეფური დიდების აპოთეოზი ორი სიტყვითაა გადმოცემული: „*მთაზე ავიდა...*“

ნართული ეპოსის ლაკურ ფრაგმენტებში კოსმიური მთის სურათი იხატება. ვაცილუს მთაზე, რომელიც, გადმოცემების თანახმად, ნართმა ბარხუმ შექმნა, ლაკები საკულტო რიტუალებს მართავენ.

ვაცილუ წმინდა მთად ითვლება და მას, ლაკების რწმენით, ზებუნებრივი ძალა მიენერება. ვაცილუს მწვერვალზე არის ორი, ერთმანეთთან შეერთებული კლდე. ლაკების რწმენის თანახმად, კლდეებს შორის გავლა მხოლოდ უცოდველ ადამიანს შეუძლია, ცოდვილს კი, კლდეები არ გაუშვებს. უშილო ქალები ვაცილუს ქვებს შორის ძვრებიან. ისინი კი მანამდე იწმინდებიან, ლოცულობენ და სწამთ, რომ ღმერთი შვილს უბოძებთ. ვაცილუს მთაზე ლაკები წვიმის გამოთხოვის რიტუალსაც მართავენ. სრულდება აგრეთვე მსხვერპლშენიერვა [ხალიდოვა: 29]. ვაცილუს მთის მსგავსი რიტუალი, როგორც დალესტნის, ასევე კავკასიის ხალხებში მრავლად გვხვდება.

როგორც ცნობილია, მითოსი მოგვითხრობს, თუ როგორ წარმოიშვა სამყარო (კოსმოსი) ან რაიმე ფრაგმენტი კოსმოსისა. მთა, როგორც განსაკუთრებული ადგილი, ზოგჯერ სხვადასხვა კოსმოგონიებშიც მონაწილეობს. ბიბლიური ტრადიციით, არარატის მთაზე გაჩერდა წარღვნას გადარჩენილი ნოეს კიდობანი. ეგვიპტურ კოსმოგონიაში მნიშვნელოვანი მითოლოგემაა „პირველქმნილი ბორცვი“, ხმელეთის ემბრიონი, საიდანაც დაიწყო ქვეყნის შექმნა. ეგვიპტურ მითოლოგიაში პირველი მიწა ბორცვის, მთის სახით არის წარმოდგენილი, რომელიც ოკეანიდან — ნუნიდან ამოიზარდა. ეგვიპტურ ტაძრებში მინიშნებული იყო ადგილი „შექმნის ბორცვის“ სახელწოდებით; ზ. კიკნაძის აზრით, ამით იგულისხმებოდა, რომ „შექმნის ბორცვი“ იყო ის ადგილი, საიდანაც დაიწყო სამყაროს შექმნის პროცესი.

ამრიგად, ნართების ეპოსში მთა წარმოადგენს საკრალურ სივრცეს, ცისა და მიწის დამაკავშირებელ ლერძს. ის, როგორც ხმელეთის უმაღლესი ადგილი და სულიერი ცენტრი, ღვთაებრივ ძალთა შეკრების ადგილია.

მთა ატარებს მინიერი სამოთხის ნიშნებს და ამიტომაც ის ქალწულთა და მზეთუნახავთა ბუნებრივი ადგილსამყოფელია.

მთა განასახიერებს ქალწულებრივ სისპეტაკეს, სადაც ცხოვრობენ მზეთუნახავები, რომლებიც „ედემის ბაღის უცოდველ ბინადარს“ გვაგონებენ. ნართების ეპოსში მთაზე ასვლა წარმოადგენს გმირის აპოთეოზს. მთა მინიერი სამყოფიდან ღვთაებრივ სამყაროში ასასვლელ, სრულყოფილების მისაღწევ გზად მოიაზრება.

და ბოლოს, რადგან მითოსი კაცობრიობის გარიჟრაჟს, ადამიანური ცხოვრების საწყის ხანას ასახავს, მთა მოიაზრება, როგორც საკრალური სივრცე. მთა არის კოსმიური, ყველაზე მონესრიგებული, უმაღლესი ადგილი, ერთგვარი ღვთაებრივი ნაკრძალი მიწაზე, სადაც მხოლოდ უკვდავებაა და, ისევე როგორც სამოთხეში, ედემის ბაღში, ნართქითის მთაზეც სიმწვანე და გაზაფხულია, ანუ არ არის დრო-ჟამის ბრუნვა.

როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს, „ეს არ არის უბრალო მთა; ეს არის სინაი, იქ არის ღვთის გამოცხადება, აქ იდგა მოსე ადამიანობის ძლიერი შეგნებით. აქედან მოდის წინასწარმეტყველება, პოეზია, შთაგონება ხალხის სამსახურისათვის, აქედან იღებს დასაბამს რჯული“ [კიკნაძე 2001ა: 50].

ცისა და მიწის დამაკავშირებელი ლერძი, რომელიც სამყაროს შუაგულში გადის, მითოსურ ცნობიერებაში წარმოსახვითია. თუმცა მისი ხილული გამოხატულება სხვადასხვა საგნებით მრავლად გვხვდება ნართების ეპოსში. მთა, წმინდა ხე, კერიაზე ჩამოკიდებული ჯაჭვ-საკიდელი ეპოსში აღქმულია როგორც სამყაროს ლერძი. შუაგულის ლერძის შთამბეჭდავ ხატს ნართების ეპოსში მთა წარმოადგენს.

დამონმეზანი:

- აფხაზური ნარტები 2007:** ამბავი ნარტებისა. აფხაზური ხალხური ეპოსი. „კავკასიური სახლი“, თბ.: 2007.
- გაბლიანი 1925:** გაბლიანი ე. ძველი და ახალი სვანეთი. ტფ.: 1925.
- დიუმეზილი 1976:** Дюмезиль Ж. Осетинский эпос и мифология. Москва: "Наука", 1976.
- კიკნაძე 2001ა:** კიკნაძე ზ. ვაჟას მთა და ბარი. ავთანდილის ანდერძი“. თბ.: 2001.
- კიკნაძე 2001ბ:** კიკნაძე ზ. ქართული ხალხური ეპოსი. თბ.: 2001.
- ოსური ნარტები 1988:** ნარტები. ოსურიდან თარგმნა მერი ცხოვრებოვამ. ცხინვალი: „ირისთონი“, 1988.
- კავკასიის ხალხთა ფოლკლორი 2008:** კავკასიის ხალხთა ფოლკლორი. თბ.: „კავკასიური სახლი“, 2008.
- ხალიდოვა 1985:** Халидова М. Р. Общее и особенное в нартских сюжетах народов Дагестана и Северного Кавказа, Дагестанский фольклор во взаимосвязях с иноэтническим фольклором (сборник статей), Махачкала: 1985.

М.М. МАСАРСКАЯ

Брюссель, Бельгия

Поэтика прозаического текста и трудности перевода

Многие французские писатели, которые брались за перевод на французский язык произведений русской литературы, признавали, что точность и гибкость в употреблении эпитетов, метафор, сравнений, - все эти качества, характеризующие стиль, встречаются намного реже у французских писателей. Поэтому нетрудно догадаться о проблемах, возникающих при переводе произведений литературного жанра. При этом трудности возникают не только на лексическом, но и на фонетико-синтаксическом уровне. Как отразить в языке перевода синтаксическое и звуковое строение текста оригинала, ассонанс и аллитерацию, чередование слоговой ударности-безударности? Все эти вопросы находятся в центре внимания переводчиков художественных произведений русских писателей.

Мы проанализируем данный спектр проблем на примере творчества Исаака Бабеля - мастера орнаментальной прозы. Для этого стилистического направления русской литературы 20-30-ых годов характерно привнесение стиховых приемов в прозаический текст, богатство ритмических переходов, насыщенность лексики, использование сказового начала.

В нашей статье мы рассмотрим на отдельных примерах, каким образом к пониманию ритма прозы И.Бабеля и методов передачи его на французский язык подходят переводчики Adele Bloch, M. Minoustchine, I. Markowitch и C. Térouanne. Анализ будет проводиться главным образом на синтаксическом и фонетическом уровне.

1. Ритм прозы на синтаксическом уровне.

Каждый язык имеет свои синтагматические законы, согласно которым строятся связи между языковыми единицами. Распределение фразы на синтагмы имеет семантическое значение: переход от одной картины к другой, подчеркивание определенной мысли. Каждая синтагма имеет свою специфическую интонацию. В русском языке деление одного и того же предложения на синтагмы может быть различным в зависимости от контекста, ситуации, экспрессивной окраски, придаваемой высказыванию говорящим. По мнению Б.Томашевского (Томашевский 1929), средний объем синтагмы в русском языке - 8 слогов. У Бабеля все синтагмы имеют разное количество слогов, и что удивляет, прежде всего - это с одной стороны, соположение разных по величине синтагм и с

другой, повторение синтагм одинаковой величины через определенное пространство. Если первый прием употребляется автором для придания неожиданного, диссонансного ритма своей прозе, то второй определяет организованную структуру текста, придает прозе особый поэтический ритм.

Рассмотрим отрывок из новеллы «Король» и его перевод на французский язык:

«Перекрытые бархатом столы/ вились по двору/, как змеи/, которым на брюхо наложили **заплаты** всех цветов/, и они пели густыми голосами/ - **заплаты** из оранжевого и красного бархата// (Бабель 1979:239).

Перевод:

«*Recouvertes de velours,/ elles ondulaient à travers la cour/ comme des serpents/, dont auraient rapiécé le ventre avec des morceaux de **tissu multicolores**;/ et elles chantaient avec des voix profondes,/ ces **pièces de velours orange et rouge**./ (Babel 1967:13).*

Распределение на синтагмы в русском тексте:

10-5-3-16-12-16

Распределение на синтагмы во французском тексте:

6-9-4-21-10-9

Как видим, переводчику удалось сохранить в переводе то же самое количество синтагм и соположить рядом 2 синтагмы разного объема, но не удалось, как у Бабеля, сохранить повторение синтагмы одинаковой величины через определенное пространство (16-16).

В результате, несколько изменился ритмический и эмоциональный рисунок оригинала. К тому же, есть отклонения и на лексическом уровне. Так, термин «заплаты», который умышленно повторяется Бабелем во фразе 2 раза переведен двумя разными терминами: «*morceaux de tissu*» и «*pièces de velours*». Но ведь это бабелевское повторение не случайно, так как оно является одним из основных элементов ритма его прозы.

В новелле «Как это делалось в Одессе» мы еще более отчетливо наблюдаем повторение одинаковых по величине синтагм:

«*Начал я./ Реб Арье-Лейб/, сказал я старику./ - поговорим о Бене Крике./ Поговорим о молниеносном его начале/ и ужасном конце./ Три тени/ загромаждают пути моего воображения./ Вот Фроим Грач./ Сталь его поступков/ - разве не выдержит она сравнения с силой Короля?/ Вот Колька Паковский./ Бешенство этого человека содержало в себе все/, что нужно для того/, чтобы властвовать. /И неужели Хаим Дронг/ не сумел различить блеск новой звезды?/ (Бабель 1979:246)*

Перевод:

«*C'est moi qui commençais./ Reb Arié-Leib/, dis-je au vieillard/, parlons un peu de Benia Krik./ Parlons de ses débuts fulgurants/ et de sa fin affreuse./ Trois ombres énormes/ obstruent les sentiers de mon imagination./ Voici Froïm Gratch./ L'acier bien trempé de ses actes/ ne peut-il vraiment soutenir la*

comparaison avec la force du Roi ?/ Voici Kolka Pakovski./ La rage de cet homme/ renfermait tout ce qu'il faut/ pour régner./ Et se peut-il que Chaïm Drong/n'ait pas su discerner l'éclat de l'étoile nouvelle?/ (Babel 1967:25)

Распределение синтагм в оригинальном тексте: 3-4-6-9-15-6-3-16-4-6-17-6-17-6-5-8-11

Распределение синтагм в переводе: 6-3-4-8-9-6-4-12-5-8-19-7-5-9-8-13

Нетрудно заметить, что в оригинальном тексте регулярность повторения одинаковых по величине синтагм придает прозе особый ритм, который менее выражен в переводе.

Кроме того, в тексте перевода краткие бабелевские предложения, являющиеся характерной чертой его стиля, утяжеляются, становятся более длинными. В результате изменения структуры текста изменяется не только ритмический, но и эмоциональный рисунок оригинала.

2. Ритм прозы на фонетическом уровне.

Ритмическая система образуется не только повтором всевозможных синтаксических конструкций, но и других речевых единиц. Существенное значение в прозе имеет повтор фонем и целых звуковых комплексов. Прозе Бабеля присуща высокая степень фонологической организации, использование ассонансов и аллитераций, благодаря чему его рассказы приобретают окраску поэтического произведения.

Рассмотрим 2 примера из новеллы «Переход через Збруч» и их переводы на французский язык.

Пример 1:

*«Поля пурпурного мака **цветут** вокруг нас, полуденный **ветер** играет в **желтеющей ржи**, девственная **гречиха** встает на горизонте, как стена дальнего монастыря. Тихая Волынь **изгибается**, Волынь уходит от нас в **жемчужный туман березовых рощ**, она **вползает** в **цветистые пригорки** и **ослабевшими** руками **путается** в зарослях хмеля».* (Бабель 1979: 101)

Перевод:

*«Les champs de pavot **pourpre** fleurissent **autour de nous**, le vent de midi **joue** dans le seigle **jaune**, le sarrasin vierge se dresse à l'**horizon**. La paisible Volhynie, **sinueuse** Volhynie s'en va de nous dans la **brume** **nacrée** des boulaïes, elle se coule **entre** les coteaux **diaprés** et les **bras** las s'entortille en d'**inextricables** houblons».* (Babel 1997:11)

Пример 2:

*«Почерневший Збруч **шумит** и **закручивает** пенистые узлы своих порогов. Мосты **разрушены**, и мы **переезжаем** реку **вброд**».* (Бабель 1979:101).

Перевод:

«Le Zbroutch, noirci, bruise et enroule les nœuds écumeux de ses rapides. Les ponts sont détruits, nous passons la rivière à gué». (Babel 1997:11).

В рассмотренных примерах можно выделить не только синтаксический параллелизм (повторение предложений с одинаковой структурой), но и намеренный повтор гласной «е», а также шипящих и свистящих в русском языке. Автор предлагает читателю прислушаться таким образом к тихому спокойствию ночи и журчанию реки. Повтор гласной «е» в первом примере в русском оригинале (где она повторяется 21 раз) заменяется повтором французских звуков «о» и «ou» в переводе.

Во французском языке шипящие «ч», «щ» и свистящая «ц» отсутствуют. В обоих переводах переводчики постарались описать эту картину созвучиями, характерными для французского языка. Они прибегают к использованию звука «z» вместо «ц» и комбинаций согласных «kr», «tr», «br», «pr» вместо русских шипящих «ч» и «щ».

Аналогичное явление мы наблюдаем в новелле «Король»:

«Их ждал парень с ножом. Он опрокидывал корову с одного удара и погружал нож в коровье сердце... Загremели выстрелы. Выстрелами Бенья отгонял работниц, сбжавшихся к коровнику». (Бабель 1967:241).

Перевод:

«Un gars les attendait avec un couteau. Il renversait la vache d'un seul coup et lui enfonçait le couteau dans le cœur. Des coups de pistolet claquèrent. Ces coups de pistolet, Benia les tirait pour chasser les filles de ferme qui accouraient vers l'étable». (Babel 1967:16).

В приведенном примере повтор гласной «о» и согласной «р» заменяется повтором звуков «ou» и «eu» во французском переводе.

Новелла «Рабби» начинается так:

«Все смертно. Вечная жизнь суждена только матери. И когда матери нет в живых, она оставляет по себе воспоминание, которое никто еще не решился осквернить. Память о матери питает в нас сострадание, как океан, безмерный океан питает реки, рассекающие вселенную». (Бабель 1979:133).

Перевод:

«Tout est mortel. Seule la mère est vouée à la vie éternelle. Et quand la mère n'est plus de ce monde, elle nous laisse son souvenir que personne n'a encore eu l'audace de profaner. La mémoire de la mère alimente en nous la compassion, comme l'océan, l'incommensurable océan alimente les fleuves qui fendent l'univers». (Babel 1967:61).

В этом отрывке у Бабея гласная «а» повторяется 19 раз. Существенна не только частота повтора звука «а», но и расположенность одних и тех же фонем друг возле друга («а-е»), в результате чего образуется некий единый, протянутый в пространстве и во времени

звуковой комплекс. Во французском тексте, несмотря на то, что переводчик постарался передать музыку языка оригинала благодаря повтору звуков «ou-é-o», звуковое строение текста менее ярко выражено.

На рассмотренных примерах можно сделать вывод, что, употребляя звуки, характерные для фонологической системы французского языка, переводчикам удается в какой-то мере сохранить ритм Бабелевской прозы и передать достаточно точно средствами французского языка атмосферу и настроение рассказчика. Хотя в последнем примере, на наш взгляд, перевод менее удачный, так как чередование звуков выражено менее четко.

В результате проведенного исследования можно утверждать, что анализ передачи ритмической структуры прозы Бабеля в переводах на французский язык подтверждает в какой-то мере невозможность буквального отражения ритмики оригинала в переводах.

В то же время, он еще раз доказывает, что мастерство переводчика и правильное понимание им стилистико-композиционных особенностей оригинала все же может помочь воссоздать художественную ценность и целостность оригинала при его переносе в иную языковую систему.

Литература:

Бабель 1979: Бабель И. *Детство и другие рассказы*. Иерусалим, 1979.

Babel 1967: Babel I. *Contes d'Odessa*. Gallimard, Paris: 1967. (Перевод А. Bloch и М. Minoustchine).

Babel 1997: Babel I. *Cavalerie rouge*. Actes Sud, Paris: 1997, (Перевод I. Markowitch и С. Térouanne).

Томашевский 1929: Томашевский Б. *Ритм прозы*. Ленинград: 1929.

სოსო მახარაშვილი

საქართველო, თბილისი

„წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრება“ და „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (ტიპოლოგიური პარალელები)

კონვენციური მოტივების, მყარი კომპოზიციური ელემენტებისა და დეტალების გამოვლენა, ე. წ. „ჰაგიოგრაფიული შაბლონის“ დადგენა მნიშვნელოვანია არა მარტო ზოგადად ამ ჟანრის მწერლობის მხატვრული ბუნების შესასწავლად, არამედ — ქართული ჰაგიოგრაფიის სპეციფიკის წარმოსაჩენადაც. ამ მხრივ, ფრიად საგულისხმო მასალას იძლევა ბასილი მონაზონის „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრებისა“ (IX ს-ის 80-90-იანი წლები) და გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ (951 წ.) შედარებითი ანალიზი. ხსენებულ თხზულებებს შორის კავშირზე ჩვენ უკვე მივანიშნებდით, როდესაც ბიბლიურ და ლიტერატურულ პარადიგმებს ვიკვლევდით „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ (მახარაშვილი 2006:23-30). მათი ტექსტების უფრო გამონვლილვითმა შესწავლამ ცხადყო, რომ გიორგი მერჩულე არა მარტო კარგად იცნობს ბასილი მონაზონის ნაწარმოებს, არამედ საჭიროებისამებრ იყენებს და შემოქმედებითად ითვისებს ამ კლასიკური ჰაგიოგრაფიული ძეგლის სქემებსა და შაბლონებს.

მსგავსება წმ. ილარიონ ქართველისა და წმ. გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებებს“ შორის, უპირველეს ყოვლისა, მუღავნდება მთავარ პერსონაჟთა ავტორებისეულ დახასიათებაში, მათ მოქმედებასა და სულის მოძრაობაში. გამოვყოფთ მხოლოდ ძირითად შაბლონურ მოტივებსა და ელემენტებს:

1. წმ. ილარიონსაცა და წმ. გრიგოლსაც, სამოელ წინასწარმეტყველის მსგავსად, მშობლები ღმერთს სწირავენ:

წმ. ილარიონი „აღთქუმულ იყო ღმრთისადა მშობელთა თუსთაგან, ვითარცა პირველ სამოელ ანნასგან“ (აბულაძე 1967:10). შდრ.: წმ. გრიგოლი „საშოთგანვე დედისაათ შეწირულ იყო ღმრთისა დედისაგან თუსისა, ვითარცა სამოელ წინასწარმეტყუელი“ (ყუბანეიშვილი 1960:133).

2. ორივე წმინდანი ბავშვობიდანვე იჩენს განსაცვიფრებელ მიდრეკილებას სწავლისადმი, განსაკუთრებით საღვთო წიგნებისადმი: წმ. ილარიონის მამამ იხილა „მოსწრაფებით სწავლადა ყრმისაჲ მის ბერისა მისგან წმიდისა“ (აბულაძე 1967:10), ხოლო წმ. გრიგოლის „გულისხმიერობაჲ სწავლისაჲ განსაკურვებელი იყო ფრიად“ (ყუბანეიშვილი 1960:133). როგორც ცნობილია, ეს ძალზე გავრცელებული კომპოზიციური შაბლონია ჰაგიოგრაფიაში.

3. ორივე მწერალს ხელენიფება პერსონაჟთა ფიზიკური და სულიერი ხატის კალმის ერთი მოსმით აღწერა. როდესაც ბასილი მონაზონი წმ. ილარიონის მონაფეების ამგვარ ხატს ქმნის, ბუნებრივია, აქ მათი მოძღვრის დიდებული სახეზეც გაკრთება: ბასილი იმპერატორმა იხილა “ანგელოზებრივი სახმ მათი, რამეთუ იყვნეს წმინდანი იგი მოხუცებულნი დლითა და მკცოვანნი ჰასაკითა. და შუენიერება იგი გარეშისა სახისა მათისა შინაგანსა სულისა ბრწყინვალეებასა ცხადად აჩინებდა და შემუსვრილი იგი და მდაბალი სიტყუა მათი სიმშუდესა და მყუდროებასა გონებისა მათისასა გამოაჩინებდა” (აბულაძე 1967:31). შდრ.: წმ. გრიგოლ ხანძთელის გიორგი მერჩულისეულ დახასიათებას: „ხოლო იყო ხილვითა დიდ, ჳორციითა თხელ, ჳასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულით უბინო“ (ყუბანეიშვილი 1960:134).

4. წმ. ილარიონიცა და წმ. გრიგოლიც, მიუხედავად ერთგვარი შინაგანი წინააღმდეგობისა, დათანხმდებიან მღვდლად კურთხევაზე, მაგრამ, როდესაც საქმე ეპისკოპოსად დასმაზე მიდგება, ისინი მტკიცე უარს აცხადებენ, გაურბიან „ჳორციელ დიდებას“ და „უდაბნოში“ ილტვიან (აბულაძე 1967:12; 17 შდრ.: ყუბანეიშვილი 1960:134-136). მიუხედავად ამ ორი ეპიზოდის საოცარი თანხვედრისა, საგულისხმოა, რომ ბასილი მონაზონი და გიორგი მერჩულე მთავარი გმირის „უდაბნოში“ განსვლასთან დაკავშირებით განსხვავებულ ბიბლიურ პარადიგმებს მიმართავენ: წმ. ილარიონის პირველსახე ამ შემთხვევაში არის მოსე წინასწარმეტყველი და მისი მეორე გამოსვლა ეგვიპტიდან, ხოლო წმ. გრიგოლის — მამამთავარი აბრაამი და მისი გადასახლება ქანანის ქვეყანაში.

5. მართალია, მამა გრიგოლი ვერ ახერხებს პალესტინის ცხოველმყოფელი ადგილების მონახულებას და საბანმინდის სამონასტრო წესების აღწერას მეგობარსა სთხოვს, მაგრამ, სამაგიეროდ, წმ. ილარიონის მსგავსად, ისიც მიემგზავრება „მეორე იერუსალიმში“, კონსტანტინოპოლში; მერჩულის გადმოცემით, მან “თანა წარიყვანა საბა, დედის დისწული თჳსი, და ერთი ვინმე სხუა მონაფჳ”, შევიდა ბიზანტიის დედაქალაქში და „თაყუანის-სცა ძელსა ცხორებისასა და წმიდათა ყოველთა ნაწილთა“ (ყუბანეიშვილი 1960:151). შდრ.: ილარიონმა „თანა წარიყვანა მონაფჳ ერთი, სახელით ისაკ, ... შევიდა ქალაქად სამეუფოდ, თაყუანის-სცა სასურველსა თჳსსა ძელსა პატიოსანსა და ამბორს-უყო სურვლით ნაწილთა წმიდათასა, რომელთა ოდენ მიემთხჳა“ (აბულაძე 1967:22).

6. ორივე წმინდანი სამონასტრო მშენებლობისა და ბერ-მონაზვნური ცხოვრების ჭეშმარიტი ორგანიზატორია, ისინი არა მარტო აარსებენ მონასტრებს და აშენებენ ეკლესიებს, არამედ, როგორც „წინამძღოლნი და რჯულმდებლნი“ ქმნიან სამონასტრო განგებას, აწესებენ ტიპიკონს: წმ. ილარიონმა ჯერ მის მიერვე აშენებულ დედათა მონასტრს „განუწესა წესი და კანონი, ვითარცა ჯერ-არს მონასტრსა შინა ყოფისა და ლოცვისა და მარხვისა და

ყოვლისავე ნესიერად ქცევისა“⁴, ხოლო შემდეგ მამათა მონასტერს დაუდგინა „ნესი და კანონი სიმკნისა მათისა შემსგავსებული“ (აბულაძე 1967:16). „ხოლო ნეტარმან გრიგოლ მას ჟამსა განანესა ნესი თჳსისა ეკლესიისა და მონასტრისა და სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრწყინებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამოჩენით შეკრებული, ვითარცა საფასჴ დაუღვენელთა კეთილთა“ (ყოზანიშვილი 1960:153).

7. ილარიონ ქართველი და გრიგოლ ხანძთელი განსაკუთრებულ სიყვარულსა და მადლიერებას იჩენენ დედებისადმი, რადგან კარგად უწყიან, რომ „პატივის-ცემად მშობელთა განწესებულ არს შჯულსა შინა ძუელსა და ახალსა“. ისინი ხდებიან თავიანთ ჳორციელ დედათა ჳემმარიტი სულიერი მოძღვარნი, აზინავებენ მათ დედათა მონასტრებში, გარდაცვალებამდე ზრუნვას არ აკლებენ საკუთარ მშობლებს (აბულაძე 1967:15-16; 19 შდრ.: ყოზანიშვილი 1960:168-170).

8. მამა ილარიონიცა და მამა გრიგოლიც საკუთარი შრომით მოიპოვებდნენ სიცოცხლისათვის აუცილებელ ყოველგვარ მატერიალურ სახსარს, რითაც ისინი მიემსგავსებოდნენ პავლე მოციქულს. მართლაც, წმ. ილარიონი „შურებოდა ჳელითა თჳსითა“ და „მისგან მოიჩენდა ჳორციელსა საჳმარსა“ (აბულაძე 1967:21), რადგან ახსენებოდა მოციქულის სიტყვები: „ჳელნი ჩემნი მმსახურებდეს მე“ (საქმე 20,34), ანდა „დღე და ღამე ვიქმ ჳელითა ჩემითა, რაითა არარაჳ ვის დაუმიძიმო“ (I თეს. 2,9; II თეს. 3,8). რაც შეეხება წმ. გრიგოლს, „შრომად დიდად უყუარდა არა ხოლო ლოცვისა და მარხვისაჳ ოდენ, არამედ დღე და ღამე ჳელითა თჳსითა იქმოდა“ (ყოზანიშვილი 1960:210-211), როგორც იტყვის პავლე: „რომელი არა შურებოდის, ნუცალა ჳამნ“-ო (II თეს. 3,10).

9. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ორივე წმინდანი ამჟღავნებს მაცხოვართან მიახლოების ტენდენციას — მონაფებთან გამოსამშვიდობებელი საუბრის შინაარსით, უკანასკნელი „საიდუმლო სერობით“ და, რაც მთავარია, ფერისცვალებით: როდესაც წმ. ილარიონის აღსრულების დრო მოვიდა, „იცვალა სახჴ პირისა თჳსისაჳ და მხიარულ იქმნა სულითა, ვითარცა მუშაკი კეთილი, მიმავალი ნაყოფსა მას ზედა სათნოებათა თჳსთასა“ — აღნიშნავს ბასილი მონაზონი (აბულაძე 1967:27). ხოლო გიორგი მერჩულე ამგვარად აღწერს წმ. გრიგოლის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს: „მაშინ ნათლითა მიუნდომელითა შეიმკო შუენიერად ხილვაჳ მისი ბრწყინვალედ ქრისტჴს მიერ. რამეთუ ბანაკი ანგელოზთა უფლისათაჳ გარემოადგა მას და პატიოსანთა საკუმეველთა სულწელებამან აღავსო ყოველი იგი ერი კრებული მამათაჳ“ (ყოზანიშვილი 1960:220).

აი, ასეთია ის უმთავრესი სქემები და შაბლონები, რომლის მიხედვითაც ბასილი მონაზონი და გიორგი მერჩულე ქმნიან ჳაგიოგრაფიის „ცხოვრებათა“ ჟანრის მთავარი გმირის სახეებს.

ამასთანავე, მსგავსება დეტალებში ამ მთავარ გმირებს შორის ზოგჯერ იმდენად ხელშესახებია, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ნმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი უთუოდ კარგად იცნობს „ნმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ტექსტს.

ორივე „ცხოვრების“ ზოგადკომპოზიციური სქემა თითქმის იდენტურია: ჰაგიოგრაფიის მთავარი პერსონაჟი აღწევს დიდებას, შემდეგ იგი ილტვის დიდებისაგან, ანუ მოგზაურობს და აარსებს მონასტრებს, ბოლოს კვლავ ბრუნდება დიდებაში (დიდება — მოგზაურობა — დაბრუნება — დიდებაში (საბოლოო განდიდება). ცხადია, ეს სქემა ქრისტეს ცხოვრების სახარებისეული ანალოგიითაა ნაკარნახევი: ძე ღვთისამ დატოვა პირველყოფილი დიდება, გამოვიდა ადამიანებში, გახდა მწირი და გლახაკი იმ მიზნით, რომ წაეყვანა ისინი მამის დიდებისაკენ. თუმცა ჰაგიოგრაფიული მასალის სპეციფიკისა და ნაწარმოების მხატვრული ჩანაფიქრიდან გამომდინარე, ამ საერთო კომპოზიციური სქემის გარკვეულ მოდიფიკაციას მაინც მიმართავენ ავტორები.

„ნმ. ილარიონის ცხოვრების“ ტექსტს სამი დრო ქმნის. პირველი პერიოდი (აღმოსავლური) მიმდინარეობს საქართველოსა და პალესტინაში; მეორე (დასავლური) — რომაულ-ბიზანტიურ იმპერიაში; მესამის (წმინდანის სიკვდილის შემდგომი) თვალთახედვის არეა კონსტანტინოპოლი, სადაც ილარიონ ქართველი საბოლოო განდიდებას მიაღწევს (ბერნადეტ მარტენ ჰისარი იხ.: დოლაქიძე 1983:253).

„ნმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოქმედება არსებითად ერთ ვერტიკალზე ვითარდება — ქართლიდან მესხეთისაკენ და თავად მესხეთში, თუ არ ჩავთვლით წმინდანის ხანმოკლე მოგზაურობებს საბერძნეთსა და აფხაზეთში; ამასთან, თხზულებაში ზოგჯერ დარღვეულია მოთხრობილი ამბების დროის თანმიმდევრობა, რაც ჰაგიოგრაფიული ნორმების აშკარა დარღვევად შეიძლება შეფასდეს (თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძეგლი ერთადერთი ხელნაწერთაა მოღწეული ჩვენამდე და მის შემავსებელს — ბაგრატ ერისთავთ-ერისთავსაც თავისი კვალი დაუჩნევია „ცხოვრებისათვის“).

მიუხედავად გეოგრაფიული არეალისა და მოღვაწეობის მასშტაბების სხვადასხვაობისა, ორივე წმინდანს არსებითად ერთი და იმავე მისიის განხორციელება დააკისრა განგებამ: ილარიონ ქართველმა და მისმა მოწაფეებმა არა მარტო საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში (კახეთში) უნდა ააყვანო ბერ-მონაზვნური ცხოვრება, არამედ ჭეშმარიტი სარწმუნოების მადლს უნდა აზიარონ ბერძნებიც, ისხნან ხატმებრძოლეობის ცოდვით რწმენაშერყეული ბიზანტია; ხოლო გრიგოლ ხანძთელმა და მისმა მოწაფეებმა არაბებისაგან იავარქმნილი ზემო ქართლი — მესხეთის მხარენი უნდა აღადგინონ და დიდი სამონასტრო მშენებლობით სულიერი ნათელი მოჰფინონ თავიანთ სამშობლოს. საგულისხმოა, რომ ნმ. გრიგოლისა

და მისი თანამოღვაწეების მიერ აღორძინებულ კლარჯეთის მხარეს, სადაც თორმეტი დიდებული სავანე იყო განთავსებული — ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, მიძნაძორო, წყაროსთავი, ბარეთელთა, მერე, დაბა, ჯემერკი, ბერთა, პარენი და დოლისყანა, საქართველოს „სინაი“ ენობა (ინგოროყვა 1954: 303-304). ორივემ ღირსეულად განვლო სამისიონერო და სამოციქულო მოღვაწეობის რთული გზა — მოიპოვა დიდება და ღვთაებრივი ამაღლება.

„წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრებისა“ და „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მხატვრულ სტრუქტურაში ოსტატურადაა ჩართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალები.

ბასილი მონაზონის თხზულება მესიანისტური სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. ავტორის მესიანიზმი ქართველი ერის ღირსებათა წარმომარჩინებელ შემდეგ დებულებებს ემყარება: 1. ქართველებს ჰყავთ მრავალი ძველი და ახალი წმინდანი, 2. ისინი მტკიცედ დგანან მართლმადიდებლობაზე, 3. ეს ხალხი ღვთისმშობლის წილხვდომილია, მისი კალთა აქვს გადაფარებული, 4. ქართულ ენაში შენახულია ჭეშმარიტი რწმენის საუნჯეები, რაც ამ ენას განსაკუთრებულ მადლმოსილებას ანიჭებს. ამიტომ არის, რომ ღმერთმა სწორედ ილარიონ ქართველი და მისი მოწაფეები გამოარჩია, ისინი წარგზავნა ცოდვილი ბიზანტიის გადასარჩენად (უფრო დანვრილებით იხ.: მახარაშვილი 2007:373-381).

„წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორს მთავარი იდეოლოგიური აქცენტი ქართული ეკლესიის ნაციონალიზაციის იდეაზე გადააქვს. იგი ასეთ დებულებებს გვთავაზობს: 1. ქართული ეკლესიის ძირთა-ძირი მცხეთა ქრისტეს კვართის სამკვიდრებელია: “ხოლო შემდგომად დიდი არსენი კათოლიკე ეკლესიასა, ქ რ ი ს ტ ც ს კ უ ა რ თ ი ს ა ს ა მ კ ე დ რ ე ბ ე ლ ს ა მ ც ხ ე თ ა ს , ქართლისა კათალიკოზ იქმნა“ (ყუბანიშვილი 1960:181). მართალია, ეს გადმოცემა ახალი არაა და იგი მთელი სისავსითაა გაშლილი “წმ. ნინოს ცხოვრების” ადრინდელ, შატბერდულ-ჭელიშურ რედაქციებში (იხ.: მახარაშვილი 2005:17-21), მაგრამ ის მჭიდროდ უკავშირდება მწერლის მომდევნო დებულებას. 2. ამგვარი იშვიათი სინმინდის მფლობელი ქართული ეკლესია თვითმყოფადია, სრულიად დამოუკიდებელი და ავტოკეფალურია. ეფრემ დიდმა მანყვერელმა “ქ რ ი ს ტ ც ს – მ ი ე რ ი თ ა ბ რ ძ ე ბ ი თ ა მიჰრონისა კურთხევაჲ ქართლს განანესა იერუსალჴმისა პატრიაქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით“ (ყუბანიშვილი 1960:186) და ამგვარად მოშალა უკანასკნელი რგოლი საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულებისა ანტიოქია-იერუსალიმზე. 3. საზოგადოდ კი, ქართლი მრავალ მხარეს აერთიანებს, დიდი ქვეყანაა, „რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ (ყუბანიშვილი 1960:186), რაც ამ ენას, ერსა და მიწას ღვთაებრივი ძალმოსილებით ალავსებს.

4. განსაკუთრებით საყურადღებოა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გაცხადებული დებულება — აშოტ კურაპალატისა და მისი შვილების (ე.ი. ბაგრატიონთა დინასტიის) ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის ჩამომავლებად შერაცხვის შესახებ, რაც ამ სამეფო საგვარეულოს ლეგიტიმურობის აღიარებად უნდა შეფასდეს. „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულ კელმნიფო“ (ყუბანიეშვილი 1960:148-149) — ასე მიმართავს წმ. გრიგოლი აშოტ დიდს და უეჭველია, ბაგრატიონთა ღვთაებრივი წარმომავლობის ეს ნაციონალური იდეა კლარჯეთის მონასტერთა არქიმანდრიტისა და მისი სკოლის მიერ უნდა იყოს თეორიულად დამუშავებული. ამ იდეის ერთგვარი გამოძახილია ოპიზის ცნობილი ბარელიეფი, შესრულებული 818 წლის ახლო ხანებში. მასზე გამოსახულია პირთა ჯგუფი: ცენტრში ტახტზე ზის იესო, მარცხნივ დგას აშოტ I, ოპიზის ტაძრის გამოსახულებით, ხოლო მარჯვნივ — დავით წინასწარმეტყველი, როგორც წინაპარი ქართველთა მეფისა და ქრისტესი (ინგოროყვა 1954:84-85). ხსენებული დებულება პირდაპირ ეხმიანება და საფუძველს უმაგრებს საქართველოს ღვთისმშობლისადმი ნილხვდომილობის იდეას, რომელიც პირველად ბასილი მონაზონმა გააფორმა ლიტერატურულად. ამაზე არაორაზროვნად მიუთითებს კონსტანტინე პორფიროგენეტის უწყებაც: ქართველები „უნოდებენ თავის თავს დავით მეფისა და წინასწარმეტყველის ნათესავს და აქედან ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნათესავსაც, რადგან ისიც (ღვთისმშობელი) დავითისაგან არის წარმოშობილი“ (ინგოროყვა 1954:83). მაშასადამე, შემთხვევითი სრულიადაც არ არის, რომ საქართველო ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანაა, მისი კალთა აქვს გადაფარებული, ხოლო ამ სახელმწიფოს „ნებითა ღმთისადა“ განაგებენ წმ. მარიამის ნათესავნი — ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელნი.

საბოლოო ჯამში, ორივე მწერალს — ბასილი მონაზონსაც და გიორგი მერჩულესაც ქვეყნის ძლიერებისა და განვითარების უმთავრეს საფუძვლად, ცხოველმყოფელ წყაროდ ბერ-მონაზვნობა მიაჩნია. ისინი ფიქრობენ, რომ ერის სულიერი აღორძინება, ჰარმონიული სახელმწიფოს შექმნა მეფეებისა და წმინდა მამების ურთიერთანადგომით, ციხე-სიმაგრეებთან ერთად — ეკლესია-მონასტრების მშენებლობით, საერო ცხოვრებასთან ერთად — ასკეტური მოღვაწეობის აყვავებით, ანუ ხორციელი და სულიერი კეთილის შეზავებითაა შესაძლებელი.

დამონებანი:

აბულაძე 1967: აბულაძე ი. (რედაქტორი). ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, (XI-XV ს.ს.). თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967.

- დოლაქიძე 1983:** დოლაქიძე მ. ახალი ნაშრომი ილარიონ ქართველის ცხოვრების შესახებ. მრავალთავი. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის პერიოდული სამეცნიერო ორგანო, X, თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1983.
- ინგოროყვა 1954:** ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეთავე საუკუნისა. თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1954.
- მახარაშვილი 2005:** მახარაშვილი ს. „წმ. ნინოს ცხოვრება“ და ქართული მესიანისტური იდეის საფუძვლები. II საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში — წარსული, აწმყო, მომავალი“. თბ.: 2005.
- მახარაშვილი 2006:** მახარაშვილი ს. ბიბლიური და ლიტერატურული პარადიგმები ბასილი მონაზონის (პროტოასკრიტის) „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“. ლიტერატურული ძიებანი, XXVII. თბ.: 2006.
- მახარაშვილი 2007:** მახარაშვილი ს. ბასილი პროტოასკრიტის მსოფლმხედველობისათვის. ბიზანტიოლოგია საქართველოში, ეძღვნება აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის ხსოვნას. თბ.: პროგრამა „ლოგოსი“, 2007.
- ყუბანიშვილი 1960:** ყუბანიშვილი ს. (რედაქტორი). ჩვენი საუნჯე, I, ძველი მწერლობა. თბ.: გამომცემლობა „ნაკადული“, 1960.

ტრისტან მასაური

საქართველო, თბილისი

სამონადირეო მითოსის კვალი ვაჟა-ფშაველას პოემებში

ხალხში გავრცელებული მითოსური რწმენა-ნარმოდგენებით არის ნასაზრდოები ვაჟა-ფშაველას სამი პოემა: „მონადირე“ (1886წ.), „დაჭრილი ვეფხვი“ (1890წ.) და „ნის ბეჭი“ (1895წ.).

სამივე პოემაში წამოჭრილია მონადირისა და ნადირთპატრონის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ჯერ პოემა „მონადირე“, რომელიც ყველაზე ადრეა დაწერილი.

პოემის მთავარი პერსონაჟი თორღვა განთქმული მონადირეა. მას სამი აზარი აუთავებია, მეოთხეს ერთილა უკლია („აზარის ათავება“ ნიშნავს ასი წმინდა ნადირის მოკვლას. მაშასადამე, თორღვას 399 წმინდა ცხოველი მოუკლავს). და აი, სწორედ ამ დროს ნახულობს იგი საოცარ სიზმარს: სანადიროდ წასული ირმების ხროს წააწყდება, რომელსაც ნადირთპატრონი ქალი მწყემსავს. ჯოგიდან განაპირებული ერთი „რქა-მნათი“ ირემი ისე გააბრაზებს ნადირთპატრონს, რომ იგი ცხოველს დაწყევლის: „ანაწერიმც ხარ აგრია ზეგვე თორღვას თოფისა“-ო (ვაჟა 1930: 33-34).

თორღვას ასეთი სიზმარი ბევრჯერ ასცხადებია და ახლაც მოუთმენელი სიხარულით ელის მის ასრულებას, მაგრამ ეს სიზმარი ხუთი წლის წინანდელ საბედისწერო ნადირობასაც ახსენებს, როცა თორღვამ გამორჩეული („რქასანთლიანი“) ირემი მოკლა. ნადირის მოკვლისთანავე მას გამოეცხადა ხელ-ყავარჯნიანი თეთრწვერა ბერი, რომელმაც დაწყევლა: „რაად მამიკალ ზვერია!? კარგი, — ჰნახოდი, ბეჭმია შენი ცოლ-მვილი სწერია!“ (ვაჟა 1930: 36).

გააცნობიერა რა ჩადენილი დანაშაული, თორღვამ ადგილის დედის სახელზე სანთლები აანთო, ჩოქით შემოუარა ნასაყდრალს, წლის თავზე კურატიც შეუთქვა, ოღონდ ცოდვა ეპატიებინა და ხიფათი აერიდებინა. უფრო მეტიც: სრული ხუთი წელიწადი თორღვამ სინანულსა და თვითგვემაში გაატარა და თოფისთვის ზედაც არ შეუხედაია.

მოსახდენი მაინც მოხდა: თორღვას აუსრულდა ბერიკაცის წყევლა: გაუნყდა ცოლ-მვილი და მარტოდმარტო დარჩა. უბრუნდება რა მომხდარის გახსენებას, თორღვა თავს იმართლებს:

„მე რა ვიცოდი იმ რქათი,
თუ ნაკურთხ იყვნენ ღვთისანი!“ (ვაჟა 1930 : 36)

აღნიშნულ პოემაში ვაჟა იყენებს სამონადირეო მითოსის იმ მოდელს, რომლის მიხედვითაც გამორჩეული ნადირის მკვლევლობისათვის ნადირთპატრონი სასტიკად სჯის მონადირეს.

ღვთის რჩეულ ნადირს აქვს განსაკუთრებული ფერი (მაგალითად, თეთრი ფერის ჯიხვი ან ირემი, რაც ძალზე იშვიათობაა სინამდვილეში), ამობრუნებული რქები, მონადირის მიერ იარაღის დამიზნებისას ცხოველს რქებზე სანთლები დაენტება ან ჯვარი გამოესახება, სხვა შემთხვევაში ირემს რქები ოქროთი ან ვერცხლით აქვს მოჭედილი და ა.შ. ხალხურ გადმოცემებში ხშირად გამორჩეული ნადირის სახით თვითონ ნადირთპატრონი გამოეცხადება მონადირეს და მიუვალ კლდეებში გაიტყუებს. მაგალითად, ბეთქილს დალი არჩვის სახით მოეჩვენება, ყარაჩაულ-ბალყარული სიმღერის გმირს — ბიინოგერს კი სამფეხა ირმის სახით: „თუ ნადირი ხარ, მასროლინემეთქი შენთვის, თუ ფური ხარ, მომენველინე!“ — მიმართავს ბიინოგერი ირემს. ცხოველი ადამიანის ხმით პასუხობს: „მე ირემი კი არა, აფსათის ლამაზი ასული ვარ!“ (ყარაჩაული 1995: 11).

ჭკვიანმა და იღბლიანმა მონადირემ იცის, რომ ასეთი სახის ნადირი არ უნდა მოკლას: „ერთ მონადირეს დაუნახავს ჯიხვი, ამოულია მიზანში, მაგრამ თოფი არ გავარდნილა, ჯიხვის რქებზე კი სანთლები ანთებულა. ამბობენ: ჯიხვი თავისმა მფარველმა იხსნაო“ (ცანავა 1992: 47).

სამოგზაურო-მემუარული ჟანრის პირველი თხზულებები, რომლებშიც აისახა რუსული თემატიკა, შექმნეს ვახტანგ VI-ის გარემოცვის წევრებმა. საერთოდ, ვახტანგ VI-ისა და მისი ამალის რუსეთში ჩასვლა, იქ ცხოვრება და კულტურულ-სალიტერატურო მოღვაწეობა სრულიად ახალ ფურცელს (უნდა ითქვას, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით – ტრაგიკულ ფურცელს) შლის საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა ისეთი თხზულებები, როგორებიცაა გაბრიელ გელოვანის „მცირე ანდერძი“ და ვახტანგ ორბელიანის „ამბავნი ჰეტერლოფისა“.

გ. გელოვანმა (გარდ. 1754 წლის შემდეგ) მოსკოვში თარგმნა სახელმძღვანელოს ტიპის წიგნი „მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გეოგრაფიის მოკლე მიმოხილვა“, რომელსაც ერთვის მთარგმნელის ჩანაწერი „მცირე ანდერძი“ („განსრულდა თარგმანი წიგნისა ამის ან

მოგითხრობთ თვით ჩვენდამო მცირეს რასამე ანდერძსა“) (გელოვანი 1963: 175-177).

მიუხედავად „მცირე ანდერძის“ მართლაც მცირე მოცულობისა, იგი მდიდარი ფაქტობრივი მასალით: ავტორი გვაცნობს ვახტანგ მეექვსის ამალის მოგზაურობას, გადმოგვცემს არაერთ საყურადღებო ფაქტს ქართველთა და ჩრდილო კავკასიელთა თუ რუსთა ურთიერთობის ისტორიიდან, წერს მთიელი ტომების ძალმომრეობაზე ვახტანგის ამალის მიმართ, აღწერს ყალმუხთა და რუსთა ჯარის წყობას, აღნიშნავს ქართველთა პატივით მიღებასა და მასპინძლობას ჩერქეზეთში, სოლალში, ასტრახანში, პეტერბურგში.

თხზულებაში მოხსენიებული არიან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ისტორიული პირები და მოცემულია საინტერესო ცნობები მათზე. ესენია: შაჰ-თამაზი, მთავარი მირვეიზი, „დიდი ხელმწიფე მეფეთ-მეფე ჩრდილოეთისა პეტრე ალექსის ძე“, პეტრე პირველის მიერ ვახტანგთან გამოგზავნილი ელჩი „გვარ-წოდებითი ტოლსტოვი“, რაჭის ერისთავი შოშიტა, იმერეთის მეფის ბაგრატის ასული ნინო, ოდიშის მთავრის ბეჟან დადიანის მეუღლე თამარი, სარდალი ვაბრიელ კროპოტოვი, რომელიც მიეგება მეფეს სოლალის ციხესიმაგრეში, ვახტანგის მიერ პეტერბურგს წარგზავნილი ელჩი – სარდალი ამილახვარი და სხვ. (მენაბდე 2005: 116-125).

ინტერესს იწვევს გ. გელოვანის ავტობიოგრაფიული ცნობებიც. თხზულება თარიღდება 1737 წლით.

თავის დროზე ცნობილმა მწერალმა (პოეტი, პროზაიკოსი) ვახტანგ ორბელიანმა (1700-1752) პეტერბურგსა და პეტერგოფში იმოგზაურა 1736-1738 წლებში, აღწერა პეტერგოფის ღირსშესანიშნაობანი და თავისი შთაბეჭდილებები გადმოსცა სამოგზაურო ხასიათის თხზულებაში „ამბავნი პეტერლოფისა სნა-სახლთა და ბაღჩა-ბაღთანი“ (შადური 1962: 99-109; ბრეგვაძე 1958: 322-341).

ვ. ორბელიანის თხზულებაში აღწერილია პეტერგოფის არქიტექტურული ძეგლები, ქანდაკებები, ცნობილი შადრევნები, ბალები და სხვ. ყოველივე ამას „დია მჭმუნვარედ“ მყოფი ავტორის განცვიფრება გამოუწვევია. მართალია, „ამბავნი პეტერლოფისა“ აღწერილობითი ხასიათის თხზულებაა, მაგრამ იგი მაინც იძლევა საშუალებას, ვიმსჯელოთ მის ავტორზე, როგორც თავისი დროისა და ვითარების კვალობაზე განსწავლულ პიროვნებაზე. კერძოდ, ვ. ორბელიანი ავლენს ბიბლიური ტექსტებისა თუ საერო ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას, ნანახის დანვრილებითი და დამაჯერებელი აღწერის უნარს, გვაცნობს უცხო ქვეყანაში მყოფი ქართველის განცდებსა და შთაბეჭდილებებს... (მენაბდე 2004: 21-27).

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსული თემატიკა აისახა მწერლისა და სასულიერო მოღვაწის იონა გედევანიშვილისა და ცნობილი მოგზაურის რაფიელ დანიბეგაშვილის შემოქმედებაში. მათ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზნით იმოგზაურეს საქართველოს ფარგლებს გარეთ – ი. გედევანიშვილმა 1783-1793 წლებში ახლო

აღმოსავლეთის ქვეყნებში წმინდა ადგილების მოლოცვის, აგრეთვე, პატრიარქების წინაშე თავის მართლების მიზნით, ხოლო რ. დანიბეგაშვილი ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის დავალებითა და პოლიტიკურ-დიპლომატიური მისიით 1795-1813 წლებში რამდენჯერმე იყო ინდოეთში.

ცნობილია მწერალმა, მოგზაურმა და სასულიერო მოღვაწემ იონა გედევანიშვილმა (1737-1821) ცხოვრების უკანასკნელი წლები (1795-1821) მოსკოვში გაატარა, კერძოდ, „ჩუდოვისა მონასტერში კელიასა კეთილსა და კარგსა“. იქ იგი აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო ცერემონიალებში, ახლო ურთიერთობა ჰქონდა მოსკოვის ქართული ახალშენის მოღვაწეებთან, ჩაება სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობაში, შეუდგა მოგზაურობისდროინდელი ჩანაწერების ლიტერატურულ დამუშავებასა და გაფორმებას. არსებითად მოსკოვში, XIX საუკუნის დამდეგს, დაასრულა ი. გედევანიშვილმა თავისი უმთავრესი თხზულება, რომელსაც პირობითად „მიმოსვლა“ ეწოდება (მიმოსულა 1852). „მიმოსვლის“ მოღწეული შვიდი ხელნაწერიდან სამი თბილისშია დაცული, ორი – სანქტ-პეტერბურგში, თითო — მოსკოვსა და ქუთაისში (ავტოგრაფული არც ერთი არ არის).

ი. გედევანიშვილის „მიმოსვლაში“ მიმოხილულია ავტორის ხანგრძლივი მოგზაურობა საქართველოდან ვიდრე მოსკოვამდე, გადმოცემულია დაკვირვებები და შთაბეჭდილებები, შეჯამებულია მისი ნაფიქრ-ნააზრევი. სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. ხახანაშვილი, გ. ზარდალიშვილი, ლ. მარუაშვილი და სხვ.) აღნიშნულია, რომ ი. გედევანიშვილს ამოძრავებდა არა მხოლოდ პილიგრიმულ-სარწმუნოებრივი მიზნები, არამედ ინტერესთა ფართო წრე: ისტორიულ-გეოგრაფიული, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ეთნიკურ-დემოგრაფიული, სამეურნეო-ეკონომიკური, ეთნოგრაფიულ-ყოფითი, ბუნებრივ-კლიმატური და სხვ. (ჭაბაშვილი 1979: 14-24; 1980: 63-72; რუხაძე 1961: 51-52; ქავთარია 1977: 142-143; ზარდალიშვილი 1958: 64-66).

მასალები რუსებისა და რუსეთის შესახებ გვხვდება „მიმოსვლის“ ბოლო ორ თავში. აქედან ერთში, რომელიც ასეა დასათაურებული — „მიმოხილუა პოლშისა და სხუათაცა ქალაქებთა“, საინტერესო ცნობებია ავტორის ცხოვრებაზე ქალაქ იასში, მის იქაურ შეხვედრებზე რუს სამხედრო-დიპლომატიურ მოღვაწეებთან, აგრეთვე, ქართლ-კახეთისა და იმერეთის წარმომადგენლებთან, აღწერილია რუსეთის ჯარის გამარჯვების გამო გამართული დღესასწაული, საუბარია გენერალ-ფელდმარშალ გრიგოლ პოტიომკინის გარდაცვალებაზე, მის დაკრძალვაზე, თურქეთთან ზავის დადებაზე და ა. შ.

როდესაც გ. პოტიომკინის გარდაცვალების შემდეგ მისი ბანაკი დაიშალა, რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ზავით იასი და მისი მიდამოები თურქეთს ერგო. იონას ახლობლები შემოეფანტნენ, მისი მოლდავეთში დარჩენა სახიფათო ხდებოდა, ამიტომაც მან იქაურობის დატოვება გადაწყვიტა. ახლობლებმა ურჩიეს სამონასტრო

ქონების გაყიდვა, მაგრამ ეს არ გააკეთა: „მე არა ვქმენ ჩემის ავის სახელისათვის და მშობელსა ჩემსა ქუეყანასაც არა ვჰკადრე. სულ ჩემი იყო, როგორც უნდა, ისე მოვიხმარებდი. შემდგომად წამოსვლისა ჩემისა იტყოდნენ ავსა სიტყუასა: ქართული კაცი იყო და გაყიდა ყოველივეო და მონასტერი განცარცუაო“ (მიმოსულა 1852: 111). ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს მწერლის პიროვნული თვისებები. სამონასტრო ქონების გაყიდვა მან არა მარტო პირადი ღირსების შელახვად ჩათვალა, არამედ იმ ქვეყნის შეურაცხყოფად, რომელსაც ამ უცხო მხარეში წარმოადგენდა.

„მიმოსვლის“ უკანასკნელ თავში („შემოსულა როსსიისა საიმპერიოსა შინა და მიმოსულა ადგილითი ადგილად და მიმოხილუა“) საუბარია ი. გედევანიშვილის კიევი ჩასვლასა და მღვიმეთა ლავრაში „კელიასა კეთილსა“ ცხოვრებაზე. გასაგები მიზეზების გამო, უკრაინა, რომელიც რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, ქართველი ავტორის მიერ რუსეთად აღიქმება. იონა უკრაინისა საერთოდ და, კერძოდ, კიევის აღწერისას სიძუნწეს იჩენს, თუმცა შედარებით ვრცლად აღწერს მღვიმეთა ლავრას.

დასასრულ, ი. გედევანიშვილი წერს, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო დატოვა კიევი, შევიდა „დიდსა რუსეთსა შინა“, კერძოდ, მივიდა „სამეუფოსა მოსკოვს“ და დასახლდა საცხოვრებლად მიჩენილ მონასტერში. ავტორი მსჯელობს მოსკოველ ქართველ ემიგრანტებზე, ქართლ-კახეთის მდგომარეობაზე, კავკასიაში გაჩაღებულ ბრძოლებზე და ა. შ. ამის შემდეგ ი. გედევანიშვილი დასძენს: „სხუასა მოთხრობასა მოკლედ დავიდუმებ სიგრძისათკს“.

ასეა თუ ისე, იონა გედევანიშვილი ძირითადად თავის თავგადასავალს მოგვითხრობს და საკუთრივ რუსეთსა და რუსებზე ბევრს არაფერს წერს, მაგრამ მის მიერ მონოდეზულ ზოგიერთ ცნობას მაინც გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართულ-რუსული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თუ საეკლესიო-სარწმუნოებრივი ურთიერთობის ისტორიის სრულად გათვალისწინებისათვის.

ცნობილმა მოგზაურმა რაფიელ დანიბეგაშვილმა (დაბ. და გარდ. წწ. უცნობია) 1795-1827 წლებში ერეკლე II-ის, გიორგი XII-ის, აგრეთვე, რუსეთის ხელისუფლების დავალებითა და სავაჭრო-დპლომატიური თუ დაზვერვითი მიზნებით ხუთჯერ იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში (ერაყი, ინდოეთი, ბირმა, ჩინეთი და სხვ.). ერთ-ერთი მისია (1799-1813 წწ.) მან დაასრულა მოსკოვში, მოანერგვა და ლიტერატურულად დაამუშავა მოგზაურობის ჩანაწერები, თარგმნა რუსულად (უნდა ვიფიქროთ, მოსკოვში მცხოვრებ თანამემამულეთა დახმარებით. ქართული დედანი დაკარგულია) და თავისი, — იმ დროისათვის უკანასკნელი, — მოგზაურობის შესახებ იქვე, მოსკოვშივე, გამოსცა წიგნი „Путешествие в Индию грузинского дворянина Рафаила Данибегова“ [M., 1815; დღეისათვის რ. დანიბეგაშვილის ეს თხზულება თარგმნილია ქართულ (სამჯერ), ინგლისურ და ჰინდი ენებზე].

რ. დანიბეგაშვილის წიგნის სათაური „ქართველი აზნაურის რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში“ ზუსტი არაა (ავტორმა სხვა ქვეყნებიც მოიარა). ამიტომაც თხზულებას სხვადასხვა ნაშრომებსა თუ გამოცემებში სხვადასხვაგვარად ასათაურებენ: „რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა“, „რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობანი ბირმასა და აზიის სხვა ქვეყნებში“, თუმცა ყველაზე გავრცელებული სათაურია — „მოგზაურობა ინდოეთში“ (მარუაშვილი 1954: 29-32; ზარდალიშვილი 1958: 66-71).

ვინაიდან ამ თხზულებას დედნის (ქართულ) ენაზე ჩვენამდე არ მოუღწევია, ძნელია თქმა, რამდენად სრული და ზუსტია რუსული თარგმანი; ის ნაკლი, რომელიც რუსულ ტექსტს ახასიათებს (გეოგრაფიული პუნქტების აღრევა, ცალკეულ ცნობათა არაზუსტი ქრონოლოგია და სხვ.) დედნისეულია თუ თარგმანისეული... როგორც არ უნდა იყოს, „მოგზაურობა ინდოეთში“ ამ სახითაც მრავალმხრივ საინტერესო თხზულებაა. აქ უხვადაა დემოგრაფიული, გეოგრაფიული, სამხედრო-სტრატეგიული და სხვა ხასიათის ცნობები (დანიბეგაშვილი 1963: 93-110).

უნდა ითქვას, რომ ამ შესანიშნავ წიგნში მასალა საკუთრივ რუსეთში ავტორის ყოფნაზე ძალზე მცირეა. სახელდობრ, აქ აღნიშნულია, რომ ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ რ. დანიბეგაშვილი ჩავიდა ომსკის ციხესიმაგრეში და შეხვდა ციმბირის ხაზის უფროსს, გენერალ გ. გლაზენაპს, ომსკიდან წავიდა მაკარიას (ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნიაში), დაესწრო იქაურ ხალხმრავალ ბაზრობას, იქიდან კი წავიდა მოსკოვს. მოსკოვში ჩასვლისას რ. დანიბეგაშვილის უპირველესი სურვილი იყო „საიმპერატორო უდიდებულესობის სასახლის ხილვა“. „კეთილისმყოფელთა საშუალებით“ ავტორმა აისრულა სურვილი, დაათვალიერა სასახლე, სადაც იხილა „უამრავი პატროსანი თვალი, ოქრო და ვერცხლი“, „მდიდრულად შემკული ტახტები და მზის სხივებით გაბრწყინებული გვირგვინები“, შეექმნა შთაბეჭდილება, რომ იქ თავმოყრილი იყო „ბუნების ყველა საუნჯე“.

აი, თითქმის ყველაფერი, რაც რაფიელ დანიბეგაშვილის წიგნში „მოგზაურობა ინდოეთში“ გვხვდება ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.

წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგინეთ მასალები, რომლებიც XVIII საუკუნის ქართულმა სამოგზაურო ლიტერატურამ შემოგვინახა რუსეთისა და რუსების შესახებ. საგულისხმოა, რომ თუ XVIII საუკუნის ქართველი მწერლები მხოლოდ აღწერდნენ რუსეთში მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს, XIX საუკუნის მოგზაურ-მემუარისტები, ახალი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, უკვე სულ სხვა თვალთ აფასებდნენ ყოველივეს. ისინი კარგად აცნობიერებდნენ მოსალოდნელ ეროვნულ საფრთხეებს და არცთუ იშვიათად თავიანთ თხზულებებში ავლენდნენ კრიტიკულ დამოკიდებულებას რუსეთის

დიდმპყრობელური პოლიტიკის მიმართ. თუმცა, ეს უკვე სხვა საუბრის თემაა.

დამონებანი:

- ავალიშვილი 1967:** ავალიშვილი გ. მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ.: 1967.
- ბრეგაძე 1958:** ბრეგაძე დ. ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII ს.), I, თბ., 1958.
- გაბაშვილი 1956:** გაბაშვილი ტიმოთე. მიმოსლვა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ.: 1956.
- გელოვანი 1963:** გელოვანი გ. „მცირე ანდერძი“. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, III, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძისა და და ქ. შარაშიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით. თბ.: 1963.
- დანიბეგაშვილი 1963:** დანიბეგაშვილი რ. თვრამეტი წელი აზიის ქვეყნებში. რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა, თარგმნა, რედაქცია, შენიშვნები, ბიბლიოგრაფია და ნარკვევი ლ. მარუაშვილისა. თბ.: 1963.
- ზარდალიშვილი 1958:** ზარდალიშვილი გ. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები. თბ.: 1958.
- კიკნაძე 1993:** კიკნაძე ლ. გიორგი ავალიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1993.
- მარუაშვილი 1954:** მარუაშვილი ლ. XVIII საუკუნის ქართველი მოგზაურები და გეოგრაფები. თბ.: 1954.
- მენაბდე 2004:** Менабде Д., «Повесть о Петергофе» Вахтанга Орбелиани. Сб. «Наш Петербург», Тб.: 2004.
- მენაბდე 2005:** მენაბდე დ. გაბრიელ გელოვანის „მცირე ანდერძი“, კრბ., „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“. თბ.: 2005.
- მიმოსულა 1852:** მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისისა მიტროპოლიტისა [პ. იოსელიანის გამოცემა] თფ.: 1852.
- რუხაძე 1961:** რუხაძე ტ. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.). თბ.: 1961.
- ქავთარია 1977:** ქავთარია მ. XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა). თბ.: 1977.
- შადური 1962:** ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ. შემდგენელი ვ. შადური თბ.: 1962.
- ყუბანეიშვილი 1958:** ყუბანეიშვილი ს. სულხან-საბა ორბელიანის გამგზავრება მოსკოვში. „ლიტერატურული ძიებანი“, XI (1958).
- ყუბანეიშვილი 1959:** ყუბანეიშვილი ს. ტიმოთე გაბაშვილი რუსეთში, კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბ.: 1959.
- ჭაბაშვილი 1979:** ჭაბაშვილი ა. ზოგიერთი ცნობა იონა გედევანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. „მაცნე“ (ელს), 1979, № 3.
- ჭაბაშვილი 1980:** ჭაბაშვილი ა. იონა გედევანიშვილის „მიმოსვლის“ ხელნაწერები. „მრავალთავი“, VIII (1980).

„ნივთის“ მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია მოდერნისტულ ტექსტში

ნივთებს, საგნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ცივილიზაციის ისტორია გარკვეულწილად „ნივთების“ შექმნის, ცვლილების, განვითარების და გააზრების ვრცელი და იდუმალებით მოცული ამბავიცაა, რადგან „ნივთებმა“ უხსოვარ დროშივე გადალახეს უტილიტარული მნიშვნელობის ფარგლები და შეიჭრნენ ადამიანის წარმოსახვაში, როგორც გარკვეული იდეის აღმნიშვნელი და ესთეტიკური ღირებულების მქონე მხატვრული ელემენტები. „ნივთს“ — სათქმელის ზუსტად, ნათლად, ხელშესახებად გამოხატვის საშუალებას — იყენებს ფოლკლორი, მითოლოგია, ლიტერატურა, მხატვრობა... შეიძლება გავიხსენოთ უამრავი შემთხვევა, როდესაც „ნივთები“, „საგნები“ იკავებენ ცენტრალურ ადგილს მხატვრულ ნააზრევში, მათ გარშემო ნელ-ნელა იქსოვება მხატვრული ქსოვილი, ვითარდება მოვლენები და სწორედ ნივთები გამოხატავენ ნაწარმოების იდეას, ფილოსოფიურ საფუძველს, ესთეტიკურ კონცეფციას. თითქმის ყველა ჩვენთვის ცნობილ კულტურაში დასტურდება „ნივთის“ ამგვარი ფუნქცია. ისინი უხვად არის წარმოდგენილი ფოლკლორში, ზღაპრებში. მრავალი მითის არსს „ნივთები“ განსაზღვრავენ, თუნდაც „ოქროს საწინისი“ ან „პანდორას ყუთი“. „ნივთების“ მეშვეობითაა წარმოდგენილი ანტიკური პანთეონის წარმომადგენელთა ნიშან-თვისებები. მოგვიანებით დასავლურ მხატვრულ აზროვნებაში ჩნდება „ნივთი“-სიმბოლო „გრაალის თასი“, რომელიც ევროპული სარაინდო რომანების ერთ-ერთ მთავარ ღერძად იქცა. პარალელურად „ნივთები“ ინარჩუნებენ მეორე, შედარებით უფრო მარტივ ფუნქციასაც, როცა გამოდიან სამკაულის, ანტიურაჟის, დეკორაციის ნაწილის, სამოქმედო სივრცის „შემავსებლის“ როლში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ რთულია, და განსაკუთრებით მხატვრობაში, მკვეთრად გაიმიჯნოს „ნივთის“ იდეურ-სიმბოლური და ესთეტიკური ფუნქციები. ფლამანდიური სკოლის მხატვართა ნატურმორტებში, რენესანსულ პორტრეტებში თუ იმპრესიონისტთა კომპოზიციებში ერთი შეხედვით თითქოს უმიზნოდ მოხვედრილი „ნივთები“ მოულოდნელად ბევრად უფრო მეტს ყვებიან შემოქმედთა გრძნობებზე, სამყაროსადმი დამოკიდებულებაზე, ეპოქაზე, დროზე, ვიდრე თუნდაც მკვეთრად გამოხატული სიუჟეტი. „ნივთების“ მეტყველს ენას თითქმის ყველა ეპოქისა და სხვადასხვა ლიტერატურული თუ ხელოვნების მიმდინარეობის წარმომადგენლები იყენებდნენ და იყენებენ. ზოგ შემთხვევაში მხატვრულ ტექსტში „ნივთი“ თითქმის სრულყოფილებას

აღწევს, სრულად წარმოჩინდება მისი სიმბოლური მნიშვნელობა, ფილოსოფიური აზრის სახიერად გამომხატველის ფუნქცია, იდეური სიღრმე, ესთეტიკური დანიშნულება და „ნივთი“ ხდება ნაწარმოების მხატვრული სამყაროს ცენტრი, რომელიც იზიდავს და თავის ორბიტაზე ატრიალებს მოვლენებს, პერსონაჟებს, ფიქრებს, განცდებს და საშუალებას აძლევს მკითხველს სრულად, უდანაკარგოდ ჩასწვდეს მწერლის ჩანაფიქრს, სათქმელს და მწერლის მიერ გამოსახული მხატვრული დრო-სივრცის როგორც არსს, ისე მშვენიერებას: თუნდაც, როგორც ბალზაკის „შაგრენის ტყავში“ ან ოსკარ უაილდის „დორინ გრეის პორტრეტში“.

ბუნებრივია, „ნივთების“ ფუნქციას ყურადღება მიაქცია ქართულმა მწერლობამაც. დროთა განმავლობაში იცვლებოდა აქცენტები, თუმცა ყველა ეპოქამ თუ ცალკეულმა შემოქმედმა შექმნა მეტ-ნაკლებად მდიდარი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინდივიდუალური ნიშნებით აღბეჭდილი და ძალზე მნიშვნელოვანი ე. წ. „ნივთიერი ველი“. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებით შედეგიანი XX ს-ის პირველი ნახევრის მწერლობა, მოდერნისტული მხატვრული აზროვნება აღმოჩნდა.

მოდერნისტული ტექსტი თავისი მრავალშრიანობითა და ერთგვარი „მრავალსაფეხურიანობით“ გამოირჩევა. პირველ, საყრდენ სიბრტყეზე გამოსახულ მხატვრულ სახეებში თავისი განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ „ნივთებს“. მათ სხვადასხვა ფუნქცია ენიჭებათ. თუ „ნივთი“ მხოლოდ ანტურაჟის, დეკორაციის შესაქმნელადაა გამოყენებული, მაშინ ის ამ საფეხურზევე რჩება და მხოლოდ დეკორატიული ელემენტის ფუნქციით იფარგლება, მაგრამ მოდერნისტულ ტექსტებში „ნივთებს“ უპირატესად ფართო მხატვრულ-ესთეტიკური და სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებათ. ამ შემთხვევაში „ნივთი“ ინაცვლებს შემდგომ — „ფილოსოფიურ-ანალიტიკურ“ და „იდეურ“ დონეებზე.

შთამბეჭდავი და მრავალპლანიანი სურათი-მოზაიკის ასაგებად მწერალი ხშირად იყენებს „ნივთს“. შესაბამისად, ის იძენს სხვადასხვა ფუნქციას. მოდერნისტულ ტექსტებში „ნივთი“ გვხვდება როგორც დრო-სივრცული სიმბოლო; დროის შინაარსის გამომხატველი, „წინათ“ — „ახლა“ ოპოზიციის ილუსტრაცია; დროთა კავშირის უზრუნველყოფის საშუალება; საკრალური წესრიგის შემქმნელი, სივრცის „შემოკრებისათვის“ აუცილებელი ცენტრი; ხსოვნის, ბიოგრაფიული დროის „ნივთიერი“ გამოხატულება და ფილოსოფიური იდეის ვიზუალური დადასტურება.

კ. გამსახურდიას მოთხრობაში „პორცელანი“ პორცელანის ჩაის სერვიზი — სიმბოლოდ გარდაქმნილი „ნივთი“, საგანი იჭერს „სალონის“ სივრცული მოდელის ცენტრს და მოქმედების მთელი აზრობრივი დატვირთვაც მასზე გადადის. „ნივთი“ სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. ეს არის უძველესი ნაკეთობა, დროში გადაებული ხიდი, სხვადასხვა კულტურის შეხვედრის წერტილი, დროთა კავშირის

შემკვრელი რგოლი. იგი თავისი სინატიფითა და მშვენიერებით ერთვება ომით, სოციალური და სულიერი ძვრებით აბორგებული ადამიანების ცხოვრებაში, რომელთა კუთვნილი ურბანისტული, რაციონალური და ცივი სამყარო თავბრუდამხვევი სისწრაფით მიექანება წინ, მომავლისაკენ. მაგრამ ასეთი იოლი „ჩართვა“ და „შეთვისება“ მოჩვენებითია. „ნივთს“, რომელმაც სიმბოლოს ფუნქცია იტვირთა თავისი შინაარსი აქვს, თავისი გრძნობადი ველი, რომელიც გარს აკრავს და მხატვრული ქსოვილის სიღრმეში ჩამალული იდეის შესბამის განცდას იწვევს. „ნივთი“ შეკუმშული, გამკვრივებული, საგნად ქცეული დრო-სივრცის სახეა, რომელიც ერთვება ნაწარმოების მხატვრული დროის დინებაში და ხელს უწყობს მისი მტრული ბუნების გახსნას, დროის დამანგრეველი ფუნქციის გამოსახვას. პორცელანის მუზეუმის საცავში, სამარხში გამოკეტვას, რაც დროის შეჩერებას, სტატიკაში გადასვლას, საგნის ქვემარტივ დანიშნულების – ესთეტიკური ტკობის მინიჭების საშუალების – მოსპობას გულისხმობს, მწერალი აღიქვამს როგორც ჰარმონიული სამყაროს მსხვრევას, ქვემარტივი სილამაზის დათრგუნვას, ფასეულობათა სისტემის რღვევასა და ჩანაცვლებას. მართლაც რომ „ბერნმა ევროპამ“ გაყიდა რაფინირებული, უნაკლო სილამაზე – პორცელანი და ამით გამოხატა მშვენიერების გაუფასურება-დაკარგვის ამკარა საფრთხე. „პორცელანში“ ეპოქის კვდომის, შინაგანი განხეთქილების, ერთი დროული პლასტის მეორეთი შეცვლის მიიძე სურათი ესთეტიკის თვალთაა დანახული. „ნივთის“ , სერვიზის თვალსაწიერიდან გაქრობით განყდა კიდეც ერთი ძაფი, რომელიც ადამიანებს წარსულთან, სხვა კულტურასთან, მშვენიერებასთან აკავშირებს და საკუთარ თავთან გაუცხოების კედელს გადალახვინებს. ამ შემთხვევაში „ნივთი“ თითქოს მხოლოდ ერთი პატარა წერტილია უზარმაზარ სამყაროში, მაგრამ ეს არის მატერიალიზებული, ხელშესახები მშვენიერება, რომელსაც ხავსივით უნდა მოეჭიდოს ადამიანი, მაგრამ ამასაც ართმევენ და მას სიცარიელე, დამცრობა და გაუფასურება ელის.

ზოგ შემთხვევაში სწორედ „ნივთების“ განლაგება და მდგომარეობა გამოხატავს ნაწარმოებში ასახული დროის დინებას, მიანიშნებს დროთა კავშირის არსებობაზე ან, პირიქით, ხაზს უსვამს დროთა კავშირის რღვევას. ნ. ლორთქიფანიძის „დანგრეულ ბუდეებში“ მწერალი ანმყოს არსს ვიზუალური დეესთეტიზების ხერხით წარმოაჩენს, სამაგიეროდ, იმავე სივრცეზე ალაგ-ალაგ „ამაგრებს“ ნაგლეჯ-ნაგლეჯ შემონახულ წარსულს, რომელიც მართლაც მშვენიერია. ამ ორი საპირისპირო სურათის ერთ ჩარჩოში შეერთებით იქმნება აღწერილი მოვლენებიდან მიღებული გრძნობად-ემოციური შთაბეჭდილების ასახვის და მხატვრულ სახეებში დამაჯერებლად გამოსახვის პირობები.

„დანგრეულ ბუდეებში“ მხოლოდ „ნივთების“ შესაბამისი განლაგებითა და პეიზაჟური ცვლილებების აღწერით შესაძლებელი

გახდა „ნინათ“ — „ახლა“ ოპოზიციის შინაარსის სრულად გადმოცემა, დროის ფუნქციის განსაზღვრა. მწერალი არ ასახავს დროის მსვლელობას, ნაჩვენებია მხოლოდ შედეგი. შედეგებიდან კი ჩანს, რომ დრო ნგრევის წყაროა. და ეს აისახა პეიზაჟზე და „ნივთებზე“, პეიზაჟითა და „ნივთებით“. პეიზაჟი: „კომქსა ჰგავს, მაგრამ იგი გადამწვარი სახლის გადარჩენილი ბუხარია“, „დაღვრემილი თონე“, „თმაგაჩეჩილი ნალია“, „მოპრანჭულსახიან მარანს ლოთივით გული გადაუღვლია“, „მძინარე სანნახელი“, „ნამეხარი ხეები“, სარეველა, ბრონეულის კოკრები და მაცვლის მარცვლები, როგორც ტუჩები და ცრემლები. ეზო, კარ-მიდამო, ნაგებობები სულიერი არსებების თვისებებს იძენენ, იტანჯებიან, ხევდებიან, კვდებიან და ანმყოს თვისობრიობას თავიანთი მდგომარეობით გამოხატავენ.

„ნივთები“: „ამ ოთახში კი ნამდვილი ზღაპრული ამბავი ხდებოდა. ერთმანეთს ჩახუტებოდა ვერცხლის გვირგვინი, ნაზი ხუთფოლაქიანი ქალის საბალო ხელთათმანი, დამტვრეული სკამები, კუბოს ფარჩა, ლამპის შუშა, უძველესი ხელნაწერები, აჭედლილი პატარა კოლოფი, ყანგით შეჭმული უტარ-უქარქაშო ხმალი, რომელზედაც გრძელ ხედწერაში ძლივს გავარჩიე... „გიორგი სააკაძისაგან“ ... სავარძლები, ეტლის ბალიშები, და მათ შორის თიხის ვეებერთელა ქოთანში მაგნოლია“ (ლორთქიფანიძე 1950: 295).

სრული ქაოსია, ისეთივე, როგორც სუფევს იმ სამყაროში, იმ „ანმყოში“, რომელშიც თავი მოიყარეს ამ „ნივთებმა“. მაგრამ ასეთ უსისტემო განლაგებას შინაგანი კანონზომიერება და მიზანდასახულობა აქვს: მისი მეშვეობით უნდა აღიძრას საზოგადოებრივი, სოციალური, პოლიტიკური, ზნეობრივი, მსოფლმხედველობრივი სტრუქტურების მსხვერვის შეგრძნება და ამ პროცესის თანმდევი იმედის, მშვენიერების და ჰარმონიის გაქრობის განცდა. „ნივთების“ მეშვეობით გადმოცემულია ადამიანის საცხოვრისის — ბუდის, მისი კუთვნილი დროისა და შინაგანი სამყაროს წესრიგის ნგრევის ტრაგიკული სურათი.

ნგრევისა და გაპარტახების, ფასეულობათა ცვლილების და განწირულობის შეგრძნების გადმოსაცემად „ნივთების“ იმავე ფუნქციას იყენებს მიხეილ ჯავახიშვილიც „ჯაყოს ხიზნებში“. მართალია, ეს არ არის მოდერნისტული ტექსტი, მაგრამ, როგორც ჩანს, ემპირიულ დრო-სივრცე, რეალობა მთელი ძალით იჭრება მხატვრულ ტექსტში და უკვე თვითონ სთავაზობს მხატვრულ სახეებად გარდასაქმნელ ტიპიურ სურათებს.

„კედელში ჩატანებული მუხის ფართე განჯინები, ისიც ხარატიო ნაკეთები, იარალის ასეთივე საჭურჭლე და სანჩენე სავსეა მყრალი ლოგინით, ჯაგრით და მატლით.

აქა-იქ გაფანტულია ხვეისთავა გვარეულობის განთქმული იარალი: ჯავნები, მუზარადები, პერანგები, საბარკულები და სამკლაურები, ჩაფხუტები და ასნაირი თოფი და მახვილი: ლახვარი ორპირი, ბუნგრძელი, პირპრტყელი და ბუნზომიერი; სათხედები,

ხელშეუბები, გეონები, ხიშტები, ზუფანები, ლიბადაკები, გმიერები. სირმა, სიათა, ყირიმი, ფრანგული, დამსკი, დალესტნური, გორდა და მრავალნაირი ხანჯალი და ხმალი.

ერთი პირმომტვრეული ძველი ხანჯალი და გორდას ხმალი აივანზე ეყარნენ. საცა ფიჩხსა და წნელს გორდა-ხმლით სჭრიდნენ რამდენიმე ძველი ფარი სარქველის მაგივრად ჭურებისთვის და კასრებისთვის დაეხურნათ. ძველი ფრანგული და ყირიმული ხარიხებად გადაეკეთებინათ და ზედ აკიდოები ჩამოეკიდნათ.

სახლში არც ერთი წიგნი აღარ მოიპოვებოდა. თეიმურაზის მამის სურათი, ფერადებით ნახატი და მშვენიერ მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული, ხონჩად არის გამოყენებული. ხატები და უძველესი წიგნების ყდები მწნილების და ყველის ქილებისთვის დაუხურავთ.

სახლის უკან გაშენებული ყვავილნარი, სადაც წინათ იშვიათი ჯიშის ვარდ-ყვავილი იყო მოშენებული, ეხლა სავსეა დიდი ყვითელ-წითელი გოგრებით, მზესუჭვრიტეთი, სიმინდით და ლობიოთი.

წინათ სანახევროდ მიცემული და კარგად ნაპატრონები ვენახი ეხლა ჯავანარად გადაქცეულა, ხეხილი და ვაზი გაფარჩხულა და ლიახვის ჭალას დაჰმსგავსებია“ (ქართული... 2006: 232).

აქაც ერთ სივრცულ მოდელში პარალელურად დაფენილია „წინათ“ და „ეხლა“ („ახლა“). პეიზაჟი და „ნივთების“ განლაგება სრულად გადმოსცემს იმავე ტრაგიკულ ამბავს – ეპოქის რღვევის, ფესვების ამოძრკვის, საკუთარი ბუდის ნგრევის და ადამიანისთვის ამ სამყაროში ადგილის წართმევის, წარსულის სრული გაუფასურების სურათს.

მ. ჯავახიშვილი ამავე ტექსტში ცოტა უფრო ადრეც იყენებს „ნივთების“ — დროის მახასიათებლების ფუნქციას. მის მიერ აღწერილი მაღაზიაში გასაყიდად გამოტანილი „ნივთების“ სურათი აღძრავს ნგრევისა და ქაოსის იმგვარივე შეგრძნებას, როგორც „დანგრეულ ბუდეებშია“ მოცემული. თუმცა ამ შემთხვევაში მწერალი იქვე განმარტავს მიზეზს – ლუკმა პურის არქონას და შეუფარავად გამოხატავს მოვლენის შინაარსსაც – მაღაზიებში საქვეყნოდ გამოფენილ, გასაყიდად გამოტანილ „ნივთებთან“ ერთად იყიდება წარსული, აწმყო და მომავალი, იყიდება ადამიანების ცხოვრება, მათი გრძნობები, ითელება, კნინდება და სამუდამოდ იკარგება ეპოქა, ღირსება, საძირკველი, იმედი და სიცოცხლე.

„რა არ იყო ამ მაღაზიებში საქვეყნოდ გატანილი ერთ ლუკმა პურისთვის! კაბები და საცვალი, ჭურჭელი და სურათები, წიგნები და ალბომები, სამკაული და სათამაშო, ნაქარგი და ნაქსოვი, ნაჩუქარი და სახსოვარი, ცოლ-ქმრობის, დანიშვნის, ჯვრისწერის, და-ძმობის, მამა-შვილობის და მეგობრობის ათასნაირი წვრილმანი, უთვალავი მოგონებით აღსავსე, ნატიფი ნახელოვნები, ინტიმური და ძვირფასი ნივთი.

ყოველ ნივთს — ბეჭედსა და საყურეს, სამაჯურს და კოხტა სარკეს, ვერცხლის სათუთუნეს, ქალის ნაქსოვ ხელის ქისას, ფარჩის

კორსეტსა და ქარვის კრიალოსანს, სპილოს ძვლის სათამაშოს და ბრინჯაოს ქანდაკს, ფაიფურის ვაზას და მოქარგულ ოქრონემსულს, ფერ-უმარილის ჭურჭელსა და ატლასის სათამაშო ქალაღდს, საქორნილო თეთრ კაბას და აბრეშუმის წინდებს – უკლებლივ ყველაფერს ჰქონდა თავისი რომანი და წარსული, სიხარული და დარდი, სიცილი და ცრემლი, ინტიმური ისტორია და უცხო თავგადასავალი. იმედიანი დასაწყისი და სევდიანი დასასრული“ (ქართული... 2006: 210).

სწორედ ეს მიზეზთა მიზეზი: ლუკმა პური და დროის დამანგრეველი ძალა უდევს საფუძვლად ვასილ ბარნოვის მოთხრობას „სადედოფლო სარტყელი“. მხატვრული ქსოვილის ცენტრში მოთავსებული „ნივთის“ — სადედოფლო სარტყელის – ირგვლივ გამკვრივდა და შემოიკრიბა დროც და სამოქმედო სივრცეც. ოღონდ ამ შემთხვევაში მწერალმა კიდევ უფრო სიღრმისეულ შრეს მიაპყრო მხერა და ძირითადი იდეა, მიმე, ტრაგიკული შეგრძნება — „ამაო ამაოებათა“ — „ნივთთან“ დაკავშირებული ორი დროული სეგმენტისა და ლირიკული პლანის მონაცვლეობით გამოხატა.

პირველ შემთხვევაში მთავარი გმირი გოგია ახალგაზრდაა, გარემო მშვენიერი, ბრწყინვალე, ბედნიერი. ქორნილში პირველად გამოჩნდა სადედოფლო სარტყელი, როგორც ნათელი, იმედიანი, უღრუბლო სამყაროს ნივთიერი გამოხატულება.

ლირიკულ გადახვევაში მწერალმა წარმოაჩინა მოთხრობის აზრობრივი დასაყრდენი: „ნახე წალკოტში ზამთრის სუსხით დანაზნრობი ყვავილთა ჯგუფი, აგკტივა გული: აღარ დამრჩალა არც ნასახი მათ სიტურფისა. აგერ გამხმარა, მტვრად ქცეულა ტურფა, ამაყი; ახა ჩამპალა ეს სურნელი ბილილა ნაზი.

ამაო ამაოებათა! მაგრამ...“ (ბარნოვი 1962: 122).

მეორე დროულ სეგმენტში უკვე დაბერებული, ცეცხლდაშრეტილი გოგია მალაზიაში ლუკმა პურისთვის გასაყიდად გამოტანილ ნივთებში დაინახეს სადედოფლო სარტყელს. ბედნიერი სამყარო, რომელსაც თავის თავში ინახავდა სარტყელი, დაიმსხვრა, დახურდავდა და მალაზიაში უმწეოდ გამოიფინა, გასადიდად. ამ შემთხვევაში სარტყელის „ბედმა“, „ნივთმა“ წარმოაჩინა არა მხოლოდ ერთი ეპოქის ტრაგედია, არამედ ზოგადად ადამიანური ყოფის, დროის დინების ტრაგიზმი — „ამაო ამაოებათა!“.

მწერალმა გამოიყენა „ნივთების“ თითქმის ყველა ფუნქცია, „სადედოფლო სარტყელი თავის თავში ინახავს გარდასულ დროს, ხსოვნას. მალაზიის ვიტრინებში ქაოტურად განლაგებული „ნივთების“ მეშვეობით აღიძვრის დანგრეული ეპოქის შეგრძნება: „ყველანაირი ნივთები ელაგა ფართო ფანჯრებში“, ძველისძველი სიმდიდრე საოჯახო: მოოჭვილი ხმალი, ვერცხლის ჩარჩოიანი სარკე, ვინ იცის, რამდენი სახე იყო მის მინახედ აღბეჭდილი? შეჭედილი დამბარა ტალიანი, შირმაიით მორთული სავარძელი, ბაჯალლოს ფარცული, მუზარადი, რალაცა წარწერით, ხმლის პირი რომ ეტყობოდა შუბლზედ,

ისართან... ვინ მოსთვლის? (ბარნოვი 1962: 124). „ნივთების“ გაყიდვის მიზეზის განმარტებამ გასაგები გახადა ეპოქის შინაარსი: „იცი შენ, რა ღვარამაც გამოიტანა ეს მიძიმედ დაცული სიმდიდრე სალაროებიდან და დუქანში გამორიყა? ისეთი ძალა მოიპოვა მჭადმა, ველარაფერი გაუმაგრდა მას. ცხრაკლიტული რკინის კარებები ჩაღწა მისმა ძლიერებამ. ნამოაცარიელა ურყეველი საუნჯეები“ (ბარნოვი 1962: 122). საბოლოოდ კი ამ საფუძველზე გამოიკვეთა სიღრმისეული, მოდერნისტული მსოფლმხედველობისთვის ნიშნეული დასკვნა: „ამაო ამოებათა!“

როგორი ბედიც არ უნდა ერგოთ „ნივთებს“ მხატვრულ ქსოვილში, ისინი თითქმის ყოველთვის ინარჩუნებენ ერთ-ერთ უმთავრეს, ხსოვნის შემნახავის, დროთა კავშირის შემკვრელის ფუნქციას. ვ. ბარნოვის მოთხრობაში „ძვირფასი თვალი“ „ნივთმა“ — საგვარეულო განძმა — ძვირფასმა თვალმა — ერთმანეთს დაუკავშირა წარსული, აწმყო და მომავალი. იგი თავის თავში ინახავს გვარის ღირსებას, ტრადიციას, გარდასულის ხსოვნას და მისი მფარველობის ძალით იკვეთება საიმედო მომავალი (ანალოგიურ როლს ასრულებს მოდელი „მინა-მამული“ ნ. ლორთქიფანიძის „დანგრეულ ბუდეებში“). ძვირფასი თვალი, როგორც წინაპართა სულიერი მონაპოვრის ნივთიერი გამოხატულება, აწმყოში გადარჩენილი და დაცული, საფუძველს უყრის მომავალს.

უსახური აწმყოდან ნათელი, ბედნიერი წარსულისაკენ გადებულ ხიდად წარმოსდგნენ „ნივთები“ ნ. ლორთქიფანიძის მინიატურებში „ბიუსტი“ და „ალბუმი“. ბიუსტმა შემოინახა წერილი-ხსოვნა და „ახლა“, დანგრეულ აწმყოში, უცებ გაცოცხლდა და აელვარდა გარდასული დღეების სამყარო.

ლუო ქიაჩელის მოთხრობაში „თავადის ქალი მათა“ „ნივთები“ ბიოგრაფიულ დროს, ხსოვნას, გარდასულ მოვლენებს ინახავენ. მათას თითოეული სამკაული მისი ცხოვრების ერთი თავია და ერთად მთელ სიცოცხლეს მოიცავენ.

„აი, ეს ბეჭდები შემრჩა მხოლოდ და ეს სამაჯური! მათ თვალეებში ჩემი ბედის ყველა საფეხურია აღბეჭდილი და სიცოცხლე და სიკვდილი იმდენი ვაჟკაცის, რამდენიც ხელზე ბეჭედი მაქვს და სამაჯური“ (ქიაჩელი 1985: 276).

მათა, რომელიც მიდის ზღვასთან, რათა მის ტალღებში პოვოს აღსასრული, სათითოდ იხსნის ამ „ნივთებს“. ყოველ მათგანს თავისი ამბავი აქვს, მათ ირგვლივ განფენილია წარმოსახვითი ველი, რომელშიც მუდმივად არსებობს გარდასული მოვლენები და გრძნობები. თავადის ქალი მათა ნელ-ნელა ატანს ზღვას თავის სამკაულებს, თავის ხსოვნას, თავის ცოდვებს, სიყვარულს, სიძულვილს... მთელ სიცოცხლეს. ყოვლის გამწმენდ წყალში დაინთქა „ნივთებში“ შენახული მთელი ცხოვრება და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო ზღვამ და სიკვდილმა დაშრეტილი, სასომინდილი ქალის სხეული.

წარსულს, გარდასულ დღეებს ინახავენ და აცოცხლებენ „ნივთები“ თინოს ბებიასთვის (ნ. ლორთქიფანიძე, „შელოცვა რადიოთი“). ამ შემთხვევაში შემორჩენილი უბრალო „ნივთები“ ანმყოთი შეძრულ, თითქმის განადგურებულ ქალს საშუალებას აძლევენ იპოვოს შვება, ცოტა ხნით მაინც დაუბრუნდეს ბედნიერ წარსულს, ხსოვნის მეშვეობით ალიდგინოს სულიერი სიმშვიდე.

გარემოს, მოქმედების, მოვლენის არსის გადმოცემისას და ესთეტიზებულად გამოსახვის პროცესში მოდერნისტულ ტექსტში სახეობრივი სისტემა იშლება და სამ თანმიმდევრულ დონეზე ლაგდება: 1) სამოქმედო სივრცე; 2) „ნივთები“ — ყველა ფუნქციით; 3) ადამიანი, რომლის მდგომარეობა, ბედისწერა, ქმედების მოტივაცია და პიროვნული ნიშან-თვისებები განისაზღვრება და შემდეგ თვალსაჩინო ხდება „ნივთებთან“ მიმართებით, მათი მეშვეობით. როცა სამივე დონე გააქტიურებულია, სათქმელის ზუსტად, ხატოვნად და ლაკონურად გამონახვისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემო იქმნება. ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურაში „ინგლისელი“ მოქმედება შემოსაზღვრულ სივრცეში — „ყავახანა“ და უკიდურესად დაკუმშულ დროში ხდება, მაგრამ მოიცავს ადამიანების მთელ სიცოცხლეს. რამდენიმე წუთში ინგლისელი ეზიარება უდიდეს სიყვარულს და უპასუხო გრძნობის გამო კვდება. ასევე რამდენიმე წუთში, „ყავახანიდან“ გაუსვლელად, აღმოაჩენს ქმარი, რომ მისი უმშვენიერესი ცოლი უსულგულო, უგრძნობი არსება ყოფილა და სამუდამოდ შორდება. ამ უკიდურესად დაკუმშული მხატვრული დრო-სივრცის ცენტრში მოთავსებულია „ნივთი“ — ბეჭედი, რომელმაც შემოკრიბა მხატვრული ქსოვილი და ხელი შეუწყო სათქმელის სრულად გამოხატვას. ბეჭდის საშუალებით გამოთქვა ინგლისელმა თავისი გრძნობა, „ნივთთან“ — ბეჭედთან მიმართებაში გამოჩნდა ქალის ჭეშმარიტი სახე. სწორედ „ნივთის“ აქტიურმა ფუნქციონირებამ მისცა საშუალება მწერალს უკიდურესად მოზღუდულ სამოქმედო სივრცეში მოქცეული მასშტაბური მოვლენა მწირი გამომსახველობივი საშუალებებით სრულად გამოეხატა. მთელი ცხოვრება „ნამიერ“ შთაბეჭდილებებში „ჩაეცია“ და ამასთან სრული მხატვრული დამაჯერებლობა მიენიჭებინა ამბისა და ხასიათებისათვის. სამივე დონეა გააქტიურებული მ. ჯავახიშვილის გივი შადურის ციკლის ერთ-ერთ მოთხრობაში „წითელი ლილი“. თუმცა მწერალმა გააფართოვა სამოქმედო სივრცეც, ორ დამოუკიდებელ ნაწილად გაყო და ასევე ორ დროულ სეგმენტში მოაქცია ტრაგიკული მოვლენები, ადამიანების მთელი ცხოვრება, გრძნობები, სიკვდილი. წარსულს და აწმყოს ერთმანეთთან სწორედ პანანინა ხიდი — „ნივთი“ — წითელი ლილი აკავშირებს, რომელიც ინახავს საიდუმლოს და მოვლენების გასაღებსაც. ის სასაფლაოს სევდიან სივრცეში აელვარდა როგორც გარდასულის, ვნების, ცოდვის პატარა წითელი ნაპერწკალი. ამ შემთხვევაში „ნივთის“ სიმბოლურ მნიშვნელობას აღრმავენ წითელი ფერი, რომელსაც თავისი

ტრადიციული დატვირთვა აქვს. ასევე ნაწარმოების კონცეფციას გამოხატავს შავი ხავერდის კაბა მ. ჯავახიშვილის მოთხრობაში „შავი კაბა“. ადამიანის ტანჯვას, სიკვდილის გარდუვალობის, უნუგემო სევდის გამოხატველი საგნის – კაბის მნიშვნელობის გამოსაკვეთად შავ ფერთან ერთად ფაქტურაცაა მოხმობილი, ხავერდი შთანთქავს სინათლეს. შავი ხავერდის კაბა გამოხატავს ადამიანის გამოუვალ მდგომარეობას, რომელშიც იმედის პატარა სხივიც კი არსად ჩანს.

საერთოდ მხატვრულ ტექსტში „ნივთები“, საგნები ხშირად იძენენ ფერით ფუნქციას. შესაძლოა მათი ფერები არც გამოხატავდეს რაიმე სიმბოლურ დატვირთვას და დასახელებულიც კი არ იყოს. მაგრამ ნაწარმოების სამოქმედო სივრცეში განლაგებული საგნებიდან, „ნივთებიდან“ აღძრული ფერითი ასოციაციები ქმნიან სამოქმედო გარემოს ფერწერულობის, ფერადოვნების შეგრძნებას. შესაძლებელია საგნის, „ნივთის“ მეშვეობით ფერის კონსტრუირება, კომპოზიციაში მოქცევაც, რასაც ყველაზე ხშირად კ. გამსახურდია იყენებს. საპირისპიროდ სრულიად კონკრეტულ, დასახელებულ და თანაც ძირეულ ფერებს ანიჭებს „ნივთებს“ ლეო ქიაჩელი მოთხრობაში „Escalade“. ამ შემთხვევაში წითელ-ყვითელი მოსასხამი და შავი ნილაბი არ შეიცავს „ნივთის“ არც ერთ ფუნქციას: ისინი არც დროთა კავშირს გამოხატავენ, არც დროის შინაარსს, არც მოვლენათა მსვლელობას განაპირობებენ და არც პიროვნების ფსიქოლოგიური მახასიათებლის როლში გამოდიან. „ნივთები“ — მოსასხამი და ნილაბი – კარნავალის ტრადიციული ატრიბუტები – მწერალს მოდერნისტული აზროვნების საყრდენი ფილოსოფიური იდეის – სამყაროს ილუზორულობის, რეალობის შეცნობის შეუძლებლობის – გამოსახატავად სჭირდება. „ყოველი სინამდვილე წარმოდგენაა და ყოველი წარმოდგენა სინამდვილე“ (ქიაჩელი 1984: 340) ამ დებულების დადასტურება მოთხრობაში მოსასხამის და ნილაბის მეშვეობით ხდება, როცა ხეზე ჩამოკიდებული „ნივთები“ ადამიანებს ცოცხალი ქალი ჰგონით და ქალი კი ამ დროს მათთან ერთად დგას და მწარე სარკაზმით შესცქერის ადამიანების უმწეობას შეიცნონ არსებობის ქვეშაირიტება: „როგორ მოგნონ ჩემი იდეა? არ გაგონებს განა ეს სურათი თვით კაცობრიობას, მის ბრძოლას, მის ცხოვრებას? რა კარგია: განა ასე ტყუილად არ იბრძვის კაცობრიობა? განა ასე თავდავიწყებით არ ეპოტინება რაღაც იდეალს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისეთივე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ნილაბი და წითელ-ყვითელიანი მოსასხამი?“ (ქიაჩელი 1984: 342). „ნივთებმა“ გამოხატეს ზმანებისა და ცხადის უხილავ ზღვარზე გაშლილი მოდერნისტული სამყაროს ტრაგიკული არსი: „თვალი გვატყუებს, მიაკუთვნებს რა მზის თვისებას ყვავილს, რომელსაც ჩვენ ვუმზერთ; ყური გვატყუებს, მიიჩნევს რა ჰაერის რხევას მონკრიალე ზარის თვისებად. მთელი ჩვენი ცხოვრება გვატყუებს...“ (ბრიუსოვი 1973: 92).

ზმანებისა და ცხადის, რეალურის და ირეალურის ურთიერთმიმართების გამოსახატავად იყენებს „ნივთებს“ –

ხელოვნურ ყვავილებს – ვ. ბარნოვი მოთხრობაში „ყვავილები“. ამ შემთხვევაში ხელოვნური ყვავილები „ნივთის“ დამახასიათებელ მრავალ ფუნქციას იძენს. მათი მეშვეობით მწერალი მხატვრულ ქსოვილში გამოსახავს სამყაროს ილუზორულობის შეგრძნებას და მისთვის ძალიან მნიშვნელოვან მეტემფსიქოზის იდესაც, რომელიც სათავეს პლატონის ფილოსოფიაში იღებს. მახინჯი, კუზიანი ბაბუცა სრულიად უცხო, მარტოსული და უბედურია, სიცოცხლე აზრს და ფერს კარგავს მისთვის. მაგრამ თანდათანობით ის იწყებს სხვა, წინარე ცხოვრების გახსენებას, რომელშიც ულამაზესი იყო. იმ მიღმურ სამყაროში ჩადენილი ცოდვისთვის, სიყვარულის უარყოფისთვის დაისაჯა და ანმყოში მახინჯი სხეული შეისხა. იგი ცდილობს გაიხსენოს ის მშვენიერი გარემო, რომელშიც ბედნიერი, სრულყოფილი იყო, სადაც მშვენიერი ყვავილები ერტყა გარს. ზმანებისმიერთან დამაკავშირებელ ხილად იქცნენ „ნივთები“ — ხელოვნური ყვავილები, რომლთაც ბაბუცა საკუთარი ხელით ქმნის. მწერალმა გამოსახა შემოქმედების მეშვეობით ადამიანის გადარჩენის, შვების ძიებისა და პოვნის სურათი, წარმოსახვით, ილუზორულ სამყაროში „გაქცეული“ ადამიანის სულის მოძრაობა. „ნივთებმა“ — ხელოვნურმა ყვავილებმა შეიძინეს ხსოვნის ფუნქცია, ოღონდ ეს არის ბაბუცას წინარე ცხოვრების ხსოვნა. ისინი ასრულებენ დროთა კავშირის შემკვრელის ფუნქციასაც, მაგრამ ეს არა რეალური წარსულის, არამედ იდუმალი, ამოუცნობი, ილუზორული მეტაფიზიკური სამყაროსა და რეალურის კავშირია. მართალია, ყვავილებმა ფერები შემატეს ბაბუცას მოქუფრულ, ნაცრისფერ ცხოვრებას, მაგრამ ისინი ხელოვნურია, მასასადამე, მათი ფერადოვნებაც და სურნელიც მოჩვენებითი, ყალბია. ნამდვილი ყვავილები კი იქ, იმ წინარე ცხოვრებაში დარჩა, იქ ყვავიან, იქ აფრქვევენ სურნელს. ხილულ, რეალურ ანმყოში ყველაფერი ყალბია — ბაბუცას სხეულიც და ყვავილებიც, ზმანებისმიერ, ირეალურ სამყაროში კი იმალება ჭეშმარიტება. მხატვრული ქსოვილის სხვა ელემენტებთან ერთად „ნივთებიც“, ხელოვნური ყვავილებიც – გამოკვეთს იდეს, რომ რეალობა მხოლოდ მიღმურის არასრული ანარეკლია.

მოდერნისტულმა მწერლობამ მართლაც რომ სრულად და მრავალმხრივ გამოიყენა „ნივთის“ მხატვრული შესაძლებლობები, მაგრამ შემოქმედების შედეგის შეცნობა ძალზე რთული პროცესია და მისი „მიზმა“ „ნივთთან“ ან მხატვრული ქსოვილის რომელიმე სხვა ელემენტთან გადაჭარბება იქნებოდა. „ნივთი“ მხოლოდ ერთ-ერთი ძაფია მრავალთავან, რომლებიც მიემართებიან შემოქმედის წარმოსახვაში წარმოქმნილი სამყაროს სიღრმისკენ. ეს სამყარო კი ბევრად უფრო რთულადაა მოწყობილი, ვიდრე ერთი შეხედვით ან თუნდაც ხანგრძლივი განჭვრეტით ჩანს. ასე რომ, „როდესაც ხელოვნება ესთეტიკური ინტუიციის ძალით გვიშლის სურათს, რომლის ხილვა სილოგიზმისა და ლოგიკის საშუალებით არ

ძალგვიძს, უნდა დავსტკბეთ ამ სურათით და ვლოცავდეთ იმ შემოქმედებით ნიჭს, რომლის წყალობით უხილავი ხდება ჩვენთვის ხილულად და შეუძლებელი შესაძლებლად“ (ჯორჯაძე 1989: 47).

დამონმებანი:

ბარნოვი 1962: ბარნოვი ვ. თხზულებათა სრული კრებული. ტ. VI. თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1962.

ბრიუსოვი 1973: Брюсов В. Вопросы поэтики. Т. VII. М.: 1973.

ლორთქიფანიძე 1950: ლორთქიფანიძე ნ. რჩეული თხზულებანი. ტ. I. თბ.: გამომცემლობა „მერანი“, 1950.

ქართული... 2006: ქართული ლიტერატურა (XX ს.). ქრესტომათია. თბ.: გამომცემლობა „განათლება“, 2006.

ქიაჩელი 1984: ქიაჩელი ლ. თხზულებანი. ტ. I. თბ.: გამომცემლობა „განათლება“, 1984.

ქიაჩელი 1985: ქიაჩელი ლ. თხზულებანი ოთხ ტომად. თბ.: გამომცემლობა „მერანი“, 1985.

ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე ა. ნერილები. თბ.: გამომცემლობა „მერანი“, 1989.

И.И. МОДЕБАДЗЕ

Тбилиси, Грузия

Символика ущелья/пути/ в кавказском тексте русского романтизма

Существующий в русской литературе уже более двух веков кавказский текст представляет собой обширный и значимый пласт. Именно в недрах этого художественного пласта закладывались и претерпевали дальнейшую трансформацию основы стереотипов восприятия Кавказа и кавказцев русским культурным сознанием. «Перед нами развернутая во времени, начиная с похвальных од М. Ломоносова («На день восшествия на престол императрицы Елисаветы Петровны, 1748») и Г. Державина («На покорение Дербента», «На возвращение из Персии чрез Кавказские горы графа В.А. Зубова, 1797»), разновекторная по языку описания, по смысловой и эмоциональной насыщенности определенная дискурсивная практика, которая меньше всего предполагает традиционно-описательную характеристику «кавказской темы». *Речь может идти о реконструкции полноты и преемственности культурных смыслов, инициированных художественным открытием Кавказа, и, следовательно, о таком их эстетическом равноправии, когда не остается в тени реальная неоднозначность эстетической рецепции Кавказа** – ведь помимо лермонтовского Кавказа («я всюду твой») был и другой, воспринятый в непреодолимой чуждости, если вспомнить сонет бывшего коменданта Кизляра, полковника П. Катенина «Кавказские горы»: «Цепь пресловутая воспетого Кавказа, / Непроходимая, безлюдная страна, / Притон разбойников, поэзии зараза! / Без пользы, без красоты, с каких ты пор славна?» (Султанов 2008).

Основой кавказского текста является понятие «Кавказ». Сохранив всю неоднозначность рецепции Кавказа, со временем оно стало выступать и в роли некоего *культурного концепта* - составной части концептосферы русского языка (см.: Лихачев 1993). Это ментальное образование высшей степени абстрактности, выражающее «коллективное знание/сознание» (см.: Воркачев 2003: 268-276), давно уже стало неотъемлемой частью русского культурного кода. По мнению Ю.М.Лотмана, «область культуры – всегда область символизма» (Лотман 1998:7). Природа процесса формирования культурного кода (механизма передачи полученного культурного опыта) также носит символичный характер. Соответственно и «Кавказ» - понятие скорее символьное, чем просто обобщенное, границы его достаточно пластичны, а наполнение зависит от того, *кто, когда и в каком контексте* его использует. Из всего этого обширного, во многом

* Здесь и в дальнейшем выделения курсивом в приводимых цитатах наши – И.М.

противоречивого понятия нас интересует тот его пласт, который касается непосредственно Грузии и который традиционно принято рассматривать в общем контексте понятия «Кавказ». Так знаменитое стихотворение А.С.Пушкина «Кавказ», 1829г. описывает открывшуюся взору поэта панораму грузинской земли уже после того, как он пересек Крестовый перевал (см.: Шадури 1958:420).

Исток процесса символического наполнения понятия «Кавказ» следует искать в начале XIX века, когда с расширением южных границ Российской империи началось активное познание и художественное осмысление новых «южных территорий», включая все, что было связано с территориями, прилегающими к Кавказскому хребту. Дифференциация «Северный Кавказ/Закавказье», а затем «Северный Кавказ/Южный Кавказ» происходит намного позднее. Путь на юг проходил «от Моздока до Тифлиса» по тщательно охраняемой Военно-грузинской дороге через Владикавказ, Ларс, Дарьял, Казбеги и Крестовый перевал. А затем спуск по предгорьям в долины Грузии и далее... Поэтому в нашей работе, посвященной анализу романтической картины мироустройства в кавказской пейзажной лирике, географические границы понятия «Кавказ» условно сужены: им обозначена собственно Грузия и подступы к ней (в частности, Дарьяльское ущелье).

Сложный процесс формирования художественной традиции осмысления темы Кавказа в русской литературе XIX в. во всей её многозначности принято связывать с именем А.С.Пушкина. Однако «первооткрывателями» Кавказа, заложившими основы начального этапа формирования кавказского текста, были, несомненно, поэты-романтики первой половины XIXв. Именно по их произведениям русский читатель получил первое яркое впечатление об этом новом, ранее неизвестном крае. «Исследование явлений культуры – это интерпретация смысла определенного взгляда на мир» (Воскресенская 2005:27). Даже мельчайшие детали восприятия и художественного осмысления Кавказа русским романтическим сознанием обретают особую значимость для исследования специфики начального этапа формирования кавказского текста, который должен быть осмыслен как часть целостного явления культуры – романтизма, включающего в себя как эстетические, так и идейно-философские и социально-политические аспекты, реализованные в особом типе *миропонимания*. Еще в 1919 г. А.Блок утверждал, что «подлинный романтизм не есть только литературное течение. Он стремился стать и стал на мгновение новой формой чувствования, новым способом переживания жизни» (Блок 1963:363-364). Аналогичного мнения придерживался и В.М.Жирмунский¹.

Романтизм – это сложнейшая идейно-эстетическая система, в художественном плане выразившаяся прежде всего в особом типе *мирочувствования* и репрезентации особого типа *мифосознания*. И в этом смысле романтические тенденции в русской литературе проявляют себя в

едином русле художественно-эстетических исканий европейского романтизма. «Романтическая эпоха привнесла в духовную жизнь Запада понимание того, что «логос» не может полностью вытеснить «миф» из сознания – индивидуального, общественного ли, ибо, как утверждал А.Ф.Лосев «миф не есть выдумка, или фикция, не есть фантастический вымысел, но – логически, то есть прежде всегда диалектически, необходимая категория сознания и бытия вообще» (Воскресенская 2005:33). Она характеризуется попытками возрождения опыта мифопоэтических моделей мира. Романтическому миропониманию свойственно стремление к целостному гармоничному мировосприятию, к восстановлению утраченной духовной связи с Универсумом. Однако, «допущение неустранимой оппозиции двух миров – реального (внешнего) и идеального (внутреннего) – резко отличало романтическое сознание от архаического: если древний человек ощущал свою нераздельность с сущим Универсумом, то романтик выстраивал новый, уникальный Универсум своей собственной внутренней жизни. Романтическое двоемирие – это не бинарная оппозиция, характерная для архаического сознания, а дуализм мировосприятия» (Воскресенская 2005:156).

В романтическую эпоху активно проявляется склонность к символизирующему типу мышления и авторскому мифотворчеству, дающему возможность самовыражения как на рассудочном, так и на чувственно-эмоциональном уровнях (для Шлегеля поэтическое творчество есть «вечное символизирование»). «Предметный образ и глубинный смысл выступают в структуре символа как два полюса, невысказанные один без другого (ибо смысл теряет вне образа свою явленность, а образ вне смысла рассыпается на свои компоненты), но и разведенные между собой и порождающие между собой напряжение, в котором и состоит сущность символа» (Аверинцев 2001:155-161), а «логика мифа оказывается гораздо ближе к Абсолютной истине, чем логика науки» (см.: Косарев 2000:273). Однако, в романтическом мифотворчестве изначально заложена также и возможность демифологизации создаваемого им мифа, обусловленная как диалектикой мифологизированного сознания, так и дуализмом романтического мироощущения, поскольку «расчлененность на как бы существующие самостоятельно компоненты неизбежно означает утрату общего смысла, знания сущности, универсальности как таковой, что влечет рациональный и психический дискомфорт, выражающийся в субъективной утрате своей причастности к некоему высшему началу» (Полосин 1999:62).

Два типа мироощущения – мифопоэтическое переживание действительности (чувственное, образное мироощущение) и рационалистическая модель взаимодействия с действительностью – большинство культурологов условно дифференцируют как «Запад» и «Восток» (см.: Воскресенская 2005:32). В своих работах мы неоднократно упоминали о том, что на сенсорном уровне восприятия Кавказ стал

востоком русских романтиков, то есть местом, где интуитивные прозрения законов мироздания становятся поэтической реальностью. И именно в творчестве романтиков было заложено начало двум разновекторным процессам - как процессу мифологизации, так и демифологизации ими же идеализированного Кавказа.

В некоторых работах (см.: Модебадзе...2005:177-193; Модебадзе 2006:172-180) мы доказали, что у поэтов-романтиков личная встреча с Кавказом и его природой оставляла ощущение соприкосновения с чем-то древним, не затронутым уровнем современной цивилизации. «Дикость» (первозданность) кавказской природы во многом определила систему образов и символизм их пейзажной лирики. Перед нами предстают особые художественные ценности; Кавказский хребет представляется естественной границей между привычным, современным миром и «девственным», т.е. близким к первообразу, творением Всевышнего. Символом этой границы стал Казбек. В романтическом мироощущении этот «Гигант, разрезав льдом обзор» (В.Кюхельбекер. «Сирота»,1833)*, как бы разделяет надвое мир, в котором Кавказ противопоставляется цивилизации. В то же время, созданный В.Кюхельбекером образ первозданного, неподвластного времени Казбека, органично вписывающегося «в девственную лазурь» небес («Юрий и Ксения»,1832-1833 и «Сирота»,1833), так же, как и лермонтовская «скала, родная облакам» («Демон»,1841), выступают художественным воплощением мифологемы *первозданного единения Земли и Небес*. (Аналогичная ассоциация и у А.С.Пушкина: «Престолы вечные снегов,/Очам казались их вершины/Недвижной цепью облаков» - «Кавказский пленник», 1822).

Проведенный нами анализ выявил, что романтический идеал, основными составляющими которого является неудовлетворенность существующим миропорядком и неудержимое стремление к вселенской гармонии, явно выражен и на уровне глубинной символики строения мира (связей, существующих между стихиями-первозлементами). В личностной вселенной русских романтиков Вода, Земля и Воздух находятся в жесткой оппозиции по отношению друг к другу, что в романтической картине мира соответствует царящей в земном мире дисгармонии. Исключение составляет инвариант Земли - «долины», являющийся идеализированным условным образом-моделью «божьего сада» Эдема, и Огонь-Свет, понимаемый как «стихия духа» (Модебадзе 2007а:69-71).

Мифологизируя, русское романтическое мышление создает идеализированный образ долин Грузии, соотносимый с архетипом первозданного Эдемского «*божьего сада*» («Мцыри»,1840), т.е. Рая. Райское блаженство для всех народов и во все времена ассоциировалось с безопасной, беззаботной, сытой, наполненной радостью и эстетическими

* Здесь и в дальнейшем цитаты художественных произведений приводятся по изданию (Русские...1948).

наслаждениями райской жизнью. Она представлялась как вечное пребывание в Райском саду - открытом теплу и свету, но изолированном от потока физического времени и надежно защищенном от враждебного, полного опасностей мира. Как известно, в Райском саду нет места ни ядовитым растениям, ни зловонию, ни хищным и опасным жизненным формам - нет места уродству. Одним словом, это модель идеальной, благоприятной для Жизни вселенной.

Именно такими предстают *«веселые долины»* Грузии, те самые, «на берегах волшебных Кира», т.е. Куры/Мтквари (В.Кюхельбекер, 1822), *«ковром раскинувшиеся»*, *«роскошной Грузии долины»* (М.Ю.Лермонтов «Демон», 1841), *«где веет нега и прохлада»* (А.Грибоедов «Там, где вьется Алазань»). Сказочно прекрасные, как Райский сад, долины Грузии – «сладкий дол» (В.Кюхельбекер. «А.С.Грибоедову при отсылке ему моих аргивян», 1823), - воспринимаются как не искаженная вмешательством человека и сохранившая первозданную красоту творенья *Всевышнего* райская земля: «Ты знаком ли с той страной, // Где земля не знает плуга, // Вечно юная блестит // пышно яркими цветами // И садителя дарит // Золотистыми плодами?...» (А.С.Грибоедов. «Там, где вьется Алазань»). Именно там русские поэты-романтики «Всю творенья красоту // в пышной обрели Картвеле» (А.С.Грибоедов. «Кальянчи»). Оградой этому Эдему служит Кавказский хребет. И именно туда, в эти *«веселые долины»* «нисходит» к своему творенью пушкинский «пастырь» (А.С.Пушкин «Кавказ»).

Единственный путь в этот Эдем из России пролегал по Военно-грузинской дороге, и русские путешественники, добравшиеся к нам верхом или «обозом», прежде чем спуститься в долины Грузии, неизбежно должны были проехать через Дарьяльское ущелье и Крестовый перевал. Поэтому сам путь в эти идеализированные «райские долины» также не мог не подвергнуться поэтической мифологизации. И подтверждение такому допущению легко прочитывается в тексте кавказской пейзажной лирики.

Дорога пролегла по дну *ущелья* через «ад» горных вершин Кавказского хребта, на что совершенно недвусмысленно указывает В.Кюхельбекер: «Там, где в Эдем, чрез ужас ада // Арагу катит Кашаур// В палящий полдень скачет тур» (В.Кюхельбекер, 1822-1823). Визуализацией *Преисподней/ада* становится образ *темного* (в противоположность *Светлым Небесам*) *Ущелья*, где «Терек играет в свирепом весельи» и где «нищий наездник таится» (А.С.Пушкин, «Кавказ», 1829). И оно уже ассоциируется с таящимся во тьме Злом – антиподом Бога-творца (и даже *нищий* в таком контексте обретает символическое значение категории нравственной). Образ *ущелья* как антитезы Небес встречается и в «Монастыре на Казбеке» А.С. Пушкина («Туда б, сказав прости ущелью, // Подняться к вольной вышине! // Туда, в заоблачную келью, // в соседство бога скрыться мне!..» - аллюзия на оппозицию *Преисподняя - Рай*).

Такому осмыслению *ущелья* способствует и персонификация образа Терека: «Терек злой» (А.С.Пушкин, «Обвал», 1829) предстает аллюзией на Падшего Ангела и разыгравшуюся в Вечности драму (обреченный пребывать в заключении, во тьме ущелья/ада, рвущийся на свободу, *Терек* – прямая проекция величайшего бунтаря во Вселенной – Люцифера). Эта картина еще раз подчеркивает близость к «началу начал» и первозданность *дикой (естественной)* природы, возвращает читателя к моменту Сотворения мира. В образном осмыслении оппозиция *веселые долины* ↔ *мрачные теснины* обретает четкую ассоциацию с оппозицией *Рай/Эдем* ↔ *Преисподняя/ад*. Последняя соотносима с оппозицией *воля/свобода* ↔ *теснины/неволя/тюрьма*.

Следует отметить, что ассоциация горных ущелий (теснин) с неволей далеко не случайна, более того, эта рожденная пушкинским гением и развитая М.Лермонтовым поэтическая метафора – понятный каждому русскому человеку продукт русского культурного сознания. Основания для подобного утверждения мы находим в «Заметках о русском» Д. С. Лихачева, отмечавшем, что в русской ментальности «понятие тоски <...> соединено с понятием тесноты, лишением человека пространства. Притеснять человека - это прежде всего лишать его пространства, теснить». Он особо подчеркивает, что поскольку «воля вольная - это свобода, соединенная с простором, с ничем не прегражденным пространством», то «издана русская культура считала волю и простор величайшим эстетическим и этическим благом для человека» (Лихачев 1987:418-494). Таким образом, символика *ущелья* в кавказкой лирике русских романтиков органически связана с романтической картиной мироустройства и символизмом образов природных стихий (Модебадзе 2007б:268-273). В связи с этим считаем возможным еще раз вернуться к уже цитированным выше строкам Кюхельбекера: «В Эдем, чрез ужас ада Арагву катит *Кайшаур*». Как видим, расположенное высоко в горах Кавказского хребта Кайшаурское ущелье, где исток реки Арагви, также порождает ассоциацию *ущелье/путь*. Только пройдя *ущельем*, пройдя «сквозь ужас ада», преодолев узкий, извилистый горный *путь*, кюхельбекерская «Арагва»* попадает в райские долины, привольно раскинувшиеся «на берегах волшебных Кира». Так в художественном пространстве романтизированного Кавказа/Грузии происходит «слияние» мятежной горной реки с мирными, спокойными, «долинными» водами. Прежде «ропшущий между скал Кур» (В.Кюхельбекер, «Сирота», 1833), пройдя

* Напомним, что в общей картине романтического мироустройства, репрезентированного в кавказской пейзажной лирике, быстрые горные реки как инварианты стихии Воды ассоциируются с движением, борьбой как движущей жизненной силой, утверждая примат «неукротимого» динамического начала над статическим (подробнее см.: Модебадзе 2007а).

аналогичный путь, теперь уже спокойно несет свои воды по долинам Грузии. Иными словами, в романтической картине мироустройства объединяются две знаково-символьные ипостаси речной стихии (Воды): горная (бурная, у Кюхельбекера - «кипящая») и долинная (спокойная). Но для «Арагвы» подобное слияние становится возможным лишь после того, как она проходит *путь ущелья*, который уже преодолел и «Кур». Ведь Рай/Эдем может открыться лишь тому, кто преодолевает Ад, пройдет *испытание*: будь то в форме обрядов инициации или же – в духовном плане – в виде преодоления «низменных страстей» ради Высшей Цели.

Мистические архетипы и реалии сливаются в органическом единстве, и в лирическом плане происходит переход от времени реального (профанного) во время сакральное (Священное), которое «может быть возвращено и повторено бесчисленное множество раз. <...> оно всегда равно самому себе, не изменяется и не утекает <...> парадоксальным образом предстает как круговое, обратимое и восстанавливаемое, некое мифическое Вечное Настоящее» (Элиаде 2000:282). Повышенный интерес к тайнам Жизни и Смерти (бесмертия), брэнного (сиюминутных утех) и вечного (Исторического, Славы) является показательным для всей той эпохи. Подобное мироощущение характерно как для романтического поэтического мышления (поэт→творец↔Бог), так и для декабристов, у которых «чисто практическое поведение делалось объектом <...> осмысления в терминах и понятиях идейно-философского ряда» (Лотман 1998:335). И поскольку вступление в тайное общество символизировало «переход в мир исторических лиц», то «подчеркнутое внимание к слову, жесту, поведению в целом <...> связывалось с восприятием себя как исторического лица, а своих поступков – как исторических» (Лотман 1998:338). В то же время нельзя не согласиться с утверждением, что «...все поэты пушкинского круга (в том числе даже и Жуковский) были и поэтами круга декабристов - их связывали с ним и многие идейные концепции, и личные отношения» (Кунин 1983:484). При определенном типе мировосприятия «...всякая дорога символизирует дорогу Жизни, а всякое движение – *паломничество*, странствие к Центру Мироздания» (Элиаде 2000:341). «Это путь обретения центра; он сопряжен с трудностями и опасностями <...> Образ паломника это «образ человека, стремящегося к сакральному. <...> Паломничество души приводит шаг за шагом к Богу, через множество ступеней, пропастей, ловушек; благодаря паломничеству мир приобретает вертикальное измерение, открывается вверх, в небо» (Энциклопедия...). Тема *паломника* и *паломничества* в романтизме, ее связь с мистическим *Центром-Востоком*, «паломничество души» и символизм обрядов инициаций/посвящения в тайные общества, Центр/Восток в масонстве и т.д. сложна и требует особого обсуждения. Напомним только, что для прохождения ритуала инициации обязательным предварительным условием *возвышения* (перехода на следующую

ступень) является *разрыв*: «те, кто избрал для себя поиск, странствие к Центру, должны оставить все, что связывает их с семьей и обществом <...> и сконцентрироваться только на движении к высшей истине» (Элиаде 2000:341).

Паломничество, так же как и русское *странничество* – это, прежде всего, отказ от всего *привычного* (обычного), от всего, что своей *обыденностью* препятствует человеку идти по пути обретения *высшей истины*. Это путь *преодоления*, *путь познания и возвышения*. Сама идея опасного перехода от мирского к Священному (выхода из микро- в макрокосм, из исторического времени в Вечность) неразрывно связана с символизмом *тесных Врат* (или *опасного Моста*). Древний перевальный путь, как известно, пролегал через т.н. Кавказские Врата - Дарьяльское ущелье. Стратегически важное, это узкое ущелье, по свидетельству Плиния Старшего, когда-то действительно было перегорожено окованными железом бревенчатыми воротами. Однако поэтический образ опасного Дарьяля – «врат Кавказа», охраняемого скалистыми утесами («сторожевыми великанами» - М.Ю.Лермонтов, «Демон»), вряд ли был навеян одним лишь этим обстоятельством. В поэтическом воображении проход через теснины Дарьяля (прохождение *тесных Врат Кавказа*) явно ассоциируется с символизмом ритуалов инициации/посвящения, т.е. *испытания* (преодоления препятствий), обязательным условием *перехода* на иной уровень бытия («Кавказ нас принял в свое *святителище*» - А.С. Пушкин, «Путешествии в Арзрум»). Сама природа Дарьяльского ущелья, где «... клочок неба, как лента, синее над вашей головой» (А.Пушкин «Путешествие в Арзрум»), вполне способна вызывать у мистически настроенного человека ассоциации с мифологическими вратами Эдема. Особенно с образом «самых дальних» из находящихся на земле «семи ворот» Эдема – тех, «сквозь которые проникает небесный свет» (Грейвс ... 2002:101).

Таким образом, символика цепочки характерных для «кавказской лирики» поэтических образов: *разрыв* - *ущелье/путь* - *Врата/Дарьяль* – *Эдем/долины* в соотнесении с философским наполнением темы *паломника* и *паломничества* в романтизме и мифологемой *пути* дает возможность интерпретировать путешествие на Кавказ в восприятии русской романтической поэзии как *испытание* (Кавказом).

Не проходит испытания Кавказом пушкинский Пленник, который в этот «край далекий полетел/С веселым призраком свободы». *Однако его никогда и не манили неприступные вершины, не привлекал путь ущелья*, он не искал Высшей истины и не стремился к перерождению. «*Отдаленные громады седых, румяных синих*» гор у этого «*любителя природы*» вызывают не мистические чувства, но любопытство, его душу не трогают «*песни гор, и песни Грузии счастливой*». Он принадлежит миру профанному, и его судьба – это обратный путь, возврат к давно надоевшей привычной жизни. Поэтому, попав в плен и прожив с «обобщенными,

несколько идеализированными горами» (Богомолов 2002:109) значительное время, он возвращается в свой мир, так и не обретя внутренней свободы. Следовательно, он обречен на дисгармонию и с окружающим миром. Наше внимание привлекло это «и», поскольку в художественном пространстве кавказского текста русского романтизма оно еще раз подчеркивает художественную оппозицию горы-долины.

Таинственные нити судьбы связывают с Пленником Евгения Онегина. На определенную преемственность образов этих героев указывал и сам поэт в предисловии к изданию I главы (1825 г.): «характер главного лица, *сбивающийся* на Кавказского пленника» (Пушкин 1975:385). Однако нас интересуют не роднящие эти образы общие «отличительные черты молодежи XIX века», а их связь с Кавказом. В отдельно опубликованных отрывках (1832г.) из посвященной путешествию Онегина по России VIII главы (не вошедшей в окончательную редакцию произведения) пушкинский герой посещает Нижний Новгород, Астрахань, Кавказ, Тавриду, Одессу... Оценивающего все увиденное как «тоска!», скучающего Онегина поражает встреча с Кавказом: «Хвала тебе, седой Кавказ!//Онегин *тронут в первый раз*». Для него путь сквозь «Каказские громады» «открыт», ведь уже «пробилась брань/За их естественную грань./Чрез их *опасные преграды*;/Брега Арагвы и Куры/Узрели русские шатры» (Пушкин 1975:168). Однако он доезжает лишь до подножия Бештау и, побывав на горячих источниках, едет затем в Тавриду. Личная встреча с Казбеком и мистическим Кавказом не состоялась...

Знаменательным представляется тот факт, что задолго до того как культурологи поставили вопрос о необходимости исследования всего культурно-ментального проблемного поля и широких культурологических обобщений при рассмотрении вопросов, связанных с такими сложными идейно-эстетическими системами, как романтизм, символизм или реализм, исследователи русско-грузинских литературных взаимосвязей, моделируя возможное развитие сюжетной линии в XI (первоначально VIII) и X главах романа, написанных уже после путешествия А.С.Пушкина на Кавказ в 1829 г., выстраивали ее в полном соответствии с художественной логикой *пути/испытания*. В частности, проф. В.С.Шадури, размышляя о путешествиях Онегина, который «быть чем-нибудь давно хотел», указывал, ссылаясь на мемуары М.Юзефовича, что в X главе «Онегин должен был или погибнуть на Кавказе, *или* попасть в число декабристов» (Шадури 1958:380). Обращая внимание на это «или», исследователь, подчеркивал, что оно «не совсем ясно», и высказывал предположение, что Онегин должен был попасть на Кавказ дважды. При этом, «вероятно, гибель на Кавказе не противоречила бы декабризму Онегина: второй раз он должен был попасть на Кавказ уже не в качестве добровольного путешественника, а в качестве ссыльного за участие в тайных обществах» (Шадури 1958:381-382).

Исходя из всего вышеизложенного, с учетом общего культурно-ментального поля эпохи, полагаем, что «или» необходимо интерпретировать в его прямом смысле, диктуемом художественной логикой. Онегин не романтический герой; мистический путь *возвышения* через единение с мифологизированной природой Кавказа и сакрализованным Казбеком не для него, у него только одна возможность *переродиться*: герой должен *или* вступить в тайное общество, *или* погибнуть. Любое другое развитие сюжета нарушило бы общий замысел «романа в стихах».

Возможно, именно поэтому меняет маршрут путешествий Чацкого и А.С. Грибоедов, отказываясь от первоначальной версии (Кавказ)². Не исключено, что символика путешествия на Кавказ могла бы нарушить внутреннюю гармонию произведения как не соответствующая «по духу» реалистической комедии. Ведь то, что сказано про Онегина, вполне может быть отнесено и к Чацкому: пройдя испытание (инициацию), герой перерождается, становится иным (ритуалы инициации, посвящения, в том числе и при вступлении в тайные общества, обязательным условием подразумевают символическую смерть прежней личности и рождение новой). Поднимаясь на следующую ступень нравственного совершенствования, познавая трансцендентные истины, человек обретает Силу Духа; не выдержав испытания, убедившись в собственной несостоятельности, он, теряя надежду и веру в себя, гибнет если не физически, то как личность. В обоих случаях личность *ставшего на путь* меняется, он просто не может и не должен оставаться прежним... Однако, если подобная поведенческая модель типична для романтического мироощущения, она абсолютно не соотносится с мироощущением «лишнего человека». Поэтому то единодушие, которое проявили А.С.Грибоедов и А.С. Пушкин, «не пустив» на Кавказ своих героев, представляется косвенным подтверждением наличия особого отношения к символике «путешествия на Кавказ» в общем художественно-эстетическом контексте переходной культурной эпохи. «В мире, принявшем отрицательное значение, приобретал положительное значение герой – скиталец, “гонимый миром странник”, полный мрачного разочарования, обманувшийся во всех своих идеалах, отрицающий и разрушающий их и вместе с тем созидающий на этих развалинах свой идеал ничем неукротимой личности...» (Мегрелишвили 2000:19). Но путешествие на Кавказ воспринималось как нечто большее, чем просто путешествие - «странствия без цели», та самая «охота к перемене мест», которая заставила Онегина покинуть свое имение после гибели Ленского, посетив в том числе и кавказские минеральные источники. Не ставя своей целью *паломничества*, Онегин просто путешествовал, «и путешествия ему, как все на свете, надоели»...

Совершенно иное отношение к дороге/пути у Мцыри – романтического героя Лермонтова. Примечательно, что уже во вступлении

поэт создает яркий, запоминающийся образ единения речных вод, на фоне которого разворачивается действие поэмы. Речь идет о реке Арагви, которая сливается с Курой/Мтквари у города Мцхета – древней столицы Грузии. Именно там, у подножия скалы, на которой расположен монастырь Джвари – место действия лермонтовского «Мцыри», «*сливаясь, шумят, /Обнявшись, будто две сестры, /Струи Арагвы и Куры*». И эта мирная картина единения двух рек служит фоном для развертывания очередной драмы - бунта «неукротимого духа» юноши-послушника, свободолюбивого пленника, насильственно оторванного от родных гор и оставленного в монастыре...

Круг замкнулся: читатель вновь возвращается в сакральную точку «вечного настоящего», начинается новый виток, и уже новый свободолюбивый бунтарь, *разорвав привычные связи* (ведь «он *привык*, стал понимать чужой язык», «*был окрещен святым отцом*», «хотел во цвете лет изречь монашеский обет»), решается на побег из «келий *душных*» в «*сумрачных стенах*» (четкая ассоциация с *темницей, неволей*) от давно уже ставшей привычной «серой» действительности. Сопрягаясь в целом с архетипом *испытания*, «пленение» этого героя является одной из форм проявления все той же мифологемы. Воспринимая свой плен как насильственное заточение, как *ад*, подобно вечному бунтарю Терексу, лермонтовский герой рвется из заточения на волю, стремится в сакральный Центр – свой *первозданный* Эдем. И «это прежде всего возвращение к *естественному миру*, который был ему изначально родным и близким» (Манн 1976:199) и который он воспринимает как Рай, а родные горы служат ему путеводным ориентиром («*Из виду горы потерял/И тут с пути сбивается стал*»). Мцыри не просто уроженец гор, стремящийся домой, он романтический герой, который, в отличие от Онегина и Чацкого, постигающих мир через *ratio*, способен на чувственно-интуитивное постижение мира. Он способен «угадывать думы» разделенных потоком «темных скал» («Мне было *свыше* то дано!»), ему внятен «разговор, немолчный ропот, *вечный спор* с упрямой грудью камней» бурного потока, подобного «сердитой сотне голосов» (вечная оппозиция динамического и статического начал, выраженная в оппозиции Вода-Земля), он замечает, как «дохнули сонные цветы», ощущает тесное единение, «живую дружбу» своего «*бурного сердца*» и грозы («*как брат, обняться с бурей был бы рад*», когда «*рукою молнии ловил*»), тонет «глазами и душой» в прозрачно-глубоком небесном своде, припадая к земле, слышит «все природы голоса», «*волишебные* странные голоса», которые «шептались по кустам,*Как будто речь свою вели/О тайнах неба и земли*», а его слезы «горячею росой» орошают «сырую грудь земли». Для него и «темный лес заговорил», он слышит «тайный голос» при виде «седого *незыблемого Кавказа*», который оживляет воспоминания... Как видим, герой ощущает свое родство со стихиями-первозлементами – Землей, Водой и Воздухом (отсутствует лишь стихия Огня), и стремление

возродиться путем единения с горами (сакральным Центром) для него совершенно естественно.

Не по своей воле, *«грозой оторванный листок»*, Мцыри должен пройти *свой путь* (хотя уже в ином направлении → он бежит «на Кавказ», в родные горы, «в тот чудный мир тревог и битв, / Где в тучах прячутся скалы, / Где люди вольны, как орлы»), дабы вернуть себе почти утраченное «Я», и, испытав свою судьбу («Узнать прекрасна ли земля, / Узнать, для воли иль тюрьмы / На этот свет родимся мы»), обрести гармонию с макрокосмом в реальности кавказского бытия.

Выше, рассуждая о единении героя со стихиями-первоэлементами, мы отметили, что единственная стихия/первоэлемент, с которой у лермонтовского героя нет гармонии, – это стихия Огня. Для романтического мироощущения характерна апелляция к Огню небесному, отождествленному со Светом, что приводит к перенесению его из категории природных стихий в сферу стихии человеческого духа. Приоритетной для романтизма является выраженная в мифологеме Огонь-Свет не *«мгновенность» физической оболочки, но вечность «души прекрасных порывов»* (Модебадзе 2007а:69-71). И именно с этой стихией Мцыри находится в жесткой оппозиции: в его душе нет Света, один лишь *«пламень, который с юных дней, таяся, жил в груди»* - *всепоглощающая «пламенная страсть»*, которая «изгрызла душу и сожгла». Ради этой страсти он преодолагает соблазн зайти на огонек знакомой сакли (*«...помощи людской / Я не желал... я был чуждой / Для них навек, как зверь степной...»*).

Находясь в дисгармонии со стихией Духа, сознательно противопоставив себя всему остальному человечеству, мечтающий «про битвы чудные меж скал, / Где всех один я побеждал!...», он не достоин инициации/возвышения. Поэтому свет утренней зари оборачивается палящим, иссушающим пламенем, это «огонь безжалостного дня». Нарушается уже достигнутая гармония, и «в лицо огнем сама земля дышала мне» в то время, когда еще «мир божий спит». Неукротимый дух лермонтовского героя способен преодолеть множество препятствий на своем пути, но препятствий земных/профанных (не поддастся страху при виде змеи, превозмочь «страданья голода», победить в сцене единоборства *«могучего барса»* - *«пустыни вечного гостя»*), однако перед лицом сакральных сил он «слаб»: его пугает вид *«грозящей бездны»*, куда ведут «ступени скал», поскольку *«лишь злой дух по ним шагал, / Когда, низвергнутый с небес, / В подземной пропасти исчез»*. Когда же, преодолев свой страх, с риском для жизни, он все же спускается в это *ущелье*, то видит девушку-грузинку. Не видя ничего мистического ни в самом ущелье, ни в бегущем по его дну «потоке», который в восприятии Мцыри *«выл, крутясь»*, как *«сердитый вал»*, она идет за водой, и *«шла она легко»*...

Мцыри не дано достичь Центра, где открываются высшие истины бытия, и перейти из профанного времени в ламинарную зону - на ступень познания сакрального. Осознав это, чувствуя *«надежд обманутых укор»*, Мцыри теряет волю к жизни и погибает, а мечта о личной встрече с Кавказом его устремлений так и остается нереализованной:

Когда я стану умирать <...>
Ты перенеси меня вели
В наш сад <...>
Оттуда *виден и Кавказ!*

В финальной сцене герой, испытав судьбу, осознает себя слабым «цветком темничным» и приходит к мысли о собственном несовершенстве (*«Да, заслужил я жребий мой»*). Не случайно действие вновь разворачивается на фоне все той же картины братских объятий двух горных рек, мирно текущих в спокойной долине: *«внизу Арагва и Кура, / Обвив каймой из серебра / Подошвы свежих островов, / По корням шепчущих кустов, / Бежали дружно и легко... / До них мне было далеко!»*. Так же, как и вышеупомянутый образ таящегося в мрачном ущелье пушкинского *«нищего наездника»*, дистанция между потерпевшим фиаско героем и прошедшими испытание *ущельем* горными потоками в общем контексте созданной русским романтизмом картины природы Кавказа может быть интерпретирована как категория нравственная. Хотелось бы оговорить, что допущенная нами оговорка («обнявшись, будто две сестры» - *братские объятия*), не является случайной: в пейзажной лирике русского романтизма горные реки, символизируя борьбу, неукротимую волю к победе/Жизни, ассоциируются с мужским родом. Этому способствует и частая синонимическая замена река→поток→вал и т.д., и само их наименование (Терек, Кура→Кур, или Кир), и общий поэтический контекст; женский род проявляется лишь тогда, когда речь заходит о спокойно текущих *«водах долинных»*.

Весьма символичным на этом общем фоне представляется «предсмертный бред» героя – вешее виденье. Полностью погрузившись в стихию воды, герой неподвижно «лежит на влажном дне глубокой речки», «кругом таинственная мгла», он не пытается всплыть, его не влечет течением – он *вне движенья/Жизни*, ему «сладко, люблю», он «боится лишь заснуть» и безропотно внимает «сребристому голоску» рыбки, нашепывающей соблазнительные, сладкие грезы («Останься здесь со мной: / В воде привольное житье / И холод и покой»), соблазняющей отказаться от борьбы, отказаться от жизни. Почти как Змий-искуситель, рыбка сулит ему за это свою любовь, «мягкую постель», предлагает «усладить взор» «пляской круговой» своих сестер... За этой картиной следует «забыть», возвращение в монастырь и гибель героя...

Таким образом, в поэме «Мцыри» мы встречаем сразу несколько различных наполнений понятия Кавказ:

1) Кавказ/Грузия/долины, где разворачивается действие поэмы. Ему присуща, на первый взгляд реальная, но тем не менее весьма условная художественная география: реально место действия – на скале у слияния Арагвы и Куры действительно находятся развалины древнего монастыря (а у подножия скалы сегодня стоит памятник М.Ю. Лермонтову). В то же время более чем условны окрестности: бездна и ступени скал, бурный поток на ее дне, появление в густом лесу «пустыни вечного гостя» и т.д.

2) Кавказ/горы, субъективный, видимый внутренним взором героя (воспоминания раннего детства), также реально-условный, с высокой степенью идеализации;

3) Кавказ/символ, объединяющий все условности первых двух в единый художественно-мифологический контекст.

«Романтизм возвращает литературе ощущение единства мира и человека...» (Гачев 1972:155). Исследование истории формирования эстетико-философской концепции романтизма, в основе которой лежала идея единства универсума, выявило сложные связи культуры романтизма с эзотерическими исканиями и философской мыслью своего времени (Модебадзе, 2004а: 120-153). Исходя из этого, нами был выделен ряд наиболее характерных для романтического мироощущения концептов, являющихся «ключевыми словами» для понимания основ романтической картины мироздания. Центральными оказались лежащие в основе системы ценностной ориентации христианской культуры и имеющие обширное символическое наполнение понятия: *первозданный*, *девственный* (соответствующий первичному замыслу Творца) (Модебадзе, 2004б:252-301), *дикий* (естественный, не затронутый цивилизацией) и *древний*. Наиболее сложным для анализа, практически утратившим свое первоначальное наполнение оказалось значимое для романтического мироощущения понятие *восток*, объединяющее все эти составляющие. Данная работа позволяет добавить к этому ряду еще несколько устойчивых метафор, являющихся понятиями, имеющими символическое значение. Их символическая специфика восходит к архетипичным символам. Это - *ущелье*, *путь* и *восхождение/перерождение*. Учитывая общий культурно-эстетический фон и духовную атмосферу эпохи первой половины XIX века, мы считаем возможным интерпретировать их как слова-символы, если не идентичные, то, по крайней мере, близкие к символам, свойственным языку посвященных в философию тайных обществ, в том числе и масонству.

Примечания:

1. «Романтизм перестает быть только литературным фактом. Он становится, прежде всего, новой формой чувствования, новым способом переживания жизни» (Жирмунский 1996:9).

2. В первоначальной редакции «Горя от ума» Чацкий в монологе из 4-го действия (10-е явл.) рассказывал:

«...Я был в краях,
Где с гор верхов ком снега ветер скатит,
Вдруг глыба этот снег в паденьи все охватит,
С собой влечет, дробит, стирает камни в прах,
Гул, рокот, гром, вся в ужасе окрестность».

Сравнивая эти строки с выдержками из «Путевых заметок» писателя и записками К.Ф. Аделунга – спутника А.С. Грибоедова в путешествии по Кавказу, И.С. Богомолов доказал, что в этом отрывке именно кавказские «впечатления писателя нашли свое художественное воплощение» (Богомолов 2002:16).

Литература:

- Аверинцев 2001:** С.С. Аверинцев. София-Логос. Словарь. 2-е, испр. изд. Киев: Дух і Літера, 2001, [online]: <http://ec-dejavu.ru/s-2/Symbol.htm>
- Блок 1963:** А.А.Блок. О романтизме// А.А. Блок. Собрание соч. в 8 тт, т.6. М.-Л.: Госуд. изд-во Художественной литературы. 1963:
- Богомолов 2002:** Игорь Богомолов. Грузия стала традицией для всей русской поэзии. Тб.: 2002.
- Воскресенская 2005:** М.А. Воскресенская. Символизм как мироведение Серебряного века. М.: «Логос», 2005.
- Воркачев 2003:** С.Г.Воркачев. Культурный концепт и значение // Труды Кубанского государственного технологического университета. Сер. Гуманитарные науки. Т. 17, вып. 2. – Краснодар: 2003, [online]: <http://kubstu.ru/docs/lingvoconcept/meaning.htm>.
- Гачев 1972:** Г. Гачев. Жизнь художественного сознания. Очерки по истории образа, ч. I, М.: 1972.
- Грейвс ... 2002:** Robert Graves, Raphael Patai. Hebrew Myths. The Book of Genesis. Роберт Грейвс, Рафаэль Патай. Иудейские мифы. Книга Бытия. М., 2002.
- Жирмунский 1996:** В.М. Жирмунский. Немецкий романтизм и современная мистика. СПб: Аксиома: Новатор, 1996:
- Косарев 2000:** Александр Косарев. Философия мифа. Мифология и ее эвристическая значимость. М.: 2000.
- Кунин 1983:** В.В. Кунин. Поэты пушкинского круга. М., 1983.
- Лихачев 1987:** Д. С. Лихачев Заметки о русском. // Д.С. Лихачев Избранные работы в трех томах. Т. 2. Л.: «Художественная литература», 1987, [online]: <http://likhachev.lfond.spb.ru/Articles/zam.htm>.
- Лихачев 1993:** Д.С. Лихачев. Концептосфера русского языка // ИАН СЛЯ. 1993. Т. 52, № 1.
- Лотман 1998:** Ю.М. Лотман. Беседы о русской культуре. Быт и традиции русского дворянства (XVIII – начало XIX века). СПб., 1998.
- Манн 1976:** Ю. В. Манн. Поэтика русского романтизма. М., 1976.
- Мегрелишвили 2000:** Татьяна Мегрелишвили. Антиномии Михаила Лермонтова. Тбилиси, 2000.
- Модебадзе 2004а:** И.И. Модебадзе. К проблеме природы и динамики культурных процессов эпохи Серебряного века. // Серебряный век в русской

- литературе. Сб. научн. трудов, посв. памяти проф. Игоря Богомолова. Тбилиси, ТГУ, 2004.
- Модебадзе 2004б:** И.И. Модебадзе. «Одержимость», «диссоциация личности» и «стабильность общества» (христианская ментальность, психоанализ и социо-культурные процессы) // Грузинская русистика. Сб. научных трудов. Тбилиси, 2004.
- Модебадзе 2005...:** И.И. Модебадзе, Т.Г. Мегрелишвили. «Восток» и его значение в романтическом мироощущении // Сб. «Научные труды. Серия: Филология», XI, СПб-Тб., 2005, с. 128-136; И.И.Модебадзе, Т.Г. Мегрелишвили. «Восток» в русской романтической поэзии // Сб. «Сопоставление как метод исследования и обучения языкам», II., МАПРЯЛ, Тбилиси, 2005.
- Модебадзе 2006:** И.И. Модебадзе. Библейские ассоциации кавказских пейзажей в стихотворениях А.С.Пушкина «Кавказ», «Обвал» и «Монастырь на Казбеке» // Сб. «Научные труды. Серия: Филология», XII, СПб-Тбилиси, 2006.
- Модебадзе 2007а:** И.И. Модебадзе Символизм образов природных стихий в «кавказкой» лирике русских романтиков // I международный симпозиум «Проблемы современного литературоведения». Материалы. Тбилиси. 2007.
- Модебадзе 2007б:** И.И.Модебадзе. Кавказ (Грузия) и художественно-романтическая картина мироустройства в русской поэзии XIX века // IV Сургучевские чтения – «Локальная литература и мировой литературный процесс. Материалы. Ставрополь, 2007.
- Полосин 1999:** Вячеслав Полосин. Миф. Религия. Государство. М., 1999.
- Пушкин 1975:** А.С.Пушкин. Собр. соч. в 10 томах, т.4. М.: «Художественная литература». 1975.
- Русские...1948:** Русские писатели о Грузии, т. I/Сост. Вано Шадури. Тбилиси: «Заря Востока», 1948.
- Султанов 2008:** К.К. Султанов. «Кавказский текст» Л. Толстого в онтологическом измерении // Лев Толстой и мировая литература. Материалы международной конференции. Тула: Издательский дом «Ясная Поляна», 2008, [online]: http://rcnc.ru/index.php?option=com_content&task=view&id=1006&Itemid=1
- Шадури 1958:** В.С.Шадури. Декабристская литература и грузинская общественность. Тбилиси, 1958.
- Элиаде 2000:** Мирча Элиаде. Миф о вечном возвращении. М., 2000.
- Энциклопедия...:** Энциклопедия. Знаки и символы, [online]: <http://www.znaki.chebnet.com/s10.php?id=483>

ეგზეგეტიკური ჟანრის განვითარების ძირითადი ტენდენციები ბიზანტიასა და საქართველოში

ეგზეგეტიკის, როგორც ჟანრის, ჩამოყალიბება განაპირობა ბიბლიის ტექსტის განმარტების აუცილებლობამ. როდის და რა ეტაპზე წარმოიშვა ეს აუცილებლობა?

ბიბლიური ნიგნების კომენტირებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. წმინდა წერილის განმარტების ებრაული ტრადიცია სავარაუდოდ უნდა მომდინარეობდეს ეზრას ეპოქიდან. თორა (მოსეს კანონი) მოითხოვდა გარკვეულ ინტერპრეტაციას, რომლის გამოც წარმოიშვა ჯგუფი *მნიგნობრების* სახელწოდებით, რომლებიც იყვნენ მასწავლებლები და კომენტატორები მოსეს კანონისა. თუმცა ასეთი მნიშვნელოვანი ამოცანა არ შეიძლებოდა მხოლოდ ცალკეული კომენტატორების, თუნდაც ნიჭიერი მოაზროვნეების მეშვეობით განხორციელებულიყო. ამიტომ დროთა განმავლობაში შეიმუშავეს ფორმალური პრინციპები, განმარტების წესები; ჩამოყალიბდა ეგზეგეტიკოსთა სკოლები.

განვითარების მიხედვით ბერძნული ეგზეგეტიკის ისტორიაში სამი ძირითადი პერიოდი გამოიყოფა: 1. დასაწყისი, რომელიც პირველ სამ საუკუნეს მოიცავს. 2. კლასიკური, IV-V საუკუნე. 3. ბიზანტიური, რომელიც VI საუკუნიდან იწყება და თითქმის კონსტანტინოპოლის დამხობამდე გრძელდება (კეკელიძე 1972: 179).

ბიზანტიური ეგზეგეტიკური მწერლობის განვითარების პირველი, საწყისი ეტაპი, მსგავსად ქრისტიანული მწერლობის სხვა ჟანრების საწყისი პერიოდებისა, გამოირჩევა თხზულებათა სტილისტური სიმარტივითა და სისადავით, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია ორი მიზეზით: 1. განვითარების საწყისი ეტაპისათვის ლოგიკურად დამახასიათებელი სიმარტივე და სისადავე.

2. ავტორთა ორიენტირება ქრისტიანთა „სიჩიოებაზე“, რომელთაც საჭიროა მსუბუქი, ადვილად ასათვისებელი საზრდო მიაწოდონ და ამგვარად შეამზადონ ინტელექტუალურად შემდგომი სირთულეებისათვის. ამდენად, ეგზეგეტიკურმა მწერლობამ გაიარა გზა „მეთევზური სიტყვიდან“ კლასიკური, რიტორიკულ-ფილოსოფიური მაღალფარდოვანი სტილით შექმნილ თხზულებებამდე. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ეს იყო არა მდაბიურობა (ე. წ. დაბალი სტილი), არამედ ევანგელური სისადავე (ბეზარაშვილი 2004: 12).

ბიზანტიური, და შესაბამისად – ეგზეგეტიკური, მწერლობის პირველი პერიოდი თხზულებების სიმრავლითა და სიღრმით არ გამოირჩევა. სულ რამდენიმე ავტორია, რომელთაც სხვა თხზულებათა

შორის ეგზეგეტიკური შრომებიც შეუქმნიათ: იპოლიტე ჰრომაელი (გარდ. 236 წ.), ორიგენე (გარდ. 254 წ.), დიონისე ალექსანდრიელი (გარდ. 264 წ.), მეთოდე ოლიმპიელი (გარდ. 310 წ.) და გრიგოლ ნეოკესარიელი (გარდ. 270 წ.). ამ ავტორთაგან ქართულ ენაზე შემორჩენილია მხოლოდ იპოლიტე ჰრომაელისა და გრიგოლ ნეოკესარიელის თხზულებები. უძველესი ხელნაწერი, რომელმაც იპოლიტე რომაელის თხზულებების ქართული თარგმანები შემოგვინახა, არის შატბერდის კრებული (გადაწერილია X საუკუნის მეორე ნახევარში) (კეკელიძე 1972: 182-183).

გრიგოლ ნეოკესარიელის მიერ შექმნილი *ეკლესიასტეს მეტაფრასი* წარმოადგენს იმ ერთადერთ ეგზეგეტიკურ თხზულებას, რომელიც შემოგვრჩა მისი ლიტერატურულ-თეოლოგიური მემკვიდრეობიდან. ეს უკანასკნელი ქართულ მწერლობაში მხოლოდ ერთმა ხელნაწერმა, A 292 – შემოგვინახა. ხელნაწერი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდში, თარიღდება 1800 წლით, ძეგლს დართული აქვს ანდერძი, რომლის მიხედვითაც ვიგებთ, რომ მთარგმნელი *ეკლესიასტეს მეტაფრასისა* არის ეფრემ მცირე (407v), გადამწერი იოანე ოსეს ძე (Iv, 407v). ამ ძეგლის შესახებ კ. კეკელიძე მიუთითებდა: „ნეოკესარიის ეპისკოპოსმა, გრიგოლ საკვირველთმოქმედმა († 270 წ.) დაწერა ეგრეთწოდებული *Metafrasic eic ton Ekkhlesiasthc Solomwntoc*, რომელიც წარმოადგენს მოკლესა და ცოცხალ მოთხრობას ეკლესიასტის შინაარსისას, ბერძნულ სეპტანტაზე დამყარებულს (Migne, Patr. Gr.—Lat. tom. X, col, 987 – 1018). პრაქტიკულად, ძეგლი ბიბლიური ტექსტის გავრცობა უფროა, ვიდრე — კომენტირება. თხზულებას არა აქვს არც ეგზეგეტიკური ფანრის შემდგომი პერიოდის ძეგლებისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული სახე, რომელიც გულისხმობს ბიბლიური ტექსტის კომენტირებას მუხლების მიხედვით და არც ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხედვების სიღრმითაა გამოირჩეული.

მეორე, კლასიკური პერიოდი გამოირჩევა ეგზეგეტიკური ძეგლების სიუხვითა და მრავალფეროვნებით. ამ პერიოდის მოღვაწეთა საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სააზროვნო სისტემა ქრისტიანული თეოლოგიის საფუძველს წარმოადგენს. ამ პერიოდში ხდება ქრისტიანული რელიგიის დოგმატურ-საღვთისმეტყველო სისტემის ფორმირება. ამ პერიოდის პატრისტიკის წარმომადგენელთა აზროვნების მახასიათებელია შემოქმედებითობა.

IV-VI ს. ლიტერატურის განვითარების ხასიათს მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა, აგრეთვე, ქრისტიანობის ანტიკური კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხი.

II-III საუკუნის ქრისტიანი აპოლოგეტების პოლემიკამ – შეიძლება თუ არა ქრისტიანობამ გამოიყენოს წარმართული კულტურული მემკვიდრეობა – შედეგი ვერ გამოიღო და საკითხი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ღიად რჩებოდა. ქრისტიანი

აპოლოგეტების ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა ელინისტური კულტურული ელემენტების ღირებულებაზე და შესაძლებლად მიიჩნევდა მათ მორიგებას ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან, სხვათათვის საკითხისამდი ამგვარი მიდგომა მიუღებელი და დაუშვებელი იყო და ქრისტიანი მოღვაწეების ეს რადიკალურად განწყობილი ნაწილი მთლიანად გამორიცხავდა ამგვარი სინთეზის შესაძლებლობას. ასეთი ვითარება იყო ალექსანდრიაშიც, რომელიც ფილოსოფიური და რელიგიური დისკუსიების უძველეს კერას წარმოადგენდა. მაგრამ, მიუხედავად დისკუსიების სიმრავლისა, საკითხი ქრისტიანობის ჩამოყალიბების პირველი სამი საუკუნის მანძილზე გაურკვეველი რჩებოდა. IV საუკუნიდან ვითარება მკვეთრად იცვლება ქრისტიანობისა და წარმართობის ურთიერთმორიგების ტენდენციის სასარგებლოდ, რაც განაპირობა, ერთი მხრივ, ხელისუფლების პოზიტიურმა განწყობილებამ და, მეორე მხრივ, „ერესების“ არსებობამ, რომლებიც ინტელექტუალური დისკუსიების გაცხოველებას იწვევდა და დღის წესრიგში ახალი, მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის აუცილებლობას აყენებდა. ამ დროისათვის ქრისტიანობა ინტენსიურად იწყებს ანტიკური, კლასიკური კულტურის ელემენტების ქრისტიანობის სამსახურში ჩაყენებას. როგორც კრუმბახერი მიუთითებს, „ქრისტიანული აზროვნება წარმართული სამოსით შეიმოსა“ (კრუმბახერი 1912: 330). შუასაუკუნეების ფილოსოფიური აზროვნების ცნებითი აპარატის ფორმირებაში უდიდესია პლატონისა და არისტოტელეს წვლილი. ხოლო ამ ფილოსოფიის არსებითი მახასიათებელი რელიგიურობაა (ფილოსოფია ღვთისმეტყველების მსახურია).

III-IV საუკუნეების ქრისტიანული საღვთისმეტყველო სკოლების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოდ უარყოფდა ფილოსოფიის მნიშვნელობას ქრისტიანული სარწმუნოებისათვის. უარყოფდნენ და გაურბოდნენ მას. ამ სკოლებს შორის აღსანიშნავია მცირეაზიური (კაპადოკიური) და ჩრდილოაფრიკული (კართაგენული) სკოლები. სხვა საღვთისმეტყველო სკოლები თეოლოგიური სწავლების სისტემატიკაზიისა და ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი ფორმულირებისათვის, რომლის გამოხატვის ფორმაც სწორედ ეგზეგეტიკა გახლდათ, ცდილობდნენ ბერძნულ-რომაული ფილოსოფიის გამოყენებას. ამ სკოლათა შორის გამოირჩეოდა ორი, ერთმანეთის კონკურენტი საღვთისმეტყველო სკოლა – ალექსანდრიისა და ანტიოქიისა, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქრისტიანული საღვთისმეტყველო სწავლების შემდგომ განვითარებასა და ჩამოყალიბებაში და, რომელთა ეგზეგეზაც მნიშვნელოვანწილად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

ამდენად, ბიზანტიაში ხდება ფილოსოფიის თეოლოგიზაცია და თეოლოგიის ფილოსოფიზაცია. ეს ტენდენცია მეტ-ნაკლებად ყველა საღვთისმეტყველო სკოლის კონცეფციაში იკვეთება. თავად საღვთისმეტყველო სკოლების ჩამოყალიბების საფუძველს

ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების ძირითადი ასპექტები და თავისებურებები განაპირობებს. სხვაგვარად, დიფერენცირება ხდება იმის მიხედვით, თუ ეგზეგეზის რა ხასიათსა და მიმართულებას ავლენს ესა თუ ის სალიტერატურო სკოლა.

IV-V საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში არსებობდა სხვა ცნობილი ლიტერატურული ცენტრებიც, რომელთა წარმომადგენლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ ქრისტიანული აზროვნების განვითარების ზოგად ტენდენციებზე. ამ მოღვაწეთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი. ისინი კარგად იცნობდნენ კლასიკურ კულტურას და განეკუთვნებოდნენ ე. წ. „ახალი ალექსანდრიელების“ მიმართულებას. ეს მიმართულება, რომელიც იყენებდა ფილოსოფიური აზროვნების მიღწევებს, ძირითად პრიორიტეტად სახავდა რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების საკითხს, რაც ქრისტიანული ღვთისმეტყველებისა და კლასიკური ფილოსოფიური აზროვნების, სხვაგვარად – თეოლოგიისა და ფილოსოფიის სინთეზს გულისხმობდა. ამასთან, ისინი არ იზიარებდნენ ალექსანდრიული სკოლის მოღვაწეების უკიდურეს მისტიკურ-ალეგორიული აზროვნების მიმართულებას.

მესამე პერიოდი ხასიათის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა იმ ერესების არსებობამ, რომლებიც დოგმატური საკითხების არაზუსტი ინტერპრეტირების შედეგად წარმოიშვა. შემდგომი განწვალვებისაგან თავის დაზღვევის მიზნით, მესამე პერიოდის მოღვაწეები ორიენტირებულნი იყვნენ არა იმდენად ორიგინალური თხზულებების შექმნაზე, რამდენადაც წინარე ეპოქების წმინდა მამების ნააზრვეის ციტირებაზე. ამით აიხსნება კომპილაციური და კატეხეზიანი საკითხავების შექმნა. ამ გარემოებამ, თავის მხრივ, გამოიწვია ყანრის განვითარების შეფერხება.

რა ვითარებაა ეგზეგეტიკური მწერლობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში? საქართველოში ეგზეგეტიკური ყანრის განვითარება შეიძლება ორი ასპექტით განვიხილოთ: 1. ნათარგმნი ძეგლები 2. ორიგინალური ქართული თხზულებები.

ეგზეგეტიკური ძეგლების თარგმნა ქართველ მოღვაწეებს უძველესი დროიდანვე დაუწყიათ. კ. კეკელიძე მიუთითებს, რომ „პირველს ქართულ თარგმანს, ამ სიტყვის პრიმიტიული მნიშვნელობით, ჩვენ ვპოულობთ ესტატე მცხეთელის მარტილობაში, რომელიც VI საუკუნეშია დაწერილი, არქიდეაკონი სამოილი უთარგმნის ესტატეს საღმრთო წერილის, ე. ი. ძველისა და ახალი ალტქმის, ისტორიას. თარგმანება სამოილისა მდგომარეობს ამ ისტორიის თავისუფლად და თავისებურად გადმოცემაში, სამოილი მონურად არ მისდევს ბიბლიურ ტექსტს, ხანდისხან მას შორდება, ხანდისხან აკლებს, უმატებს ანდა სცვლის ამა თუ იმ ადგილს, ამ მხრივ საინტერესოა სახარების ინტერპრეტაცია. აქ შეცვლილია იესო ქრისტეს მსახურების თანდათანობა“ (კეკელიძე 1972: 182). ადრეულ

თარგმანთა რიგს განეკუთვნება სევერიანე გაბალოვნელის **ექუსთა დღეთა**, რომელიც საკმაოდ ვრცელ ეგზეგეტიკურ თხზულებას წარმოადგენს და, რომელიც იერუსალიმის ქართულ ხელნაწერებში აღმოჩნდა. ქართული მწერლობა ძალზე მდიდარია ნათარგმნი ეგზეგეტიკური თხზულებებით. ქართველი მთარგმნელ-მოღვაწეები სწორად აფასებდნენ ეგზეგეტიკური ჟანრის ძეგლების თარგმნის საჭიროებას ქართული საზოგადოებისათვის. X-XI საუკუნეებიდან ამ ჟანრის ძეგლები ინტენსიურად ითარგმნება ქართულ ენაზე. იგივეს ვერ ვიტყვით ამ ჟანრის ორიგინალური ძეგლების შესახებ. გარდა იოანე პეტრიწის **პროკლე დიადოხოსის კავშირნი ღვთისმეტყველებითნის განმარტებასა** და ეფრემ მცირის **ფსალმუნთა განმარტებასა**, ორიგინალური ეგზეგეტიკური ძეგლები ქართულ მწერლობაში არ გვხვდება. პირველი ქართველი ავტორი, რომელიც კომპილაციის გზით ფსალმუნთა განმარტების ეგზეგეტიკურ ძეგლი ქმნის, არის ეფრემ მცირე. ეს ძეგლი „შინაარსით, აზრებითა და, საზოგადოდ, მასალით... ორიგინალური არაა, ხოლო გარეგანი კონსტრუქციითა და გეგმით, რომელიც გამოიხატება მასალისა და წყაროების შერჩევაში და მათ დალაგებაში, ის ეფრემის ორიგინალურ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს“ (კეკელიძე 1972: 194).

ეფრემ მცირის **ფსალმუნთა თარგმანება**,^{*} რომლის სრული სათაურია „წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსთა ათანასესი და კურილესი და სხუათა შემდგომთა მათთა თარგმანებაჲ ფსალმუნთა ნიგნისაჲ, რომელ არიან ასორმოცდაათნი ფსალმუნნი დავითისნი, ხოლო ბერძუნისაგან ითარგმნა ნეტარისა მამისა ეფრემის მიერ,“ გარდა ორიგინალური კონსტრუქციისა და გეგმისა, მცირე ორიგინალურ ჩანართებსაც შეიცავს. ჩვენამდე მოაღწია ეფრემის თხზულების მხოლოდ პირველმა ნაწილმა, 1-75 ფსალმუნის თარგმანებამ. ანდერძში, რომელიც დართული აქვს ამ თხზულების ერთ-ერთ (Q 37) ხელნაწერს, ვკითხულობთ: „...გვედრებით ყოველთა, რომელნი მიემთხვნეთ [წმიდასა ამას] ნიგნსა, ლოცვა-ყავთ ზემოწსენებულისა მამისა საბა[სტუს] ბერისა, ეფრემ ოშკელისათეს, მოძღუართა, მშობელთა, ძმათა და შვილთა მათთათეს, რამეთუ მათი წინაძღომითა და საჭეთ-მპყრობელობითა და უფროსლა საკმრითა და წარსაგებელითა ქმნილ არს ყოველივე კეთილი ჩუენ ზედა ღმრთისა მიერ, რომელმან ძუელ ოდესმე კარაულიცა ბალამისი ალატყუა, რომლისასა არარაჲთ უნაკლულეს არს აღტყუებაჲ პირუტყუთ-სახესა ამას გონებასა ჩემ მცირისა და უნდოჲსა ეფრემისსა, რომელმან-ესე ვთარგმნე ბერძენთა ენისაგან ქართველთა ენად და მოქენე ვარ ღმრთისა წმიდითა ლოცვითა თქუენითა აკოცად ბრალთა და ცთომილებათა ჩემთა,

^{*} ეფრემ მცირის **ფსალმუნთა თარგმანების** შესახებ იხ. მ. შანიძის გამოკვლევა „ეფრემ მცირის **ფსალმუნთა თარგმანების** ტექსტისათვის;“ თბ., 1971

დაინერა წმიდა ესე წიგნი შავსა მთასა, სანახებსა წმიდისა სკემონისსა, მონასტერსა მამისა ეზრასსა ჰელითა [იოვანე] ხუცისა მთავარაფსისაათა...“ (Q 37; 8r) (დობორჯგინიძე 1998: 8)

ეფრემ მცირის **ფსალმუნთა თარგმანება**, რომელიც წარმოადგენს თეოდორიტე კვირელის, ორიგენეს, ისიდორე პილუსელის, იოვანე ოქროპირის, მაქსიმე აღმსარებლისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის ნაშრომების კომპილაციას, თავის მხრივ არის **ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანების** ერთ-ერთი ძირითადი წყარო. იგი „მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია. ...შექმნილი უნდა იყოს XII ს.-ში სხვადასხვა ქართულ და ბერძნულ წყაროთა კომპილაციის გზით“ (დობორჯგინიძე 1998: 8).

ორიგინალური ეგზეგეტიკური ძეგლია იოანე პეტრინის **განმარტება პროკლე დიადოხოსის ღვთისმეტყველების საფუძვლებისა**. ერთი შეხედვით უჩვეულოა, რომ იოანე პეტრინმა ხელი მოჰკიდა იმ თხზულების კომენტირებას, რომლისგანაც, როგორც თვითონვე შენიშნავს, „წარწყმდა სამგზის წყეული არიოზი.“ მაგრამ იქვე დასძენს, რომ, თუ მას განწმედილი გონებით მიეახლები და წმიდა მამათა აზრით იხელმძღვანელებ („საზღვართა მამათა წმიდათასა ნუ გარდაჰვლინდები“) (მელიქიშვილი 1999: XXXI), მაშინ ეს წიგნი სულიერ საცთურად არ შეგექმნება.

ეგზეგეზის რა მეთოდებს იყენებს იოანე პეტრინი და პრინციპებით ხელმძღვანელობს კომენტირებისას? პეტრინი თანაბრად მიმართავს როგორც სილოგიზმის, დასაბუთების, ისე ანალოგიის, მაგალითის გზას. თუმცა ამ ორ მეთოდს იგი ფილოსოფიასა და თეოლოგიას შორის ანაწილებს და მწვალებლობის საფრთხის აცილების მიზნით, „ღვთისმეტყველებისას... ამჯობინებს ჩვენების, ნათელყოფის, სახეებისა და მაგალითების გზას და არა სილოგიზმის მეთოდს (რომელსაც წარმატებით იყენებს ბუნებითი, ანუ დიზიკური და ფილოსოფიური კატეგორიების შესახებ მსჯელობისას), ვფიქრობთ, სწორედ ამით განსხვავდება იგი თავისი დროის რაციონალისტური მიმართულების ბიზანტიელი თეოლოგებისაგან, რომლებიც სილოგიზმის კანონებით სვლისას, ლოგიკური არგუმენტაციის გზაზე აუცილებლობით მიდიოდნენ დოგმების უარყოფამდე“ (მელიქიშვილი 1999: XXXI).

ამდენად, როგორც შევნიშნეთ, ორიგინალური ეგზეგეტიკური თხზულებები ქართულში, გარდა მითითებულისა, არ გვაქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ სქოლიო-კომენტარებს, რომლებიც ზოგიერთი ხელნაწერის არმიებზე გვხვდება. სქოლიო-კომენტარები, ე. წ. „შეისწავებები“ ერთგვარი ტექნიკური ხერხია იმისთვის, რომ დამატებითი ინფორმაცია, სათქმელი დედნისეული ტექსტის შეუცვლელად გადმოიცეს. ბიბლიური წიგნებისა თუ წმიდა მამათა ნაშრომებისადმი ამგვარ დამოკიდებულებასაც თავისი ახსნა აქვს. ბიბლიის ღვთის სიტყვად მიჩნევა-გააზრება წარმოადგენდა ბიბლიის შინაარსის მისტერიალური ასპექტით განხილვის საფუძველს, რაც

თავისთავად მის შეცვლას (სიტყვათა და წინადადებათა წყობის თვალსაზრისითაც კი) დაუშვებელს ხდიდა არა მხოლოდ გადანერის, თარგმანის შემთხვევაშიც კი. „თარგმანი „მასვე და ერთსა უნდა ჰმეტყუელებდეს... და აქუნდეს ოდენ მოსწავება პირსა თითოეულისა სიტყვასა.“ ეს არის ბიბლიური წიგნების თარგმნის უმნიშვნელოვანესი თეოლოგიური პრინციპი, რომლის დაცვას, ზოგ შემთხვევაში, ენათა ინდივიდუალური ბუნება შეუძლებელს ხდის. ის, რაც ბერძნულისათვის და ებრაულისათვის ბუნებრივია, „არა უსაკუთრეს არს ქართულისათვის“ (დობორჯგინიძე 1998: 145). რაც შეეხება ნმიდა მამათა ნაშრომებს, ამ ნაშრომებისადმი დამოკიდებულება განისაზღვრებოდა დოგმატური საკითხების განუხრელი დაცვის აუცილებლობით. ეს პრინციპი დაედო საფუძვლად კატენურ კრებულებს, მათი შემდგენელების მიზანი პატრისტიკის ეგზეგეტიკური მემკვიდრეობის შენარჩუნება იყო. ხოლო ეს მემკვიდრეობა თავის მხრივ სავალდებულო ორიენტირი უნდა ყოფილიყო ბიბლიის კომენტატორთათვის. ამავე პრინციპით ხელმძღვანელობდნენ საღვთისმეტყველო ძეგლების მთარგმნელები, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ისინი არამცთუ ორიგინალურ ეგზეგეტიკურ თხზულებებს არ ქმნიან, თარგმანშიც კი ერიდებიან საკუთარი ნააზრების ჩართვას. ასე, მაგალითად: **ეკლესიასტეს განმარტებათა** გელათური ვერსია (ხელნაწერი A 61), რომელიც ვრცელი ეგზეგეტიკური, კატენური ტიპის თხზულებაა, შეიცავს მხოლოდ ერთ ჩანართს, რომელიც ორიგინალური ქართული წარმოშობისაა: „მამაჲ ეფთჳმე მთანმინდელი იტყჳს: ხოლო აღრჩევად სულისად ვნებულთა ნებათა სულისათა ვჰგონებ მე ყოფად“ (A 61; 106. I). ეს კომენტარი, რომელიც ძირითად ტექსტშია ჩართული, საფიქრებელია, რომ არშიაზე განთავსებული სქოლიო უნდა ყოფილიყო, რომლის ტექსტში ჩართვაც მოგვიანებით, გადანერისას მოხდა.

ამდენად, დავინახეთ, რომ ეგზეგეტიკური ჟანრის განვითარების ძირითადი წილი ბიზანტიურ მწერლობაში კლასიკურ პერიოდზე მოდის, მოგვიანო პერიოდის ძეგლების ავტორები შემოქმედებითობითა და აზროვნების სიღრმით აღარ გამოირჩევიან, ხოლო ქართულში ეს ჟანრი ორიგინალურ ნიადაგზე საერთოდ არ განვითარებულა, წარმოდგენილია ძირითადად ნათარგმნი ძეგლებით და ამ ჟანრის ნაწარმოების სრული ნიმუში მხოლოდ იოანე პეტრიწის სამწერლობო მემკვიდრეობაშია მოცემული **პროკლე დიადოხოსის კავშირის განმარტების** სახით. ამ გარემოებას ორგვარი ახსნა უნდა ჰქონდეს: 1. ქართულ მწერლობაში ეგზეგეტიკური ჟანრის ძეგლების ნაკლებობა განაპირობა იმავე მიზეზმა, რომელმაც ბიზანტიურ მწერლობაში ამ ჟანრის განვითარების შეფერხება გამოიწვია – უკვე შექმნილ ძეგლებზე და ავტორიტეტულ პერსონებზე ორიენტირება (ავტორიტეტის ცნება და როლი იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომ ზოგჯერ ნაკლებად ცნობილი მწერლები საკუთარ

ნაშრომებს ამგვარ ცნობილ ადამიანებს მიაწერდნენ ხოლმე). 2. ბიზანტიურ მწერლობაში ეგზეგეტიკური ჟანრის ძეგლების სიმრავლემ და თემატურმა მრავალფეროვნებამ ქართველ მთარგმნელ-მოღვაწეთა მთელი შემოქმედებითი პოტენციალი სწორედ მთარგმნელობითი საქმიანობისაკენ მიმართა და ამგვარად შეივსო ის ხარვეზი თუ ნაკლოვანება, რომელიც ამ თვალსაზრისით არსებობდა ქართულ სასულიერო მწერლობაში.

დამონმბანი:

ბეზარაშვილი 2004: ბეზარაშვილი, ქ. რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბ.: 2004.

დობორჯგინიძე 1998: დობორჯგინიძე, ნ. ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება და ძველი ქართული ლინგვისტური აზროვნების საკითხები; სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად., თბ.: 1998.

კეკელიძე 1972: კეკელიძე, კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ.: 1972.

კრუმბახერი 1912: K. Krumbacher. Die griechische Literatur des Mittelalters. Berlin, 1912

მელიქიშვილი 1999: მელიქიშვილი დ. იოანე პეტრინი, განმარტება პროკლე დიადოხოსის ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა, თბ.: 1999

შანიძე 1971: შანიძე, მ. ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანების ტექსტისათვის, თბ.: 1971

A 61 — ხელნაწერთა ეროვნული ფონდი

A 292 — ხელნაწერთა ეროვნული ფონდი

სოფიო მუჯირი

საქართველო, თბილისი

ინტერკულტურული ჰერმენევტიკა და თანამედროვე გერმანულენოვანი ლიტერატურა

„ნაციონალური ლიტერატურა ამჟამად ახალს ბევრს ვერაფერს გვეტყვის. ეხლა მსოფლიო ლიტერატურის დრო დგება და თითოეულმა იმისათვის უნდა ილვანოს, რომ დააჩქაროს ეს ეპოქა.“

იოჰან ვოლგანგ ფონ გოეთე.

ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციის და ევროპის პოლიტიკური ინტეგრაციის საუკუნეში, ჩვენი სულიერი, სამეცნიერო, პირადი კონტაქტების ინტერნაციონალიზაციის ეპოქაში, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც საკუთარი ეროვნული ფასეულობების მოფრთხილების, ასევე უცხო კულტურებისა და სოციალური კონვენციების გაგებისა და შესწავლის საკითხს. მე-20 საუკუნეში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და საზოგადოებრივმა ცვლილებებმა, სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა მასობრივმა მიგრაციამ, პოლიტიკურმა გადასახლებამ და რეპატრიაციამ წამოჭრა კულტურათა თანაცხოვრების, ურთიერთობისა და ინტეგრაციის პრობლემა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ინტერკულტურულ ლიტერატურაში და ამ ლიტერატურის თემატიკაში, განსაზღვრა მრავალი მწერლის შემოქმედებითი გზა. იმატა მწერალთა რაოდენობამ, რომლებიც დროებით ან მუდმივად ცხოვრობენ საზღვარგარეთ და ქმნიან ინტერკულტურულ ლიტერატურას უმთავრესად იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ისინი ცხოვრობენ. ინტერკულტურული ჰიპერიდენტიფიკაციის გზას დაადგა ბევრი სამშობლოში დარჩენილი მწერალიც, რომლებმაც თავი დააღწიეს ეთნოცენტრისტული ან სხვა თავსმოხვეული მონოკულტურული აზროვნების ზეგავლენას. მოვლენათა ამ კონტექსტში, ბოლო ათწლეულების მანძილზე, მკვეთრად გაიზარდა ინტერესი ინტერკულტურული ლიტერატურის მიმართ, რომლის უმთავრესი ამოცანაა ხელი შეუწყოს სხვადასხვა კულტურებში დამკვიდრებული ცხოვრების წესისა და ქცევის ნიმუშების რეფლექსიას და შეიმუშაოს სათანადო ალტერნატივები და რეკომენდაციები კულტურათა შორის დიალოგის დასაჩქარებლად. როგორც ეთნოცენტრიზმის გადალახვა, ასევე „უცხო“ ცნების მართებული გააზრება და უცხოობის პრობლემის დაძლევა დღეს მხოლოდ ენათა შორის დიალოგითაა შესაძლებელი, რომელშიც მედიატორის როლი იმ ქვეყნის ენას

ეკისრება, რომელზეც აქვეყნებენ თავიანთ ნაწარმოებებს სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

ინტერკულტურული ლიტერატურა, რომელიც ასახავს ერთი მხრივ, ფიქციურ, მეორე მხრივ კი, ჩვენი კულტურისა და ემპირიული რეალობისათვის „უცხო“ სამყაროს, გვაძლევს ამ უცხოთან ურთიერთობის, მისი ადეკვატური რეცეპციის და კრიტიკული რეფლექციის საშუალებას. ამ გაგებით, სიტყვაში „ინტერკულტურული“ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ცნება „ინტერ“ („შორის“), რადგან ეთნოცენტრისტულ პოლუსებს შორის დაძაბულობის მოხსნა და დიალოგის გამართვა, განსხვავებულ კულტურათა ურთიერთგაგება არის საწინდარი, ერთმანეთზე შექმნილი კლიშე-წარმოდგენების, სტერეოტიპების და მტრის ხატის დამსხვრევისა. ინტერკულტურულ ლიტერატურათმცოდნეობას განსაკუთრებული როლი და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება ყოფიერების ორი განსხვავებული სახის — ქრისტიანული დასავლეთისა და მუსულმანური აღმოსავლეთის პოლარიზების ელიმინაციაში. სწორედ ამიტომ, ინტერკულტურული ლიტერატურის სფეროში მოღვაწე მრავალი მეცნიერი „ინტერკულტურულის“ გაგების სხვადასხვა თეორიულ კონცეპტს გვთავაზობს, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია ჰ. ბჰაბჰას, ე.ვ. საიდის, ი. ჰაბერმასის, ჰ.გ. გადამერის, პ. ბრენერის, თ. ადორნოს, ვ. ბენჟამენის, ნ. მეკლენბერგის და ლ. კროტცერის ჰერმენევტიკული მოდელები.

ჩიკაგოს უნივერსიტეტში ინდური ლიტერატურის მკვლევარის, **ჰომი ბჰაბჰას** (ბრონფენი 1997: 1-29) თეორიული კონცეპციის მიხედვით, ცნება „ინტერკულტურული“ არ გულისხმობს ცალკეულ ჰომოგენურ კულტურათა შეხვედრასა და შერწყმას, რადგან, ერთი მხრივ, ყოველ ჰომოგენურ კულტურაში გვხვდება ოპოზიციურ განწყობათა და ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციათა გადაკვეთა, მეორე მხრივ კი, პოსტკოლონიალური სამყაროს წარმომადგენელთა და მიგრანტთა მთავარი თვისება და არსებობის წინაპირობა მათი ჰიბრიდულობაა. მაგალითად, თურქი ავტორი, რომელიც თავის ნაწარმოებებს გერმანულ ენაზე წერს, არც თურქული კულტურის ნამდვილი წარმომადგენელია და არც გერმანულ კულტურასთან მთლიანად ასიმილირებული ინდივიდი. მას გააჩნია მხოლოდ ჰიბრიდული იდენტურობა, რომელიც მან შეიძინა მისთვის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ელემენტების წარმოჩენის, მისი თურქული ცხოვრების წესის ხელახალი გააზრებისა და დეფინიციის საფუძველზე.

ამერიკაში მცხოვრები პალესტინელი კომპარატივისტის, **ედუარდ ვ. საიდის** გამოკვლევა: „ორიენტალიზმი. დასავლეთის კონცეფცია აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ“ (ჰოფმანი 2006: 32-34) გაცხოველებული დისკუსია გამოიწვია როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამ ქვეყნებზე შექმნილი სტერეოტიპების

კონფრონტაციის გამო. მუსულმანურ და ქრისტიანულ სამყაროებს შორის დაპირისპირების გამწვავება 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების, ასევე 2006 წლის დასაწყისში პრესაში მუსულმანური სინმინდებების კარიკატურების გამოქვეყნების შემდეგ, უკვე აღარ შეიძლება მხოლოდ აკადემიურ საკითხად მივიჩნიოთ. მსოფლიოში მშვიდობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შესძლებს ორივე მხარე ერთმანეთზე შექმნილი სტერეოტიპების დაძლევისა და კლიშე-წარმოდგენების შეცვლას. ინტერკულტურულ ლიტერატურას ამ კონფლიქტის მოგვარებაში შეუძლია თავისი ცივილური ფუნქციის შესრულება და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა. ამ კონტექსტში ინტერესს მოკლებული არ არის ე.ვ. საიდის მოსაზრება, რომელიც უკავშირდება „ორიენტზე“ გავრცელებული სტერეოტიპების დამსხვრევას. ე.ვ. საიდი აღნიშნავს, რომ ევროპელთა და ამერიკელთა მიერ აღმოსავლეთის ქვეყნების აღსანიშნავად გამოყენებული, განზოგადოებული ცნება: „ორიენტი“, სინამდვილეში მოიცავს განსხვავებული კულტურის მქონე სხვადასხვა ქვეყანას: მაროკოს, ავღანისტანს, ეგვიპტეს, ინდოეთს, ჩინეთს და ა.შ. მაგრამ, ევროპელებისა და ამერიკელებისათვის, ამ ქვეყნების გამაერთიანებელი და დისტინქტიური თვისება არის ევროპულ-ამერიკული კულტურისაგან მათი განსხვავებულობა. „ორიენტის“ ცნება არ ეფუძნება ემპირიულად ხელმოსაჭიდ გამოცდილებას. იგი მხოლოდ ბინარული ოპოზიციის აღმნიშვნელი კლიშე-კონსტრუქციაა, რომელიც ხაზს უსვამს ამერიკელთა და ევროპელთა უპირატესობას ჩამორჩენილ, თუმცა საინტერესო და ეგზოტიკურ ხალხებზე. ე.ვ. საიდი ებრძვის დიქტომიას ქრისტიანული და მუსულმანური პოლუსებით და თვლის, რომ მცდარია გავრცელებული წარმოდგენა ევროპის, როგორც რაციონალიზმის, ჰუმანიზმისა და განმანათლებლობის სიმბოლოს შესახებ. ამ წარმოდგენის თანახმად, პროგრესული და ინდუსტრიულად განვითარებული დასავლეთი მუდმივი ცვლილების პროცესშია, აგრესიული და ფუნდამენტალისტური აღმოსავლეთი კი პირიქით, უცვლელია და ჩამორჩენილობით ხასიათდება. ე.ვ. საიდი ცდილობს „ორიენტისა“, და „ოქსიდენტის“ კონფრონტაცია ისტორიულ რაკურსში განიხილოს. მას მაგალითად მოჰყავს ისტორიული მოდელები, რომლებიც ასახავენ ქრისტიანების მიერ მუსულმანების ჩაგვრას. ასეთებია: ევროპელთა მიერ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების კოლონიზაცია, ქრისტიანული ომები ქრიასტიან რაინდებსა და მუსულმანებს შორის, ნაპოლეონის დამპყრობლური ომები, ნეოკოლონიზაციის ხანა და ა.შ. ე.ვ. საიდი მიდის დასკვნამდე, რომ ლიტერატურამ და ხელოვნებამ უნდა შეიმუშაოს ოპოზიციური კონცეფციებისაგან თავისუფალი იდენტობის მოდელი. ინტერკულტურულმა ლიტერატურამ გვერდი არ უნდა აუაროს ძალაუფლებისა და კულტურის ნეგატიური სიმბიოზის, ევროპელთა და ამერიკელთა მსოფლიოში დომინანტობის საკითხს და მათ მიერ „უცხოზე“ შექმნილ დამამცირებელ სტერეოტიპებს.

გერმანისტმა **ანდრეა პოლაშეგმა** თავის დისერტაციაში (პოლაშეგი 2005: 28-38) გააკრიტიკა ე.ვ. საიდის მიერ ცალმხრივად წარმოჩენილი კვლევა, რომელიც არ ითვალისწინებს ისეთ ისტორიულ ფაქტებს, როგორცაა: ისლამური ხალიფატის ბატონობა ესპანეთსა და სიცილიაში, ბიზანტიისა და მონღოლთა იმპერიები, მოგოლთა ბატონობა ინდოეთში და ა.შ. ორიენტის, როგორც “უცხო” დამახინჯებული აღქმა, არ წარმოადგენს ყველა ევროპელის დამახასიათებელ თვისებას. აღმოსავლეთის ქვეყნებში ამერიკელებსა და ევროპელებზე ასევეა შექმნილი კლიშეები, რომლებიც მათ ახასიათებენ როგორც ფულზე და მატერიალურზე ორიენტირებულ, არარელიგიურ და აღვირახსნილ ადამიანებს. რაც შეეხება „კულტურათა დიალოგის“ ძალაუფლებით დეტერმინაციისა და მართვის საკითხს, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული „უცხო“ პრობლემის გადაჭრა, ინტერკულტურულმა ლიტერატურამ არ უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ უნივერსალისტური ჰერმენევტიკის პოსტულატით. ამ პოსტულატის თანახმად, ევროპული კულტურის ძირითად ღირებულებებს: განმანათლებლობას, ჰუმანიზმსა და ტოლერანტობას მსოფლიოს ხალხებზე უნივერსალური ზემოქმედების უნარი აქვთ და ამიტომ „უცხო“ გაგებაც უნივერსალისტურ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს. ა. პოლაშეგის აზრით, უნივერსალისტური კონცეფციის ზემოაღნიშნული პოსტულატის კრიტიკული რეფლექსია სამწუხაროდ, ხშირად იდეოლოგიური დებატების მიღმა რჩება.

ალაიზ ვირლახერი (ვირლახერი 1990: 51-79) ცდილობს ჩანვდეს „უცხო ფენომენს მისივე უცხოობაში“. ტრადიციული ჰერმენევტიკის ცალმხრივობის დაძლევის ერთ-ერთ გზად ა. ვირლახერს მიაჩნია ტექსტის „უცხო“ პერსპექტივით კითხვა, „უცხო“ იდენტობის რეცეპცია და როლური თამაშების გამოყენება.

კრიტიკული თეორიის მიმდევარი **იურგენ ჰაბერმასი** (ჰოფმანი 2006: 40) თვლის, რომ სამყარო კულტურათა კომუნიკაციისა და ურთიერთგაგების ბაზისია, მაგრამ თუ ინტერკულტურულ კონსტელაციებს არაფერი აქვთ საერთო ტრადიციულ ან ისტორიულ ასპექტში, მაშინ ინტერკულტურული ჰერმენევტიკა ვერ შესძლებს „უცხო“ გაგების მოდელის შექმნას და ეს ფაქტი პირველ რიგში ა. ვირლახერის კონცეფციის საწინააღმდეგოდ მეტყველებს. ასეთ შემთხვევაში ინტერკულტურული ჰერმენევტიკა უნდა დაეყრდნოს ყველა კულტურისათვის საერთო თემატიკას, როგორცაა: დაბადება და სიკვდილი, სიყვარული და სიძულვილი, ახალგაზრდობა და სიბერე და სხვ.

ჰანს გეორგ გადამერი (გადამერი 1975: 279) თავის წიგნში: „სინამდვილე და მეთოდი“ გვთავაზობს პოსტულატს ტექსტის ორმხრივი გაგების შესახებ, რაც გულისხმობს მკითხველისა და ტექსტის (ავტორის) ჰორიზონტთა შერწყმას, მათ შორის თანხმობას, რასაც შედეგად მოსდევს „უცხო“ გათავისება.

პეტერ ბრენერი (ჰოფმანი 2006: 40-41) ყურადღებას ამახვილებს კულტურის რელატივისტურ და უნივერსალისტურ მიმდინარეობებს შორის არსებულ დაძაბულობაზე და აღნიშნავს, რომ ერთი მხრივ, უნივერსალისტური ნორმები ჰუმანიზმის ფასეულობათა შკალას ქმნიან. მათზე დაყრდნობით შესაძლებელია განსხვავებულ კულტურათა კომუნიკაცია, მაგრამ უნივერსალისტები ევროპული განმანათლებლობისა და ჰუმანიზმის ფასეულობებს თავს ახვევენ არაევროპულ კულტურებს და ამ ხერხით ცდილობენ მათზე ზეგავლენის მოხდენას. მეორე მხრივ, კულტურის რელატივისტურ მიმდინარეობას აქცენტი გადააქვს არა იმდენად „უცხო“ გაგებაზე, რამდენადაც კულტურათა დისტინქტური მახასიათებლების და განვითარების სპეციფიკური თავისებურებების იმპლიკაციაზე. პ. ბრენერს მიაჩნია, რომ გავრცელებული წარმოდგენა, თითქოსდა განსხვავებულ კულტურებს ბევრი რამ აქვთ საერთო და მსგავსი, სინამდვილეში აიხსნება იმ ფაქტით, რომ მე-19 საუკუნეში, კოლონიზაციისა და იმპერიალიზმის ხანაში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ევროპის გაბატონებამ უნივერსალისტური აზროვნების წესი დაამკვიდრა. დღეს, გლობალიზაციის ეპოქაშიც არსებობს იმის საშიშროება, რომ ევროპულ-ამერიკული კულტურის ელემენტები ჩავთვალთ საერთო ანთროპოლოგიურ კონსტანტებად. ამის გამო ინტერკულტურულ ჰერმენევტიკაში პრობლემატურია ანთროპოლოგიური ღირებულებებისა და „საერთო კულტურული თემების“ გამოყენების საკითხი. „უცხო“ გაგების პირობაა ადამიანის არსებობის კულტურულად განსხვავებული პირობების, მისი კულტურის სპეციფიკის აღქმა-გაგება. ინტერკულტურული ჰერმენევტიკის პრობლემა პ. ბრენერის აზრით, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ცდილობს ევროპული ტრადიციების გენერალიზაციას და საკუთარი კულტურის მახასიათებლების გადატანას ემპირიულიდან ტრანსცენდენტალურ დონეზე. ინტერკულტურული ჰერმენევტიკა, რომელიც ფაქტიურად „უცხო“ ჰერმენევტიკას წარმოადგენს, ევროპელთა თვისებებსა და ქცევის ნორმებს საყოველთაო ადამიანურ თვისებებად და ნორმებად აცხადებს.

ჰერმენევტიკის პრობლემატიკასთან დაკავშირებული მომდევნო მოსაზრება წამოაყენა თეოლოგმა **ჰანს კიუნგმა**, რომელიც სხვადასხვა რელიგიაში ეძებს მსოფლიო მორალს და ჰუმანიზმის მოდელს. პ. კიუნგის მსგავსად, 2006 წ. ესენის კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტში წამოწყებული „ჰუმანიზმის პროექტის“ ავტორებიც მოგვიწოდებენ ჰუმანიზმის მოდელის ორმხრივი აღიარებისაკენ. მათი აზრით, კულტურათა შორის ომის თავიდან აცილება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ პატივს ვცემთ სხვადასხვა კულტურათა თავისებურებებს, თანაარსებობის ძირითადი ნორმების დაცვით (ჰოფმანი 2006: 42).

ვალტერ ბენჯამენი და თეოდორ ადორნო (ადორნო 1966:192) ყურადღებას ამახვილებენ ძალაუფლების მჭიდრო კავშირზე კულტურასთან და ასეთი კულტურული კონსტელაციის ნეგატიურ შედეგებზე. ამის ნიმუშად ისინი მიიჩნევენ ნაციონალ-სოციალისტების კულტურას, რომელიც მიზნად ისახავდა ხალხთა დაპყრობასა და დაჩაგვრას. კაცობრიობის ისტორიაში კულტურათა აყვავება ხშირად უკავშირდებოდა სხვა კულტურათა დამონებას, მაგ. ცნობილია რომაელთა მიერ სხვა ეთნიკური ჯგუფების დამორჩილება, „ახალი სამყაროს“ დაპყრობა ესპანელთა და სხვა ევროპელთა მიერ, ნაპოლეონის დამპყრობლური ომები და ა.შ. მეოცე საუკუნის ისტორიულ პროცესებში შეინიშნება არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების დაპყრობის, არამედ ქვეყანაში მცხოვრები ცალკეული ეთნოსების განადგურების ტენდენცია. ამიტომ ინტერკულტურულმა ლიტერატურამ უნდა გააცნობიეროს თავისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური პასუხისმგებლობა ძალაუფლებისა და კულტურის მონოპოლიზაციასთან მიმართებაში.

ნორბერტ მეკლენბურგი თხზულებაში: „კულტურული და პოეტური უცხოობის შესახებ“ (მეკლენბურგი 1990:80-102) უნდობლობას უცხადებს უნივერსალისტურ პერსპექტივას, რომელიც უგულვებელყოფს უცხო კულტურათა გამოცდილებას. ამ გამოცდილების გაზიარება განაპირობებს ევროპული მოდერნიზაციის პროცესის დეფიციტების რეფლექსიას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მე-20 საუკუნის ინტერკულტურული ლიტერატურისათვის. კულტურის უნივერსალისტური თეორიის შედეგია მთელი რიგი „არაევროპული და არათანამედროვე“ თემების იგნორირება, როგორცაა: ბუნებასთან სიახლოვე, გრძნობათა სამყარო, საკვების მომზადების რიტუალი, პატრიარქალური ოჯახის ფენომენი და სხვ. თუმცა, სწორედ არათანამედროვე ცხოვრების ფორმების რეფლექსიის შედეგად არის შესაძლებელი თანამედროვე კულტურისათვის ალტერნატიული პერსპექტივების დასახვა, რადგან უცხო კულტურის რეფლექსია იმის წინაპირობაა, რომ მსგავსისა და ნაცნობის ფონზე უკეთესად შევიცნოთ განსხვავებული. შეიძლება „უცხო“ აღქმა-გაგებას ყოველთვის ვერ შევძლოთ, მაგრამ უნდა შევეცადოთ ეს ფენომენი განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობის კონტექსტში ავხსნათ.

ლეო კროიტცერის (კროიტცერი 1996: 591-599) კონცეფციის მიხედვით, ინტერკულტურული ლიტერატურათმცოდნეობა წარმოადგენს განვითარებად, კომპარატივისტულ კვლევას, რომლის მიზანია ლიტერატურაში ასახული მოდერნიზაციის სხვადასხვაგვარი გამოცდილების აღწერა. მაგ. თურქი წარმომავლობის გერმანელი მწერლის გამოცდილების რეცეპციამ შესაძლოა გაამდიდროს ევროპელი მკითხველის გამოცდილება და თეზაურუსი, დააჩქაროს მისი მოდერნიზებული სამყაროს კრიტიკული შეფასება. თანამედროვე ინტერკულტურულმა ლიტერატურამ საკუთარი და უცხო

სამყაროების შედარების ბაზაზე უნდა დაიწყოს დისკუსია მოდერნიზაციის პროცესის გაუმჯობესებისა და გლობალიზებული სამყაროს უკეთ მოწყობის შესახებ. თუ ინტერკულტურულობა იმშნავს “უცხო” გამოცდილების იმპლიკაციას, მაშინ ისმის კითხვა, თუ რომელი ლიტერატურული საშუალებებითაა შესაძლებელი ასეთი გამოცდილების გამოხატვა და მისი რეცეპცია. ლ. კროტცერი ასეთ ლიტერატურულ საშუალებებად თვლის: სატირას, პაროდias, გროტესკს, კომედიას და ტრაგედიას. ინტერკულტურულ სფეროში სხვადასხვა კულტურული პერსპექტივის კონფრონტაციის დროს კონტრასტისა და გაუცხოების ეს ფენომენები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება.

ინტერკულტურული ლიტერატურის არაგერმანული წარმოშობის ავტორები წერენ მათთვის არამშობლიურ გერმანულ ენაზე, რომელიც მათი მშობლიური კულტურის (თურქული, იტალიური, ჩეხური, და სხვ.) ექოს აჟღერებს. მათ მშობლიურ და გერმანულ ენას შორის გაბმულია ერთგვარი შინაგანი მონოლოგი, რომელიც მშობლიურ კულტურას ეფუძნება და გერმანული მკითხველისათვის უცხო სამყაროს აღწერას ეძღვნება. ეს მწერლები აყალიბებენ ინტერკულტურულ აზროვნებას, რომელიც მოიცავს როგორც მშობლიური, ასევე უცხო კულტურის ფასეულობებს, აზროვნების თავისებურებებს, კომუნიკაციისა და ცხოვრების სტილს, ქცევის კონვენციებს, ენობრივ და ვიზუალურ სიმბოლოებს და სხვ. თანამედროვე გერმანული ინტერკულტურული ლიტერატურის ავტორები ქმნიან „მომავლის ენას“, რომელიც შეიცავს ან მათი მშობლიური ენისათვის ტიპურ ლექსიკას, ან გერმანულ სიტყვებს არაგერმანული კონოტაციებით, რომლებიც უკეთ გამოხატავენ ავტორის ჩანაფიქრს. ინტერკულტურული ნაწარმოების ენაში ხშირად გვხვდება ომონიმები — ფორმით იდენტური, მშობლიური და უცხო ენის სიტყვები, რომლებსაც ორივე ენაში განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ. მათ ავტორი ოსტატურად იყენებს მკითხველის დასაინტერესებლად იუომისტული და ემოციური ეფექტების შესაქმნელად. შესაძლოა, ეს ყოველივე სხვადასხვა მენტალიტეტებს შორის ზღვარის მოშლის, გერმანულ მკითხველთან ინტერკულტურული დიალოგის გამართვის საშუალებაა.

დამონმებანი:

ადორნო 1966: Adorno Th. Negative Dialektik. Frankfurt am Main, 1966.

ბრონფენ 1997: Bronfen E./Benjamin M. Hybride Kulturen. Einleitung zur anglo-amerikanischen Multikulturalismusdebatte. In: Therese Steffen (Hrsg.): Hybride Kulturen. Beiträge zur anglo-amerikanischen Multikulturalismusdebatte. Tübingen, 1997.

გადამერი 1975: Gadamer H.G. Wahrheit und Methode. Grundzüge einer philosophischen Hermeneutik. 4. Auflage, Tübingen, 1975.

- ვირლახერი 1990:** Wierlacher A. Mit fremden Augen oder Fremdheit als Ferment. Überlegungen zur Begründung einer interkulturellen Hermeneutik deutscher Literatur (1983). In: Dietrich Krusche A.W.(Hrsg.):Hermeneutik der Fremde.München 1990.
- კროიტცერი 1996:** Kreuzer L. Eigensinn und Geschichte. Überlegungen zu einer Literaturwissenschaft als interkultureller Entwicklungsforschung.In: Danneberg L. Vollhardt Fr. (Hrsg.): Wie international ist die Literaturwissenschaft? Methoden-und Theoriediskussion in den Literaturwissenschaften: kulturelle Besonderheiten und interkultureller Austausch am Beispiel des Interpretationsproblems (1950-1990). In Zusammenarbeit mit Böhme H. und Schönert J. Stuttgart-Weimar 1996.
- მეკლენბურგი 1990:** Mecklenburg N. Über kulturelle und poetische Alterität. Kultur-und literaturtheoretische Grundprobleme einer interkulturellen Germanistik.In: Krusche D.Wierlacher A.(Hrsg.):Hermeneutik der Fremde, München,1990.
- პოლასეგი 2005:** Polaschegg A. Der andere Orientalismus. Regeln deutsch-morgenländischen Imagination im 19. Jahrhundert. Berlin-New York 2005.
- ჰოფმანი 2006:** Hofmann M. Interkulturelle Literaturwissenschaft: Wilhelm Fink Verlag, Paderborn, 2006.

მაგდა მჭედლიძე

საქართველო, თბილისი

პოლიტიკური კომედიის ჟანრი და დემოკრატია

კარგი იქნებოდა, ქართულ თეატრში თანამედროვე პოლიტიკოსთა ანუ ხალხის მსახურთა შესახებ კომედია დაგვედგა. მეტი კომიკური ეფექტისათვის მოქმედება შეიძლება სხვა ქვეყანაში და სხვა ეპოქაში, მაგალითად, ძველ ათენში გადავიტანოთ (ანუ მივმართოთ ჩვეულ კომიკურ ხერხს: კარგად ნაცნობი სიტუაციის უცხო გარემოში გადატანას), შესაბამისად, ქიტონებსა და ჰიმატიონებსში გამოიყობილნი წარმოგვიდგებიან მოქმედი პირებიც (ანუ ჩვენთვის კარგად ნაცნობი პოლიტიკური ფიგურები ჩვენთვის კარგად ნაცნობი ფრაზებით), ხალხს პერსონიფიცირებული დემოსი განასახიერებს. კომედიის სიუჟეტი შესაძლებელია აგებული იყოს ხალხის-დემოსის მსახურობაზე პრეტენზიის მქონე პერსონათა ურთიერთდაპირისპირებაზე, დაახლოებით ასეთი პერიპეტეებით: დემოს-ბატონის ორი ძველი მსახური ახალს დაუჩაგრავს. დაჩაგრულთაგან ერთ-ერთში ჩვენ იმ მსახურს შევიცნობთ, რომელმაც თავის დროზე, ხალხის მიერ არჩეულმა, მისთვის დაკისრებული დიდმნიშვნელოვანი საქმის ხელმძღვანელობა თავისივე ნებით საძულველ მეტოქეს გადააბარა იმ იმედით, რომ იგი ჩაფლავდებოდა, მაგრამ მოხდა პირიქით: მეტოქემ საქმეს თავი წარმატებით გაართვა, რის გამოც დემოსმა იგი აღაზევა და ახლა სწორედ ის ჩაგრავს ძველ მსახურებს. აი, როგორ იხსენიებენ ეს უკანასკნელნი თავიანთ ბატონს ზურგს უკან: „ბატონად გვყავს ერთი ტეტია მოხუცი, ლობიოს მოყვარე, ანჩხლი, ფხუკიანი, გამოყრუებული დემოსი...“ მსახურები ჩივიან, რომ მათ მიერ დემოს-ბატონისათვის განეულ სამსახურს ახალი გაიძვერა მსახური თავის თავზე მიიწერს: იგი „...ბატონს შეუძვრა, დაუნყოფერება, ლიქნა და ლაქუცი, თავბრუ დაახვია... თუ ჩვენ ვავამზადეთ რაიმე, მოგვტაცებს და ბატონს მიართმევს...“ რა გამოსავალი აქვთ დემოსისგან მოძულეებულ ძველ მსახურებს ამ სიტუაციაში? ერთადერთი: ახლანდელი ფავორიტი უნდა დაამზონ, თანაც, რაკი თავად დისკრედიტებული არიან, ამ გაიძვერას რომ აჯობოს, ვინმე მასზე უარესი უნდა მოძებნონ. მართლაც მოძებნიან ასეთს და დაიყოლიებენ შემდეგი მოტივით: „ხალხზე ბატონობას არც განათლებული, არც პატიოსანი კაცი არ სჭირდება, მხოლოდ უმეცარი და უსაზიზღრესი... დაშაქრულ სიტყვებით დაატკებ დემოსი. დემაგოგობისათვის რაც არის საჭირო, შენ ყველაფერი გაქვს: ეს ხმა საშინელი, ბაზრული აღზრდა...“. მაგრამ ვინ დაუჭერს მხარს ასეთ კაცს? ვინ და, ყველა „ღირსეული... წესიერი“ მოქალაქე, რომლებიც აღზევებულ მსახურს ვერ იტანენ. ისინი ნიშნისმოგებით მიმართავენ მას: „... ახლა სხვა გამოჩნდა, შენზე ბევრად საზიზღარი... ცხადი არის, დაგამოხმებს და დაგამარცხებს

ყველაფრით: თაღლითობით, თავხედობით, ეშმაკობით, სიცრუით... არსებობს ქვეყნად... უტიფარზე უტიფარი სიტყვაც..." მართლაც იმართება დებატები ორ კანდიდატს შორის ანუ დემოს ბატონის ამჟამინდელ მთავარ მსახურსა და ამ ადგილის პრეტენდენტს შორის, რომლის დროსაც ისინი ერთმანეთს ურთიერთშეურაცხყოფაში, ურთიერთბრალდებებსა და, რაც მთავარია, დემოსის პირფერობაში ეჯობებინან. მაგ., თუკი მთავარი მსახური ბატონს ზურგს უკან „ჭკუათხელ დემოსად“ იხსენიებდა, ახლა უკვე მის მიმართ ასე აპელირებს: „შენ გამო მირტყამენ ესენიც და ისინიც... მიტომ, რომ მიყვარხარ და შენზე ვკიჟდები!“ ორი კანდიდატი ერთმანეთს ეჯობება ასევე დემოსისათვის ფანტასტიკური დაპირებების მიცემაში და ისიც დიდად ნასიამოვნები უსმენს... აქ მოქალაქეების ერთი გუნდისაგან ასეთი სიტყვები გაისმის: „დემოს, საოცარია შენი ძალაუფლება, შენი, როგორც ტირანის, ეშინია ყველას, იოლად კი ბრყევდები, გიყვარს, რომ გატყუებენ, ანდა გელიქნებიან; სულელივით უყურებ ყველას პირდაპირნილი, გონება კი გტოვებს“. თუმცა დემოსის საქმე არც მთლად უიმედოა. აი, რას ვისმენთ უცებ მისგან: „მაგათ, ყველას, მიყურეთ, ეშმაკობით ვაჯობებ, თუმცა კი აქვთ ჭკუაში გაცურება ჩემი... მუდამ თვალყურს ვადევნებ ჩუმად, თითქოს ვერ ვხედავ, რომ ყველაფერს მპარავენ, სულ ამოვანთხევიან, რაც კი მოუპარავთ მათ...“ და აი, ძველი მსახურის კორუფციასზე თვალახელილი დემოსი უპირატესობას ახალ კანდიდატს ანიჭებს იმ იმედით, რომ სწორედ ის მოემსახურება მას ერთგულად და წესიერად (?). ძველი მსახურები სასწრაფოდ შემოეხვევიან დემოსის ახალ რჩეულს და მისთვის განუელი სამსახურის სანაცვლოდ თანამდებობებს ითხოვენ... ახალი მსახური მართლაც კეთილსინდისიერად შეუდგება თავის საქმეს, დემოსი გონზე მოსული და განახლებულ-გაახალგაზრდავებულია, ყველა იმედით შეჰყურებს მომავალს... დამხობილ მსახურს ქუჩაში მიაბრძანებენ, სწორედ იმ ადგილს მიუჩენენ, სადაც ადრე ამჟამინდელი მსახური საქმიანობდა (ანუ დემოსის ძველი და ახალი ფავორიტები ერთმანეთს ადგილს უცვლიან)...

ამგვარი კომედიის აქტუალობა ეჭვგარეშეა და, შესაბამისად, კომიკური ეფექტიც გარანტირებული... თუმცა ბევრი მკითხველი, რასაკვირველია, მიხვდა, რომ ეს სულაც არ არის ახალი კომედია, მეტიც — ეს უძველესი კომედიაა, რომლის მოქმედება მართლაც (და არა — ვითომ) ოცდახუთი საუკუნის წინანდელ ათენში ვითარდება და რომლის ავტორი კომედიის მამად მიჩნეული არისტოფანეა.

„მხედრების“ სიუჟეტი ჩვენ ძალიან ზოგადად გადმოვეციით (ციტირებულია პასაჟები: 40-44; 45-49; 53-55; 192-194; 216-219; 328-333; 384-386; 395-396; 730-732; 1111-1121; 1142-1150 ლევან ბერძენიშვილის თარგმანით), თუმცა კომედიის მთელი რიგი დეტალები ჩვენს დღევანდლობასთან კიდევ არაერთი ანალოგიის საბაზს გვაძლევს. ამ თვალსაზრისით იგივე შეიძლება ითქვას

არისტოფანეს სხვა კომედიების შესახებაც, მაგრამ თავად არისტოფანეს ფენომენს ანალოგი არა აქვს: წარმოუდგენლადაც კი გვეჩვენება, ხელისუფალზე რომ არაფერი ვთქვათ (არისტოფანეს დაცინვის ობიექტები ხომ მისი თანამედროვე გავლენიანი პოლიტიკური ლიდერები არიან*), ზოგადად, ხალხის და დემოკრატიული სისტემის ასე გამასხარავება.

ჩვენი დღევანდელი ყოფა, შეიძლება ითქვას, ზღვა მასალას ვეთავაზობს დრამატული კომედიისათვის. მართლაც იდგმება ყოფითი კომედიური სპექტაკლები, ტელესერიალებიც. ტელესივრცე გადასებულა მასხარაობაზე, ოხუნჯობაზე აგებული შოუებით, მათ შორის, პოლიტიკურ ფიგურებსა თუ მოვლენებზე; ამისათვის გამოყენებულია მრავალი კომიკური საშუალება, მათ შორის, ბალაგანისა და არქაული კომედიისათვის დამახასიათებელი: პუბლიკის დაცინვა მსმენელისაკენ პირდაპირ თითის გაშვერით (მაგ., *კომედი შოუში*, სადაც მოწვეულ სტუმრებს დასცინიან); რეალურ ადამიანსა და პერსონაჟს შორის მკვეთრი ზღვარის არარსებობა (დღეს ამას ასეთი ფორმა აქვს: ცნობილი პიროვნებები ხშირად ან თავადვე მონაწილეობენ ტელედადგმებში გამოგონილ პერსონაჟებთან ერთად ან მათ ტელეფონით ელაპარაკება პერსონაჟი, ცხოველური ნიღბები (ვირი სანდრო), უხამსობები... ნამდვილად არ იგრძნობა პოლიტიკურ მოვლენებზე სხვადასხვა სახის სახუმარო რეპლიკების ნაკლებობა, მაგრამ არ ჩანს პოლიტიკური კომედიები: ტელეეკრანებიდან გაქრა სიუჟეტის მქონე იმ ტიპის მცირე კომედიებიც კი, როგორც იყო „დიდების ზღაპარი“, „დარღუბლა“ ან „ჩვენი ეზო“. არადა, სწორედ დრამატული ქარგა აძლევს კომედიოგრაფს საუკეთესო შესაძლებლობას (თუნდაც ფანტასმაგორიის ფორმით, ჰიპერბოლიზების, გროტესკისა თუ სხვა მხატვრული ხერხების გამოყენებით) მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სიღრმისეული გააზრების შედეგად მოვლენა დინამიკაში, ლოგიკურ განვითარებასა თუ პერსპექტივაში დაგვანახოს. ვერ ვიტყვი, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, განსაკუთრებით კი პრესა, მიუხედავად ყველაფრისა, სიტყვის თავისუფლების რეალიზაციას ვერ ახდენდნენ (ზოგჯერ შეიძლება ეს თავისუფლება თავგასულობაშიც კი გადადიოდეს). მაშ, რატომ ტოვებს მხატვრული შემოქმედება პოლიტიკური შეზღუდულობის შთაბეჭდილებას?

* „მხედრებში“, მაგალითად, დემოსის საყვარელი მსახურის პროტოტიპი კლეონია, დაჩაგრული მსახურებისა კი — ნიკიასი და დემოსთენე. მიუხედავად იმისა, რომ ხალხის მიერ იყო სტრატეგოსად არჩეული, ნიკიასმა მტერთან გამამყვეტ ბრძოლაში სარდლობა მისთვის საძულველ კლეონს დაუთმო ამ უკანასკნელის კრახის იმედით, მაგრამ ამით შესაძლებლობა მისცა მას ბრწყინვალე გამარჯვება მოეპოვებინა და ხალხის ფავორიტად ქცეულიყო; თუმცა დემოსთენე აცხადებდა, რომ ეს გამარჯვება სინამდვილეში მისი დამსახურება იყო, რომელიც კლეონმა თავის თავზე მიიწერა.

სწორედ ამ გადასახედიდან იწვევს ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს ძველი ატიკური კომედია, სადაც „სიტყვის თავისუფლება ისეთ საგნებზე და მოვლენებზეც ვრცელდება, რომლებიც ყველაზე თავისუფალ კონსტიტუციებშიც კი ტაბუირებულია“ (იეგერი 2001: 420). აქედან გამომდინარე დგება ამ კომედიის დემოკრატიასთან მიმართების საკითხი: მაინც, რა განსაკუთრებული პირობები იყო შექმნილი ათენში შემოქმედებითი თავისუფლებისათვის? რატომ იწყნარებდა დემოკრატიული რეჟიმი პოეტი-კომედიოგრაფის — არისტოფანეს კრიტიკულ პათოსს, მაშინ, როდესაც მისი თანამედროვე ფილოსოფოსი სოკრატე თავისუფალი აზროვნებისათვის სწორედ ამ რეჟიმმა სიკვდილით დასაჯა?

ათენის დემოკრატია, სარკე ჩვენი დემოკრატიისა — ასეთი სათაური აქვს ერთ თანამედროვე სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომს (დიუფერენი 1994), რომელშიც ათენის სახელმწიფო კანონები და ვითარება თანამედროვე დემოკრატიული თვალთახედვით განიხილება (ანტიკური საბერძნეთის მიმართ მსგავსი ინტერესი სოციოლოგურ კვლევებში განსაკუთრებით საგრძნობია). თავად ათენის დემოკრატიული სახელმწიფოს სარკედ კი, საერთო აღიარებით, სწორედ კომედია გვევლინება (კერძოდ, არისტოფანეს კომედიები, რაკი სრული სახით მხოლოდ მათ მოაღწიეს ჩვენამდე), რამდენადაც კომედიის ჟანრი ეპოქალურ მოვლენებსა და იდეებს თანამედროვე ცხოვრებაზე მათი ზემოქმედებით, თანამედროვეთა ცოცხალი აღქმით წარმოგვიდგენს.

მართლაც რომ სარკესავით არის არეკლილი ჩვენთვის კარგად ნაცნობი (როგორც სამამულო, ისე საერთაშორისო მასშტაბით) რეალობანი ძველ ათენში: სახელმწიფო მონყობის (*პოლიტიის*) საკითხის აქტუალობა; ოფიციალურად სწორედ პოლიტიასთან დაკავშირებული მსოფლმხედველობრივი ურთიერთშეთავსებლობა იქნა დასახელებული ათენისა და სპარტის სამხედრო კავშირებს შორის დაწყებული ომის (ე. წ. პელოპონესის ომის) მიზეზად (ბერძნულ პოლისებში დემოკრატიული თუ ანტიდემოკრატიული სახელმწიფო გადატრიალებები, შესაბამისად, ან ათენის, ან სპარტის აქტიური მხარდაჭერით ხორციელდებოდა); სახეზეა ომის მდგომარეობისათვის დამახასიათებელი ეგზალტაცია და უკულმართობანიც (მაგალითად, „სიტყვების მნიშვნელობებიც კი შეიცვალა: დაუფიქრებელი სითამამე ვაჟკაცობად იწოდებოდა, წინდახედული სიფრთხილე — ლაჩრობად...“ თუკიდდე, *ისტორია*: III, 82); მიუხედავად საომარი ვითარებისა, საგულისხმოა, საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი აღზრდის პრობლემებისადმი. დემოკრატიის სიკეთესთან ერთად თავს იჩენს მისი თანმხლები უარყოფითი მხარეებიც: მაგ., მდიდარი მოქალაქეებისათვის სახელმწიფოსაგან თანხების „შენერა“ სამხედრო საჭიროებებისათვის (*ტრიერარქია*), სანახაობებისათვის (კერძოდ, თეატრალური წარმოდგენებისათვის — *ქორეგია*), *სიკოფანტია* (საზოგადოებრივი დამსმენების მიერ მდიდარ მოქალაქეთა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში მხილება და სანაცვლოდ მათ

მიერ სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდილი ჯარიმიდან წილის მიღება)...

ყველაფერი ეს აისახება კომედიაში და საგანი ხდება კომიზმისა, რაც, სოციოლოგების დაკვირვებით, საზოგადოდ დამახასიათებელია პოლიტიკური, კულტურული და ზნეობრივი ქაოსით წარმოშობილი ნეკროზისათვის, საგანგაშო მდგომარეობისათვის, ინტელექტუალური რევოლუციისათვის... (რენო 2006).

სიცილი, როგორც ცნობილია, არისტოტელემ ადამიანის განმსაზღვრელ თვისებად აღიარა (*De partibus animalium*: III, 10, 673 ა 8, 28) და, ამგვარად, იგი, ვ. იეგერის მართებული შეფასებით, აზროვნებასა და მეტყველებასთან ერთად თავისუფალი სულის გამოხატულებად მოიაზრა (იეგერი 2001: 414-415). ცხადია, სიცილი, ისევე როგორც მეტყველება და გონება, ადამიანის სიკეთის მაჩვენებელიც შეიძლება იყოს და ბოროტებისაც, სიბრძნისაც და სიბრყივისაც, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში იგი თავისუფალი რეაქციაა ამა თუ იმ სახის შეუსაბამობაზე. აქედან გამომდინარე, სიცილის თავისუფლება სიტყვისა და აზრის თავისუფლების დემოკრატიული პრინციპების ერთგვარი პრაქტიკული რეალიზაციაა (ცხადია, პიროვნების პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის გათვალისწინებით).

სწორედ სიცილის თავისუფლების დემოკრატიასთან მიმართების თვალსაზრისით განვიხილავთ ამჯერად არისტოფანეს ფენომენს. ამ საკითხს ორი ასპექტი აქვს: ერთი — ეს არის არისტოფანეს მიერ დემოკრატიული პოლისის ცხოვრების კომიკურად წარმოდგენა, ხოლო მეორე — თავად პოლისის პოზიცია კომედიური წარმოდგენის მიმართ.

არისტოფანეს კომედიების შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს: ო. მ. ფრეიდენბერგი, მაგალითად, თვლიდა, რომ არქაული კომედია, რომელიც დიონისური დღესასწაულებიდან წარმოიშვა (განმაქიქებელი იამბი მნიშვნელოვანი ელემენტია ამ დღესასწაულებისა, ასევე — წმინდასა და სათაყვანოს კომიკური სახით წარმოდგენა), რიტუალის კონტექსტში უნდა მოვიაზროთ და არავითარი იდეურობა მასში არ უნდა ვეძიოთ, რომ მისი მიზანი სიცილია და სხვა არაფერი (ფრეიდენბერგი 1998: 345-371). მეცნიერი აღიარებს ანტიკური კომიკური პლანის შემეცნებით ფუნქციას, მაგრამ არ ცნობს მის პოლიტიკურ მიზანდასახულობას. თავის მსჯელობას იგი ამგვარად აყალიბებს: სამყარო ადამიანს ორი რიგის მოვლენებით წარმოუდგებოდა, რომელთაგან ერთი მეორის პაროდის წარმოადგენდა. ამ სიტყვაში დღეს გარკვეული აბსტრაქცია და ლიტერატურულულობა იგულისხმება, ანტიკურობაში კი ის იყო ჰიბრისტიკული ასპექტი სერიოზულისა, რომელიც მას „უკუღმა“ ამოატრიალებდა... (იქვე: 345) ძველი კომედია არ არის პოლიტიკური. ის ქმნიდა პოლიტიკურ პაროდias და არა სატირას. პაროდია უბრალო აჩრდილია სერიოზული ჟანრისა, სადაც შინაარსის ნაცვლად არის

ჰიბრისტიკული „უკულმა“, რომელსაც უბრალოდ ფორმალური მსგავსება აქვს მასთან, რასაც მასხრად იგდებს და აჯავრებს. აჯავრებს კი იგი პერსონებს და არა იდეებს. შეცდომაში შეეყვართ იმას, რომ იგი ათამამებს ქურუმებს, პოლიტიკოსებს, ფილოსოფოსებს, სარდლებს... სატირა კი ყოველთვის იდეურია. ცალკეული პიროვნებების დაცინვისას მის მხედველობაში აქვს მოვლენა მთლიანობაში... ო. ფრეიდენბერგის აზრით, არისტოფანეს კომედიებში იდეების ძიება ნიშნავს მათ ვერ გაგებას (იქვე: 363). თანამედროვე ინგლისელი მეცნიერის — მ. ჰითის თვალსაზრისითაც, არისტოფანეს კომედია პოლიტიკურია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მის თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებას ხდის დაცინვის საგნად, მაგრამ რამდენადაც იგი პოლიტიკურ რეალობაზე ზემოქმედებას არ ისახავს მიზნად, აპოლიტიკურად უნდა ჩაითვალოს (ჰითი 1987: 42).

სხვები პირიქით, არისტოფანესთან სწორედ იდეოლოგიაზე (ლოსევი 1980: 175; რენო 2006) ან სატირაზე ლაპარაკობენ (ლოსევი 1980: 175-176; ბერძენიშვილი 1999); მეტიც, მიაჩნიათ, რომ კომედია ათენში ცენზორის როლში გამოდის, და რომ სწორედ ეს ანიჭებს არისტოფანეს კომედიებს იმ უჩვეულო სერიოზულობას, რაც მისი მხიარული ნიღბის მიღმა იმალება (იეგერი 2001: 421). მის შემოქმედებას აი, ამგვარად, ულტრათანამედროვე ტერმინოლოგიითაც კი აანალიზებენ: „არისტოფანეს ბუფონადის მიღმა პოლიტიკური მესიჯი უეჭველია, თავის იდეოლოგიას იგი თავისი მუშით გამოსახავს“ (რენო 2006). „მხედრებით“ მან ერთგვარი წინასწარი PR-აქცია ჩაატარა „ზომიერთა“ მხრიდან... მან გამოავლინა არაჩვეულებრივი ტალანტი იმიჯმეიკერისა და პოლიტტექნოლოგისა“ (პოლიტიკური... 2003).

ატიკურ კომედიაზე რიტუალური ჰიბრისტიკის ტრადიციების გავლენა უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია, რითაც მართლაც შეიძლება აიხსნას ამა ქვეყნის ძლიერთა მიმართ კომედიოგრაფოსთა ზღვარს გადასული მოუხრიდებლობა: თუკი გარკვეულ დღესასწაულებზე ღმერთების გამასხარავება შეიძლება, ადამიანებისა — მით უმეტეს. ათენის პუბლიკას ნამდვილად უნდა ჰქონოდა რიტუალური ჰიბრისტიკის განცდა თეატრში წარმოდგენილი კომედიის ცქერისას (წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია, ანაქსაგორას, ალკიბიადეს, სოკრატესაგან განსხვავებით, რატომ არ წაუყენეს *ასებუიას* — უკრძალველობის ბრალდება არისტოფანეს, რომელიც ღმერთებს კარიკატურულად გამოსახავდა), მაგრამ ისიც უდავოა, რომ ხელისუფალთა და მათი პოლიტიკის საჯაროდ პაროდირება, ასევე მათი ძალაუფლების წყაროსი — დემოსისა, თუნდაც წმინდა ჰიბრისტიკული ასპექტით, დემოკრატიული სახელმწიფო სისტემის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ძველი კომედიის დემოკრატიასთან კავშირზე ბერძენები თავადვე ლაპარაკობდნენ: კერძოდ, მეგარელები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ მათთან კომედია დემოკრატიასთან ერთად დამკვიდრდა (არისტოტელე, *De poetica*: III, 1448 a 29).

ფაქტიურად, იგივე აზრია გამეორებული არისტოფანეს შესახებ გავრცელებულ ანეგდოტებში (რომელთა მნიშვნელობას ლ. ბინო არა მათ სინამდვილეში, არამედ მათ აზრობრივ დატვირთვაში ხედავს. იხ. ბინო 1843): რომ ის არ უყვარდათ ლაკედემონელებს, რადგან მათ აწყობდათ ხალხი მოტყუებული ყოფილიყო, რომ სპარსეთის მეფე საბერძნეთის ამბებს რომ იგებდა, მაცნეს ჯერ მათი ფლოტის შესახებ უსვამდა კითხვას, მერე კი — არისტოფანეს კომედიების მიმართ ათენელთა დამოკიდებულებაზე, რომ თურმე პლატონს ათენის საზოგადოების ჭეშმარიტი სახის გასაცნობად სიცილიის მმართველისათვის არისტოფანეს კომედიები გაუგზავნია და ა. შ.

ასე რომ, ჰიბრისტიკა შეიძლება განსაზღვრავდა კიდევაც კომედიის ხასიათს ათენში, მაგრამ რიტუალურიდან ის ნამდვილ პოლიტიკურ ჰიბრისტიკად განვითარდა (შესაძლოა, თავდაპირველად, ათენელთათვის შეუმჩნეველად)*. არისტოფანე აშკარად გამოდის რიტუალური პაროდის ჩარჩოებიდან; კონცეპტუალური კრიტიკის გამო წარმოდგენები პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენენ, რასაც ხელისუფალთა მხრიდან მის მიმართ წაყენებული პოლიტიკური ბრალდებებიც მოწმობს (მათ შორის მისი კომედიის ანტისახელმწიფოებრივი ხასიათის შესახებ).

თუმცა ბრალდებებს არავითარი ვნება არისტოფანესათვის არ მოუტანია. ამიტომაც, მიუხედავად ყველაფრისა — რიტუალური ჰიბრისტიკის ტრადიციულობისა თუ ასევე დემოკრატიული პოლიტიკის ღირსებებისა — მაინც გაკვირვებას იწვევს ათენის სახელმწიფოსა და ხელისუფლების ტოლერანტობა. თეატრი, როგორც ცნობილია, ანტიკურ საბერძნეთში არა უბრალოდ გასართობი კულტურული დაწესებულება, არამედ სახელმწიფო სტრუქტურის ნაწილი იყო; დრამატული წარმოდგენების ორგანიზებაზე (თავდაპირველად, ეს იყო მხოლოდ ტრაგედია) სახელმწიფო ზრუნავდა; საკონკურსო სპექტაკლებზე დასწრება ყველა მოქალაქის საპატიო მოვალეობად ითვლებოდა, გამარჯვებულ დრამატურგს კი ოფიციალურ პატივს მიაგებდნენ. კომედიის წარმოდგენისას, რომელსაც მკვეთრად გამოხატული პუბლიცისტური ჟღერადობა ჰქონდა (რაკი ის თანამედროვე მოვლენებზე რეაგირებდა), თეატრი ერთგვარი მედია საშუალების ფუნქციასაც ასრულებდა, აქ კი, როგორც ვთქვით, სახელმწიფო პოლიტიკისა და ამ პოლიტიკის განმსაზღვრელთა უმწვავესი კრიტიკა გაისმოდა. აქედან გამომდინარე, ო. საბი თვლის, რომ კომედია სახელმწიფომ თავად მოაქცია თავისივე სტრუქტურაში მისი გაკონტროლების მიზნით და, ამდენად, კომედოგრაფოსის, მათ შორის არისტოფანეს ფუნქციაც ათენის სახელმწიფოში ხელისუფლებასთან კამათის რიტუალი უნდა ყოფილიყო (საბი 2001). ამ შემთხვევაში უკვე საუბარია არა ტრადიციულ

* ამ თვალსაზრისით ლირიკული პოეზიის კომედიასთან მიმართების საკითხს ამჯერად არ ვეხებით.

ჰიბრისტიკაზე, არამედ პოლიტიკური დატვირთვის მქონე რიტუალიზებულ კრიტიკაზე, დაცინვაზე, რომელსაც სოციალური კათარსისის ფუნქცია ეკისრებოდა. ო. საბის აზრით, სწორედ ამით აიხსნება ის, რომ სახალხო კრებებზე არსებობდა აკრძალული თემები (ამას *აქარნელებიც* მონიშნავს), თეატრში კი — არა; ამით აიხსნება სახელმწიფოს მიერ არისტოფანეს შეწყინარება (მეტიც, დაფასება) და სოკრატეს შეუწყინარებლობა, რომელიც თავისი კრიტიკული საუბრებით სახელმწიფოს მიერ დადგენილ წესრიგში ვერ თავსდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანებში დაგროვილი აგრესიის განმუხტვის ფუნქციას ჯერ კიდევ სახალხო დღესასწაულებისთვის დამახასიათებელი იამბი ითავსებდა. ხოლო კომედიის ესთეტიკური განწმენდი ეფექტი ემოციური დაძაბულობის სიცილით მოხსნისათვის, როგორც ჩანს, ანტიკურობაში მართლაც იყო უკვე გაცნობიერებული (ფხაკაძე 2005: 340). ეს გამოცდილება შემდგომში სათანადოდ იქნა ათვისებული და განვითარებული ხელისუფალთა მიერ, რომლებიც საკუთარი კრიტიკის დაშვებას თანხმდებიან უფრო რადიკალური გამოვლინებების თავიდან ასაცილებლად. ცხადია, კომედია, მისთვის ნიშნეული ანალიტიკურობის გამო, მით უფრო, ხალხზე ხელოვნების ზემოქმედების ძალას თუ გავითვალისწინებთ, არაპოპულარული ხელისუფალისათვის საკმაოდ საშიშია, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი აგრესიის განეიტრალების საშუალებაა, რაკი მისი წყალობით უსამართლობაზე ანუ არაადეკვატურობაზე რეაქცია არა რისხვა, არამედ სიცილია. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში, როგორც ვიცით, ნახალისებელიც კი არის ხელისუფლების დაცინვა ათასგვარი სატელევიზიო შოუების საშუალებით. გ. ბალანდიეს ნათქვამი აქვს: „ხელისუფლების უდიდესი ეშმაკობა მდგომარეობს იმაში, რომ მას ეკამათონ რიტუალურად, რათა სინამდვილეში იგი უფრო გაძლიერდეს“ (ბალანდიე 1978).

ხელისუფლებაზე საჯაროდ ხუმრობის შიში ნამდვილად არის ერთ-ერთი კრიტერიუმი რეჟიმის ავტორიტარულად კვალიფიკაციისათვის, მაგრამ არც ასეთი ხუმრობების დაშვება არის დემოკრატიულობის განმსაზღვრელი: მონარქებსაც ჰყავდათ მასხარები და პაროდისტის ნომერიც აუცილებლობით იყო წარმოდგენილი საბჭოთა კრემლში გამართულ ღონისძიებებზე. დაცინვა საშიში ხდება მხოლოდ კონტროლიდან გამოსვლის შემთხვევაში (რამდენადაც ღია და თავისუფალი სიცილი დამცინავის მხრიდან დასაცინისადმი შიშისა და რიდის გაქრობას და, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მასზე გადაბიჯების მზადყოფნასაც გულისხმობს: „საფრანგეთი — ეს არის აბსოლუტური მონარქია, სახუმარო სიმღერებით შეზღუდული“ — ეს სიტყვები რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე ყოფილა ნათქვამი).

კომედიის თავისუფლება იმ სახით, როგორც ეს ძვ. წ. V ს-ის ათენში იყო, როგორც ცნობილია, არსად და აღარასოდეს განმეორებულა. მას უკვე არისტოფანეს სიცოცხლეშივე დაუნესდა

საზღვრები. ელინიზმის ხანიდან არისტოფანეს საერთოდ აღარ დგამდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰყავდა დამფასებლები რომშიც და შუა საუკუნეებშიც. მისი დადგმები მხოლოდ XX საუკუნეში განახლდა: პაროდის გასაგებად მაყურებლისათვის აუცილებელია კომედიაში აღწერილი მოვლენების ადეკვატური გამოცდილება.

არისტოფანეს კომედიების წარმატება (ყოფილა შემთხვევები, როდესაც თანამედროვე მაყურებელს ავტორი მოუთხოვია სცენაზე**) დასტურია იმისა, რომ ეს კომედიები, შედეგი დემოკრატიული პოლიტიკისა (მივიჩნევთ ათენის დემოკრატიულ რეჟიმს პოლიტიკური ჰიბრისტიკის შემწყნარებლად თუ რიტუალური კრიტიკის კოორდინატორად), დემოკრატიის (უფრო ზუსტად, მის თანმხლებ მანკიერებათა) დაცინვის უნივერსალურ ნიმუშებად გვევლინება. დღეს შეიძლება უცნაურადაც კი მოგვეჩვენოს, რომ ერთ დროს მის კომედიებში იდეების კრიტიკას ვერ ხედავდნენ, მოქმედ პირებს განზოგადებულ სახეებად არ მიიჩნევდნენ. რასაკვირველია, არისტოფანეს პერსონაჟებს კონკრეტული პროტოტიპები ჰყავდათ, მაგრამ მათ მიხედვით შემოქმედებითმა გენიამ ტიპაჟები შექმნა (მაგ., დემაგოგისა და სხვ.); არა მგონია, საკამათო იყოს დემოსის სახის განზოგადებული ხასიათი „მხედრებში“ (იხ. გორდუზიანი 2002: 487). დღევანდელია განსაკუთრებით თვალნათლივ ცხადყოფს, რომ არისტოფანეს მიერ არსობრივად არის დანახული და წარმოდგენილი პრობლემები, რომლებიც დემოკრატიის პირობებში შეიძლება გამოვლინდეს (ხალხისა და მისი რჩეულების ურთიერთდამოკიდებულებაში, სასამართლოსა და სამართლიანობის მიმართების, ტრადიციული და სოფისტური აღზრდის, სოციალური თუ გენდერული თანასწორობის, ომისა და მშვიდობისადმი დამოკიდებულების და სხვა მრავალი თვალსაზრისით).

სწორედ ამის გამო არის ოცდახუთი საუკუნის წინანდელი კომედიები დღეს უაღრესად გასაგები და ახლობელი დემოკრატიული წყობის ქვეყნების ადამიანებისათვის. ამის გამოა, რომ არისტოფანეს პოლიტიკასთან მიმართების თემა აქტუალობას არ კარგავს და ის მკვლევარებიც, რომლებიც ა. ვ. გომის შემდეგ (გომი 1938) ამ თემას „გაცვეთილად“ აცხადებენ (ჰითი 1987: 7), მის სხვადასხვა ასპექტებს თავადვე უძღვნიან მონოგრაფიებს (მ. ჰითის ნაშრომი გადამუშავებული სახით კვლავ გამოქვეყნდა ონ-ლაინ ნიგნის სახით 2007 წელს).

პოლიტიკური კომედიის დრამატული ფანრი საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, უგულვებლყოფილია (შოთა რუსთაველის აკადემიურ თეატრში ამ რამდენიმე ხნის წინ ანონსირებული პრემიერა სათაურით — „სტალინზე ნადირობა“, აღარ შემდგარა. თუმცა ჩვენთვის უცნობია პიესის შინაარსი და თანამედროვე პოლიტიკასთან

** ანალოგიური შემთხვევები სსრკ-ში გოგოლის « რევიზორის » დადგმასთან არის დაკავშირებული.

მისი მიმართება). ატიკური კომედიის ფუნქციონირებაზე დაკვირვება გვიდასტურებს, რომ ამის მიზეზი, ერთი მხრივ, დემოკრატიული თავისუფლების დეფიციტია (პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, ხელოვანი, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლით არ არის დაინტერესებული, ისეთ პირობებში, როდესაც ოფიციალური თვალსაზრისისაგან განსხვავებული აზრი მტრულად აღიქმება, როგორც წესი, საკუთარ მდგომარეობას უფრო ხილდება). თუმცა მიზეზი შეიძლება ბოლო ხანებში ჩვენში გაბატონებულ პოლიტიკურ ნიჰილიზმშიც ვეძიოთ, რის ანალოგსაც ისევ და ისევ ატიკური კომედიის ისტორიაში ვპოულობთ: მიუხედავად იმისა, რომ ბერძენისათვის დამახასიათებელი იყო კომიკურ პლანში განეხილათ არა მხოლოდ მითოლოგიური სიუჟეტები (ჩვენამდე მოღწეულია ტრაგედიებისა და კომედიების ერთი და იგივე სათაურები), არამედ, ასევე საზოგადოებისათვის ძალზედ მტკივნეული საკითხები, რეალური ცხოვრებისეული ტრაგედიები და უმძიმესი კონფლიქტები, — უკვე პელოპონესის ომის ბოლოს, როდესაც ათენის მდგომარეობა სრულიად უიმედო იყო (მით უფრო, როდესაც ომში დამარცხებას ათენში ოლიგარქიული გადატრიალებები და დემოკრატიული რევანშებიც დაერთო), კომედიის კრიტიკული პათოსი კულტურაზე და ყოფით მოვლენებზე იქნა გადატანილი... ის, რომ ამ პერიოდისათვის არისტოფანეს დაცინვა პოლიტიკასა და პოლიტიკოსებს აღარ ეხება, გარდა ცენზურისა, უთუოდ პოლიტიკური სკეფსისის შედეგიც უნდა იყოს...

რა გასაკვირია, რომ ის ვითარება, რომელშიც საქართველო უკანასკნელ ხანს აღმოჩნდა, დრამატული პოლიტიკური კომედიისაკენ აღარ განგვანყობდეს: არც უბრალო ჰიბრისტიკის, არც რიტუალური კრიტიკის, არც სრულიად თავისუფალი შემოქმედების თვალსაზრისით.

დამონებები:

არისტოფანე 2002: არისტოფანე. კომედიები. ტ. I, შესავალი წერილი, თარგმანი და კომენტარები ლ. ბერძენიშვილისა, თბ.: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2002.

ბალანდიე 1978: Balandier G. *Anthropologie politique*. Paris: PUF, 1978 (3 ed.).

ბერძენიშვილი 1999: ბერძენიშვილი ლ. სატირა და არისტოფანეს „ფრინველები“. კრებული ANAQESIS, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის საიუბილეოდ. თბ.: გამომცემლობა „ლოგოსი“, 1999.

ბინო 1843: Binaut L.-A., Aristophane - *La comédie politique et religieuse à Athènes* [ონ-ლაინ პუბლიკაცია] *Revue des Deux Mondes*, tome 3, 1843. მის: fr.wikisource.org/wiki/Aristophane_-La_comédie_politique_et_religieuse_à_Athènes; Internet.

გომი 1938: Gomme, A.W. Aristophanes and politics, *CR* 52 , 1938, p. 97-109.

გორდეზიანი 2002: გორდეზიანი რ. ბერძნული ლიტერატურა, ელინური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა. თბ.: გამომცემლობა „ლოგოსი“, 2002.

- დიუფრენი 1994:** Dufresne J. La démocratie athénienne, Miroir de la nôtre [ონ-ლაინ პუბლიკაცია] (კვებეკი : გამომც. L'Agora, Recherches et communications inc., Bibliothèque de L'Agora, 1994) მის.: <http://agora.qc.ca/biblio/democratie.html>; Internet.
- იეგერი 2001:** Йегер В., Пайдейя. Воспитание античного грека. Т. 1, Пер. с немец. А.И. Любжина, М.: Греко-латинский кабинет Ю. А. Шичалина, 2001.
- პოლიტიკური... 2003:** Основы компромата, Ч. 2, Политическая пародия [ონ-ლაინ პუბლიკაცია] «Телекритика», 7 თებერვალი 2003 (კიევი) mis.: <http://www.telekritika.ua/media-continent/kritika/column/2003-02-07/1014>; Internet.
- ლოსევი 1980:** Лосев А. Ф. Аристофан. Негеში: Античная литература. Под ред. А. А. Тахо-Годи, 3 изд. Москва: Издательство «Просвещение», 1980.
- რენო 2006:** Renault Ph. Aristophane, le joyeux réactionnaire [ონ-ლაინ პუბლიკაცია] (ლუვენ-ლა ნევი : გამომც. ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, Folia Electronica Classica, 12 (juillet-décembre) 2006. მის.: <http://bcs.fltr.ucl.ac.be/FE/12/Arist/Aristophane.html>; Internet.
- საბი 2001:** Sabit Au. Le théâtre d'Aristophane et la dérision de la démocratie [ონ-ლაინ პუბლიკაცია] «Revue Hermes», Informations divers, Calenda (გამომც. ავინიონის უნივერს. პროფ. ნ. პეტიტო, განთავსებულია 13 მაისიდან 2001) მის. : <http://calenda.revues.org/nouvelle882.html>; Internet.
- ფრეიდენბერგი 1998:** Фрейденберг О. М. Миф и литература древности. 2 изд., Москва: Издательская фирма «Восточная литература» РАН, 1998.
- ფხაკაძე 2005:** ფხაკაძე მ. კომიკურის ფენომენი ძველ საბერძნეთში. წელიწდეული ელინისტიკასა და ლათინისტიკაში. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“, 2005, 3, გვ. 335-342.
- ჰითი 1987:** M. Heath, Political Comedy in Aristophanes (Hypomnemata 87), Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht, 1987.

ევრიპიდეს „ელენე“ და ბერძნული რომანი — მსგავსებები და განსხვავებები

ფილოლოგიურ მეცნიერებაში დღემდე აქტუალურია ბერძნული რომანის პრობლემები, იმ ჟანრთან დაკავშირებული საკითხები, რომელმაც მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ჟანრს — რომანს დაუდო სათავე. ბ-ნი ალიკა ალექსიძე ჭელიოძორე „ეთიოპიკის“ შესავალში წერდა: „რომანის პირველი მკვლევარის ფრანგი ფილოლოგის პიერ ჰიუეს (XVII ს.) შრომიდან მოკიდებული მსოფლიო ელინისტიკა დაუღალავად ეძებს რომანის ისტორიულ და ლიტერატურულ საწყისებს“ (ჭელიოძორე 1972:5). სხვადასხვა ქვეყნის ელინისტიკები ამ ჟანრის საწყისებს მოიძიებდნენ, როგორც ბერძნული ლიტერატურის ჟანრებში, ისე ეგვიპტურ მითებში, ბიბლიურ ლეგენდებში, ისტორიოგრაფიის ხალხურ ნაკადში. ისევ ბ-ნი ალიკას დავესესხები: „სად არ ეძებდნენ მეცნიერები დაბადების საიდუმლოებით აღბეჭდილი ბერძნული რომანის წინაპრებს?! ყველგან ეძებდნენ და თითქმის ყველგან პოულობდნენ, ყოველ შემთხვევაში, ნათელი ხდებოდა, რომ რომანის საწყისები ძვეს არა რომელიმე ერთი ჟანრის ფარგლებში, არამედ უკავშირდება აზროვნებისა და კულტურის სხვადასხვა დარგს და შემზადებულია ბერძნული ლიტერატურის განვითარების მრავალსაუუუნოვანი პროცესით“ (ჭელიოძორე 1972: 5).

ბერძნული ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი, რომელიც ამ კუთხით მკვლევართათვის ერთობ საინტერესო აღმოჩნდა, ბერძნული დრამა — ტრაგედია გახლდათ. საყურადღებოა, რომ საგანგებო ტერმინის უქონლობის გამო თავად ბერძნები თავიანთ რომანებს სხვა სახელებთან ერთად *δρᾶμα*-ს (ქმედებას) ან *δραματικὸν δῆμιον*-ს (დრამატულ თხრობას) უწოდებდნენ. საზოგადოდაც, ბერძნული რომანის კომპოზიციაზე საგრძნობია ბერძნული დრამის გავლენა, დრამატული ტექნიკის ელემენტების გამოყენება — მოქმედების დაწყება შუაგული ამბიდან, წინამავალი ვითარების თანდათან, რეტროსპექტიულად ნათელყოფა, მძაფრი ეპიზოდით მოქმედებაში ჩართვა და ა.შ. ეს რაც შეეხება გარეგნულ მხარეს. უფრო მნიშვნელოვანი, ბუნებრივია, მსგავსების შინაგანი, არსობრივი ელემენტებია. ჩვენ სწორედ ამაზე გვსურს ამ სტატიაში ყურადღება შევაჩეროთ — კონკრეტულად კი, როგორც სათაურიდან ჩანს, განვიხილავთ ევრიპიდეს დრამა „ელენეს“, რომელსაც ბევრი მეცნიერი ბერძნული რომანის წინარე ლიტერატურულ ფორმად მიიჩნევს.

რა არის მოკლედ რომ ვთქვათ, დამახასიათებელი ბერძნული რომანისთვის?

ბერძნული რომანის პათოსს ქმნის სათავგადასავლო ფანტასტიკა, ელინისტური ეპოქისთვის დამახასიათებელი სინკრეტიზმი ანუ ბერძნული და აღმოსავლური სამყაროს კულტურული ურთიერთზიარება, ტუსე-ფორტუნის ანუ შემთხვევითობის ახალი ქალღმერთის აღიარება, ერთადერთისა, რომლის არსებობა უეჭველია ელინისტური ეპოქის ინდივიდუალიზმით დალდასმული ადამიანისთვის და რაც მთავარია, განსაკუთრებული სინამდვილის შექმნა, სადაც რეალური და არარეალური მერწყმულია, ანუ გამიჯვნა სინამდვილისაგან. ადამიანი ოცნებებით ქმნის იდეალურ ქვეყანას. იმ ქვეყანაში, რასაკვირველია, უჩვეულო სიტუაციები და პირობითობებია. სეგალის მიხედვით, რომანი ორ სამყაროდ ყოფს ქვეყნიერებას: ტკივილისა და გაჭირვების „რეალურ“ და მშვიდობისა და სიამეთა „იდეალურ“ სამყაროდ (სეგალი 1971: 557) რომანის მოქმედება ამ სამყაროთა შორის გარდამავალ სტადიაზე მიმდინარეობს, საბოლოოდ გმირი „იდეალურიდან“ „რეალურ სამყაროში“ ბრუნდება. ბერძნული რომანის სქემა შემდეგნაირია: შეყვარებულებს/ცოლ-ქმარს ბედი დამორებს, ისინი სხვადასხვა ქვეყანაში ხვდებიან, უამრავი ფათერაკი გადახდებთ. ფიზიკური საფრთხის გარდა, მათ საშიშროება სხვა მხრიდანაც ემუქრებათ — მათი სილამაზე მათ მიმართ ძალადობრივ ვნებას აღძრავს. გმირები ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან ამგვარ ძალადობას, ბედი მათ კვლავ შეყრის, მაგრამ ისინი ისევ მტრის ხელში აღმოჩნდებიან, მიჯნურნი/ცოლ-ქმარნი პოულობენ გამოსავალს, ატყუებენ მოძალადეს, ახერხებენ თავის დაღწევას და ბედნიერად აგრძელებენ სიცოცხლეს. სწორედ ეს გახლავთ ამ ჟანრის ზოგადი სქემა, რომელიც მრავალ თავგადასავალს, ფათერაკს, უცხო ქვეყნებში მოგზაურობის საოცარი ხილულობით დატვირთულ სცენებს და სატრფიალო ინტრიგებს მოიცავს. რომანი იყო პოპულარული, ფართო მკითხველისთვის განკუთვნილი ჟანრი, ე. წ. „ანტიკური დეტექტივი“, რომელიც ამავდროულად გარკვეული სქემატიზმით, შაბლონურობით, მთავარ გმირთა დახასიათების ერთგვარი ტრაფარეტულობით ხასიათდებოდა. და მაინც, ამ ჟანრსა და ევრიპიდეს პიესა „ელენეს“ ბევრი აქვთ საერთო, თუმცა მსგავსებებთან ერთად ბევრია განსხვავებაც.

ევრიპიდეს დრამა „ელენე“ ელენეს შესახებ ჰომეროსის პოემისაგან განსხვავებულ, ნაკლებად ცნობილ ტრადიციას ეყრდნობოდა. მითის ამ ვერსიის მიხედვით, ელენეს არ უღალატია თავისი ქმრისთვის, მენელაოსისთვის და არ წასულა ტროაში. ღმერთებმა მისი ეიდოლონი ანუ აჩრდილი შექმნეს და ტროაში პარისმა ელენე კი არა, სწორედ ეს აჩრდილი წაიყვანა, ტროას ომიც ამ აჩრდილის გამო მიმდინარეობდა. რაც შეეხება ხორციელ ელენეს, ის ჰერმესმა ეგვიპტეში მეფე პროტევსს ჩააბარა, რათა ამ უკანასკნელს

ქალი ქმრისთვის უმნიშვნელოდ შეენახა (ნადარეიშვილი 2001:106-114). ევრიპიდეს პიესის მოქმედება სწორედ ეგვიპტეში ხდება, სადაც ელენეს საერთოზე პროტევის გარდაცვალების შემდეგ მისი ვაჟიმიონის — თეოკლიმენოსისაგან ემუქრება, რომელსაც, ელენეს ნილამაზით მოხიბლულს, მისი ცოლად შერთვა სწადია. ელენე, რომელმაც ყველაფერი იცის საკუთარი აჩრდილის შესახებ, სასტიკად განიცდის ეიდოლონის არსებობას, როგორც მისი სახელით მოქმედი სუბსტანციის არსებობას. იგი ამდენი ხანი ქმრის ერთგული იყო და ახლაც, თეოკლიმენოსის მუქარის მიუხედავად, არ აპირებს მენელაოსს უღალატოს, ამიტომაც სასახლიდან წამოსულა და მეფის აკლამასთან უნახავს თავშესაფარი. მას მხოლოდ ჰერმესის წინასწარმეტყველების იმედი აქვს, რომლის თანახმადაც ეგვიპტეში ჩამოვა მისი ქმარი, იხსნის მას მოძალადისაგან და ელადაში წაიყვანს. როგორც ვხედავთ, მითის ეს ვერსია, რომელიც ევრიპიდემ ამ ტრაგედიაში გაათამაშა, იმთავითვე ე.წ. არა „შესაძლებელ“, არამედ „შეუძლებელ“ რეალობას ეფუძნებოდა. შეუძლებელია აჩრდილის არსებობა, ტყუილუბრალო ომი ეოდოლონისთვის — ელენეს ცრუ ორეულისთვის და ა.შ. უჩვეულო იყო ევრიპიდესეული ელენე — ერთგული ცოლი, მეორე პენელოპედ ქცეული პენელოპეს არქეტიპული ანტაგონისტი. ამდენად, ამ პიესაში ბევრი რამ იყო უჩვეულო, ფანტასტიკური, ხილულობით და საოცარი მოვლენებით დატვირთული, რაც უკვე ქმნიდა ფანტასტიკურის იმ განწყობას, რომელიც არსებითად ბერძნული რომანის განწყობას წარმოადგენს.

ევრიპიდეს პიესა დიდხანს მეცნიერთა შორის ცხარე კამათის საგანი გახლდათ, უპირველესად მისი ჟანრული თავისებურების გამო. ბევრი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ კომედია თუ არა პიესა ტრაგიკომედია მაინც იყო, რომელიც სერიოზულ თემებს საერთოდ არ წარმოგვიდგენდა. ამგვარი ტენდენციის ფონზე უცებ ზედიზედ გამოქვეყნდა ნაშრომები, რომლებმაც დრამაში ფილოსოფიურ-თეოლოგიური საკითხები დაინახეს. „ელენეს“ ჟანრის განსაზღვრაში საგულისხმო როლი ითამაშა ერთიანი თემის აღიარებამაც. მეცნიერთა უმეტესობის აზრით, პიესის მთავარი თემა მოჩვენებითის/ხილულის და რეალობის დაპირისპირება გახლდათ, რაც სხვადასხვა ოპოზიციური წყვილების მეშვეობით მუდმივად თამაშდებოდა და ერთობ სერიოზულ ეპისტემოლოგიურ და ონტოლოგიურ კითხვებს სვამდა „რეალობის“ ბუნების შესახებ. მრავალი კვლევა-ძიების შემდეგ მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ პიესა „ელენე“ რომანისა და გამოცნობის თემების შერწყმის პირველ ლიტერატურულ მცდელობას წარმოადგენს, რომელშიც რომანტიკული ფაბულა ოსტატურადაა გადახლართული სოფისტურ ინტელექტუალიზმთან (პიპინი: 151-163; სეგალი 1971: 557, 568; ლესკი 1983:316).

ახლა, თავად რომანებისა და პიესა „ელენეს“ მსგავსება-განსხვავების საკითხს მივუბრუნდეთ, რისთვისაც, ნაწარმოების სასიყვარულო მოტივები უნდა განვიხილოთ.

დრამა ელენეს მონოლოგით იწყება, რომელშიც მთავარი გმირი ქალი გადმოგვცემს თავის ისტორიას — ჩვენ მიერ უკვე ზემოთ მოყვანილ ტრადიციას ელენეს შესახებ, ხაზს უსვამს ქმრისადმი ერთგულებას, როგორც წარსულში, ისე აწმყობში, როდესაც მას ბარბაროსი მეფისაგან საფრთხე ემუქრება. ამასთანავე მკვეთრად აკეთებს აქცენტს იგი სახელზე — მოღალატე ცოლის სახელზე, რომელიც მის უბედურებაშია დამნაშავე. რომანებშიც ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, გმირები გვამცნობენ თავიანთ თავს, თავიანთ ისტორიას, იმას, თუ როგორ ებრძვიან თავს დატყვილ გასაჭირს. საგულისხმოა, რომ როგორც ელენე, ისე რომანის გმირებიც თვლიან, რომ მათი სილამაზე მათთვის მხოლოდ უბედურების მომტანია. თუმცა საყურადღებოა ის ერთობ მნიშვნელოვანი განსხვავებაც, რაც ელენესა და რომანის გმირ ქალებს შორის არსებობს. ესაა სახელი, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობს ელენე, ესაა მისი აჩრდილი — ეიდოლონი, რის გამოც ელენეს ორმაგი არსებობა აქვს — იგი ცხოვრობს, როგორც რეალურ, ისე მოჩვენებით სამყაროში.

ამასობაში, ამ იდილიურ ქვეყანაში, როგორადაც ეგვიპტეა პიესაში დახატული, ელინი ტევკროსი ჩამოდის. გმირი ვაჟკაცი თვალწინ რეალურ, ცოცხალ ელენეს ხედავს, მაგრამ იგი იმდენადაა დარწმუნებული, რომ რეალური ელენე ტროაში იყო, რომ მის წინაშე მდგომი ქალის ელენესთან მხოლოდ მსგავსებაზე ლაპარაკობს. აქ სხვადასხვა ოპოზიციური წყვილის — თვალიXგონება; თვალიXსხეული — მეშვეობით იწყება რეალურისა და ხილულობის თემის ვირტუოზული გათამაშება. ამასთან, ტევკროსი ატყობინებს ელენეს, რომ გავრცელებული ხმების მიხედვით, მისი ქმარი, მენელაოსი დაიღუპა, რაც ელენეს თავზარს სცემს.

შეიძლება ითქვას, რომ ტევკროსის როლს რომანებში სხვადასხვა გმირი — უმთავრესად მიკრიკის ფუნქციით აღჭურვილი გმირი — ასრულებს, რომლებიც, როგორც წესი, არღვევენ იმ ინფორმაციულ ვაკუუმს, რომელშიც გმირები იმყოფებიან. მათ მოაქვთ ამბავი, რომელიც ჩვეულებრივ ცრუა, ჭორია.

მოჩვენებითობისა და რეალობის დაპირისპირების გარდა ელენეს რომანის ტრადიციული მიჯნურის /ცოლის ტიპისაგან ისევ სახელის თემაზე აქცენტირება განასხვავებს. ელენე მწარედ დასტირის თავის სახელს, რომელიც მისი უბედურების სათავეა.

ელენე ქოროს თავის ახალ უბედურებას ამცნობს. მენელაოსის დაღუპვის ცნობის მიღების შემდეგ, მის წინაშე ასეთი არჩევანია — ან ბარბაროსის ცოლობა, ან სიკვდილი. იგი თვითმკვლელობას ირჩევს. ბერძნულ რომანებშიც, როცა ქალი სატრფოს დაღუპვის ამბავს იგებს, აცხადებს, რომ თვითმკვლელობით დაასრულებს სიცოცხლეს. ელენეს მოთქმაში ისევ იკვეთება მისი ორეულის თემა, რომელმაც მას ასეთი სახელი დაუმკვიდრა. „რომც შემეძლოს, მაინც ვერ დავბრუნდები სახლში, რადგან კარი ჩემთვის მუდამ დაკეტილი იქნება“ — ამბობს ელენე (ელენე 1954: 270). როგორც ვხედავთ, მოღალატე ცოლის

სახელის გაბათილებას პიესის I ნაწილში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ამის შემდეგ სცენაზე მენელაოსი შემოდის. ის ახლახან ხომალდის კატასტროფის შემდეგ თავის მეგობრებთან ერთად ეგვიპტის სანაპიროზე აღმოჩნდა. მან გამოქვაბულში ჩაკეტა ელენეს აჩრდილი, რომელიც მას, ბუნებრივია, ნამდვილი ელენე ჰგონია. ახლა კი ძონძებში გახვეული სასახლეს მიადგა, რათა დახმარება ითხოვოს. მენელაოსს წარმოდგენა არა აქვს, სად იმყოფება. მას თავისი სახელის — ტროას გადამწველი დიდებული გმირის — იმედი აქვს. სასახლის დარაჯი მას აფრთხილებს, რომ, როგორც ელინს, მას ამ ქვეყნის მეფისაგან ხიფათი ელის, რადგან მეფეს ელენეს შერთვა სურს და, შესაბამისად, ყოველ ელინში მტერს ხედავს. მენელაოსს დააბნევს სახელი „ელენეს“ გაგონება, თუმც ეს სახელების ოდენ დამთხვევა ჰგონია, რადგან დარწმუნებულია, რომ თავისი ცოლი ელენე მას საიმედოდ ჰყავს გამოქვაბულში გამოკეტილი.

რომანეზიც გმირი შემთხვევით ხვდება იმ ადგილას, სადაც მისი სატროფოა, ისიც მიიღის მმართველის სასახლეში, სადაც მოსალოდნელი ხიფათის შესახებ აფრთხილებენ, ეუბნებიან, რომ აქ არის ქალი, რომლის შერთვაც მმართველს სურს. მაგრამ რომანეზში გმირმა მამაკაცმა დანამდვილებით იცის, რომ ეს ქალი მისი სატროფოა და ამიტომაც, ბუნებრივია, იგი სატროფოს გამოსახსნელად რჩება. მენელაოსი კი რჩება, რათა დახმარება მიიღოს.

უეცრად იგი ელენეს დაინახავს, რომელიც ახლახან დაბრუნდა თეონოესაგან. ქალი გახარებულია, რადგან წინასწარმეტყველმა მენელაოსის გადარჩენა აუწყა და ისიც უთხრა, რომ მალე იხილავდა ქმარს. იცის რა ეს ყოველივე, ელენე ძონძებში გახვეულ მენელაოსს მალე ამოიცნობს, მენელაოსს კი არაფრით არ უნდა დაიჯეროს, რომ მის წინაშე მისი ცოლია. ისევ იწყება მოჩვენებითისა და რეალურის გათამაშება სხვადასხვა ოპოზიციური წყვილებით — ფიზიკური გარეგნობაჯგონება (ელენე 1945: 577); თვალიჯგონება (ელენე 1954: 575), თვალი-სხეული (ელენე 1954: 588). მენელაოსი მაინც დარწმუნებულია, რომ რეალური, ხორციელი ელენე მას გამოქვაბულში ჰყავს გამოკეტილი. კვანძს მხოლოდ სცენაზე შემოსული შიკრიკი ხსნის, რომელიც გვაუწყებს გამოქვაბულში გამოკეტილი აჩრდილის ზეცაში გაუჩინარების შესახებ. ბუნებრივია, რომანეზში არ არსებობს აჩრდილი, ორეული და შესაბამისად, ევრიპიდეს ამ სცენას რომანეზის ამოცნობის სცენებში პარალელი არ დაეძებნება.

ამის შემდეგ ელენე და მენელაოსი ერთმანეთს გადაეხვევიან, ღმერთებს მადლობას აღუვლენენ და ერთმანეთს თავიანთ თავგადასავალს უამბობენ. ელენე აფრთხილებს ქმარს, რომ მას თეოკლიმენოსისაგან ხიფათი ელის. მენელაოსი ეჭვიანობს, ელენე თავგამოდებით უმტკიცებს ქმარს თავის ერთგულებას. ისინი ცდილობენ, გამოსავალი იპოვნონ. ელენე და მენელაოსი ერთგულების

საზეიმო ფიცს დებენ — ისინი ან ერთად იქნებიან, ან თვითმკვლელობით დაასრულებენ სიცოცხლეს. ყურადღება მივაქციოთ, რას აკეთებს ელენე ყველაზე უნინ — იგი ქმარს თავის ერთგულებას ატყობინებს, უყვება, თუ როგორი უმნიველო იყო წარსულში და როგორ შეაფარა თავი პროტევისს აკლდამას, როცა მის უმნიველობას საფრთხე დაემუქრა. ამგვარად, დაიმსხვრა ელენეს ცრუ ხატი მენელაოსის თვალში. მაგრამ რათა ელენემ საბოლოოდ დაიბრუნოს თავისი იდენტურობა, როგორც ერთგული ცოლისა, იგი მენელაოსთან ერთად სამშობლოში, სპარტაში უნდა ჩავიდეს. თუ არ ჩავთვლით ელენეს ორეულის თემას, შეიძლება ვთქვათ, რომ რომანებშიც შეყვარებული წყვილი/ცოლ-ქმარი ამგვარად იქცევა.

ვერაპიდეს გმირების წინაშე ახლა ეგვიპტიდან თავის დაღწევის ამოცანა დგას. მენელაოსის მიერ წამოყენებული წინადადებები გაქცევის თაობაზე არარეალისტურია. ამასთანავე ელენე აუნყებს ქმარს, რომ ისინი უბრველესად წინასწარმეტყველ თეონოეს უნდა შეევედრონ, რომ მან არ აუნყოს ძმას მათი გეგმის შესახებ.

თეონოე ამ პიესის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერსონაჟია. გარდა იმისა, რომ იგი წინასწარ განჭვრეტს მოვლენებს, იგი ე.წ. „მორალური ფილოსოფოსია“, რომლის სულშიც სამართლიანობის „დიკეს“ დიდი ტაძარი დგას. ცოლი და ქმარი თეონოეს რიგრიგობით მიმართავენ. ელენე ცდილობს, თეონოეში სამართლიანობა გააღვიძოს, მენელაოსი კი უფრო ემუქრება, ვიდრე ევედრება. ბოლოს, თეონოეს ვერდიქტი გამოაქვს და აღუთქვამს მათ, რომ ძმას მენელაოსის ჩამოსვლას არ გაუშხელს.

ზოგიერთი მეცნიერი თეონოესთან შეხვედრის სცენას რომანებისთვის სახასიათო სასამართლო სცენებს ადარებს და მათში ბევრ მსგავსებას ხედავს (პატიჩის 1961:40). ვიქტორობთ, ეს შედარება ერთობ ზედაპირულია. თეონოეს ვერდიქტი მნიშვნელოვანი თეოლოგიური, ფილოსოფიური თუ მორალურ-ეთიკური პრობლემების ფონზე გამოაქვს, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია პიესის გააზრებისთვის, ვიდრე უშუალოდ შედეგი.

ელენე და მენელაოსი ახლა უკვე პრაქტიკული გამოსავალის — mechane-ს ძიებაში არიან. რეალისტურ წინადადებებს ელენე აყენებს. მისი გეგმის მიხედვით, მენელაოსმა თავი მენელაოსის გადარჩენილ მეგობრად უნდა გაასაღოს და მეფეს — თეოკლიმენოსს მენელაოსის სიკვდილი უნდა აუნყოს. ამის შემდეგ ელენე მეფეს ცოლობაზე უნდა დათანხმდეს, ოღონდაც მანამდე თეოკლიმენოსმა უნდა დართოს მას ნება, რომ ზღვაში ქმრის რიტუალური დაკრძალვის წესი აღასრულოს. თუ ამაზე თეოკლიმენოსი დაითანხმეს, მაშინ შუა ზღვაში გასულ ხომალდზე მენელაოსის მეგობრები ამოვლენ და ეგვიპტელთა ეკიპაჟს შეებრძოლებიან. როგორც ვხედავთ, პიესის ამ ნაწილში ისევ თამაშდება „სახელის თემა“ — ცოცხალი მკვდრად უნდა იქნას გამოცხადებული. რომანებშიც გმირები ადგენენ გაქცევის გეგმას,

ბარბაროსს თავიანთ ურთიერთობას არ უმხელენ და ღმერთებს ხსნას ევედრებიან.

ლოყებდახოკილი და შავებში ჩაცმული ელენე და გადაცმული მენელაოსი თეოკლიმენოსს ეახლებიან. ელენე მას ქმრის ზღვაში დაკრძალვის ნებართვას სთხოვს, ბარბაროსი მზადაა ყველაფერი აუსრულოს ქალს, ოღონდ ელენე მას ცოლად გაჰყვეს. მის გულუბრყვილობას, რომელიც სიბრყვეში გადადის, ზოგჯერ ძალზე ირონიული უღერადობა აქვს. დაახლოებით ამგვარია ბარბაროსი მმართველის მოქმედება რომანებშიც.

ბოლოს, თეოკლიმენოსთან მაცნე შემოდის, რომელიც მეფეს ზღვაში გასულ ხომალდზე ეგვიპტელი მეომრების დაღუპვის ამბავს და ელენესა და მენელაოსის გაქცევის შესახებ აცხობინებს. განრისხებულ მეფეს თავისი დის მოკვლა უნდა. მაგრამ ამ დროს სცენაზე *Deus ex machina* — ელენეს ღვთაებრივი ძმები — დიოსკურები შემოდის, რომლებიც მეფეს ამცნობენ, რომ ყველაფერი ზევსის ნებით მოხდა. თეოკლიმენოსი ერწმუნება დიოსკურებს და ყველაფერი ბედნიერად მთავრდება.

რომანებშიც შეყვარებულები წარმატებით აცხუებენ ბარბაროს მოძალადეს. იქაც ხშირად ხდება სასწაული, რომელსაც ღმერთი უგზავნის გმირებს, რათა იხსნას ისინი. როგორც ვხედავთ, პიესის II ნაწილში გამოკვეთილი სასიყვარულო მოტივები ბერძნული რომანების მოტივებთან უფრო მეტ მსგავსებას ავლენენ.

საინტერესო საკითხია რომანის გმირი ქალებისა და ელენეს შედარება. მოკლედ მხოლოდ ის შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ რომანის მთავარი გმირები, როგორც ქალები, ისე მამაკაცები უფრო შაბლონური, სქემატური გმირები არიან. ელენე გაცილებით საინტერესო ლიტერატურული სახეა, ოღონდ არა ხასიათის ნიშან-თვისებათა სხვადასხვაობით, მათი სიმრავლით, ემოციური მდგომარეობის სიუხვითა და სხვა ამგვარი ფსიქოლოგიური ფაქტორების გამოისობით, არამედ იმით, რომ იგი ერთდროულად მოჩვენებით და რეალურ სამყაროში ცხოვრობს. მისი, როგორც ერთგული ცოლის სახე კი უპირველესად სწორედ მისი მოღალატე ცოლის მოჩვენებითი ხატის დამსხვრევით იქმნება, რის შემდეგაც ელენემ ერთგულება უკვე მოქმედებით უნდა დაამტკიცოს.

ვფიქრობთ, ევრიპიდეს ამ პიესაში მართლაც ძალზე საინტერესოდ თამაშდება სასიყვარულო ფაბულა, რომელიც მოგვიანებით ბერძნულ რომანში ნაირგვარი ვარიაციით დამუშავდა. თუმცა, ჩვენი აზრით, რომანტიკული ფაბულა ამასთანავე გარკვეულწილად აქ ჩარჩოს როლს ასრულებს, რომლის შიგნითაც მთავარი თემა — მოჩვენებითისა და რეალობის დაპირისპირების თემა თამაშდება.

დამონმებანი:

ლესკი 1983: Lesky A. Greek Tragic Poetry. New Heaven, 1983.

ნადარეიშვილი 2001: ნადარეიშვილი ქ. ევრიპიდეს „ელენე“ და მითოლოგიური ტრადიცია. ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები. წიგნი მეოთხე. თბ.: თსუ გამომცემლობა. 2001.

პატჩისი 1961: Pattichis P.L. Euripides' "Helen" and the Romance Tradition. 1961

პიპინი 1960: Pippin N. Euripides' "Helen": A Comedy of Ideas. CP v. LV, #3, 1960

სეგალი 1971: Segal Ch. The Two Worlds of Euripides' "Helen". TAPA 102, 1971.

ჰელიოდორე 1972: ჰელიოდორე. ეთიოპიკა. თარგმანი გ. სარიშვილისა, შესავალი ნერილი ა. ალექსიძის. თბ.: გამომცემლობა „მერანი“, 1972.

ირინა ნაცვლიშვილი

საქართველო, თბილისი

მირიან მეფის „ნიგნი-ანდერძის“ მხატვრულ-ესთეტიკური ბუნებისათვის

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაქციის შატბერდული და ქელიშური ნუსხები მირიან მეფის „ნიგნი“ და „ანდერძით“ სრულდება, რომლებიც ქართლის მოქცევისა და ნინოს მოღვაწეობის ლოგიკურ შედეგად მოჩანს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ყველა დღეს არსებულ ვარიანტში (შატბერდული, ქელიშური და სინური).

ამთავითვე უნდა ითქვას ორი რამ:

1) ვფიქრობთ, მეფის „ნიგნი“ და „ანდერძი“ მირიანისგან მომდინარე თხრობის ორი დამოუკიდებელი ნაწილი კი არა, ერთი მთლიანი ტექსტია, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად (ამჟერად მათზე არ შევჩერდებით), ადასტურებს მათი საერთო განწყობა და სულისკვეთება. მართლაც, „ნიგნი“ და „ანდერძი“ თითქოს ერთი ამოსუნთქვით არის წარმოთქმული მეფის მიერ და მეორე პირველის ლოგიკური გაგრძელება;

2) მირიან მეფის „ნიგნი-ანდერძი“ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთ-ერთი უძველესი ნაწილია და სიუჟეტურად, გარკვეულწილად, კრავს ციკლური აგებულების თხრობას.

რას წარმოადგენს მირიანის „ნიგნი-ანდერძი“ თავისი ფაქტობრივი, სულიერი და მხატვრულ-ესთეტიკური შინაარსით?

ფაქტობრივი თვალსაზრისით, „ნიგნი-ანდერძი“ მხოლოდ რამდენიმე დამატებით ცნობასა თუ ნიუანსს შეიცავს, ისე კი, ძირითადად, თხზულებაში წინ მოთხრობილი მნიშვნელოვანი მოვლენების ერთგვარი ლაკონიური გადმოცემაა. მაგრამ თავისი სულიერი შინაარსით იგი ნათელდებული მეფის აღსარებაა, შინაგანი გამოცდილებისა და პიროვნული გარდატეხის გზით „ახალ ცხოვრებას“ ზიარებული კაცის ესქატოლოგიური მოლოდინის იმედიანი განცდაა, სულიერი ღვანლია, დაუბადებელი ნათლის ხილვის სასოებით გაცისკროვნებული. შესაბამისად, მხატვრულ-ესთეტიკური ბუნებით მირიანის „ნიგნი-ანდერძი“ ბიბლიურ-ქრისტოლოგიურ წარმოდგენებსა და სახეობრივ სისტემას ეფუძნება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ თუმცა ის პირველივე ფრაზიდან მოყოლებული დასასრულამდე წმინდა წერილისა და ქრისტიანული ღვთისმეტყველების კონტექსტით შინაარსდება, აქ ვერ ვნახავთ ბიბლიიდან მოხმობილ ციტატებს. ამასთანავე, მიუხედავად ზეამალელებული ემოციური განწყობისა, ტექსტი სტილური სისადავით გამოირჩევა. იგი უშუალო განცდისა და ქეშმარიტი სულიერი შეგრძნებების კვალობაზე გაცხადებული აზრის სინატიფის ნიმუშია.

სწორედ ამგვარი ეთიკურობა აქცევს მას მაღალესთეტიკურ რაობადაც. აქ ერთი მხატვრული სახე შინაგანი ლოგიკით ეხმიანება მეორეს, მეორე — მესამეს, რაც განაპირობებს კიდევ ტექსტის საერთო სულიერი შინაარსის მთლიანობას.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ორიოდ ეპიზოდზე, რომლებიც, ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებად ცხადყოფს მირიან მეფის „ნიგნ-ანდერძის“ მხატვრულ ბუნებას. მას შემდეგ, რაც მირიანი მოგვითხრობს, თუ როგორ მოხედა ღმერთმა ცოდვით დაბნელებულ ჩრდილოს ქვეყანას და „კვლად ცხოვართ“, ქართველებს, რომელთა შვილნი „შეჭამა ცეცხლმა მსხვერპლად კერპთათვის“, და უდიდეს წყალობად მოგვივლინა წმინდა ნინო, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მკაფიოდ აცნობიერებს საკუთარ განვლილ გზასაც და ნათელმოსილ ანწყოსაც. ამიტომაც წერს: „ამან წმიდამან აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისა და შუვა ღამესა ოდენ მეჩუენა მე მზე ბრწყინვალე, ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომლისა ნათელი მისი არა მოაკლდეს უკუნისამდე და მექმნა ჩუენ მოძღუარ და შემრთნა ჩუენ ერსა ქრისტესსა ნათლის-ღებითა წმიდისა და პატიოსნისა ძელისა თავყანისცემითა და მომცა ჩუენ შჯული ახალი ცხორებისა და სიხარულისა და ღირს-მყენა გემოის-ხილვად საიდუმლოთა უხრწნელთა ზეცისათა“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ 1964: შ. 158).* მირიანის „ნიგნის“ ეს პასაჟი უაღრესად შთამბეჭდავია ესთეტიკური თვალსაზრისით, მაგრამ ესთეტიკურობა შუა საუკუნეების ქრისტიანულ ხელოვნებაში არ არის თვითკმარი ღირებულება. ესთეტიკური არის ის, რაც ეთიკურია, ეთიკურს კი რელიგიური ცნობიერება განსაზღვრავს. შესაბამისად, მხატვრული სახეც თავისი წარმოშობით უმთავრესად ბიბლიურია, თუმცა, არაიშვიათად ნიჭიერი ავტორის შემოქმედებითი აზროვნების დაღაც ატყვია. ნმ. ნინომო „აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისაჲ“, — ამბობს მირიან მეფე. ბიბლიური ღვთისმეტყველების ერთ-ერთი ლექსიკონის განმარტებით, „Светильник – символ присутствия Божия. — “Ты Господи, светильник мой” (2 цар. 22,29). Этим возгласом псалмопевец исповедует, что Бог один дает свет и жизнь. Ведь Он Творец духа, который пребывает в человеке, подобно “светильнику Господню” (Притч. 20,20). Господь освещает Словом Своим, наставлениями Своими (Притч. 6,23), как светильник стезю верующего (Пс. 118,105)” (ლექსიკონი 1998: 1002). გულში ანთებული სანთელი, როგორც ღვთის თანადასწრების ან ღმერთთან თანაარსებობის, ღვთის სიტყვის გულში დამკვიდრების ნიშანი სახეობრივ მნიშვნელობას ინარჩუნებს მოციქულთა ეპისტოლურ

* ქვემოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სხვადასხვა რედაქციის ტექსტს დავიმონებთ გამოცემაზე მიუთითებლად, მხოლოდ რედაქციის აღნიშვნით საწყისი ასოთი — შ., ჭ., ს.

მემკვიდრეობაშიც: „რამეთუ ღმერთმან, რომელმან თქუა ბნელისაგან ნათელი გამობრწყინებდად, რომელმან გამოაბრწყინვა გულთა შინა ჩუენთა განსანათლებლად მეცნიერებისა დიდებისა ღმრთისა წინაშე პირსა იესუ ქრისტესსა“ (II კორ. 4,6) ან: „და მაქუს ჩუენ უმტკიცესი სანინასწარმეტყულოა სიტყუაჲ, რომელ კეთილ ჰყოთ, ეკრძალნეთ თუ, ვითარცა სანთელსა მნთებარესა ადგილსა შინა წყუდიადსა, ვიდრემდის დღე განათლდეს და მთიები აღმობრწყინდეს გულთა შინა თქუენთა“ (II პეტ. 1,19). ამგვარი სახეობრივი დატვირთვით ფუნქციონირებს „გულში ანთებული სანთელი“ მირიანის „ნიგნშიც“, სადაც პარალელურად შემოტანილია მეორე, სინონიმური მნიშვნელობის, სახე-სიმბოლო — „შუალამის მზე“: „შუვა ღამესა ოდენ მეჩუენა მე მზმ ბრწყინვალმ, ქრისტე ღმერთი ჩუენი რომლისა ნათელი მისი არა მოაკლდეს უკუნისამდე“ (შ. 158) (ჭელიშური ვარიანტი ამატებს: „მზე იგი სიმართლისაჲ, ბრწყინვალე“).

მირიანის „ნიგნის“ ამ ეპიზოდს რ. სირაძე აკავშირებს „ნინოს ცხოვრების“ წინარე თხრობასთან, კერძოდ, მზის დაბნელების ეპიზოდთან თხოთის მთაზე. მკვლევარი წერს: „აქ არ შეიძლება არ დავინახოთ ასეთი შუპირისპირება: შუადღის დაბნელებული მზე და შუალამის მზის ბრწყინვალეობა“ (სირაძე 1997: 95). თავისთავად, მირიანის „ნიგნში“, ფაქტობრივად, ტექსტშივე დაკონკრეტებულია ზემოაღნიშნული სიმბოლოს საკრალური შინაარსი - „მზე ბრწყინვალე“ ანუ „მზე სიმართლისა“ არის ქრისტე ღმერთი. ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში მოხსენიებულია იესოს მოსვლა, როგორც ნათლისა წარმართთა შორის: „ერმან მავალმან ბნელსა შინა იხილე ნათელი დიდი, და მკვიდრებულნო სოფელსა შინა და აჩრდილთა სიკვდილისათა, ნათელი გაბრწყინდა თქუენ ზედა“ (ეს. 9,20); „და სცე მშვიერსა პური სულით გამო შენით, და სული დამდაბლებული აღავსო, მაშინ აღმობრწყინდეს ბნელსა შინა ნათელი შენი, და ბნელი შენი, ვითარცა შუადღე“ (ეს. 58,10). იოანეს სახარებაში თავად იესო ამბობს: „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისაჲ“ (იოან. 8, 12), ხოლო ლუკა მახარებელი ამ ნათელს სწორედ ამომავალ მზედ სახავს: „მონყალებითა წყალობისა ღმრთისა ჩუენისაჲთა, რომელთა მიერ მომხედნა ჩუენ აღმოსავალმან მალლით გამოჩინებდა მათ ზედა, რომელნი სხენან ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა, და წარმართებად ფერკთა ჩუენთა გზასა მშკდობისასა“ (ლუკ. 1,78-79). იესო, როგორც მზე, დღედ აქცევს ღამეს, დანაშაულის, შიშისა და ცოდვის დროს. „ღამე იგი განგუემორა და დღე შემოგუეახლა, განვიმორნეთ უკუე საქმენი ბნელისანი და შევიმოსოთ საჭურველი ნათლისაჲ“, — მოძღვრავს რომაელებს პავლე მოციქული (რომ. 13,12). მირიანისთვისაც უკან დარჩა „საქმენი ბნელისანი“, წარმართული წარსული, და, „ნათლის საჭურველშემოსილი“, წმ. ნინოს მოძღვრების ძალით ქართველობასთან ერთად თავს ქრისტეს ერთან თანაშერტულად გრძნობს: „მექმნა ჩუენ მოძღუარ და შემრთნა ჩუენ

ერსა ქრისტესსა ნათლის-ღებითა ნმიდითა და პატიოსნისა ძელისა თავყანისცემითა“ (შ. 158).

ძველი აღთქმის მიხედვით, უფალმა სხვა ერთა შორის ისრაელი გამოარჩია. ის იყო „წმინდა უფლისა... დასაბამი ნაშრომთა მისთა“ (იერ. 2-3), მისი „სამწყსო“ (ფს. 94,7), „ვენახი“ (ეს. 5,1), „ძე მისი პირმშო“ (გამ. 4,22). მაგრამ ისრაელი მრავალგზის ასცდა ჭეშმარიტ გზას და სცოდა, რის გამოც დაისაჯა კიდევ. ახალი აღთქმით, უფალი მიზნად ისახავს თავისი რჩეული ერის სულიერ გარდასახვას. იგი განწმენდს მას ცოდვილთაგან და, ამასთანავე, თავისი ჩანაფიქრის არეალში მოაქცევს ნარმართ ერებსაც („მთავარნი ერთანი შეკრბეს ღვთისა თანა აბრაამისა“ — ფს. 46,10), რომლებიც მას უერთდებიან რწმენით. ამგვარად ჩამოყალიბებული ახალი ერი არის ის ერი, რომლის ცოდვებიც თავისი სისხლით გამოისყიდა იესომ. ამდენად, ის არის უკვე იესო ქრისტეს ერი: „რომელმან-იგი მისცა თავი თჳსი ჩუენთჳს, რათა მიჰსენეს ჩუენ ყოვლისაგან უსჯულოებისა და განწმინდნეს თავისა თჳსისა ერად მოგებულად, მობაძავედ კეთილთა საქმეთა“ (ტიტ. 2,14). ეს არის ერი, რომელიც უნდა გამოვიდეს ბაბილონიდან - ბოროტების ქალაქიდან და შეიკრიბოს იერუსალიმში - ღვთის სამკვიდრებელ ქალაქში. ეს ზეციური იერუსალიმია, ახალი იერუსალიმი, რომლის მოქალაქეც ხდება ერი ქრისტესი. ეს არის „ახალი ცა და ახალი ქვეყანა“, რომელშიც იწყება „ახალი ცხოვრება“. ამიტომაც მას შემდეგ, რაც მირიანის „ნიგნში“ საუბარია ნინოს საშუალებით ქართველობის თანაშერთვაზე ქრისტეს ერთან, ტექსტში შემოდის ახალი მხატვრულ-სიმბოლური სახე, შესატყვისი ჩვენი, როგორც ქრისტეს ერის, ესქატოლოგიური მომავლისა. ნინომო, ამბობს მირიან მეფე, „მომცა ჩუენ შჯული ახალი ცხოვრებისა და სიხარულისა და ღირს მყვნა გემოდსილვად საიდუმლოთა უხსრწნელთა ზეცისათა“ (შ. 158). „ახალი ცხოვრების“ რჯული, ანუ ქრისტიანობა, არის, ამავე დროს, სჯული სიხარულისა, რომელიც იესო ქრისტეს, მესიის, მხსნელის, ქალწულ მარიამის სხეულში უბინო ჩასახვით იწყება. „მოივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ქალაქად გალილეასა, რომლისა და სახელი ნაზარეთ. ქალწულისა თხოვილისა ქმრისა, რომლისა და სახელი იოსებ, სახლისაგან და ტომისა დავითისა, და სახელი ქალწულისა და მარიამ. და შევიდა ანგელოზი იგი მისა და ჰრქუა: გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა; კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“ (ლუკა 1,26-28). იესო ქრისტეს თავისი დაბადებით, ცხოვრებითა და ჯვარცმით ნუთისოფელში მოაქვს სულიერი სიხარული მორწმუნეთათვის, რომელიც მათ მარადიულ სიხარულად გადაექცევათ ისტორიის დასასრულს, „ახალ ცხოვრებაში“ — „ვიხარებდეთ და ვიმუებდით და მივსცეთ მას დიდებას, რამეთუ მოვიდა ქორწილი კრავისა და ცოლმან მისმან განმზადა თავი თჳსი“ (გამოცხ. 19,7). ერი ქრისტესი, როგორც სასძლო, ამ ქორწილით სამუდამოდ უკავშირდება კრავს, სასძლოს, მის სიყვარულსა და ცხოვრებას. სწორედ ეს არის ზეცის უხრწნელი

საიდუმლო, რომლის „გემოისხილვის ღირსი“ გახდა ქართველობა ნინოს მიერ მისი მოქცევის შემდეგ.

მირიანის „ნიგნის“ ზემოთ განხილულ ღრმად ემოციურ ნაწილს მოსდევს თხრობა ცხოველი სვეტის დაფუძნების, ქვემო ეკლესიის აგების, საჯვრე ხის მოჭრის, მისგან სამი ჯვრის შემზადებისა და მათი აღმართვის, ნინოს „მაყვალთა ზედა“ ზემო ეკლესიის აღშენების, წმ. ნინოს გარდაცვალების, მისი დაკრძალვისა და ბოდში „ფრიად დიდი“ ეკლესიის აღშენება-შემკობის შესახებ. ტექსტის ამ მონაკვეთს თითქოსდა ყველაზე მეტად აქვს ამბის გადმოცემის სახე, თუმცა ეს თხრობაც, რომელიც, ზოგიერთი ცნობის დამატებით, იმეორებს „ნინოს ცხოვრებაში“ უკვე აღწერილ მოვლენებს, მხატვრულ-სახეობრივი ნიუანსებით არის გამდიდრებული, რაც სულიერად აშინაარსებს მირიანის ქრისტიანულ ღვაწლს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ზემო ეკლესიის აღშენების მირიანისეული აღქმა: „და აღვაშენე, ეკლესიაჲ მაყულოვანსა მას შინა ნინოჲსსა, და ვქმენ მას შინა საქმს, ქმნული უჩინოჲ და ცხადი, დიდებჲაჲ მაყულოვანთა მათ“ (შ. 159). ამ ეპიზოდს ყურადღება მიაქცია ე. ჭელიძემ და წინააღმდეგ გ. ჩუბინაშვილის გეომეტრიული ინტერპრეტაციისა, მისი სახისმეტყველებითი გააზრება შემოგვთავაზა. მკვლევრის დაკვირვებით, „ფრაზა „ქმნული უჩინოჲ“ გულისხმობს „საქმედ ქცეულ“ განივთებულ უხილავ ძალას ანუ ეკლესიას. მეორე მხრივ, საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ეკლესია, გარდა უხილავი ძალისა, განსახიერებს თვით ნივთიერ სამყაროს, ხილულ ანუ ცხად სინამდვილეს, არის სიმბოლო მთელი ხილული ქვეყნისა... ეკლესია, ეკლესიის შენობა, რომელიც თავის მხრივ ნივთიერია ანუ „ქმნილია“, არის განსახიერება როგორც „უხილავის“, ასევე „ხილულისა“ ანუ, რაც იგივეა, როგორც „უჩინოჲსი“, ასევე „ცხადისა“ (ჭელიძე 1985: 106). შესაბამისად, მირიანის სიტყვები ასე უნდა გავიგოთ: „ნინოსეულ მაყულოვანში ავაშენე ეკლესია და იქ საქმედ ვაქციე, გავაცხადე ის, რაც უჩინოა (აღვასრულე ისეთი საქმე, რაც უჩინოც არის და ცხადიც ანუ სულიერიცაა და ნივთიერიც), რითაც განვადიდე მაყულოვანი“ (ჭელიძე 1985: 107).

სახისმეტყველებით არის გასააზრებელი მირიანის თხრობა „ქუემო ეკლესიის“ შესახებაც: „და აღვაშენე ზემო ეკლესიაჲ თავისა ჩემისათჳს ქვითა და ერისა სიმრავლითა, რამეთუ ქუემოსა ეკლესიასა ერქუა „წმიდაჲ წმიდათაჲ“ და ყოლადვე ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხუმად თუნიერ მღდელთასა, რომელნი გალობედ მას შინა, რამეთუ შიში დიდი დაცემულ იყო ყოველსა ზედა კაცსა სუეტისა მისგან ცხოველისა და ახედვიდა ყოველი კაცი სუეტსა მას ვითარცა ძალსა ღმრთისასა. და მიხედვადცა ვერ ეძლო კაცთა სართულსა მისსა, რომელსა თუთ ვხედავთ, და ვერ ვიკადრე წინაშე მისსა აღმოკუეუთად მიწაჲ სამარედ ჩემდა, რაჲთამცა დავსხენ ჳორცნი ჩემნი მის წინაშე, რამეთუ მეშინოდა მისგან ცოდვისა ოდენ მოქმედსა. და შევიმზადე ზემო საფლავი ჩემი, რაჲთა თუალსა მისსა მივჳრიდო და წყალობასა

მისა მივემთხვო აღდგომასა“ (შ. 160). იმას, რომ სვეტიცხოვლის ტაძარს, ანუ „ქუემო ეკლესიას“, მირიანის თქმით, ერქვა „წმიდაა წმიდათა“, მკვლევრებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება და ეს სახელწოდება ძველ იერუსალიმთან, მოსეს კარავთან და სოლომონის ტაძრის „დაბირთან“ (სჯულის კიდობნის ადგილთან), როგორც ღვთის გამოცხადების ადგილთან, დააკავშირეს (თ. მგალობლიძევილი, რ. სირაძე). ამასთანავე, „წმიდაა წმიდათა“ ქრისტიანულ ტაძრებში საკურთხეველს ეწოდება. მაგრამ ის, რომ მირიანის „წიგნში“ ამ სახელით მოიხსენიება მთელი ტაძარი, „განსაკუთრებული, თუმცა... არაუნიკალური მოვლენაა ქრისტიანულ სამყაროში“ (კიკნაძე 1985: 61), რის დამადასტურებელი არაერთი მაგალითი არსებობს. როგორც ჩანს, ასეთი სახელწოდება — „წმიდაა წმიდათა“ — ტაძარს ენიჭება მისი განსაკუთრებული მდებარეობის ან მასში განსაკუთრებული სინმინდებების არსებობის გამო. მკვლევართა შენიშვნით, „მცხეთაში არსებული ეკლესიის „წმიდათა წმიდად“ გამოცხადება განპირობებული იყო მასში იმ სვეტის არსებობით, რომელიც იმთავითვე სინმინდედ იქნა შერაცხილი. „სუეტი იგი ცხოველი“ არის პირველი ეროვნული ქრისტიანული სინმინდე“ (კიკნაძე 1985: 60-61). ვფიქრობთ, ნიშანდობლივია ისიც, რომ „ცხოველი სვეტი“ თავისთავად ეფუძნება ადგილს, სადაც დაფლულია უფლის კვართი. ამდენად, ეს ორი უდიდესი სინმინდე აქ თანაარსებობს, რომელთაგან ერთი — კვართი, „ძე კაცისას“ ჯვარცმამდელი სამოსი — საკუთრივ ქრისტიანობის სიმბოლოა, ხოლო „ცხოველი სვეტი“, როგორც ცეცხლოვანი სვეტი, — ჯერ კიდევ ძველი აღთქმიდან მომდინარე სახე უფლისა. ეგვიპტიდან გამოყვანილ ისრაელს ღმერთი ღამით უძღვის ცეცხლის სვეტის სახით: „ხოლო ღმერთი უძღოდა მათ... ღამე — სუეტითა ცეცხლისათა“ (გამ. 13,21). ცეცხლის სვეტის სახით ჩამოდის ზეციდან მიწაზე მცხეთის სვეტი-ცხოველიც. სიღონია ჰყვება: „...ვიხილეთ ხილვაა განსაკრთომელი, რამეთუ სუეტი იგი ზეცით ქუეყანად ცეცხლის სახედ ჩამოვიდოდა და მოეახლა ხარისხსა მას ზედა ეგრეთ აღმართებული“ (ჭ. 141). ცეცხლოვანი სვეტის სახით ზეციდან მიწაზე ჩამოსული სვეტი-ცხოველი სწორედ ღვთის ძალად განიცდება — „ახედვიდა ყოველი კაცი სუეტსა მას ვითარცა ძალსა ღმრთისასა“ (შ. 160). ამიტომ როგორც მოსემ „გარე-მიიქცია პირი მისი“ ცეცხლმოდებული და შეუწველი მაყვლისაგან, „რამეთუ ეშინოდა მიხედვად წინაშე ღმრთისა“ (გამ. 3,6), იმჟამინდელ ქართლშიც „მიხედვადცა ვერ ეძლო კაცსა სართულსა მისსა“ (შ. 160).

იქ, სადაც მირიან მეფე საუბრობს იმის შესახებ, რომ „ქუემოსა ეკლესიასა“ ერქვა „წმიდაა წმიდათა“, გვამცნობს, აგრეთვე, რომ ვერავინ იკადრებდა ამ ტაძარში შესვლას კვირა დღის გარდა, „რამეთუ შიში დიდი დაცემულ იყო ყოველსა ზედა კაცსა სუეტისა მისგან ცხოველისა“ (შ. 160). სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ მრევლის შეკრება სვეტიცხოვლის ტაძარში მხოლოდ კვირაობით არა იმის შედეგია, რომ ახალი რელიგიის შიში აბრკოლებდა მოსახლეობის

ეკლესიაში შესვლას, როგორც ვარაუდობდა ზოგი ხელოვნებათმცოდნე (გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე), არამედ გამოძახილი იერუსალიმური ლიტურგიკული პრაქტიკისა (კიკნაძე 1985: 63-64; მაგალობლიშვილი 1991: 176-179). ხოლო რაც შეეხება შიშს, ის საერთოდ რელიგიური ცნობიერებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური განცდაა. „ღვთისმოშიშება“ მორწმუნის ბუნებრივი სულიერი მდგომარეობაა. ეს ის შიშია, რომლის შესახებაც ფსალმუნთმეტყველი ამბობს: „დასაბამი სიბრძნისა შიში უფლისა“ (ფს. 110,10). როგორც ჩანს, ეს განცდა განსაკუთრებით გამძაფრებული ჰქონია მეფე მირიანს. ღვთისადმი უაღრესი კრძალულების გამო, ამბობს მეფე, „ვერ ვიკადრე წინაშე მისსა აღმოკუეთად მიწაჲ სამარედ ჩემდა, რაჲთამცა დავესხენ ჳორცნი ჩემნი მის წინაშე, რამეთუ მეშინოდა მისგან ცოდვისა ოდენ მოქმედსა და შევიმზადე ზემოჲ საფლავი ჩემი, რაჲთა თუალსა მისსა მივჳრიდო და წყალობასა მისსა მივემთხვო აღდგომასა“ (შ. 166). უფლის კვართს დაფუძნებული ცხოველი სვეტის წინაშე, ამ უდიდესი სინმინდებების მახლობლად მირიანს თავისი ცოდვილი ხორცის, სხეულის, დაფლვა, როგორც ჩანს, კადნიერებად და ამპარტავნებად მიუჩნევია. მას უმჯობესად შეურაცხავს ამ და სხვა ვნებათა დათრგუნვის გზით ღმერთთან სულიერი სიახლოვის მოპოვება. „წყალობასა მისსა მივემთხვიო აღდგომასა“ — ეს არის მეფის სასოება. ბიბლიური ტრადიციით, „Человеческая личность в силу своего теперешнего состояния, вся целиком обречена подпасть власти смерти: душа станет пленницей шеола, тогда как тело истлеет в могиле; но это будет только переходным состоянием, из которого человек по особой милости Божией воспрянет живым, подобно тому, как встают с земли, на которой лежали, как восстают от сна. Эта идея определённо высказанная уже в Ветхом Завете, стала средоточием христианской веры и надежды с тех пор, как Христис Сам вернулся к жизни, в качестве "первинца из мёртвых“ (ლექსიკონი... 1998: 176-177). გარდა ამისა, იესო ქრისტე თავად არის აღდგომა და ცხოვრება: „მე ვარ აღდგომა და ცხოვრება. რომელსა ჳრწმენეს ჩემი, მო-ლათუ-კუდეს, ცხონდესვე“ — ეუბნება იესო ლაზარეს და მართას (იოან. 11,25). პავლე მოციქული კი მოძღვრავს რომაელებს: „უკუეთუ სული იგი აღმადგინებელისა იესოსი მკუდრეთით მკუდრ არს თქუენ შორის, რომელმან-იგი აღადგინა ქრისტე მკუდრეთით, განაცხოველნეს მოკუდავნიცა ეგე ჳორცნი თქუენნი დამკვიდრებულისა მის მიერ თქუენ შორის სულისა მისისა“ (რომ. 8,11). „მოკუდავთა ხორცთა განცხოველება“, ანუ უფლის წყალობა, რომელსაც მირიანი მოელის, უხრწნელი, სულიერი აღდგომაა, განახლებაა უკანასკნელი დროისა და ახალი ცხოვრების მიჯნაზე. პავლე მოციქული წერს: „ეგრეცა აღდგომასა მკუდართასა, დაეთესვის ხრწნილებით და აღდგების უხრწნელებით... დაეთესვის ჳორცი მშვნეიერი და აღდგების ჳორცი

სულიერი... ჯორჯთა და სისხლთა სასუფეველი ღმრთისაჲ და მკუდრებად ვერ ძალ-უც, არცა ხრწნილებამან უხრწნელება და იმკუდროს. აჰა ესერა საიდუმლოსა გითხრობ თქუენ: ყოველთავე უკუე არა შევისუნეთ, ხოლო ყოველნივე განვახლდეთ მეყსა შინა წამსა თუალისა უკუანაჲსკნელთა მით საყვრითა, რამეთუ საყვრსა დაეცეს, და მკუდარი იგი აღდგენ უხრწნელნი, და ჩუენ განვახლდეთ რამეთუ ჯერ-არს ხრწნილისა ამის შემოსად უხრწნელებაჲ, და მოკუდავისა ამის შემოსად უკუდავებაჲ“ (1 კორ. 15, 42-53). სწორედ ამგვარი უკვდავებით შემოსვის წყალობას მოელის მირიან მეფე ღვთისგან, თუმცალა მის სასოებას მსჭვალავს საკუთარი ცოდვიანობის მძაფრი შეგრძნება. ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე თავს „ცოდვისა ოდენ მოქმედს“ უწოდებს და ამით სინანულის მადლიან გზას ადგება. ამ თვალსაზრისით ის ერთგვარ შუახიდადაც მოჩანს ფსალმუნთმეტყველსა და „გალობანი სინანულისანი“ ავტორს შორის. აქვე შესაძლებლად მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ მირიან მეფის სულიერი ნათესაობა, ერთი მხრივ, ბიბლიურ წინაპართან, ხოლო მეორე მხრივ, ქართველ შთამომავალთან მხოლოდ ცოდვისა და სინანულის ღრმა რელიგიური განცდით არ შეიგრძნობა. ჩვენი აზრით, მირიანის „ნიგნი-ანდერძი“ „პოეზიის“ ნიმუშია, ოღონდ არა ფორმისა და ჟანრის, არამედ ძალუმად გამოვლენილი შინაგანი ლირიზმის კვალობაზე.

ზემოთ განხილული ორიოდე მცირე პასაჟი მირიანის „ნიგნი-ანდერძის“ საერთო მხატვრულ-სახეობრივი ბუნების გამომხატველია. ისინი ნათლად წარმოაჩენენ იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ტექსტით მოწოდებული სათქმელის „ლოგიკა“ ბიბლიურ-ქრისტიანულ სახეთა უწყვეტ ჯაჭვს ეფუძნება. ამიტომაც ამ თვალსაზრისით მეფის „ნიგნი-ანდერძის“ შესწავლა, ვფიქრობთ, არა მხოლოდ ლიტერატურულ-კულტუროლოგიური რიგის ამოცანაა, არამედ დიდად წაადგება ტექსტის მეტნაკლებად პირვანდელი სახის აღდგენასაც. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას მივაქცევთ ერთ ეპიზოდს: მიწად მიქცევის წინ მირიანი ნანა დედოფალსა და მთავარეპისკოპოსს უბარებს, იზრუნონ წმ. ნინოს სამარხი ადგილის „უკუნისამდე შეურყეველობასა“ და მისთვის ჯეროვანი პატივის მიგებაზე, ხოლო საკუთარ ძეს სწავლის: „აჰა ესერა შეიცვალა ბნელი ჩუენი ნათლად და სიკუდილი ჩუენი ცხორებად. ან სადაცა ჰპოვე ქუეყანასა შინა შენსა ვნებასა იგი ქართლისანი მაცთურნი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ და ნაცარი მათი შეასუ მათ, ვინც მათ ეგლოვდის, და ესე ამცენ შვილთა მართა, რამეთუ მე ვიცი იგი, მსრწაფლ კავკასიათა შინა ვერ დაილევინ. ხოლო შენ ესერა ჰყოფდ: თავი შენი შეჰვედრე სუეტსა მას ზეგარდამოდებულსა და პატიოსანსა ჯუარსა, ცათა შინა ჩინებულსა და იყავ შენი მისლვაჲ მიწად ძილად საუკუნოდ სარწმუნოვებასა ზედა წმიდისა სამებისასა. ამენ“ (შ. 162-163). ამ სწავლა-დარიგებაში, ისევე როგორც საერთოდ მირიანის „ნიგნი-ანდერძში“, ავტორისეული სათქმელი ბიბლიური სახისმეტყველების

საშუალებით საცნაურდება. მაგრამ ამ ნაწილში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტები საკმაოდ სხვაობს ერთმანეთისაგან. კერპებთან დაკავშირებული თხრობა (ჩვენი აზრით, მირიანის „ნიგნ-ანდერძის“ ერთ-ერთი უძველესი პლასტიკი), რომლის წყაროც გამოსვლათა წიგნი უნდა იყოს (32,20 — როცა სინის მიიღან დაბრუნებულმა, სჯულის ფიცრებით ხელდამშვენებულმა მოსემ ებრაელთა მიერ გამოდნობილი კერპი, ხბო, იხილა, აღშფოთდა რწმენაშერყეული, ჭეშმარიტი ღვთის დამვინწყებელი ხალხის საქციელით, რჯულის ფიცრებიც გაუვარდა ხელიდან და „ხბო იგი, რომელი ჰქმნეს, დანვა იგი ცეცხლითა, დამუსვრნა წვრილად და შთააბნია იგი წყალსა და ასვა იგი ძეთა ისრაელისათა“), არც ჭელიშურ და არც სინურ რედაქციებს არ შემოუნახავთ. სინურში ტექსტის ბოლო ნაწილი საკმაოდ გაუმართავია, რაც, როგორც ჩანს, დაზიანებული დედნით სარგებლობის შედეგია, ჭელიშური კი, ვფიქრობთ, ამ ნაწილში ასევე დაზიანებული დედნიდან უნდა მომდინარეობდეს, ვინაიდან მირიანის მიერ კერპთა დანვის მოთხოვნის ეპიზოდზე აქ შეცვლილია უფრო ვრცელი, სავარაუდოდ, შედარებით გვიანდელი ჩანართით: „შეიცვალა ბნელი ჩუენი ნათლად და მწუხარებაჲ ჩუენი სიხარულად საუკუნოდ, რამეთუ არა-არსნი ესე არსად შევიცვალენით ძლიერებითა ქრისტეს ღმრთისაჲთა, რომელმან ქუესკნელით ჯოჯოხეთით ინება აღმოყვანებაჲ ჩუენი და გკხსნა კელთაგან მის კაცის მკვლელისათა, რომელი არაოდეს განძღებოდა სისხლითა ყრმათა ჩკლთა და უმანკოთაჲ. და ესეცა უწყებულ იყავნ შენდა, რამეთუ მტერნი იგი, რომელნი გარდამოსთხივნა მკსნელმან ჩუენმან და შეპყრობილ ვიყვენით საცთურითა მათითა, რამეთუ ვიცი, ვითარმედ კავკასიათა შიგან არა დაილევიან, არცა დასცხრებიან ბრძოლისაგან კაცთაჲსა“ (ჭ. 162-163). თუმცა ეს ჩანართიც, მირიანის „ნიგნ-ანდერძის“ საერთო მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი ბუნების შესაბამისად, ბიბლიური სახისმეტყველებით შინაარსდება. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ტექსტის შესაბამისი პასაჟი სინურ რედაქციაში საკმაოდ გაუმართავია („...სადა ჰპოვნე ქუეყანასა შენსა შინა ვნებანი იგი, მათ იგულოვდეს. და ესე შვილთა შენთა და ამცენ, რამეთუ მე ვიცი იგი, ვითარმედ კავკასიათა შინა არა დაილევიან“, — ს. 56-57), ამკარაა, რომ იგი მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს შატბერდულ და არა ჭელიშურ რედაქციასთან და მის ნაკულულ-დამახინჯებულ ვარიანტს წარმოადგენს. ამასთანავე, ჩვენი აზრით, ლოგიკურადაც უფრო მოსალოდნელია მეფეს თავისი ვაჟისადმი უკანასკნელ დანაბარებში ყურადღება გამემახვილებინა კონკრეტულად კერპებზე. თანაც, სავარაუდოდ, ჭელიშურ ტექსტშიც ფრაგმენტულად შემორჩენილი ფრაზა — „ვითარმედ კავკასიათა შიგან არა დაილევიან“ — უნდა გულისხმობდეს სწორედ კერპებს, რომლებიც ისტორიულად კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოს მთიანეთშიც, მართლაც „მსწრაფლ“ „არ დალეულან“. ეს, ეტყობა, წინდანინვე კარგად განუჭვრეტია მეფე მირიანს. ამიტომაც არა თუ

მხოლოდ შვილს აფრთხილებს საფრთხის შესახებ, არამედ უბარებს, შთამომავლობასაც მოუწოდოს სულიერი სიფხიზლისაკენ („და ესე ამცენ შვილთა შენთა“ — შ. 162), რათა „დაუღვენელმა“ კერპებმა ვერასოდეს შეძლონ ნათელელებული და ცხოვრების გზაზე შემდგარი ქართველი ერის კვლავ სიბნელისა და სიკვდილისაკენ მიბრუნება.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ მირიან მეფის „ნიგნი-ანდერძი“, როგორც ქრისტიანული მწერლობის ძეგლი, მთლიანად ბიბლიურ-ქრისტიოლოგიურ სახისმეტყველებას ეფუძნება. მიუხედავად თავისი მცირე მოცულობისა, ის დამოუკიდებელი, თვითმყოფადი ტექსტია, ლიტერატურული ფაქტია, რომელიც თავისი მაღალმხატვრული დონით წინარექრისტიანულ სამწერლობო ტრადიციებზე მიაწინებს. ამასთანავე, ცხადყოფს, რომ ნათლისღებიდან ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში ქართველობამ არა თუ თარგმნა ბიბლიური წიგნები, არამედ ინტელექტუალურად აითვისა ქრისტიანული სიბრძნე და რწმენით განათავისა. შესაძლოა გამორიცხული არც იყოს, რომ ინტერესი ბიბლიური და, განსაკუთრებით, ახალი აღთქმის წიგნების მიმართ ჯერ კიდევ წარმართობის ეპოქის ქართლში გაჩენილიყო. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ახ. წ-ით პირველ საუკუნეში ჩვენში ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა ქრისტიანობა, ამასთან ერთად, საეჭვოდ არ მივიჩნევთ იოანე საბანისძის მიერ მოწოდებულ ცნობას, რომ VIII ს-ის 80-იან წლებისათვის ქართველები „ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარეს-ლა შჯუღდებულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისადათა“, არც თუ უსაფუძვლო იქნება ვარაუდი იმის შესახებ, რომ ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდეც ქრისტიანული მოძღვრება და იდეოლოგია თანდათანობით იკიდებდა ფეხს ქართლში, ალბათ, არა მხოლოდ ზეპირი, არამედ მწიგნობრული გზითაც. ყოველივე ზემოთქმულის კვალობაზე, უცნაურად და მოულოდნელად არ გვეჩვენება IV საუკუნის 50-იანი წლებისთვის ისეთი დახვეწილი, შინაარსობრივად ჩამოყალიბებული, სტილურად გამართული ტექსტის შექმნა, როგორც მირიან მეფის „ნიგნი-ანდერძი“. ჩვენი აზრით, ამას ხელს არ უშლის ის გარემოება, რომ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება V საუკუნის უწინარესი წერილობითი ძეგლები ქართულ ენაზე (ჩვენი ეროვნული დამწერლობის წარმოშობის საკითხი ხომ, მიუხედავად ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა, დღემდე საბოლოოდ გარკვეული არ არის).

დამონებანი:

ალექსიძე 2007: „მოქცევა ქართლისაჲ“-ს ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები. გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზაზა ალექსიძემ. თბ.: საქართველოს საპატრიარქო, 2007.

ახალი აღთქმა 1963: ახალი აღთქმად უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. თბ.: საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა, 1963.

დავითნი 1881: დავითნი. ტფ.: 1881.

- კიკნაძე 1985:** კიკნაძე ზ., მირზაშვილი თ. რას მოგვითხრობს მირიანის „ნიგნი“. კრიტიკა, № 6, თბ.: 1985.
- ლექსიკონი... 1998:** Словарь Библейского Богословия. под редакцией Кеавье Леон-Дюфура... Киев-Москва: "Кайрос", 1998.
- მგალობლიშვილი 1991:** კლარჯული მრავალთავი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა. თბ.: 1991.
- მოქცევაჲ ქართლისაჲ 1964:** მოქცევაჲ ქართლისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. I, თბ.: 1964.
- მცხეთური ხელნაწერი 1981...:** მცხეთური ხელნაწერი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა. თბ.: „მეცნიერება“, 1981, 1984, 1985.
- სირაძე 1997:** სირაძე რ. „წმიდა ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა. თბ.: 1997.
- ჭელიძე 1985:** ჭელიძე ე. „უჩინოჲ და ცხადი“. კრიტიკა, № 6, თბ.: 1985.

М.А. НЕСТЕЛЕЕВ

Украина, Киев

Психоаналитический метод в литературоведении (на примере советской прозы 20-30-х гг. XX ст.)

Психоаналитический метод в литературоведении – метод трактования художественных явлений с помощью теорий венского психотерапевта З. Фрейда, а именно – теории влечений и теории бессознательного. Первоначально литературные факты в психоанализе играли лишь иллюстративную роль, позже – множество литературоведческих методологий использовали и используют различные аспекты данной науки, нередко тенденциозно переосмысливая фрейдовские понятия. Среди представителей психоаналитического течения в теории литературы особо выделяются И. Нейфельд, Ш. Мурон, Д. Ранкур-Лаферьер, И. Смирнов, Х. Блум (в работе „Западный канон“, уже несколько отступающий от основы психоанализа – Эдипова комплекса, находя у самого З. Фрейда назойливый комплекс Шекспира) и многие другие, использующие психоаналитические категории не систематически, а потому – несколько искажённо.

Цель данной статьи – на материале советской прозы 20-30-х гг. XX ст. выявить особенности взаимодействия соцреалистических (марксистских) категорий с категориями психоанализа, а также в контексте концепции „проективного самоанализа“ проанализировать понятия мифа, культуры и „положительного героя“, отображенные в литературе, выявив при этом важные психопозэтические доминанты как стилей писателей, так и стилиа эпохи.

Марксизм довольно часто оказывается рядом с психоанализом – это и советский психоанализ 20-х годов, и научная деятельность Э. Фромма, Г. Маркузе, С. Жижека и пр.

Попытки объединения психоаналитической и марксистской методологических платформ связаны с желанием адекватного анализа феномена социального и возможности прояснения механизмов функционирования социума, используя концепт „бессознательного“.

Например, современный неомарксист Т. Иглтон в книге „Литературная теория. Вступление“ настаивает на скрещении интерпретаций бессознательных и социальных процессов как двух аспектов одной человеческой ситуации с целью *„решить проблему отношения между обществом и бессознательным“* (Eagleton 1996:151).

В Советском союзе 20-30-х годов дискуссия о психоанализе в основном сводилась к тому, является ли психоаналитическая философская система системой идеалистической либо материалистической и, соответственно, неприемлемой или приемлемой для коммунистического

общества. При чём Н.Бердяев точно подметил неслучайность заинтересованности психоанализом именно в этой геополитической ситуации, что *„метод разоблачения иллюзий сознания у Маркса очень напоминает то, что делает Фрейд”* (Бердяев 1990:80-81), с тем различием, что у первого действительность, отражённая в сознании, прежде всего – экономическая, а у второго – сексуальная (Бердяев 1990:81). Совмещение данных методов происходило не совсем органично. И если марксизм поддерживался руководящими партийными органами, то психоанализ воспринимался как чуждое советскому активному гражданину мировоззрение, пагубное именно своей тенденцией необходимости интроспективного осмысления макрокосма через личный микрокосм. Поскольку интроспекция – это возможность обретения истины, её постижение, что было ненужным в обществе, где истина не постигалась, а давалась уже готовой в принудительном безоговорочном порядке.

Потому не обошлось без организованного сопротивления утверждению метода З. Фрейда и его последователей. Это было связано как с вульгарно-популярной пропагандой непрофессиональных психологов, так и с неудачей политической позиции Л. Троцкого (поддерживающего психоаналитиков и своеобразно использующего психоаналитические термины в своих статьях). Недолгое существование Государственного психоаналитического института (1922-1925) и фактический запрет дальнейшего исследования не сделали возможным научную адаптацию ценных достижений психоанализа советским обществом, хотя некоторые исследователи прямо указывали на потенциал психоаналитической науки, особенно в *„области психической социальной гигиены”* (выделение авторское – М. Н.) (Ермаков 1924:IX). Также немаловажным считалось использование психоаналитических методов в педагогике, так как ещё А. Макаренко заканчивал свою *„Педагогическую поэму”* (1925-1935) пожеланием увидеть простую деловую книжку *„Методика коммунистического воспитания”* (Макаренко 1988:621).

Попытку подобной педагогической адаптации теорий З. Фрейда к советскому дискурсу предложил Г. Малис в работе *„Психоанализ коммунизма”* (1924). Г. Малис считает, что центрами будущего общества будут детские коммунистические группы, а школу *„заменит непосредственное знакомство детей с различными видами производства”* (Малис 1924:76) для того, чтобы маленький индивид выбрал ту определённую область труда, которая, отвечая его психологической установке, поможет беспроblemной сублимации энергии. При подобном полноценном избавлении от нереализованных желаний исчезнет потребность *„вытеснять или удалять в нереальную жизнь (фантазию) некоторые свои стремления”* (Малис 1924:76). В этом утопическом обществе фантазия станет жизнью, потому в фантазировании, а

следовательно и в чистом (без социальной целесообразности) творчестве не будет необходимости. Подобное же общество воссоздал Е. Замятин уже в антиутопии „Мы” (издана в 1924 году за рубежом), где сомнительное благополучие в Едином Государстве достигается уничтожением воображения и души посредством лоботомии, счастье и гармония оказываются несовместимыми со свободомыслием и индивидуальностью, недаром у замятинских персонажей нет имён, а вместо творческой речи – лозунги из единой Государственной Газеты.

Несколько другой аспект раскрывает А. Залкинд в работе „Фрейдизм и марксизм” (1924), пытаясь приспособить психоанализ к советской реальности, улучшив его при помощи рефлексологии И. Павлова. По его мнению, идеальное и, судя по всему, исключительно коммунистическое общество, должно принимать самое непосредственное участие даже в процессе творчества, а именно в сублимации, *„освобождении неполового, чуждого половому, материала из противоестественного полового плена”* (Залкинд 2001:163), а потому *„хорошо организованная социальная среда – лучший противоположной насос, лучший сублимирующий аппарат”* (Залкинд 2001:163).

Довольно интересно, что психоанализ рассматривается одновременно и как способ познания человека, и как способ познания социума, с одной целью – воспитать идеал (личности и общества). При этом немаловажным средством коллективного идеологического воздействия становится искусство, которое Л. Выготский предлагает понимать как *„социальное разрешение бессознательного”* (Выготский 1986:110).

Для исследования психобиографии писателей этой эпохи в парадигме их творчества, нами вводится концепция „проективного самоанализа”, которую мы понимаем как психоэстетическую стратегию существования художественного произведения в плане взаимоотношения автора и сотворённого им текста. При таком подходе каждый текст – это сознательная или бессознательная попытка анализа его автором собственного Я (или шире – своих желаний) при помощи идейно-образной проекции разноуровневых личных конфликтов и проблем, то есть путём их психолингвистического воплощения. Эта концепция поможет нам понять скрытые мотивации писательской активности, иначе говоря – раскрыть психорегулятивный механизм возникновения и бытия формально-содержательного аспекта архитектоники текста. Для этого мы в качестве материала будем использовать советскую прозу 20-30-х годов XX столетия. Концепцию „проективного самоанализа” можно соотнести с понятием сублимации (переключение / возгонка сексуальных влечений на несексуальные), так как важным в обоих случаях является социальное влияние, но тем не менее самоанализ подразумевает возможность заострения внимания на анализе автором самого себя в фиктивном мире художественного. Сублимация же – это просто процесс переключения

энергии, без выделения особенности данного переключения при создании текста, проективного воплощения.

Литературовед В. Компанеец подчёркивает, что в начальный советский период общая неконтролируемая, стихийная ситуация времени заставляла человека незамедлительно активно действовать, поэтому естественно и в литературном творчестве преобладало изображение „не сколько размышления и течения чувств, сколько их „результат“, обнаруженный в конкретном поступке” (Компанеец 1980:41). Критики выступали против психологизации жизни подобных персонажей-экстравертов, вместо этого отдавая приоритет объяснению „социального только как коллективного” (Компанеец 1980:37). Истинным героем эпохи признавался исключительно коллектив. Самоценность динамики и снижение психологического мотивирования в произведениях приводит к тому, что активизируются в первую очередь бессознательные, инстинктивные способы реагирования на факты реальности у субъектов, потому неслучайно, что именно психоанализ как методология исследования бессознательного выделялся настолько незаменимой и универсальной теорией для культурного контекста первых лет утверждения советского общества.

Довольно справедливо критиками отмечается тот факт, что в идейно-стилевом плане 1917-20-е гг. – это эпос революции, а 30-е – эпос созидания (Выходцев 1973). Литература 20-х – литература революции, её осмысление и осмысление её результатов. Литература 30-х – литература созидания, описания грандиозных архитектурных и культурных начинаний. Оба периода, по нашему мнению, воссоздали мифы, отображённые в герменевтически центральных текстах каждой из двух эпох, об основном психологически-идеологическом центре каждого из них. Соответственно, первый период – миф о революции („Голый год”, закончен в декабре 1920 года, Б. Пильняка как попытка восприятия хаотического движения социального изменения), а второй – миф о созидании („Котлован”, 1930, А. Платонова как анализ причин агрессивно-разрушительной трансформации данного мифа).

В психоаналитической теории механизм образования сновидений и художественных образов является идентичным к законам создания мифов, все эти психологические образования соотносятся с понятием фантазма (следствие процесса фантазирования), а миф определяется как коллективный сон наяву, то есть, иными словами, коллективное галлюцинаторное удовлетворение вытесненных желаний. С этой точки зрения понятными становятся основные мотивации проективного самоаналитического устремления данных писателей, которые правильно будет сформулировать как потребность самообоснования возможности нового социального бытия в условиях нестабильности окружающих общественных процессов. В своём выступлении „Художник и фантазирование” (1907) З. Фрейд объясняет читательское (рецептивное)

удовольствие от прочтения подобных материальных объективаций проективного самоанализа (то есть текстов) существованием так называемого „предварительного удовольствия”, поскольку „художник приводит нас в состояние наслаждения нашими собственными фантазиями” (Фрейд 1995:134). Этим, по нашему мнению, и обосновывается психологическая необходимость создания некоторых действительно ценных в идейно-выразительном плане художественных произведений, так как психоэстетический акт проективного самоанализа у чутких и гениальных авторов никогда не бывает индивидуальным и уникальным, это скорее ёмкое психолингвистическое воплощение/реализация преодоленных и подавленных влечений коллективного сознательного/бессознательного.

Неосуществлённые и неосуществимые желания в процессе создания мифа притерпевают, по словам К. Абрахама, „*массовое отодвигание*” (Абрахам 2002:312), чтобы потом вернуться уже в искажённой символической форме в объекте художественного процесса.

„Метельный” стиль Б. Пильняка выражался в идеи видения в революции архаического аспекта, филогенетически давнего восстания „стихийных” сыновей против всемогущего отца, точнее даже не отца как личности, а „метафоры отца” (З. Фрейд). Психоанализ, подчёркивая единство филогенеза и онтогенеза, позволяет на примере развития индивида увидеть развитие целого рода. В литературе же миф, выраженный в одном наиболее творчески ярком произведении, возможно соотнести с целой литературной эпохой. Революция в романе Б. Пильняка – это время реализации скрытых и подавленных влечений (что выражается в восстании угнетённых социальных классов), телеологическая специфика которых довольно нечётко выражена. Так, образ „кожаных курток” характерен тем, что, очерчивая форму, абсолютно пренебрегает содержанием, они являются как бы разъединёнными. Художественное сознание (перцепция) не достигает уровня самосознания (апперцепции), перспектива преобладает над ретроспективной, движение опережает первопричину его, потому превалирует бессознательная мотивация, исключая даже возможность адекватного разрешения процесса „проективного самоанализа” автором.

Сюжетная основа романа А. Платонова состоит в том, что строится „единственный общепролетарский дом”, а инженер Прушевский и вовсе считает его прообразом будущей башни, где обретут „вечное, счастливое поселение трудящиеся всей земли” (Платонов 1990:86), но при этом он крайне невротично относится к предназначению построек – „боялся воздвигать пустые здания – те, в каких люди живут лишь из-за непогоды” (Платонов 1990:87). Следовательно, акт структурирования пространства приобретает символическое значение, которое в контексте „Котлована” из-за отсутствия общей истины, в том числе и идеологической, превращается в бесцельное „великое рытьё” (Платонов

1990:102). Преобладание лексемы „тело” в тексте А. Платонова также заостряет внимание на апсихологизированности описания, отчуждённой внешности коллективного конфликта. Абстрактное общественное тело находится в центре противостояния принципа реальности и принципа удовольствия, это своеобразно отмечает социалист Сафронов в тезисе-обращении: „у кого в штанах лежит билет партии, тому надо беспрерывно заботиться, чтоб в теле был энтузиазм труда” (Платонов 1990:107). Но целесообразен ли абстрактный труд, если нет того, кому он нужен – кто оценит грандиозность будущего уже в настоящем? А. Платонов деструктивно интерпретирует миф о созидании без духовного начала, по его мнению, такое созидание уже заполнено инстинктом смерти, стремлением закончить свою жизнь ранее исчерпания смысла в возведении коллективного дома.

3. Фрейд в 1939 году, развивая свои идеи про роль культуры в жизни личности, так анализирует своё „странное время”: „С удивлением обнаруживаем, что прогресс заключил союз с варварством. В Советской России вознамерились приблизить к лучшим формам жизни около 100 миллионов людей, живущих в условиях подавления. Достаточно рискованно было лишить их „отума” религии и тем самым установить им определенную меру сексуальной свободы, при этом подвергнув их жесточайшему гнету и лишив всякой возможности свободного мышления” (Фрейд 1993:60).

Культура, в том числе и та, что отображена в художественном творчестве советского общества первых лет становления нового общественного строя – чрезвычайно неоднородное и противоречивое явление, которое довольно правомерно можно соотносить с психоаналитической концепцией понимания каждой культуры как репрессивной. То есть такой, что путём ограничения/подавления человеческих антисоциальных влечений и представлений обеспечивает возможность совместной жизнедеятельности. Поэтому человек, находящийся в цивилизованном обществе, подверженный влиянию культуры, глубоко несчастлив – с развитием цивилизации у индивида нарастает ощущение чувства вины и страха, а страх со временем видоизменяется в совесть, которая осознаётся З. Фрейдом „результатом отказа от удовлетворения влечений” (Додельцев 1989:60). В рассказе П. Романова „Культура” (1926) выведен персонаж конторщика чугунолитейного завода Кирюхина, который старается восстановить в окружающих его людях понятие культуры и хорошего тона, но не может воспитать их даже у своей жены. Он ощущает себя лишним человеком в абсолютно бескультурном мире, причём даже не задумывается над тем, что его культура – это вовсе не показатель его большого ума и образования, а скорее следствие отсутствия примера высокой культуры в его родной деревне. Автор иронично описывает бессильную ненависть Кирюхина к своему коллективу: „И ему стало жаль себя, что он один во

всей деревне такой умный, живёт такой культурной жизнью. И чем было больше жалости к себе, тем больше презрения ко всем, а в особенности к своей жене” (Романов 1991а:331). И в негативно-нецензурном обращении персонажа к супруге полностью проявляется его личное понимание поведения культурного человека, обусловленное наличием искривленного типа культуры коммуниста, homo soveticus. П. Романов объясняет все несчастья главного героя именно этим размытым пониманием им тогдашней моральной культуры – *„и будь бы он не так культурен, он бы чувствовал себя прекрасно*” (Романов 1991а:331). Садистические наклонности конторщика Кирюхина, воплощённые в его по сути автоагрессивных монологах, тоже можно интерпретировать вслед за Р. Додельцевым как влияние социума, как *„результат перемещения агрессии со внешних объектов на стремления Я”* (Додельцев 1989:16).

Как один из выходов косвенно избежать репрессивного, ограничительного террора общества психоаналитики предлагают трактовать остроумие, а в парадигме теории „проективного самоанализа” целесообразно воспринимать сублимацию автора, направленную на высмеивание либо остроумное определение в его юмористических текстах, как выражение желаний коллективного бессознательного быть хотя бы художественно элиминированным из процесса общественной тенденции на вытеснение асоциальных интенций, настолько естественных для бессознательного человека, которым движут два основных инстинкта (инстинкт жизни (эрос) и инстинкт смерти).

3. Фрейд сравнивает остроумие с игрой (Фрейд 2005а:192), а юмор, как вид остроумия, понимает в контексте защитного процесса. При этом удовольствие, получаемое нами от юмористического действия, он объясняет экономией аффективной затраты энергии (Фрейд 2005а:250). *„Острота обходит ограничения и открывает ставшие недоступными источники удовольствия”* (Фрейд 2005а:112). В этом легко просматривается роль сатиры (подвид комического творчества) в советском обществе 20-30-х гг. – возможность получить даже незначительное удовольствие/удовлетворение от высмеивания хаотического/деструктивного социума. Особо выделяется в подобных произведениях анализ речевого новаторства – лингвистических реалий советского общества (например, у А. Платонова), когда неологизм выступает некой пустой формой, заполняемой разнообразным психологическим содержанием, при чём довольно часто – угнетающе устрашающим.

Юмор путём освобождения от энергии уже подготовленного неудовольствия (вызванного страхом перед нестабильной реальностью) переводит энергетический запас в удовольствие, используя различную технику остроумия. Свообразная адаптация к негативному ожиданию, неведению, неуверенности в завтрашнем дне, когда, за довольно точной тогдашней поговоркой – к тебе „зайдут двое, а выйдут трое”. Атмосфера

бесконечных арестов и просто исчезновений усиливает психогенно невротическое восприятие объективной реальности. К примеру, в рассказе П. Романова „Рулетка” (1926) грабители умело используют ограниченность/запуганность обывателей, которые воспринимают личностей с рулеткой для измерения комнаты за представителей власти. Потому в контексте советской литературы вывод персонажей, ограбленных после тщательных замеров и просчётов псевдочиновниками, выглядит очень актуально и смело: „*Чиновники приходят, их за жуликов принимаешь, – попал! Жулики пришли, их за чиновников принял. Опять попал*” (Романов 1991b:285). Различий между социальными и асоциальными элементами оказывается недостаточно для их разграничения.

Влиятельность отцовского начала как организующего в психопозитическом ядре советской прозы проявляется в призыве к „инженерам человеческих душ” создать образ „положительного героя”, который выдвигался идеологическими управляющими структурами как требование правдивого воссоздания типичного характера эпохи. В бессознательном индивида образ „положительного героя” можно ассоциировать с Я-идеалом, который определяется в психической структуре сверх-Я. Последнее психическое образование возникает вследствие идентификации с отцом, а точнее с тем, что Ж. Лакан назвал „именами-отца”, что создают „*функцию отца прежде, чем мы достоверно узнаем об источнике рождения*” (Лакан 2006:66) И при этом, сверх-Я возникает в жёсткой борьбе с эдиповым комплексом, и чем этот комплекс был сильнее, тем „*строже впоследствии сверх-Я будет властвовать над Я как совесть... и как бессознательное чувство вины*” (Фрейд 2005b:858). Основные функции сверх-Я – самонаблюдение, совесть и определение идеала. Те же самые функции и требования свойственны советскому идеологическому аппарату, а советскую литературу как вместилище коммунистической идеологии в соцреалистическом смысле психоструктурно важно рассматривать сквозь призму становления образа „положительного героя”. Интересно, что с фетишистским отрицанием чувства вины, как следствия идентификации с общностью, современный психоаналитик С. Жижек связывает коммунистическую логику 30-х годов XX ст. (Жижек 2000:53). Вина, продуцируемая сверх-Я, базируется на знании того, что террор и расстрелы уничтожили многих неповинных людей, которые так и не смогли приблизиться к образу „положительного героя”, к этому художественному символу коллективного Я-идеала. Проследим особенности изображения данного образа идеального персонажа в прозе первых десятилетий XX века.

В романе А. Фадеева „Разгром” (1927) выводится „положительный герой” эпохи 20-х гг. XX ст – герой революции. Интересно проследить каким образом автор старается очертить своего персонажа, показать те характерные особенности, которые помогают утверждению его как идеала

и типичного представителя бурного времени. Несколько действующих лиц в тексте выводятся в соотношении с концепцией положительного субъекта повествования. Про отношение людей к Иосифу Левинсону, командиру партизанского отряда, сказано словами ординарца Ивана Морозова (Морозки) при их встрече: *„Как и всем в отряде, командир казался Морозке необыкновенно правильным человеком”* (Фадеев 1987:100). Но нам также рассказывают историю того, как из *„тицедушного еврейского мальчика с большими и наивными глазами”* становятся „правильными” героями, типичная история лидера в споре общественных обязанностей и личностных предпочтений однозначно выбравшего первое. Его характер формируется с детства, когда он *„беспощадно задавил в себе бездейственную, сладкую тоску... всё, что осталось в наследство от ущемлённых поколений, воспитанных на лживых баснях о красивых птичках”* (Фадеев 1987:156), и выработал свою систему управления людьми – *„знал также многие свои слабости и слабости других людей и думал, что вести за собой других людей можно, только указывая им на их слабости и подавляя, пряча от них свои”* (Фадеев 1987:82).

И теперь им движет самая простая и нелёгкая мудрость – *„Видеть всё так, как оно есть, – для того, чтобы изменять то, что есть, приближать то, что рождается и должно быть”* (Фадеев 1987:156). Настойчивое подавление своих слабостей и желаний – это предпосылка возникновения невроза, кроме того общий контекст времени тоже влияет преобладающе патогенно. Но в тексте А. Фадеевым несколько раз как бы мимоходом показано, что Левинсон бессознательно тянется к своему детству, беспроблемному, наивному и счастливому. Например, он сначала не будет дневального, который во сне *„чуть улыбался доброй детской улыбкой”* (Фадеев 1987:151), хотя по законам военного времени подобная доброта крайне чревата, а позже – спокойно выслушивает упадочнические, пораженческие слова Павла Мечика и лишь называет его „непроходимым путаником”, без каких-либо выговоров. Детство в психоаналитической теории – это время возникновения всех позднейших психических отклонений, вызванных нереализованными вытесненными желаниями, но одновременно это время, когда индивид менее всего зависит от общества и потому недаром Левинсон (*„человек, всегда идущий во главе”* (Фадеев 1987:156)) с нескрываемым удовольствием часто ассоциативно возвращается в этот во многом нереально-выдуманный мир прошлого. В произведении есть ещё один персонаж, фобии которого символизируют фиксацию на детстве, – автор изображает инфантильную фалличность (маскулинность) Мечика, что скрыто в его фамилии, и это довольно чётко выведено А. Фадеевым в фразе, где описывается, как данного персонажа наполняет *„комнатный страх за свою маленькую жизнь”* (Фадеев 1987:96). Поэтому он и не положительный герой, а лишь антагонист героев-воинов, он не живёт в коллективе и коллективом, что

важно для военной прозы 20-х годов и это один из основных показателей положительности.

Поражение, разгром партизанского отряда воочию показывает это их различие: Морозка умирает, своими предупредительными выстрелами спасая остальных (его смерть очень близка к определению альтруистического самоубийства, неслучайно даже коня под ним зовут Иудой); Мечик в экстремальных обстоятельствах успевает убежать, покинув отряд, и позже „с вороватым тихоньким паскудством” (Фадеев 1987:200), осуждая свой поступок, он всё же не может убить себя из револьвера; Левинсон спасается вместе с восемнадцатью, чудом оставшимися в живых, бойцами. Интересно, что автор, показывая слёзы командира, заканчивает произведение оптимистично, хотя и не совсем психологически достоверно – Левинсон „...перестал плакать; нужно было жить и исполнять свои обязанности” (Фадеев 1987:204). Даже образ разведчика Метелицы, который по мнению писателя и воплощает в себя всё то, что ассоциируется с героическим того времени, во многом утверждается как положительный герой посредством именно его героической смерти, смерть служит в художественной структуре произведения практически единственным средством самоутверждения личности. Важно отметить, что А. Фадеев, в принципе, так и не убеждает нас окончательно в том, что кто-то из персонажей является положительным героем эпохи, роман всё-таки про поражение героев, про их разгром, следовательно, автор показывает ситуацию исчезновения „положительного героя”, переходной этап от героев войны, заведомо трагически обречённых, к героям мирного времени, появление которых остаётся за границами хронотопа произведения. Своеобразные трудности с соответствием художественного протагониста положительному идеалу быстроизменяющейся эпохи преследовали А. Фадеева всю его жизнь и, вероятно, обусловили его преждевременную смерть. Стоит вспомнить про веру редакции его „Молодой гвардии” (1945, 1951), где в первой „не совсем верно” была изображена революционная ситуация, а точнее – отсутствие „отцовского кода” в психологии молодогвардейцев (не выписано было само существование влияния старшего поколения коммунистов-подпольщиков в Краснодоне на младшее). Важность текстуальных автоцензурных изменений в это время – это характерное наличие влиятельного объективированного сверх-Я в обществе, когда рецензия или критическая статья могла стоить жизни. Неслучайно в предсмертном письме, обращенном к правительству, А. Фадеев заклеил подобные действия власти: „*Не вижу возможности дальше жить, т. к. искусство, которому я отдал жизнь свою, загублено самоуверенно-невежественным руководством партии...*” (Чхартишвили 2006:165). Объективированная контролирующая система правил и норм делает невозможной полноценную сублимацию асоциальных деструктивных желаний творческих личностей посредством художественного их перенесения на

более социализированный уровень, всемогущий контролирующий цензор оставляет для писателя место исполнителя и выразителя коллективных принципов общества – партийности, народности и социалистического гуманизма.

В 30-е годы образ „положительного героя” претерпел некоторые изменения, тут особенно показательна история рецепции романа Н. Островского „Как закалялась сталь” (1935). Тема войны в произведении переходит в тему восстановления народного хозяйства, с этим связана и трансформация героя, при чём критики не сразу распознали в Павке Корчагине новое художественное воплощение идеала времени, характерны слова первого исследователя жизни и творчества Н. Островского М. Кольцова: *„Не всех героев мы знаем. И не всех мы умеем замечать”* (Аннинский 1988:16). Писатель также проводит своего персонажа через испытание попыткой самоубийства, как и А. Фадеев, но там где автор „Разгрома” заканчивает, Н. Островский только начинает перестройку мировоззрения Корчагина, приводя его к осознанию необходимости даже невыносимую жизнь сделать полезной. В этом одно из главных достижений Н. Островского – его герои выведены интроспективно анализирующими свои поступки, их действия подвержены чёткой мотивированности в отличие от произведений А. Серафимовича, Д. Фурманова и А. Фадеева 20-х годов. Но это следствие как большей заангажированности индивида 30-х годов, так и повышения уровня императивности и однозначности в структуре образа Я-идеала, подобное динамическое становление образа „положительного героя” просматривается в истории всей советской литературы.

Психоаналитический метод в литературоведении позволяет иначе увидеть некоторые аспекты существования таких понятий как культура, миф, остроумие, „положительный герой” и т.д., немаловажно, что в контексте советской прозы 20-30-х гг. эти концепты несут довольно сильную психопозитическую нагрузку, что позволяет выявить как параметры личностного акта „проективного самоанализа” писателя, так и выделить характерные черты художественного стиля первых десятилетий существования Советского союза.

Философ М. Мамардашвили высказал довольно интересную мысль, исходя из структурного психоанализа Ж. Лакана, касательно сути самого новаторства З. Фрейда: *„Психоанализ имеет дело с теми явлениями, которые даны всегда в языке и никогда – вне его. Или явления такие, которые даны вместе с языком и их осмыслением”* (Мамардашвили 2001:386). Интерпретация бессознательного как не-словесного, а сознательного как словесного – очень важна для понимания всех феноменов, которые имеют отношение к слову, в нашем случае – к литературе. Проективные перипетии психической жизни автора в произведении – это и выговаривание своего симптома/невроза и способ анализа мира посредством анализа самого себя. А процесс

фантазирования, конечно, учитывая и его сублимативную и рецептивно удовлетворяющую функцию, в этом плане объясняется как способ упорядочивания мира суггестивной силой слова, вмещающего положительный заряд освобожденной энергии, способной структурировать объективную реальность на материале реальности психической.

Литература:

- Абрахам 2002:** Абрахам К. Сон и миф // Эдипов комплекс и эротические сны. Клиническое применение. Серия „Классика психоанализа” / Пер. с англ. В. А. Гришечкин, Т. Я. Казавчинская, В. С. Кулгина-Ярцева. М.: NOTA BENE, 2002.
- Аннинский 1988:** Аннинский Л. „Как закалялась сталь” Николая Островского. М.: Худож. лит., 1988.
- Бердяев 1990:** Бердяев Н. Истоки и смысл русского коммунизма. Репринтное воспроизведение издания YMCA-PRESS, 1955 г. М.: Наука, 1990.
- Выготский 1986:** Выготский Л. Искусство и психоанализ // Выготский Л. Психология искусства. М.: Искусство, 1986.
- Выходцев 1973:** Курс лекций по теории социалистического реализма. Под ред. П. С. Выходцева. М.: „Высш. школа”, 1973.
- Додельцев 1989:** Додельцев Р. Концепция культуры З. Фрейда. М.: Знание, 1989.
- Ермаков 1924:** Ермаков И. Предисловие // Джонс Э. Терапия неврозов / Пер. с англ. – Одесса: Гиз, 1924.
- Жижек 2000:** Жижек С. Метастази насолоди. Шість нарисів про жінку та причинність. Киев: Видавничий дім „Альтернативи”, 2000.
- Залкинд 2001:** Залкинд А. Фрейдизм и марксизм // Отечественный психоанализ / Сост. и общая редакция В. М. Лейбина. СПб.: Питер, 2001.
- Компанеев 1980:** Компанеев В. Художественный психологизм в советской литературе (1920-е годы). Ленинград: Наука, 1980.
- Лакан 2006:** Лакан Ж. Имена-Отца. Пер. с фр. /Перевод А. Черноглазова/ М.: Издательство „Гнозис”, Издательство „Логос”, 2006.
- Макаренко 1988:** Макаренко А. Педагогическая поэма. М.: Правда, 1988.
- Малис 1924:** Малис Г. Психоанализ коммунизма. Харьков: Космос, 1924.
- Мамардашвили 2001:** Мамардашвили М. О психоанализе // Отечественный психоанализ / Сост. и общая редакция В. М. Лейбина. СПб.: Питер, 2001.
- Платонов 1990:** Платонов А. Котлован // Платонов А. Избранное: Повести, роман. Харьков: Прапор, 1990.
- Романов 1991а:** Романов П. Культура // Романов П. Рассказы. М.: Правда, 1991.
- Романов 1991б:** Романов П. Рулетка // Романов П. Рассказы. М.: Правда, 1991.
- Фадеев 1987:** Фадеев А. Разгром // Фадеев А. Собрание сочинений: В 4-х тт. Т. I. М.: Правда, 1987.
- Фрейд 1993:** Фрейд З. Человек по имени Моисей и монотеистическая религия / Пер. с нем/ М.: Наука, 1993.
- Фрейд 1995:** Фрейд З. Художник и фантазирование // Фрейд З. Художник и фантазирование: Пер. с нем / Под ред. Р. Ф. Додельцева. М.: Республика, 1995.
- Фрейд 2005а:** Фрейд З. Остроумие и его отношение к бессознательному // Фрейд З. Я и Оно: Сочинения. М.: Изд-во Эксмо; Харьков: Изд-во Фолио, 2005.

- Фрейд 2005b:** Фрейд З. Я и Оно // Фрейд З. Я и Оно: Сочинения. М.: Изд-во Эксмо; Харьков: Изд-во Фолио, 2005.
- Чхартишвили 2006:** Чхартишвили Г. Писатель и самоубийство. Энциклопедия литературы. М.: Захаров, 2006.
- Eagleton 1996:** Eagleton T. Literary Theory: an introduction. 2nd ed. Oxford: Blackwell Publishers, 1996.

მარიამ ნინიძე

საქართველო, თბილისი

სეკულარიზაცია ლიტერატურათმცოდნეობაში

საბჭოთა პერიოდში ქართველ მეცნიერებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ იმისათვის, რომ სასულიერო მწერლობის კვლევა და სწავლება არ აკრძალულიყო, მაგრამ ვერაფერი უშველეს რელიგიურ ასპექტებს საერო ლიტერატურაში. ამიტომ 70 წლის მანძილზე დასახელებულ სფეროში უზარმაზარი ვაკუუმი გაჩნდა. პოსტსაბჭოურ პერიოდში რელიგიურ თემებზე ტაბუს მოხსნის შემდეგ მხატვრული ნაწარმოებების ამ მიმართულებით კვლევა უცებ გააქტიურდა, მაგრამ იმის გამო, რომ კვლევის ამ სფეროს აკრძალვით ლიტერატურათმცოდნეობის თავისთავად განვითარებაში ხელოვნური ჩარევა იყო განხორციელებული, დახშული კარის გაღებას ცარიელი სივრცის ცოტა არ იყოს დაჩქარებული ტემპებით შეესება მოჰყვა. ასეთ დროს შეცდომების დაშვების ალბათობა გაცილებით მეტია, მაგრამ ახლა, როცა ბალანსი ცოტათი მაინც აღდგენილია და დასაფიქრებელი დროც გვაქვს, შეგვიძლია ყველაფერს კუთვნილი ადგილი მივუჩინოთ. ვფიქრობ, ბევრი რამის შეფასება-გადაფასებაა საჭირო, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მაქსიმალური ობიექტურობით, რომ ლიტერატურათმცოდნეობის ეს, ისედაც რეპრესირებული სფერო, მონესრიგების ნაცვლად კიდევ უფრო არ დავაზარალოთ.

თუნდაც სეკულარულ საზოგადოებაში ვცხოვრობდეთ და არ ვიყოთ რელიგიურები, თუ ვიკვლევთ ისეთ მწერალთა ნააზრევს, რომელთათვისაც სარწმუნოება, მათივე აღიარებით, „გულის ჭეშმარიტებაა“, არ იქნება მართებული, რომ თხზულებათა მეცნიერული ანალიზისას არ გავითვალისწინოთ მათი რწმენა და შესაბამისი ეთიკურ-ესთეტიკური ღირებულებები. ლიტერატურათმცოდნეობის სეკულარიზაცია წინდანინვე გამორიცხავს ამ ხელოვნათა შემოქმედების სიღრმისეულ წვდომას.

ობიექტური მეცნიერული კვლევების გვერდით დღეისათვის მოქმედებს ორი უკიდურესი ტენდენცია. ერთნი ლიტერატურულ თხზულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევენ „რელიგიურად“ თუ იგი, სასულიერო ტექსტების მსგავსად, პირდაპირ ქადაგებს ქრისტიანობას, მეორენი კი აცხადებენ, რომ ქრისტიანობის ქადაგებას არავითარი კავშირი არა აქვს ლიტერატურასთან. ვფიქრობ, რომ ორივე მხარე არასწორად სვამს საკითხს. მხატვრული ტექსტი შეიძლება პირდაპირ არ ქადაგებდეს ქრისტიანობას, ისევე, როგორც სახარებაში მოხმობილი ნებისმიერი იგავი, მაგრამ მის მხატვრულ-იგავურ პლასტში იყოს გადმოცემული დიდი სულიერი სწავლება. ქრისტიანობის პირდაპირი ქადაგება მართლაც არ არის ლიტერატურის საქმე, მაგრამ ადამიანის სულიერებითა და ზნეობრივი საკითხებით დაინტერესება (რაც უშუალო კავშირშია

მსოფლმხედველობასთან) როგორ ან რატომ უნდა ჩამოვაშოროთ ლიტერატურას. თუ ნაწარმოების ავტორს მკაფიოდ ჩამოყალიბებული თეისტური მსოფლმხედველობა აქვს, როგორ შეიძლება ეს არ აისახოს თხზულების იდეურ მხარეზე და პერსონაჟთა სახეების ავტორისეულ ხედვაზე და თუ ეს დამოკიდებულებები არსებობს, როგორ შეიძლება, რომ ისინი უგულვებელყვით და ამოვიღოთ კვლევის არეალიდან. ალბათ საჭიროა, რომ გაირკვეს მეცნიერულისა და მხატვრულის გვერდით რელიგიურის შესაძლო წილი ლიტერატურულ კრიტიკაში.

ილია ჭავჭავაძე და მისი შემოქმედება ამ პიროვნებისა და მისი ნაღვანის ეპოქალური მნიშვნელობის გამო ამჯერადაც, ისე, როგორც არაერთგზის, ხდება ნიშანსვეტი, რომელიც განაპირობებს მოვლენათა შემდგომი განვითარების მიმართულებას და სამომავლო ტენდენციებს. ამიტომ თუ დღეს ლიტერატურათმცოდნეობაში გაიმარჯვებს ის აზრი, რომ მის თხზულებებში რელიგიური დისკურსის კვლევა უაზრობაა, გასაკვირი არ იქნება, რომ კვლევის ეს ასპექტი საერთოდ გაქრეს ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობიდან. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები კვლევის ყველა დონეზე — იდეურზე, შინაარსობრივზე, სახისმეტყველებითსა და ლექსიკურზე (ამ დონეთა სპეციფიკისა და შესაძლებლობების შესაბამისად) გაჯერებულია ქრისტიანული მსოფლმხედველობით. შესაბამისად ამ დისკურსის გათვალისწინების გარეშე სრულყოფილი წარმოდგენა ვერ შეგვექმნება ვერც შემოქმედებით ჩანაფიქრზე და ვერც მოვლენათა და პერსონაჟთა ავტორისეულ ხედვაზე. მის გარეშე არ გაიხსნება მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებებისა და ქვეტექსტების უმდიდრესი სამყარო და ხელში შეგვრჩება მხოლოდ ბანალური სიუჟეტები.

მხატვრულ ნაწარმოებში მსოფლმხედველობრივი ასპექტების მეცნიერული კვლევა უნდა ითვალისწინებდეს სამი სხვადასხვა დისკურსის — რელიგიურის, მხატვრულისა და მეცნიერულის თანაარსებობას. კონკრეტული საკითხების განხილვამდე აუცილებლად უნდა გაირკვეს, სად გადის საზღვრები მათ შორის და როგორ უნდა ვიკვლიოთ თითოეული.

როდესაც ვამბობ, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ჩანს მისი მსოფლმხედველობა, აქ რეალიებისა და საეკლესიო წესების შესახებ თეორიული ცოდნის გარდა წარმოდგენებისა და შეხედულებების მსოფლმხედველობრივ სისტემას ვგულისხმობ, რომელიც ამ ცოდნისადმი დამოკიდებულებაში მყოფად ვხედავდებით. ილია ჭავჭავაძემ მხოლოდ ინფორმაციულად კი არ იცის ის, რომ ჯვარცმული მაცხოვარი მამას თავისი ჯვარზე გამკვრელების შენდობას ევედრებოდა, არამედ თავადაც ითხოვს უფლისგან საკუთარი მტრების პატივბას:

„რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი

მკრან,

გთხოვდე: „შეუნდე, — არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“

შეიძლება ადამიანი არ იყოს ქრისტიანი, მაგრამ იცოდეს, რომ მაცხოვრის მიერ დაწესებული ერთერთი საიდუმლო მსახურება არის ზიარება და იგი აუცილებელია სულის ცხოვნებისთვის. ილიას მსოფლმხედველობა მუდამ ახსნის არა ამგვარ ცოდნაში, არამედ იმაში, რომ გაბრიელის („გლახის ნაამბობი“) საცოდაობის კულმინაციად მის უზიარებლად სიკვდილს წარმოაჩენს, „ოთარაანთ ქვრივში“ კი იმის აღსანიშნავად, რომ გიორგიმ ქრისტიანული თვალსაზრისით ღირსეულად განვლო ამქვეყნიური ცხოვრება, განსაკუთრებულად გამოკვეთს აღსასრულის წინ მისი ზიარების ფაქტს და მიცვალებულის ქრისტიანული წესით გაპატიოსნებას. ქრისტიანული რეალიების სწორად აღიქმას და სწორი მიზანდასახულობით გამოყენებაში ჩანს ილიას პირადი დამოკიდებულება ზიარებისადმი, მისი მნიშვნელობის გათავისება და აღიარება.

თუ ადამიანი რელიგიური არ არის, ის იოლად ექვემდებარება ნებისმიერ მსოფლმხედველობას, მაგრამ ჭეშმარიტი რელიგიურობა გულისხმობს მხოლოდ ერთ მათგანთან თავსებადობას. ილია ჭავჭავაძე ქრისტიანულ სწავლებათა გაზიარება-გავრცელებით და უფლისადმი მიმართული ლოცვა-ვედრებით წარმოაჩენს თავის „ორმხრივ აქტიურ კავშირს ღმერთთან“ და, რამდენადაც რელიგიას ხშირად სწორედ ასე განმარტავენ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის აღიარებს თავის რელიგიურობას. ილია, ისევე, როგორც ყველა, ვინც ღვთის სიტყვას ისმენს და მისდამი ლოცულობს, ფაქტობრივად „ლაპარაკობს“ ღმერთთან. მის ამ გამონათქვამში არც ამპარტავნება ჩანს და არც მკრეხელობა და არამართებულობა, რომ ამ სიტყვების დაწერის გამო ის „გიჟად ან თვითმარქვიად“ წარმოვაჩინოთ (კაკაბაძე 2006).

რაც შეეხება მსოფლმხედველობის ერთადერთობას, ილია ჭავჭავაძეს ესეც კარგად აქვს არა მხოლოდ გაცნობიერებული, გათავისებულიც. ამას მოწმობს მისი სიტყვები: „სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისა და ორსახედ არ ჩაესახება ერთსა და იმავე გულს, როგორც ორსახედ ჭეშმარიტებაა შეუძლებელი, ისე ორსახედ სარწმუნოებაც. იგი ან ერთადერთია ერთს გულში, ან სულ არ არის. სარწმუნოება, რომლის დიდი ნასკვი ადამიანის სულიერ ნიაღვრა, ერთვალა და ორგულა ვერ იქნება, რომ ჩვენიც იყოს და თქვენიც ერთსა და იმავე დროს. იგი ერთვალა და ერთგულა, — თუ ასე იქმის, ვერც თვალს და ვერც გულს ორად ვერ გაჰყოფს, რომ ერთსაც ჰხედავდეს მართლმადიდებლად და მეორესაც, ერთსაც განუზიაროს სასოება გულისა და მეორესაც. ამიტომაც შეურყეველი ერთგულება სხვის სარწმუნოებისა საკუთარის სარწმუნოების შერყევას, უარყოფას. თავდადებულნი ერთის სარწმუნოებისათვის, მეორესათვის თავდადებულნი ვერ იქნებიან... კაცი შეურყევლად მოსავია მარტო იმ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებს და გულში

ატარებს“ (ჭავჭავაძე 2007: 279,280). ამდენად, ის, რომ ილია ჭავჭავაძე რელიგიური პიროვნებაა, რომ მისი მსოფლმხედველობა თეისტურია და რწმენა ქრისტიანული, წესით საკამათო არ უნდა იყოს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა მიმართებაშია მწერლობა ავტორის რელიგიურ მრწამსთან და არის თუ არა ილია რელიგიური მწერალი. ხელოვნება და კერძოდ მხატვრული ლიტერატურა მნიშვნელოვნად არის განპირობებული წარმოდგენების, შეხედულებების, ემოციური და რაციონალური ფაქტორების იმ სისტემით, რომელიც საფუძვლად უდევს ავტორის მსოფლმხედველობას და შემოქმედებაში მნიშვნელოვნად აისახება მწერლის აღმსარებლობა. ამდენად, ნებისმიერი რელიგიური მწერლის თხზულებათა მსოფლმხედველობრივი კუთხით კვლევა მრავლისმომცემი თუ არა, უნაყოფო მაინც არ უნდა იყოს.

ხშირია შემთხვევები, როცა კრიტიკოსები რელიგიურ ასპექტში არ მოიაზრებენ რწმენით, აღმსარებლობით არსს და ცდილობენ მის ჩატევას კულტუროლოგიურ ჩარჩოებში. როდესაც ლაპარაკია არა მხოლოდ თეორიული ცოდნის დონეზე რელიგიური თემებისა და სახისმეტყველების გამოყენებაზე, არამედ ლირიკაში, ეპიკური თხზულების შემოქმედებით ჩანაფიქრსა და პერსონაჟთა სულიერი პორტრეტების ხატვაში არეკილ ავტორისეულ მსოფლმხედველობაზე, ეს ჩარჩოები აუცილებლად უნდა გაფართოვდეს. პოსტსაბჭოთა პერიოდში სიტყვა „რელიგიის“ ლეგალიზაციას აზრი დაეკარგება თუ მასთან ერთად მასში ჩადებული შინაარსის აღიარებაც არ მოხდა.

ილია ჭავჭავაძის თხზულებებში რელიგიური დისკურსის კვლევა დაგვეხმარა არა მხოლოდ თხზულებათა შემოქმედებითი ჩანაფიქრისა და პერსონაჟთა ავტორისეული ხედვის წარმოჩენაში, არამედ რთული ტროპული სახეებისა და ქვეტექსტების ახსნაშიც. მიღებულ დასკვნებს ბევრი ოპონენტი გამოუჩნდა, მაგრამ მათი დაპირისპირება უფრო ემოციურია, ვიდრე მეცნიერული.

2006 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში ცალსახად ხდებოდა იმის მტკიცება, რომ ილია ჭავჭავაძე რელიგიური მწერალი არ არის (კაკაბაძე 2006). რა თქმა უნდა, მას არც საღვთისმეტყველო თეოლოგიური ნაშრომები დაუწერია და არც აგიოგრაფიული თხზულებები, მაგრამ მისი პოეზია აღსავსეა უფაქიზესი რელიგიური გრძნობებით, ეპიკური თხზულებები კი ქრისტიანული სულიერებით და ზნეობრივი სწავლებებით. მწერალი დაურიდებლად ამხელს უმადლობას („კაცია — ადამიანი?!“), შურისძიებას („გლახის ნამბობი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“), გულგრილობას („სარჩობელაზედ“), ამპარტავნებას („ოთარაანთ ქვრივი“, „განდეგილი“) და ზნედაცემულობას („აჩრდილი“), მოგვინოდებს შებრალეების („უცნაური ამბავი“), მიტევების („ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“), მოყვასისა და ქვეყნისადმი თავდადებისაკენ („მეფე დიმიტრი თავდადებული“, „დედა

და შვილი“). ილია ჭავჭავაძის ისეთი პუბლიცისტური ნერილები კი, როგორებიცაა: <ქრისტე აღსდგა> ტ.7, გვ. 571; „ქრისტეშობა“, ტ. 8, გვ. 623; <ქრისტეშობის მილოცვა> ტ. 9 გვ. 643; <აღდგომის დღესასწაული>, ტ. 9, გვ. 238; <აღდგომის მადლი და ჭეშმარიტება>, ტ. 10, გვ. 186; <ათონის ქართული სავანის შესახებ>, ტ. 8, გვ. 545; <ლუარსაბ ნამებული>, ტ. 8, გვ. 139; <წმინდა ნინოს დღესასწაული>, ტ. 7, გვ. 274; <ქართველი ერი და ღვანლი წმ. ნინოსი>, გვ. 21, ტ. 10; და მრავალი სხვა) ახალ ეპოქაში ახალი, პუბლიცისტური ფორმით გამოთქმული ქრისტიანული სადიდებლებია.

საინტერესოა, რაში ხედავენ ილია ჭავჭავაძის არარელიგიურობას იმაში, რომ რწმენას „გულის ჭეშმარიტებას“ უწოდებს და მის ერთგულებას ქადაგებს (ჭავჭავაძე 2007: 279) იმაში, რომ „მუხლმოდრეკილი“ ევედრება ღმერთს „სულის განათლებას“ და საკუთარი მტრების შენდობას (ჭავჭავაძე 1987: 57) იმაში, რომ უყიდურეს განსაცდელშიაც კი ღვთის ნებისადმი უსიტყვო მორჩილებას აღიარებს (ჭავჭავაძე 1987: 62) იმაში, რომ „დიდის ღმერთის საკურთხევის“ ცეცხლს გრძნობს გულში და ამ ცეცხლით მოელის თავისი ქვეყნის გულის გათბობას (ჭავჭავაძე 1987: 103) თუ მის ღრმა რწმენაში, რომ „ცხოვრებას აცისკროვნებს სული, საქმით მეტყველი და ის უბოლო არის, ვით სულის შთამბერველი“ (ჭავჭავაძე 1987: 116); რომელი სწავლება მოეჩვენათ ურწმუნობად „დამაკვირდისეული“ — რომ მტერს არა სისხლით, არამედ „სულგრძელობით“ უნდა ვძლიოთ და, „ცოდვის გუბები“ მდგომს „მადლის წყარო“ ვასვათ (ჭავჭავაძე 1987: 155-158), „აჩრდილისეული“, რომელიც — „მცნების ნათლით ზეაღზიდვა-ამაღლებისკენ“ მოგვინოდებს (ჭავჭავაძე 1987: 184) თუ „ქართვის დედისეული“ — მომავალი თაობის „ქრისტეს მცნებით“ აღზრდის აუცილებლობაზე (ჭავჭავაძე 1987: 68). რა არის მისი არარელიგიურობის დამადასტურებელი ლირიკაში ცალსახად რომ აღიარებს „ჯვარცმული ღმერთის“ რწმენას (ჭავჭავაძე 1987: 143) თუ პუბლიცისტიკაში „ქრისტეს ძლევამოსილ მოძღვრებას განვითარებით ლამპრად“ რომ მოიხსენიებს (ჭავჭავაძე 2005: 571), მისი განაცხადი: „მეც ქრისტიანი ვარ და არარა ქრისტიანობრივი არ მეუცხოება“ (ჭავჭავაძე 2005: 221) თუ მისი მოწოდება ღვთისგან მონიჭებული სიცოცხლის ქრისტეს მცებებით წარმართვისკენ (ჭავჭავაძე 1987: 61)

ილია ჭავჭავაძის არარელიგიურობის დამამტკიცებელ არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ მის თხზულებებში საინამდვილის ტრანსფორმაცია არ ხდება და მისი ეპიკური პერსონაჟები სულიერ კათარსისს არ განიცდიან (კაკაბაძე: 2006).

ვნახოთ, რამდენად შეესაბამება კათარსისის სიუჟეტშივე განხორციელების ფორმა რეალიზმის ესთეტიკურ პრინციპებს. მწერლის შემოქმედების ფუნდამენტური ანალიზისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ლიტერატურული მიმდინარეობის თავისებურებათა გათვალისწინებას, რომელსაც იგი მიეკუთვნება.

რეალისტურ ლიტერატურაში ამბის აღება ხდება სინამდვილიდან, მაგრამ ავტორის ინტენცია, ისევე როგორც დამოკიდებულება სიუჟეტში განვითარებული მოვლენებისა და პერსონაჟებისადმი — სუბიექტურია და მის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მწერლის მსოფლმხედველობა. „მართალია, მე-20 საუკუნის ლიტერატურულმა კრიტიკამ არაერთხელ გადასინჯა „ავტორის“ პრობლემა ლიტერატურაში და, რბილად რომ ვთქვათ, მინიმალურად შეაფასა მისი როლი ტექსტში (ტ. ელიოტი, რ. ბარტი, ჟ. ჟენეტი და სხვ.), მე-19 საუკუნის ლიტერატურული ტრადიცია ვერ თავსდება ამ ინოვაციური გააზრების ფარგლებში“ (რატინი 2006: 148). რეალისტური „მხატვრული ნაწარმოები გულისხმობს ავტორის „იქ ყოფნას“ მთელი თხრობის მანძილზე... მხატვრული თხრობის მიმდინარეობის პროცესი არის ავტორის მსოფლმხედველობისა და აზროვნების ინდივიუალურ თავისებურებათა კრისტალიზაციის უაღრესად რთული პროცესი, განხორციელებული მხატვრული სიტყვის მეშვეობით“ (რატინი 2006: 19). სავსებით ვიზიარებ უახლესი კვლევის შედეგებით განმტკიცებულ ამ დასკვნებს, რომლებიც ფაქტობრივად ადასტურებს, სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელოვან როლს რეალისტურ თხზულებაში.

ილია ჭავჭავაძის, როგორც რეალისტი მწერლის, ამოცანაა ცხოვრების ავ-კარგის შეულამაზებლად აღწერა. მკითხველზე დადებითი სულიერი ზემოქმედების მოსახდენად მას რეალობის ამსახველ სიუჟეტში კი არ შეაქვს ცვლილებები, არამედ მოვლენებს ტოვებს ისეთად, როგორც ყოველდღიურობაში ხდება, მაგრამ წარმოაჩენს მათდამი თავის დამოკიდებულებას. ამიტომ მისი პიროვნული სახე და მრწამსი ამბის განვითარებაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მისდამი დამოკიდებულებაში. მისთვის სიუჟეტით გადმოცემული ამბავი რომ მხოლოდ საშუალებაა და მთავარი — აზრია, კარგად ჩანს ილიას გამონათქვამში: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა...“ და მკითხველისადმი დარიგებაში, ნაწარმოების კითხვისას „სულს ადევნე გულისყური და არა ხორცსაო, აზრსა და არა ამბავსაო, რადგან ამბავი მარტო აზრის გამოსახატავად არის აქ ჩართული და მოგონილი“.

რომ დაეაკონკრეტო, ამ პრინციპების მქონე მწერალი იმას ვერ გვეტყოდა, გაბრიელმა სიკვდილის წინ სისხლის ცრემლები ღვარა, მწარედ შეინანა მის მიერ ჩადენილი ცოდვა და ცხონდაო (მოვლენათა ასეთი განვითარება რომ ტიპიური ყოფილიყო იმდროინდელი საზოგადოებისთვის, პრობლემაც არ იარსებებდა), არამედ გვაჩვენებდა სიუჟეტის ისეთ განვითარებას, როგორიც რეალობას შეესაბამება (გაბრიელი ბოლომდე ვერ ხვდება, რატომ არ უნდა მოეკლა დათიკო და პირდაპირი განაცხადით: „სულ ტყუილია! მაინც ადამიანს მტერი არ შეჰყვარებიაო“ უპირისპირდება უფლის მცნებას), მაგრამ მხატვრული ხერხებით მიგვანიშნებდა, რომ გაბრიელმა ვერც

სხვას მოუტანა სიკეთე და საკუთარი სულიც წარიწყმიდა. სწორედ ამას აკეთებს ილია.

რეალისტი მწერლის მიზანი მკითხველთან დიალოგია და არა გამოგონილი პერსონაჟის არარეალისტური მეტამორფოზა. დათიკოს, გაბრიელის, კაკოს, ლუარსაბისა და სხვა პერსონაჟთა ცხოვრების წესი და ქცევა კი არ წარმოაჩენს ამ თხზულებებში ავტორის სახეს, არამედ ყოველივე ამისადმი მისი დამოკიდებულება — გაბრიელის შედარებები მიმინოსთან, რომელიც „აღდგომის დღემდე“ ვერ აღწევს და ბოროტის ტყვეობაში, მის მიერ ხელ-ფეხშეკრული და თვალაბმული იღუპება, კლდესთან, რომლის გაპობაც ვერ შეძლო, ღვთისგან ანთებულ ცეცხლთან რომელიც კლდემ ქვეშ მოიტანა და ჩააქრო, გასაფრენად მომზადებულ ფარშევანგთან, რომელსაც მშვენიერი ფრთები ასხია, მაგრამ ვერ დაფრინავს და სხვ. თუ ჩვენ ილიას მაღალმხატვრული თხზულებები სახისმეტყველებისაგან გავძარცვეთ და ბანალურ, შიშველ ამბამდე დავიყვანეთ, რა თქმა უნდა, ავტორის ინტენციასაც უკუღმართად გავიგებთ და მისი ესთეტიკური ღირებულების მიმართაც გავვიჩნდება პრეტენზია (ნინიძე: 2005).

ცოცხალი მსმენელისა და მკითხველის და არა იგავის გმირის სულზე ზრუნვა სავსებით შეესაბამება ქრისტიანულ მიზანდასახულობას. წმინდა წერილისეული იგავების აუცილებელი პირობა არ არის იგავის გმირის სულიერი მეტამორფოზა. მაგალითად, სახარებისეული ბოროტი მევენახე სინანულს არ განიცდის (მ. 21. 33-41), მაგრამ მისი ამბავი მაინც არის მოთხრობილი ოთხთავში. მხოლოდ დადებითი მაგალითი რომ ახდენდეს ჩვენზე ზემოქმედებას, ალბათ წმინდა წერილისეული ყველა იგავი ბედნიერად დასრულდებოდა, მაგრამ ასე არ არის: „სიძის“ ქორნილზე მოსული, რომელსაც „საქორწინე სამოსელი“ არ აცვია, ხელ-ფეხშეკრული განიგდება ჯოჯოხეთში. ათი ქალწულიდან სასუფევლის კარი ხუთს ეხშობა (მ. 25.1-12), ოთხი „ნიადაგიდან“ მხოლოდ ერთი ახერხებს ნაყოფის გამრავლებას (მ. 13. 18-24),

ღვთის სიტყვა სასუფევლის აღთქმაც არის და ჯოჯოხეთზე გაფრთხილებაც. მაცხოვრის ერთსა და იმავე ქადაგებაში გვერდიგვერდ ისმის: „ნეტარ ხართ...“ (მ.5) და „ვაი თქვენდა...“ (ლ. 6. 21-26). ხოლო რაც შეეხება ცხოვნებისა და წარწყმედის გზებზე შემდგართა რაოდენობრივ თანაფარდობას, მაცხოვრისავე თქმით: „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“ (მ. 20.16). მკითხველზე დადებითი სულიერი ზემოქმედების მოხდენა ცხოვრებისეული უარყოფითი მაგალითის აღწერით და პერსონაჟის სულიერი დაღუპვის ჩვენებითაც შეიძლება, მთავარია ყოველივე ისე მოგვანოდოს ავტორმა, რომ ჩვენი სულის სიმების შერხევა შეძლოს. ამიტომ იმას, რომ ილია ჭავჭავაძე თავის თხზულებებში არ ახდენს რეალობის ტრანსფორმაციას და პერსონაჟის სულიერ მეტამორფოზას, ილია ჭავჭავაძის არარელიგიურობის დამადასტურებლად ვერ მივიჩნევთ.

თავად ილია „გლახის ნაამბობში“ იმის გასარჩევად, არის თუ არა კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოები „საღმრთო რამ“, მღვდლის პირით ძალიან საინტერესო ახსნას გვთავაზობს: „ყველაფერი საღმრთოა, ჩემო ძმაო, რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისთვის კი გაუწაფებია. კაცი ის არის, ჩემო ძმაო, რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს, ხიდად გასდებს, რომ, თუ არ თითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს. იმ ხიდს ზედ ამჩნევია ყოველთვის ღვთის მადლი, მაშინ ყველაფერი საღმრთოა“.

იმის გასარჩევად, უდევს თუ არა ილიას მხილებებს საფუძვლად რელიგიური მიზანდასახულობა, ვნახოთ, რაში არიან მხილებული ილიას პერსონაჟები. ლუარსაბს ამხელს ღვთიური სწავლების აღუსრულებლობაში: „მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით, რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია, ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია, მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექმნა, ის გიქმნია?... ნირვალოცვას არ ვაკლდებიო. რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა, იყავ შენ სრულიო“. აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის სცდილხარ?“ (ჭავჭავაძე 1988: 74-75) და კიდევ: „რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია...“ მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ უმცროსი ძმის წერილის მეშვეობით მხილებულია პეტრეს გულგრილობა: „ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს.“ „იქ, ღმერთს გაცვით ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დავუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი, ვინ მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს; იქ სამართალი არ გაბრუნდება“ (ჭავჭავაძე 1988: 237-239). ის კი, თუ რა მიზანი ჰქონდა ხოლმე ამგვარ მხილებებს, კარგად ჩანს „კაცია — ადამიანის?!“ ეპილოგში: „მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა, დღესა თუ ხვალე, შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ. ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს — რამოდენადაც შეძლება აქვს — შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო“. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ილიას მიზანი სწორედ მკითხველის კათარსისია. მის დაფიქრებას და ცოდვა-მადლში მის გარკვევის ემსახურება ისიც, რომ ილია ჭავჭავაძის ეპიკური თხზულებები რაიმე მნიშვნელოვანი კითხვის დასმით ან მრავალწერტილით მთავრდება ხოლმე. პასუხი ამ კითხვაზე მკითხველმა უნდა გასცეს, დაუსრულებელი აზრი მკითხველმა უნდა დაასრულოს.

ქრისტიანული რელიგიისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას ასახავს უმდიდრესი დოკუმენტური მასალა და

მისი შემოქმედების მეცნიერული ანალიზი (სემანტიკის ნებისმიერ დონეზე), ამ მიმართულებით კვლევის საჭიროების საწინააღმდეგო არგუმენტად კი რჩება მხოლოდ ხმარებიდან გადავარდნილი ასოებისადმი მწერლის დამოკიდებულება, რაც ძალიან სუსტი დასაყრდენია.

დამონებანი:

- კაკაბაძე 2006:** კაკაბაძე გ. „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ“. გაზ. „ნიგნები“. 11 აგვისტო. 2006.
- ნინიძე 2005:** ნინიძე მ. გული და ესთეტიკა, ლიტერატურული ძიებანი, XXVI 2005.
- რატიანი 2006:** რატიანი ი. ქრონოტოპი ილია ჭავჭავაძის პროზაში, თბ.: გამომცემლობა უნივერსალი, 2006.
- ჭავჭავაძე 1987:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი I, თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“ /„საბჭოთა საქართველო“, 1987.
- ჭავჭავაძე 1988:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი II, თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“ 1988.
- ჭავჭავაძე 2005:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი 7, თბ.: „ილიას ფონდი“. 2005.
- ჭავჭავაძე 2007:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი 14, თბ.: „ილიას ფონდი“. 2007.

XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურული პერიოდიკის დასახელებები და ლიტერატურის პოლიტიკის საკითხები

რამდენადაც მრავალფეროვანია ბეჭდვითი პრესა, ფუნქციებისა და მიმართულებების, დამკვეთთა გემოვნებებისა და სოციალური სპეციფიკის შესაბამისად, იმდენად მრავალფეროვანია პერიოდული გამოცემების სახელწოდებათა სპექტრი. საზოგადოდ, სათაური არის, ერთგვარი, გზავნილი მკითხველთა წრის წინაშე მასში კოდირებული სემანტიკითა და ძირითადი აქცენტებით. სათაურის დეკოდირებისას გვიყალიბდება წინასწარი შეხედულება, ერთგვარი ხატი, რასაც განსაზღვრავს სახელწოდების შინაარსი, მისი ფიგურული და აკუსტიკური მონაცემები. *პეგასი, ფენიქსი, ერისიონი, ბესთვრიტ ბოიზი, ზნეკეთილი* და ა.შ. სათაურები, მართალია, არ გვანჯდის ზედმიწევნით ინფორმაციას გამოცემის საავტორო ჯგუფის, კონცეპტუალური საფუძველის, და სხვა ფაქტორების შესახებ, მაგრამ გარკვეულ ინდექსებს მაინც წარმოადგენს.

XX საუკუნის დასაწყისამდე ქართული ლიტერატურული პერიოდიკა დამოუკიდებლად, თითქმის, არ არსებობს (რამდენიმე გამონაკლისი: ს. დოდაშვილის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, „ტფილისის გიმნაზიის ყვავილი“, „ცისკარი“), 60-იანელების მოღვაწეობის პერიოდში ლიტერატურული სექტორი მიმაგრებულია საზოგადოებრივ პრესაზე. ვფიქრობთ, არა შემთხვევით, რადგან ამ პერიოდში ლიტერატურა საზოგადოების ფორმირების ინსტრუმენტად მოიაზრება. დამოუკიდებელი ლიტერატურული პერიოდიკის დასახელებებზე დაკვირვება ლიტერატურათმცოდნეობისათვის საინტერესოა, რამდენადაც სათაური წარმოაჩენს ავტორთა დამოკიდებულებას ისეთი პრინციპული საკითხების მიმართ, როგორცაა ლიტერატურის დანიშნულება და მისი ადგილი საზოგადოებაში. ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ დამოუკიდებელი ლიტერატურული პერიოდიკა, არამედ საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთებიც, რომლებსაც ქვემოთ სპეციალურად მიმოვიხილავთ.

XX საუკუნის დასაწყისი (20-იან წლებამდე) ქართული ბეჭდვითი პერიოდიკისთვის საინტერესო ეტაპია. ამ მონაკვეთში საქართველოში შესუსტებულია იმპერიული რუსეთის გავლენა და ჯერ არ დამყარებულა საბჭოთა წყობილება. ჟურნალ-გაზეთებს აწარმოებენ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების, სოციალური ფენის, განსხვავებული ეთიკური და ესთეტიკური ღირებულებების ჯგუფები. 1921 წლიდან იწყება ლიტერატურული პროცესების და მისი

პროდუქტის ცენტრალიზებული ორგანიზება, რაც, თავის მხრივ, აისახება პერიოდიკის დასახელებებზე. თუ მანამდე სემიოსფერო ითავსებს ისეთ ჰეტეროგენულ ნიშნებს, როგორებიცაა „ბარიკადი“, „სხივი“, „ოქროს სანმისი“, „მეგობარი“, გასაბჭოების შემდეგ სახელთა სივრცე ღარიბდება და, ძირითადად, ასეთი სახით წარმოგვიდგება „პროლეტარული მწერლობა“, „საბჭოთა მწერლობა“ და ა. შ.

საქართველოს გასაბჭოება, იური ლოტმანის ცნებით აპარატის მიხედვით, შეიძლება მივიჩნიოთ კულტურული ხაზის განვითარების წყვეტად. აფეთქებად, რომელიც, როგორც ფენომენი სპონტანურობის, ნინასნარგანუჭვრეტელობის თვისებით გამოირჩევა და განაპირობებს მოვლენებს არაკანონზომიერად. მსგავსი გარდაქმნა შეინიშნება სახელთა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ მხარეებზე. საინტერესოა 1918-1921 და 1921 წლის შემდგომი წლების პერიოდული გამოცემების დასახელებებზე დაკვირვება, რაც განსაკუთრებით ცხადად და საინტერესოდ წარმოაჩენს ამ პროცესს.

პირსისეული ნიშნის თეორიის მიხედვით ნიშანი შეიცავს სამ მხარეს: სიმბოლოს, რეფერენციას და რეფერენტს. კონკრეტულ შემთხვევაში სიმბოლოა პერიოდული გამოცემის დასახელება, ხოლო რეფერენტი – გამოცემა: კონცეპტით, მასალით და ა. შ. ამასთანავე, სათაური და საკუთრივ გამოცემა შეიძლება მოვიაზროთ ერთი ტექსტის ორ ქვეტექსტად (თავის მხრივ, პერიოდული გამოცემა შედგება ახალი ქვეტექსტებისგან). მიუხედავად იმისა, რომ იური ლოტმანი ტექსტის სათაურისა და ტექსტის მიმართებასაც განიხილავს, როგორც აღმნიშვნელისა და აღსანიშნის დამოკიდებულებას, სისტემა ვერ გამოდგება ანალოგად იმგვარი მიმართებისა, როგორიცაა დასახელება და პერიოდული გამოცემა ამ უკანასკნელის მრავალკომპონენტურიანიობიდან და თვისობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე.

სახელი გამოცემასთან მიმართებისას შეიძლება ამჟღავნებდეს მეტაფორულ, ან არამეტაფორულ დამოკიდებულებას. ნიშანი, რომელიც, როგორც მთლიანობა ეკვივალენტია გამოცემის იდეისა და შესაძლებელია, ჩაენაცვლოს მის შინაარსს, შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეტაფორული, რამდენადაც იგი გამოკვეთს არა გამოცემის ცალკეულ ასპექტებს, არამედ მთლიანობას. მაგალითად, „ცისფერი ყანები“ სრულყოფილად გადმოსცემს ჟურნალის პროგრამულ საფუძველს, მასში იმპლიცირებულ რამდენიმე ძირითად კონტექსტს, ამდენად, იგი მეტაფორული სახელია, ხოლო „ცისარტყელა“, როგორც ნიშანი, არამეტაფორულია, რამდენადაც მოცემული კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება იტყვდეს, ყველაზე ბევრ, ორ ასპექტს: ოპტიმიზმსა და მრავალფეროვნებას.

დასახელებები ვრცელდება რამდენიმე ნარატივის ველზე: ნაციონალური (*ამირანი, ოქროს ვერძი, საქართველო* და ა. შ.); საზოგადოებრივი აღმშენებლობის (*წინ, ტალღა, ზვირთი, ქურა, თანამედროვე ქვეყანა* და ა. შ.); თავისუფლების და დამოუკიდებლობის

(პრომეთე, თავისუფლება, მეოცნებე ნიამორები და ა.შ.); მომავლისა და ოპტიმიზმის (ცის ნამი, ალიონი, აისი, რიჟრაჟი, მერცხალი, დასაწყისი, ხომლი და ა.შ.); საზოგადოებრივი განმანათლებლობის (გზა, მწყემსი, კვალი, ჩანგი და ა.შ.); სიმართლის გაცხადების (სიმართლის ხმა, საყვირი და ა.შ.); მემარცხენეობის (მემარცხენე, ბარიკადი, ლახვარი, შურდული და ა.შ.). თითოეულ სიმბოლოს აქვს ფართო სემანტიკური შესაძლებლობები, თუმცა დისკურსიული სემანტიკა გულისხმობს მათს დაყვანას გარკვეულ კონტექსტურ მახასიათებლებზე.

საინტერესოა, რამდენად უნიკალურია თითოეული ნიშანი, როგორც გარკვეული სემანტიკური ველის წევრი ამა თუ იმ დაჯგუფებისთვის (პერიოდული გამოცემის სარედაქციო წრისთვის) და არის თუ არა ის, როგორც ნარატიული სიმბოლო ამ დაჯგუფების, ერთგვარი, სპეციალური მარკერი. ამ სტრუქტურის გათვალსაზრისთვის შევიმუშავეთ სქემა, სადაც a ნიშნით გამოვსახეთ სოციალ-დემოკრატი მენშევიკების პარტია, რომლებსაც ათვისებული აქვთ მაშინდელი პერიოდის 90%, ხოლო b სიმბოლოს ქვეშ ვიგულისხმეთ სოციალ-ფედერალისტთა პარტია, რომელთაც მოკრძალებული ადგილი უკავიათ საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების წარმოებაში. c ნიშნით აღვნიშნეთ არაპოლიტიკური დაჯგუფებები, ხოლო მთავრული ასო-ნიშნებით — საკურივ სემიოტიკური ველები.

- A - ნაციონალური
- B - საზოგადოებრივი აღმშენებლობის
- C - თავისუფლების და დამოუკიდებლობის
- D - მომავლისა და ოპტიმიზმის
- E - საზოგადოებრივი განმანათლებლობის
- F - სიმართლის გაცხადების, მხილების
- G - მემარცხენეობის

მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, B ველი თითქმის, მთლიანად, ათვისებული აქვს, მენშევიკური პარტიის პერიოდული გამოცემების დასახელებებს („წინ“ და ა.შ.), იმავე სისტემის წევრებია სოციალ-ფედერალისტების პერიოდული გამოცემების დასახელებებიც („ზვირთი“ და სხვ.) მსგავს შემთხვევასთან გავქვს საქმე A სემანტიკურ ველში. ამ ჯგუფის დასახელებათა დიდი ნაწილი სოციალ-ფედერალისტებს ეკუთვნის (საქართველო, ამირანი და ა.შ.), თუმცა, ოქროს ვერძი, რომელშიც ნაციონალურ-კულტურული გზავნილებია აქცენტირებული, არაპარტიული ლიტერატურული დაჯგუფებების კუთვნილებაა.

A ----- b (საქართველო, ამირანი), c (ოქროს სანძისი)

B ----- a (წინ, ტალღა, შადრევანი, ახალი არჩევანი), b (ზვირთი, თანამედროვე ქვეყანა)

C ----- a (თავისუფლება), c_1 (მეოცნებე ნიამორები) c_2 (პრომეთე) და ა.შ. უმეტეს შემთხვევებში, პერიოდული გამოცემის კონცეპტუალური ხაზი არ თანხვედება ერთ რომელიმე ნარატიულ ხაზს და, ამგვარი არასპეციალურობის შესაბამისად, სახელწოდება, როგორც სიმბოლო, ვერ გადმოსცემს დაჯგუფების იდენტობის უნიკალურობას.

აღსანიშნავია, რომ სახელების უდიდეს უმრავლესობაში შეინიშნება საერთო მიდრეკილება. როგორც ჩანს, სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური მიმართულების დაჯგუფებებს ლიტერატურის დანიშნულებისადმი, ერთგვარი, შეთანხმება აქვთ. ლიტერატურის მათეული კონცეპცია დაკავშირებულია საზოგადოების აღზრდასთან. *ვანთიადი, სხივი, დილა, სინათლე, ალიონი, მნათობი, შვიდი მნათობი, ამომავალი მზე* და ა.შ. სახელთა დაყვანა შეიძლება ერთ ძირითად ნიშანზე: სინათლე, განმანათლებლობა, რომლის ინვარიანტებსაც წარმოადგენს თითოეული სახელი. პერიოდულ დასახელებებში ეს ნარატიული ხაზი თავს შეგვასხენებს საუკუნის მეორე ნახევარშიც, განსაკუთრებით დისიდენტური მოძრაობისა და საქართველოს დამოუკიდებულობის მოპოვების პერიოდში.

მეორე ტენდენცია, რაც იკვეთება საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების დასახელებებზე დაკვირვებისას, ეს არის ცალკეული პიროვნებების სახელების დარქმევა პერიოდული გამოცემებისთვის. მაგ.: აკაკის კრებული, გალაკტიონი და ა.შ. ეს მოვლენა განსაკუთრებით ხშირია საუკუნის მეორე ნახევარში. მსგავსი შემთხვევები საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ქართულ სოციოკულტურულ სივრცეში დიდ ადგილს იკავებენ ცალკეული პიროვნებები, როგორც ავტორიტეტები. პიროვნება მეტაფორის, იდეის შესაბამისია. ის დიდ როლს თამაშობს კულტურული პროცესების წარმართვის საქმეშიც. როგორც იური ლოტმანი ამტკიცებს, კულტურულ აფეთქებაში საგულისხმო მნიშვნელობას იძენს საკუთარ სახელთა სამყარო და აფეთქებაც, ძირითადად, გენიოსებს უკავშირდება. ამდენად, ჩვენი აზრით, ანგარიშგასანევია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციისას გათვალისწინებული იქნას ცალკეული ავტორების ფაქტორი.

პოლიტიკური დაჯგუფებებისგან განსხვავებით, რომელთა ჟურნალ-გაზეთები არ არის მარკირებული ადეკვატური ნიშნებით და ვერ ქოვებს უნიკალურობის შთაბეჭდილებას, ამ პერიოდისთვის მოქმედი ლიტერატურული ორდენის „ცისფერყანწელეების“ ამავე დასახელების ჟურნალი ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს. ჟურნალის სახელი ორიგინალური და განუმეორებელია. მასში გაერთიანებულია ის კომპონენტები (გნებავთ, სტრატეგიებიც), რაც ქმნის პერიოდული ორგანოს იდენტობას, მის უნიკალობას.

ჟირმუნსკის მოსაზრება, რომ ლიტერატურის ისტორია შედგება ორი მაგისტრალური მიმართულების: კლასიკურის და რომანტიკულის დაპირისპირებისაგან, სამეცნიერო ლიტერატურაში დღესდღეობით გაზიარებულია. სიმბოლიზმი მრავალმხრივ იმეორებს რომანტიზმს როგორც სოციალურ და ეთიკურ სიბრტყეზე, ასევე მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებების თვალსაზრისითაც.

ცისფერყანწლები თავიანთ მანიფესტებში ხაზს უსვამენ ცისფერის, როგორც მისტიკურის, რომანტიკულის, მეორე მხრივ, დიონისური სანყისის მნიშვნელობას თავიანთ ესთეტიკურ დისკურსში. სწორედ ეს პლასტებია იმპლიციურებული სათაურში „ცისფერი ყანწები“. სათაური არის იმ ესთეტიკური კონცეპციის ლაკონური აღმნიშვნელი, რის შესახებ მსჯელობა გაშლილია ლიტერატურული წრის მანიფესტებსა და ცალკეული წარმომადგენლების პუბლიცისტურ წერილებში.

სიმბოლოში შეიძლება იყოს იმპლიციურებული მრავალი პლასტი შესაბამისი მორფემებით, მაგალითად, დიონისური ხელოვნების კონტექსტს ცისფერყანწელთა პერიოდული ორგანოს დასახელებაში აცოცხლებს „ყანწი“ (მორფემა ითავსებს ნაციონალურ სემანტიკასაც — ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში საკრალური დამოკიდებულებაა ღვინისა და სუფრის მიმართ), ხოლო რომანტიზმის ნარატივს — „ცისფერი“. მათი ერთიანობა, რომელიც აკუმულირებულია ერთ სახელში, ხდება ლიტერატურული გამოცემის კონცეპტის მეტაფორული აღმნიშვნელი. საგულისხმოა ისიც, რომ სათაური არამარკირებულ დონეზე, შესაძლებელია, აკუსტიკურად, ატარებს ელიტურობის ელფერს და ამ დონეზე მნიშვნელოვნად განსხვავდება ისეთი სათაურებისგან, როგორებიცაა *ჩვენი საქმე*, *მეგობარი*, *ერთობა*, *ძმური სიტყვა* და სხვ.

გასაბჭოების შემდეგ ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთებისათვის სახელების მორგების მეთოდი თვისობრივად განსხვავებულია. ახალ სახელწოდებებში ლიტერატურა წარმოგვიდგება საბჭოთა პროდუქტად. ისევე გეგმიურად, როგორც საბჭოთა რენვის სხვა პროდუქციაა. *ლიტერატურული ქუთაისი*, *ლიტერატურული მახარაძე*, *ლიტერატურული საქართველო*, *ლიტერატურული მესხეთი*, *ლიტერატურული ქართლი*, *ლიტერატურული ცხინვალი* და სხვ. — სათაურებში აისახება, ერთი მხრივ, ისტორიული ხაზის განვითარების წყვეტა — დემოკრატიულ პრესას ჩაანაცვლებს ცენტრალიზებული სისტემის მიერ წარმოებული ჟურნალ-გაზეთები, მეორე მხრივ — დასახელებები აღნიშნავს, რომ ისინი განსხვავებულია არა მიმართულებების და აქცენტების, არამედ გამოცემის ლოკალიზების თვალსაზრისით. გასაბჭოებისდროინდელი ჟურნალ-გაზეთების დასახელებები ადეკვატურად გადმოსცემს იმ ისტორიულ ეტაპს, როდესაც ლიტერატურა რეგიონული წარმოების პროდუქტსლა წარმოადგენს.

XX საუკუნის დასაწყისის ჟურნალ-გაზეთების სახელებში იკვეთება ძირითადი ხაზი, რომელიც წარმოაჩენს ლიტერატურის საგანმანათლებლო დანიშნულებას საზოგადოებაში. ეს ხაზი კვლავ იჩენს თავს საუკუნის მეორე ნახევარში. ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სათაურები, ძირითადად, ორი ტიპისაა, მეტაფორული და არამეტაფორული. მეტაფორული სათაური ხდება კოლექტიური კულტურული მესხიერების ინსტრუმენტი, გადმოსცეს კულტურული განვითარების ეტაპის თავისებურებები. პერიოდული გამოცემების სახელებზე დაკვირვება წარმოაჩენს ლიტერატურული პერიოდის თავისებურებებს, სტრატეგიებსა და აქცენტებს, ლიტერატურის ადგილსა და მის როლს, აგრეთვე ცალკეული საზოგადოებრივი და ლიტერატურული დაჯგუფებების მიმართულებებსა და მათს პოლიტიკას. პერიოდიკული გამოცემის სახელი არის, ერთგვარი, დისკურსიული ფანჯარა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ სოციალურ-კულტურული სივრცე მისი თავისებურებითა და უნიკალურობით.

ტრადიცია და თავისუფლება

1957 წელს ნიუ-იორკში გამოდის ქართულ ენაზე დასტამბული კრებული, რომელსაც გივი კობახიძე რედაქტორობს. ამგვარი გამოცემის შემთხვევაში ბევრი ასპექტია გასათვალისწინებელი: თავისუფლების ხარისხი, მუშაობის პირობები და რაც მთავარია — მიზანი; რატომ ხდება ამგვარი გამოცემის მომზადება. ყოველ შემთხვევაში, ქართული ემიგრაციის სინამდვილეში, ვფიქრობ, მოცემული საკითხები ერთ მთლიან კონტექსტშია გასააზრებელი.

ტრადიცია და თავისუფლება. თავისუფლება ერის და თავისუფლება ინდივიდის. პასუხი, ერთი შეხედვით, ერთმნიშვნელოვანი. ეს ადამიანები თავისუფალნი კი არიან, მაგრამ ქვეყნის გარეთ. მართალია, უცხოეთში ავტორები თავისუფალნი ყოველგვარი იდეოლოგიისაგან არიან (ე.წ. „საბჭოთა ცენზურისაგან“), მაგრამ ისინი წარსულისაგან არ გათავისუფლებულან. გეოგრაფიულ წყვეტას გენეტიკური წყვეტა არ მოჰყოლია. ეს ბუნებრივიცაა, მემკვიდრეობის პრინციპი უნდა შენარჩუნდეს.

„კრებულის“ გამოცემას თავისი ისტორია აქვს, მას საკუთარი მკითხველი ჰყავს. აქ პირდაპირი კავშირია ანწყოსა და მომავალს შორის. დროის დევიზი: „გახსოვდეს წარსული და გაიხედე მომავლისაკენ“ სხვა დატვირთვას იძენს. ყოველი ფაქტის მბობა იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ამას დაბეჭდვის (გახსენებისაც) შესაძლებლობა იძლევა. არ ვგულისხმობ მხოლოდ პოლიტიკურ ან სოციალურ თავისუფლებას, არამედ ლიტერატორის — ავტორის თავისუფლებასაც. აქ თვალშისაცემია ე. წ. „ქვიშის საათის“ პრინციპი: დრო შენ უნდა ჩართო. გიორგი გამყრელიძის, გივი კობახიძის, ლადო ბელიაშვილის ლექსების გვერდით დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, ნიკოლოზ ნადირაძის და სხვათა პოეტური ნიმუშები; აკაკი და თამარ პაპავას, რევაზ გაბაშვილის, ირაკლი ოთხმეზურის ნარკვევები, ალექსანდრე მანველიშვილისა და გიორგი კერესელიძის წერილები, გრიგოლ დიასამიძის მოგონებები... სარჩევს ერთი თვალთ გადავლებაც ცხადჰყოფს, რომ რედაქტორს მასალის შერჩევასა საგანგებოდ უზრუნია, ავტორები ძალიან ფრთხილად და ზუსტად შეურჩევია. გეოგრაფიული არეალი კარნახობს სარედაქციო ინტერესებს: გივი კობახიძემ „გაითამაშა“ იდეა — სამანს იქით და აქეთ მყოფი საქართველო ერთ საზღროვნო სივრცეში მოექცია. ეს „კრებული“ არ არის როგორც ამგვარ შემთხვევებში იტყვიან, „ამერიკის კულტურაში ინტეგრირებული“ და შესაბამისად, განსხვავებული ვერსიების განხილვის შესაძლებლობებსაც ნაკლებად იძლევა, თუმცა-ლა

არაერთი (ფილოლოგიური, დოკუმენტური, ისტორიული...) თვალსაზრისითაა საყურადღებო და მნიშვნელოვანი.

რამდენიმე შტრიხი ისტორიიდან: ამერიკაში, კერძოდ, ნიუ-იორკში 1955 წლის დეკემბერში გამოვიდა გაზეთ „ქართული ერის“ პირველი ნომერი. ეს იყო შტატებში სტამბური წესით დასტამბული პირველი ქართული გაზეთი. მართალია, მხოლოდ ერთი ნომერი გამოიცა, მაგრამ მკითხველთა დიდი ინტერესი და მოთხოვნები სხვა პერსპექტივებს სახავდა: ამ „მოუხერხებლობის“ ერთი დასტური — მკითხველის წერილიდან: „... ასეთი დიდი გაზეთის შენახვა ძნელია, მისი წასაკითხავად ხელში ალებაც არაა მარჯვე!“ (კრებული 1957: 5). რედაქციამ გაითვალისწინა საზოგადოების სურვილი და როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, ანუ ორი წლის შემდეგ, დასტამბა პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე (ცარცის ქალაქი), შავ—თეთრ ყვადში ჩასმული „კრებული“.

ახლა უშუალოდ გამოცემის თაობაზე.

პირველივე პოეტური ტექსტის გამჭვირვალე სათქმელი — გიორგი გამყრელიძის ლექსი „მინა ქართული“. აქვე, ქართულ მწერლობაში არაერთი ვარიაციით გავრცელებული სტრიქონები:

და მე ამ ქვეყნად შენი სადარი —
არ მეგულება სხვა კუთხე არსად.

ეს ლექსი უფრო მნიშვნელოვანი სხვა თვალსაზრისითაა. ემიგრანტულ მწერლობაში ერთი საინტერესო მხატვრული სახე მკვიდრდება, ეს — მგზავრია (ან მოგზაური). ადამიანი, რომელიც ფუძეს, კერას, თავის „შინას“ დაშორებია და სხვაგან გადახვეწილა. თუმცა მისი შინა-არსი ორგვარი მნიშვნელობითაც შეიძლება გავიაზროთ: დედამინაზე „შემოხეტებული“ და სამშობლოდან წასული, გზაზე დამდგარი.

მგზავრი. ფუძე — გზა. სად მიდის იგი. საითკენ? ეს არის სირთულე. მწერლობაც სხვადასხვაგვარად გვიამბობს ამ ადამიანების თავგადასავალს. 1956 წელია, ივლისის ერთი ცხელი დღე; ქალაქ დალლასიდან დაფიქრებული გზას დაადგება; უფრო ზუსტად, მისი ლექსის პერსონაჟი მიუყვება გზას: ლურჯი ჭალები, აჭრელებული მდელოები, თავდახრილი თაველები, ციხეები, ძველი კოშკები... მოულოდნელად ავტორი უშვებს ამგვარ შესაძლებლობას: „მკვდარს რომ ჩამესმას უფლის ხმა ზარად“. „რომ“ — სხვა განზომილებაა... სამყაროს შემომქმედთან მოკრძალებული გასაუბრება იმ სურვილის ასრულებას გულისხმობს, ღმერთის მეტს აღარავის რომ არ ძალუძს ამ მზისქვეშეთში; უფლის შემოთავაზებული წყალობა და გმირის პასუხი:

„აჰა, განიჭებ სიმშვიდეს მარადს —
და სამოთხეში თავმესაფარსა.“
ვეტყოდი: „გმადლობ, მამაო წმინდა,
მაგრამ თუ ჩემი ცხოვრება გინდა —

მშობელი მიწა მარგუნე მკვდარსაც”.

განგება წყალობას მაინც მოიღებს: შორიდან გამოიკვეთება ოდისკენ მიმავალი გზა, ცაცხვები, მარანიც... მამულში დაბრუნებულს „სავალდებულო” პერსონაჟი უნდა დახვდეს; ხვდება კიდევ — დედა!

„დედავ, მოვედი მგზავრი გვიანი,
გზა მქონდა გრძელი, თანაც ქვინი“...

ტრადიციულად, ქართველი ბრუნდება. „მოგზაურობა“ სრულდება. მგზავრი მასპინძლად იქცევა. მამული წარსულია, ანმყოფა, შვილი მომავალი; ერთიანი განუყოფელი სივრცე — კონტექსტი, რომელიც სასურველიდან ეგებ, იდეალური ჰარმონიის „ილუზიასაც“ უშვებდეს. სხვა ავტორთა დასახელებაცაა შესაძლებელი; მათ ლიტერატურულ ტექსტებში განსხვავებული, თუმცა-ღა ზუსტად გააზრებული სახე-სიმბოლოები „კრებულის” პოეტურ ენას საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის.

„კრებულის“ კიდევ ერთი საყურადღებო ასპექტი — სიმართლე, რომელიც საქართველოში ვერ დაიბეჭდებოდა. ვერ ვიტყვით, რომ მასალის სიუხვე, ან მოულოდნელი ფაქტის ამოტივტივება გააოცებს მკითხველს; არა, მაგრამ ერთია, საქართველოში ილია ჭავჭავაძეზე ამგვარი პათოსით და „ღია სიმართლით” ვერ (და არ) დაინერგებოდა. მკვლევარის რამდენიმე ვარაუდი; არა მხოლოდ ერთი პიროვნების, ანდა ამ შემთხვევაში ერთი მწერლის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილია, არამედ „შენი“ ქვეყნის, უფრო ზუსტად, იმ რეჟიმის სახე და კიდევ იმის სურვილი, ოდესმე ნამდვილ ისტორიას ადამიანები რომ წაიკითხავენ! სხვებისთვის ეს — სამომავლოდ. იმათთვის კი, ვინც ახლა მათ გვერდით, უცხოეთში ცხოვრობენ — შესახსენებლად. ეს პირდაპირი კავშირია ანმყოსა და მომავალს შორის. ამავე კონტექსტში, ოღონდ გარკვეულ ფასეულობებთან მიმართებაშია გააზრებული და განხილული გრიგოლ ორბელიანის ღვანლი (ავტორი-გ. კერესელიძე). როგორც ამგვარ შემთხვევებში იტყვიან: „არის ტრაგედია კაცის და არის ტრაგედია საქმის“... ამ თემებზე საუბარს ემიგრაციაში არ ერიდებიან.

აქვე აღვნიშნავდი, რომ როცა ერთმანეთის გვერდითაა დაბეჭდილი: წერილები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ და მის მკვლევარებზე (ავტორები — გ. გამყრელიძე, ი. ოთხმეზური); გამოკვლევა მხატვარ ლადო სააკაძეზე (ავტორი- გ. მახვილაძე), ასევე, ქართული მოდემის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში (ავტორი-რევაზ გაბაშვილი), იმავდროულად, მოსკოვის ქართული ემიგრაცია და ბატონიშვილი დარეჯან (ავტორები- თამარ და აკაკი პაპავები)... აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, დოკუმენტური პროზის საინტერესო ნიმუშად რჩება, იმ ინფორმაციასთან ერთად, თუ როგორ აღბეჭდა მგოსნის სტუმრობა კინო-კადრებმა (ავტორი — გ. შაორელი). რედაქტორს სურს, სამანს აქეთ და სამანს იქით მყოფი

საქართველო ერთ კულტურულ სივრცეში მოაქციოს. რასაკვირველია, ტექნიკურად ეს ძნელი მოსაგვარებელი მაინცადამაინც არაა, გაცილებით რთულია, უცხოეთში დაბადებულ ყმანვილს(თუ ახლა უკვე მოზარდს) ლიტერატურული თუ სამეცნიერო მასალა იმგვარად მიანოდო, რომ მოანონო, იმავდროულად, დაამახსოვრო კიდევც, ამასთან, მშობლიური განცდა გაუღვიძო. მხატვრულ ფუნქციასთან ერთად ამ კრებულს „სხვა“ დატვირთვაც გააჩნია. აქ რამდენიმე ეპოქაა ერთ დროში. ესაა რედაქტორის თავისუფლება: ქართველ მკითხველს ის შესთავაზოს, რაც მას გამიზნულად აქვს ჩაფიქრებული — ამჯერად, სრულიად განსხვავებული ამერიკული კულტურის სამზერიდან. შემდეგ ნომრებში ეგებ, სხვა თემებიც დალაგებულიყო ერთმანეთის გვერდით... (სამწუხაროდ, გამოცემა შეწყდა).

ტრადიცია და თავისუფლება. „კრებული“ ინტელექტუალური მცდელობაა, აღდგეს კონტაქტი დაკარგულ დროსთან, დაკარგულ მწერლობასთან და დაკარგულ სამშობლოსთან.

ლია ნოზაძე

საქართველო, თბილისი

მუსიკალური სტრუქტურა მარსელ პრუსტის ნაწარმოებში „სვანის მხარეს“

მარსელ პრუსტის ეპოპეის „დაკარგული დროის ძიებაში“ შესახებ შექმნილი ნაშრომების ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალი არავის უქმნის ილუზიას, რომ ეს გრანდიოზული ქმნილება ყველა რაკურსითაა შესწავლილი. უფრო მეტიც, ირკვევა, რომ ზოგიერთ საკითხს მკვლევარები განსაკუთრებით უფრთხიან. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა პრუსტის მონუმენტური რომანის მხატვრული სტრუქტურაა, რომელიც, თავად პრუსტის თქმით, საოცრად ჰგავს მუსიკალური სიმოფნიის აგებულებას.

1913 წელს ჟურნალისტ ანდრე ლევისთან ინტერვიუში პრუსტი საზოგადოებას აცნობს თავისი ნაწარმოების სტრუქტურულ ესკიზებს და წუხს, რომ მისი რომანის ცალკეული ნაწილების გამოქვეყნება მკითხველს ვერ შეუქმნის მთლიანობის შთაბეჭდილებას, თუმცა, დასძენს, რომ ეპოპეა, თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით, უნდა ყოფილიყო ოთხნაწილიანი ციკლი, ისევე როგორც სიმფონია. ამავე ინტერვიუში მწერალი საზოგადოების ყურადღებას ამახვილებს გამოსაცემად გამზადებულ ერთ ნიგნზე — „სვანის მხარეს“, რომელიც, მისი თქმით, იქნებოდა გრანდიოზული ციკლის პირველი ნაწილი და მისი მთლიანობის ფუნქციას, ისევე როგორც მთელ ეპოპეაში, შეასრულებდა მუსიკა.

„Ja musique m'a apporté des joies et des certitudes ineffables (...) Elle court comme un fil conducteur a travers tout mon oeuvre" (Proust, 1994: 253)

პრუსტის მკვლევარი ჟორჟ მატორე მწერლის მინიშნებების კვალდაკვალ ცდილობს, ასხნას მუსიკის მათორგანიზებელი როლი პრუსტის ნაწარმოების სტრუქტურისათვის და აღნიშნავს, რომ ეპოპეაში, ამა თუ იმ მიზნით, 40-მდე მუსიკოსია ნახსენები. აქედან — ვაგნერი 35-ჯერ, ბეთჰოვენი 25-ჯერ, დებიუსი 13-ჯერ, ბახი 8-ჯერ, მოცარტი 4-ჯერ და სხვა. მატორეს თქმით, ეს ჩამონათვალი არ იქნებოდა შთამბეჭდავი, რომ არა პრუსტის გამორჩეული პატივისცემა ვაგნერისადმი, რომელიც მწერალს მისი სულიერი წინაპრის, შოპენისა და მუსიკის ესთეტიკის ხორცშემსხმელად მიაჩნია. პრუსტიც, ისევე როგორც შოპენისა და ვაგნერი, მიიჩნევს, რომ მუსიკა სამყაროს საიდუმლო მაჯისცემის პულსატორია.

Marcel se réfère à Wagner parce que celui-ci a concretisé la théorie esthétique de Shopenhauer dont Proust a adopté certains éléments. Comme le philosophe allemand, Proust estime que la musique, art privilégié qui exprime l'Être et non les apparences, nous permet de penetrer dans l'intimité du monde (Matoré 1972: 153)

ვიდრე ნაწარმოების ცალკეული შემადგენელი ნაწილების განხილვაზე გადავალთ, საგანგებოდ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ, მიუხედავად აზრის გადმოცემის სპეციფიკური მანერისა, სიუჟეტის განვითარების არათანამიმდევრულობისა, პროუსტის ნაწარმოების, თითქოსდა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნაწილები ერთმანეთთან აკავშირებს კომპოზიტორ ვენტეილის მუსიკალური ფრაზა, რომელიც ამა თუ ინტერპრეტაციით მრავალგზის გაჟღერდება და რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც „სვანის მხარეში“ წარმოდგენილი მთავარი ლაიტმოტივი (იგი თავის მაორგანიზებელ ფუნქციას არ კარგავს ეპოპეის სხვა ნაწილებშიც).

ვენტეილის მუსიკალური ფრაზა პირველად გაიჟღერებს „სვანის სიყვარულში“, ვერდიურენებთან სვანის სტუმრობისას. ამ ეპიზოდში ვკითხულობთ, რომ მუსიკამ სვანზე გამოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს სიამოვნება მისთვის გაუცნობიერებელი დარჩა, რადგან ვიდრე სხვადასხვა ნოტიოა და ფრაზით მოხდენილი შთაბეჭდილება შეგრძნებად ჩამოყალიბდება, მათ პიანისტის თითების მოძრაობასთან ერთად მოტანილი ახალი შთაბეჭდილებები წაუტკავს. სვანისათვის ეს ფრაზები არ იყო წმინდა წყლის მუსიკა, მისი ტკბობა ისეთივე გაუცნობიერებელი და მომთენთავი იყო ამ წუთებში, როგორც ყოველთვის ფერენრაში, ხუროთმოძღვრებასა და ყვავილთა სურნელებაში დანთქმული ბატონი სვანის გარინდებისას. ამიტომ საფუძველს მოკლებული არ არის იმის მტკიცება, რომ ვენტეილის მუსიკალური ფრაზის ინსენიუაციები უზვადაა „კომბრემიც“ და „ქვეყანათა სახელებშიც“, ასევე ყველგან, სადაც, ამა თუ იმ სახით, ჩნდება რემინისცენციები ვაგნერის მუსიკალურ ნაწარმოებებზე, მით უფრო, რომ, თავად პროუსტის თქმით, ვაგნერი ისეთივე სულიერი წინაპარი კომპოზიტორ ვანტეილისა, როგორიც ბატონი სვანი — ნაწარმოების მთხრობელისა და, მამასადამე, თავად პროუსტისა „Wagner est aïeul de Vinteuil comme Swann est le père spirituel du narrateur (...) Il existe une parenté d'inspiration et de technique entre Wagner et Proust" (Laget 1992: 75).

პროუსტის მკვლევარი ჟორჟ მატორე აღნიშნავს, რომ მუსიკას პროუსტის ნაწარმოებში მრავალგანზომილებიანი დანიშნულება აქვს. ის არის ერთგვარი ტესტი, რომელიც მუსიკის შესახებ გამართული საუბრებისას, საშუალებას გვაძლევს, გავიცნოთ პერსონაჟების გემოვნება, მათი დანიშნულება ნაწარმოებში. მუსიკა არის ნაწარმოებში წარმოჩენილი დროისა და სივრცის დამაკავშირებელი ელემენტი, ნაწარმოების არქიტექტონიკის მაორგანიზებელი დეტალი, თხრობის ტემპის განმსაზღვრელი მექანიზმი...

მუსიკალური სიმფონია სონატურ-ციკლური ფორმის ნაწარმოებია, რომელსაც აერთიანებს წამყვანი იდეა, ვაგნერის ესთეტიკის მიხედვით კი („მომავლის მხატვრული ქმნილება“), „უსასრულო მელოდია“, რომელიც აგებული იქნება უსარსულოდ გრძელი, ერთმანეთში გარდამავალი, ურთიერთგამსჭვალული

მუსიკალური ფრაზებით. სიმფონიური ნაწარმოების ფორმის მთლიანობაში ასევე არსებით ფუნქციას იძენს კონტრასტი და ლაიტმოტივი.

თუ პრუსტის ეპოპეის ანალიზისას სიმფონიური ციკლის ნაწარმოების მოდელს გამოვიყენებთ, ამ ეპოპეის I ნაწილის („სვანის მხარეს“) სტრუქტურულ აგებულებაზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ სონატურ ფორმაზე. მით უმეტეს, რომ პრუსტის აღნიშნული ნაწარმოებიც, ისევე როგორც სიმფონიის I ნაწილი, არის მთელი ეპოპეის ერთგვარი ექსპოზიცია, სადაც ჩნდება ყველა ის ძირითადი თემა, მოტივი და კონტრასტი, რომლებიც შემდგომ ვარიაციულ დამუშავებას ჰპოვებენ ეპოპეის სხვა ნაწილებში. ამ თემებისა და მოტივების წარმოჩენა ნაწარმოებში ხორცილედება როგორც პარალელიზმის, ასევე კონტრასტულობის პრინციპით. ესენია: სვანის მხარე — გერმანტების მხარე; არისტოკრატია-ბურჟუაზია; ხელოვნება-რეალური ცხოვრება; კლასიციზმი — რომანტიზმი; ალეგრო-ანდანტე და სხვა.

სიმფონიური ციკლის მკაცრად განსაზღვრულმა ფორმამ დასრულებული სახე მიიღო XVIII ს-ის II ნახევარში, ვენის კლასიკოსების შემოქმედებაში (ჰაიდნი, მოცარტი, ბეთჰოვენი). ამავე ნორმატივებით განისაზღვრა სონატური ფორმაც, რომელიც მიუხედავად მრავალგვარი ინტერპრეტაციისა, მაინც ერთ ძირითად სამნაწილიან სქემას ეყრდნობა — ექსპოზიცია, დამუშავება, რეპრიზა, შესაბამისად — ალეგრო, ანდანტე, რონდო.

პრუსტის ნაწარმოებიც („სვანის მხარეს“) სამი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან პირველის სტრუქტურა („კომბრე“) უნდა განვიხილოთ სონატური ალეგროს მოდელის მიხედვით, მეორე ნაწილის („სვანური სიყვარული“) თემატურ-სტრუქტურული ანალაზისას გავითალისწინოთ ანდანტეს სპეციფიკა, ხოლო პრუსტის ნაწარმოების მესამე ნაწილის (ქვეყანათა სახელები: სახელი) განხილვისას — რონდოს თავისებურება.

სონატური ალეგრო ჩქარი ტემპით შესასრულებელი მუსიკალური ნაწარმოებია, რომელსაც ახასიათებს თემათა სიუხვე, კონტრასტულობა და პარალელიზმი, როგორც თემათა ურთიერთდაკავშირებისა და ურთიერთგარდამავლობის მექანიზმი. პრუსტის ნაწარმოების პირველი ნაწილი „კომბრე“ განსაცვიფრებელი სიზუსტით იმეორებს მუსიკალური ალეგროს სტრუქტურასა თუ შესრულების ტემპს. ამ ნაწილში წარმოჩნდება კონტრასტები ან პარალელები. მაგ სვანის თემა ხელოვნების თემის პარალელურად ვირთადება მაშინ, როდესაც თვით სვანის თემის შინაგანი შრეები უხვადაა დახუნძლული კონტრასტებით — მაგ. სვანის პორტრეტი და მისი ხასიათი, სვანი — ესთეტი და პრაგმატიკოსი. ასეთივე კონტრასტები იკვეთება ხელოვნების თემაშიც: ფერწერა —

ფოტოგრაფია, კლასიციზმი — რომანტიზმი, ხელოვნების ესთეტიკური დანიშნულება და უტილიტარული დანიშნულება...

ამავე ნაწილშია წარმოდგენილი კიდევ ორი თემა, გერმანტებისა და ვენტეილის თემა, რომლებიც პარალელური პრინციპით ჩნდებიან, მაგრამ კონტრასტი იკვეთება როგორც მათ შინაგან შრეებში, ასევე პირველ ორ თემასთან მიმართებაში, რადგან ბოლო ორი თემა გერმანტების მხარიდან დანახული რეალობის შთაბეჭდილებებია, ხოლო პირველი ორი-სვანის სამოსახლოს მხრიდან დანახულისა. ამავე ნაწილში ვეცნობით წინააღმდეგობებით აღსავსე ვენტეილის პიროვნებას, გენიალურ კომპოზიტორსა და ტრაგიკული ხვედრის მქონე წარუმატებელ მამას.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ერთი თემიდან მეორეზე თავბრუდამხვევი სიჩქარით გადაინაცვლებს, მკითხველის ყურადღება ისე სწრაფად გადააქვს ერთი შთაბეჭდილებიდან მეორეზე, რომ სიუჟეტის თანმიმდევრულობის შეგრძნება სრულიად ქრება, „კომბრეში“ წარმოდგენილ შთაბეჭდილებათა ქაოსი მინც შეკრულ სახეს იძენს ექსპოზიციისა და ფინალის ურთიერთკავშირის მეშვეობით. ნაწარმოები იწყება საღამოს სცენით, მთვლემარე მარსელის საწოლი ოთახით და სრულდება დილის სცენით, იგივე საწოლი ოთახით. რამდენიმე საათის განმავლობაში პერსონაჟის წარმოსახვის მოგზაურობა დროსა და სივრცეში წიგნის 166 გვერდზეა გადმოცემული. მოთხრობილი და სათხრობი დროების ამგვარი ურთიერთმიმართება მკითხველში იწვევს იმ თავბრუდამხვევი სიჩქარის შეგრძნებას, რომლითაც იგი მარსელის წარმოსახვასთან ერთად მოგზაურობს და უბრუნდება მარსელის ოთახს, სადაც სრულდება სონატური ალეგროს ბოლო აკორდები.

სონატური ფორმის მუსიკალური ნაწარმოების II ნაწილი — ანდანტე — პირველისაგან მკვეთრად განსხვავდება თავისი ლირიზმით, სენტიმენტალურობითა და შესრულების მდორე ტემპით, თუმცა, თემატური თუ მოტივური ნიუანსებით, მჭიდრო კავშირს ინაჩრუნებს ალეგროსთან. სწორედ ამ ნიშნებით ემსგავსება პრუსტის ნაწარმოების II ნაწილი „სვანის სიყვარული“ ანდანტეს მუსიკალურ სტრუქტურას. აქ წამყვანი თემა სვანის სიყვარულია, ხოლო დამხმარე თემების ფარგლებში „კომბრეში“ წარმოდგენილი თემების ვარიაციული დამუშავება გრძელდება. მაგ. თუ „კომბრეში“ წარმოდგენილი საზოგადოების მსჯელობის თემა ხელოვნების უტილიტარული დანიშნულებაა, „სვანის სიყვარულის“ გმირი მიდის დასკვნამდე, რომ რეალობა თავად ხელოვნებაა და არა ადამიანის ყოველდღიური ყოფა. ამ ნაწარმოებში წარმოჩენილია ვენტეილის ფრაზის ხუთჯერად გაყვრებასთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები, რომლებიც თანადათანობით სვანის ინტიმურ განცდებად ყალიბდება და განსაცვიფრებელი ლირიზმით მუხტავს მკითხველს, რომელიც მისდაუნებურად სვანის სიყვარულის დაბადებისა თუ მისი განხიზვლის თანამონაწილე ხდება.

„სვანის სიყვარულში“ ვენტილის მუსიკალურ ფრაზას, რომელიც ასოციაციურად აქამდე სიყვარულითა და ხელოვნებაში დანთქმით განცდილ ტკობას უკავშირდებოდა, შემოაქვს ახალი მოტივური ნიუანსი-ტანჯვა, რომელიც პირველად შეიგრძნობა სვანის განცდაში მწარე რეალობის შეგრძნებასთან ერთად (ოდეტის ღალატი) და მჭიდროდ უკავშირდება თვით ვენტილის მტანჯველ განცდებს, რომელიც მიჩქმალული იყო „კომბრეში“, ეპიზოდში, სადაც მუსიკის აღმატებული სამყაროდან რეალობაში დანარცხებული კომპოზიტორი იტანჯება საკუთარი ქალიშვილის მორალური სიმახინჯით.

„სვანის სიყვარულში“ წარმოდგენილი მოთხრობილი დრო რამდენიმე წელს მოიცავს და წიგნის 162 გვერდზე წამრდგენილ მოვლენებს გადმოგვცემს, ხოლო სათხრობი დრო — რამდენიმე საათს. ამიტომ თხრობის ტემპი გაცილებით უფრო ნებიერი და მდორეა, ვიდრე „კომბრეში“. „სვანის სიყვარული“ — ანდანტესა და „კომბრე“ — ალევროს შინაგანი ინტიმურ-იდუური კავშირი კვლავ მთხრობელისა თუ ავტორის მიერ არაერთგზის გაჟღერებული კითხვაა: „L'art est - il plus reel que la vie?“ (Proust, 1976,128).

პრუსტის ნაწარმოების მესამე ნაწილში „ქვეყანათა სახელები“ — „სახელი“ გრძელდება პლატონის მოძღვრების პრუსტისეული დამუშავება საგანთა სახელების შესახებ. (ბალბეკი — აგრძელებს I თავში წარმოდგენილ თემას — საფრანგეთის ისტორია, ფლორენცია — ხელოვნების თემას, ჟილბერტი — სიყვარულის მოტივს) აქ ერთმანეთს უავშირდება სხვადასხვა ქვეყნებისა და ქალაქების შესახებ შექმნილი ასოციაციური შთაბეჭდილებები, მაგრამ ამ ფონზე „ქვეყანათა სახელებში“ თავს იყრის ყველა ის ცნობილი თემა და მოტივი, რომელიც წარმოდგენილი და დამუშავებული იყო ნაწარმოების პირველ და მეორე ნაწილებში. (მარსელის სიყვარული — სვანის სიყვარულის ვარიაციაა, სვანი — მზრუნველი მამა — ვენტილის თემის ვარიაციაა). ამ მოვლენათა და შთაბეჭდილებათა ერთგვარი წრე იკვრება მთხრობელის განზრახვით — დაწეროს წიგნი — მოგონებათა ტაძარი, სადაც იგი თავს მოუყრის აქამდე განცდილსა და დროებით თავშეფარებულ მოგონებებს სხვადასხვა მატერიალურ საგანში, დაკარგულს მანამ, სანამ მარსელი — მწერალი მოინადინებს, მოგონებები საგანთა ტყვეობიდან გაათავისუფლოს და აქციოს ხელოვნების ნიმუშად, უფრო უტყუარ, მარადიულ და ერთგულ მემატრიანედ, ვიდრე წარმავალი და მოლიცლიცე მატერიალური სამყაროა. ძველი და ახალადგამოკვეთილი თემების ურთიერთმონაცვლეობა „ქვეყანათა სახელების“ სტრუქტურას აახლოვებს რონდოს მუსიკალურ ფორმასთან.

ამგვარად, მარსელ პრუსტის მინიშნება იმის თაობაზე, რომ „დაკარგული დროის ძიებაში“ მუსიკალური სიმფონიაა, შემთხვევითი არ არის, რადგან ეპოპეის პირველი ნაწილის „სვანის მხარეს“ ანალიზისას ირკვევა, რომ ამ ნაწარმოების ფორმა და აგებულება შეგვიძლია განვიხილოთ როგორც სონატაური ფორმის ნაწარმოები,

სადაც მუსიკა არის პერსონაჟების ფუნქციის განმსაზღვრელი დეტალი, დროისა და სივრცის დამაკავშირებელი ელემენტი, თხრობის ტემპის განმსაზღვრელი მექანიზმი და, მაშასადამე, ნანარმოების არქიტექტონიკის მაორგანიზებელი დეტალი.

დამონემბანი:

- ტიერი 1992:** Thierry L. "Du côté de chez Swann de Marcel Proust". Paris: Gallimard, 1992.
- ჯორჯი 1972:** George M. Musique romanesque dans la Recherche du temps perdu". Paris: Rilkincksieck, 1972.
- კლოდი 1982:** Klaude M. Proust. Paris: Seuil, 1982.
- მარსელი 1976:** Marcel P. "du côté de chez Swann". Moscou: Progrès, 1976.
- მარსელი 1992:** Marcel P. Serie "Les écrivains". Paris: Nathan, 1992.
- მარსელი 1994:** Marcel P. Essais et articles. Paris: Gallimard, 1994.
- რეველი 1987:** Revel J.-F. Remarques sur "A la recherche du temps perdu". Paris: Grasset, 1987.

ფსევდონონეს კომენტარები — ქრისტიანთა გზამკვლევი ბერძნულ მითოლოგიაში

ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარები
ადრექრისტიანული მწერლობის ცნობილი წარმომადგენლის, კაპადოკიელი მამის, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა განმარტებების კრებულია, რომელიც VI საუკუნეშია შეთხზული ანონიმი ავტორის მიერ. *კომენტარებში* განმარტებულია ანტიკური მითოლოგიის სახეები, რომლებსაც გრიგოლ ნაზიანზელი თავის ჰომილიებში იხსენიებს. კომენტარები გრიგოლის ოთხ საკითხავს ეხება (*Orationes*: 4, 5, 39, 43). განმარტებები მოკლე „ისტორიების“ (αἱ ἱστορίαι) — ქართული ტრადიციის მიხედვით, „თხრობების“ სახითაა წარმოდგენილი, რომლებიც მთლიანობაში მითოსურ სიუჟეტებზე აგებულ პატარ-პატარა ამბების კრებულს ქმნიან (ნიმო-სმიტი 1992).
გრიგოლ ნაზიანზელის ლიტერატურული მემკვიდრეობა ადრექრისტიანული მწერლობის მიერ ანტიკური ლიტერატურული ტრადიციების მიღებისა და შეთვისების თვალსაჩინო ნიმუშია. „გრიგოლმა ყველაზე უკეთ შეათავსა ელინიზმი და ქრისტიანობა“, „ქრისტიან პოეტთა შორის ყველაზე უფრო ანტიკური“ — ასე ახასიათებენ გრიგოლ ნაზიანზელს ქრისტიანული კულტურის მკვლევრები. როგორც ცნობილია, გრიგოლს ძალიან კარგი კლასიკური განათლება ჰქონდა მიღებული ათენში, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ სოფისტი რიტორები; საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ფილოსოფია, ლიტერატურა, რიტორიკა. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო, ანტიკური მითოლოგია — ანტიკური ლმერთები და გმირები, მითოსური სიუჟეტები და წარმართული რიტუალები — მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და ხატოვნებით არის წარმოდგენილი მის ჰომილიებსა და წერილებში. ანტიკური მითოლოგია გრიგოლთან უმეტესწილად მხატვრული ფუნქციით არის გამოყენებული. გრიგოლ ნაზიანზელი აზიანისტური რიტორიკული სკოლის წარმომადგენლად არის მიჩნეული (გინე 1911, ბეზარაშვილი 2004); მის თხზულებებში უხვად ვხვდებით ისეთ მხატვრულ ხერხებს, როგორიცაა შედარება, პარალელიზმი, მეტაფორა, ანტითეზა და სხვ. მხატვრული სახეების აგებისას გრიგოლი ხშირად მიმართავს ანტიკურ მითოლოგიას. მაგალითად, „*ლაბირინთი*“ — კუნძულ კრეტაზე აგებული სასახლე თავისი უთვალავი და ძნელად თავდასაღწევი დერაფრებით — ბასილი დიდის სიტყვათა სიღრმისა და სირთულის მეტაფორაა ბასილისადმი მიძღვნილ ეპიტაფიაში (გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები 2004: 113); ხოლო „*ლაბირი*“ — ანტიკურ

წყაროებში ხშირად მოხსენიებული გეოგრაფიული პუნქტი, ვინრო გასასვლელი ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტის ოკეანეში (დღევანდელი გიბლარტალის სრუტე) — ადამიანური შესაძლებლობების ზღვარის მეტაფორაა, რომელიც გრიგოლს ისევ ბასილი დიდის დასახასიათებლად აქვს გამოყენებული: ბასილი იმდენად იყო აღსასვლე სწავლულებით, „რაოდენ დასატევნელ არს კაცობრივისა ბუნებისა, რამეთუ მიერ კერძო ღადირთა არწარსავლელი“ (წმინდა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები 2004: 115).

აღსანიშნავია, რომ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, ანტიკურ მითოლოგიაზე ინფორმაციის უაღრესი უკმარისობის პირობებში, *ფსევდონონეს კრებული* მითოლოგიური ცოდნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა ბიზანტიელთათვის. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს თხზულება ცნობილ, პოპულარულ მითოსურ სიუჟეტებთან ერთად საკმაოდ დეტალურ, ზოგ შემთხვევაში იშვიათ, ნაკლებად ცნობილ ინფორმაციასაც აწვდიდა შუა საუკუნეების მკითხველს. ამავე დროს *ფსევდონონეს მითოლოგიური კრებული* შუა საუკუნეების მკითხველისათვის წარმოადგენდა კარგ საცნობარო-საენციკლოპედიო ხასიათის ნიგნსაც, რომელშიც ანტიკური ეპოქის გეოგრაფიული თუ საბუნებისმეტყველო ცოდნა იყო დაცული.

ფსევდონონეს მითოლოგიური კრებულის დიდ პოპულარობაზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ დღეისათვის ცნობილია ამ თხზულების შემცველი X-XVII საუკუნეების 150-მდე ბერძნული ხელნაწერი. ამ კრებულით დაინტერესება დიდი იყო ქრისტიანულ აღმოსავლეთშიც — ის სხვადასხვა დროს ითარგმნა სირიულ, სომხურ და ქართულ ენებზე (ბროკი 1971; მანადიანი 1902; აბულაძე 1941; გამყრელიძე ... 1989; ოთხმეზური 2002).

ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარები თავდაპირველად ექვთიმე ათონელმა თარგმნა X საუკუნის მიწურულს, ხოლო მეორეჯერ ეს ძეგლი თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, XI საუკუნის ბოლო ათწლეულში ითარგმნა შავი მთის ცნობილი მწიგნობრის, ეფრემ მცირის მიერ. ამ თხზულების ქართულად თარგმნა უშუალოდ უკავშირდება გრიგოლ ნაზიანზელის ლიტერატურული მემკვიდრეობის ქართულად გადმოტანას. *ფსევდონონეს კომენტარები* გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა უმნიშვნელოვანეს კრებულებშია დაცული: A-80, XIII ს.; A-518, 1708 წ.; *Jer. iber.* 43, XII-XIII სს.; A-109, XIII ს., A-1490, XIII ს. (ბრეგაძე 1988). ჩვენამდე ექვთიმეს თარგმანის მხოლოდ ფრაგმენტია მოღწეული — ორასამდე მითოლოგიური ინტერპოლაციების, აგრეთვე, მისი თვალსაზრისით, ქრისტიანთათვის მიუღებელი პასაჟების კლების შედეგად, აქ თავად ექვთიმეს ტენდენციური პოზიცია და მისი დიდაქტიკურ-სამოძღვრო მისია უფროა გამოკვეთილი, ვიდრე *ფსევდონონეს კომენტართა* წარმართული სამყარო. მაშინ როდესაც ეფრემის თარგმანი ამ მხრივ

ტოლერანტულია. ჩანს ისიც, რომ ეფრემს კარგად აქვს გაცნობიერებული ამ კრებულის დანიშნულება. შავი მთის მწიგნობრის თარგმანში არაერთ მთარგმნელისეულ ექსპოზიციური ხასიათის ჩანართს ვხვდებით, რომელთა მეშვეობითაც კიდევ უფრო გამოკვეთილია ამ კრებულის საცნობარო-საენციკლოპედიო ხასიათი. ეფრემისეული ჩანართები ქართველ მკითხველზეა ორიენტირებული — მთარგმანელის მიერ ახსნილია ბერძენ ღვთაებათა ზედწოდებები, ეპითეტები, ზოგ შემთხვევაში მინოდებულია დამატებითი ინფორმაციაც. ასეთია, მაგალითად, მსოფლიოს შვიდი საოცრების ჩამონათვალი, რომელიც არ დასტურდება ბერძნულ დედანში და რომლის წყაროდ ეფრემის ტექსტში ფილონ ბიზანტიელის შრომაა დასახელებული (ოთხმეზური 2002: 274-276). არც ეს ჩამონათვალი, არც მსოფლიოს შვიდ საოცრებასთან დაკავშირებით ფილონ ბიზანტიელის დამონმება არ ჩანს სხვაენოვან ვერსიებში. ასე რომ, ამ ჩამონათვალის კრებულში ჩართვის ინიციატივა ეფრემს უნდა ეკუთვნოდეს. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ ეფრემისეული დანართით შემოდის ქართულ კულტურაში ინფორმაცია მსოფლიოს შვიდი საოცრების შესახებ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შავი მთის მწიგნობარს კარგად ესმოდა ანტიკურ სახეთა ფუნქცია გრიგოლის ჰომილიებში. თავის ჩანართში მსოფლიოს შვიდი საოცრების შესახებ იგი მიუთითებს გრიგოლის საკითხავში მათ მხატვრულ დანიშნულებაზე: „ესე ყოველნი (იგულისხმება შვიდი საოცრება) სახედ შემოიხუნა დიდმან გრიგოლი შუენიერებისათჳს და სიდიდისა სასწეულოთა მათ, დიდისა ბასილის მიერ აღშენებულთა ბჭეთა კესარიისათა“ (ოთხმეზური 2002: 276). გრიგოლის საკითხავებში ანტიკური სახეების ფუნქციის ამგვარი გააზრება სრულიად სხვაობს ამ საკითხის ექვთიმესეული ხედვისაგან, რომლის მიხედვით ანტიკურ სახეთა დანიშნულება გრიგოლის ჰომილიებში მხოლოდ წარმართული სამყაროს ბოროტებათა წარმოჩენა და მხილებაა: „რომელ მოიკსენებს ღმერთთა წარმართთასა და ბილნებათა მათთა და ბოროტთა მათ მსახურთა მათთასა, განსაქიქებელად მათდა და ჩუენდა განსამტკიცებელად, მორწმუნეთა, ვითარ ესევითარნი იყვნეს ბილნი იგი და ცუდსახელნი ღმერთნი წარმართთანი“ (ოთხმეზური 2002: 154).

აღსანიშნევია, რომ ბიზანტიური მწერლობის ეს ყველაზე მეტად წარმართული შინაარსის ნიგნი საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში. მისი გამოყენებისა და ციტირების არაერთ ნიმუშს ვხვდებით კლასიკური ხანის ქართულ ლიტერატურაში.

ფსევდონონეს კრებულის კვალი ქართულ მწერლობაში მკვლევართა მიერ კარგად შესწავლილი საკითხია (აბულაძე 1941; ინგოროყვა 1938; ასათიანი 1987). დღეისათვის, როდესაც უკვე გამოიცა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების დიდი ნაწილი,¹ *მითოლოგიური კრებულის* გავლენის სფერო

შემოისაზღვრა – გაირკვა, რომ შუა საუკუნეების ქართველი ავტორები თავიანთი თხზულებების გასამშვენებლად არა მარტო *ფსევდონონეს კრებულს*, არამედ თავად გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიებსაც იყენებდნენ. აქ განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს, რომლებშიც კონტექსტი და ლექსიკური თანხვედრები შუა საუკუნეების ტექსტებში *ფსევდონონეს კრებულის* უშუალო ზეგავლენაზე მიუთითებებს.

ანტიკურ სახეებს *ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარებიდან* ჩახრუხადის „თამარიანში“ ვხვდებით. ავტორის თქმით, თამარისადმი მიძღვნილ შესხმას ვერაფერს შემატებენ ძველი ფილოსოფოსები. მათი სახელების ჩამოთვლისას ავტორი ეყრდნობა მითოლოგიურ კომენტარებს, რაზეც, ფილოსოფოსების მოხსენიებისას, ამ ორ თხზულებას შორის ლექსიკური თანხვედრა მიუთითებს:

აპეტოსესგან მოპოვნებულ არს
ქუეყანის ზომა ქალდეველებად,
ვარსკულავთარიცხვა — ზოროასტროსგან,
ვერცა მათ ჰელ-ყვეს შენდა დარებად,
არისტოტელმან მეძიებელმან
თავი თუთ მისცა საძიებელად.

არისტოტელესთან დაკავშირებით „თამარიანში“ ავტორი გულისხმობს ნაკლებად ცნობილი ლეგენდას არისტოტელეს შესახებ, რომელიც *ფსევდონონეს კომენტარებში* დასტურდება: მას შემდეგ, რაც არისტოტელე ვერ ჩასწვდა ზღვის მიქცევა-მოქცევის საიდუმლოს, ზღვაში თავი დაიღრჩო — რადგან ვერ გამოიძია გამოსაძიებელი, თავად გახდა საძიებელი (ოთხმეზური 2002: 41-42).

ფსევდონონეს კრებულთან ასევე უშუალო კავშირშია ამავე სტროფში მოხსენიებული აპეტოსე და ზოროასტრო. აპეტოსე — ქალდეველი გეომეტრი — „თამარიანის“ ივ. ლოლაშვილისეულ გამოცემაში განმარტებულია, როგორც იაფეტი, ნოეს ძე (ლოლაშვილი 1957: 234). *ფსევდონონეს კომენტარებში* ვკითხულობთ: „პირველ ქალდეველთა მიერ მოპოვნებულ იქმნა ვარსკულავთმრიცხველობა და ქუეყანისმზომელობა — ვარსკულავთმრიცხველობა და უკუე ზოროასტროსგან, ხოლო ქუეყანისმზომელობა — აპლეთისგან.“ როგორც ვხედავთ, სწორედ ეს თხრობა წარმოადგენს „თამარიანის“ უშუალო წყაროს. ამ პასაჟის ბერძნულთან შედარების შედეგად გაირკვა, რომ საკუთარი სახელი „აპლეთი“ საერთოდ არ არის ბერძნულ ტექსტში. უბრალოდ ზედსართავი სახელი ἄπλετος — „ძალიან დიდი“, „უზარმაზარი“ — მიჩნეულია საკუთარ სახელად და უთარგმნელად არის დატოვებული ქართულ ტექსტში (ბერძნულშია: ἔκ τῶν ἀπλέτου τῆς γῆς — „ძალიან დიდი მიწისაგან“ ნიმო-სმიტი 1992: 138) ამგვარი აღრევის საფუძველზე *ფსევდონონეს კომენტარის* ქართულ თარგმანში გაჩნდა არარსებული პერსონაჟი, ქალდეველი

გეომეტრი აპლეტი (ოთხმეზური 2002:74), რომელმაც შემდგომ ქართული მითოლოგიური კრებულიდან „თამარიანში“ გადაინაცვლა.²

ფსევდონონეს კომენტართა კვალი შეინიშნება კლასიკური ხანის ისტორიოგრაფიაშიც. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დავითის, როგორც საუკეთესო მონადირის, წარმოსაჩენად ქართველ მეფეს უპირისპირებს სხვადასხვა ხალხთა ისტორიის, ეპოსისა თუ მითოსის ცნობილ გმირებს, რომლებმაც სახელი გაითქვეს მონადირეობით. ცნობილ მონადირეთა შორის დასახელებულია „აქილევი კენტავროსისგან განსწავლულად მოისრობისა ელენთა შორის“ (შანიძე 1992: 202). კენტავრისაგან ისრის ტყორცნაში განაფული აქილევის სახე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში აშკარად *მითოლოგიური კრებულიდან* არის გადასული (ოთხმეზური 2002: 249).

ფსევდონონეს კომენტართა კვალი დასტურდება აგრეთვე თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და აქაც მხატვრული ფუნქციით — თამარის საქმრო ისეთივე შესაფერისი უნდა იყოს თამარისათვის, როგორებიც არიან სხვადასხვა ხალხთა ეპოსისა თუ მითოსის გმირები თავიანთი სატრფოებისათვის. აღმოსავლური, ბიბლიური და ქართული ეპოსის მიჯნურთა წყვილების გვერდით დასახელებულია ორი წყვილი ანტიკური მითოლოგიიდან: „ვითარ პელოპი, მკნედ მებრძოლი — ჰიპოდამისთეს, ენომასის ასულისა, ვითარ პლატონ – პერსეფონისთეს“ (კეკელიძე 1941: 80, 33). ამ მხატვრულ სახეთა უშუალო წყარო *ფსევდონონეს კომენტარებია*, ოღონდ ციტირებისას ერთი უზუსტობა იჩენს თავს — ერთმანეთში არეულია ანტიკური ფილოსოფოსის, პლატონისა და ანტიკური ღვთაების, პლუტონის სახელები. ამავე თხზულებაში გიორგი III-ის, როგორც საუკეთესო მონადირის, წარმოსაჩენად გამოყენებულია არტემისის მხატვრული სახე *ფსევდონონეს კრებულიდან*: „არტემისა სახედ, რომელი ითქუმის მთაფოლო, რომელ არს ღმერთი მონადირე“ (კეკელიძე 1941: 56, 30-31). *ფსევდონონეს კომენტარებში* ვკითხულობთ: „ენოდების არტემის ღმერთი ელაფივოლო, ესე იგი არს ღმერთი ირმის მოისარი“. ფრაზა „ესე იგი არს ღმერთი ირმის მოისარი“ ეფრემისეული განმარტებითი ჩანართია, რომელშიც ქართველი მთარგმნელი განმარტავს ანტიკური ღვთაების ეპითეტს „ელაფივოლო“ — იძლევა ამ სიტყვის ეტიმოლოგიურ თარგმანს (ἔλαφος — ირემი, βίλη — ტყორცნა). შუა საუკუნეების ისტორიკოსის თხზულებაში „ელაფივოლოს“ დამახინჯებული ფორმა „მთაფოლო“ წყაროდან ამ სიტყვის არასწორი ამოკითხვის შედეგად არის გაჩენილი (კეკელიძე 1955: 40-41).

დღეისათვის ძნელი სათქმელია, რამდენად ქმნიდნენ მხატვრულ ეფექტს *ფსევდონონეს კრებულიდან* კლასიკური ეპოქის მწელობის ძეგლებში შესული მხატვრული სახეები — იშვიათი მითოური პერსონაჟები და მათი სახელების დამახინჯებული ფორმები — არცთუ მოხერხებული შედარება გიორგი III-სა ქალღმერთ

არტემისთან, თანაც დამახინჯებული ეპითეტით „მთაფოლო“, არარსებული პერსონაჟის, აპეტოსეს გამოჩენა „თამარიანში“, პლატონისა და პლუტონის აღრევა „ისტორიანსა და აზმანში“ და სხვ. ვფიქრობთ, კლასიკური ხანის ტექსტებში მათ გარკვეულ ბუნდოვანება შეჰქონდათ, თუმცა თხრობის გაბუნდოვანებაც, როგორც ცნობილია, მხატვრული ხერხი იყო შუა საუკუნეების მხატვრულ აზროვნებაში, რომელიც ამაღლებული, მაღალფარდოვანი, მნიგნობრული სტილის მახასიათებლად იყო მიჩნეული.

ფსევდონონეს მითოლოგიური კრებულის ადგილი და როლი ძველ ქართულ მწერლობაში მხოლოდ ამ თხზულების კვალის წარმოჩენით არ იფარგლება. ეს წიგნი, სავე სათავგადასავლო, სატრფიალო და საგმირო ხასიათის სიუჟეტებით, ახალ თვალსაწიერს უხსნიდა ქართველ მკითხველს და გარკვეულ პირობას, საფუძველს ქმნიდა ქართული მწერლობის ახალი, საერო მიმართულების განვითარებისათვის.

გვიანდელ ეტაპზე, უკვე XVIII საუკუნეში, კიდევ ორჯერ ჩნდება ეს კრებული ქართულ მწერლობაში — რუსული ენიდან ნათარგმნ დავით ბატონიშვილის მითოლოგიურ ლექსიკონსა და სულხან-საბას ლექსიკონში. ეს უკვე ის ეპოქაა, როდესაც კულტურა და განათლება რუსეთის გზით, ჩრდილოეთიდან, შემოდის საქართველოში, თუმცა ძველი, დასავლური (ვგულისხმობთ, ბიზანტიას) ტრადიცია აქაც თავისდაუნებურად და თავისებურად იჩენს თავს. დავით ბატონიშვილის მითოლოგიური ლექსიკონის კვლევამ აჩვენა, რომ არაერთი თხრობა *ფსევდონონეს კრებულის* ეფრემისეული თარგმანიდან პირდაპირ არის გადასული ამ თხზულებაში (ასათიანი 1987, ოთხმეზური 2002). აქაც ანტიკური მითოლოგიის სახეები მხატვრული ფუნქციით არის საინტერესო დავით ბატონიშვილისა და მისი მკითხველისთვის. ბატონიშვილის მიხედვით, მისი ნაშრომი შედგენილია „წიგნთა და სტიხთა“ დასატკობად, იმ მიზნით, რომ ქართველმა მწერლებმა რუს და ევროპელ მწერალთა მსგავსად ანტიკური სახეებით შეამკონ თავიანთი ნაწერები. ხოლო სულხან-საბასთან თავს იჩენს ეფრემისეული სამეცნიერო-საგანმანათლებლო დამოკიდებულება *ფსევდონონეს მითოლოგიური კრებულის* მიმართ. სულხან-საბას ამ კრებულიდან ამოკრებილი აქვს ენციკლოპედიური ხასიათის ინფორმაცია, როგორცაა მცენარეთა, ცხოველთა აღწერა, გეოგრაფიულ ტერმინთა განმარტებები და მისთ. და ჩართული აქვს ისინი თავის ლექსიკონში (მაგალითად, ასფოდელოსის, სალამანდრას, პითიას, ელუსიონის, ლაბირინთის და სხვა განმარტებები).

ნიშანდობლივია ისიც, რომ XIX საუკუნეში, ამ კრებულის ქართულად თარგმნიდან რვა საუკუნის შემდეგაც, მიუხედავად მისი სხვადასხვა დანიშნულებით არაერთგზისი გააზრებისა და გამოყენებისა, ქართველი მკითხველის წარმოდგენაში მაინც ცოცხალია ექვთიმესეული კრიტიკული დამოკიდებულება ამ თხზულებისა და ზოგადად, ანტიკურობის მიმართ. ერთ-ერთ XIX

საუკუნის მინანერში ვკითხვლობთ: „რაოდენ ბნელი სწორავს თუალსა მზისასა, ეგოდენ სიბრძნე გარეშეთა — ჩუენთასა. ვითარ ბელიარ მიემსგავსების მკსნელსა, ეგრე ომიროს — ღმრთისმეტყუელსა გრიგოლის (cod. S-2581, 3v).

დამონებანი:

- აბულაძე 1941:** აბულაძე ი. ელინთა ზღაპრობანი. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის მოამბე, 10, 1941.
- ასათიანი 1987:** ასათიანი ვ. ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.
- ბეზარაშვილი 2004:** ბეზარაშვილი ქ. რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 2004.
- ბეზარაშვილი ... 2007:** ბეზარაშვილი ქ. ოთხმეზური თ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებისა და მათი კომენტარების კვლევა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ბიზანტინოლოგია საქართველოში, მახარაძე ნ. დოლიძე თ. (გამომცემლები), 2007.
- ბრეგაძე 1988:** ბრეგაძე თ. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988.
- ბროკი 1971:** Brock S. The Syriac Version of the Pseudo-Nonnos Mythological Scholia. Cambridge: University of Cambridge Oriental Publications, 1971.
- გამყრელიძე ... 1989:** გამყრელიძე ა. ოთხმეზური თ. (გამომცემლები), ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989.
- გინე 1911:** Guignet M. St.Grégoire de Nazinaze et la rhétorique. Paris : A. Picard, 1911.
- გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები 2004:** Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica IV, Oratio, XLIII, ed. a B. Coulie, H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, N. Melikichvili, Th. Othkhmezouri, M. Raphava (Corpus Christianorum. Series Graeca, 52. Corpus Nazianzenum, 17), Turnhout-Leuven: Brepols publishers, 2004.
- ინგოროყვა 1938:** ინგოროყვა პ. რუსთველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული 750, ტფ.: სახელგამი, 1938.
- კეკელიძე 1941:** კეკელიძე კ. (გამომცემელი), ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, თბ.: 1941.
- კეკელიძე 1955:** კეკელიძე კ. არტემი მთაფოლო. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ.: სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1955.
- ლოლაშვილი 1957:** ლოლაშვილი ივ. (გამომცემელი), ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისი. ძველი ქართველი მეზობტენი I. თბ.: 1957.
- მანანდიანი 1902:** Manandian A. Die Scholien zu fünf Reden des Gregor von Nazianz. Zeitschrift für Armenische Philologie I, 1902.
- ნიმო-სმიტი 1992:** Nimmo-Smith J. (ed.), Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, colationibus versionum Syriacum a S. Brock, versionisque Armeniaca a B. Coulie additis (Corpus Christianorum. Series Graeca, 27. Corpus Naizanzenum, 2), Turnhout-Leuven: Brepols publishers, 1992.
- ოთხმეზური 1997:** ოთხმეზური თ. ეფრემ მცირის ავტოგრაფული ნუსხის, შ-1276-ის, ერთი მთარგმნელისეული სქოლიოს შესახებ. ი. ჯავახიშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბ.: 1997.

ოთხმეზური 2002: Otkhmezouri Th. (ed.), Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio Iberica, (Corpus Christianorum, Series Graeca, 50. Corpus Nazianzenum, 16), Turnhout-Leuven: Brepols publishers, 2002.

შანიძე 1992: შანიძე მ. (გამომცემელი), ცხორებაი მეფეთ-მეფისა დავითისი. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1992.

შენიშვნები:

1. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებისა და მათი კომენტარების ქართული თარგმანების პუბლიკაცია ხორციელდება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთა მიერ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, ბელგიაში, ბრეპოლსის გამომცემლობაში, სერით Corpus Christianorum. Series Graeca, Corpus Nazianzenum, Versio Iberica. 1998 წლიდან მოყოლებული დღემდე გამოიცა ექვსი ტომი. სამომავლოდ დაგეგმილია კიდევ რამდენიმე ტომის გამოცემა. დეტალურად ამის შესახებ იხ. ბეზარაშვილი ... 2007: 39-59.

2. ამგვარი აღრევები არცთუ იშვიათია *ფსევდონონეს კომენტართა* ეფრემისეულ თარგმანში. მაგალითად, სიტყვა $\alpha\upsilon\tau\eta\ \eta\mu\epsilon\rho\iota\varsigma$ „მოელი დღე“ გაგებულია, როგორც საკუთარი სახელი, რის შედეგადაც ქართულ თარგმანში გაჩენილია არარსებული რომელი ფილოსოფოსი *პანიმირი*. ასევე გაჩნდნენ ქართულ ტექსტში ჰერაკლეს თანაშემწენი *აპილოსი* და *მელანპილოსი*, სინამდვილეში პირითოსისა და ჰერაკლეს ეპითეტები. ზოგ შემთხვევაში ბერძნულ წყაროში მოხსენიებული საკუთარი სახელები ეფრემის მიერ მეტყველების სხვადასხვა ნაწილებად — არსებით სახელებად, ზმნებად არის მიჩნეული. მაგალითად, ქართულ თარგმანში ვერ ვხვდებით საკუთარ სახელებს: ეხეტოსი, პოლესი, გეოგრაფიულ სახელებს: ლემნოსი, ეპიროსი და ა. შ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, *ფსევდონონეს კრებული* შეიცავდა ძალიან სპეციფიკურ, ნაკლებად ცნობილ ინფორმაციას ანტიკურობიდან, რაც, ცხადია, ზოგ შემთხვევაში უცხო და ბუნდოვანი შეიძლება ყოფილიყო XI საუკუნის მნიგნობრისათვის. ბერძნულ ხელნაწერებშიც შეინიშნება ამ სახელთა დამახინჯებული ფორმები; მსგავს შეცდომებს უშვებენ სირიელი და სომეხი მთარგმნელებიც. ეფრემის ერთ-ერთი კოლოფონი გვანვდის საინტერესო ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ თხზულების მითოლოგიური პასაჟის თარგმნისას ქართველი მნიგნობარი კონსულტაციისათვის ანტიოქიის პატრიარქსაც კი მიმართავდა. იოანე დამასკელის თხზულების „სიტყუარშ სატფურებისათხს იზრუსალემისა“ თარგმნისას ეფრემი ვერ გაერკვა ერთ პასაჟში, სადაც მინიშნება იყო ჰერაკლეზე, კერძოდ, მისი მეცხრე გამირობის ერთ-ერთ უიშვიათეს ეპიზოდზე — ჰერაკლეს ჩასვლა ვეშაპის მუცელში მეფე ლეოზადონის ასულის გადასარჩენად და შიგთავის სიმზურვალისაგან თმის გაცვენა. ამ პასაჟის გაგებაში ეფრემს დაეხმარა ანტიოქიის პატრიარქი, იოანე V ოქსიტესი, და საკმაოდ დეტალური ინფორმაციაც მიანოდა ეფრემს — დაუსახელა ამ მხატვრული სახის წყარო, ლიკოფრონის პოემა *ალექსანდრას* კომენტარები (ოთხმეზური 1997: 78-80).

В.И. ОЦХЕЛИ

Грузия, Кутаиси

**Реминисценции из поэмы Адама Мицкевича
«Конрад Валленрод» в повести
Уиараго «Мамелюк»**

Период конца XIX -начала XX века был временем значительного расцвета в истории польской и грузинской литературы. Характер литературного развития, по справедливому замечанию польских и грузинских литературоведов, во многом определялся своеобразием исторической обстановки, сложившейся на землях Польши и Грузии, утративших в конце XVIII века государственную независимость и входивших на тот момент в состав Российской империи. Это, прежде всего, подъем патриотических настроений и рост национально-освободительного движения, набиравшего силы в преддверии буржуазно-демократической революции.

Усиление национально-освободительных тенденций в жизни польского и грузинского народов, вызванное усилившейся политикой русификации на территории Польши и Грузии, определило поворот литературы к национальной проблематике, привело многих художников слова к изображению героического прошлого своего народа, таких эпизодов из истории нации, которые могли напомнить современникам о былой мощи их страны, о ее боевой славе и одновременно служить материалом для поучительных параллелей и аналогий с современной национальной проблематикой. Это «Огнем и мечом», «Потоп», «Пан Володыевский» (1883-1886), «Крестоносцы» (1900) Г.Сенкевича, «Фараон» (1895) Б.Пруса, «Пепел» (1904) С.Жеромского, «Казимеж Великий» (1900), «Болеслав Смелый» (1902) С.Выспяньского, «Год 1794» (1911) В.Реймонта; «Натела» (1900) А.Церетели, «Заря Исани» (1901), «Потухший огонь» (1913) В.Барнова, «Восстание в Гурии» (1902) Э.Ниношвили, «Мамелюк» (1912) Уиараго и др.

Глубокое внутреннее сопротивление национальному гнету, память о национально-освободительных восстаниях, жившая в памяти польского и грузинского общества, способствовали возрождению романтических традиций в литературе, влиянию великих романтиков, творчество которых было исполнено непримиримого бунтарства и жертвенного подвига. Под влиянием романтических традиций в литературе меняется историческое содержание, система художественных образов, принцип построения главного персонажа и др.

Именно в это время революционно-романтическая поэзия Адама Мицкевича становится центром притяжения для славянских и европейских литератур, достигает пика своей популярности. Мицкевича

сравнивают с Гете и с Байроном, называют гением общеславянского и мирового масштаба. Так, философ и поэт Владимир Соловьев считал, что только ради Мицкевича стоит выучить польский язык, а грузинский поэт и драматург Георгий Эристави из любви к поэзии Мицкевича овладел польским языком и стал одним из первых переводчиков его «Крымских сонетов» на грузинский язык, способствуя тем самым введению жанра сонета в грузинскую литературу.

О широкой популярности творчества Адама Мицкевича в Грузии первой половины XIX века, о грузинских переводах его поэзии и ее влиянии на грузинских писателей уже писали исследователи польско-грузинских литературных связей.

В Грузии конца XIX-начала XX века вновь возникает интерес к поэзии автора «Пана Тадеуша». Имя польского поэта часто встречается на страницах грузинской периодики того времени. Так, в 1893 году в журнале «Квали» была опубликована статья писателя, публициста и известного общественного деятеля Грузии Георгия Церетели, посвященная Мицкевичу и композитору Игнацию Падеревскому, популярному исполнителю сочинений Фридерика Шопена. Эта статья долгое время не обращала на себя внимание исследователей, в то время как она представляет несомненный интерес для изучения польско-грузинских литературных связей. Восхищаясь блестящей музыкой Падеревского, Церетели останавливает свое внимание на том, что лучшие произведения композитора созданы на стихи Адама Мицкевича, с которым «...как поэтом, в наш век никто не может сравниться ... Он воспел историческую эпоху Польши, - подчеркивает Церетели, - соединил и связал рожденных на одной земле одним чувством – любовью к родине...» В заключение статьи даны переводы двух стихотворений Мицкевича, выполненные Г. Церетели – «Когда б я лентой стал» и «Текут мои слезы» (ნერეთელი 1893: 18-19).

Газета «Цнобис пурцели» за 1897 год сообщала читателям, что Польша готовится к празднованию 100-летнего юбилея со дня рождения своего любимого поэта, поэзия которого давно стала составной частью грузинской культуры (ცნობის ფურცელი 1897: 2).

Газета «Иверия», редактором которой был Илья Чавчавадзе, в 1898 году опубликовала большую статью, посвященную польскому поэту, в которой кроме биографических сведений был дан обзор его творческого пути (ივერია 1898: 1-4).

Составители «Грузинского календаря на 1903 год» включили в него некоторые сведения о творческой биографии Мицкевича, подчеркивая тем самым его популярность в Грузии.

Из поэтического наследия Адама Мицкевича особое место в грузинской литературе того времени принадлежит романтической поэме «Конрад Валленрод» (1828), названной в подзаголовке «Историческая повесть». Поэма посвящена борьбе литовцев с Тевтонским орденом во II-

ой половине XIV века. Ее герой – литовский патриот обманом проникает в Орден с целью уничтожить его могущество и освободить родину от его владычества. Сюжет поэмы во многом отвечал потребностям грузинской литературы, ориентированной на национально-патриотическую тематику и романтические традиции. Таким образом уже в недрах самой грузинской литературы была подготовлена почва для восприятия произведения польского поэта, что еще раз, на новом материале, подтверждает правильность теории «встречного течения», введенной в сравнительное литературоведение академиком А.В.Веселовским.

В грузинском литературоведении уже говорилось о влиянии поэмы «Конрад Валленрод» на историческую поэму Акакия Церетели «Баграт Великий» (1875) (Оцхели 2003), а в недавнем времени в печати появился материал о реминисценциях из нее в лучшем прозаическом произведении Церетели – исторической повести «Баши-Ачуки» (Осчели 2007). Настоящая работа продолжает развитие темы о значении поэмы Мицкевича «Конрад Валленрод» для грузинской литературы.

Как известно, место каждой национальной литературы в мировом литературном процессе прежде всего зависит от ведущих писателей, которые олицетворяют характерные черты литературной школы или направления. Писатели второго плана часто остаются в тени, вне поля зрения, хотя не в меньшей степени украшают национальную литературу, способствуют ее известности и признанию. С контактно-генетической точки зрения творчество таких писателей часто более показательно, «...потому что они, - констатирует словацкий компаративист Д.Дюришин, - осуществляют преемственность межлитературных ценностей более прямолинейно. В их художественной манере более непосредственно проявляются характерные черты общих тенденций развития литературы, общепризнанные на данном этапе литературные нормы, благодаря чему эти писатели пользуются большей популярностью у читателей» (Дюришин 1979: 212). Это положение в полной мере соответствует примеру, на котором мы хотим остановить ваше внимание.

В 1912 году в журнале «Грдемли» была опубликована историческая повесть «Мамелюк» мало известного к тому времени очеркиста Кондратия Татарашвили. Повесть «Мамелюк» Татарашвили подписал псевдонимом Уиараго. Именно под этим именем вошел он в большую литературу и, главным образом, благодаря повести «Мамелюк», которой суждено было стать жемчужиной не только его литературного наследия, но и украшением всей грузинской литературы первой половины XX века.

Мы берем на себя смелость выдвинуть гипотезу о том, что в повести «Мамелюк» отчетливо слышны мотивы из поэмы А.Мицкевича «Конрад Валленрод», которая, что было отмечено выше, оказала значительное влияние на творчество А.Церетели.

Кондратий Татарашвили, сын приходского священника, после окончания приходской школы в селе Абастумани (Зугдидский район),

продолжая семейную традицию, поступил в духовное училище г.Зугдиди, а затем в Тифлисскую духовную семинарию. В 1893 году будущего автора повести «Мамелюк» за участие в студенческой забастовке отчислили из семинарии и он вынужден был перевестись в Киевскую духовную семинарию.

После ее окончания Татарашвили вернулся в родное село, открыл там приходскую школу, а позже переехал в Тбилиси, где в течение нескольких лет исполнял должность священнослужителя. Активное участие в революционных событиях 1905 года резко изменило его судьбу. Спасаясь от гнева экзарха Грузии, Татарашвили эмигрирует в Европу, найдя убежище в Бельгии. Там он закончил отделение геологии Брюссельского университета и только в 1922 году вернулся на родину, где до конца своих дней читал лекции по геологии в Тбилиском государственном университете и заведовал там кабинетом геологии.

Первые литературные опыты Татарашвили относятся ко второй половине 90-х гг. XIX века, т.е. к периоду его возвращения из Киева. Это были очерки, рассказы, новеллы, которые он создавал, по мнению исследователей его творчества, под влиянием грузинской реалистической школы – Ильи Чавчавадзе, Акакия Церетели, Георгия Церетели и др. (ჯობღაძე 1982: 433). Нельзя, как нам представляется, исключать возможности определенного воздействия на Татарашвили и творчества славянских писателей. Больше года провел он в Киеве и вполне естественно, что молодой человек, обладающий литературными наклонностями, мог сблизиться там с представителями украинской литературной среды. Творческая атмосфера Киева в 90-е годы XIX века была насыщена революционным духом польской поэзии, где Адаму Мицкевичу принадлежало особое место. Образ польского поэта-изгнанника, беззаветно служившего своему народу, отождествлялся в восприятии многих славянских поэтов с высоким призванием поэзии, ее значением, ролью и местом в жизни общества. Заметный след оставил Мицкевич в творческом наследии многих украинских писателей – Тараса Шевченко, Петра Гулака-Артемовского, Льва Боровиковского, Леси Украинки, Михаила Коцюбинского и др. Как утверждают исследователи украинско-польских литературных связей, в сознании многих украинских поэтов и писателей Мицкевич был «...духотворенным символом священной поэзии, выражающим человеческую сущность в Вечном, обладающим умением спланивать культуры и народы любовью к отечеству» (Бялокозович 1985: 230). (Аналогичная мысль, что было отмечено выше, уже была высказана и Г.Церетели в статье, посвященной Мицкевичу и Падеревскому).

Знакомство Татарашвили с поэмой Мицкевича «Конрад Валленрод» могло, как представляется, идти двумя путями: через творчество его любимого поэта Акакия Церетели, который в биографической повести «Пережитое», опубликованной в середине 90-х годов, писал о влиянии на

него поэмы Мицкевича «Конрад Валленрод»; и через непосредственное знакомство с поэмой польского поэта в русских переводах, широко распространенных в киевских литературных кругах.

Сравнительный анализ повести «Мамелюк» и поэмы «Конрад Валленрод» дает основание говорить о значительной близости этих произведений.

По признанию Мицкевича, поэма «Конрад Валленрод» объединяет в себе замысел двух произведений, ибо первоначально он предполагал написать две поэмы. Отсюда в «Конраде Валленроде» две сюжетные линии – любовь Конрада и Альдоны – дочери литовского князя Кейстута и борьба Конрада против Тевтонского Ордена. В отличие от Мицкевича, повесть Уиараго тяготеет к одной сюжетной линии. В его произведении отсутствует любовная линия. Это по-своему обедняет творение грузинского автора, но, с другой стороны, позволяет читателю сконцентрироваться только на национально- патриотической идее и на образе центрального героя.

И поэма Мицкевича и повесть Уиараго начинаются вступлением, где определяется время действия и обозначены действующие силы, которые должны прийти в столкновение. В поэме Мицкевича читаем:

Сто лет прошло, как нечестивцев кровью
Крест рыцарского ордена умылся...
Стал Неман рубежом Литвы с врагами:
С литовской стороны леса шумели,
Где алтари курились пред богами;
С другой, своей вершиной в небо целя,
Крест, символ немцев, плечи грозно ширил,
Как бы стремясь все земли Палеона
Пригнуть под власть немецкого закона...

(Мицкевич 1955: 321).

Таким образом, уже в начале поэмы польский поэт конкретизирует и время действия (XIV век) и указывает на противостоящие силы – Литва и ее самый грозный враг – Орден крестоносцев, жестокий и воинственный завоеватель.

Уиараго в повести «Мамелюк» также обращается к далекому прошлому Грузии, к событиям 150-летней давности от описываемых в повести событий, т.е. к XVII веку. Он изображает местность, где бурная река Техури, также как в поэме Мицкевича река Неман, разделяет родственные народы на два лагеря: с одной стороны, Имеретия, успешно борющаяся с мусульманским Востоком за сохранение христианства, - с другой, Кахетия, насильственно омусульманенная, но продолжающая внутренне противостоять своим врагам.

Красивых девушек, сильных юношей и мальчиков христиан часто похищали из Кахетии и продавали в рабство – в Турцию, Иран. Египет.

Девушки заполняли гаремы шахов, султанов, богатых ханов, юноши пополняли отряды регулярной мусульманской армии, в которой грузинские и черкесские воины считались самыми отважными и сильными.

Трагическая судьба такого похищенного, проданного паше и ставшего впоследствии прославленным воином, грузинского мальчика составляет содержание повести Уиараго. Сюжетную канву поэмы Мицкевича составляет судьба захваченного в плен крестоносцами литовского мальчика, ставшего впоследствии Магистром ордена. «Случалось нередко, что пруссы и литовцы, детьми похищенные и воспитанные среди немцев, - пишет Мицкевич в предисловии к поэме, - возвращались на родину и становились самыми ожесточенными врагами немцев».

Воссоздавая страницы далекой и печальной истории своего народа, Мицкевич создает образ пламенного патриота, жертвующего жизнью ради спасения своего отечества. При этом поэт достигает такой художественной высоты и силы патриотического звучания, что поэма оказала огромное воздействие не только на польскую патриотически настроенную молодежь, для которой главный герой стал выразителем национально-освободительной идеи, но и на представителей других наций, народы которых утратили национальную независимость и стремились к ее восстановлению. Не удивительно, что Татарашвили-Уиараго, с юности принимавший участие в национально-освободительном движении, описывая трагическую историю своего народа, попадает под влияние поэтического гения польского поэта-патриота.

Хвичо, так звали в Грузии героя повести «Мамелюк», 7-8-летним ребенком был похищен работником и продан в Стамбуле на невольничьем рынке. После долгих мытарств он попал в Египет в конную армию мамелюков (мамелюк – в переводе с арабского значит «купленный невольник»). Мамелюки, как известно, были рассеяны по всему Египту и на протяжении XIII-XVII веков пользовались там неограниченными правами, занимая высокие военные должности. Хвичо получил в Египте имя Махмуд и под этим именем, благодаря исключительным физическим данным, выносливости и смелости, стал прославленным воином армии мамелюков. Герой поэмы Мицкевича был похищен крестоносцами малолетним ребенком и не помнил имени, полученного им в Литве при рождении. Крестоносцы дали ему имя Вальтер-Альфа, а имя Конрад Валленрод он присвоил себе впоследствии сам. Под этим именем Вальтер-Альфа прославил своим мужеством Орден крестоносцев.

Путь героев к кульминационному моменту в жизни и ее трагической развязке начинается с избрания их на важную воинскую должность. Этот момент изображен обоими авторами с удивительной схожестью использованных ими художественных и лексических средств. Исследуя проблему литературного влияния, А.В.Федоров отмечает, что «В

тех случаях, когда нет авторских признаний об использованных ими влияниях, об их так называемых «вдохновителях», следует подчеркнуть важность стилистических сопоставлений, стилистического анализа, как одного из путей к установлению литературных связей» (Федоров 1961:302). Сопоставление художественных средств, использованных при создании поэмы Мицкевича и повести Уиараго еще раз доказывает наличие конкретных связей между произведениями польского и грузинского писателей.

Так Мицкевич, описывая избрание крестоносцами Конрада Валленрода Магистром Ордена, чрезвычайно важной акции в его жизни, создает атмосферу особой напряженности, ответственности и важности:

С Мариенбургской башни звон раздался,
Гром пушек в барабанный бой вмешался;
Великий день для Ордена святого
В столицу рыцари спешат из дому...
Решать – на чьей груди кресту большому
Возлечь и меч большой кому на латы.

(Мицкевич 1955: 323).

Уиараго в своей повести практически повторяет нарисованную Мицкевичем картину. Описывая момент избрания Махмуда предводителем конной гвардии мамелюков, грузинский писатель использует такие стилевые средства, которые сближают его повесть с произведением польского поэта: «На восточной окраине города Каира, на голом склоне хребта Мокотам, гордо высится крепость Саладина с высокими башнями и толстыми стенами,-пишет Уиараго. Однажды площадь перед крепостью заполнилась народом... Собрались самые прославленные представители мамелюков со всех областей Египта... Мамелюки ходили по площади, собирались группами и спорили... Было ясно, что предстояло разрешить какой-то весьма важный вопрос. И вот на одной из башен крепости взвился стяг. Его поднимали только в исключительных случаях» (უიარაგო 1989:11).

Стилевые аналогии встречаем также при перечислении героических подвигов Конрада и Махмуда, поступков которые дают право избрать их на важную воинскую должность:

Он – чужестранец, - пишет Мицкевич о Конраде, - в Пруссии
известный,

Прославил Орден славой повсеместной:
Он мавров разгромил в горах Кастильи,
Он оттоманов одолел на море,
Язычники пред ним в испуге стыли.
Он первым был всегда в военном споре
И первым на турнирах был, готовый

Перед соперником открыть забрало,
И рыцарская доблесть отступала
Пред ним, ему отдав венки лавровый.
(Мицкевич 1955: 323-330).

Так славят рыцари Конрада, избирая его Магистром Ордена. И мамелюки видят в Махмуде достойнейшего среди них.. «Он был первым, - говорят они о нем, - когда чернокожие племена в союзе с гомарами решили померяться силами с мамелюками –первым взобрался на стену крепости Сиута, а другие воины последовали за ним и взяли крепость; когда мамелюки сражались у Ассуана, а чернокожие, как саранча, налетели на них, именно Махмуд клинком врезался во вражеское скопище, поднял тем самым боевой дух мамелюков и они победили. Когда отряд мамелюков у развалин Фив был окружен албарскими племенами и мамелюки, не решаясь атаковать врага, готовы были сложить оружие, Махмуд поднял на дыбы коня и с боевым кличем ринулся на вождя готентотов, отрубил ему голову, привел врага в смятение и победил» (ჯობაძე 1989:108-112). Радостным кликам не было конца, когда Махмуд был провозглашен предводителем конной гвардии.

Следуя романтической традиции грузинской и европейской литературы, опираясь на опыт автора «Конрада Валленрода», Уиараго создает образ, сущность трагедии которого заключена в одиночестве. Махмуд одинок, как одинок и Конрад, именно поэтому они обречены на гибель. Конрад жертвует собой во имя свободы своего отечества: став Магистром Ордена он действует по заранее обдуманному плану - возглавляет поход крестоносцев на Литву, предупреждает своих соотечественников о наступлении врага и наносит тем самым могуществу Ордена сокрушительный удар. Раскрыв тайну Конрада, крестоносцы приговаривают его к смерти.

У Махмуда, в отличие от Конрада, не было заранее составленного и продуманного плана мести. Внешне он был вполне доволен своей участью и казалось забыл о прошлом: о родине, родителях, похищении, мытарствах на чужбине. Но неожиданно все меняется. В Каир приходит известие о нашествии армии Наполеона. Мамелюки и конница под предводительством Махмуда готовятся к бою. Во время сражения с гвардией венецианцев, одной из частей армии Наполеона, Махмуд неожиданно услышал из уст смертельно раненного им «венецианца» слова, столь родные и близкие ему с детства: «Вай, нана!» Он оторопел! Его сознание прояснилось. Он понял, что жертвой его клинка стал грузин, с такой же трагической, как у него, судьбой, грузин, а не венецианец, вынужденный проливать свою кровь за чужие интересы. Махмуд вспомнил детство, родной дом, родителей, братьев. Вспомнил сколько пролил слез, тоскуя о родине, покрытым лесами горам и текущей среди них гулкой Техуре. С этого момента он перестал быть мамелюком. « - К

черту...пророка и ... аллаха!...Где же они? Беззаконие – вот аллах всего земного, а насилие – его пророк! - закричал Махмуд-бей. – К черту ваш ислам и вашу клятву» (უიარაღო 1989:467). Махмуд отрекся от принятого в неволе ислама и клятвы, данной мамелюкам и, как Конрад, своим бездействием во время боя привел воинство мамелюков к поражению. За это он поплатился жизнью. Его как изменника убили мамелюки.

И Конрад и Махмуд погибли как «изменники», но каждый, кто читает повесть о их трагической жизни и гибели понимает – это был подвиг во имя родины, это была великая жертва во имя любви к ней.

В секретном рапорте сенатора Новосильцева, составленного с целью возбудить дело о политическом преследовании Мицкевича, было сказано, что политическая цель поэмы «Конрад Валленрод» «...состоит в стремлении согреть угасающий патриотизм...» (Горский 1955:119). Если учесть, какое воздействие поэма Мицкевича оказала на грузинских патриотов, то следует признать, что Новосильцев был, бесспорно, прав.

Проведенное исследование дает основание утверждать, что оставшееся в течение долгого времени неизвестным за пределами своего языка творчество Уиараго было связано с мировым литературным процессом не в меньшей степени, чем творчество писателей более широкой мировой славы. Таким образом, результаты настоящего исследования подтверждают непререкаемую силу объективных закономерностей мирового литературного процесса, действующих на всем пространстве истории.

Литература:

- Бялокозович 1985:** Бялокозович Б. Мицкевич в восточнославянских литературах// Славянские литературы и мировой литературный процесс. Минск: 1985.
- Горский 1955:** Цит.по: Горский И.К. Адам Мицкевич. М.: 1955.
- Дюришин 1979:** Дюришин Д. Теория сравнительного изучения литературы. М.:1979.
- ივერია 1898:** ივერია, 1898, 24 დეკემბერი.
- Мицкевич 1955:** Мицкевич А. Конрад Валленрод// Адам Мицкевич. Избранные произведения в 2-х томах. Том 1 . М.: 1955.
- Оцхели 2003:** Оцхели В.И. «Конрад Валленрод» Мицкевича в Грузии//Студия Полонороссика.М.: 2003.
- Occheli 2007:** Occheli Wiera. Reminiscencje poezji Mickiewicza w prozie Akakiego Ceretelego // Slavia Occidentalis.Tom 64. Poznan: 2007.
- უიარაღო 1989:** უიარაღო. მამელუკი. თბ.: 1989.
- Федоров 1961:** Федоров А.В. К вопросу о литературном влиянии// Взаимосвязи и взаимодействие национальных литератур. М.: 1961.
- ცნობის ფურცელი 1897:** ცნობის ფურცელი.1897.
- წერეთელი 1893:** წერეთელი გ. მიცკევიჩი და პადერესკი // კვალი. 1893, № 49.
- ჯიბლაძე 1982:** ჯიბლაძე გ. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ.V. თბ.: 1982.

თამარ პანიჭაძე

საქართველო, თბილისი

ფსიქიკის რევოლუციიდან — ფუტურისტულ ღამეებამდე

„დააგდე კლასიკა თანამედროვეობის გემთან“ — ამგვარი ექსცენტრულ-ეპატაჟური მონოდებებით გამოჩნდნენ ფუტურისტები ავანგარდისტული ხელოვნების ავანსცენაზე, „სიტყვა სიახლეზე“, „ჩახლართულ, განთავისუფლებულ სიტყვებზე“ იმთავითვე იქცა ფუტურისტული იდეოლოგიის დემონსტრირების საშუალებად.

ავანგარდისტული მოდულაციის პირველი ეტაპი, ფსიქიკის რევოლუცია ლიტერატურაში, გადატრიალება „მოდერნი“-ის კანონიკაში- დღესღობით ამგვარად ფასდება ფუტურისტულიმსოფლმხედველობა ინტერკულტურულ სივრცეში. ფუტურისტული სიახლეების დემონსტრირების ექო 900-იანი წლების დასაწყისიდან მრავალი ათწლეულების განმავლობაში გაჰყვა ახალი თაობისაგან „სამრეწველო საუკუნედ“ სახელდებულ ახალ ეპოქას; სწორედ მისი დადგომით ამართლებდნენ თავიანთ მოსვლას ხელოვნებაში ფუტურისტები, რამეთუ ახალი დროის გამოწვევა ახალი სახეებსა და გამოსახვის ახალი ფორმების ძიებად მიიჩნეოდა.

ისევე როგორც სხვა ულტრამოდერნისტული გამოხატულებანი, ფუტურიზმიც საფუძვლებრივად უნდა მივიჩნიოთ, როგორც გარკვეულწილი პროტესტი ან მცდელობა პროტესტისა, რომელიც არა მხოლოდ ყოველივე კლასიკურისა და მონესრიგებულის ანტაგონისტურ დაპირისპირებას წარმოადგენდა, არამედ საზოგადოებრივი მორალისა და იდეალის ეთნიკურ-ესთეტიკურ ნორმების ანტითეზად წარმოდგებოდა.

1905-1907 წლებში იტალიასა და საფრანგეთში ერთდროულად იფეთქა შემოქმედებითი ესთეტიზმის, ფილოსოფიური ანალიტიკის, სიმბოლისტური მისტიკის, კლასიკური დისკურსის და რეალისტური მსაჯულებების ანტითეზამ და მსოფლიო არტელიტა ახალი, მწარე შემოქმედებითი და რეალისტური ფიქრების საზიარებლად იხმო. ფუტურიზმმა, კუბიზმის მსგავსად, უპირველესად თავი მიმდინარე კულტუროლოგიური პროცესებისადმი შეურიგებელი ოპოზიციით იჩინა. ეს იყო მიმდინარეობა აკადემიური მითოლოგიზმისა და თხრობითი სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ, იმპრესიონიზმისა და სიმბოლოების წინააღმდეგ. „მხატვრულ პრაგმატიკაში ახალი ფორმების ძიება სამყაროს წარმოსახვისათვის“ — ამ მიზნის გადასაწყვეტად სუფთა ემპირიული გამოცდილება ეცოტავებოდათ მომავალ ფუტურისტებს, რადგან მათი აზრით, მის შესავსებად დინამიკური და ტექნიკური საუკუნის არსის აღქმა იყო საჭირო: „ახალი რეალზმის“ დამკვიდრება და არა შეცნობა და ასახვა.

სხვა მიმდინარეობისაგან განსხვავებით (მაგ. კუზიზმი) ფუტურისზმის თეორიული გაფორმება რიგი მხატვრულ-პრაქტიკული ექსპერიმენტების შედეგად კი არ მომხდარა, არამედ ეგაზოლოგიური ფორმით, დეკლარაციებითა და მანიფესტებით; ამდენად, ის იმთავითვე არა მხოლოდ ახალი გამომსახველობითი მიმართულების გამხატველად იქცა, არამედ აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდევრობიდაც, რომლის არსი ზოგჯერ არცთუ ჰუმანური იდეების პროპაგანდაც იყო, (მაგალითისათვის შეიძლება იტალიაში ანტისემიტისმის აშკარა გამოვლინებანი და ე.წ. სოციალური უპირატესობის თეორიები მოვიშველიოთ.)

განსაკუთრებული შემოქმედებითი კულტივაცია ფუტურისტულმა ფილოსოფიამ იტალიაში განიცადა, თავისი არცთუ ხანმოკლე (50-იანი წლების დამდეგამდე) ისტორიის მანძილზე ფუტურისზმის იტალიელმა რეფორმატორებმა ფილიპო მარინეტიმ, უმბერტო ბაჩონიმ, ჯაკომო ბალამ, ჯინო სევერინიმ და კარლო კარამ ასამდე მანიფესტი გამოაქვეყნეს. რომის, მილანის, ტურინის, ვენეციის, პადუის და ნეაპოლის პერფომანსებმა საერთო ევროპული რეზონანსი ჰპოვა და „ახალი აპოსტოლის“ აგრესიული შედეგების, ანტიკულტურისზმის თეორიების, ცინიკური სიცილის, ინერციული აზროვნების მექანიკური ხელოვნების, ხედვითი კინემატოგრაფისზმის, სინთეტიკური ხელოვნების ტრიუმფალური ფანფარებით ჩაახშეს აქამდე არსებული მოდერნისტული პანთეიზმი. ფაქტია, ხელოვნების „რემეიკის“ გარდა, იტალიურ ფუტურისტულ მოძრაობას ცალსახა პოლიტიკურ- აგიტატორული მიმართულებაც გააჩნდა, ომის აგრესიული ცნება მათ „მსოფლიო ჰიგიენის“ ცნებად მიიჩნიეს, რითაც დანარჩენ მსოფლიოსთან აბსოლუტური იდენტობის ალბათობა წარმოუდგენელ რეალობად აქციეს.

იტალიური ფუტურისზმი ყველა მისი ანალოგისაგან განსხვავებული იყო, ფორმალურ-მეთოდური გაგებით- დიეტატორული, მხატვრული არსით კი მანერულ-ექსტრავაგანტური. მისი იდეოლოგიური მესაჭე და ბელადი იყო ფილიპო ტომაზო მარინეტი- ლიტერატორი, ინტერპრეტატორი, არტისტი, მემარცხენე — უდავოდ, ნიჭიერი და საინტერესო პიროვნება. როგორც თავად აღიარებდა, ამ გზაზე ის დააყენა „აღშფოთებამ ადამიანის პიროვნული მარტოსულობის, გაუცხოების გამო უსულგულო, ტექნიკურ ავტო-ჯუნგლებში, ამასთან ერთად, მარინეტის განსაკუთრებით იზიდავდა „ტექნო-ურბანისტულ ეპოქაში განზავებული პიროვნების ფაქტორი“, აქედან გამომდინარე იყო მისი ე.წ. „რექციული ოპტიმიზმიც, (მეომრის ნაციონალიზმი),“ რაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ევოლუციის ცალსახა მხარდაჭერაში გამოიხატებოდა.

იტალიაში ფუტურისზმის აღმოცენებას მეორე რენესანსს ადარებდნენ, მისი მოსვლა ხელოვნებაში ახალი ეტაპის დაწყებად განიხილებოდა. პირველი ფუტურისტული მანიფესტი

(გამოქვეყნებულია სულ 85-მდე მანიფესტი) გაზეთ „ფიგაროში“ დაიბეჭდა, ფუტურისტთა მჭევრმეტყველური მიმართვით მაშინვე მოიხიბლა როგორ იტალიელი, ასევე ფრანგი ელექტორატი, რასაც მალევე მოჰყვა ტრიბუნალური გამოსვლები მილანში, ტურინში, ვენეციაში, ნეაპოლსა და პადუაში, ექსტრავაგანტულ, მემარცხენე ავანგარდისტთა ახალი თაობით განსაკუთრებით იტალიის ეკონომიკურად უფრო მძლავრი მხარის, ჩრდილოეთის მკვიდრი მოიხიბლნენ: „თითქოს პირველად დაერქვათ საგნებს თავიანთი სახელები, აღმოსავლური ფსიქოლოგია დადნა და გაიხსნა ახალი რეალობისათვის“- ამგვარად გამოხატავდნენ საკუთარ ემოციას და დამოკიდებულებას ფუტურისტთა „ფანები“. რა იყო ეს? პოზა? მანერა? პოპულარობა ინტელიგენციაში თუ „ობივატელურ-ხანჭური“ ფსიქოლოგიის გამოვლენა?-ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ფუტურისტები ძირითადად სწორად მანიფესტებში ცდილობდნენ.

„ჩვენი პოზიციის მთავარი ელემენტებია: ვაბედულება, სიმამაცე და ბუნტარობა“-აცხადებდა მრინეტი „არ ანსებობს სილამაზე ბრძოლის გარეშე, არ არის შედევი აგრესიულობის გარეშე, ბოლო დრომდე ლიტერატურა უმღეროდა ჩაფიქრებას, უმოძრაობას, ექსტაზსა და ძილს, ჩვენ კი გვინდა ვუმღეროთ შემტვე მოძრაობას, ციებიანის უძილობას, სავარჯიშო ნაბიჯებს, საშიშ ნახტომს და მუშტის დარტყმას“ (II ფუტურისტული მანიფესტი) „ჩვენ გვინდა დავანგრეთ მუზეუმები, ბიბლიოთეკები, ვებრძოლოთ მორალიზმს, ფემინიზმსა და ყოველგვარ მსგავს ოპრტუნისტულ და უტილიტარულ სიმდაბლეს“ („ათი მანიფესტის თეზისი“). „საჭიროა აღვსდგეთ იმ სიტყვათა ტირანის წინააღმდეგ, როგორცაა „ჰარმონია“ და „კარგი გამოვლება“- ეს ძლიერ ელასტიკური გამოთქმებია, რისი გამოფერითაც შეიძლება დავადგინოთ რემბრანტის, გოიასა და როდენის ნამუშევრებშიც“ (III ფუტურისტული მანიფესტი). „ჩვენ გრძნობებზე მხატვრობაში აღარ შეიძლება ვიჩურჩულოთ, ჩვენ გვსურს რომ ამიერიდან ისინი მღეროდნენ და ხმიანობდნენ ჩვენს ტილოებში, როგორც დამაყრუებელი ტრიუმფალური ფანფარები“ (IV ფუტურისტული მანიფესტი)

მარინეტი ასევე სთავაზობდა საზოგადოებას „ხელოვნების ძლიერ ინტელექტუალური ფორმების – დრამატული და საოპერო თეატრების უარყოფას, ხოლო „სინთეტიკური გართობისათვის“ მუზიკ-პოლის კულტივირებას. „უნდა განვადიდოთ უცემოვნობა და ცინიზმი, უნდა გამოვინვიოთ დიდებული ფუტურისტული სიცილი, რომელიც მსოფლიოს სახეს გააახალგაზრდავებს“ (III ფუტურისტული მანიფესტი).

ამ განცხადებათა ფონზე ფუტურისტები საკუთარ თავს „ანტიკულტურული, ანტიესთეტიკური და ანტიფილისოფიური“ მოძრაობის წარმომადგენლებად ასახელებდნენ.

ფუტურისტული იდეოლოგიის გასავითარებლად სიცილის (ცინიზმის) გაფეტიშებასთან ერთად, იტალიელი ფუტურისტები

უეცარი შთაბეჭდილებების, ტექნოკრატის, უტოპიის, თვითკმაყოფილების, დინამიზმის არსის განმხატვრულებას სთავაზობდნენ საზოგადოებას. ნიშანდობრივი ფაქტია ასევე. ფუტურისტების მიერ ხელოვნების კრიტიკოსების ცალსახა უარყოფა: ისინი „არასაჭირო და მავნე მოვლენად“ მიიჩნეოდნენ. სხვა მოდერნისტული მიმდინარეობისაგან განსხვავებით საუყუტურობა, როგორც ასეთი, ფუტურისტების შემოქმედებაში არა მხოლოდ კორექციას განიცდიდა, არამედ პირიქით დროთა განმავლობაში რთულდებოდა და იზრდებოდა.

რადიკალურად მემარცხენე შეხედულებანი მხოლოდ მარინეტის ულტრამემარცხენე ავანგარდისტული შეხედულებებით არ შემოიფარგლებოდა. იტალიური ფუტურისტული აქტივის წევრთა სია მრავალფეროვანი იყო, მათ შორის რამდენიმე განსაკუთრებით გამოირჩეოდა. ჯინო სევერინი ამ ჯგუფში განსაკუთრებული ფიგურა იყო, მას „დიდ ექსპერიმენტატორს“ უწოდებდნენ, მისი მხატვრობა ფრანგი იმპრესიონიზმის გავლენას აშკარად განიცდიდა, დეგასს, რენუარისა და სეზანის ცეკვის, პლასტიკის მხატვრულმა აღქმამ სევერინის ტილოებში სასიკეთო კვალი დატოვა; დინამიურობა, არტისტული ინდივიდუალიზმი, თემისადმი ანალიტიკური მიდგომა, ე.წ. „ხაზის ძალა“ მისი გამომსახველობითი სამყაროს სავიზიტო ბარათად იქცა. ფუტურისტული იდეოლოგიის ნაწილად იქცა ჯინო სევერინის წერილი — „მანქანურობის ხელოვნება“ (1923): „ჩვენ გვიღებენ, როგორც მექანიზმებს. ჩვენც ვგრძნობთ, რომ ფოლადისაგან ვართ აშენებულნი. ჩვენ მანქანები ვართ, ჩვენც მექანიზმებულნი ვართ როგორც ჩვენი სამყარო“. იტალიური ფუტურისტების სახეთა შორის მოიაზრებიან ასევე: უმბერტო ბაჩინი-მხატვარი, ფუტურისტების თეორეტიკოსი და ფუტკულტურის პრაქტიკოსი, ცნობილი „ტექნიკური მანიფესტის“ ავტორი (1912), პორტრეტებისა და ავტოპორტრეტების შემოქმედი, „ნაციონალური ტენდენციების ექსტრავაგანტური გარდასახვის ოსტატი“; ჯაკომო ბალა-სწრაფი მოძრაობების მხატვარი, ტექნიკური ექსპერიმენტების აპოლოგეტი; კარლო კარა-დინამიური ბატალური სცენების მხატვარი, ექსპერიმენტატორი; ლუიჯი რუსალო-ბუნტარი და იდეალისტი.

1910 წლის 11 აპრილის ე.წ. „მხატვრობის მანიფესტს“ ხელს აწერდნენ ბაჩონი, სევერინი, კარა, რუსალო და ბალა – ეს იყო მხატვრულ-ფუტურისტული პროგრამა. „საჭიროა „შევაპიროვოთ“ უკვე გამოყენებული სიუჟეტები, რათა გამოვხატოთ ჩვენი ცხოვრება ფოლადისა, გაბედულებისა და სიჩქარისა“, „სუნთქვა მიმდინარე ნუთით, წამით, შემოქმედების „კინემატოგრაფიულობა“. მთლიანი განადგურება დასრულებული ხაზებისა და დასრულებული ქანდაკებებისა, გაფხნათ ფიგურა როგორც ფანჯარა და მოვათავსოთ მასში ის გარემო, რომელშიც თავად ცხოვრობს“. (მხატვრული მანიფესტი).

ფუტურისტული იდეალი ორ არათანაბარ ჰიპოტეზასზე დაიყვანება. ერთია ადამიანი – რობოტი, მასებისათვის შექმნილი, და მეორე თვით ფუტურისტების მიერ შექმნილი ეტალონი — განსაკუთრებული პიროვნება, რომელიც ემორჩილება ძლიერების კულტს, მექანიკურ-მანქანური ელემენტები მის შინასამყაროშიც კარგად ჩანს, მისი „მხატვრული განსახოვნება ფილიპო მრინეტის გმირი, „პოეტიზირებული იდეალი“ „სუპერმენი“ აღმოსავლელი მმართველი „ფუტურისტი მაფარკა“ — რომელშიც ფუტურიზმის ოპონენტებმა იმთავითვე ნიციშეს ზარატუსტრას ვულგარული, მდაბალი, დანვრილმანებული ვარიანტი გააცნობიერეს, რომელიც მისდაგვარ მელანქონიურ რეფლექსიებსაც იყო მოკლებული და ლიტერატურულ რაფინირებულობასაც.

მარინეტი იმთავითვე ცდილობდა დაეცვა ფუტურიზმი ისეთი ბრალდებისაგან, როგორიცაა ალოგიკურობა – თავის მანიფესტში „განთავისუფლებული სიტყვები“ გამოიყენა ტერმინი „ღვთიური ინტუიცია“, რაც ფუტურისტულად წარმოადგენს სამყაროს. აქ კარგად გამოჩნდა ბერგსონისა და კროჩეს ფილოსოფიური თეორიების გავლენა, თუმცა ამას მარინეტი ნაკლებად აღიარებდა და თავისი თეორიის სათავეს სუფთა ლიტერატურულ წყაროებში ეძებდა, ისეთში, როგორიცაა დანტე ალიგიერი და ედგარ პო. აქვე უნდა მოვიხსენიოთ კარლო კარას მანიფესტი „ხმების, ხმაურისა და სუნის ფერწერა“. „ფერწერა, როგორც სულის პლასტიკური მდგომარეობა. მთლიანობაში უნდა შეასრულო ისე, როგორც მთვრალეები მღერიან და გამოსცემენ ხმებს, ხმაურს და სუნს.“ ფუტურიზმის პოეტიკა ექსცენტრიზმისა და ეგზოტიკის კულტია, გარკვეულწილად ნეოსმბოლისტური მიმართულებით; მხოლოდ აქ, მარადიულობისა და მისტიურობის გაღმერთების სანაცვლოდ ენერგია და აბსურდია გაფეთქებულნი. ფუტურიზმის მხატვრულ-შემოქმედებითი გამომსახველობის ფორმები ნატურალიზმისა და იმპრესიონიზმის ნაზავს წარმოადგენს. მხატვრობაში დივიზიონისმისა და დინამიზმის ფორმები სეზანის მხატვრული სამყაროს გავლენასაც განიცდიან და კუბიზმისაც. ამავე დროს სახეზეა სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი „სინთეტიკური ხელოვნების გადმოღება, შთაბეჭდილებათა სინთეზი“.

1912 წლიდან ფუტურიზმი ახალ ფაზაში შევიდა, რასაც სათავე დაუდო გამოფენამ პარიზის გალერეაში. აქედან დაიწყო შეხვედრა და შემდგომ პოლემიკა ფუტურისტებსა და კუბისტებს შორის. კუბისტები ფუტურისტებს ადანაშაულებდნენ ანტიმხატვრულ სიუჟეტურობასა და ლიტერატურულობაში ანუ ჟურნალიზმში, ხოლო ფუტურისტები კუბისტებს — „შენიღებულ აკადემიზმში“. ე.ი. კუბიზმში კულტივირდებოდა ფორმა შინაარსის გარეშე, ხოლო ფუტურიზმში – პირიქით. ფუტურიზმმა ამ დროისთვის იტალიაში თითქოს პოზიციები დათმო, კუბიზმის სასარგებლოდ. ფუტურისტებმა აღიარეს პიკასო, რომელსაც ადრე კლასიციზმში ჩარჩენას აბრალებდნენ, მატისი, რომელსაც ფორმალიზმს და დეკორაციულობას აბრალებდნენ, ლეჟე,

რომელიც თავისიანად გამოაცხადეს. ამდენად, იმპრესიონიზმი მათ დასჭირდათ იმ დროს, როგორც ფორმალურ-ტექნიკური ბაზა, ფორმალურ-გამამართლებელი საფუძველი. ამ დროიდან ფუტურიზმის ნიაღში კუბისტური ელემენტებიც გამოჩნდა (სევერინი, კარა, ბაჩინი). 20-იანი წლებისათვის იტალიურ ფუტურიზმში პოპულარული გახდა ტერმინი „საგნების კეთება“, შეიძლება ითქვას, რომ ის იტალიაში იქცა მოდერნისტულ კლასიკად.

პირველ მსოფლიო ომში ფუტურისტები მოხალისედ წავიდნენ, მაგრამ თვით ფუტურიზმმა ამ დროიდან „მოკვდინების მსვლელობა“ იწყო. ამ პერიოდში ფუტურიზმი და კუბიზმი პარალელურ რეჟიმში ვითარდებოდა. 1922 წლის მანიფესტი მეორე მონვევის ფუტურისტებით შეივსო, გაჩნდა ახალი, „აბსოლუტური ფერწერის“ თეორია, გამოჩნდა ახალი სახეც-პრამპოლინი. 1924 წლიდან დაიწყო ფუტურიზმის დაგვიანებული აფეთქება, მაგრამ აქ უკვე ტერმინი უფრო თამაშობდა, ეს იყო უკვე სინთეზური ე.წ. „მომავლის მოძრაობა“, სადაც ფუტურიზმის სახელის ქვეშ სხვადასხვა სკოლების წარმომადგენლები გამოჩნდნენ. კლასიკური ხანის შემდგომ. 1920 წლამდე ფუტურიზმმა კიდევ შეძლო არსებობა აბსტრაქციონისტური, კუბისტური, ნატურალისტური და სურეალისტური ნიშნებითაც კი. ამ დროიდან კი მან გარკვეულად აპოლონისტური, ნარცისული სახეც მიიღო და პოლიტიზირებულ-მოვინიტური მიმართულებაც. ჯერ მოგვიანებით, იტალიაში შეიქმნა პოლიტიკური მანიფესტები, კარლო კარას წიგნი „ომი – მხატვრობა“, სევერინის ე.წ. პოლიტპლაკატები, ამ იდეოლოგიის დამკვიდრებას მარინეტისა და მუსოლინის ნაცნობობამ და იტალიურმა ფაშიზმმაც შეუწყო ხელი. მარინეტი და მისი მეგობრები მუსოლინის გვერდით ფაშისტურ დემონსტრაციებში მონაწილეობდნენ, მუსოლინიმ მირინეტის აკადემიკოსის წოდება მიანიჭა. 1930 წელს მარინეტის ახალი ფუტურისტული მანიფესტი გამოვიდა, თუმცა აქ მხატვრული მეთოდის ანალიტიკა აღარ იყო. ეს იყო საკუთარი პოლიტიზირებული პოლიტიკის ფსევდო-მხატვრული დასაბუთების მცდელობა.

...დანარჩენები დაიშალნენ. ფაქტია, ფუტურიზმმა მანაც დიდხანს შეინარჩუნა ფორმა, თუმცა ისიც ცხადია, რომ მისი კულტურული მნიშვნელობა და ფასი დამთავრდა 1920-1925 წლისათვის, ჯერ კიდევ მაშინ, სანამ მისი სინთეზი დაიწყებოდა. თუმცა მარინეტი თავის თავს 40-იან წლებამდე ფუტურისტად რაცხდა, ფაქტია, ფუტურიზმი თავის საუკეთესო და კლასიკურ ფორმაში სწორედ ამ დრომდე იყო. ამიტომ მთლიანად ამ უდაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო მოძრაობის მოაზრება ფაშისტური იდეოლოგიის ჩარჩოში არასწორია, რადგან მასში ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი „ნოუ-ჰაუები“ განხორციელდა, მოდერნისტული ისტორიის განვითარების თვალსაზრისით. ეს ტენდენცია შემდგომში საბჭოთა მეცნიერებამ გამოიყენა, რადგან ფუტურიზმის მთლიანად მოაზრება მუსოლინის იდეოლოგიურ რაკურსში კიდევ უფრო

განამტკიცებდა მათი უარყოფითი დამოკიდებულების საფუძველს არა მხოლოდ კონკრეტულად ფუტურიზმის, არამედ მთლიანდ მოდერნიზმის მიმართულებით ხოლო დამოკიდებულების პოლიტიკა ამგვარი რომ იყო, ცნობილი ფაქტია.

განსაკუთრებულ მოვლენად ფუტურიზმი რუსეთში განიცადა, თუმცა იტალიურისაგან განსხვავებით რუსული ფუტურიზმი იყო უფრო სალონური, კამერული, იტალიური ფუტურიზმისაგან განსხვავებით უფრო ლოიალური თუ ლიბერალური აღმოჩნდა.

ფიგაროში გამოქვეყნებული პირველი მანიფესტი რამდენიმე დღეში ითარგმნა და დაიბეჭდა პეტერბურგში გამომავალ გაზეთში „ვეჩერ“. რუსეთში მას კუბოფუტირიზმ სუნოდებდნენ, იმდენად, რამდენადაც ამ ორი მიმართულების სინთეზს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე ფუტურიზმის ორთოდოქსალურ სახეს; ის იყო სკანდალური, რევოლუციის მომხრეთა იდეოლოგიის ამსახველი, მათ შორის იყო რამდენიმე ჯგუფი: 1. „გილეა“ (კრუჩინიხი, მიაიკოვსკი, ძმები ბერლიუკები, ხლებნიკოვი, კამენსკი. კრებულები: «Садок судей», «Пошешина общественному вкусу», «Дохлая луна», «Взгляд») 2. „Союз молодёжи“ (მოსკოვი) 3. „Ослиный хвост“ (პეტერბურგი). ამ ჯგუფების მიერ შემოტანილ ფორმალურ სიახლეთა შორის უნდა ავლნიშნოთ ლიტერატურაში ტექსტების ტრადიციების შეცვლა, ახალი ლექსიკა, სიტყვისკმნადობა, ე.წ. ზაუმური ლექსიკა, ფონემური არსი, ორკესტრიზმი, ვიზუალიზმი. რუსული ფუტურიზმის სახედ მიიჩნევა ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომლის შემოქმედებაშიც ფუტურისტულმა ფსიქოლოგიამ განსაკუთრებული ასახვა ჰპოვა, რაც უპირველესად რევოლუციური სამყაროს დაფასებასა და შეცნობაში აისახა.

ფუტურისტობა რუსეთში მოდური მოძრაობა იყო. მას იბრალებდნენ სხვა მიმართულების წარმომადგენლებიც. მაგალითად პოსტიმპრესიონისტები, პრიმიტივისტები და ფობისტები. ასევე ახალი ფორმალისტური სკოლის წარმომადგენლები (მაგალითად: პოსტექსპრესიონისტები და „ახალი ფორმალისტური ჯგუფის“ წარმომადგენლები).

ფუტურისტული ესთეტიკის ხიბლმა ქართულ ხელოვნებაშიც იჩინა თავი, ფუტურისტული თეთრი ლამეების წყება 1918 წლის ცნობილ ინტელექტუალურ ემიგრაციას მოჰყვა, როდესაც რუსი ფუტურისტები რევოლუციას გამოქცნენ და შემოქმედებით პლაცდარმად თბილისი არჩიეს. 1918 წლის 26 მაისის შემდეგ თბილისმა ფერი იცვლა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება მხოლოდ ადმინისტრაციული ცენტრის არსებობას არ გულისხმობდა; ის კვლავ ხდებოდა კულტურის მექა, თბილისში გამოჩნდნენ ნითელ რევოლუციას გამოქცეული რუსი მწერლები და მხატვრები. აღნიშნულმა პოლიტიკატორმა ქართული შემოქმედებითი რეალობისათვის უცხო „მეთოდის მწერლობის“ ფორმა — ლიტერატურული მემარცხენეობის დამკვიდრებაც განაპირობა. რუს ფუტურისტთა შემოქმედებითი

გამომსახველობის არსი იდეურად ევროპული ანალოგის განსახოვნებას წარმოადგენდა, რაც უპირველესად ომის, ძალადობის, ფიზიკური აგრესიის წინააღმდეგ გამოხატული დემარშები იყო; თუკი ციურბელი და ნიუ-იორკელი დადაისტივი პირველ მსოფლიო ომს გაექცნენ, რუსი ხელოვანი ბოლშევიკურ რევოლუციაში ხელდავდნენ ხელოვანისათვის უადგილო გარემოს და მათი პაციფისტური პოზიცია ეტაპაჟურ-უტრირებულ ფორმებში გამოხატული ამბოხისა და პროტესტის კვინესესტენცია იყო.

თბილისს ამ პერიოდში (1918 წლიდან) სტუმრობდნენ ცნობილი შემოქმედებითი მემარცხენეები: ალექსეი კრუჩინიხი, იგორ ტერენტიევი, ძმები ილია და კირილე ზდანევიჩები, ვასილ კამენსკი, სერგეი სუდეიკინი და ზიგმუნდ ვალიშევსკი. თბილისურ კაფეებში: „პარიზი“, „ფანტასტიკური ყავახანა“, „ინტერნაციონალი“, „ძმური ნუგეში“, „არგონავტთა იალქანი“ და „ქიმერიონი“. ისინი სალამოებს მართავდნენ. თბილისელებს მონონდათ არაორდინალური, თავისუფალი სტილით მოაზროვნე ახალგაზრდა ხელოვანი. კუჩონიხმა და კამენსკიმ თბილისში გამოსცეს ჟურნალები: „ზაუმნიკების კომპანია 41⁰“, „ფუტურისტების სინდიკატი“ და „Футурвсеубежище“. ამასთან ერთად, ცნობილი ფაქტია, რომ ისინი განსაკუთრებით ქართველ სიმბოლისტებს დაუახლოვდნენ.

თბილისში შეიქმნა ალექსეი კრუჩინიხის და ვასილი კამენსკის სატირული ციკლები, კირილე ზდანევიჩის ქალაქური ესკიზები, თბილისელთა კერძო კოლექციებს დღესაც შემორჩა კრუჩინიხის, ტერენტიევის, კამენსკისა და სუდეიკინის მაშინდელი ჩანახატები და ავტოგრაფები ამ მოძრაობის შემოქმედთა თბილისური „გასტროლები“ ვფიქრობთ იქცა ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად მაქსიმალისტური ავანგარდიზმის საქართველოში დამკვიდრებისათვის. არც ერთი ზემოთაღნიშნული ლიტერატურული შეხვედრა თუ პრეზენტაცია ქართველ შემოქმედთა თანადგომისა და თანამონანილეობის გარეშე არ მომხდარა. ისინი იმთავითვე დაუმეგობრდნენ ქართველ სიმბოლისტებს. გავლენის პროცესს არ დაუგვიანია და საქართველოში რადიკალურმა ავანგარდიზმმა არცთუ ისე მოგვიანებით, ნაყოფიერი ნიადაგი მაინც ნახა.

ამდენად ქართული შემოქმედებითი რეალობისათვის არცთუ უცხო „მეთოდის მწერლობის“ ფორმა ფუტურისტულ ძიებებშიც წარმოჩინდა. ვანგარდისტული მაქსიმალიზმი უპირველესად მომავალმა ფუტურისტებმა გაიზიარეს და პირველი ქართული დადაისტიური ჩანაფიქრებიც მალე გამოჩნდა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ქართული დადა კიდევ უფრო ლიბერალური იყო – პოლიტპროტესტის რაიმე ნიშანწყალი მას არ გააჩნდა და მთავარი ის იყო, რომ კლასიკური სქემა ფუტურიზმი-დადა საქართველოში ერთგვარად პირიქით ფორმით გამოისახა: ჯერ დადაისტიური რადიკალიზმს მოუსინჯეს ნიადაგი ქართველმა მოდერნისტებმა, რაც შემდეგ ფუტურისტულ მოძრაობაში გადაიზარდა. მიუხედავად იმისა,

რომ რუსული შემოქმედებითი ემიგრაცია დიდხანს არ გაგრძელებულა, საქართველოში მან საინტერესო ისტორიაც დატოვა და „მემკვიდრეობითი მიმართულებაც“.

ქართველი ფუტურიზმის პრეზენტაცია 20-იანი წლებიდან დაიწყო: 1922 წლის 23 აპრილი კონსერვატორია, 1923 წლის 2 თებერვალი ხელოვანთა სასახლე- ეს „დიდებული თარიღები“ ქართულ პოეზიაში ახალი წელთაღრიცხვის დაწყებად გამოაცხადეს სიმონ ჩიქოვანმა, ჟანგო ლოლობერიძემ, ბენო გორდეზიანმა, ნიკოლოზ შენგელაიამ, ირაკლი გამრეკელმა. ეს იყო ინიციატორთა პირველი თაობა, რომელთაც ქართულ შემოქმედებით სინამდვილეში საკუთარი თავის დამკვიდრების ყველა ნაცადი ხერხი გამოიყენეს ფუტურისტული აგიტაციიდან: ეს იყო მანიფესტები, ქუჩის პოეტის ინსტიტუტი, და რაც მთავარია გამოცემები: „H₂SO₄“ „ლიტერატურა და სხვა“, „დროული“, „მემარცხენეობა“,... მათ შორის ნიშნული იყო 1924 წელს გამოსული „H₂SO₄“ – ფუტურისტული მანიფესტით, რჩეული შრიფტით, კონსტრუქტივისტულ-კუბისტური სურათებით და სარედაქციო საბჭოთი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ბენო გორდეზიანი, ნიკოლოზ ჩაჩავა, ირაკლი გამრეკელი, პავლო ნოზაძე, სიმონ ჩიქოვანი, ჟანგო ლოლობერიძე, აკაკი ბელიაშვილი ასევე ბიძინა აბულაძე და შალვა ალხაზიშვილი. გამოცემათა შორის უნდა დავასახელოთ ასევე: „ლიტერატურა და სხვა“ (რედაქტორი ნ. ჩაჩავა, კ. ზდანევიჩის გაფორმება). გაზეთი „დროული“ (რედაქტორი ფ. ლოლობერიძე). „ზერო“ — ჟურნალი (ფ. ლოლობერიძე) და ჟურნალი „მემარცხენეობა“ (რედაქტორი სიმონ ჩიქოვანი).

ქართულ ფუტურიზმს მინისძვრას ადარებდნენ მისი შემოქმედნი და მიუხედავად ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებითი არტეფაქტების გამოჩენისა, ევროპული ანალოგებისაგან განსხვავებით, საქართველოში ფუტურიზმი მაინც უფრო ლიტერატურული მოვლენა იყო, და ამასთან ერთად, არცთუ განსაკუთრებულად ორთოდოქსალური. ერთი სახელების ქვეშ გაერთიანდა კონსტრუქცივიზმის, დადაიზმის და ფუტურიზმის პრინციპები. ისინი არც მხატვრულ მეთოდოლოგიაში ყოფილან განსაკუთრებით ორიგინალური და რუსული ფუტურიზმისაგან შორს არ წასულან.

სამაგიეროდ ქართველი ფუტურისტები, თავიანთ ევროპელი თანამოაზრეთა მსგავსად ერთმნიშვნელოვნად უპირისპირდებოდნენ სიმბოლიზმს, განსაკუთრებით მიუღებლად მიაჩნდათ ის თეორიტიკა, რომელიც სიმბოლისტურ მსოფლმხედველობას ამკვიდრებდა. ქართულ შემოქმედებით გარემოში კი ცხადია, ეს დაპირისპირება აჩრდილ ჯორჯაძეს და მისი მხატვრული ნავსაყუდელის, „მშვენიერი სიცრუის“ თეორიას შეეხებოდა. სახვამხრივ ფუტურისტული ვნება-თაღელვანი საქართველოში ნაცნობი სცენარით მიემართებოდა: ინდუსტრიისა და პრიმიტივის ნაზავი, უბანიზმი, პოლემიკა ხელოვნების (ძირითადად ლიტერატურისა და კინოს) განვითარების პერსპექტივებზე, დაპირისპირდება არისტოკრატიულ მსოფლმხედვე-

ლობასთან, ე.წ. „ფსიქიკის რევოლუცია და შავი პოეზია“, სტილის, რიტმის, პუნქტუაციის აღრევა.

ფუტურისტული მხატვრული აზროვნების სავიზიტო ბარათებად უნდა მივიჩნიოთ სიმონ ჩიქოვანის 1921-1926 წლების პოეზია, ბენო გორდუზიანის, ირაკლი გამრეკელის, ჟანგო ლოლობერიძის, პავლო ნოზაძის შემოქმედება, ასევე ნიკოლოზ ჩაჩავას „ინცინდენტები“ (პროზა), დემნა შენგელაიას „სანავრო“ და „გურამ ბარაბანდია“. რაც შეეხება ნიკოლოზ შენგელაიას. იგი მწერლობაში დიდხანს არ დარჩენილდა. ერთხელ ქუჩაში საკუთარი ლექსების კითხვისას მას კოტე მარჯანიშვილმა მოისმინა, მისი ორატორული ნიჭით მოიხიბლა და თეატრში გაყოლა შესთავაზა. ფუტურისტებთან თანამშრომლობდნენ და მათ შემოქმედებაში ახალ მხატვრულ რეალობას აცნობიერებდნენ: ნუცა ლოლობერიძე, ლეო ესაკია, მიხეილ კალატოზიშვილი, ლევან ასათიანი, დავით კაკაბაძე, სიმონ დოლიძე.

ფუტურისტულმა ვნებებმა საქართველოში სულ სამ-ოთხ წელიწადს გასძლო, თუმცა „ფორმალური ზეობის“ ხანაში იგი თვალმისაცემად მაქსიმალისტური აღმოჩნდა, თავისი რადიკალური გამომსახველობითი ფორმებით მან თავდაპირველად რუსული ფუტურიზმიც კი გადაწონა, საფიქრებელია, რომ ამ პროცესში დადაისტური ხელიც ერი, და იქნებ ღირდეს დაფიქრება ქართული ლიტერატურული დაჯგუფებების ისტორიაში ერთი ლაფსუსის კორექციის თაობაზე. ქართული ფუტურიზმი იქნებ არც იყო კლასიკური ფორმა რუსულ-იტალიური ანალოგისა, თეორიულ-ფორმალური გამოხატვით იგი კონსტუქცივიზმის, დადაიზმის, და ფუტურიზმის ნაზავს უფრო ჰგავდა და ქართული ფუტურისტული აზროვნების ყველაზე რადიკალური ნაწილი სწორედ დადაისტური მიმართულების ამსახველი იყო.

... და მაინც ქართული ფუტურიზმი მხოლოდ ისტორიულ ან ეპიგონურ მოვლენად არ შემორჩა გასული საუკუნის ხელოვნებას, მისი ლიტერატურული მენტალობა და გენეტიკური წარმომავლობა მისივე გასრულების შემდეგ უფრო საცნაური გახდა, რადგან არათუ კონკრეტულად მისი მიმდევრების ლიტერატურულ მემკვიდრეობაში დატოვა რიტმულ-მუსიკალური სრულყოფილების, მხატვრულ-ფორმალური სისტემატიზაციის კეთილი კვალი, არამედ ზოგადად შემდგომი პერიოდის მწერლობაშიც იჩინა თავი და გარკვეულწილად 60-70-იანი წლების ლიტერატურულ ცხოვრებაშიც აირეკლა.

დავით კაკაბაძე წერილში „ხელოვნება და სირცქე“, რომელიც 1925 წელსპარიზში გამოშვალ ჟურნალში „Bulletin de l'ebbert modern“ წერდა: „ყოველი საგანი ან ზედაპირი, რომელიც ვერ იწვევს ჩვენში სივრცის ემოციას, უკმაყოფილების გრძნობას ტოვებს. ეს უკმაყოფილება იწვევს ინსტიქტურ აქტს, რომლის მიზანია ამ ზედაპირის გარდაქმნა იმ სახით, რომ სივრცის განცდა სრულ დაკმაყოფილებაში იყოს ადამიანის მიერ შექმნილ ყოველ საგანზე. ორნამენტული სახეობა ამ მოთხოვნის შედეგია, ადამიანის

სულიერი დაკავშირება საგნებთან სივცრის განცდაშია და ამიტომ სივცრის გადმოცემა საგნის ზედაპირზე ჩვენი არსების მოთხოვნილებაა“.

დამონებანი:

- იუნე 1963: Юнье Ж. «История готовой продукции». М.: 1963.
მოდერნიზმი 1973: Модернизм. М.: 1973.
ისტორია... 1963: История Французской Литературы, т. IV, М.: 1963.
მანიფესტი 1914: Манифесты Итальянского футуризма. М.: 1914.
ტესტევენი 1914: Тестевен Г. “Футуризм”. М.: 1914.
ხელოვნება 1965: Art in America. January 1965.
50-იანი... 1958: “50-ans d’art moderne”. Bruxelles: 1958.
მარინეტი 1924: Marinetti P. “le futurisme Manifeste a paris”. “Hoi”, № 6,7,8,9Roma: 1924.
პოეზია...: 1994: H₂SO₄-ის პოეზია – „პოლილოგი“ № 3, 1994.
სიგუა 2002: სიგუა ს. „ქართული მოდერნიზმი“. თბ.: 2002.
კულტუროლოგია 2003: კულტუროლოგია. თბ.: 2003.
კაკაბაძე 1925: კაკაბაძე დ. „ხელოვნება და სირცე“, „Bulletin de l’ebbort modern“, 18,19, Paris 1925.

ეთნიკური კონფლიქტის თემა ქართულ პოსტსაბჭოთა ლიტერატურაში

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ძალიან მალე ჯერ ქართულ-ოსური ხოლო სამოქალაქო ომის შემდგომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი დაიწყო. თავდაპირველად სრულიად მარტივ მიზეზებზე აღმოცენებულმა დაპირისპირებებმა სისხლისღვრა გამოიწვია. შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ერთი მხარე მეორეს ადანაშაულებდა და მისი სახით მტრის ხატს ქმნიდა, მეორე — პირველს. მკვიდრი მოქალაქეები დევნილებად იქცნენ.

ბუნებრივია, აღნიშნულ პროცესებს თავისებურად წარმოაჩენს ქართული პოსტსაბჭოთა მწერლობაც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეთნიკური კონფლიქტის თემა საზოგადოებასა და მწერლობაში ძირითადად სტერეოტიპულია. ამიტომაც საჭიროდ მიგვაჩნია კვლევის ამ კუთხით წარმართვა.

სტერეოტიპი, როგორც გარესამყაროს აღქმის მაგალითი ან ნიმუში, შაბლონად არის ქცეული და იმდენადაა დამკვიდრებული საზოგადოებაში, რომ ხშირად გვხვდება როგორც მასმედიაში, ასევე ლიტერატურაში. ცნობილია, რომ სტერეოტიპი მანამდე იწყებს აღმოცენებას, ვიდრე აზროვნება დაიწყება. სტერეოტიპები შეგრძნებებთან ერთად ჯერ კიდევ მაშინ აღწევს გონებაში, ვიდრე გონება მიიღებს ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, რის გამოც სტერეოტიპული აზროვნება ხშირად წარმმართველი ხდება. სტერეოტიპს განსაკუთრებით რთული დამოკიდებულება აქვს კრიტიკისა და განსხვავებული აზრის მიმართ.

სტერეოტიპული აზროვნება თავდაპირველად აზროვნების მეტაფორულ დამოკიდებულებას წარმოაჩენდა ამა თუ იმ მოვლენისადმი. სტერეოტიპი ბერძნული სიტყვაა და მყარ ანაბეჭდს ნიშნავს. სტერეოტიპი ტიპოგრაფიულ საქმეში ის მყარი და უცვლელი ფორმაა, რომელიც მრავალტირაჟიანი გამოცემებისათვის იქმნება და რომლის შეცვლაც არ ხდება. თანამედროვე სოციალურ თეორიასა და ფსიქოლოგიაში არსებობს სტერეოტიპის სხვადასხვა განმარტება და გააზრება, თუმცა ყველგან ის გაქვავებულ, მყარ შეხედულებადაა აღქმული.

უნდა აღინიშნოს, რომ სტერეოტიპი, როგორც აზროვნების ფორმა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკურსში უოლტერ ლიპმანმა შემოიტანა. ლიპმანმა ეს ტერმინი იხმარა საზოგადოებრივი აზრის სანაცვლოდ 1922 წელს. ლიპმანის აზრით, სტერეოტიპი არის შეხედულებების ისტორიული განზოგადების სახე, ფილტრაცია, ინფორმაციის ინტერპრეტაცია. სამყაროს შეცნობის დროს სტერეო-

ტიპულ აზროვნებაში აქცენტი კეთდება წარსულ გამოცდილებაზე (ლიპმანი 2004: 43).

სტერეოტიპული აზროვნების დასაყრდენს ხშირად წარმოადგენს დაბეჭდილი ტექსტი, სტატია გაზეთსა თუ ჟურნალში, უფრო ხშირად და განსაკუთრებულად კი წიგნი, რომელშიც მსგავსი აზრი თუ შეხედულება ფიქსირდება.

ეთნიკური სტერეოტიპები საზოგადოებისათვის განსაკუთრებით აქტუალური გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ბუნებრივია, ეს საკითხი ქართულ ლიტერატურაში გარკვეულწილად აისახა, თუმცა ცნობილია, რომ ეთნიკური სტერეოტიპები მანამდეც არსებობდა და თავის კვალსაც ტოვებდა როგორც საზოგადოებრივ, ისე ენობრივ ცნობიერებაზე. ეთნიკური სტერეოტიპის მაგალითად მეცნიერებს მიაჩნიათ სიტყვა „წალეკვა“, „წაილეკა“, რომელიც ლეკების შემოსევებიდან უნდა მომდინარეობდეს.

ეთნიკური სტერეოტიპების გაჩენას ხელს უწყობდა საქართველოში არსებული პოლიტიკური და სოციალური ფონი, რაც პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურაში აშკარად იკვეთება. სხვა სტერეოტიპულ თემებს შორის: გაჭირვება, პატრიოტიზმი, სამართლიანობის სურვილი, პატიება, შეწყალება, დასჯა. ეთნიკური სტერეოტიპებიც ხშირად გვხვდება.

თუმცა ნეგატიური სტერეოტიპების გვერდით გვხვდება პოზიტიური სტერეოტიპების გამოყენებაც, რაც, ბუნებრივია, ცალკე აღნიშვნის ღირსია.

ამასთან, ეთნიკურ სტერეოტიპებთან ერთად ქართულ პოსტსაბჭოთა ლიტერატურაში კუთხური სტერეოტიპებიც ხშირია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მრავალი ისეთი მოვლენა წარმოჩინდა, რაც მანამდე უცხო ან უცნობი იყო საზოგადოებისათვის, ან რასაც მანამდე ყურადღება არ ექცეოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური თემა არ იყო საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურისათვის უცხო, თუმცა აღნიშნულ თემას ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში სხვა დატვირთვა ჰქონდა, იმდენად, რამდენადაც როგორც გ. ნოდია აღნიშნავს: „საბჭოთა პერიოდს პირფერული ინტერნაციონალიზმის ხანა შეიძლება ეწოდოს. საქართველოს მოსახლეობის მრავალეროვნული შემადგენლობის და „ხალხთა შორის ძმობის“ მეხოტბეობა ოფიციალური იდეოლოგიის ნაწილი იყო“ (ნოდია 2003: 70).

საბჭოთა იდეოლოგია აყალიბებდა და ქმნიდა საკუთარ სტერეოტიპებს. ოფიციალური იდეოლოგიის სამსახურში იდგა ლიტერატურა და ხელოვნება. საბჭოთა ადამიანის სტერეოტიპული სახე ძალიან მალე საყოველთაო გახდა საბჭოთა ხალხებისათვის: ძლიერი და მშრომელი გმირი გამოსახული იყო არა მხოლოდ ცენტრალური, არამედ პატარა ქალაქისა თუ სოფლის მოედანზე, კულტურის სახლში ჩამოკიდებულ პანოსა თუ უბრალოდ, ავტოსადგურზე. საბჭოთა სტერეოტიპული იდეოლოგიის სამსახურში იდგა მითოლოგიაც.

საყოველთაოდ ცნობილი მითოლოგიური გმირის, ამირანის ქანდაკება, რომელიც სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში სოფლის ყველაზე მაღალ ადგილას დგას, არ არის მითოლოგიური გმირის თვისებებით შემკული. ამირანი საბჭოთა ადამიანს უფრო ჰგავს: ძლიერი, კუნთმავარი, მებრძოლი, რომელსაც ერთ ხელში ცეცხლი უჭირავს, მეორეში კი — ხანჯალი. ეს ძეგლი გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიდგა. ამ დროს უკვე მინავლებული იყო მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული აღფრთოვანება. ეს აღარც დალუპულ გმირთა მემორიალური ხაზის გაგრძელებაა. ამირანის 10 მეტრიანი ქანდაკება საბჭოთა იდეოლოგიის მაშინდელ ლოზუნგებს ჰგავს: ძლიერი, შრომისათვის მებრძოლი კოლმეურნე, შრომის გმირი. „მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს იდეოლოგია ოფიციალური იყო, ასეთი ლოზუნგები ირიბად ხელს უწყობდა ნაციონალიზმს, როგორც კომუნისტური სისტემისადმი ოპოზიციური, ალტერნატიული იდეოლოგიის ლეგიტიმაცია“, — აღნიშნავს გ. ნოდია (ნოდია 2003: 70).

საბჭოთა პერიოდისაგან განსხვავებით, პოსტსაბჭოთა პერიოდი ეს არის ღირებულებების გადაფასების, ახალ რეალობასთან შეუგუებლობისა და შინაგანი თუ საზოგადოებრივი პროტესტის პერიოდი. სტერეოტიპული აზროვნების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში ახალი სტერეოტიპები ყალიბდება და მკვიდრდება, თუმცა ძველი სტერეოტიპებიც შენარჩუნებულია ნაწილობრივ.

ეთნიკური სტერეოტიპები არ იყო უცხო საბჭოთა პერიოდის მწერლობისათვის, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა იდეოლოგიისათვის ეთნიკური თემა ინტერნაციონალიზმის პოზიტიურ კონტექსტში მოიაზრებოდა. ამიტომაც საზოგადოებრივი აზრის სტერეოტიპულობა ეთნიკურ თემასთან მიმართებაში უფრო მეტად ანეგდოტებში იყო ასახული (მინდაძე 2005: 91).

ეთნიკურ სტერეოტიპებს კოლექტიური აზროვნებისათვის ხშირად განმსაზღვრელი როლი ჰქონდა პოსტსაბჭოთა პერიოდში. განსაკუთრებით, საყოველთაო ნაციონალისტური აღმავლობის დროს.

საქართველოში განვითარებულმა ეთნიკურმა კონფლიქტებმა სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქსა და აფხაზეთში ეთნიკური სტერეოტიპების ახალი ტალღა გააჩინა, რაც პოსტსაბჭოთა ქართული ლიტერატურისათვისაც არ აღმოჩნდა უცხო. „რუსის ჩექმა“, „ჯაყო“ (ოსების საერთო სახელწოდებად, თუმცა ჯაყო მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ აგრესორის სიმბოლო უფროა, ვიდრე რომელიმე ეთნიკური ჯგუფის საერთო სახელი), „აფსუა“ ნაცვლად აფხაზისა და სხვა.

ლიტერატურაში დამკვიდრებული მხატვრული სახე შესაძლოა ძალზე მარტივად სტერეოტიპულად იქცეს. ამისი თვალსაჩინო მაგალითია მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, სადაც ჯაყო მედროვე ადამიანის სახეა, ეთნიკურად ოსი, მაგრამ მის ეთნიკურობას ტექსტში ნაკლებად ექცევა ყურადღება. ჯაყო უფრო მეტად

დამპყრობელი ადამიანის სახეა, რომელიც ახალ დროს კარგად მოერგო, ვიდრე კონკრეტულად რომელიმე ეთნოსისა, თუმცა პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართულ-ოსური კონფლიქტის პირველ ხანებში ჯაყო იქცა იმ სტერეოტიპად, რომელიც ოსების საერთო აღმნიშვნელად გამოიყენებოდა.

ქართულ ლიტერატურაში სტერეოტიპი, როგორც კოლექტიური მეხსიერების ნიშანი, ანაბეჭდი, პოსტსაბჭოთა პერიოდში საკმაოდ ხშირად გვხვდება. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ პოსტსაბჭოთა ლიტერატურაში წამყვან თემებს შორისაა ეთნიკური კონფლიქტების თემა, კონფლიქტების შედეგად დაკარგული ტერიტორიები, სხვა ეთნოსის მიმართ გარკვეული უნდობლობა და სიუცხოვე.

„ქვეყანა რომ დაინგრა, აი, მაშინ დავინწყე წერა და არა მხოლოდ მე — ჩემი თაობის სხვა მწერლებმაც“, — აღნიშნავს ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალი ქალი თამრი ფხაკაძე. 2005 წელს გამოქვეყნებულ ინტერვიუში შეკითხვაზე: „საიდან გაქვთ მიწის ასეთი მძაფრი შეგრძნება“, იგი პასუხობს: „... რაც მე მაქვს (და ეს ყველას აქვს) თანდაყოლილი ინსტიქტია მიწის სიყვარულისა. საზღვარზე რომ იდგე და ცალი ფეხი, ვთქვათ, სომხურ მიწაზე გედგას, მეორე კი ქართულზე, ხომ ის უფრო გიყვარს, რომელიც ქართულია?“ (ფხაკაძე 2005: 4). სტერეოტიპული აზროვნებისათვის დამახასიათებელი განზოგადება აქ ამკარაა: „რაც მე მაქვს, ეს ყველას აქვს“. როგორც ცნობილია, სტერეოტიპი სწორედ საზოგადოებრივი აზრის, ე. წ. კოლექტიური აზროვნების მიერ აღქმული ხატია.

თამრი ფხაკაძის მოთხრობაში „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ მოქმედება პოსტსაბჭოთა პერიოდში კონფლიქტის ზონის ერთ-ერთ სოფელში მიმდინარეობს. მოთხრობაში თითქმის ყველა ის პრობლემა ასახული, რაც ქართული საზოგადოებისათვის პოსტსაბჭოთა პერიოდისათვის არის დამახასიათებელი: ოჯახის წევრი საზღვარგარეთ არის წასული, თავდაპირველი დაპირებები დოლარების გამოგზავნასთან დაკავშირებით ბოლომდე არ ან ვერ სრულდება, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონა და ეთნიკური კონფლიქტის დასაწყისის მოთხრობაში საინტერესო განვითარებას პოულობს.

სოფელი, სადაც ოსებიცა და ქართველებიც გვერდიგვერდ ცხოვრობენ, კონფლიქტის ზონა ხდება. მეზობლები ოლეგა და რობიზონა საკუთარ სახლ-კარსა და ეზოს იცავენ. ოლეგა ოსია, რობიზონა — ქართველი. „უკვე ის დროა, ცოტა ამღვრეულია წყალი ამ ჩვენს აქეთა სოფლებში, თორე იქითებში ხო რა ხანია აიძვრა“, — ამბობს რობიზონა (ფხაკაძე 2005: 7). ძმის საზღვარგარეთ გასაცილებლად წასულ რობიზონას დაბრუნებისას ოლეგა ხვდება სახლში. „ჩამოვხტი ავტობუსიდან, გადავუხვიე ჩვენსკენ. გავიარე ალვების რიგი, მერე ლელისპირები, მერე მაყვლიანიც ავიარე და ჰაჰ!!! გავშემდი კაცი ადგილზე! აგე, ჩემი სახლი სოფლის განაპირას და ეგე, კაცო, კვამლი ამოდის საკვამურიდან! და სარეცხიც ფენია ეზოში... მივრბივარ და აგე, ჩვენი ჭიშკარიც შეღებულია და ბიჭოს! ოლეგა არა

ჩვენს შემს ჩვენს ეზოში? ოლეგა, ზოიას ბიჭი, ჩვენი მეზობელი“. მართალია, სახლი რობიზონას ძმამ, ზალიკომ მიჰყიდა ოლეგას იმისათვის, რომ საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო, მაგრამ რობიზონასთვის ის მაინც საკუთრად აღიქმება.

რობიზონა საკუთარ ბოსტანში შტაბს მოაწყობს და სანგარს გათხრის. ყველა მხრიდან ისვრიან და არავინ იცის, ვისი ტყვია შეიძლება იყოს დამლუპველი. ოლეგა სროლის დროს დაიჭრება. მართალია, მოთხრობაში ზუსტად არ ჩანს, მაგრამ ივარაუდება, რომ მას ოსებისგან ნასტროლი ტყვია მოხვდა. რობიზონა აიძვრება მეზობელს: „— ოლეგა-მეთქი, — ვეუბნები, — დარდი არაფრისა გქონდეს, ბიჭო... როგორც ჩემ საკუთარ ბოსტანს, ისე მივხედავ შენს... შენს კარ-მიდამოს!...“ სინამდვილეში, რა საკვირველია, რობიზონასათვის ეს საკუთარი, მისი სახლ-კარია. ნერვულად გამოვრებული „შენს... შენს სახლ-კარს“ სწორედ ამას მიუთითებს.

ოლეგა თანამედროვე ჯაყოა, ოღონდ რობიზონა თეიმურაზი აღარ არის. სწორედ ამიტომაც რობიზონა ამ მოთხრობაში გამარჯვებულია. სტერეოტიპული აზროვნების განვითარება საზოგადოებრივი აზრის მიმართულებით აქ აშკარაა.

მიხო მორჩილადის მოთხრობა „მოუკითხავნი“ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდგომ პერიოდზე მოგვითხრობს. მოთხრობის გმირი ნიკა მაჩაბელი აფხაზეთის ომის მონაწილეა, თუმცა ომის დასრულების შემდგომ საკუთარ ადგილს ველარ პოულობს. შინ დაბრუნების შემდეგ წერს წერილებს საქართველოს პრეზიდენტს, სთხოვს ელემენტარულ დახმარებას მებრძოლესათვის, ცდილობს შექმნას გასამხედროებული მობილური დაცვის რეჟიმული სამსახური, თუმცა ქვეყნის მთავარსარდლისაგან პასუხებს არ იღებს. იმედგაცრუებული და უფუნქციო კვლავაც სამხედრო შენაერთს აყალიბებს თანამოაზრებთან ერთად და აფხაზეთში მიდის პარტიზანული ომისათვის. თუმცა მებრძოლის მთავარი სამიზნე არა ეთნიკური აფხაზები, არამედ რუსები არიან: „მე კი ვფიქრობ, რომ ჩვენ უპირველესად აფხაზეთში არა სეპარატისტების ძალოვნებს და არა „სამშვიდობოებს“, არამედ იმ რუს „სპეცებს“, მედესანტებს, „სამხედრო მრჩეველებს“, პროფესიონალ მკვლევებს, ინტერვენტებს უნდა დავცხოთ, რომელთაც აფხაზეთში ოფიციალურად არაფერი ესაქმებათ“ (მორჩილადე 2008: 48-49).

ქართულ-ოსური კონფლიქტი და პოსტკონფლიქტური მდგომარეობა აღწერილი ზეინაბ მეტრეველის რომანში „საყდრის ჩიტები“. მშობლიურ სოფელში დაბრუნებული პერსონაჟი სრულიად სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდება. კონფლიქტის ზონის სოფელი ნასოფლარად არის ქცეული, სადაც ერთადერთი ქართველი მესაფლავე იოსებაა, რომელსაც პერიოდულად რუს მშვიდობისმყოფელებთან ერთად ეთნიკური ოსი, ვლადი მოჰყვება ხოლმე. იოსება მესაფლავეა და საფლავეებს თხრის. სოფელში აღარავინაა დარჩენილი და ამიტომ იოსებას გიჟად თვლიან და საჭმელსაც უტოვებენ. იოსებას

კი თავისი მიზნები აქვს, თავისი შეხედულებები: “ქვეყანაში, სადაც ცოცხლები დაივიწყეს, მკვდრებით მაინც უნდა ახსოვდეთ ის მიწა, რომელსაც ახლა მე ვთხრი. ასე მგონია, საფლავებით-ლაშვიანარჩუნებ მეთქი” (მეტრეველი 2004: 24).

დევნილობისა და უსახლკარობის შეგრძნებები, საკუთარი ადგილის ძიების პრობლემა უცხო ქალაქსა და საზოგადოებაში, ტრაგიკულობის მუდმივი გრძნობა, მომხდარის ანალიზის მცდელობა თითქმის ერთნაირად საერთოა ქართული პოსტსაბჭოთა მწერლობისათვის. მძაფრი წინააღმდეგობები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ისედაც მუდმივად იქმნებოდა. ღირებულებათა ცვლა, კონფლიქტის შედეგად დარღვეული მყუდროება, პიროვნული და საზოგადოებრივი ცხოვრების რიტმის შეცვლა თავისებურად არის წარმოჩენილი პოსტსაბჭოთა ქართველ მწერლებთან. ეთნიკური კონფლიქტის მიზეზები, დამნაშავეის ძიება და დანაშაულის მძაფრი შეგრძნება საინტერესოდ და განსხვავებულად იკითხება თითოეულ ავტორთან.

ბიოგრაფიული და ავტობიოგრაფიული ჩანართები თხრობაში, კონფლიქტის დროს უშუალოდ განცდილი და წლების შემდეგ გადაფასებული შეხედულებები განსხვავებულ მიმართებასა და განსხვავებულ სახეებს ქმნიან. დაბრუნება წარსულში, წარსულის ახსნა და ამოხსნა, ძიება ისევ წარსულიდან ეთნიკური კონფლიქტის თემაზე შექმნილი ნაწარმოებებისათვის ერთნაირად დამახასიათებელია.

დამონმებანი:

- ნოდია 2003:** ნოდია გ. საქართველოს მრავალეთნოსურობა, წიგნში: ერთი საზოგადოება, მრავალი ეთნოსი, თბ.: 2003.
- მინდაძე 2005:** მინდაძე ი. ჯგუფის თვითმყოფადობა და კულტურული მემკვიდრეების ხატები, თბ.: 2005.
- მეტრეველი 2004:** მეტრეველი ზ. საყდრის ჩიტები. თბ.: 2004.
- მორჩილაძე 2008:** მორჩილაძე მ. მოუკითხავნი. ჟურნ. ლიტერატურული პალიტრა, № 4, აპრილი, თბ.: 2008.
- ფხაკაძე 2005:** ფხაკაძე თ. ბოსტანი კონფლიქტის ზონაში. ჟურნ. ლიტერატურული პალიტრა, № 6, ივნისი, 2005.

ირმა რატიანი

კარნავალური კულტურა, სოციალური მაგოლოგია და კომპარატივისტული ანალიზის პრინციპები

ყოფის რიტუალიზაცია და კარნავალიზაცია რომანის ჟანრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, მაგრამ სტრუქტურულად რთული ასპექტია. პრობლემის სირთულეს თავად რიტუალიზებისა და კარნავალიზების სპეციფიკური ხასიათი განაპირობებს.

პირველი მკვლევარი, ვინც ღრმად შეისწავლა კარნავალური ტრადიციების გადანაცვლების საკითხი იმპროვიზებული ფოლკლორული სამყაროდან ლიტერატურული ტექსტის დონეზე, იყო მ. ბახტინი. თავის საპროგრამო ნაშრომში „ფრანსუა რაბლე და შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხალხური კულტურა“ მან მთელი სიმწვავეთ დასვა მენიპეური სატირისა და კარნავალური კულტურის მაკოორდინირებელი ფუნქციის საკითხი მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე, შეძლო კარნავალიზაციის, როგორც კულტურული მოვლენის კონცეპტუალური და სტრუქტურული როლის გამოკვეთა ფრანსუა რაბლეს შემოქმედებაში და, რაც არსებითია, პრობლემის დამაჯერებელი განზოგადება. კარნავალური მოტივების რეინკარნაცია შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის (და მომდევნო ეპოქების) ლიტერატურაში ბახტინმა მჭიდროდ დაუკავშირა რეალისტური ტენდენციების დამკვიდრებას და ოფიციალის, საეკლესიო დიქტატისა და ფეოდალური კულტურის წინააღმდეგ თამამი მანიფესტაციების გამწვავებას. გროტესკის, იუმორისა და სიცილის ფორმით გამოვლენილი კარნავალი, მისი აზრით, არამარტო ეწინააღმდეგებოდა არასასურველ რეჟიმს, არამედ, ალტერნატივის სახით, უპირისპირებდა მას სიმართლეს.

თეორია წარმატებული აღმოჩნდა არა მხოლოდ შუა საუკუნეებისა და რენესანსული რომანის, არამედ, ზოგადად, რომანისტიკის დონეზე. ხალხური კულტურის წიაღიდან აღმოცენებულმა კარნავალმა და კარნავალურმა ტრადიციამ ტექსტუალიზებული ფორმა მიიღო და იქცა იმ სპეციფიკურ კოსმოგონიად, რომელიც არ ცნობს სუბსტანციასა და მიზეზობრიობას და არსებობს მხოლოდ აქტიური ურთიერთობების სახით.

კარნავალური ნარატივი განისაზღვრა ისეთი მკვეთრად ჩამოყალიბებული მახასიათებლებით, როგორცაა: პაროდირება; თავისუფალი, ფამილარული ურთიერთობების დემონსტრირება; მსოფლმხედველობრივად, ზნეობრივად და ეთიკურად დაპირისპირებული წყვილების — დაბადება/სიკვდილი, სიყრმე/სიბერე, მალლა/დაბლა, სახე/ზურგი, სიბრძნე/სიცრუე, ქება/ლანძღვა — ამბივალენტური გამთლიანება; არაცნობიერი ინსტინქტების — სექსი, ჭამა-სმა, — აქცენტირება; დაბოლოს, განახლებისა და აღორძინების

მაგისტრალური მოტივების დამკვიდრება. აღნიშნული მახასიათებლების კომპოზიციური ფუნქცია ტექსტში, გამოხატავდა რა თანამედროვეობის პოლიტიკურ, სოციალურ, ეთიკურ და სულიერ პრობლემათა სპექტრს, სხვადასხვა ფორმითა და სიმწვავით ვლინდებოდა განსხვავებული ესთეტიკური და ლიტერატურული ეპოქების ნიაღში.

ამ თვალსაზარისით, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, ერთი მხრივ, კლასიკური რეალიზმის ეპოქის რომანი (მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლები), რომელიც კრიტიკულად გაიაზრებდა ყოფას და სრულიად დაუფარავად იყენებდა ლიტერატურას მწვავე საზოგადოებრივ პრობლემათა გახშიანების ტრიზუნად და, მეორე მხრივ, რეალიზმის ნიაღიდან ამოზრდილი და მაღალი მოდერნიზმის ჭრილსა და სტილში ფორმირებული მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების რომანი, რომელიც ჩვენს მიერ განსაზღვრული იქნა (ნაშრომში „ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში“, 2005), როგორც ესკატოლოგიური ანტიუტოპია. როგორც ერთი, ისე მეორე ჟანრის რომანების კონცეპტუალური და სტრუქტურული მოდელები ადასტურებს მათ ღიაობას კარნავალური ნარატივის მიმართ, რადგან კარნავალის ტექსტუალიზება, ბახტინის სამართლიანი მტკიცების თანახმად, გარდაუვალად უკავშირდება რეალიზმის, როგორც მეთოდის, აქცენტირებას. თუმცა არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში კარნავალი არ ვლინდება მისი კლასიკური გაგებით, არამედ მოდიფიცირებულია და, უმეტესწილად, გადაფარულია ფსევდოკარნავალური ნარატივითა და მისთვის ნიშანდობლივი ტექსტუალური ფორმებით, როგორცაა: ფსევდო-პაროდია, ფსევდო-სიბრძნე, ფსევდო-სიყვარული, ფსევდო-ოჯახი, ფსევდო-ღირებულებები და სხვა. სრულიად ცხადად იკვეთება პრობლემათა რიგი, რომელიც შემდეგი თანამიმდევრობით შეიძლება დალაგდეს: როგორ ხორციელდება ტექსტში კარნავალური ნარატივის ტრანსფორმაცია ფსევდოკარნავალურ ნარატივში? რით არის გამონეული კარნავალური ნარატივის ჩანაცვლება ფსევდოკარნავალური ნარატივით? როგორია ფსევდოკარნავალური ნარატივის დამოკიდებულება კონტექსტთან? არის თუ არა მისი კონცეპტუალური და სტრუქტურულ-კომპოზიციური ფუნქცია იდენტური ზ. ა. რომანების დონეზე? პასუხი ამ კითხვებზე უთუოდ შეიძენს მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას.

მიხაილ ბახტინის თეორიის თანახმად, კარნავალური რეალობის ცენტრალური მახასიათებლები — განახლება და აღორძინება — არასოდეს ხორციელდება კონკრეტული კარნავალური სუბიექტის დონეზე, იგი ხალხის, როგორც ერთი მთლიანი, მონოლითური ორგანიზმის თვისებაა და გარდაუვალად უკავშირდება სიკვდილს. მიგვაჩნია, რომ კარნავალის სწორედ არაპერსონალური პარადიგმა, კოლექტიურობა, როგორც თვისება, იქცევა ტექსტში ფსევდოკარნავალური მოტივის დამკვიდრების საფუძვლად, იმ ძირითად მოტივაციურ მოდელად, რომელიც იწერება ტექსტში და რომლის

მიმართაც საკუთარ დამოკიდებულებას აყალიბებს მთავარი პერსონაჟი: ის ან კონფორმისტულ თანხმობაშია ფსევდოკარნავალურ ნარატივთან, ანაც აქტიურად უპირისპირდება მას ნონკონფორმისტის პოზიციიდან.

ფსევდოკარნავალური ნარატივის დაპირისპირება კარნავალურ ნარატივთან ხორციელდება კონცეპტუალური ოპოზიციის „უნყვეტი/დროებითი“ ქრილში. სწორედ „დროებითობა“ განასხვავებს კარნავალს „დაუსრულებელი“ და „უნყვეტი“ ფსევდოკარნავალისგან. ფსევდოკარნავალურმა ატმოსფერომ უკუაგდო „დროებითობა“, როგორც კარნავალის განმსაზღვრელი მახასიათებელი და „განუნყვეტელი მუდმივობის“ ამპლუაში გადაწყვიტა იგი. კარნავალის „დროებითობა“ „დროებითი იდილიის“ რელევანტური ცნებაა, იმ „დროებითი უფლებისა“, რომლის მეშვეობითაც ცხოვრების ნორმირებული ჩარჩოებით შეზღუდული ადამიანი დროებით იმეცნებს საკუთარ თავს და იკმაყოფილებს თავისუფლების მარადიულ წყურვლს. ფსევდოკარნავალის „მუდმივობა“ კი, პირიქით, არც „მეორე ცხოვრებას“ ქმნის და არც არსებულ წესრიგის ხუნდებისაგან ათავისუფლებს ადამიანს. ის, როგორც გამყარებული რეალობისა და გაბატონებული იდეოლოგიის შენელებული მოდელი, განამტკიცებს თავსმოხვეული სიმართლის, ანუ რეალურად არსებული მოდელის მუდმივობას.

ფსევდოკარნავალური „დაუსრულებლობის“ კონტექსტში აქტიურად რეალიზდება კარნავალური ლიტერატურისათვის ნიშანდობლივი „კოლექტიურობის“ პათოსი, რომელიც ტექსტში პერმანენტული ფსევდოსაზიემო განწყობილების მატარებლად გვევლინება. მამასადამე, კარნავალური ნარატივის ჩანაცვლება ფსევდოკარნავალური ნარატივით ტექსტში მოტივირებულია ბრუტალური რეალობის აქცენტირებითა და მასთან პერსონაჟის მიმართების მკვეთრი ფიქსირებით. თავის მხრივ, პერსონაჟის დამოკიდებულება ფსევდოკარნავალურ ნარატივთან მუდმივად არის მართული კონტექსტის მიერ, ანუ, განსაზღვრულია იმ ლიტერატურული პრინციპებით, რომლის წიაღშიც იწერება ფსევდოკარნავალური ნარატივი. გერმანელი ლიტერატურათმცოდნის ბ. ტოიბერის სამართლიანი შენიშვნით, ახალი დროის მიჯნაზე მდგარი ფილოლოგიის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს გონის ამბივალენტურობის ძიება ყოველ კულტურულ მოდელში, ანუ მითის იმ ტრაგიკული ნიღბის გააზრება, რომლის მეორე მხარესაც „კარნავალის დიონისური ხიზლი“ წარმოადგენს. ამ კონცეპტუალური ამბივალენტურობის კონტექსტში განიხილავენ პ. ვაილი და ა. გენისი ლიტერატურის, როგორც კულტურის უმნიშვნელოვანესი ფორმის, განვითარების ზოგად ტენდენციებსაც. ლიტერატურა, მათი აზრით, ორი ნაკადის მთლიანობას წარმოადგენს, „ორი ლიტერატურისა“, სადაც „პირველი მომდინარეობდა პრინციპიდან: ადამიანს განაპირობებს საზოგადოება — და ქმნიდა პიროვნების, როგორც

„Homo socialis“ - ის კონცეფციას, მეორე კი — უბრალოდ „Homo“ — სა“ (ლანინი 1993: 108).

თუ პირველი ტიპის ლიტერატურისათვის „კონფლიქტი კონკრეტულ-ისტორიული გარემოებითაა განპირობებული და საზოგადოების ანალიზი გარდაუვალად უკავშირდება პიროვნების ანალიზს“, მეორე ტიპის ლიტერატურაში „ადამიანი წარმოდგება არსებად, რომელსაც გამოარჩევს გენეტიკური მემკვიდრეობით მიღებული ინდივიდუალური თვისებები (შეიძლება — ღვთისაგან მომადლებულიც. ეს ავტორის შეხედულებაზეა დამოკიდებული). საზოგადოება, ამ შემთხვევაში, ბრძოლის ველია, არენა, სადაც თითოეული ინდივიდის ნება უპირისპირდება სტიქიურად (ან ორგანიზებულად) შემუშავებულ სოციალურ ეტიკეტს. ბუნებრივი არსება და ხელოვნური სტრუქტურა. ვინ ვის დაჯაბნის?“ (ლანინი 1993: 108).

ანალიზის სწორედ ამგვარი მიმართულება იძლევა ფსევდოკარნავალური ნარატივის კომცეპტუალური და სტრუქტურულ-კომპოზიციური ფუნქციების თეორიული გამიჯვნის საშუალებას განსხვავებული კულტურული და ლიტერატურული კონტექსტების დონეზე.

თუ კლასიკური რეალიზმის ეპოქის რომანი (მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლები) შეიძლება მივაკუთვნოთ ლიტერატურის პირველ ტიპს, მაღალი მოდერნიზმი ნიაღში ფორმირებული ესქატოლოგიური ანტიუტოპია მეორე ტიპის ლიტერატურის გამოვლინებაა. მათი კონცეპტუალური მიმართება ფსევდოკარნავალურ ნარატივთან, როგორც ბრუტალური რეალობის მოდელთან, იდენტურად უარყოფითია, პრობლემის გადაჭრის სტრუქტურულ-კომპოზიციური გზები კი — ძირეულად განსხვავებული, რაც, უპირველეს ყოვლისა, პერსონაჟთა სისტემით ანუ სოციალური იმაგოლოგიის* გარკვეული მოდელებითაა გამოხატული. შესაბამისი ისტორიული, სოციალური და კულტურული კონტექსტიდან გამომდინარე, იქმნება სოციალური იმაგოლოგიის განსხვავებული მოდელები, რომლებიც კონკრეტული კონტექსტისათვის ნიშანდობლივ გამყარებულ სოციალურ სტერეოტიპებად შეიძლება მოვიაზროთ და რომელთა თვისებრივი არაერთგვაროვნებაც ვლინდება ოპოზიციის „კონფორმისტი/ნონკონფორმისტი“ ჭრილში.

* ტერმინი „იმაგოლოგია“ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ითარგმნა როგორც „სახისმეტყველება“, მხოლოდ ცნების ანალიზი პრიორიტეტულად განხორციელდა ქრისტიანული სახისმეტყველების მიმართულებით. იმაგოლოგია ძალზე ფართო ცნებაა და მოიცავს ტექსტის სრულიად განსხვავებულ ასპექტებს. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობით პრაქტიკაში უკვე აპრობირებულია სოციალური, კულტურული, ლანდშაფტური და სხვა ტიპის იმაგოლოგიური კვლევები. სასურველია, თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობა მეტი სიღრმით მოეკიდოს ამ ცნებას.

თუ კლასიკური რეალიზმის ეპოქის რომანის მთავარი პერსონაჟი, რომელიც აქტიურადაა ჩართული ფსევდოკარნავალურ ფსევდოზეიმში, ნებაყოფლობითი კონფორმისტია, რეალური გარემოების ტიპიური ტყვეა და ცდილობს მასთან ჰარმონიული დამოკიდებულების შენარჩუნებას, ესქატოლოგიური ანტიუტოპიის პერსონაჟი ამბოხებული ნონკონფორმისტია, დროსთან დაპირისპირებული ინტელიგენტი, რომელიც საკუთარი ნების წინააღმდეგ არის ჩაკარგული ფსევდოკარნავალის ლაბირინთში და ცდილობს თავის დაღწევას. თუ პირველი ტიპის რომანების პერსონაჟები ძალიან ჰგვანან ბევრ „სხვას“, თავის თანამედროვეს, და კომფორტულად არიან განთავსებულნი საკუთარ ფსევდოკარნავალურ ნაჭურჭში, მეორე ტიპის რომანების პერსონაჟები, დამცირებულნი, უარყოფილნი, განსხვავდებიან „სხვებისაგან“ როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი მახასიათებლებით და საკუთარ თავშივე ეძიებენ ფსევდოკარნავალისაგან ხსნის გზას. თუ პირველი ტიპის რომანების მთავარი პერსონაჟები ნარმოადგენენ რეალობისადმი კრიტიკულად განწყობილი ყოვლისშემძლე და გავლენიანი რეალისტი ავტორების გაკიცხვის საგანს, მეორე ტიპის რომანების მთავარი პერსონაჟები მეამბოხე ავტორების რჩეულნი არიან და მაქსიმალურად გრძნობენ მის მხარდაჭერას. სოციალური იმაგოლოგიის სფეროში მსგავსი ლიტერატურული და ეპოქალური სტერეოტიპების არსებობა დასტურდება ინტერკულტურულ ჭრილში წარმოებული შედარებითი ანალიზის მეშვეობით.

საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ოთხ ტექსტს: „კაცია-ადამიანი?!“ (ი. ჭავჭავაძე), „ობლომოვი“ (ი. გონჩაროვი), „ჯაყოს ხიზნები“ (მ. ჯავახიშვილი) და „მოპატიჟება სიკვდილზე“ (ვ. ნაბოკოვი). ლიტერატურულ-ესთეტიკური კონტექსტის ნიშნით იკვეთება შემდეგი წყვილები: „კაცია-ადამიანი?!“ / „ობლომოვი“; „ჯაყოს ხიზნები“ / „მოპატიჟება სიკვდილზე“. თუ პირველი წყვილი განეკუთვნება კლასიკური რეალიზმის ეპოქას, მეორე წყვილის ნაკითხვა საშუალებას იძლევა, მივაკუთვნოთ ისინი ესქატოლოგიურ ანტიუტოპიათა რიგს. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტები განეკუთვნებიან განსხვავებულ კულტურულ მოდელებს, ოთხივე ტექსტი გახსნილია ფსევდოკარნავალური ნარატივის მიმართ, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ფსევდოკარნავალური ტექსტი გვევლინება ლიტერატურათაშორისი და კულტურათაშორისი დიალოგის ფორმად. იდენტური ლიტერატურულ-ესთეტიკური კონტექსტის დონეზე დიალოგი ჰარმონიულია, განსხვავებული ლიტერატურულ-ესთეტიკური კონტექსტის დონეზე — წინააღმდეგობრივი, ვინაიდან წყვილების სტრუქტურულ-კომპოზიციური მიმართება ფსევდოკარნავალურ ტექსტთან განსხვავებულია — პირველი წყვილი ექვემდებარება კლასიკური რეალიზმის ეპოქის რომანის პრინციპებს, მეორე წყვილი — მალალი მოდერნიზმისა: თუ ლუარსაბ თათქარიძე და ილია ობლომოვი განპირობებულნი არიან საზოგადოების მიერ, ანუ,

წარმოადგენენ დაავადებული საზოგადოების ორგანულ ნაწილს, ნებაყოფლობით არიან ჩართულნი დაუსრულებელი ფსევდოკარნავალის ფსევდოზეიმში და ღრმად სწამთ მისი უწყვეტობისა, თეიმურაზ ხევისთავი და ცინცინატი ც. განხვავდებიან დაავადებული საზოგადოების დანარჩენი წევრებისაგან, საკუთარი ნების წინააღმდეგ არიან მოქცეულნი ფსევდოკარნავალურ ფსევდოზეიმში, გრძნობენ ვითარების აბსურდულობას და სტიქიურად უპირისპირდებიან მას. თუ ილია ჭავჭავაძე და ივანე გონჩაროვი იძულებულნი არიან, გაამათრახონ საკუთარი კონფორმისტი პერსონაჟები და თავიანთი მოქალაქეობრივი პოზიციიდან დაუსვან წერტილი მათ ფსევდოკარნავალურ ცხოვრებას, მიხეილ ჯავახიშვილი და ვლადიმერ ნაბოკოვი თავგანწირულად იბრძვიან ნონკონფორმისტი პერსონაჟების ინდივიდუალური ნების გადასარჩენად, ვინაიდან სწამთ, რომ ხსნის გზა სწორედ ინდივიდის გონზე ძევს.

რეალიზმის ეპოქის ფსევდოკარნავალური ნარატივი დომინანტურად არის გამოხატული ჭამა-სმის აქტისა და იდილიური განცხრომის აქცენტირების, აგრეთვე, ურთიერთობათა პაროდირების ფორმით. გასტრონომიული ფსევდოზეიმის პირდაპირ შედეგს პერსონაჟთა გარეგნული დეგრადაცია წარმოადგენს — ხორცისა და ქონის ზეობა, რაც მიუთითებს, ერთი მხრივ, პერსონაჟის სულიერ ღირებულებებთან დევალვაციაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ავტორის კრიტიკულ-ცინიკურ პოზიციაზე პერსონაჟის მიმართ. აღსანიშნავია, რომ კლასიკური რეალიზმის ეპოქაში პაროდირება, ინარჩუნებს რა რაბლენურ მუხტს, ახდენს ძირითადი სულიერი ფასეულობების დაკარგვის ტენდენციის აქცენტირებას. ლიტერატურული პაროდირების განმსაზღვრელ მახასიათებელს ე.წ. მოტივთა დამდაბლება წარმოადგენს, რაც მოტივთა სტრუქტურული ამბივალენტურობითა და გროტესკული მატერიალიზაციითაა აღნიშნული. ამ კონცეფციას ცენტრალური ადგილი უჭირავს მ. ბახტინის თეორიაში კარნავალური ლიტერატურის შესახებ. ბახტინის აზრით, დეგრადაცია, ანუ დამდაბლება გროტესკისათვის ტიპური და მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც ამბივალენტურ ხასიათს ატარებს და „აბსოლუტურ და მკაცრ ტოპოგრაფიულ მნიშვნელობას იძენს“ (ბახტინი 1986: 313): დამდაბლება, ერთი მხრივ, გულისხმობს რადიკალურ „დაღმასვლას“, დაშვებას ციდან მიწაზე, მეორე მხრივ კი — აღმასვლასა და თავიდან დაბადებას. მაგრამ რამდენად არის შენარჩუნებული პაროდის ეს სიღრმისეული დატვირთვა კლასიკური რეალიზმის ჩვენთვის საინტერესო ტექსტებში? „შუა საუკუნეების პაროდია, — წერს ბახტინი, — სრულიადაც არ ჰგავს ახალი დროის ფორმალურ ლიტერატურულ პაროდიას. ლიტერატურული პაროდია, მსგავსად ნებისმიერი სხვა პაროდისა, ამაღლებს, მაგრამ ეს დამდაბლება წმინდად უარყოფით ხასიათს ატარებს და მოკლებულია ამალორძინებელ ამბივალენტურობას. ამიტომაც, პაროდიას, ისევე როგორც დამდაბლების თვისების მქონე სხვა ჟანრებს, ახალი დროის

პირობებში, არ ძალუძს თავისი წინანდელი უდიდესი მნიშვნელობის შენარჩუნება“ (ბახტინი 1986: 314). ვფიქრობთ, ბახტინის ეს მოსაზრება იმდენადვე სამართლიანია კლასიკური რეალიზმის ტექსტების — „კაცია-ადამიანი?!“ და „ობლომოვი“ — მიმართ, რამდენადაც უსამართლოა მაღალი მოდერნიზმის ეპოქის ტექსტების მიმართ.

მაღალი მოდერნიზმის კონტექსტში ფორმირებულ ესქატოლოგიურ ანტიუტოპიაში პაროდის სტილისტური ხერხის დამკვიდრება მჭიდროდ დაუკავშირდა პაროდის ჟანრისათვის ნიშანდობლივ მოტივთა დამდაბლებას. ანტიუტოპიური დამდაბლების ძირითად სამიზნედ საკრალურის პაროდირება იქცა. მაგრამ აღნიშნულ თხზულებებში აქტიურად დანერგილმა პარადორების სტილისტურმა ხერხმა შეინარჩუნა თავისი „ამალორძინებელი ამბივალენტურობა“ და „ახალი დროის პირობებში“ მოახდინა არა მხოლოდ ძირითადი სულიერი ფასეულობების დაკარგვის ტენდენციის აქცენტირება, არამედ მათი რეინკარნაციისათვის საჭირო ნიადაგის მოსინჯვა და მომზადება. მე-20 საუკუნის დასაწყისში, ანუ რელიგიური ცნობიერების სრული რეგენერაციის ეპოქაში, ოპოზიციამ საკრალური/დესაკრალური უკიდურესი სიმწვავე შეიძინა და თავი იჩინა ისეთ დამდაბლებულ მოტივებში, როგორცაა: რელიგიის პროფანაცია, საეკლესიო თემატიკის პაროდირება და დემიურგული ფუნქციის ირონიზება. პაროდიული სიცილი, ამ შემთხვევაში, გვევლინება იმ უმნიშვნელოვანეს საფეხურად, ფასეულ კარიბჭედ, რომელიც გულისხმობს „იმანენტურ გადასვლას, პერტურბაციას გარკვეული მონობის მდგომარეობიდან გარკვეული თავისუფლების მდგომარეობაში“ (ავერინცევი 2001: 470). ჩვენთვის საინტერესო ტექსტებში — „ჯაყოს ხიზნები“ და „მოპატიჟება სიკვდილზე“ — ნარატივის სიმძიმის ცენტრი არის მთავარი პერსონაჟების ლტოლვა ფსევდოკარნავალური ტექსტიდან გარეთ, ფასეული ალტერნატივის, ახალი რეალობის, ახალი კოსმოსისაკენ. ეს პროცესი გულისხმობს არა ოდენ თვალსაჩინო განსხვავების აქცენტირებას რეალურ და წარმოსახულ სამყაროებს შორის, არამედ იმ ლოგიკური და ონტოლოგიური წინააღმდეგობების წარმოჩენას, რომელიც აუცილებლობასა და შესაძლებლობას შორის არსებობს. ალტერნატიული სამყარო მხოლოდ მაშინ იქცევა შესაძლებლობად, როდესაც იგი ავტორის წარმოსახვაში ყალიბდება და თანამიმდევრულად ხორციელდება რჩეული პროტაგონისტის ტრანსფორმაციული სულისკვეთების მეშვეობით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ორი განსხვავებული ლიტერატურულ-ესთეტიკური ეპოქის ტექსტების ანალიზი ფსევდოკარნავალურ ნარატივთან მათი მიმართების ჭრილში ადასტურებს შემდეგს:

1. ფსევდოკარნავალური ნარატივი, როგორც „განუწყვეტელი მუდმივობა“ ყალიბდება კარნავალურ „დროებითობასთან“ წინააღმდეგობაში;

2. კარნავალური ნარატივის ჩანაცვლება ფსევდოკარნავალური ნარატივით ტექსტში მოტივირებულია ბრუტალური რეალობის აქცენტირებითა და მასთან პერსონაჟის მიმართების მკვეთრი ფიქსირებით;

3. რეალიზმის მეთოდოლოგიური მოდელის ფარგლებში ფორმირებული ნებისმიერი ლიტერატურული ტექსტი, მიუხედავად მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური თუ კულტურული კუთვნილებისა, გახსნილია ფსევდოკარნავალური ნარატივის მიმართ, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ფსევდოკარნავალური ტექსტი გვევლინება ლიტერატურათამორისი და კულტურათამორისი დიალოგის ფორმად;

4. იდენტური ლიტერატურულ-ესთეტიკური კონტექსტის დონეზე დიალოგი ჰარმონიულია, განსხვავებული ლიტერატურულ-ესთეტიკური კონტექსტის დონეზე — წინააღმდეგობრივი, ვინაიდან განსხვავებულია სტრუქტურულ-კომპოზიციური მიმართება ფსევდოკარნავალურ ტექსტთან;

5. თუ კლასიკური რეალიზმის ეპოქის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ფსევდოკარნავალური აბსურდის, როგორც არაჯანსაღი საზოგადოებრივი ცნობიერების ზეობის გამომამკარავება, პაროდირება და გამათრახება, მაღალი მოდერნიზმის ეპოქაში ფორმირებული ესკატოლოგიური ანტიუტოპია არ კმაყოფილდება პრობლემის მხოლოდ ეგზიზტირებით, არამედ აქტიურებს პაროდირების „ამაღორძინებელ ამბივალენტურობას“ და „ახალი დროის პირობებში“ ახდენს არა მხოლოდ ძირითადი სულიერი ფასეულობების დაკარგვის ტენდენციის აქცენტირებას, არამედ მათი რეინკარნაციისათვის საჭირო ნიადაგის მომზადებასა და რეალიზებას.

განსხვავებული სტრუქტურულ-კომპოზიციური პოზიციის არსებობა ფსევდოკარნავალური ნარატივის მიმართ მიუთითებს კულტურული კონტექსტების არა კონცეპტუალურ დისჰარმონიაზე, არამედ — მეთოდოლოგიურ განსხვავებებზე. მეტიც, იქნებ გამომდინარეობაზეც კი ვისაუბროთ?

იქნებ იმიტომ კვდება ლუარსაბი, რომ მოხდეს კულტურული განახლება და იშვას თეიმურაზი? იქნებ ეს კულტურული მემკვიდრეობითობაა?..

ვფიქრობთ, კლასიკური ეპოქის რეალიზმისა და მაღალი მოდერნიზმის ეპოქის ტექსტების კომპარატივისტული ანალიზის ესთეტიკური პერსპექტივა შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთმანეთთან დაახლოება. ანალოგიები კონტაქტის გარეშე უზრუნველყოფენ კონკრეტული ლიტერატურული ტექსტების სინთეზირებას სპეციალურ კულტურულ-შემოქმედებით მოდელში. შესაბამისად, კომპარატივისტიკის მეთოდი წარმოადგენს ლიტერატურატურულ-ანალიტიკური აზრის გლობალურ მიმართულებას, რომლის საბოლოო მიზანი შემოქმედების ლიტერატურული საფუძვლების გამოვლენა და

ნაციონალური ლიტერატურების მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში ინტენსიური ინტეგრაციის დადასტურებაა.

დამონმეზანი:

- ავერინცევი 2001:** Аверинцев С. С. Бахтин, Смех, Христианская культура // Бахтин М. М. Pro Et Contra, Антология, т. 1. Санкт-Петербург: 2001;
- ბახტინი 1986:** Бахтин М. М. Франсуа Рабле и народная культура средневековья и Ренессанса // Бахтин М. М. Литературно-критические статьи. М.: 1986;
- ლანინი 1993:** Ланин Б. Русская литературная антиутопия Монография. М. :1993.

აპოლონ სილაგაძე

საქართველო, თბილისი

ქართული ლექსის კვალიფიკაციის საკითხი

1. მოცემული ლექსთწყობის სახეს განსაზღვრავს მოცემული ენის პროსოდიული ბაზა: პროსოდიული სისტემის ზესეგმენტური, ფუნქციონალური ფონემა წარმოადგენს ლექსთწყობის მოცემული სისტემის წარმომქმნელ ფაქტორს.

ამ თეზისზე დაყრდნობით, მეტრიკულ ტიპოლოგიაში ლექსთწყობათა ოთხი ძირითადი ტიპია წარმოდგენილი: სილაბური, აქცენტური (დინამიკური, კვალიტატიური, სილაბურ-აქცენტური), მეტრიკული (დურაციული, კვანტიტატიური), ტონური.

ამავე დროს აუცილებლადაა გასათვალისწინებელი შემდეგი პრინციპული გარემოება (იხ. სილაგაძე 1987: 114-115): კლასიფიკაციის დადგენილი ოთხწევრიანი სქემის არსებობა ჩვენთვის ყოველთვის არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ნებისმიერი ლექსთწყობა აუცილებლად ერთ-ერთ მათგანს მიეკუთვნება, — კერძოდ, არ უნდა გამოირიცხოს შესაძლებლობა, რომ რომელიმე კონკრეტული სისტემა არ თავსდება არცერთ ტიპოლოგიურ ჯგუფში, ან თავსდება იმდენად პირობითად, რომ ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელი ნიშნები აპრიორულად მას არ შეიძლება მიეყენოს.

მეორე მხრივ, ბუნებრივია დაისვას კითხვა: ეს ოთხკლასიანი სქემა ასახავს თუ არა პროსოდიის ყველა შესაძლებლობას?

ვერსიფიკაციული სისტემების ტიპოლოგიური კვალიფიციერებისას გათვალისწინებულია მარცვალი (მარცვალთა რაოდენობა) და მასში (ან მისგან შექმნილ კომბინაციებში) მოქმედი ძირითადი სუპრასეგმენტული მახასიათებლები: სიძლიერე, სიგრძე, სიმაღლე. მაგრამ ყოველი ენობრივი გამონათქვამის საერთო სახის შექმნისას, ჯერ ერთი, მისი შემადგენლები (მათ შორის მარცვლები) შეერთებულ მთელს ქმნიან, მეორეც, ამ დროს მნიშვნელობის მქონეა კიდევ ერთი მოვლენა – გამიჯვნა (პირველ რიგში, სიტყვებისა მათი ბოლო და პირველი მარცვლების დონეზე); შესაბამისად, სუპრასეგმენტულ ფონემებს ამ მოვლენის აღნიშვნის ფუნქციაც აქვთ.

პირველ რიგში ეს არის პაუზა, რომელსაც სტრუქტურულ ლინგვისტიკაში თავიდანვე მიექცა ყურადღება (ჰარისი 1951:14). უფრო ზუსტად, ლაპარაკია გასაყარის (boundary) მოვლენაზე სიტყვებს შორის, ასევე – სიტყვათა შემადგენელ მორფემებს შორის, ასევე – შესიტყვებებს შორის, რასაც სტრუქტურული ფუნქცია აქვს. ამ დროს ორ მეზობელ ბგერას შორის საარტიკულაციო შესვენებაა ე. წ. ღია გადასასვლელის (open transition) სახით, რომელსაც, როგორც ფონოლოგიური ღირებულების მქონე ფაქტორს, პაუზასთან (როგორც ამ შემთხვევაში მიჯნის ფონემასთან – juncture phoneme) ერთად ქმნის

მახვილიც და რიტმიც (იხ. თრეიგერი 1941: 224-226; ქართულისთვის იხ. ნერეთელი 1973: 44-50). როგორც უნდა იყოს ამ მოვლენის ფონეტიკური ბუნება და მისი კვალიფიკაცია, მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ ფუნქციურად ჩვენ საქმე გვაქვს სტრუქტურულ გასაყართან, როდესაც პაუზა და სხვა თანმხლები მახასიათებლები ახდენენ ენობრივ ერთეულთა, მათ შორის მაღალი დონის ერთეულთა, პირველ რიგში სიტყვათა, დიფერენცირებას.

საკუთრივ სალექსო-რიტმული ორგანიზაციის სისტემის დონეზე ლინგვისტურ დეტალებს (ფონეტიკური ხასიათისა) აღარ აქვთ მნიშვნელობა, — მთავარია, რომ არსებობს ასეთი მოვლენა, სიტყვათგასაყარი, და ზოგადად მისი აღნიშვნა შეიძლება დავუკავშიროთ პაუზას როგორც ენობრივ (ვირტუალურ თუ რეალიზებულ) ელემენტს.

ამ შემთხვევაში თეორიულად ადვილი წარმოსადგენია სურათი, როდესაც სიტყვათგასაყარი, რეპრეზენტირებული ვერსიფიკაციულ სისტემაში, აქტუალიზებულია ისეთი ძალით, როგორც, ვთქვათ, მახვილი აქცენტურ ლექსში, და აქვს რიტმის შექმნის თვისება, ე. ი. წარმოადგენს მუდმივ რიტმულ გასაყარს სალექსო-რიტმული ფუნქციით.

2. ლექსთწყობის ასეთი სისტემა სრულიად რეალურია, — ასეთი ვითარება გვაქვს ქართულ ლექსში, რომლის კვალიფიცირება სილაბურ ლექსად მხოლოდ პირობითად შეიძლება.

ქართულში სალექსო ერთეულს (სტრიქონი და სხვ.) წარმოადგენს არა მარცვალთა მოცემული რაოდენობისგან (მაგ., 7) შემდგარი ოდენობა, არამედ ბინარული აგებულება — ორწევრედი (მაგ., 5+2 ან 4+3); ამ დროს მარცვალთა ერთი და იმავე რაოდენობის შემცველი ორწევრედები ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავდებიან იმით, რომ თითოეულს აქვს თავისი მუდმივი რიტმული გასაყარი (შექმნილი მუდმივი სიტყვათგასაყარის ბაზაზე), ეს გასაყარი აგებს დამოუკიდებელ სტრუქტურებს, ხოლო საბოლოოდ თითოეული მათგანი ქმნის დამოუკიდებელ მეტრს; ამავე დროს, თუ საქმე გვაქვს სხვადასხვა სიგრძის სტრიქონების კომბინაციით მეტრის აგებასთან, ერთმანეთთან შეთავსებადია მხოლოდ ისეთი სტრიქონები (ბინარული აგებულებები), რომელთაც ერთი და იგივე რიტმული გასაყარი აქვთ.

შესაბამისად: 1) რომელიმე 5+2, ეს არის დამოუკიდებელი მეტრი (თავისი გამეორებით აგებული), რომლის სახე განსაზღვრულია არა იმით, რომ იგი 7-მარცვლიანია, არამედ იმით, რომ მას აქვს თავისი სტრუქტურული ნიშანი — გასაყარი 5 მარცვლის შემდეგ. ამიტომვე რომელიმე 4+3, რომელიც ასევე 7-მარცვლიანია, არის დამოუკიდებელი მეტრი, რადგანაც მასში გასაყარი სხვა ადგილზეა — 4 მარცვლის შემდეგ. 2) ე. წ. ჰეტერომეტრულ აგებულებებში იგივე 5+2 ემეზობლება მხოლოდ ისეთ ორწევრედს, რომელსაც (აქვს რა სხვა სილაბური სიგრძე) აქვს იგივე რიტმული გასაყარი 5 მარცვლის

შემდეგ (5+5, 5+4 და ა. შ.); ხოლო იგივე 4+3 შედის კომბინაციაში მხოლოდ ისეთ აგებულებებთან, რომელთაც გასაყარი 4 მარცვლის შემდეგ აქვთ (4+4, 4+2 და ა. შ.)

ის, რაც ითქვამს, არის გამარტივებული სურათი ქართული ლექსთნყოფის სისტემისა (მის შესახებ იხ. სილაგაძე 1987), რომელშიც მინიმალური რიტმული ერთეულია ორწევრედი. ორწევრედის სისტემა სამი კლასისგან შედგება:

I	II	III
5+5	4+4	3+3
5+4	4+3	3+2
5+3	4+2	3+1
5+2	4+1	3+0
5+1	4+0	
5+0		

საერთო ფორმულა: $n+k$, სადაც $n \geq k$.

ამ სისტემის რეალიზაციისას ჩვენ ვერ მივიღებთ მეტრს, რომელიც მარკირებული იქნება როგორც სილაბთა გარკვეული რაოდენობა. რომელიმე 8-მარცვლიანი ოდენობა სინამდვილეში არის ან 5+3, ან 4+4, ან 3+3+2 სტრუქტურა; რომელიმე 10-მარცვლიანი არის ან 5+5, ან 4+4+2, ან 3+3+3+1 სტრუქტურა და ა. შ.

ერთეულთა სტრუქტურებს (და მათ იერარქიას) და სალექსო მეტრებს ქმნის რიტმული გასაყარი (და მისი იერარქია). რიტმულ გასაყარს წარმოშობს სიტყვათგასაყარის მუდმივი პოზიცია სხვა სიტყვათგასაყართა ფაკულტატიური არსებობის პირობებში (რიტმული გასაყარი, ნებისმიერი იერარქიული დონისა, თანხვედვა ენობრივ სიტყვათგასაყარს, მაგრამ ყველა სიტყვათგასაყარი არ არის რიტმული გასაყარი). მოცემული ერთეულის რიტმული გასაყარი არის ერთეულის ორ წევრს შორის მიდმივი ფაქტორი, რომელიც ამ ერთეულის, როგორც ბინარული ფორმის, დონეზე გამოყოფს და აფორმებს მის ორ შემადგენელს, ხოლო მთელი სისტემის, როგორც იერარქიულად დაკავშირებული ერთეულების მთლიანობის, დონეზე კრავს ამ ორ შემადგენელს და აფორმებს მოცემულ ბინარულ ერთეულს, გამოყოფს რა მას ერთეულთა იერარქიაში. სხვა სიტყვებით, რიტმული გასაყარის ფუნქცია არის არა გამოყოფა, არამედ ორი შემადგენლის დადგენა და მისი გაერთიანება ერთ ბინარულ ერთეულად. მარცვალთა რაოდენობები, რომელიც ამ დროს იქმნება, მთლიანად დამოკიდებულია რიტმული გასაყარის ფაქტორზე (იზოლისაბიზმი გარეგანი ნიშანია, რომელიც – იმ შემთხვევაშიც, თუ რეალიზებულია – წარმოადგენს რიტმული სიტყარბის მოვლენას; სტრუქტურის პოზიციებიდან კი ჩვენ გვაქვს ერთი და იმავე რიტმული გასაყართ შექმნილი იზომორფიზმი, რომელიც იმ შემთხვევაშიც

წარმოდგენილია, როდესაც გარეგანი იზოსილაბიზმი არ გვაქვს); ასევე: მახვილთა კონფიგურაცია, რომელსაც ლექსში გარკვეული დამხმარე ფუნქცია აქვს (უფრო დაწვრილებით იხ. სილაგაძე 1986: 12-18), მთლიანად დამოკიდებულია რიტმული გასაყარის ფაქტორზე. (ბუნებრივია, ლექსში ყოველთვის მოინახება ერთზე მატი მახასიათებელი, მაგრამ დგინდება ერთი მთავარი, მუდმივი სტრუქტურული ნიშანი; შდრ. ტარანოვსკი 1966: 173).

ამ ტიპის ლექსთწყობის კვალიფიკაცია მხოლოდ ასე შეიძლება: ლექსთწყობა, დამყარებული რიტმული გასაყარის ფაქტორზე. თუ ავიღებთ ლექსთწყობათა იმ კლასიფიკაციას (ლოთცი 1966: 140-141), რომელშიც წარმოდგენილია ოთხი ტიპი, გაერთიანებული ორ პრინციპულ კლასში (1. სილაბური ლექსთწყობა; 2. სილაბურ-პროსიდიული ლექსთწყობა: დურაციული, დინამიკური, ტონური), ქართული ლექსის ადგილი მეორე კლასშია, სადაც იგი შექმნის მეოთხე ტიპს: მეტრი, რომელიც სიტყვათგასაყარის, როგორც პროსოდიული ფაქტორის, სალექსო აქტუალიზებაზეა დამყარებული, და ლექსთწყობა, რომელიც ამ სახის მეტრებს შეიცავს.

3. ამ ინტერპრეტაციით განხილული ქართული ლექსისთვის არ გამოირიცხება განვითარების რალაც წინა საფეხურზე ამოსავლად ვიგულისხმობთ სილაბური სტადია. სილაბური სისტემა პოსტულირებულია საერთო ინდოევროპული ლექსისთვისაც (A. Meillet – ს ცნობილი ნაშრომის შემდეგ – მეიე 1923).

ზოგადად სილაბური თეორია, როგორც ჩანს, მისაღებია, ოღონდ შემდეგი განმარტებით: პრაქტიკულად წარმოუდგენელია მისი რეალურობის დამტკიცება ისე, რომ აღდგეს ყოველი ენისთვის განვითარების კონკრეტული გზა კონკრეტული, ძირითადი ტრანსფორმაციების ჩვენებით; მეორე მხრივ, ამას საკითხის გადწყვეტისთვის არ აქვს მნიშვნელობა, რადგანაც, როგორც ჩანს, უნდა მივიღოთ შემდეგი ზოგადი დებულება: სილაბური მდგომარეობიდან შეიძლება მიღებულ იქნას ყველანაირი მდგომარეობა. მიუთითებ მხოლოდ ორ თვალსაჩინო არგუმენტს: ა) ლექსის სილაბური ხასიათი არ გულისხმობს ზუსტად დაცულ იზოსილაბიზმს, — ვთქვათ, მარცვლის ამოვარდნა, ან დამატება შეიძლება ვნახოთ იმ სილაბურ სისტემებშიც, რომელთაც დასრულებული, ჩამოყალიბებული სახე აქვთ; ბ) მარცვალთრადენობის ფაქტორი ამა თუ იმ დოზით მონაწილეობს ნებისმიერი ტიპის სისტემაში – განურჩევლად იმისა, სტრუქტურული ფაქტორია იგი თუ დამხმარე.

მაშინ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დებულება უნივერსალური ხასიათისა: ლექსის სილაბური ტიპი (ან პრინციპულად მისი მსგავსი) არის ერთადერთი ტიპი, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ ყველანაირი შემთხვევისთვის როგორც ამოსავალი ჰიპოთეტური სისტემა, რომლიდანაც, როგორც დერივატი, მიიღება დღეს ცნობილი ნებისმიერი სისტემა.

დამონემბანი:

- ორიგერი 1941:** Trager G. L. and Bloch B. The Syllabic Phonemes of English. *Language*, 17, 1941.
- ლოტი 1966:** Lotz J. Metric Typology. In: *Style in Language*, Ed. by Thomas Sebeok, Cambridge, Massachusetts:1966.
- მეიე 1923:** Meillet A. Les origines indo-européennes des mètres grecs. Paris: 1923.
- სილაგაძე 1986:** სილაგაძე ა. მახვილის საკითხისათვის ქართულ ლექსში. *მაცნე*, ენისა და ლიტ. სერია, 4, 1986.
- სილაგაძე 1987:** სილაგაძე ა. ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ. თბ.: 1987.
- ტარანოვსკი 1966:** Тарановский К. Основные задачи статистического изучения славянского стиха. *Poetics, Poetyka, Poetika*, II, Warszawa: 1966.
- წერეთელი 1973:** წერეთელი გ. მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში. თბ.: 1973.
- ჰარისი 1951:** Harris Z. S. *Methods in Structural Linguistics*. The University of Chicago Press, 1951.

К.К. СУЛТАНОВ

Россия, Москва,

**Текст, идентичность, диалог
о коммуникативном аспекте изучения
национальной литературы**

Предлагаемую статью я бы охарактеризовал как приглашение к разговору, к теоретической рефлексии, имея в виду нашу общую заинтересованность в расширении возможностей литературоведческого анализа. Речь пойдет о достаточно заметной в современном российском литературоведении, ориентированном на литературы народов РФ, тенденции, в основе которой лежит отношение к литературе как форме манифестации этносамобытности и к тексту как транслятору этнокультурной самобытности. Знакомство со многими работами последних лет позволяет выявить квинтэссенцию сложившейся методологической ситуации, избегая обвала подробностей и частных наблюдений, которые, разумеется, имплицитно составляют базис предлагаемых обобщений.

Столь характерная для постсоветского сознания проблема ментальной и культурной самоидентификации, поиска выхода из идентификационного кризиса приобрела четко выраженное этнокультурное или вертикальное измерение, существенно изменившее тональность разговора о национальной литературе.

Обращение к этнокультурной проблематике обнаружило свою двойственную природу: оно позиционировало себя как форма национально-культурного оппонирования идеологическому диктату и в то же время инициировало угасание интереса к проблематике межкультурной коммуникации, которая воспринималась как осколок былого, идеологически мобилизованного интернационализма, как рецидив языка «дружбы народов». Развенчание идеологически нагруженной «дружбы народов» под знаком этнокультурного возрождения попутно дискредитировало принцип диалога, воспринятого в качестве эвфемизма той же репрессивной идеологемы, подлежащей изъятию из общественно-политического и культурологического лексикона. В этом развенчании удалось зайти так далеко, что под угрозой распада оказалась сама идея взаимопонимания людей и культур, которая относится к разряду вечных ценностей и несводима к узкому представлению о той или иной идеологической конструкции. Иначе говоря, кризис национально-культурной идентичности, сформировавшийся в советскую эпоху, трансформировавшись в кризис межкультурной коммуникации в эпоху постсоветскую.

С одной стороны, это был по-своему плодотворный период филологической самоактуализации, кумулятивного развития гуманитарного знания, преодоления искусственно возведенных по идеологическим соображениям рубежей между различными потоками национального литературного процесса, возвращения имен, текстов, чувства конкретики, вкуса к фактологической самоценности вновь открываемого материала, включая литературную диаспору, которая во многих литературоведческих разработках квалифицировалась как полноценная часть «материковой» литературы. С другой – экспансия этнокультурного подхода в сферы гуманитарного знания привела к тому, что в роли единственного идентификатора культурных процессов стала выступать этнологически ориентированная реконструкция, перерастающая значение конкретного исследовательским приема, каким она могла бы быть в рамках специализированного литературоведческого анализа. Одновекторная направленность, приобретая не столько инструментальный, сколько методологически императивный характер, объективно инициировала индифферентное отношение к самой возможности системного анализа.

Глубинной основой своеобразного литературоведческого этноцентризма или, как предпочитают сегодня говорить, «этнолитературоведения» стала дихотомическое соотношение «свой-чужой», которое могло не декларироваться, но непременно присутствовать как фоновое знание в размышлениях об этнической идентичности, воспринимаемой как «бытие-в-себе и для себя», скорее как «отдельное» и «локальное», чем «особенное» и «универсально-значимое».

Вопрос не том чтобы поставить под сомнение этнокультурный дискурс как таковой: правомочность подобного подхода как одного из многих возможных прочтений того или иного текста оспариванию не подлежит. Речь может и должна идти о литературоведческой мере актуализации этнокультурного контекста, при которой описание воплощенных в произведении этнокультурных реалий не может и не должно превалировать над осмыслением их функциональной роли в многомерной художественной структуре. Происходит или не происходит переход, перетекание от опознания этносовоеобразия, от констатирующей атрибутивности к надэтическому смыслу локального, т.е. такому качеству миропонимания, когда особенное, не редуцируясь до отдельного, обнаруживает качество всеобщей значимости – вот в чем вопрос... Если не происходит, то перед нами явный симптом отчуждения литературоведческой мысли от искомой полноты текста.

Сужая пространство эстетически ориентированного анализа, доминирующая этнокультурная маркировка текста нередко становится способом оправдания или сокрытия художественной несостоятельности произведения. Тексту как бы вменяется некая обязанность быть вмещающей этических и этнических ценностей (поведенческие нормы,

ритуал, обычаи, тонкости этикета, ценностные ориентиры), хранилищем уникальности, непохожести. Но художественно состоятельный текст есть сложно организованная структура, требующая интегративного подхода и принципиально нередуцируемая к воспроизводству этнической атрибутики и символики. «Вживание» в текст предполагает эстетическую опосредованность этнокультурной эмпирики. Этнокультурный контекст вовлекается в систему взаимопроникающих внутритекстовых связей и уровней как часть целого. Художественная целесообразность обращения к этнически нагруженной детали обеспечена и раскрывается через ее связь с другими компонентами текста, которые взаимно определяют друг друга.

Делая ставку на лидерство самого факта обращения к этноментальным предпосылкам, к мотиву принадлежности к «малой родине», психологически и эмоционально нагруженному, апологеты этнолитературоведения оставляют за скобками аксиологический подход, забывая о том, что судьбу текста в конечном итоге определяет общезначимость художественного результата, который есть нечто большее, чем добросовестная верность «местному колориту». Выделяя *«не столько лежащую на поверхности тему пространственной подвижности, сколько все то, что Достоевский назвал всечеловечеством Пушкина и что столь очевидным образом ощущимо и в Гёте»*, С. Аверинцев далее подчеркнул: *«Всечеловечество невозможно без интереса к "местному колориту", но и несводимо к нему, более того, в определенной мере противоположно всему, что есть только гурманство по части экзотики»* (Аверинцев 1999:194).

Важнейший вопрос «как» (механизм развертывания художественного смысла) подменялся констатацией «что» (эмпирический уровень). Перед нами фактически модульное мышление, игнорирующее имманентную структуру текста, освобождающее литературоведческий анализ от его важнейшей функции – ценностного различения художественного и нехудожественного, подлинного и поддельного, оригинального и подражательного.

Самодовлеющее этноцентристское «прочтение» литературного текста, не обладая эпистемологической ценностью в литературоведческом плане, часто вовлекалось в магнитное поле национально-возрожденческой идеологии, когда национальная история удлинялась, героизировалась, а литературному тексту приписывалась инструментальная функция в процессе конструирования славного, хотя и воображаемого, прошлого. Это тот случай, когда под знаком этнокультурной парадигмы происходили *«разлитературивание литературы, утрата литературой своей специфики»* (Ямпольский 2001:108).

Методологической альтернативой этноцентристской парадигме можно считать популярный текстоцентристский подход или интертекстуальность, в отмеренных пределах которой, однако, тоже не нашлось места для идеи межкультурного диалога, если брать его шире,

чем просто поиск межтекстуальных совпадений и установление источников цитат, реминисценций, аллюзий, схождений. Если этнокультурный подход подразумевал самоутверждение на основе базовых ценностей («кто ты и откуда»), то интертекстуальность, делающая ставку на культурный текст как автономный феномен и сводящая проблематику связей только к межтекстуальным переключкам, перманентным отсылкам от одного текста к другому, отличала явная недооценка широко понятого контекста, того, что называется жизненным материалом, внетекстовой реальностью, социокультурной практикой, детерминирующей, обуславливающей движение литературы. В центре ее внимания – отношение к литературе не как феномену национальной истории, национального духа, а как метатексту, культурному тексту, соотношенность которого с другими культурными текстами представляется более значительной, чем принадлежность к этнокультурному контексту.

«Идентичность» и «диалог» - ключевые категории гуманитарного знания, связанные презумпцией взаимообусловленности. Понимание феномена идентичности, предполагая тот или иной ответ на вопросы «кто я?», «кто мы?», требует внимания к сфере ценностных ориентаций, семантических и символических форм, к системе этических норм, поведенческих и психологических кодов, предопределяющих самоощущение, самоопознание человека или этнического сообщества. Искомую формулу дал толстовский Хаджи-Мурат, который на вопрос о бале у кавказского наместника ответил: *«у каждого народа свои обычаи. У нас женщины так не одеваются»*. И по обыкновению сослался на пословицу как безошибочный индикатор предполагаемой специфики (*«угостила собака ишака мясом, а ишак собаку сеном»*), после которой вновь повторил: *«всякому народу свой обычай хорош»* (Толстой 1950:92, 93).

Не стоит, однако, забывать, что генерализация понятия «этнокультурная идентичность» тяготеет к редуцированию самого понятия «идентичность» к формам этнокультурной предзаданности. Но идентичность – это не торжество автаркической самобытности, соотношенной только с авторитетностью культурных архетипов. Современная трактовка идентичности предполагает ее динамический аспект, процессуальность, культурную взаимопроницаемость, сплав самоутверждения в «своем» и открытости навстречу «чужому». Второй, не менее важный аспект: идентичность в современном мире концептуально связана и с тем, что называют культурным пограничьем, когда ментально-культурная самоидентификация небезразлична к присутствию и неоднозначности Другого.

Формируясь в неизолированном культурном пространстве интегральная идентичность апеллирует к синхронности коммуникативного и этнокультурного подходов, взыскует целостного взгляда, сопрягающего верность базовым оснований национальной

характерности и открытость «иному» не как «иностранному» и абсолютно чужому. Коммуникативный акт в этом контексте можно охарактеризовать как средство изживания маргинальности. Но современную теоретико-методологическую ситуацию отличает очевидная разъединенность этнокультурного и коммуникативного дискурсов, не обнаруживающих точек соприкосновения или, по слову эстетика М.Кагана, *"взаимосодействия"*. Приоритет тенденциозной или назидательной этничности не оставил место для адекватного осознания того факта, что национальная культура в своем эволюционном развитии идентифицирует себя и как место встречи культур. Э.Ауэрбах в статье «Филология мировой литературы» (1952) отмечал, что *«...в высшей степени ценным и необходимым достоянием филолога еще являются язык и культура его народа; однако они становятся действительными только тогда, когда удастся изъять их из обособленности и преодолеть их самодовление»* (Ауэрбах 2004:138).

Не забудем и о поликультурности каждой национальной культуры, о внутреннем диалоге в ней креативных и репродуктивных тенденций, который несет в себе зерно обновления и творческого спора с традицией внутри этой традиции. И о напряжении внутрилитературного контекста диалогического взаимодействия, которое проявляется в текстуальной диалектике «своего – чужого», присвоения – отталкивания, усвоения – переосмысления, сходства – несходства.

В современных дискурсивных практиках частота употребления слова «диалог» такова, что чаще всего оно предстает в своей застывшей аксиоматичности как культурный трюизм и риторическая фигура. При нетривиальной постановке вопроса может быть артикулировано отношение к диалогу как эвфемизму, прикрывающему доминирование того или иного конкретного (экономического, политического) интереса как завуалированной форме посягательства на институт национально-культурной самобытности, как, наконец, агенту глобализации в ее унификаторских претензиях. Всерьез обсуждается и такая версия «диалога», когда он предстает скорее *«замаскированной и мягкой формой духовной агрессии Запада, чем внутренним убеждением...»* Или диаметрально противоположный тезис: *«За диалог часто выступают те, у кого нет сил доминировать»* (Диалог культур 2005:183-184). Нередко в различных публикациях встречаешься и с такой дефиницией, как «псевдодиалог». *«Диалог для Л. Гинзбург, - пишет А.Зорин, - это, во многом, жесткая, формальная структура, с одной стороны, делающая монологи участников прагматически возможными, а с другой - подвергающая их неизбежной деформации. Несколько огрубляя, можно сказать, что если для Бахтина-Волошинова исследовательской задачей было обнаружить диалогическое в псевдомонологическом, то Гинзбург, напротив, стремится расслышать за псевдодиалогом ряд составляющих его монологов»* (Зорин 2005:57).

Дело, разумеется, не в аксиоматической апологетике диалога, а в нарастающем методологическом спросе на такую полноту описания национальной литературы, когда диалог, переставая быть обязательной декларацией, обнаруживает себя как содержательный фактор внутрилитературной эволюции, как ресурс идентичности и генератор творческих смыслов. Задача состоит в том, чтобы, преодолевая инерционность и тривиальность словосочетания «межкультурный диалог», открыть или переоткрыть* идею диалога, реализуя назревшую потребность и в другом крыле анализа, и в другой опорной точке. При этом не забудем, что идея межлитературного диалога не только ничего общего не имеет с нивелировкой фактора культурной самобытности как «*коррелята национального самопознания*» (Трубецкой 2007:168), но и требует признание неповторимости и уникальности опыта каждой национальной литературы. Продуктивность диалога возможна при встрече особенного с особенным. В упомянутой работе Э. Ауэрбаха акцентируется мысль о «*взаимном обогащении за счет разнообразия*», сопряженная с тезисом о насущной необходимости «...*удержать и укрепить сознание судьбоносной взаимосвязи между отдельными народами*» (Ауэрбах 2004:123,128). При таком понимании коммуникативная функция выступает как имманентное свойство литературного становления и не может быть всецело отнесена к сфере периодически возникающих тем или иных «*влияний*» со стороны.

Здесь уместно обратиться к одному в высшей степени знаменательному событию в многотрудной истории русско-кавказских отношений, которое свидетельствует о действительно «судьбоносной взаимосвязи» культур.

В пушкинской речи Ф. Достоевского «всеотзывчивость» семантически соотнесена с утверждением: «*Пушкин есть пророчество и указание*» и, через несколько страниц, «*угадчик*» (Достоевский 1973:351,367). Именно в этой роли, на наш взгляд, поэт предстал в своем предельно лаконичном и удивительно емком по смыслу примечании к рассказу Султана Казы Гирея «Долина Ажитугай», опубликованном в первом номере журнала «Современник» (1836) в одном ряду с пушкинским «Путешествием в Арзрум» и повестью Гоголя «Коляска».

Пушкин начинает энергично и броско: «*Вот явление, неожиданное...*». В том ли смысле, что текст воспринят как всего-навсего этнографически маркированный? Нет, ход пушкинской мысли лежит в другой плоскости: «...*неожиданное в нашей литературе*». Почему и дальше педалируется притяжательное – от слова притяжение? –

* Слово «переоткрытие» использовано Г. Гадамером в докладе о речевом жанре утопии в «Государстве» Платона. Он назвал Ф.Шлегеля и Ф. Шлейермахера «переоткрывателями диалогического принципа как метафизической основной схемы познания истины» (Цит. по: Шпет 2006:219-220).

местоимение «наше»: «в нашей литературе», «становится в ряды наших писателей»? Первое произведение и сразу – «в ряды наших писателей»? И кто становится – «сын полудикого Кавказа»? Но в то же время именно он «изъясняется на русском языке свободно, сильно и живописно», что позволяет сделать в данном контексте знаменательный вывод: «Мы ни одного слова не хотели переменить в предлагаемом отрывке».

Поэт поднимает планку на высоту, исключаящую скидки, покровительственное похлопывание по плечу: надо же, черкес, а так владеет русским языком. Представление этнически нерусского автора переведено в регистр уважительного, мудрого в своем поэтическом преувеличении отношения. Тем самым снимается заведомо возникающее при встрече с неожиданной для русского читателя фамилией ощущение периферийности, хотя Пушкин и здесь не упускает из виду другую сторону медали: Казы Гирей «остался верен привычкам и преданиям наследственным» (Современник 1836:169).

Вовлекая, включая автора в состав «нашей литературы», Пушкин прав в своем предчувствии грядущей культурной нераздельности, задавая камертон, столь важный для последующего становления русского культурного сознания. Зрелый поэт, смело и непредвзято расширяя горизонт, продемонстрировал восприимчивость, широту взгляда, как угадчик провидел иной масштаб, иную перспективу вопреки складывающейся общественно-политической ситуации на Кавказе: Шамиль уже два года верховный глава теократического государства (имам), огонь войны разгорался, несовместимость двух миров нарастала и казалась непреодолимой.

Но Пушкин провидчески обозначил или, как сейчас сказали бы, запрограммировал важнейший вектор движения навстречу Другому, выбирая тональность неотстраненности, открытости, готовности понять и принять Другое. Примечание из нескольких фраз феноменально по необычайной культурной щедрости, которую русская литература осознанно наследовала от Пушкина. Когда почти через сто лет М. Горький на I-ом съезде советских писателей назвал С. Стальского Гомером XX века, а Н. Тихонов, посетив Дагестан, нашел «кавказского Блока» в лице аварского лирика Махмуда, то в таком отношении к инонациональным культурным явлениям нетрудно уловить пульс завещанной Пушкиным отзывчивости, которой только и дано сокращать культурную дистанцию, духовно притягивая другие национальные стихии и миры. Духовное притяжение – единственный род притяжения в ряду иных способов его обеспечения (военных, административных и т.п.), подразумевающий абсолютную добровольность, радостную непринудительность ответного культурного и душевного движения.

Важно отрефлексировать собственно литературоведческую позицию по отношению к тому, что называют целостностью национальной литературы, в рамках и под знаком которой аспект

всеобщности выступает как содержательный, сущностный, а идея диалога не воспринимается как некий противовес или даже альтернатива этнокультурной диахронии. А. Михайлов в своих теоретических работах неоднократно возвращался к мысли о сопряженности целого и частей, не устывая уточнять представление о целостности национальной литературы как *«круге, в котором соопределяются пласты литературной истории»*, как *«литературно-историческом уровне, на котором задается и оправдывается смысл литературного развития»*, как, наконец, *«горизонте, в котором все ...понятия получают определенность»* (Михайлов 1997:35,28). Понятно, что такое признание целостности несколько не дезавуирует антиномичность живого литературного развития, внутрилитературные смысловые коллизии, борьбу художественных идей, течений в их притяжении – отталкивании.

Когда мы говорим об исторической динамике и полноте литературного процесса, то неизбежно предполагаем их целостное восприятие, презумпцию, если хотите, взаимодействия синхронии и диахронии. Доминирующая статическая модель национально-литературного самосознания, адаптированная преимущественно к поиску и обнаружению этнокультурных детерминаций, не релевантна целостности и текста, и национальной литературы. Она утрачивает смысл там, где приоритет тенденциозной или назидательной этничности не оставляет место для синхронии, для литературоведческой отзывчивости на *«резонантное»* поле культуры (В. Топоров), для расширения формата анализа, чуткого к межлитературным связям, интеграции различий.

Взаимодополняемость диахронного и синхронного аспектов изучения, – необходимое условие целостной характеристики национальной литературы. Суть не в поиске альтернативы этнокультурному монологизму, а в контаминации парадигматики и синтагматики, вне которой невозможно *«...уловить то единство историко-литературного процесса, без которого ход литературной жизни становится хаотическим нагромождением случайных явлений»* (Венгеров 1914:9). При таком подходе принципы изучения, категории анализа, критерии оценки будут *«работать»* на достижение целостной характеристики, сопрягающей специфические черты и столь же насыщенные универсалии*.

ამ ეპიზოდთან ჩანს, რომ დაბრალება აკრძალულია და ცოდვად ითვლება. საშურას გვერდით მყოფი ვასასი ღმერთის რწმენითა და ადამიანური მოვალეობის გრძნობით აფრთხილებს საშურას. აქ ვლინდება რელიგიის როლი ადამიანთა ურთიერთობაშიც. საშურა ხვდება, რომ ცოდვა ჩაიდინა და ღმერთის პატიებაზე საუბრობს. იგი ღვთის მოიმედება. ამ ელემენტარულ მაგალითშიც ვლინდება ქართველი ხალხის რწმენა, ღვთისადმი დამოკიდებულება.

ასეა ეს ისლამშიც (დაბრალება ცოდვად ითვლება. ადამიანმა ჯერ ადამიანს უნდა მოუბოდიშოს და შემდეგ ღმერთს უნდა სთხოვოს პატიება). სპეციალური გამოთქმაც კი არსებობს: „**Tövbe etmek**“ (მონანიება).

საინტერესოა, ზემოთ აღნიშნული ეპიზოდი როგორ არის გადათარგმნილი თურქულად:

„— *Eh suçu attın üstünden Şaşura*“, _ dedi Vassasi, _ `Suçu atıp rahatladın ha?“ (ეი, შენ, შენი ბრაღი უკვე მოიხსენი კისრიდან, ბრაღი მოიხსენი და ამოიხსენი თქე ხომ?).

„— *Günahı vebali benim boynuma*“, — dedi Şaşura“ (ჩემს ცოდვაზე მე ვაგებ პასუხს, — თქვა საშურამ) (გვ. 85).

თარგმანი აქაც არაადეკვატურია: ვასასი არც ახსენებს საშურას, იმას, რომ მან ცოდვა ჩაიდინა და თავისთავად არც ჩანს საშურას იმედი ღმერთისგან პატიებისა. დედნიეული სინამდვილე

შესაბამისად რომ ასახულიყო თარგმანში, თურქი მკითხველი უფრო გაერკვეოდა ქართველი ხალხის რწმენაში.

რომანში განსაკუთრებულად არის წარმოჩენილი ღვთისმშობელი, რაც არც არის გასაკვირი. ნაწარმოების ავტორი ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილია.

საკოველთაოდ არის ცნობილი, რა მნიშვნელობა ენიჭება ღვთისმშობელს, ქრისტიანობასა და, განსაკუთრებით, ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ჩვენ უფლება გვაქვს, იგივე ვთქვათ საერთოდ მუსლიმანობასა და, კერძოდ, თურქი ხალხის მიმართ. ღვთისმშობელი ისეთი მნიშვნელოვანი და წმინდა ფიგურაა მუსლიმანებისთვის, რომ თითქმის სამი გოგონადან ერთს სახელად მარიამს (თურქულად ერყემ) არქმევენ.

„იესო წმინდა მარიამის შვილია. მარიამი სამოთხის რამდენიმე მანდილოსნიდან ერთ-ერთი ყველაზე კეთილი ქალბატონია. ზოგიერთი თეოლოგის მიხედვით ის გამორჩეულია თავისი სინწინდით. ის სუფთა ტომის ასულია, რომელიც დაბადებიდანვე პატიოსნად იზრდებოდა“ (S. Yıldırım, 1996, 3).

„ყურანში მარიამი 12 სურის 31 აიაში არის ნახსენები, აქედან სამ აიაში ორ-ორჯერ. გარდა ამისა, მე-19 სურას „მარიამი“ ეწოდება. 11 სურას 22 აიაში (2:87, 256; 3:45; 4:157, 171; 5:17, 17, 46, 72, 75, 78, 110, 112, 114, 116; 9:31; 19:34; 23:50; 33:7; 43:57; 57:27; 61:4, 16) მარიამი გვხვდება ფრაზაში: „*იესო, ძე მარიამისა*“, მამის ხსენების გარეშე, რადგან მუსლიმური ტრადიციის თანახმად იესოს არ ჰყავდა მინიერი მამა“ (7, 328) (ი. მახარაძე, 2003, 192).

გ. ლობჯანიძის აზრით, მარიამი ყურანში არის არა იმდენად საკუთარი სახელი, რამდენადაც სახე-სიმბოლო, რომელიც ტიპოლოგიურად იმეორებს ისლამამდელი არაბული პოეზიის სახე სიმბოლოთა არქიტექტონიკას და, როგორც თავისებური ალეგორიული კოდი, გარკვეულ ცნებას ანდა ქალის იდეალურ სახებაში თავმოყრილ მნიშვნელოვან თვისებებს გამოხატავს (გ. ლობჯანიძე, 2003, 64).

პატივისცემა იმაშიც გამოიხატება, რომ მუსლიმანი ღვთისმშობლისადმი სახელით მიმართვის უფლებასაც არ აძლევს თავს, სახელის წინ ამატებენ **ზ**-ს, რაც ნიშნავს **უნმინდესს**. ყოველდღიურ ცხოვრებაში კი ასე მოიხსენიებენ მას: **ერყემ ნა** (დედა მარიამი).

სამწუხაროდ, თარგმანში ეს ასე არ არის. ზოგიერთ ეპიზოდში სიტყვა „ღვთისმშობელი“ არც არის გადატანილი:

„— *მამიდაჩემი დვას სოფლის ეკლესიის წინ, თეთრ საქორწინო კაბაში გამოწყობილი, თეთრი, მაღალი, ღვთისმშობელივით ლამაზი*“ (გვ. 226).

თურქულად: „— *Keto Halam, köy kilisesinin önünde, bembeyaz gelinliğinin içinde erişilmez güzelliğiyle duruyor*“ (მამიდაჩემი სოფლის

ეკლესიის ნინ ქათქათა საპატარძლო ტანსაცმელში გამოწყობილი მიუწვდომელი სიღმეზით გამოიყურებოდა) (გვ. 12).

ზოგჯერ თარგმანში დარღვეულია ზემოთ აღნიშნული ტრადიცია და ღვთისმშობელი სულ სხვაგვარად არის მოხსენიებული:

„— მამიდა ბაბუაჩემის სკივრში რომ ხატი დევს, იმაზე გამოსახულ ღვთისმშობელს ჰგავს, მარიამს, და ქეთევანი ჰქვია“ (გვ. 219).

თურქულად: „*Halam, gözüme hep, büyükbabamın sandığındaki Tanrının anasının resmine benzeyen o Madonna gibi görünüyordun*“ (მამიდა ჩემს თვალში მადონას, ღმერთის დედის სურათს, ჰგავდა და ეს სურათი ბაბუაჩემის სკივრში ინახებოდა) (გვ. 10).

როცა მუსლიმანები ამა თუ იმ ტექსტსა თუ ზეპირ საუბარში მოიხსენებენ **Hz Meryem**-ს (წმინდა მარიამს) ან **Meryem Ana**-ს (დედა მარიამს), მაშინვე გამოისახება ღვთისმშობლის სინმინდე და მთელი კეთილადამიანური თვისებები. ამ გაგებას თარგმნისეული **Tanrının Anası** სრულიად მოკლებულია. დაკარგულია დედნისეული ეფექტიც.

ანალოგიურია მთარგმნელის დამოკიდებულება სიტყვა **ღმერთის** მიმართაც. ნაცვლად **Allah**-ისა იგი იყენებს **Tanrı**-ს. ჩვეულებრივ საუბარში რომ იყოს **Tanrı**, კიდევ არა უშავს, მაგრამ არის ისეთი გამოთქმები, კერძოდ, დალოცვის ფორმები, რომელთა შეცვლა ენობრივი ლაფსუსია – იდიომური შესატყვისების დარღვევაა. მაგალითად, „*ღმერთი იყოს შენი მფარველი!*“, თურქულად: „*Allah seni korusun an Allah senden razı olsun!*“ (ღმერთმა შენ დაგიფაროს!).

ქრისტიანული სარწმუნოების ნაკვალევი განსაკუთრებით კარგად ჩანს ქართველი ხალხის დალოცვის ფორმულებში. ამ მოსაზრების ერთ-ერთი დასტურია ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“.

„*ღმერთმა გაცოცხლოს!*“ – ასე დალოცა ნაწარმოების ერთ-ერთმა პერსონაჟმა, ლუკაიამ, ანატოლი. ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა ისევ ღმერთის ნებაზეა დამოკიდებული. ამიტომ დაილოცა ასე ლუკაია. როგორც ვხედავთ, ადამიანი სიცოცხლითაც და სიკვდილითაც ღმერთთან არის დაკავშირებული.

ამ დალოცვის ფორმულის თურქული თარგმანიც კარგად არის შესრულებული: *Tanrı ömrünü daha uzun etsin!* (ღმერთმა უფრო დიდხანს გაცოცხლოს!) (გვ. 123). მუსულმანური რელიგიის მიხედვითაც ადამიანის შექმნა და მისი სულის გაცოცხლება ღმერთის ნებაა. ამიტომაც ამგვარი დალოცვა თურქი მკითხველისთვისაც სრულიად ბუნებრივია. თურქი ხალხიც ხშირად იყენებს ამ ფრაზას. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დალოცვის ფორმა არის მადლობის გადახდის ღვთიური და მხატვრული ფორმა.

ადამიანები ისევე სხვადასხვაგვარად გამოხატავენ მადლობას დალოცვის ფორმით, როგორც სხვადასხვაგვარად იცვამენ.

ადამიანური თვისებებითა და სხვათა დახმარების უნარით გამორჩეული პერსონაჟები სოსოია და ანატოლი განეული სიკეთის საფასურად არაფერსელიან, მაგრამ მათ მშრალი მადლობაც არ ეკადრებათ. ამიტომ მიდიან ისინი ლუკაია ფოცხიშვილის ოდასთან, პირდაპირ ადიან სახურავზე გადმოსათოვლად. ამის შემდეგ მაღლიერი ლუკაია მათ მიმართავს:

„— რატომ ნუხდებით, შვილებო, ღმერთმა თქვენი მარჯვენა გაახაროს!“ (გვ. 301).

დალოცვის ფორმულა აქ ზუსტი მისამართით არის გამოყენებული. სოსოია და ანატოლი ლუკაიას ფიზიკურ დახმარებას სწორედ საკუთარი მარჯვენის ნყალობით უნევენ. სწორედ მათი მარჯვენაა აქ დალოცვილი. აღნიშნული ფორმული ს („ღმერთმა თქვენი მარჯვენა გაახაროს!“) შესაბამისია თურქულში: **Elinize saglık!** თურქეთში ეს გამოთქმა ძირითადად იხმარება დიასახლისების მიმართ, კერძოდ, კარგად გამასპინძლების შემდეგ. თუმცა არაიშვიათად გამოიყენება ხელით კარგად შესრულებული საქმის მოწონების აღსანიშნავად. სამწუხაროდ, მთარგმნელმა გვერდი აუარა თურქეთში ძალიან გავრცელებულ ამ გამოთქმას და სულ სხვა აზრი ჩადო მის მიერ გადათარგმნილ დალოცვაში: „aydi Tanrı da sizi hoşnut etsin, gönünüzce versin~ (ღმერთმა თქვენ გაახაროთ, რაც გულით გინდათ, ის მოგცეთ!) (გვ. 119).

სარწმუნოებრივი შინაარსია მოცემული აგრეთვე დალოცვის ფორმულებში: „*ნუგეში ნუ მოგიშალოთ ღმერთმა!*“ (გვ. 302).

თურქულად: „*Tanrı ömrünüzü artırsın, mutluluk versin, ümidinizi kaybettirmesin*“ (ღმერთმა თქვენ დიდხანს გაცოცხლოთ, ბედნიერება მოგცეთ, თქვენი იმედი არასდროს არ დაგეკარგოთ!) (გვ. 124):

„— აგაშენა ღმერთმა, როგორ ყიდი, ბიძიკო, ამ ჩექმას?“ (გვ. 347.) თურქულად: „*Hay Allah iyiliğini versin*“, dedi. „*Yani harika bir potin bu, bulunmaz bir parça, ne diye satıyorsun yani*“ (აგაშენოს ღმერთმა, ე. ი. ეს მაგარი ჩექმაა, ძნელად მოსაძებნი რალაცაა, რატომ ყიდი ამას?) (გვ. 179.)

დედნისა და თარგმანის შედარებიდან ჩანს, რომ დალოცვის ფორმულები ქართულსა და თურქულში თითქმის ერთნაირია, ერთი და იმავე შინაარსითა და გაგებით, ამავე დროს ფართოდ იხმარება. აქედან გამომდინარე, ნ. დუმბაძის ნაწარმოები „მე ვხედავ მზეს“ და მისი თურქული თარგმანი დიდ როლს თამაშობს ორი ქვეყნის ხალხთა კულტურის შერწყმასა და დაახლოებაში.

დამონშებანი:

დუმბაძე 1982: Dumbadze N. Güneşi Görüyorum (Çevr.: Mehçure Karaören), İstanbul: 1982.

დუმბაძე 1988: დუმბაძე ნ. თხზულებანი, წიგნი I, თბ.: 1988.

- ლობჯანიძე 2003:** ლობჯანიძე გ. მარიამთან დაკავშირებული ნარატივი ყურანში: ჟურნ. „პერსპექტივა“, თბ.: 2003.
- მახარაძე 2003:** მახარაძე ი. სემიტოლოგიური ძიებანი. თბ.: 2003.
- ქირი 2006:** ქირი მ. დიდი ჰუმანისტი ნ. დუმბაძე, ახალი ხიდი, თბ.: 2006).
- ქირი 2008:** ქირი მ. როგორ აღიქვა თურქმა მკითხველმა ნ. დუმბაძის რომანი „მე ვხედავ მზეს“, ქუთაისის უნივ. ჰუმ. ფაკ. შრომები. ტ. IX, 2008.
- ილდირიმი 1996:** Yıldırım S. Mevcut Kaynaklara Göre Hıristiyanlık, Işık yayınları, İzmir, 1996.

თეიმურაზ ქურდოვანიძე

საქართველო, თბილისი

მაგიური ძალის სიტყვისა და ქმედების ჩაკეტვა, როგორც საკრალური რიტუალი

შეუცნობელ გარესამყაროში უძველესი ადამიანის ცხოვრება, მიღებული თვალსაზრისის თანახმად, აღსავსე იყო ღელვით, სიხარულითა და შიშით. მისი გრძნობები და ემოციები მატერიალიზდებოდა მეტაფორებში და საფუძველს უყრიდა მითის წარმოშობას. ამ დროის ადამიანი ჯერ კიდევ არ აცალკევებდა თავს გარესამყაროსაგან. დროთა განმავლობაში შეიქმნა იმისი პირობები, რომ ადამიანს დაეგროვებინა ცოდნა თავისი ინდივიდის შესახებ ჯერ ბუნების გარემოში და შემდეგ უკვე სიმბოლურ სამყაროში. ე. კასირერი მიიჩნევს, რომ ადამიანი მხოლოდ ბუნების გარემოცვაში კი არ ცხოვრობს, არამედ უპირველესად სიმბოლურ სამყაროში (კასირერი, 1995: 177). ეს სამყარო ადამიანის ცხოვრების მითურ პერიოდში წარმოშობს სიმბოლურ ფორმას, გარკვეულ გონით კონსტრუქციას, განსაკუთრებული სტრუქტურის მქონე აზროვნების სიმბოლურ ფორმას.

ადამიანისთვის ბუნებაში მიმდინარე პროცესების შემეცნება და ახსნა განვითარების ახალი ეტაპია. ცასა და მასზე განლაგებულ მნათობთა, ასევე დედამიწის შესახებ ცოდნის დაგროვების პარალელურად ადამიანს უნდა გაერკვია თავისი არსებობისა და მიზნების რაობა, შეემუშაებინა ქცევის წესები. ყოველივე ეს ადამიანისგან მოითხოვდა მითში, შემოქმედების პირველ პროდუქტში, არსებული სინამდვილის ისე მოდელირებას, რომ დამყარებულიყო წესრიგი, საგნებს და მოვლენებს მისჩენოდათ საკუთარი ადგილი. ის, რაც რთული და გაურკვეველი იყო მათთვის, გასაგებად ექციათ ანალოგიების საშუალებით.

უძველეს დროში მცხოვრები ადამიანისათვის სამყარო მთლიანი და ჰარმონიული იყო, რომელშიც წესრიგი სუფევდა. იგი ამ სამყაროს ნაწილად მოიაზრებდა თავს, მაგრამ ამავე დროს, მიუხედავად მონესრიგებულობისა, გამოკვეთილი იყო წინააღმდეგობები: კეთილი — ბოროტი, ნათელი — ბნელი, შინა — გარე, თავისი — სხვისი. პირველყოფილი ადამიანის ცოდნა ამაღლდა იქამდე, რომ მათი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი სამყაროები: თავისი — სხვისი, კეთილი — ბოროტი, ნათელი — ბნელი, მართალია, ერთმანეთის მსგავსად იყო მოწყობილი, მაგრამ დამოკიდებულების მიხედვით მაინც განსხვავდებოდა, კერძოდ, „თავის“ და „კეთილ“ სამყაროებს დადებითად ეკიდებოდნენ, ხოლო „ბნელი“ და „სხვისი“ სამყაროებისადმი მტრული მიმართება ჰქონდათ (ნეკლეუოვი 1975: 185). უძველესი შეხედულებები დედამიწაზე ბნელი

ძალების, მავნე სულთა დამკვიდრების ორ გზაზე მიგვითითებენ. ერთია მათი ქვესკნელიდან ამოსვლა, მეორე — მთვარიდან ჩამოღწევა (მთვარის ფაზების გააქტიურებასთან დაკავშირებით). მთვარისადმი შიშის შესახებ ცნობილია. მეგრელთა შიშზე მითითებულია საქართველოში მოგზაურ XVII საუკ. მისიონერთა ჩანაწერებში: მთვარის რისხვის მოლოდინით ორშაბათ დღეს განსაკუთრებით ფრთხილობდნენ — ხორცს არ ჭამდნენ, სამგზავროდ არ მიდიოდნენ, შინიდან არაფერს გასცემდნენ (შანავა 1989: 38). ადამიანს სჯეროდა, რომ მავნე სულები მას მიწისა და წყლის მეშვეობით აავადებდნენ, მათ შორის, ინფექციური დაავადებებით — „სახადებითაც“. პირველყოფილი დაუცველი ადამიანის საზრუნავს „სხვა“, „ბნელი“ სამყაროდან მოვლენილ მავნე სულთა ზეგავლენის შესუსტება (ან მისგან გათავისუფლება) შეადგენდა. სულების უარყოფითი გავლენისაგან დაცვისას ადამიანმა ირწმუნა სიტყვის მაგიური ძალა და შელოცვის სიტყვიერ ფორმულებთან ერთად შეიმუშავა ქმედებები. ვფიქრობთ, მოგვიანებით ისევ მაგიურობის რწმენით წარმოთქვამდნენ ვედრებას იმის იმედით, რომ ახალი მთვარე — მათი ღმერთი — შეისმენდა: „ახალო მთვარე, ღმერთო, შენ გამახარე!“ (შანავა 1989: 38).

სიტყვის მაგიური ძალის რწმენამ საკრალურობა შესძინა როგორც შელოცვის ტექსტს, ისე მის თანმხლებ ქმედებას. იდუმალება იმაში გამოიხატა, რომ მაგიური ზემოქმედების ძალის მქონე სიტყვის გამჟღავნება, სხვის გასაგონად თქმა, დაუკარგავდა მას ძალას და სასურველი შედეგი ვერ მიიღწეოდა. ამიტომ საჭირო გახდა მისი „ჩაკეტვა“, რომლის ერთი ფორმა იყო ტექსტის ჩურჩულით წარმოთქმა. შელოცვის დამთავრებას თან ახლავს ქმედება — ავადმყოფს პირჯვარს გადასახვევ (ჩანს, ქრისტიანული ხანიდან) და ასმევენ ნახშირით (იგი ცეცხლის, როგორც გამწმენდი საშუალების პროდუქტია, ანუ თავისში ინახავს ცეცხლის ენერჯიას) განმენდილ წყალს.

მაგიური ძალის მქონე სიტყვის ჩაკეტვის მეორე ფორმა უკავშირდება წრეს, რომლის ცენტრში ექცევიან ავადმყოფი და შემლოცველი. ეს წრე საზოგადოდ მითოლოგიაში ცნობილი წრის ფუნქციის იდენტურია. ის შელოცვაშიც საკრალურ როლს თამაშობს — ამ მიკროსივრცეში ქმნის წესრიგს, რითაც აადვილებს ავადმყოფობაზე მაგიურ ზემოქმედებას. რწმენის თანახმად, სიტყვა მხოლოდ ჩურჩულით წარმოთქმული, წრეში ჩაკეტილი, ინარჩუნებს თავის ძალას, წრის გადაღმა იგი ცარიელია. მართებულია დაკვირვება: „წრის შიგნით ბრუნავს, ტრიალებს მაგიური სული, წრეშია იგი ცხოველმყოფელი. გამოაღწევს რა იგი გარეთ, ჰკარგავს ძალას...“ (ბუხრაშვილი 1988: 213).

წრეს ქმნის და იმავე ფუნქციისაა მწოლიარე ავადმყოფის გარშემო შემლოცველთა სიარული. ზოგჯერ სამი დედაკაცი ჭინჭარს (ზემოქმედების დამხმარე ძალა) ურტყამს მის საბანს, დადის და თან

ულოცავს (გაგულაშვილი 1986: 185). შელოცვის ამ ფორმაში შეუძლებელია არ დავინახოთ მაგიური ქმედების სინკრეტული ხასიათი (სამი ელემენტიდან აშკარად გამოხატულია ორი, სიტყვა და ქმედება, მესამე, მელოდია, სიტყვიერი ტექსტის რიტმში უნდა ვეძებოთ, რადგან, ჩვეულებრივ, შელოცვის ტექსტები რიტმულობით არიან გამორჩეულნი). ავადმყოფის წრით შემოსაზღვრა ერთდროულად ორ ფუნქციას ასრულებდა: ერთი მხრივ, აძლიერებდა სიტყვის მაგიას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უშლიდა ავადმყოფობის სხვაგან გადასვლას. და კიდევ: წრეს ენაცვლება ტყეში საგანგებოდ ამოთხრილი პატარა ორმო, რომელშიც შემლოცველი შინ გამომცხვარ კაკლის ოდენა ღვეხელსა და ავადმყოფის სიმაღლის თაფლის სანთელს წრიულად ახვევს და ისე მარხავს. წითელი ქარის შელოცვის შემდეგ სიმსივნეს მთაში ირმის ტყავის თასმით შემოსაზღვრავდნენ. ბნედის დროს კი მიწაზე დაცემული ავადმყოფის ირგვლივ ხანჯლით წრეს შემოავლებდნენ (მინდაძე 1981: 87).

ისევ წრიული მოქმედების, წრეში ჩაკეტვის იდეის ძირითადობა გამოსჭვივის მეორე რიტუალში, რომელიც ქართლ-კახეთსა და ხევში „თავშემოვლის“ სახელით არის ცნობილი. ამ რიტუალსაც ის რწმენა ასაზრდოებს, რომ დედამიწა — ქვესკნელი ერთი მთელია, როგორც საზოგადოდ სამყარო (მათი ერთ პრინციპზე მონყობის შესახებ წარმოდგენის დასტურად შეგვიძლია დავასახელოთ ზღაპარში აღწერილი ქვესკნელის ვითარება). ცოდნა შუასკნელსა და ქვესკნელში ცხოვრებისეული წესრიგის მსგავსებაზე ზღაპარში მითიდან გადმოვიდა და შეუცვლელად დამკვიდრდა. ამ ვითარებაშიც უცვლელი დარჩა მათ შორის არსებული ოპოზიციისა და მისი დაძლევის გზაც: უძველეს ადამიანთა კოლექტივს მითის, ჩვენ შემთხვევაში რიტუალური ქმედების, შესრულებით შეეძლო პრობლემის მოგვარება. მითურ მსოფლგაგებაზე აგებული „თავშემოვლის“ რიტუალი „ბოროტის“ — „სხვისის“ გულის მოსაგები ვედრებაა. საყურადღებოა, რომ რიტუალში ერთ მთლიანობაში არის წარმოდგენილი, ერთმანეთს ავსებს მაგიური ძალის მქონე სიტყვა და ქმედება: სახადით დაავადებული ბავშვის დედა ან ბებია მკერდს გაიშიშვლებდა (კონტაქტის გაძლიერებული ფორმა!), „ძუძუებს მიწაზე გაათრევდა“ და ფორთხვით სამჯერ შემოუვლიდა ავადმყოფის სანოლს სიტყვებით: „დედამიწავ, გვაპატიე ჩვენი უღვერობა, გვაპატიეო, ჩემი შვილი კარგად მიმყოფეო“ (მინდაძე 2001: 156).

შელოცვის ტექსტებში თხოვნა-ვედრების ფორმაა წარმმართველი, თუმცა გვხვდება დაავადებაზე მაგიური სიტყვით ძალადობის შესაძლებლობაც (ფაქტობრივად, შელოცვაც ხომ ზემოქმედების (ძალადობის) შენიღბული ფორმაა). შემლოცველი უხილავ ძალასთან ურთიერთობის მუქარის ფორმას ირჩევს:

„...გამაე, თორემ გამოგიყვან შავის ცხენის ჭიხვინითა,
გამაე, თორემ გამოგიყვან შავი ხარის ყვირილითა...“

გამაე, თორე გამოგიყვან შავი ღორის ჟღერითა,
გამაე, თორე გამოგიყვან შავი ძაღლის ყმუილითა,
გამაე, თორემ გამოგიყვან შავი გველის ნივლითა...“
(შოშვილი 1994: 138)

წითელი ქარის შელოცვის ეს ტექსტი მრავალმხრივია საინტერესო. უძველესი აზროვნების თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს წითელი ქარის მდებარეობითი სქესის არსებობა მოაზრება, მასთან შავი ფერის დაპირისპირება და მუქარისთვის დასახელებულ პერსონაჟთა სიმრავლე. ჩამოთვლა ალტერნატივას ქმნის. შესაძლოა, რომელიმე მათგანმა მართლაც დაძლიოს „წითელი კაბით, წითელი თავშლით, წითელი ჩექმით“ ადამიანის სხეულში ჩაბუდებული ქარი.

წრის, როგორც ჩაკეტილი სივრცის, ზოგადი ფუნქცია დასტურდება ქართულ ზღაპარში, ეპოსსა და ეთნოგრაფიულ ტრადიციაში. რომანტიკულ ეპოსში „ეთერიანი“ ასეთი ჩაკეტილი სივრცე ორჯერ გვხვდება. მურმანმა მოიპოვა თუ არა ეთერი, „ბროლის ციხეში“ გამოამწყვდია, რათა აბესალომისგან დაემალა. თავის მხრივ, ეთერმა მურმანისგან თავის დაცვისა და ვითარებაში გარკვევის მიზნით ხალხური ჩვეულება მოიშველია, „დედამთილ-მამამთილს ერთი ოთახი გამოსთხოვა, შიგ ერთი ქვა შეატანინა, თავით დაიდო და დაწვა. ამ ოთახში ცხრა დღეს ნება არავის ჰქონდა შესულიყო“ (ქურდოვანიძე 1974: 53).

საგულისხმოა ჩაკეტილი წრის ფენომენის საყოველთაო გავრცელება. დაცვის ამ ფორმას იმავე ფუნქციით იყენებენ სხვა ხალხებიც. სახლის ჩაკეტილ სივრცეს თავისებურ „უსაფრთხოების პერიმეტრად“ მიიჩნევენ კარელიაში (ლაგონენი 1984: 171). კავკასიურ, კერძოდ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, მსოფლიოს სხვა ხალხების ყოფის მსგავსად, მაგიური დანიშნულება უდასტურდება წრეს, მრგვალ ფორმას (ბარდაველიძე 1939: 22). ქართულ ზღაპარში ხშირად ვხვდებით უკარფანჯრო მრგვალ შენობას. ეს არის კოშკი. მისი ფორმა ქმნის „შინა“ (დაცულ, გამოყოფილ) სივრცეს. კოშკში „გარე“ ძალები ვერ აღწევენ, არც შიგნიდან შეიძლება გამოსვლა. იქ სწორედ იმიტომ აცხოვრებდნენ „მზეთუნახავებს“ — მზისგანაც კი თვალშეუვლებ არსებებს. ზღაპარში „ხასან-ხუსანა“ ვკითხულობთ: ბიჭმა დაინახა კვერცხივით მრგვალი კოშკი. შემოუარა გარშემო, კარები ვერ ნახა (შიგ სამი მოტაცებული მზეთუნახავი იჯდა) (სიბრძნე, I, 1964: 117); „ზღაპარი უხეიროსი“ გვაუწყებს, რომ რკინის კაცს კოშკში უზის მოტაცებული ქალი (იქვე: 136); „კლდეზე კოშკი დგას, ამ კოშკში ერთი ქალია, შვიდ წელიწადში ერთხელ ეღება იმ კოშკს კარი, სადაც პირველად მზე მიადგება“ (იქვე: 160); ქალი მარმარილოს კოშკში ზის, ცივ ნიავს არ აკარებენ... (იქვე: 167).

„ამირანიანი“ ვკითხულობთ:

„უცხოს მთაზე კოშკი ნახეს, ანაგები ბროლის ქვისი,
მოუარეს გარემურგვლათ, ვერ იპოვეს კარი მისი...“

სადაც რომ მზემ პირი მოჰკრა, ამირანმა — მუხლი მგლისი,
კოჰკმა პირი იქ გაალო, იქ შეება კარი მისი.“
(სიხარულიძე 1970: 97).

ქართველი არქეოლოგები მიიჩნევენ, რომ წრიული ფორმა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებული და ჩამოყალიბებული უძველესი არქიტექტურული ფორმაა (ჯაფარიძე 1971: 16; ჯავახიშვილი 1973: 349).

ქართულ საზღაპრო ეპოსსა და ხალხურ თამაშობებში ნაგებობის აუშენებლადაც იქმნება წრე, ანუ შეულწეველი სივრცე. ალ. ოჩიაურის მონობით, ხევსურეთში სცოდნიათ წრის შემოვლება და მასში „მესმინაედ დაჯდომა“ — უსმენდენ კუდიანებსა და ეშმაკებს [ოჩიაური 2002: 336]. წრით სივრცის დაბორკვის, ტერიტორიის ხელშეუხებლად ქცევის ინსტრუმენტად იყენებენ ხმალს, ხანჯალს, ჯოხს, თანამედროვეობაში ცარცს და სხვ. წრით სივრცის ჩაკეტვის ქმედება მაგიური რწმენით საზრდოობდა, ჩვენს დროში კი რწმენისგან დაცლილი გადმონაშთი დაგვრჩა. შემოხაზული წრე, ისევე, როგორც სახლი (ბაიბურინი 1983: 127), ორ სივრცეს მოიცავს. წრის გარე ნაწილი ღია სივრცულ არეალში გადის, ანუ საზღვარს ქმნის დანარჩენ სამყაროსთან, მასთან ურთიერთობის (დაპირისპირების) შესაძლებლობას იძლევა (საზღვარსა და მიჯნასთან დაკავშირებით გვახსენდება ლოგინში ხმლის ჩადების წესი. ეს შეხების აკრძალვის ფორმაა, რომელიც ზღაპარშიც შემორჩა. ქალსა და კაცს შორის ჩადებული ხმალი სანოლის ორ მონაკვეთს აცალკევებს. თავის მხრივ, სანოლის მარჯვენა და მარცხენა მხარეები ოთახის სივრცესთან მიმართებაში შეგვიძლია წრებად ჩავთვალოთ).

წრის შინა სივრცე ჩაკეტილია, შესაბამისად, მასში საკუთარი ნესრიგის დამყარებაა შესაძლებელი. ზღაპრის გმირს, რომელიც წრის შიგნითაა დარჩენილი, უსაფრთოდ ყოფნის გარანტია აქვს. ამავდროულად რწმენის საფუძველზე გადაირჩენენ თავს ზღაპრის დევნილი მზეთუნახავი და მისი შვილები. დამხმარე ცხოველ პერსონაჟს, ცხენს, განზრახული აქვს თავის ჩაგრულ მზეთუნახავს შეუქმნას სივრცე, რომელიც „კოსმოსის“ (აბაკელია 1991: 91) დარად შეგვიძლია აღვიქვათ. ცხენი ეტყვის ველის ყვავილს: აიღე დანა, ყელი გამომჭერიო. ასო-ასო დამჭერ, დამალავე, მერე ინატრე, რაც გინდა და იმად გექცევა ჩემი ნაჭრებით. თუ მეც რამედ გინდივარ, ჩემთვისაც გადადევ ერთი ნაჭერიო. დახუჭა თვალი [ქალმა], დაკლა ცხენი, დაჭრა ასო-ასო და ინატრა. გაცოცხლდა ისევ ცხენიც და გაიმართა მშვენიერი დუქანბაზრიანი ქალაქი (სიბრძნე, I, 1964: 490). „თვალჩიტას“ ზღაპარში „ქალაქმშენებლობის“ მთელი გეგმა წარმოდგენილი: „რომ მოკვდები, გამატყავე, ხორცი დაჭერი, ძვალი ცალკე დაანყე, რბილი — ცალკე. მერე აიღე ძვლები და მინდორში შორი-შორ დაყარე, იქ მაღალი გალავანი (უფრო ვრცელი შემოზღუდული სივრცე, რომლის შიგნით სხვა ჩაკეტილი სივრცითი

ტერიტორიები შეიძლება ყოფილიყო — თ.ქ.) შემოევლება; ჩემი ორი ფეხი აი, იმ ალაგას ერთმანეთის პირდაპირ დადე; იქ შესასვლელი კარები (სამყაროში „გასასვლელი“ — თ.ქ.) შეებმება... ხორცი შუა მინდორში რიგზე ერთი იქით დააგდე, მეორე — აქეთ... ქალაქი გაშენდება ფართო და გრძელი ქუჩებით, მაღაზიებით და სასადილოებით; ჩემი თავი თავით დაიდეთ, ძუა — ფერხით, ტყავი ზედ დაიხურეთ, ორი ფეხი აქეთ იქიდან დაიდეთ. იმ ადგილას აშენდება მარმარილოს სასახლე...” (სიბრძნე, II, 1964: 86).

ზღაპრების ამ ეპიზოდებში რამდენიმე საინტერესო მომენტი იმსახურებს ყურადღებას. ზღაპრებში განხორციელებულია მსხვერპლშენირვის რიტუალის ერთ-ერთი ფორმა — თვითშენირვა. მითისტვის ცნობილი წარმოსახვითი სიკვდილის ეს მოტივი მთავრდება შემდგომი მაგიური გაცოცხლებით. ზღაპრებში დანაწევრებული სხეულით მინდვრის განაყოფიერების მითური მოტივის ვარიანტი გვაქვს (სიუხვის ერთი ფორმა შეცვლილია მეორით).

ზღაპრებში წარმოდგენილი კონფლიქტები დაპირისპირებულ ძალთა შორის მიმდინარე ბრძოლაა. მითოსური ცნობიერებისათვის დამახასიათებელი ბინარული ოპოზიციები (ხიდაშელი 2001: 32), ბუნებრივად აითვისა ზღაპარმა. ამიტომ მოითხოვს ზღაპრის ესთეტიკა, ისევე როგორც მითისა, ბრძოლის გამარჯვებით დასრულებას (ქაოსის ლიკვიდაციას), რასაც შედეგად წესრიგის აღდგენა მოსდევს. თვითშენირვისთვის მზაობაში მყოფი ცხოველი-პერსონაჟები თავიანთი სიკვდილით სწორედ წესრიგის გამარჯვებას ეწინებიან, მაგრამ სიკვდილი ამ შემთხვევაში არ არის საბოლოო საფეხური — მკვდრებისგან ახალი სიცოცხლე აღორძინდება.

ზღაპრებში ბრძოლის რიტუალი ორიენტირებულია სიკეთის გამარჯვებაზე. მეზღაპრე ცხენის, როგორც გულთმისანი არსების, პირით არიგებს დევნილ ქალს. ამ დარიგებაში გათვალისწინებულია წესრიგის დამყარების საშუალების შესახებ წარსული ცოდნა. მეზღაპრის ამ გამოცდილების განხორციელება ახლად შექმნილ ილუზორულ სამყაროში ამკვიდრებს წესრიგს: ორივე ზღაპრის დევნილი ქალები შვილებთან ერთად იღვიძებენ ბრწყინვალე სასახლეებში, სადაც თავად არიან თავისი ბედის ბატონ-პატრონები. ზღაპრის გმირები კარგად გრძნობენ თავს წესრიგის დამკვიდრების შედეგად შექმნილ ახალ რეალობაში.

წრის, როგორც დაცული სივრცის საკრალურობის შესახებ ცოდნა უძველესი დროიდან მოდის და, ჩანს, არ დაიკარგება.

ჩაკეტილი სივრცე მეტაფორად არის ქცეული ფშაველი მელექსის ივანე გორხაშვილის მიერ თავის ტრაგიკულ ხვედრზე 1950 წელს ნათქვამ ლექსში „რა ვქნისა“ ციხე ავაგე“ (თემასთან დაკავშირებით მასზე ყურადღება მიგვაქცევინა პროფ. ა. არაბულმა).

გაუსაძლისმა სევდამ კაცს გარშემომყოფთაგან თავადვე შემოასაზღვრინა ვირტუალური წრე, რომელიც სიმბოლურად ციხის

შეუღწეველ სივრცესთან არის გატოლებული და ამით გლოვის, ანუ თავის თავში ჩაღრმავების შესაძლებლობა მოაპოვებინა. ადამიანმა იცის, რომ ამ ქვეყნად მუდმივი არაფერია, დრო კლავს და კურნავს კიდევ და წრესაც გაეხსნება პირი. ეს ოპტიმიზმს სძენს წუხილიან ლექსს, რომელშიც ხალხური წარმოდგენა მშვენიერ პოეტურ საბურველშია გახვეული:

„რა ვქნისა“ ციხე ავაგე,
ჯავრი შევაბი კარადა,
საიქიოდან მოვიდნენ
ამ ციხის სანახავადა.
ბევრი უარეს ციხესა,
კარ ვერ გატეხეს ძალადა,
მემრე თქვეს: დრო რო მოალის —
კარ გაიღების თავადა!..

(სიხარულიძე 1970: 379).

ბუნებრივია, ჩვენ დროში მაგიური სიტყვისა და ქმედებებისადმი რწმენა შესუსტებულია, თუ თითქმის გამქრალი არა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ზოგიერთ ადამიანში განსაკუთრებული ბიოენერჯის არსებობას, შეიძლება ვირწმუნოთ ზემოხსენებულ მაგიურ მოქმედებათა რეზულტატურობა. სოფლებში ყველა მეორე ხომ არ არის შემლოცველი? შესაბამისად, შედეგიანი შემლოცველის სახელს დაიმკვიდრებენ ხოლმე სწორედ ბიოენერჯის მფლობელი ქალები. მათი ავადმყოფებზე ზემოქმედების შედეგი თვით შელოცვის პროცესშივე ფიქსირდება, როცა შემლოცველი მთქნარებას იწყებს. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ავადმყოფიდან მავნე ძალის გამოდენისათვის იგი საკუთარ ენერჯიას ხარჯავს და სუსტდება.

სივრცის ჩაკეტვის უძველესი ტრადიცია ახლაც ცხოველმყოფელად განაგრძობს სიცოცხლეს, თან ისე, რომ არც მიზანმიმართულება შეუცვლია. დღეს იგი რეალიზებულია ძალზე გავრცელებულ მაღალ გალაგანში, რომელიც სივრცეს შიგ შეუღწევლობის განზრახვით შემოზღუდავს გარესამყაროსაგან.

დამონებანი:

აბაკელია 1991: Абакелия Н. К. Миф и ритуал в Западной Грузии. Тб.: „მეცნიერება“, 1991.

ბაიბურინი 1983: Байбури А.К. Жилище в обрядах и представлениях восточных славян. Л.: «Наука», 1983.

ბარდაველიძე 1939: ბარდაველიძე ვ., ჩიტაია გ. ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურეთი, თბ., „მეცნიერება“, 1939.

ბუხრაშვილი 1988: ბუხრაშვილი პ. საცხოვრისი და სივრცული აღქმა, — „გარეჯი“, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VIII, თბ.: „მეცნიერება“, 1988.

გაგულაშვილი 1986: გაგულაშვილი ი. ქართული მაგიური პოეზია, თბ.: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1986.

- კასირერი 1995:** Кассирер Э. Лекции по философии и культуре. Культурология. XX век. М., ИНИОН РАН, 1995.
- ლავონენი 1984:** Лавонен Н.А. Функциональная роль порога в фольклоре и верованиях карел. - Фольклор и Этнография. Л., «Наука», 1984.
- მინდაძე 1981:** მინდაძე ნ. ქართული ხალხური მედიცინა, თბ.: „მეცნიერება“, 1981.
- მინდაძე 2001:** მინდაძე ნ. რელიგიური სინკრეტიზმი ქართულ ხალხურ მედიცინაში, — ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი: „ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2001.
- ნეკლუდოვი 1975:** Неклюдов С.Ю. Статистические и динамические начала в повествовательном фольклоре. - Типологические исследования по фольклору. М.: «Наука», 1975.
- ოჩიაური 2002:** ოჩიაური თ. წმინდა გიორგის სასწაულთა ხალხური პარალელები. — „ოჩხარი“, ჯ. რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი, „მემატიანე“, თბ.: 2002.
- სიბრძნე 1964:** ხალხური სიბრძნე, ს, მ. ჩიქოვანის რედ., II, ა. ლლონტის რედ., თბ.: „ნაკადული“, 1964.
- სიხარულიძე 1970:** ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, ქს. სიხარულიძის შედგენილი, თბ.: „თსუ გამომცემლობა“, 1970.
- ქურდოვანიძე 1974:** ქურდოვანიძე თ. ეთერიანი, თბ.: „თსუ გამომცემლობა“, 1974.
- შანავა 1989:** შანავა რ. ცნობები საქართველოს სულიერი ყოფის შესახებ XVII საუკ. იტალიელ მისიონერთა შრომებში. – საქართველოს ეთნოგრაფია, XI რესპ. სესიის თეზისები, ზუგდიდი, 1989, თბ., „მეცნიერება“, 1989.
- შიოშვილი 1994:** ქართული ხალხური შელოცვები, კრებული შეადგინა და შენიშვნები დაურთო თ. შიოშვილმა. ბათუმი: „აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა“, 1994.
- ხიდაშელი 2001:** ხიდაშელი მ. სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბ.: „ნეკერი“, 2001.
- ჯაფარიძე 1971:** ჯაფარიძე ო., ჯავახიშვილი ა. უძველესი მინათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ.: „მეცნიერება“ 1971; Джавахишвили А.И. Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тыс. до н.э. Тб.: “Мецниереба“ , 1973.

Л. М. ШАЙКЕНОВА

Казахстан, Алматы

Авторская интенция и читательское восприятие в научной коммуникации

Контекстуализация информации в научном дискурсе предполагает, что автор текста одновременно с передачей смысла учитывает свои собственные желания, интересы, цели и планы. Все эти субъективные моменты связываются с выражением авторской интенции в тексте, мнения, оценки, отношения к передаваемой информации или к адресату сообщения. Особенности научного текста предполагают учет не только специфики прагматической ситуации, в которой он создается, но и того важного обстоятельства, что он создается и функционирует в рамках особой системы коммуникации - научной.

Кроме того, в современной науке формулируются такие признаки языка науки, как точность, логичность, абстрактность, объективность, выступающие, в свою очередь, в качестве критериев отбора языковых средств выражения. Логичность и вытекающая из нее точность являются обязательными свойствами языка науки. При этом логичность является одним из исходных принципов построения научных текстов. «Логичность языка науки стремится к логике описываемой науки, она вторична, является способом отражения и фиксации выводимости суждений по определенным правилам, основана на обязательной выраженности логических категорий и законов, на базе которых выводимость осуществляется» (Вырячев 1998:4-5).

В этой связи обращает на себя внимание понятие «единство», получившее довольно широкое распространение в исследованиях текста и в анализе дискурса (Лузина 1996). Наиболее известно традиционное использование этого понятия в терминологическом выражении «сверхфразовое единство». Стремясь представить сверхфразовое единство в качестве нового структурно-семантического образования, ученые зачастую проводят изучение этого единства с точки зрения его внутреннего строения, взаимосвязи составляющих компонентов, специфики его статуса в отличие от предложения. Эта ограниченность проявляется также во все еще недостаточной изученности функционирования единств в текстах разных типов и в целом тексте, составными частями которого они являются. Отсутствие работ в этом направлении можно объяснить тем, что единства в большинстве работ функционально-стилистического характера, где они наиболее полно исследованы, рассматриваются, по существу, как единицы текста, т. е. результат членения информации, а не процесс. Попытки выйти за пределы отдельного сверхфразового единства на основе структурно-

семантического критерия сводятся преимущественно к описанию формальных связей между единствами. Хотя мысль о выделении комплексных единств к общему тематическому плану текста высказывалась в некоторых исследованиях, роль тематических единств не получила должного внимания.

Из сказанного выше следует, что текстовые единства в описанном истолковании не могут служить базовыми концептами для научного дискурса. Структурно-семантические единства статичны по своей природе и не отражают динамический процессуальный характер научного дискурса. Кроме того, в них явно недооценивается связующая роль тематического многообразия текста или его композиционно-тематический план. В то же время понятие «единство» может использоваться при изучении научного дискурса для объяснения именно динамики развертывания семантической информации в тексте. В этих целях сам термин «единство» должен быть осмыслен в его другом толковании: с точки зрения континуума дискурса в целом. В языке имеются специальные средства, называемые, по Н. К. Рябцевой (Рябцева 1992), ментальными перформативами, которые направлены не только на членение дискурса, но и на обеспечение континуальной последовательности излагаемых событий, фактов, действий.

В самом общем смысле в рамках стратегического подхода единство может быть определено как тематическая или топикальная текстоструктурирующая ориентация, избранная с учетом коммуникативной цели и направленная на достижение максимально эффективной организации текста в расчете на его адресата. Степень адресованности текста зависит от решения автора рассуждения. В таком понимании единства научный дискурс эксплицируется как процесс и стратегия организации семантической информации в тексте.

Современные исследования по семантике и прагматике текста, анализу дискурса позволяют предположить, что упомянутые выше специфические высказывания - ментальные перформативы - имеют отношение к когерентности дискурса, которая основывается не только на поверхностной лексической или синтаксической когезии, но и на пропозициональной связности и логически последовательном развитии темы текста (Лузина 1996). В таком широком понимании ментальные перформативы являются универсальным средством обеспечения когерентности на разных уровнях структурной сложности текстовых построений. Кроме того, исследователи считают, что различные средства распределения информации (сверхфразовые единства, абзац, глава и др.) (Лузина 1996:51) участвуют в когерентности текстов разнообразных типов и жанров, как в монологических, так и в диалогических. Даже в минимальном диалоге «вопрос-ответ», задавая вопрос, говорящий выражает пропозицию, которая требует информационного завершения, т. е. информация распределяется на такие части, как «запрос (информации)»

и «завершение». Исследователи дискурса отмечают, что участники беседы (устного дискурса) разделяют общую ответственность за установление связности, которая в широком смысле включает завершенность пропозиционального содержания, поддержку топика дискурса и возможность идентификации референтов.

Все вышесказанное позволяет полагать, что ментальные перформативы связаны с фундаментальным свойством текста – пропозициональной, или информационной когерентностью. В коммуникации информация передается «порциями», которым во внутреннем лексиконе человека соответствуют особые структуры сознания, пропозиции. Другими словами, в коммуникации информация передается и распределяется не предложениями, а тем, что стоит за ними и образует некоторую логическую схему сообщаемого, а именно – пропозициями.

Предпосылкой и условием реализации связи в тексте, в основе которой лежит связность пропозиций, а не предложений как таковых, признается контекст, или дискурс. Важнейшим принципом установления когерентности между отдельными пропозициями в цепи рассуждений, как можно заметить, является переход от «старой/данной» к «новой» информации (Лузина 1996:55). Чтобы быть связным текстом, а не просто случайной последовательностью пропозиций, в нем должен быть представлен в том или ином объеме «старый» материал, т. е. уже обработанная в дискурсе информация. Именно эта информация поддерживает созданную когерентность и обеспечивает включение в нее «новой» информации. В этом смысле ментальные перформативы являются не только средством обеспечения непрерывной обработки информации в тексте, что связано с поддержкой интереса адресата, но и требованием обеспечения когерентности текста, дискурса.

Научному общению, как и любому другому общению, требуется взаимопонимание, поэтому риторические нормы научного дискурса предписывают следовать постулатам речевого общения: информативности, истинности, релевантности и ясности выражения. Постулаты речевого общения были подробно описаны П. Грайсом. Но именно в научном тексте следовать этим постулатам особенно трудно, в частности, потому, что условия успешности и нормы научной коммуникации вступают в конфликт друг с другом. Поэтому в научном тексте формируется риторическая структура, которая призвана примирить эти конфликтующие стороны.

Ментальные перформативные высказывания, как отмечалось выше, обеспечивают так называемую прямонаправленную связность текста и оповещение читателя о дальнейшем ходе изложения. Прежде всего, они должны сформулировать у реципиента то ожидание, которое затем поможет ему наиболее адекватно воспринять новую информацию. Другими словами, научной коммуникации так же, как и повседневному

человеческому общению, присущи такие прагматические параметры, как автор речи, его коммуникативная установка, адресат и связанный с ним перлокутивный эффект (Арутюнова 1982:365).

Сообщая читателю свои намерения, автор стремится вызвать у него нужные ассоциации, актуализировать уже имеющиеся у него знания. Эту задачу выполняют разного рода ссылки и напоминания, в том числе и указания на связь с предыдущими отрезками текста. Автор, с одной стороны, дает оценку важности какого-либо факта, с другой - побуждает читателя присоединиться к ней. Так, комментируя вводимую информацию и порядок изложения, автор попеременно может переносить центр тяжести то на собственные намерения, то на восприятие читателя, то на объективный смысл этого комментария. Эти моменты постоянно присутствуют в тексте в более или менее выявленной форме.

Предметное содержание научного текста заключено, таким образом, в некое пространство, объединяющее авторскую интенцию и читательское восприятие, и обладающее скрытой воздействующей силой, ориентированной на разные стороны психологического механизма восприятия. Исследователями выделяются стратегические прагматические планы, которые действуют в определенных отношениях, учитывающих национально-культурные, психологические, социальные, групповые и другие свойства личности, а также языковые средства текста, ситуативные и конвенциональные условия функционирования акта письменного научного общения.

Интересная мысль высказана Н. К. Рябцевой: «Перед участниками научного диалога стоит не языковой барьер, а концептуальный. Ученые, говорящие на одном языке, не понимают друг друга, если их «научный язык» не совпадает. Государственные и национальные границы не проходят по «научной территории», потому что она разбивается на «государства» научными школами и их терминологическими (концептуальными) парадигмами» (Рябцева 1989:245).

Ментальные перформативы способствуют снятию неопределенности текста, которая, в отличие от художественного творчества, нагружена не эмоционально, а рационально. Неосознаваемая неопределенность изложения затрудняет восприятие текста адресатом. Произнося социальные перформативные высказывания, говорящий знает, какое именно действие он производит - просьбу, приказ, благодарность, эти действия, кроме того, можно наблюдать, в то время как мыслительные операции не поддаются наблюдению. Проследить за ходом рассуждения можно благодаря ментальным перформативам, которые эксплицируют ментальные действия. Автор использует их, «когда возникает необходимость заострить внимание на каком-либо пройденном этапе или конкретном шаге» (Романов 1990:30).

Авторефлексивность ментальных перформативных высказываний заключается в том, что с их помощью автор производит «самоотчет» и тем

самым снимает возможную (обычно неосознаваемую, случайную) неопределенность своего рассуждения. При этом он идентифицирует мыслительные операции, производимые им, с содержащимися в его сознании объектами - мыслями (и образами). Так, форма одного и того же высказывания («мысли») может соответствовать гипотезе, верифицированному или ложному суждению, распространенному мнению или содержанию закона природы; ср.: *В системе сложного предложения в казахском литературном языке подчинение доминирует над сочинением; ...этнос болмысына атысты тіл фактілерін этнография а ара анда этнолингвистика лде айда ау ымды да ке пайдаланады.* «Интеллектуальный» (интенциональный) контекст, или экспликация ментальной операции, объектом которой служит такое высказывание в рассуждении, снимает эту неопределенность, например: *Допустим, что в системе сложного предложения в казахском литературном языке подчинение доминирует над сочинением; ...этнос болмысына атысты тіл фактілерін этнография а ара анда этнолингвистика лде айда ау ымды да ке пайдаланады деп ойлаймыз. ...мы приходим к выводу, что в системе сложного предложения в казахском литературном языке подчинение доминирует над сочинением* (Н. Сауранбаев); **орыта келгенде:** *... этнос болмысына атысты тіл фактілерін этнография а ара анда этнолингвистика лде айда ау ымды да ке пайдаланады* (. айдар).

Авторефлексивность ментальных перформативов и их способность идентифицировать и квалифицировать (объективировать – для адресата) мыслительные операции делают их важным средством снятия «случайной» неопределенности рассуждения, которая, вообще говоря, в научном тексте должна избегаться. Кроме того, с помощью ментальных перформативов автор производит и «самоконтроль» – сверяет свой замысел с формой его воплощения в тексте (Рябцева 1992:24).

Собственно метатекстовые функции высказываний вида *... к этому мы еще вернемся; Ниже мы рассмотрим...* довольно тривиальны и упоминались в различных исследованиях (А. Вежбицка, Ю. Д. Апресян).

Следить за рассуждением можно, только если оно состоит из связанных между собой мыслей. В этом отношении ментальные перформативы и их дескриптивные («косвенные») варианты не являются главным средством смысловой связности и действительно равносильны «пометкам на полях». Тем не менее важна их роль в системе метатекстовых средств организации научного изложения.

Ментальные перформативы, как и другие метатекстовые средства, как отмечалось, снимают неопределенность текста в силу способности вводить некоторый отрезок текста или квалифицировать предыдущий, ср.: *Однако уже из этих соображений можно заключить, что в применении к древнерусскому языку сопоставительно с современным понятие «другой, иной» имеет очень условный смысл* (В.В.Виноградов);

*Обратимся к типологии парных слов, представленной в капитальном труде Н.Абдурахманова (М.М.Копыленко); **Теперь рассмотрим более подробно первый этап этого процесса...**(Ю.Д.Апресян); **Соны айталай еске т сiрiп, з тарапымыздан мысалдар осып, осы с зdi же не бiр талдап тпекнiз** (Р.Сызды ова); **Ендi етiстiктi грамматикалы дамуына то талайы** (Н.Сауранбаев); **Сонды тан, б ларды топтастырып ана к рсетпекнiз** (Х. К. Жубанов).*

Ментальные перформативные высказывания допускают дескриптивное употребление, благодаря чему эксплицируют связи между «событиями сюжета» и «постквалифицируют» их, ср.: **Ниже мы разовьем взгляд на перформативность как на типичный нетривиальный семантический признак** (Ю.Д.Апресян); **Выше мы говорили о логических связях членов предложений** (С.Аманжолов); **Жо арыда ескерiлгенiндей, б ларды барлы ы да мектеп грамматикаларына ара анда м селенi ке iрек ойып арауды ма сат еткен** (Т. ордабаев); **Бiздi айтайы дегенiмiз: с здер белгiлi бiр лингвистикалы д ст рге ие болып, фразеологиялы д режеге жету шiн, ол с здер сол белгiлi фразеологизмге т н асиетке ие болуы керек** (I.Ке есбаев).

Ментальные перформативы, кроме того, взаимодействуют с другими метатекстовыми средствами, к которым относятся: «сигналы очередности» (во-первых, далее; бiрiншiден); показатели связи между фрагментами высказываний (кстати, короче; ыс асы, ыс аша айт анда); «мета-организаторы» темы (что касается, относительно; ж нiнде, туралы); вводные обороты, а также целый ряд других маркеров, типа, таким образом, тем не менее, в заключение, в качестве вывода, теперь, сейчас, здесь, предварительно, более того, помимо, в этой связи, лишь, итак; дегенмен, с йтiп, осында, азiр, бас аша айт анда, тек, ендi, сонымен, демек, йтседе.

Цель научного изложения – внести вклад в научную картину мира, носителем которой выступает адресат. Типичное научное изложение – статья, доклад, рецензия, обзор, книга – всегда рассуждение. Это особым образом организованное изложение нового знания (хотя бы даже об уже известном, «старом» знании), организованное так, чтобы его принял адресат.

Литература

- Арутюнова 1982:** Арутюнова Н.Д. Фактор адресата. Ж.: Известия АН СССР, Серия литературы и языка, т. 40, №4, 1981.
- Вырячев 1998:** Вырячев П.В. Выражение противоположности в языке науки. Автореф. дисс. канд. М., 1998.
- Лузина 1996:** Лузина Л.Г. Распределение информации в тексте (Когнитивный и прагматилистический аспекты). М.: ИНИОН РАН, 1996.
- Романов 1990:** Романов А.А. Системный анализ регулятивных средств диалогического общения: Автореф. дисс. докт. М., 1990.

- Рябцева 1989:** Рябцева Н.К. Интеррогативность научного языка // Логический анализ языка: Проблемы интенциональных и прагматических контекстов. М.: Наука, 1989.
- Рябцева 1992:** **Рябцева** Н.К. Ментальные перформативы в научном дискурсе. Ж.: Вопросы языкознания. №4, 1992.

თამარ შარაზიძე

თბილისი, საქართველო

ბუნების, როგორც მხატვრული ნაწარმოების მნიშვნელოვანი კომპონენტის, ფუნქცია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

ცნობილია ვაჟა-ფშაველას ბუნებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება. მწერალს ბუნების თემა შემოაქვს ყველგან: პუბლიცისტურ წერილებში, ლირიკაში, პოემებსა თუ მხატვრულ პროზაში. ერთი საკითხია, თუ როგორ აღიქვამს მწერალი ბუნებას, როგორც დამოუკიდებელ რეალობას, და მეორე საკითხია, რა ფუნქცია ენიჭება ბუნებას, როგორც მხატვრული ნაწარმოების მნიშვნელოვანი კომპონენტს, ვაჟას სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებში.

ბუნება, როგორც დამოუკიდებელი რეალობა და ხელოვნების წყარო, ყველაზე მკვეთრად ვაჟას პუბლიცისტურ წერილებსა და ლირიკაში წარმოჩნდება. პუბლიცისტურ წერილებში ბუნების ფილოსოფიური გააზრება გვეძლევა, ხოლო ლირიკა მწერლის შინაგანი სამყაროს გადმოშლასთან ერთად ორგანულად ითავსებს ბუნების თემასაც.

ვაჟას პუბლიცისტიკაში ბუნების აღქმა ყველაზე მკვეთრად წარმოჩნდება წერილში „სად არის პოეზია?“ ავტორი ბუნების ესთეტიკურ ფუნქციას ანიჭებს უპირატეს მნიშვნელობას. ის შემდეგნაირად მსჯელობს: ბუნება ყველას ერთნაირად როდი უყვარს, მაგრამ ძნელად თუ მოიპოვება ვინმე მისი მოძულე. თვით ბუნებასთან მეტროდოლ მინის მუშასაც კი, ბუნებისაგან ბევრნაირად შეშინებულსა და დაჩაგრულს, სიამოვნებას ანიჭებს ახლად ამოსული ია. ვაჟა არა მხოლოდ კაცთა ცხოვრებაში მომხდარი სხვადასხვა მოვლენის მსგავსებას ხედავს ბუნებაში, არამედ ადამიანის ნებისმიერი ტიპის ანალოგსაც ბუნებაში აღმოაჩენს — „ბუნებაში ვხედავთ ძლიერების წარმომადგენელთ: ლომს, ვეფხვს, არწივს. ჩვენს საზოგადოებაშიც არიან ისინი. მხოლოდ აღმოჩენა უნდა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 346). აქედან გამომდინარე, ნიჭიერ მწერლად ვაჟა იმას მიიჩნევს, ვინც სრულად ხატავს ბუნებას არჩეული ტიპის მეშვეობით. ვაჟა მსჯელობს გენიოსთა მიერ შექმნილ დიდებულ ტიპებზე, რომელთაც, საერთო ნიშნები ახასიათებთ — თავდადება, შეუდრეკლობა, სიმტკიცე და კიდევ ერთი — თვალხილულობა და სიბრმავე ერთსა და იმავე დროს. ვაჟას აზრით, ასეთივეა ბუნებაც — თვალხილულიც და ბრმაც, ამიტომაც „ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს ღირსებით და ნაკლით“ (იქვე). თუ რას გულისხმობს ვაჟა ადამიანთა თვალხილულობასა და სიბრმავეში ადვილი მისახვედრია ლამანჩელი აზნაურის დონ-კიხოტის მაგალითზე, რომელსაც „აზრი მალალი აქვს“, მაგრამ შეცდომაც ბევრი მოსდის. აზრის სიმაღლე თვალხილულობის

შედეგია, შეცდომა კი სიბრმავის. ისმება კითხვა: რას გულისხმობს ვაჟა ბუნების თვალნილულობასა და სიბრმავეში? „თვალნილულობაში“ პოეტი გულისხმობს მის ღირსებას, მონესრიგებულობას, იმ ჰარმონიას, რომლის წყალობითაც ბუნებას „თავისი წესი და რიგი აქვს, სიმტკიცე აზრისა და მისწრაფებისა“, ხოლო სიბრმავეში, რაც მის „ავ საქმეში“, ბუნების ნაკლში გამოიხატება, — ნების უქონლობას, რის გამოც ბუნება ცოდვასა და მადლს განურჩევლად სჩადის. ვაჟას აზრით, ბუნებაში მხოლოდ ადამიანია თავისუფალი ნებით და უმაღლესი სულიერი მოთხოვნებიტებით აღჭურვილი არსება, ბუნების უგონიერესი წევრი — „...ვფიქრობ, ვგრძნობ, მიყვარს, მძულს და კაცი მქვიან, დიახ, კაცი, საუკეთესო ბუნების წევრი ვარ“ („ფიქრები, მოგონება და ოცნება“, ვაჟა-ფშაველა 1964: 115). ადამიანი ბუნების საუკეთესო ნაწილია, რადგან პიროვნული არსებაა. პიროვნება კი, ქრისტიანული გაგებით, მთელის ნაწილად გვევლინება იმდენად, რამდენადაც იგი მთელს თავის თავში მოიცავს — „ჩვენ ბუნებაში ვართ, იგი ჩვენშია“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 346).

მიუხედავად ადამიანის გამორჩეულობისა, როცა ვაჟა ბუნებასა და ადამიანს ერთმანეთს ადარებს, აღნიშნავს, რომ ბუნების გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრად აღემატებაო. პოეტი „გონიერ მოქმედებაში“ ცნობიერ მოქმედებას არ გულისხმობს. აქ ვაჟა, როგორც დიდ შემოქმედთ ახასიათებთ, არ იძლევა საკითხის წვრილმან განმარტებას, რაც მკითხველმა თავად უნდა განსაჯოს: თუ ბუნების უგონიერეს არსებაზე — ადამიანზე — უფრო გონიერულია ცნობიერებასა და თავისუფალ ნებას მოკლებული ბუნების მოქმედება, ე.ი. მას წარმართავს ადამიანზე უფრო ბევრად გონიერი არსის შეუცდომელი აზროვნება. ეს არსი, თუ შეიძლება ასე ვუნოოდოთ მას, ღმერთია. ვაჟა ღრმად სწვდება კოსმიური სამყაროს იდუმალ არსს და ხვდება, რომ მას მაინც ზებუნებრივი და თანაც მორალური ძალა წარმართავს, ე.ი. სიკეთე. ვაჟა ობიექტურად აფასებს ბუნებაში არსებულ ყოველ მოვლენას, ყოველ არსს, მაგრამ ადამიანისათვის მაგალითის მიმცემად იხდის მხოლოდ ბუნების იდეალურ პერსპექტივას, რომელიც სიკეთეზეა დაფუძნებული: „კარგს რასაც ვხედავთ ბუნებაში, ყოფილა თავისთვის უსარგებლო, ხოლო სხვისთვის სასარგებლო, სახირო, — აღნიშნავს ვაჟა, — მაშასადამე, თვით ბუნება გვაძლევს საზომს სიკარგისას და უვარგისობისას და ჩვენ კაცთ ეს არ გვესმის, თუნდაც რომ გვესმოდეს, მაინც ყურადღებით არ ვეპყრობით ამ ბუნების კანონს, მის განაჩენს“ („ყოველდღიური ფიქრები“, ვაჟა-ფშაველა 1964: 189). როგორც ზ. გამსახურდია აღნიშნავს, „ბუნებასა და საზოგადოებრივ ყოფაში სიკეთის განმართლების ქრისტიანული იდეა, რომელიც პავლე მოციქულთან იღებს სათავეს და დასრულებულ ფილოსოფიურ ფორმას ღებულობს ჰეგელთან, შელინგთან და სოლოვიოვთან, ვაჟა-

ფშაველას შემოქმედებაში პოულობს არნახულ პოეტურ განხორციელებას“ (გამსახურდია 1991: 248), მაგალითად,

„და უფსკრულს დასცქერს პირიმზე
მოღერებულის ყელითა“.
(„სტუმარ-მასპინძელი“, ვაჟა-ფშაველა 1964: 237).

ან კიდევ:

„ბევრი სჭირს კაცის ბუნებას
ამაოება მტკნარია,
თუ რამ მადლს იზამს ქვეყნადა,
მისით იცოცხლებს მკვდარია“ (იქვე).

ვაჟას ლირიკაში, ისევე როგორც წერილებში, ბუნება აღიქმება როგორც დამოუკიდებელი რეალობა, რომელიც მიისწრაფვის მომავალი, ჭეშმარიტი სრულყოფისაკენ. ამიტომაც აღიქვამს ვაჟა იესო ქრისტეს დაბადებას, როგორც არაჩვეულებრივ მოვლენას, სასწაულს, რომელმაც არა მარტო კაცობრიობას, არამედ მთელ სამყაროს ხსნა უნდა მოუტანოს: „არ წავსწყმდებიო, არაო“ — ბუნებამ დაჰკრა ზარია“ („გარსკვლავი“, ვაჟა-ფშაველა 1964: 42). ბუნება დაცემულია ადამის ცოდვის შედეგად, მაგრამ ისიც ადამიანივით ხსნას ელის. მაცხოვრის დაბადებით კი ბუნებაც გადარჩა. ლექსში წარმოჩენილია ვაჟას რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულება ბუნებაზე, როგორც უფლის მიერ შექმნილ არსზე, რომელიც ადამიანივით სრულყოფილებისაკენ მიისწრაფვის.

ვაჟას ლექსებში ბუნების მხატვრულ აღქმასთან ერთად ყოველთვის გვეძლევა მისი ფილოსოფიური გააზრებაც. მწერლის მსოფლხედვით, ბუნებაში არსებობს გარკვეული წესრიგი, ბუნების არსთა ურთიერთშეთანხმებული დამოკიდებულება, რომელიც უფლის მიერ არის შექმნილი და მონესრიგებული:

„წყალი სჩქევს, ხევი ჩატირის,
განა ერთი და ორია:
აქაც, იქ, იმას იქითაც,
საცა ფერცხალა გორია,
ლამაზის მთების ასულთა
ხმა ხმისთვის შაუნონია
მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,
უფალო, დაუმონია“.
(„ლამე მთაში“, ვაჟა-ფშაველა 1964: 92)

უფლის მადლით არსებობს ეს შეთანხმებული ურთიერთდამოკიდებულება, რომლის ჰარმონიულ წესრიგში ადამიანიცაა ჩართული:

„და მე ხომ ყველას მონა ვარ,

პირზე ოფლგადამდინარედ!“ (იქვე).

აქ იგულისხმება არა „ყურმოჭრილი მონობა“, არამედ ადამიანის სამყაროსგან განუყოფლობა, მასთან შერწყმა, ადამიანისა და ბუნების სრული ერთიანობა. ვაჟა გვეუბნება, რომ ადამიანის დაცემამ ბუნების დაცემაც გამოიწვია, რადგან ღმერთმა მას შეუცვალა ბუნებასთან დამოკიდებულების მისია და უბოძა პურის მხოლოდ და მხოლოდ ოფლით მოპოვების სახსარი, დაანყებინა ბრძოლა „ეკალთან და კუროსთავთან“, რომლებიც მიწამ აღმოაცენა ადამიანის სამოთხიდან გამოძევების შემდეგ.

«Жанровые потребности» массового читателя удовлетворяются сегодня многочисленными детективными сериями. На интеллигентного читателя рассчитаны исторические детективы Б.Акунина, экономические детективы Ю.Латыниной, политические детективы В.Суворова, Д.Корецкого, Э.Тополя, мистические детективы А.Воронина и др. Женская аудитория выбирает «производственные милицейские» романы А.Марининой, криминально-любовные Т.Устиновой и многочисленные иронические детективы (Д.Донцова, М.Воронцова, Г.Куликова др.). Причем, важно отметить, что именно в подобных детективах происходит наибольшее смешение жанров (это своеобразный синтез любовного, бытового и приключенческого романа с элементами детектива). Мужская аудитория традиционно выбирает боевики, «крутые», шпионские детективы и детективы сатирические (к последним относится серия «про ментов» А.Кивинова). Маргинальный статус в жанровом пространстве современного детектива занимает широко и разнообразно представленный бандитский детектив (Бр.Питерские, Евг.Монах и др.).

Появившиеся на литературном небосклоне детективы Александры Марининой, стали характерной приметой массовой культуры рубежа XX-XXI веков. Маринину называют «русской Агатой Кристи» и «королевой российского детектива», «чемпионом по тиражам» и «эксплуататором литературных негров». На Круглом столе «Rendez-vous с Марининой», темой которого стал «феномен» писательницы и определение ее места в современном литературном процессе, Б.Дубин отметил: «Нормальное общество», о котором столько тосковали на рубеже 1980-1990-х годов, - это сегодня общество читающих Маринину» (Дубин 1998:89). Критик Д. Быков назвал Маринину «нашим коллективным сном», а В.Ерофеев, объясняя успех писательницы, сказал, что «мощный криминальный фон России делает ее детективы прививкой от смутного, всепроникающего страха». Согласно рейтингу, публикуемому газетой «Книжное обозрение», произведения Марининой на протяжении многих лет занимают в среднем от трех до пяти первых позиций из десяти.

Успех Марининой во многом связан с эффектом «узнавания себя». Героями ее детективов становятся люди «из толпы» (челноки, продавцы цветов и газет, служащие, учителя, врачи), бывшая советская интеллигенция, проблемы которых близки и понятны широкому массовому читателю. Массовому читателю полюбилась «серийная» героиня Марининой Настя Каменская - типичная российская женщина «среднего класса». «Тихая забитая серая мышка», усталая и неприметная, с букетом хронических болезней, равнодушная к моде и кулинарии, она обладает прекрасным аналитическим умом и способна конкурировать с мужчинами в профессиональной деятельности. Возможно популярность Марининой можно объяснить тем, что она смогла удовлетворить общественный запрос на «гуманный детектив». Действительно, писательница вводит в свои детективы широкий социальный контекст,

расширяя тем самым границы жанра. Марининой удалось соединить структуру полицейского, криминального, производственного и любовного романов. При этом в центре ее произведений – динамично закрученная интрига, с которой соотнесены психологические и социальные коллизии. В творчестве Марининой причудливым образом сочетаются разные литературные традиции – от английского классического детектива до производственного романа соцреализма. Каменская представляет собой узнаваемый тип советского человека постсоветской эпохи, который бесконечно проигрывает «старые песни о главном». Жанровое своеобразие детективов Марининой невозможно рассматривать вне контекста постсоветской дестабилизации привычных культурных и социальных смыслов.

«Романы Марининой давали некий ориентир. Компас. Маринина была проводником в совершенно незнакомой реальности, причем проводником, юридически грамотным», – определяет феномен писательницы критик Н.Иванова (Иванова 2002:90). Однако быстрая популярность сыграла с Марининой злую шутку. Писательница, действительно, стала считать себя «королевой отечественного детектива». Она много дает интервью, рассуждает о различных явлениях современной жизни, позволяет престижным глянцевым журналам фотографировать интерьеры своей квартиры, появляется в многочисленных телевизионных передачах (от серьезных аналитических до игровых и развлекательных), подробно рассказывает о «тайное тайном» своей писательской лаборатории и т.д. Устав от этой роли, она делает неудачную попытку обращения к драматургии и выпускает романы “Тот, кто знает” и “Незапертая дверь”, в которых отходит от жанра детектива. Очевидно, что эти произведения, которые пестрят банальными истинами и повторами, свидетельствующими о явной исчерпанности возможностей писателя.

Полифоничность современной литературы доказывает, что в конце XX – начале XXI века русская литература снова, как и век назад, развивается в нормальном и необходимом для любого литературного процесса режиме диалога массовой и элитарной культур. Массовая литература во многом отражает парадоксы социальной и культурной памяти современного читателя, массовые предпочтения, на которые влияют не только субкультурные образцы и нормы, но и семейное воспитание, качество школьного и вузовского образования и другие факторы. С начала 1990-х годов российский читатель, начав постепенно осваивать азы полифонической культуры, самостоятельно определяет для себя маршрут чтения. Экс-советский читатель, оторванный от мирового литературного процесса, воспитанный на семидесятилетнем противостоянии официальной и неофициальной культуры, «разрешенных» текстов и текстов самиздата, со школьной скамьи усвоивший, что детектив и мелодрама – жанры загнивающего Запада, вдруг оказался в непривычной ситуации – можно выбрать книгу по душе, настроению,

ситуации. “У каждого жанра свои художественные законы, и что хорошо в одном - плохо в другом. И надо или признать древнюю градацию на низкие и высокие жанры, или мерить каждый по его законам. Забыли, не хотят знать: писать просто и интересно – труднее, чем сложно и занудно. Не то беда, если книгу все читают, а то беда, ежели читают дрянь. ...Наличие в книге всех примет масс-культуры еще не определяет ее к нему принадлежность. Определяет - бездарность, пошлость”, – эмоционально пишет М.Веллер (Веллер 1994:189). В умении распознать эту бездарность и пошлость и проявляется читательская компетенция и вкус.

Массовая литература является важным источником информации о жанровых ожиданиях читателя, об авторских стратегиях, о трансформации «языковой личности», о повседневной жизни человека. Нельзя не согласиться с мнением писателя М.Фрая: «Книга – волшебное зеркало, в котором читатель отчаянно ищет собственные мысли, опыт, схожий со своим, жизнь, описанную так, как он это себе представляет. <...> Интеллектуал, теребящий «Маятник Фуко», и среднестатистический лох, уткнувшийся в очередной том эпопеи о «Бешеном», были бы потрясены, узнав, насколько они похожи. Но эти двое, действительно, почти близнецы, они в одной лодке» (Фрай 1999:262). Это высказывание убеждает в том, что массовая литература, беллетристика, мидл-литература, литература постмодернизма, использующая язык массовой культуры, и элитарная, экспериментальная литература вместе определяют лицо современного литературного процесса. Очевидно, что без любого из этих звеньев картина истории литературы будет не полной.

Литература

- Барт 1994:** Барт Р. Избранные работы: Семиотика. Поэтика. М., 1994.
- Белецкий 1922:** Белецкий А. Об одной из очередных задач историко-литературной науки. Ж.: Наука на Украине. № 2, 1922.
- Бордрийар 1992:** Бордрийар Ж. Злой демон образов. Ж.: Искусство кино. № 10, 1992.
- Быков 2003:** Быков Б. Блуд труда. СПб., 2003.
- Веллер 1994:** Веллер М. “Масс и культ” // Веллер М. Хочу быть дворником. СПб., 1994.
- Гессе 2004:** Гессе Г. Пять эссе о книгах и читателях. Ж.: Иностранная литература. №10, 2004.
- Донцова 2004:** Донцова Д. Но-шпа на троих. М., 2004.
- Дубин 1998:** На Rendez-vous с Марининой: материалы Круглого стола. Ж.: Неприкосновенный запас. № 1, 1998.
- Дубин 2001:** Дубин Б. Слово-письмо-литература. М., 2001.
- Жуховицкий 2000:** Жуховицкий Л. Писатель за 10 часов. Газ.: Книжное обозрение. № 33, 2000.
- Иванова 2002:** Иванова Н. Почему Россия выбрала Путина: Александра Маринина в контексте современной не только литературной ситуации. Ж.: Знамя, N2, 2002.
- Курчаткин 1999:** Курчаткин А. Хочу, чтоб не больно, хочу, чтоб красиво. Литературная газета, № 41 (1999)
- Фрай 1999:** Фрай М. Идеальный роман. СПб, 1999

Харитонов 1998: Харитонов М. Способ существования. Эссе. М., 1998

Чупринин 2007: Чупринин С. Жизнь по понятиям. Русская литература сегодня. М., 2007.

Чхартишвили 1998: Чхартишвили Г. Девальвация вымысла: почему никто не хочет читать романы. Литературная Газета, № 39 (1998).

www.akunin.ru

www.dontsova.ru

სვეტიცხოვლის საკითხავის ჟანრობრივი სპეციფიკის საკითხები

წმინდა ნინოს მოციქულებრივი ღვაწლი არაერთმა თხზულებამ შემოგვიჩინა. ქართველთა განმანათლებელი ეკლესიამ შეაფასა წოდებით „მოციქულთა სწორი“, ხოლო სასულიერო მწერლობამ — მისი მოღვაწეობისა და „სრბის“ აღმწერი არაერთი ძეგლით. „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ერთ-ერთი რედაქცია დაცულია XI საუკუნის II ნახევრის ისტორიკოსის—ლეონტი მროველისეული „ქართლის ცხოვრების“ („ქართლის ცხოვრება“ 1955: 72-130) სახელით ცნობილ კრებულში, სადაც ავტორი ეყრდნობა „ნინოს ცხოვრების“ უძველეს რედაქციას. მოგვიანებით, XII საუკუნის II ნახევარში მოციქულთა სწორი ქალწულ-განმანათლებლის მოღვაწეობის სწორედ ეს რედაქცია დაიმონმა და გამოიყენა ნიკოლოზ გულაბერისძემ „სვეტიცხოვლის საკითხავში“ (საბინინი 1882: 69-119). თავისთავად, გულაბერისძის თხზულება საეტაპო მნიშვნელობის ძეგლია, სადაც არაერთი საყურადღებო საკითხია წამოჭრილი.

გულაბერისძის თხზულება მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავს ქართველთა გაქრისტიანების ისტორიიდან. ავტორი განმარტავს, რატომ მოაქცია საქართველო ქალმა — წმინდა ნინომ და რატომ იყო საქართველოს მეფე ქალი—თამარი. ქალის კულტი, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ესთეტიკურ ფენომენად იქცა, ნათლად აირეკლა ამ თხზულებაში. ამდენად, სვეტიცხოვლის საკითხავი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის გამომხატველად გვევლინება. სვეტიცხოვლის საკითხავი ბევრ ისეთ ცნობას შეიცავს, რომელიც სხვა წყაროდან არ ვიცით. მაგ.: ამბავი თურქთა შემოსევისა (საბინინი 1882: საბინინი 1882:109), კოზმან ბერის ნაამბობი (საბინინი 1882:109), ცნობები ნიკოლოზის ბიძის, სვიმეონ პატრიარქისა (საბინინი 1882:110), დავით აღმაშენებლის ჩვენება, რომელიც მას იოანე კათალიკოსისთვის უამბია (საბინინი 1882:114-115), ეპისკოპოსთა ფიცი, რომელიც საქართველოს ეკლესიის იერარქიის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია და სხვ. „**საკითხავი“ ყურადღებაა წმინდა ნინოს ღვაწლის შეფასების თვალსაზრისითაც**, რადგან გულაბერისძე არის თამარის ეპოქის ავტორი, რომელიც არა მხოლოდ აღწერს, არამედ აფასებს ნინოს—ქალსა და „საზეპურო ერის“ განმანათლებელს. ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ წმინდა ნინოს ცხოვრების აღწერა გულაბერისძის მიზანი არ ყოფილა. ძეგლს სრულიად განსხვავებული მიზანდასახულება აქვს. კ. კეკელიძე მიუთითებს, რომ „ნიკოლოზის მიზანი ყოფილა აღწერა ამ თხზულებაში ის სასწაულები, რომელნიც სვეტიცხოვლის მიერ სრულდებოდა ქართველების მოქცევისას და

შემდეგშიც. ვინაიდან სვეტიცხოვლის ამბავს ცენტრალური ადგილი უკავია ნინოს ცხოვრებაში, თავისთავად ცხადია, ავტორი ვერ ასცდებოდა ვერც ნინოს ცხოვრების აღწერას“ (კეკელიძე 1951:298).

გულაბერისძის თხზულების ჟანრობრივი სპეციფიკის განხილვა მჭიდრო კავშირშია ძეგლის კომპოზიციური საკითხების განხილვა-შსეფასებასთან. „სვეტიცხოვლის საკითხავი“ *კომპოზიციურ-სიუჟეტური* თვალსაზრისით თითქოს ოთხი პირობითი ნაკვეთისგან შედგება: 1. შესავალი; 2. ნინოს ცხოვრება; 3. ა) სვეტიცხოვლისა და ბ) კვართის სასწაულები; 4. სვეტიცხოვლის შესხმა (ხაირეტიზმი/გიხაროდენი). თუკი დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ შესავალში ავტორი თავად გვიხსნის თხზულების კომპოზიციურ-სიუჟეტური და ლოგიკური აგების, სტრუქტურის (თხრობაში წმინდა ნინოს ხაზის ჩართვის) მიზეზს (განმარტავს „მიზეზსა ცხადყოფისასა“, საბინინი 1882: 70): „სამნი ესე სამებისა წმიდისა მსახვებელნი: კათოლიკე ეკლესია, კუართი უფლისა და სუეტი ცხოველი, საუნჯესა უუუდავყოფელსა გუანაყოფებენ, მირონსა, ვითარცა ღმერთმყოფელსა და ნათელმყოფელსა გვიწყაროებენ“ (საბინინი 1882: 70). ე. ი. თხზულების კომპოზიციაც ამგვარადვეა აგებული: საუბრობს კათოლიკე ეკლესიაზე, მოციქულთა ღვანლზე, სადაც ახსენებს პეტრესა და იაკობს და ლოგიკურად გადადის ნინოზე, რომელიც არის ერთ-ერთი საფუძველი ქართული ეკლესიისა, მოციქულთა სწორი დედა, რომელზეც დგას ქართული ეკლესია, ისევე, როგორც ზოგადად მოციქულთა ღვანლზე—ეკლესია. თუკი პეტრე არის კლდე, რომელზეც დაემენა ეკლესია, წმინდა ნინოც არის ის საფუძველი (თორმეტა თანა მეთცამეტე მოციქული), ის „მიზეზი“, რომელიც განაპირობებს „ქართლებრთა ამათ აღმოსავლეთის ეკლესიათა სიმტკიცეს“, ვინც არის „სულთა ჩვენთა გამომსხნელი **სამოელის** მონებისა და ტყუუობისაგან“ (საბინინი 1882: 71) (ვინ არის სამაელი (/სამოელი)? გადავხედოთ ჩამონათვალს: Самаэль - главный правитель пятого неба (иудаизм); Самаэль - огрмный двенадцатикрылый змей, тащашый за собой ... Солнечную систему. (Апокалипсис); Самаэль - ангел смерти, пришедший за Моисеем (Библия); Самаэль - предводитель злых духов и ангел смерти (поздняя раввинская литература). (слова ангел смерти здесь имеют четко выраженное отрицательное значение); Самаэль - князь демонов и колдун (Книга Еноха); Самаэль - змей-искуситель (Талмуд); Самаэль - отец Каина (как следствие предыдущего пункта); Самаэль - ангел тьмы (учение каббалистов); Самаэль - одно из имен Сатаны ;Самаэль - главный архонт, первый сын Пестис София, создатель злого начала Мироздания (гностицизм) (სრულიად რუსეთის საპატრიარქოს გვერდი, რელიგია, სტატია—ეშმაკის სახელები).

წმინდა ნინოს ორგანულად უკავშირდება კვართის ამბავი, სადაც პირველად აღესრულა სვეტის სასწაული. ამგვარად, კომპოზიციური სტრუქტურა სვეტიცხოვლის საკითხავისა ამგვარია: 1. შესავალი; 2. კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის დაფუძნება

ქართლში (წმინდა ნინოს ცხოვრება—კვართის ამბავი; სვეტიცისა და სვეტიცხოვლის სასწაულები); 3. სვეტიცხოვლის შესხმა (ხაირეტიზმი). ძეგლის ავტორი შესავალშივე გამოკვეთს როგორც საკითხავის შედგენის მიზანს, ისე წმინდა ნინოს ცხოვრების მონაკვეთების ჩართვას და ჩართულ მონაკვეთთა შერჩევის სპეციფიკას (შემოკლების მიზეზებს) და გვამცნობს: „რამეთუ ვინ გამოწულივით მეძიებლობდეს დასაბამსა და ვინაობასა და სადაობასა ნეტარისა მის ნინოსასა, წიგნი იგი **ხელად მიიღენ აღწერილი მონერილობით მოთხრობისათვის ქართველთა ცხოვრებისა** და მისგან გეუწყოს ყოველივე აღმავსებელად ჩუენისა ნაკულეევანებისა. ხოლო ჩუენ **შესაბამად წმიდისა ამის დღესასწაულისა მხოლოდ აღმავსებელად კმა საყოფელი რეცა სულმცირედ შემოკლებული თხრობილი მოხსენება ნინოსიცა აღვსწეროთ** და შემდგომითი შემდგომად შეუდგინოთ ყოველივე ჯეროვანი გამოსაჩენელი და საცნაურმყოფელი სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა დიდებულებათა უგუზურებისა ჩუენისაგან შესაძლებელი“ (საბინინი 1882:73). ამგვარად, ნიკოლოზ გულაბერისძემ თავადვე განმარტა მიზეზი წმინდა ნინოს ცხოვრების შემოკლებული ვერსია-რედაქციის ჩართვისა, განსაზღვრა თხრობის მიზანი, რაგვარობა, თხზულების (საკითხავის) შედგენის მოტივაცია და, ამასთანავე, მიუთითა უპირველესი წყაროც, საიდანაც ნინოს ღვანლის წარმოჩენისას უსარგებლია. კ. კეკელიძემ „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომში შენიშნა გულაბერისძის საკითხავის მსგავსება ლეონტი მროველის ძეგლთან. მკვლევარის აზრით, ნინოს მოღვაწეობა და ღვანლი აქაც ისევეა შეფასებული და გადმოცემული, როგორც „ქართველთა ცხოვრებაში“ (კეკელიძე 1951: 298). იმავე ავტორის მითითებით და ბოლოდროინდელი გამოკვლევებით, ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებაში ჩანს „ქართლის მოქცევის“, „მატიანე ქართველთაჲს“, ნინოს ცხოვრების სხვა რედაქციების (მაგ.: არსენ ბერისეული), ევრემ მცირის შრომის („მოსახსენებელი მოქცევისა ჩუენისაი თუ რომელთა წიგნთა შინა ბერძენთასა ხსენებულ არს“), ასევე, არაქართველ მოღვაწეთა წყაროების, რუფინუსის, ბერი მელქიტი ნიკონის, მოსე ხორენაცის (თამარაშვილი 1995: 200-240), ბასილი დიდის ექვსთა დღეთას (რომელსაც თავად ავტორი ახსენებს) (საბინინი 1882: 71), მსოფლიო საეკლესიო კრებათა (მხედველობაში გვაქვს მრწამსის ექსცერპტები, ძალიან საყურადღებო და მნიშვნელოვანი, რომელსაც წმინდა ნინო წარმოთქვამს თხზულებაში და, რომელიც სხვა რედაქციებში ამგვარი სახით, შესაძლოა, არც იყოს), იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ კვალიც.

საკითხავის კომპოზიცია და მისი მიმართება ნინოს ცხოვრების სხვა რედაქციებთან. წმინდა ნინოს ცხოვრების სვინაქსარულ რედაქციათა შესწავლისას მკვლევარი დ. მენაბდე შენიშნავს: „ეს თხზულება ნინოს ცხოვრების დეტალების გადმოცემაში მთლიანად ლეონტი მროველის შრომას ეყრდნობა,

რაზედაც, რომ არაფერი ვთქვათ მათ ფრაზეოლოგიურ სიახლოვეზე, მიუთითებს თვით ნიკოლოზიც“ (მენაბდე 1989: 183). თავის მხრივ, „საკითხავიც“ გამხდარა ჩვენამდე მოღწეული ორი სვინაქსარის წყარო (ამავე ნაშრომში დ. მენაბდე მიუთითებს, რომ A 425 და A 220 სვინაქსარულ კრებულებში მოთავსებული ცხოვრებანი გულაბერისძის „საკითხავიდან“ მომდინარეობენ, ამიტომვე ატყვიანთ გულაბერისძის სტილისა და ლექსიკის კვალი). ჩვენამდე მოღწეული არც ერთი ხელნაწერი, რომელიც საკითხავის ტექსტს შეიცავს, XVII საუკუნეზე ადრეულ პერიოდს არ განეკუთვნება. ეს კი მნიშვნელოვნად ართულებს ძეგლის კვლევას.

კომპოზიციურ-სიუჟეტური და ინფორმაციულ-ფაქტობრივი მიმართება. „სვეტიცხოვლის საკითხავი“ ენობრივ-სტილური თვალსაზრისით სამ პირობით ნაწილად დაყვავით. ესაა: შესავალი (დასაწყისი), ნინოს მოღვაწეობა და ნინოს შემდგომი სასწაულები („გინაროდენით“). საერთო და უცვლელი მთელ თხზულებაში იდეურ-სახისმეტყველებითი ასპექტებია, რაც ამთლიანებს ძეგლს და, ასევე, ავტორის სტილი (მხედველობაში გვაქვს არა ენობრივ-სტილური საკითხები, რაც განსხვავებულია I-III და II ნაკვეთებში, არამედ თხრობის, საკითხის წარმოჩენის—„საძიებლის“ ჭკერტის, გამონულილვისა და საფილოსოფოსო ძიების გულაბერისძისეული სტილი, რაც „ქართლის ცხოვრების“ იმ მონაკვეთისთვის, რომლითაც ნიკოლოზი სარგებლობს, უცხოა). გულაბერისძის საკითხავი ინარჩუნებს ქვეთავთა თანმიმდევრობას: აბიათარის მონათხრობი, სიდონიას მონათხრობი, მაგრამ ზედმიწევნით არ მისდევს მათ. ძეგლთა ურთიერთშედარებამ თხზულებათა ურთიერთმიმართების *სამი ასპექტი* წარმოაჩინა: **ა. ორი ძეგლი ზედმიწევნით** (ან მცირე ვარიანტული სხვაობით) მისდევს ერთმანეთს: „უფალო, მრავლითა ძალითა შენითა“... (საბინინი 1882:74); „შევიდა სახლსა სამოთხის მცუელისასა“/ („ქართლის ცხოვრება“ 1955:93) „შევიდა სახლსა მას სამოთხის მცუელისასა“; თანმხვედრია სიდონიას მონათხრობის მნიშვნელოვანი ეპიზოდი, ერთგვარია დათარიღება (გულაბერისძე სავსებით იზიარებს მროველისეულს); **ბ. გულაბერისძე „ქართლის ცხოვრების“ მოკლე ვერსიას გვთავაზობს, სადაც კვალი ამ უკანასკნელისა ნათელია** და (ამგვარ პასაჟთა მოძიება რთული არაა მათი სიმრავლის გამო); **გ. თხზულებები ერთმანეთისგან განსხვავდება.** როგორც ე. ცხადაძე მიუთითებს, „საფიქრებელია, რომ სხვაობანი გამოუწვევია „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორ-შემდგენლებისა და მთარგმნელის საერთო მიზანსა და გეგმას, ზოგჯერ კი გადაამწესველის გემოვნებას. ქართულ წყაროებში ყველაზე მეტი ცვლილებით ლეონტი მროველის რედაქცია წარმოდგენილია XII საუკუნის II ნახევრის მოღვაწის ნიკოლოზ გულაბერისძის საყურადღებო შრომაში. ავტორის მიზანია აღწეროს უფლის კვართის ადგილსამყოფელზე აგებულ ტაძარში აღმართული სვეტიცხოვლის ისტორია და მისი სასწაულები. გულაბერისძისთვის

საინტერესოა „ნინოს ცხოვრების“ ის ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია ნინოს მოღვაწეობა მცხეთაში, მის მიერ ქართლის მოქცევა და არა მთელი ცხოვრება. ამიტომ იგი თხრობას იწყებს ნინოს ჯავახეთს შემოსვლით და ამთავრებს ცეცხლსა და ჯვრების სასწაულებით. ამ ნაწილს ავტორი გადმოგვცემს ლეონტი მროველის თანახმად თავისუფალი თხრობის სახით“ (ცხადაძე... 1960:390-1). მაგ.: გულაბერისძე არ ურთავს აბიათარის I მონათხრობს; ქართლად შემოსვლის ეპიზოდში არ ახსენებს გაცს, განსხვავებით მროველისგან; ზოგ ხელნაწერში ცალკე თავადაა გამოყოფილი ჯვრის აღმართვა (საბინინი 1882:78); ზოგჯერ თხრობა იდენტური თუ არა, მსგავსია (ამგვარ შემთხვევაში საუბრობენ ვერსიფიკაციაზე და არა რედაქციაზე), მაგრამ განსხვავებულია ფაქტობრივად: „შემდგომად წელიწადთა მრავალთა ესმა ძისწულსა ადერკი მეფისასა“ / (საბინინი 1882:100) შემდგომად მრავალთა წელიწადთა ძისწულის შვილმან ადერკი მეფისამან...“ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი სხვაობაა 4 ჯვარი (რომელსაც სიმბოლური, სახისმეტყველებითი და იდეური განსხვავება შემოაქვს თხრობაში, თუკი მას ფაქტად ვაღიარებთ);*

* საყურადღებოა ოთხი ჯვრის შესახებ დაცული ცნობა, რომელიც ნინოს ცხოვრების სხვა არც ერთ რედაქციაში არ გვხვდება: „განჰკუეთეს ხე იგი მასის ერთსა და შეჰქმნნეს **ჯუარნი ოთხნი**“. ქრისტიანული სიმბოლიკის თვალსაზრისით, თავისთავად, ოთხი საკრალური რიცხვია, შეიძლება ოთხ კუთხეს, შესაბამისად, სარწმუნოების ყოველმხრივ გავრცელებას (გავიხსენოთ ოთხი მახარებელი) უკავშირდებოდეს. ამ სხვაობაზე ყურადღება შეაჩერა მ. ჩხარტიშვილმა (ლიტერატურათმცოდნე. სიმპოზიუმის მასალები, ჰიეროტოპია წმინდა ნინოს ცხოვრებაში, 18-20, 2007), სადაც განსხვავებას იეროტოპიის სხვაგვარი ხედვით ხსნის. უნდა ითქვას, რომ რაიმე დასკვნის გამოტანამდე საჭიროა თავად გულაბერისძისიული ტექსტის გულდასმით შესწავლა. ჯვრის აღმართვის შესახებ თხრობისას ნიკოლოზ პატრიარქი გადმოგვცემს: „ჯუარი ცეცხლისა ჩამოვიდის ზეცით და ეკლესიასა მას ზედა, რომელსა ჯუარნი ესუენნეს გვირგვინითა დაადგრის...და რიჟურაჲს ოდენ განკრთიან **ორნი** ვარსკულავნი და **ერთი** ნარვიდის აღმოსავლეთით, ხოლო **ერთი** დასავლეთით და იგი თავადი ეგის თვისსა მას ადგილსა“... აქ უკვე **სამი** ვარსკულავი ჩანს, რომელიც **სამ** ჯვარს განუწესებს სამყოფელს: „**ერთისა** მის დასავლეთით თხოთისა მთისა მიწევნა მიუთხრეს, ხოლო **ერთისა** აღმოსავლეთისა მის ზოდეს კუხეთისა...მინევენა მიუთხრეს და **ორთავე** მათ ესრეთ საცნაურ იქმნა საზღუარი“, მინიშნებულ ადგილას უბრძანა „ნეტარმან ნინო წარხუმა **ორთა** ჯუართა“—**ერთი** თხოთის მთაზე, ხოლო **მეორე** (თანაც, ნიკოლოზისავე შენიშვნით, **ერთი**) — „უჯარმოს ქალაქსა“, „ხოლო **თავადი ესე ჯუარი პატრიარხი მესამე** უწყებთა ზეგარდამოთა აღმოიყვანეს ზე ბორცუსა მას ქუემე წყაროსა მას ზედა, სადა დიდი იგი უმთავრესი ვარსკულავი აღმოვიდეს“ და ეპისკოპოსის კურთხევით აღმართეს (საბინინი 1882: 100). არსად თხრობისას არ ჩანს მეოთხე ჯვარი. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ნიკოლოზ გულაბერისძის დამოკიდებულება იმეთ პრინციპულ რედაქციულ-ფაქტობრივ სხვაობებთან, რომელიც წარმოდგენილი შემთხვევაა. მას, როგორც უაღრესად ადვილად უნდა, „გამომეძიებელ“ და „საძიებელთა“ „სათანადოდ“ მანალიზებულ ისტორიკოსს არ სჩვევია ფაქტთა უკომენტაროდ მიღება. ქართლის ცხოვრებისგან განმასხვავებელი სტილური თავისებურების ერთი ასპექტი სწორედ ეს „ძიება“ (მაგალითისთვის საბერძნეთიდან ჩამოსულ ეპისკოპოსთა ვინაობის ორი განსხვავებული ცნობის

შესაშური კრიტიკული და ლოგიკური აზროვნება წარმოჩნდება, როცა გულაბერისძე ორი სხვადასხვა ეპისკოპოსის ქართლად შემოსვლის ცნობას განიხილავს. იგი არ იღებს უკრიტიკოდ არც ერთს, მაგრამ ერთადერთს შესაძლებლობას, მოაგვაროს ორივე ინფორმაცია ერთმანეთთან, რასაც გვთავაზობს კიდეც. განსხვავებული ტოპონიმი: მუხრანი—მუხნარი; მნიშვნელოვანია სხაობა, როცა ის განპირობებულია გულაბერისძის პარადიგმული ან კიდეც გელათის სკოლისთვის დამახასიათებელი აზროვნებით, პოზიციით, მსოფლხედვით. ეს, ძირითადად, მაშინ ხდება, როცა „ცხოვრებისეული“ ინფორმაცია, თხრობა გულაბერისძის მიზანს სცდება და ან კიდეც, ნიკოლოზი თვლის, რომ „სათანადო არს“ „გამონულივს“ თუ „ძიება“-კომენტარი. მისთვის მნიშვნელოვანია ფაქტთა სიზუსტე, ამიტომვე საკამათო საკითხს არკვევს: „ვითარ წინააღმდეგომ არს სიტყვა სიტყვისა, ფრიად საძიებელ არსო“ (საბინინი 1882: 89). უნდა შევნიშნოთ, რომ გულაბერისძე თავისუფლად ეკიდება მასალას: ზოგჯერ განავრცობს, ხან ამცირებს, სხვაგან კი კომენტარს ურთავს (მაგ.: იოანე ეპისკოპოსის, სვეტის სასწაულებისა თუ წინოს მიერ აღსრულებულ საკვირველქმედებათა მოხსენებისას).

როგორც აღვნიშნეთ, თხზულებას უძღვის შესავალი, რომელიც ერთგვარი შემზადებაა, „ცხდყოფის მიზეზთა“ სწორედ ფილოსოფიური ახსნაა, რადგან უფალმა ქართველთა განსანათლებლად წარმოავლინა ქალი — წინო (ამ საკითხს საგანგებოდ შევეხებით ქვემოთ). მხოლოდ „სათანადო“ კომენტარის შემდეგ ნიკოლოზ გულაბერისძე იწყებს თხრობას წმინდა წინოს შესახებ. სიუჟეტური ხაზი ამგვარად ვითარდება (აქვე გამოვკვეთთ იმ მსგავსება-განსხვავებას, რასაც „ქართლის ცხოვრებასთან“ შედარება წარმოაჩენს): თხრობა იწყება წინოს ჯავახეთში შემოსვლით (განსხვავებით „ქართლის ცხოვრებისგან“), რასაც მოსდევს მცხეთაში ჩამოსვლა; წარმართთა დღესასწაული და ურია დედაკაცთან შეხვედრა (ნიკოლოზი არ ახსენებს „მამათა ჩვენთა ღმერთს“ — გაცს, რომელიც იმთავითვე ჩანს „ქართლის ცხოვრებაში“); წინოს ლოცვა და სასწაული (კერპთა მსხვერვეა); ბარტამ მეფის საგრილი; ანასტოსა და მისი მეუღლის კურნება (წინოს ხილვა — „კაცი ნათლისფერ“) და მოქცევა (მრწამსის ექსცერპტი, რომელიც ამ ეპიზოდშია ჩართული, განსხვავდება ცხოვრებისგან); მაცვლოვანის „პოვნა“; აბიათარისა და სიდონიას დამონაფება; ექვსთა დედათა (ურიათა) მოქცევა („მოთხრობა აბიათარ მლუღლისაგან კუართისათვის საუფლოსა, თუ

მორიგების გულაბერისძისეული ვერსიაც გამოგვადგება. მნიშვნელოვანია, რომ, ერთი მხრივ, ლეონტისგან განსხვავებულ ვერსიას ეპისკოპოსთა შესახებ სიუჟეტურად მოსდევს ჯვრის აღმართვის ამბავი, რომელიც, ამ შემთხვევაში, ლეონტის ქრონოლოგიას ზედმიწევნით იმეორებს, თუმცაღა მისგან განსხვავდება ფაქტობრივად. იხ. საბინინი 1882: 95-97). ამიტომ, სავარაუდოა, რომ ცნობა ოთხი ჯვრის შესახებ მხოლოდ გადამწერის შეცდომაა და არა გულაბერისძის განსხვავებული ვერსია.

ვითარ მოგუენიჭა“); ურიათა მონოდება ანა მღვდლის მიერ (ანაქრონიზმი); ელიოზის დედისა და დის მიცვალება და კვართის ამბავი (მათი მიცვალების მიზეზთა ახსნა); ადერკი მეფის ამბავი; ნინოს ხილვა; ადერკი მეფის ძისწულის (ზოგი რედაქციით—ძმისწული), არმაზელის, ამბავი; ნინოს ხილვა; მირიანისა და ნანას სასწაულებრივი მოქცევა; *ნებროთის წიგნის* შესახებ დაცული ცნობა; მირიანის წერილი კონსტანტინესადმი (რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ არ არის); სასწაულებრივი კურნებანი; ეკლესიის შენება და სვეტის ამბავი; კონსტანტინეს ეპისტოლე (სრულიად განსხვავებული ვერსიით); ოთხი (!) ჯვარი; ჯუარი ცეცხლისა (აქვე, დათარიღება, რომელიც ზედმინეწით ემთხვევა ქართლის ცხოვრებისეულს); კვლავ სასწაულთა აღწერა, რომელიც შეზავებულია ავტორისეულ მსჯელობასთან და რომელიც გრძელდება გულაბერისძის მიერ მოძიებული სხვა, გვიანდელი სასწაულებითვე (რაც, ცხადია, ვერ გვექნება მროველთან). შედარებამ ცხადყო, რომ სვეტიცხოვლის საკითხავის ჩვენამდე მოღწეულ რედაქციებში მროველისეული „ნინოს ცხოვრება“ გამოკრებილი სახითაა წარმოდგენილი. ჩანს სხვა წყაროთა კვალიც, რადგან გვაქვს ეპიზოდები, რომელნიც არ გვხვდება მროველთან, ზოგჯერ ქართლის ცხოვრების სიუჟეტური მიმდევრობა დარღვეული და გადანყობილია გულაბერისძის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრისთვის უფრო მოსახერხებლად. მთელი რიგი პასაჟები მისდევს ერთმანეთს, ხშირია შემოკლება, რაც ისევ და ისევ ავტორის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის შედეგია.

ძეგლის უანრობრივი სპეციფიკა, სახისმეტყველებით-იდეური და იდეოლოგიური საკითხები. გავრცელებული მოსაზრებით, ნინოს ცხოვრების მრავალგზის დამუშავების ერთ-ერთი მიზეზი აგიოგრაფიული თხზულების ცალკე ჩამოყალიბების მცდელობებს უნდა უკავშირდებოდეს. ამ თვალსაზრისით, ნიკოლოზ გულაბერისძის „სვეტიცხოვლის საკითხავი“ სიახლეს არ გვთავაზობს. ამიტომ, ძეგლის უპირველეს შემფასებელს მ. საბინის იგი **სვინაქსარად** მიუჩნევია (იხ. ჩვენივე კომენტარი ქვემოთ). ნიკოლოზის თხზულების უანრობრივი სპეციფიკის განსაზღვრა ძალზე საინტერესო საკითხია და, ჩვენი აზრით, განაპირობებს როგორც „ქართლის ცხოვრებასთან“ მის დამოკიდებულებას, ისე ძეგლის კომპოზიციურ, სტილურ-ენობრივ და იდეურ-სახისმეტყველებით ასპექტებს. ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულების შესახებ გამოთქმული ვარაუდით, სვეტიცხოვლის საკითხავი არის ა) აგიოგრაფიული (ნ. სულავა), ბ) ისტორიული (**გამოკვლევა** — თ. ყორდანია, ჯავახიშვილი), გ) ჰიმნოგრაფიული, დ) პოლიჟანრული თხზულება;

აგიოგრაფიულ თხზულებას სრულიად კონკრეტული მიზანი, მოდელი და ტიპოლოგია აქვს. მას უნდა ჰყავდეს გმირი, რომლის ცხოვრება-მოღვაწეობას წარმოაჩენს აგიოგრაფი ავტორი.

ამასთანავე, ეს არის გზა მიწიერი, ჩვეულებრივი მოკვდავობიდან წმინდანობამდე, გზა, რომელიც განსაცდელთა დაძლევით უფალთან ერთობით გვირგვინდება და, რომელიც ჩვენ, ასევე ჩვეულებრივ მოკვდავთ, ხატად, მაგალითად უნდა გვექმნას. თავის მხრივ, წმინდანი ბაძავეს მაცხოვარს, ხოლო აგიოგრაფი წმინდანის გზის ჩვენებით—მახარებელს. საბოლოოდ კი იქმნება ხატი, მზერისა და გულისყურის წარმმართველი, წმინდანისა, რომელიც მეოხი ხდება წინაშე ღვთისა, რათა ჩვენც დავიმკვიდროთ ცათა სასუფეველი. მონამე თუ დამმონმებელი, მოქალაქე (ცხოვრების გმირი) თხზულების ცენტრალური ფიგურაა და თხრობა ან თანმიმდევრულად ვითარდება (სადაც ნაჩვენებია მოღვაწეობის დასაწყისიდან ბოლომდე განვლილი გზა), ან კიდევ აგიოგრაფის შეხედულებისამებრ (მაგალითად, პრინციპით: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“), მსგავსად „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებისა“ (რომელიც კომპოზიციურად ცხოვრების ფრაგმენტთა ამსახველ ხატს ჩამოჰგავს). ისტორიულ თხზულებაში აქცენტები ისტორიულ ფაქტთა და მოვლენათა განვითარებაზე უნდა იყოს გადატანილი. იმიტომაც, რომ საკუთრივ საისტორიო თხზულებათა სტანდარტულ მოდელში გულაბერისძის ძეგლი ვერ ჯდება, ივ. ჯავახიშვილმა ნიკოლოზ პატრიარქს ისტორიის ფილოსოფოსი უწოდა. „სვეტიცხოვლის საკითხავს“ ვერც ჰიმნოგრაფიულ თხზულებათა რიგს მივაკუთვნებთ, რადგან საგალობელს მკაცრად განსაზღვრული კანონიკა აქვს, რაც ძეგლში არ ჩანს. თვით თხზულების ბოლო ეპიზოდიც კი, რომელიც **გიხაროდენის** სახელითაა ცნობილი და რომელსაც დაუფჯდომელ გალობად კითხულობენ ეკლესიაში, ცალკე, დამოუკიდებელი სახით არ შექმნილა. მას სრულიად განსხვავებული ფუნქცია აქვს. თხზულება ვერ შესრულდება ღვთისმსახურებისას როგორც ჰიმნი, საკითხავით ვერ აღავლენენ, მაგალითად, პარაკლისს. პოლიჟანრული თხზულება სხვადასხვა ჟანრის ძეგლთა ერთობლიობას უნდა წარმოადგენდეს, აქ შესაძლებელი უნდა იყოს სხვადასხვა ჟანრის პლასტიკების გარჩევა, სხვა შემთხვევაში ეს ის ბუნებრივი მრავალპლანიანობა იქნება, რაც, ზოგადად, სასულიერო თხზულებათა სინკრეტული ბუნებითაა განპირობებული. „მოქცევაა ქართლისაჲს“ შესახებ მსჯელობისას ზ. ალექსიძე მიუთითებს, რომ იგი არც „სუფთა ისტორიული ნაწარმოებია, არც ჰაგიოგრაფიული, თუმცა, იმავე დროს, ერთიცაა და მეორეც...“ მოქცევაა ქართლისაჲს“ თავისი ტრადიციაც კი შექმნა მსგავსი სინთეტური ტიპის ჟანრისა. „წმინდა ნინოს ცხოვრების“ შესახებ დანეროლი ყველა მომდევნო ხანის რედაქცია ერთსა და იმავე დროს არის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებიც და ისტორიული თხზულებაც“ (ალექსიძე 2007: 4). აგიოგრაფიული და ისტორიული ხაზი „სვეტიცხოვლის საკითხავშიც“ ჩანს, მაგრამ მათ არა აქვთ დამოუკიდებელი მიზანი. ისტორია თითქმის ყველა სასულიერო ხასიათის თხზულებაში ისახება, რადგან აქ განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ფაქტთა ნამდვილობას, წყაროთა უტყუარობას

(გავიხსენოთ ნებისმიერი აგიოგრაფიული, ისტორიული, ჰიმნოგრაფიული თხზულება, სადაც თვითმხილველობა, მოწმეთა მონათხრობი, დადასტურებული ინფორმაცია უსათუოდ აღსანიშნი ფაქტორია, უტყუარობის, სანდოობის განმაპირობებელია). ამიტომვე „ისტორიის ფილოსოფოსად“ მოხსენიება ნიკოლოზ გულაბერისძისა ჩვენ არა ძეგლის ჟანრობრივი სპეციფიკის განსაზღვრად, არამედ თხზულების ისტორიული ასპექტების შეფასებად მიგვაჩნია. თავად გულაბერისძე შენიშნავს, რომ მიზნად დაუსახავს „ჭეშმარიტი და უტყუელი“ ამბის „ჭეშმარიტებითვე საცნაურქმნა“, რაც სასულიერო მწერლობისთვის აუცილებელი პირობაა. ჩვენი აზრით, **სვეტიცხოვლის საკითხავი არის ჰომილეტიკური ჟანრის თხზულება, კერძოდ, სადღესასწაულო ქადაგება.** ჰომილია, როგორც ცნობილია, სამღვდლო პირთა მიერ წარმოთქმული მოძღვრება-ქადაგებაა, რომელიც ან წინასწარ იწერებოდა შემთხვევლის მიერ, ან ქადაგების შემდეგ ჩაინერდნენ ხოლმე. ჰომილეტიკურ ლიტურატიურაში გამოყოფენ სადღესასწაულო ქადაგებებს (რომელთა მიზანიც დღესასწაულის განდიდებაა), ენკომიებს (რითაც მოწამეებსა და წმინდანებს ასხამენ ხოტბას), ეპიტაფიებსა და საკუთრივ ჰომილიებს, რომელთაც ეგზეგეტიკურ-მორალისტური ხასიათი ჰქონდათ (ლექსიკონი — ცნობარი I, 1984:279). **სწორედ წინასწარ ჩაწერილი სადღესასწაულო ჰომილიის სახე აქვს „სვეტიცხოვლის საკითხავს“.** ძეგლი გაჯერებულია მკითხველისა თუ მსმენელისადმი მიმართვით. ნინოს ხაზის დასრულებას ახალ სასწაულთა გადმოცემა ცვლის, სადაც გულაბერისძე ამბობს: „სიხარული **დღესასწაულისა და ჟამი შეკრებისა ჩვენისა** სხუისა რასამე უახლესისა და სახარულევანისა ხელყოფად იძულებულდგევოფს ჩვენ, რამეთუ ვინათგან დღესასწაულისათვის არს სიტყუა, სათანადო ვიდრემე ვჰგონე ღვთისმოყუარენო, კუალადცა საცნაურყოფად ზოგსრე სასწაულთათვის სვეტისა ცხოველისა“ (საბინინი 1882: 104). მიუხედავად იმისა, რომ ძეგლში ჩართულია წმინდა ნინოს ცხოვრების საკმაოდ ვრცელი ეპიზოდი, ვერ ვიტყვით, რომ იქმნება წმინდანის ხატი. ავტორისთვის მნიშვნელოვანია არა წმინდა ნინოს ღვანლის განზოგადება, არა მისი მაგალითად, სახედ წარმოჩენა, არამედ წმინდა ნინოს ღვანლის შედეგი—**„ქართლებრთა ამათ აღმოსავლეთის ეკლესიის“ დაფუძნება.** წმინდა ნინოს ღვანლის ჩართვა თხზულებაში ემსახურება ნიკოლოზის მიზანს — სათავე დაუდოს სვეტიცხოვლის დღესასწაულს და მას თავისუფალი კომპილაციის ხასიათი აქვს¹ (ამით უნდა იყოს განპირობებული შეფასებაც — სვინაქსარი. საერთოდ, კომპილაცია სასულიერო თხზულებებში ჩვეულებრივი, თუმცა, რატომღაც შეუსწავლელი მოვლენაა. კომპილირების კვალი არაერთ

¹ ამიტომაც ატყვია ქართლის ცხოვრების, არსენ ბერისეული ნინოს ცხოვრების და სხვა თხზულებათა კვალი (იხ. ზემოთ, ჩვენივე სტატია).

ნათარგმნ თუ ორიგინალურ თხზულებას ატყვია). წმინდა ნინო არ არის გულაბერისძის თხზულების ცენტრალური ფიგურა. აქ არ არის ნაჩვენები მხოლოდ და საკუთრივ ქართველთა განმანათლებლის ღვანლი (მიუხედავად კ. კეკელიძის მითითებისა, რომ თხზულებაში მოცემულია „გააზრება და შეფასება ნინოს ღვანლისა და მისი საქმიანობისა საქართველოში“, რასაც, ცხადია, ვეთანხმებით, მაგრამ დავძენთ, რომ ამ გააზრება-შეფასებას ნიკოლოზი საკითხავის შედგენის მიზანს უქვემდებარებს. კეკელიძე 1951: 105). თხრობა არც ნინოს მოღვაწეობის პირველ დღეთა გადმოცემით (როგორც ეს საერთოდ ხდება აგიოგრაფიულ თხზულებებში, უფლის ან ღვთისმშობლის მიერ წმინდანის სამოღვაწეოდ მოწოდებით) იწყება და არც მისი გარდაცვალებით სრულდება. ძეგლში ნამდვილად წარმოჩენილია წმინდა ნინოს სახე განსხვავებულ კონტექსტში. ამ განსხვავებულ ხედვას კი გულაბერისძის მიზანი ქმნის. ავტორი თავადვე გვიცხადებს: „რამეთუ ვინ გამოწულილვით მეძიებლობდეს დასაბამსა და ვინაობასა და სადაობასა ნეტარისა მის ნინოსასა, წიგნი იგი ხელად მიიღენ აღწერილი მოწერილობით მოთხრობისათვის ქართველთა ცხოვრებისა და მისგან გეუწყოს ყოველივე აღმავსებელად ჩუენისა ნაკლულევანებისა. ხოლო ჩუენ შესაბამად წმიდისა ამის დღესასწაულისა მხოლოდ აღმავსებელად კმა საყოფელი რეცა სულმცირედ შემოკლებული თხრობილი მოხსენება ნინოსიცა აღვწეროთ და შემდგომითი შემდგომად შეუდგინოთ ყოველივე ჯეროვანი გამოსაჩენელი და საცნაურმოყოფელი სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა დიდებულება უგუნურებისა ჩუენისა შესაძლებელი“ (საბინინი 1882: 73). ნიკოლოზ გულაბერისძე თავადვე განმარტავს ნინოს ცხოვრების ეპიზოდთა ჩართვისა და ამგვარი რედაქციით წარმოდგენის მიზანს, ეს არის „დღესასწაულის შესაბამად“ თხრობა. ქართველთა განმანათლებლის ღვანლი და სახე ერთი რგოლია იმ ჯაჭვისა, რომლითაც პატრიარქს საბოლოო შედეგამდე მივყავართ. ეს არის უფლის დიდება, ჭეშმარიტების წვდომა, საცნაურყოფა, დამბადების დაბადებულით ქება — შეცნობა, ქართული ეკლესიის წიაღში თავჩენილ საკვირველქმედებათა ახსნა, ყველაფერი კი კონკრეტულ შემთხვევაში სამი ასპექტით: ეკლესია — კვართი — სვეტი გამოვლინდა. მხოლოდ ამიტომ შემოდის თხრობაში წმინდა ნინო და არა დამოუკიდებელი ფუნქციით, როგორც მას ექნებოდა აგიოგრაფიული თხზულების შემთხვევაში. ამიტომვე აქვს თხრობას გამოკრებილი ხასიათი. მივყვით ხაზს: ავტორი პირველივე სტრიქონით გვამცნობს, რომ საჭიროდ ჩაუთვლია „კათოლიკე ეკლესიისა და ყოვლადწმიდისა საუფლოსა კვართისა და მას ზედა ღუთივალმართებულისა სუეტისა ცხოველისა დღესასწაულის“ ჯეროვნად შესხმა, რადგან მათ მიერ მოგვენიჭება „ზოგადი“ სიხარული, მათგან გვეწყაროება მირონი და უკვდავმოყოფელი საუნჯე, უკვდავი სანოვაგე „ეკდართაგან

სიბნელისათა გამოხსნილთა“. რადგან არ უნდა დავივიწყოთ, რომ „დამბადებელი დაბადებულთა მიერ საცნაურ იქმნებისო, რამეთუ რაჟამს ვხედვიდეთ შუენიერებასა არსთასა, არა უკუე ეგოდენ განკვირვებულ ვიქმნებით, რაოდენ ღირს არს განკვირვებად“ (საბინინი 1882: 70). ამის შემდეგ, ნიკოლოზ პატრიარქი მოიხმობს უფლის ხილულ სასნაულებს, რომელთაც შევეჩვიეთ და რომელთა ხილვაც აღარ გვაოცებს (ეს არის სამყაროს მშვენიერება, ბუნების მოვლენები, რითაც შეიმეცნება უფალი). იგი მოიხმობს თითო მაგალითს და „წულილადად მეტყუელების ძალს“ დაუთმობს ბასილი დიდსა და მის „ექუსთა დღეთას“. პატრიარქი თავად სვამს კითხვას: „რომლისა უკუე მიზეზისათვის საჭირო იქმნა წარმოთქმა პირველსენებულთა მათ სიტყუათა?“ და თავადვე გასცემს პასუხს: თუკი „წარმდინარეთა ნივთთა დამბადებელი ესრეთ იდიდების და იკურთხევის მათ მიერ ჩუენგან...რამცალა ვინ შეუძლოს გამოთქმად სულიერობათა მათ და საღმრთოდ განკუთვნილთათვის...ესე-იგი არინა ეკლესიანი წმიდანი“ (საბინინი 1882: 71), რომელთაც „საყდარ ღუთისა ენოდების მათ შინა მკვიდრ-ყოფისათვის ღვთისა“. ეკლესიის გარეშე არ არის სულთა ხსნა, „განხრნადი და წარმავალი“ ცხოვრებიდან „სამარადისოთა უხილავად შეერთება“ სწორედ ეკლესიაში ხორციელდება. ხოლო რადგან ეკლესია დაემენა მოციქულთა ქადაგებაზე—„ეკლესიანი აღემართნეს და დემეტიცნეს წმიდათა მოციქულთა ქადაგებითა და სიტყვითა“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახსენებს იაკობ და პეტრე მოციქულებს. „ქართლებრთა ამათ აღმოსავლეთისა ეკლესიისა სიმეტიცე“ კი არის მოციქულთა სწორი წმინდა ნინო („ათორმეტთა თანა მეთცამეტე მოციქული“), რომელიც „ეკლესიათა მიზეზ გუექმნა“, რომელმაც საქართველო გამოიყვანა „სამოელის მონებისა და ტყუეობისაგან“ (საბინინი 1882: 71). **ამიტომ, ეკლესიაზე საუბრისას ნიკოლოზ გულაბერისძე მსჯელობას იწყებს ქართლის წმინდა ნინოს — ქალის მიერ გაქრისტიანების მიზეზთა გარკვევით** (გულაბერისძის სიტყვით, „მცირედ რაიმე შემოკლებულად და სულმცირედ ზოგსრე წარმოვარჩინოთ, ვითარ მიზეზ იქმნაო“). და ამ შემთხვევაში წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა გაიგვებულება ქართლებრთა ეკლესიის ისტორიასთან.

ახალი არ არის, რომ წმინდა ნინოს მოღვაწეობა მოციქულთა ღვაწლთანაა შედარებული. მაგრამ, ზოგადად, გულაბერისძეს სხვა მწერალთაგან განარჩევს ფაქტთა და მოვლენათა შეფასება-განზოგადება, სადაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტრადიციული პარადიგმული აზროვნება, არამედ „საძიებელთა“ ახალი ასპექტით წარმოჩენა, რაც ზოგჯერ ეკლესიის ისტორიის თვალსაზრისითაც ხდება საყურადღებო. სვეტიცხოვლის საკითხავის ავტორი წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლას სამი მიზეზით ხსნის: 1. „ბრძანებითა უფლისათა“ „ისრად რჩეულად და ელვად ნათლისად“ „კიდეთა ქუეყანისათა წარივლინნეს მოციქულნი“. „აღმოსავალით კერძოთა

მათ“ ქადაგებად ნადიერ იყო დედა ღვთისა „შესაბამობისათვის სახელისა მისისა (ე.ი. ძისა, ე.ჩ.), ვითარცა თუთ ენოდების აღმოსავალ მზისა სიმართლისა“.* პატივი აღმოსავლეთში ქადაგებისა ღვთისავე ნებით ღვთისმშობლის — ქალის — ნაცვლად ხვდა ახლა უკვე ღვთისმშობლისავე ნებითა და შენევნით ქალს — ნინოს. დედა — ღვთისმშობელი „უზესთაესია დედათა და მამათა და ზეცისა ძალთაცა“. ამიტომ, „რაჟამს ღმერთმან ინება ნყალობა და ცხოვრება ნათესავისა ჩვენისა, დედაკაცივე წარმოავლინა...გამოთხოვითა და ხუაიშნითა დედისათა...ვინადგან ნანილიცა იყო დედისა ღვთისა“. „ერთი ჭეშმარიტი და უეჭველი მიზეზი“ ქართველთა ნათესავის დედაკაცის მიერ მოქცევისა სწორედ ღვთისმშობლის წილხვდომილება ყოფილა. ხოლო ღვთისმშობლის წილხვდომილების ერთ-ერთი მიზეზი კი „ქართლებრთა ნათესავის აღმოსავალით“ ცხოვრება, რაკილა თვით უფალი — მზე სიმართლისა — აღმოსავალით აღმობრწყინდება. ღვთისმშობლის წილხვდომილების შესახებ ცნობას პირველად ილარიონ ქართველის ცხოვრებაში ვხვდებით, Xსკ. II ნახ., XII საუკუნიდან კი არაერთგზის დასტურდება (საკითხის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს კ. კეკელიძე ეტიუდების IV ტ., კეკელიძე 1957: 137-140). 2. „მეორე და უჭეშმარიტესისა ესე არს,

* ქრისტიანული აზროვნება უაღრესად სიმბოლიზებულია. სიმბოლოურია აღმოსავლეთის მნიშვნელობაც მთელს ძველსა და ახალ აღთქმაში („მოგვნი აღმოსავალით მოვიდეს“, მთ. 2,1; „ვიხილეთ ვარსკულავი მისი (ქრისტესი) აღმოსავალით“, მთ. 2,2,...). აღმოსავლეთით არის მიმართული მართლმადიდებლური ეკლესიის საკურთხეველი, შესაბამისად, აღმოსავლეთისაკენ აქვს პირი მლოცველს. აღმოსავლეთით მოძრაობს ახალი ნათელღებულიც და ჯვარდანერილიც ანალოგიის გარშემო (მზის სანინააღმდეგო, მაგრამ შემხვედრი მიმართულებით. „ქრისტიანული მოძღვრება არის წინამძღვარი კაცობრიობისა სწორედ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, რადგან დასავლეთი უკლებლივ ყველა წმინდა მამასთან არის ბნელეთისა და კვდომის სიმბოლო, ხოლო აღმოსავლეთი-სინათლისა და სიცოცხლის“. ამგვარად, ტრადიციის მიხედვით და, ცხადია, არა შემთხვევით: ყველა რიტუალური მსახურებისას მღვდელმსახური მიმართულია აღმოსავლეთისაკენ (ეს ჩვეულება რიგით მორწმუნეზეც ვრცელდება). გადმოცემით, სწორედ აღმოსავლეთიდან გამოჩნდება მაცხოვარი მორედ მოსვლის ჟამს. იოანე დამასკელი საგანგებოდ მსჯელობს „აღმოსავალით თაყუანისცემის“ შესახებ და ბრძანებს: „ვინაითგან ღმერთი ნათელი არს საცნაური და მზე სიმართლისა და „აღმოსავალად“ (ზაქ. 3,8 ლკ. 1,78) წერილთა შინა სახელიდების ქრისტე, მისდა შენირულ იქმენინ თაყუანისცემა აღმოსავალით... იტყვის... დავითა: — უგალობდით უფალსა ... აღმოსავალით (ფს.47,33), მერმეცა იტყვის წერილი: „დაჰწერგა ღმერთმა სამოთხე ედემს აღმოსავალით (შესაქმე, 2,8)“... მოსენასაცა კარავსა აღმოსავალით აქუნდა კრესტსაბმელი და სალხინებელი ... უფალიცა ჯუარცმული დასავალად მიმართ ჰხედვიდა და ესრეთ თაყუანისცემით მისა მიმართ მხედველნი. და ამაღლებოდა რა, აღმოსავალით კერძო აღვიდოდა ... და ესრეთვე მოვიდესო, ვითარ სახე ეხილეთ იგი აღმავალი ზეცად, ანგელოსნი იტყოდეს მოციქულთა მიმართ (საქმე მოციქულთა 2.11) და თვით უფალი: „ვითარცა ელვაჲ გამოვალს აღმოსავალით და ჩანს ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოსო მოსლვაჲ ძისა კაცისა (მთ. 24,27)“. მისნი უკუშ მომლოდენი თაყუანის-ვსცემთ აღმოსავალით“ (გარდამოცემა, გვ. 245).

ვინადგან ყოველთა ნათესავთა უმძვინვარესნი და უველურესნი იყვნეს ესე ნათესავნი, ამისთვისცა დედაკაცი წარმოავლინა, რათა უმეტეს საცნაურ იქმნეს ძალი ღვთაებისა მისისა და არავისი ენა კადნიერ იქმნეს ამოსა მთხზველობისათვის ცუდისა მეტყველებად, ვითარმედ სიმხნემან და სიბრძნით ფილასოფოსობამან, გინა ენარიტორობამან მის ვისმე კაცისამან დააცხრო ბოროტ-ბოროტეულები მათიო, ამისთვისცა უკუე ღბილითა მით და წარწარად მდინარითა წყლისა ნეკტარითა დაშრიტა სიმძაფრე სახმილისა“ (საბინინი 1882: 72). რადგან, როგორც ნიკოლოზ გულაბერისძე ხსნის, განმართლდეს უფლის სიტყვები: „ძალი ჩემი უძღურებასა შინა სრულ იქმნებისო“. საკითხავის ავტორი ასევე განმარტავს, რომ უფალი „სათნო იჩენს არა სხვილბარკალთა მამაკაცთასა“, არამედ „მოშიშთა სახელისა მისისათა, ვითარცა იტყვის „მივხედნეო გარნა მშვიდსა და მდაბალსა და რომელი ძრწოდეს სიტყუათაგან ჩემთა“ და კუალად „მსხუერპლ ღვთისა არს გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხჳყოს“. ქართლის ქალის მიერ გაქრისტიანების მეორე მიზეზად გულაბერისძეს მიაჩნია „ქედფიცხელთა (ურჩი, თავხედი), უღმობელთა (აქ: სასტიკი) და უგლიმთა (ბრიყვი, უგუნური) ნათესავთა“ „უძღურისა ბუნებისა დედაკაცისა მიერ“ მოღობა (საბინინი 1882:73). ნიკოლოზ გულაბერისძის კომენტარი ამ შემთხვევაში განსხვავდება არსენ ბერისეული პოზიციისგან ქართველთა ნათესავის ბუნების შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „არა მნებავს ქადაგებად წარსლვა შენი, არამედ წარვედ შენ სახიდ შენდა სიონდ, რამეთუ **ნაწილ შენდა არიან ადვილ-მოსაქცეველნი ერნი წარმართნი და ქვეყანა მათი**“ (ძველი ქართული...1978: 360). ერთი მხრივ, გასაგებია ადვილმოსაქცევლობის შინაარსი: ქართველთა გაქრისტიანებასა და ამ სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ეს, უფლის განგებულებასთან ერთად, მოციქულთა სწორი ქალწულგანმანათლებლის ხანგრძლივი ღვანლის შედეგი იყო. მაშინ მოტივაციათა წინააღმდეგობაზე უფრო მეტად განსხვავებულ ხედვაზე უნდა ვისაუბროთ. უმნიშვნელოვანესია, რომ მოციქულთა სწორის, ნინოს, ღვანლი გულაბერისძემ სწორედ ამ ასპექტით განიხილა. საუბარია არა მხოლოდ ფიზიკურ უძღურება-სისუსტეზე, არამედ ფილოსოფიურ კონცეფციაზე, მჭევრმეტყველების ხელოვნების იარაღად გამოყენების უარყოფაზე, რასაც ამ კონკრეტულ კონტექსტში სარწმუნოება, ღვთისმოშიშება, სიმშვიდე და სიმდაბლე („შემუსრვილი გული“) უპირისპირდება (თხზულებაში არაერთგზის იკვეთება მოციქულთა სწორის სწორედ ეს თვისებები). ამავე კონტექსტში და სწორედ ამ მოტივით იმონმებს ნიკოლოზ გულაბერისძე „უსწავლელ მეთევზურებსა და მდაბიოთ“, რის შესახებაც ზემოთ უკვე შევჩერდით. ამავე არგუმენტს ნიკოლოზ პატრიარქი ამყარებს გედეონის მაგალითის მოხმობით. ბიბლიაში

მოხსენებული ორი გედეონისგან აქ ისრაელის VII მსაჯული იგულისხმება (მსაჯ. VI, 11), კერძოდ, VIII თავში გადმოცემული ამბავი 300-კაციანი ლაშქრით მრავალრიცხოვანი მტრის დამარცხებისა, რომელიც, ასევე, უფალს მინდობითა და გედეონის მიერ დამორჩილებული ხალხისადმი შეთავაზებული წინადადებით — **უფალმა იმეფოს თქვენზე**—არის ყურადსაღები (მსაჯულთა VIII, 23). **გედეონის მსგავსად, უფალს გააძეფებს ქართველთა ნათესავზე წმინდა ნინოც.** 3. „დედათა პატივის“ დამადასტურებელი მესამე არგუმენტი ნიკოლოზისთვის არის ის, რომ მაცხოვრის აღდგომის ხარების პატივი სწორედ დედათ ხვდათ წილად. მნიშვნელოვანია, რომ ჰომილიაში შემოდის პოლემიკის ელემენტიც (რაც ნამდვილად არ არის უჩვეულო მოვლენა). პატრიარქი მიმართავს ყველას, ვინც აკნინებს „ქადაგებასა და მოქცევასა ჩვენსა“, თუმცა, ვის გულისხმობს კონკრეტულ შემთხვევაში, არ ჩანს: „დაიყავნ პირი ბოროტად და ამაოდ დამაკნინებელი ქადაგებისა და მოქცევისა ჩვენისათვის ბუნებისა მიერ დედობრივისა, არამედ უფროსად და უმეტესად ვმობარულობდეთცა და ვმოქალაქობდეთ მყუედრებელთა მათ ჩუენთა მიმართ უაგუნურების მომზრახთა“ (საბინინი 1882: 73). მნიშვნელოვანია დასკვნა: **ის, რაც შესაძლოა ვინმეს დამაკნინებლად ეჩვენებოდეს, სინამდვილეში ჩვენი ეკლესიის პატივია.** უსათუოდ გაგვასხენდება გიორგი მთანმიდელის პასუხი ანტიოქიის პატრიარქისადმი, რომელიც ზუსტად მსგავსი დატვირთვის, სულიერი ძალისხმევის, პათოსისა და ინტონაციისაა.*

როგორც კომპოზიციურ-სიუჟეტურ საკითხებზე მსჯელობისას აღვნიშნეთ, წმინდა ნინოს ხაზი ნინოს ჯავახეთში შემოსვლით იწყება და მის მიერ ქართლის გაქრისტიანებით (ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით) სრულდება. რეალურად, თუკი დავუკვირდებით, ეს არის მხოლოდ ამბავი ნინოს ქართლში შემოსვლისა და ეკლესიის დაფუძნებისა, რომელიც დაკუმშულად აღადგენს ისტორიას და სადაც წარმმართველი იმ სასწაულთა გახსენებაა, რომლებიც უკავშირდება ჯერ კვართს, შემდეგ სვეტსა და ეკლესიას (სვეტიცხოვლის ტაძარს).** ამავე დროს, გულაბერისძეს

* რ. სირაძე სწორედ ამ არგუმენტაციათა გათვალისწინებით ანდრია კრიტელის „ლეთისმშობლის საკითხავთან“ დაკავშირებით ფიქრობს, რომ სვეტიცხოველი განასახოვნებს ღვთისმშობელს (სირაძე 1992: 134).

** თუკი ოიანე საბანისძე ბერძნებს ქართველებს უთანასწორებს, გელათის სკოლის ავტორი—გულაბერისძე ქართველთა და ბერძენთა ნათესავის ხასიათსა და თვისებებს წარმოაჩენს და სრულიად განსხვავებულ პოზიციას გვთავაზობს: მას, როგორც ელინოვილ ავტორს, მოსწონს ბერძენთა ტრადიცია, ხედავს ქართველთა და ბერძენთა განსხვავებულ თვისებებს და არა მხოლოდ ახასიათებს, არამედ, ერთ შემთხვევაში ნინოს შემოსვლას გვიხსნის ქართველთა მძვინვარე და უკლიმი ხასიათით, სხვაგან წუხს, რომ ქართველთა ნათესავს არა აქვს ჩვევა „სამეცნიერო და საფილოსოფოსოთა საქმეთა გამოძიებისა“ და ა.შ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბერძენთა ნათესავის ამგვარი წარმოჩენა გულაბერისძის მიერ

აინტერესებს ქართლში, კერძოდ, კვართის, სვეტის ადგილას, სამოთხეში (ზოგი რედაქციით, ვენახში) და მაყვლოვანთან აღსრულებული სასწაულები (საკითხავში ნინო არ ტოვებს მაყვლოვანს, ღვთისმშობლის საფარველს და ყოვლადწმიდა დედის მეოხებით აღწევს თავადაც ერთობას უფალთან, საკვირველმოქმედებს). **მნიშვნელოვანია, რომ კვართი ნინოს შემოსვლამდე გაცილებით ადრე ჩამობრძანდა და ღვთის განგებულებით „წარმოივლინა ქართლსა, დედასა ქადაქთასა“, მაგრამ მისი ძალა, მადლი და საკვირველქმედება სისრულით მხოლოდ ნინოს ქართლად შემოსვლისა და მაყვლოვანში დაფუძნების შემდეგ გამოვლენდა.** გულაბერისძის მიიზანი და პოზიცია გამოკვეთილია მაშინაც, როცა გარეშე, სხვაგან ჩენილ საკვირველქმედებათ აღწერს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შემდეგ ის უნდა დაუკავშირდეს სვეტიცხოველს, მაგ.: მირიანის მზის დაბნელება, ან კერპთა მსხვერვეა და ა.შ. (თავისთავად, უმნიშვნელოვანესია სვეტიცხოვლის, ძველი დღეთას, ნათლით მოსილი კაცის და სხვა სახეთა გააზრება. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა, რომ „ნინოს ცხოვრების“ სინური ხელნაწერის მინიატურაში სვეტს აღმართავს ქრისტე, შესაბამისად, ძველი დღეთაც ქრისტეს სიმბოლური სახეა). ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების (ე.ი. ქართლებრთა ეკლესიის დაფუძნების) თვალსაზრისით შემოდის თხრობაში კონსტანტინესადმი გაგზავნილი წერილი თუ ცნობა ეპისკოპოსთა შემოსვლისა. წმინდა ნინოს სახის გააზრება არაერთ მკვლევარს უცდია, ამიტომ ჩვენ აღარ შევჩერდებით მის სახისმეტყველებაზე, თუმცა შევნიშნავთ, რომ გულაბერისძის „საკითხავშიც“ ქმედითი და მეტყველია ოპოზიცია **ტყეო — დედოფალი** და **უცხო — დედა. ტყეო** ნინოს ცხოვრებაში დამკვიდრებული შესატყვისი უნდა იყოს ქრისტიანული ძეგლებისთვის ცნობილი *მონისა*. მამათა განმარტებით, თვით სახარებაც განარჩევს უფალთან ურთიერთობის ორ საფეხურს: მონობასა და მეგობრობას (მეგობარს უფალი უწოდებს ლაზარეს, რომელსაც აღადგენს). აქ უნდა იგულისხმებოდეს ნინო ქართლის მოქცევამდე და შემდეგ, რადგან ნათლისღების მადლი მოციქულთა სწორ დედას (თორმეტთა თანა მეთათამეტე მოციქულად წოდებულს) ტყეოებიდან უკვე სწორედ მეგობრად წოდების პატივს მიაგებს. ხოლო რადგან ქრისტე მეუფეა, უფალია, წმინდა ნინო სულიერი ასპექტით ხდება **დედოფალი** და **ტოვებს ტყეოებას** (ე.ი. ხდება მეგობარი—მონიდან). წმიდა მონამე იპოლიტე რომაელი

„სვეტიცხოვლის საკითხავის“ დათარიღების ერთ-ერთ არგუმენტად გვესახება. ამავე დროს, იმავე მომენტებით უკეთ წარმოჩნდება, რომ ქართველთა საზეპურო ერად გამოორჩევა უფლის განგებულებაა და არა ქართველი ერის დამსახურება (ამიტომაც, მიუხედავად რაგვარობისა, სწორედ **ქართლებრთა ნათესავს** უწოდებს გულაბერისძე საზეპურო ერს, კვართის, სვეტისა და სვეტიცხოვლის ტაძრის მფლობელს).

განმარტავს: „ვინც რწმენით შედის განახლების საბანელში, უარყოფს სატანას და უერთდება ქრისტეს, უკუაგდებს მტერს და აღიარებს ქრისტეს თვით ღმერთად, განერიდება მონობას და მიიღებს ძეობას, იგი ბრუნდება ნათლისღების ემბაზიდან ნათელი, როგორც მზე, მბრწყინავი სიმართლის სხივებით და, რაც მთავარია, ბრუნდება ღვთის ძედ და ქრისტეს თანამეცხედრედ“ (ღვთისმსახურის... 1989:344). ეს სულიერი გზა ქართველ ერთან ერთად განვლო წმინდა ნინომაც. ამავეს უკავშირდება **უცხო — დედა** წყვილიც. ქართული აგიოგრაფიიდან მრავალი პასაჟის მოხმობა შეიძლება, სადაც **უცხო** სარწმუნოებით უცხოს, რჯულით უცხოს თუ ღვანლით უცხოს, ან განსაკუთრებული წარმომავლობისას აღნიშნავს („უცხო უცხოთა შჯულითა“ — აბო, „უცხოვება ღვანლისა“ — გრიგოლისა და ა.შ.), მაგრამ ამავე „აბოს წამებაში“ ვკითხულობთ, რომ ქართლი გამხდარა „დედად წმიდათა“, რომელმაც გააქრისტიანა უცხო შჯულის აბო. ნინო უცხოა მანამ, სანამ გაქრისტიანდება ერი, ხოლო მირიანისა და ნანას სასწაულებრივი განკურნება მას დედად აქცევს და **კაპადოკიელი ქალწული** ხდება „**დედა ქართველთა თემისა**“. ბოროტების დაბნელება, კერპთა მსხვერვა და უარყოფა, რაც ერის ნათლისღებას მოჰყვა, სამარადისოა (და არა დროებითი). უფლის განგებულება და ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყნის უფლისთვის აღდგენა ხორციელდება ერის ნათლისღებით, უფალთან ერთობით, მიუთითებენ, რომ „დაცემული კაცობრიობისთვის ერთადერთი გზა ხსნისა ღმერთთან ერთობის მიღწევაა“ (ღვთისმსახურის... 1989:331). სწორედ ამ გზას აჩვენებს ქართველთ **ტყვეყოფილი დედოფალი** და **უცხოყოფილი დედა** — ნინო. ამავე დროს, მზადდება იდეა: მცხეთა — ქართული იერუსალიმი. მცხეთაც ბინარული სახეა და, უნდა ითქვას, რომ გულაბერისძესთან გამოკვეთილია არა მხოლოდ შედეგი ნინოს მოღბვანობისა, არამედ პროცესი: **მცხეთა — „დედა ქადაქთა“ უნდა იქცეს „ზეციური იერუსალიმის“** სახედ. ქადაგი/ქადაქი გულაბერისძესთან წარმართული საქართველოს აღმნიშვნელია (აქვე გაგვახსენდება ქართლის სახელდება „დედად წმიდათა“ იოანე საბანისძესთან, ე.ი. იცვლება ფუნქცია, დატვირთვა, მისია ერისა როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში). თუკი ბოლო დროს შემოღებულ ტერმინოლოგიას მოვიშველიებთ, „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ და, კერძოდ, გულაბერისძის საკითხავშიც, ასახულია ჰიეროტოპული მიდგომა (ჩხარტიშვილი 2007:322) და ჰიეროფანია (სივრცულ-ლანდშაფტური ხატი, ღვთაებრივი ჩანაფიქრი ადგილის, საკრალური სივრცის შექმნის პროცესი). ირკვევა, რომ ქრისტიანობის გავრცელებისთანავე ამგვარი „ბაძვით“ შექმნილი ხატი იერუსალიმისა არის თვით კონსტანტინეპოლშიც („ახალი იერუსალემი“), გვიან—მოსკოვშიც, ჯერ კიდევ კ. კეკელიძის (შემდეგ, რ. სირაძის და სხვ.) დაკვირვებით — ამავე ხატს იმეორებდა მცხეთაც თავისი შემოგარენით: „ძველმა ქართულმა ეკლესიამ, რომელმაც თავისი დასაბამი წმინდა მინიდან მიიღო, ტოპოგრაფიული თვალსაზრისითაც

თავისი დედისგან — იერუსალიმის ეკლესიისგან მიიღო ასლი, როდესაც მცხეთასა და მის მიდამოებში შექმნა ყველა ის უმთავრესი პუნქტი, რომლებთანაც დაკავშირებული იყო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები. მცხეთა ქართული იერუსალიმია... მცხეთა, ეს ქართული იერუსალიმი, მდებარეობს მდ. მტკვრისა და არაგვის შესაყარზე, მის ცენტრშია დიდებული საპატრიარქო ტაძარი 12 მოციქულისა...აქ, მტკვრის ნაპირას, სადაც ქართველები მოინათლნენ, დღემდე შემორჩა მღვიმე ეკლესიის ნანგრევებით, რომელსაც ბეთლემი ეწოდება. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, სწორედ სამხრეთით აღმართულია თაბორის სახელით ცნობილი მთა. მასზე იდგა ფერიცვალების ეკლესია... მცხეთიდან ჩრდილოეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით, ...მდებარეობს ეგრეთ წოდებული ბეთანია“ (კეკელიძე 1957: 362). რ. სირაძე მიუთითებს, რომ ანალოგიები მრავლად გამოვლინდა და აისახა „ნინოს ცხოვრებაში“. ხოლო, რადგან მროველის რედაქციას მისდევს გულაბერისძეც, შესაბამისად, გვხვდება „სვეტიცხოვლის საკითხავშიც“. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ **„იერუსალიმშია ქრისტეს საფლავი, მცხეთაში კი დაფლულია კვართი უფლისა. მცხეთა სახეა ე.წ. „ზეციური იერუსალიმისა“**, ამიტომ ანალოგიები სულიერი სიმბოლიკის შინაარსს შეიცავს...აქ უმთავრეს წყვილულ სახეებს ქმნიან ჯვარი ვაზისა და სვეტიცხოველი, მაყვლოვანი და „სამოთხე“, არმაზის მთა და „ბორცვი ჯუარისა“, „ზემო“ და „ქვემო“ ეკლესიები, აქვეა ბიბლიური საკულტო მთები: გებელი და გარიზანი“ (სირაძე 1987:100). ქრისტეს საფლავის მცხეთური ანალოგიის — კვართის ადგილი უცნობია ნინოს შემოსვლამდე, ეს ადგილი სწორედ მას მიენიშნება სასწაულებრივად. მნიშვნელოვანია, რომ თუკი მანამდე საკვირველმოქმედებს კვართი, ტაძრის აშენების ჟამს მას ცველი სვეტი, ხოლო შემდეგ — ტაძარი, რომელიც ამთლიანებს სამივე ხატს, მოიცავს თავის თავშივე სამივე სინმინდეს, ზეგარდამოქსოვილ საუფლო კვართს, ცხოველ სვეტსა და საკუთრივ ეკლესიას. მხოლოდ ამ შემთხვევაში, ეკლესია შეიძლება ორგვარად გავიაზროთ და ბინარული დატვირთვა მივცეთ: ეკლესია — სვეტიცხოველი და ეკლესია — ახალდაფუძნებული, სამოციქულო. მცხეთა — ზეციური იერუსალიმის ამგვარად გააზრება საუკუნეთა განმავლობაში ქრისტიანული სამყაროს წინაშე ქართველი ერის მიერ საკუთარი მისიის გაცნობიერებას უკავშირდება. მსჯელობის ამგვარად წარმართვა ძალზე **ლოგიკური შედეგით — ქართველი ერის საზეპურო ერთად, ახალ იერუსალიმად წოდებით სრულდება**. ამ იდეის ღერძი კი სწორედ მცხეთაში დაფლული კვართია, რომელზეც გამობრწყინდა სვეტი და რომელზეც აიგო საკვირველი ტაძარი — სვეტიცხოველი, რომელიც, ერთი მხრივ, მოციქულთა სახელობისაა, ხოლო მეორე მხრივ, ქართველთა სიონადაც იწოდება. ჯერ კიდევ VII-VIII საუკუნეებში იოანე საბანისძემ ჩამოაყალიბა ეროვნული თვითშეგნების მსოფლმხედველობრივი კონცეფცია, სადაც

ქრისტიანული სამყაროს ყურეში მოქცეულ ქართველ ერს სარწმუნოებრივი აღმსარებლობითა და ღვთის წინაშე გაღებული ღვაწლით ბერძნებს უთანასწორობს („არა ხოლო ბერძენთა სარწმუნოებაი ესე ღვთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩვენცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა“, ძეგლები 1964:55), ხოლო ქართლს იმ მადლის გამო, რომელიც მის წიაღში დამკვიდრებულთ ქრისტესთვის ღვაწლის სურვილს აღუძრავს, **დედად წმიდათა** უწოდებს. გიორგი მერჩულე ქართველ ბაგრატიონთა გენიალოგიურ შტოს დავით მეფსალმუნეს და, შესაბამისად, მაცხოვარს, უკავშირებს („დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო“, — მიმართავს გრიგოლი აშოტ კურაპალატს (ძეგლები 1964:262). თუმცაღა, უსათუოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დამკვიდრებული მოსაზრების პარალელურად ეს ეპიზოდი, ზოგადად, ცხებულ მეფეთა დავით მეფსალმუნის სულიერ მემკვიდრეობასაც, საღვთო მადლმოსილებასა და მირონცხებულობასაც უნდა გულისხმობდეს. არ იხსენიება საული, რომელიც პირველი ცხებული მეფეა, თუმცა არა მორჭმული ხელმწიფე, სამაგიეროდ იხსენებს დავითს, რომლის შტოშიც იშვა მაცხოვარი და რომელიც მორჭმით განაგებდა ისრაელს, შესაბამისად, „პატივთან ერთად პატიჟიცაა“ მისი სულიერი მემკვიდრეობა). X საუკუნეში იოანე-ზოსიმე მეორედმოსვლის ჟამს ერთა ქართული ენით „განკითხვას“ წინასწარმეტყველებს და მას სახარებისეულ ლაზარეს უწოდებს („სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვია“. ამ უჩვეულო „ქების“ ტექსტის ახსნა-გააზრება არაერთმა მკვლევარმა სცადა, შესაბამისად, არაერთგვარია თხზულების სიმბოლიკისა და სახისმეტყველების ახსნაც. ცხადია, ჩვენ ამ საკითხებს არ შევხებით). ახალი იერუსალიმის იდეა სრულიად განსხვავებული კონტექსტით გელათის აკადემიის სიმბოლოც გახდა. X-XIII საუკუნეთა სასულიერო ლიტერატურა მესიანისტურ იდეას ძალუმად წარმოაჩენს. გულაბერისძესთან მეორდება მცხეთის — მეორე იერუსალიმის იდეა, რომელიც ეპოქის შესატყვის გააზრებას იმატებს: ერის რჩეულობის იდეას იძენს. თუკი თავდაპირველად *მეორე იერუსალიმი* ტრანსფორმირდა გამოთქმად *ახალი იერუსალიმი* (რაც ცვლის თავდაპირველ დატვირთვას. თავდაპირველი გააზრება კი ამგვარი იყო: „როგორც აღმოსავლური საქრისტიანოს ცენტრია იერუსალიმი, ასევე უნდა იყოს მცხეთა საქართველოსთვისო“, (სირაძე 1987:83), თანდათანობით გაჩნდა ქართველთა მისიის ახალი ახსნაც: როგორც ძველ აღთქმაში ისრაელი იყო რჩეული ერი, ისე ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ ქართველთა ნათესავი რჩეული, ანუ **საზეპურო ერია**. ამგვარი გააზრება თავად ტერმინშიც აისახა* (აქვე

* ნ. სულავამ საგანგებო წერილი უძღვნა ტერმინს „საზეპურო ერი“, სადაც შეჯამებულია ყველა ის მოსაზრება, სადაც ამ ლექსემისა და სახის გააზრებაა

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველთა ნათესავი „საზეპურო ერია“, მცხეთა — „ახალი იერუსალიმი“, მაშინ, როცა კონსტანტინეპოლი — ახალი ჰრომი, იერუსალიმში იგულისხმება სულიერი რჩეულება, მაშინ, როცა რომში მოიაზრება მხოლოდ კულტურულ-პოლიტიკური ძალმოსილება). ცხადია, ჩვენ არ შევხებით ლექსემის გენეზისის საკითხს. ჩვენთვის საყურადღებო აგიოგრაფიულ და ბიბლიურ ტექსტებში მისი დატვირთვა და სიმბოლური გააზრებაა. ტერმინი *საზეპურო ერი* არაერთ სასულიერო თხზულებაში გვხვდება: „ნინოს ცხოვრება“, „აბდულმესიანი“, „დავით და კონსტანტინეს მარტვილობის“ მეტაფრასული რედაქცია, არსენ ბულმაისიმისძის ხელთუქმნელი ხატის საგალობელნი და ა.შ.

საზეპუროს მნიშვნელობის განსაზღვრაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ბიბლიის ქართული თარგმანის მონაცემებს, რომელთა მიხედვით საზეპუროდ ისრაელია მიჩნეული... გამოსვლ., II შჯულისა და I მეფეთა წიგნებში ისრაელი მოიხსენიება საზეპუროდ: „და აწ უკუეთუ სმენით ისმინოთ ხმისა ჩემისა და დაიცვათ აღთქმაი ჩემი, იყვნეთ ჩემდა ერ საზეპურო ყოველთაგან ნათესავთა, რამეთუ ჩემი არს ყოველი ქუყყანა“ (გამოსვლ. 19,5); „ხოლო უფალმან არა განიშოროს ერი თვისი სახელისა მისისათვის დიდისა, რამეთუ შეგიწყნარნა თქუენ უფალმან და გამოგირჩია თქუენ ერად საზეპუროდ“ (I მეფეთა, 12, 22); „გამოგირჩია უფალმან...რათა იყო შენ მისა ერად საზეპუროდ (II შჯულ. 6,7)“ (სულავა 2004:22). რას ნიშნავს ბიბლიური გააზრებით *რჩეულობა*? გამოსვლათას მოხმობილ მუხლს მოსდევს კიდევ ერთი ახსნა: „ხოლო თქვენ იყვნეთ ჩემდა სამეუფო, მღვდლობა, ნათესავ ნმიდა. ესე სიტყუანი ჰრქუენ ძეთა ისრაელისათა“ (გამ. 19, 6). როგორც ჩანს, უფალი რჩეულობას ისრაელს მხოლოდ მცნებათა მიდევნის, სჯულის აღსრულების შემთხვევაში აღუთქვამს (ამიტომვე მიმართავს: *უკუეთუ ისმინოთ...*), თუმცაღა, როგორც ბიბლიის ძველი თარგმანებისთვის იყო დამახასიათებელი, ტერმინი უნიფიცირებული არ არის, მდგრადი შესატყვისით არ გადმოდის და შეესაბამება ხან „შენს (უფლის) ძეებს“, ხანაც „იაჰვეს ხალხს“. *ჩვენთვის საყურადღებოა, რომ ბიბლიის გელათურ რედაქციაში „საზეპუროს“ ნაცვლად, როგორც ნესი, ვვაქვს „იყვნეთ ერად ჩემდა“ და, რაც ძალზე დამაფიქრებელია, მხოლოდ ორ ხელნაწერში (179 1669 წლ.-სა და 51 XII-XVIII სკ.-ებისა! ეს უკანასკნელი საბას რედაქციადაა ცნობილი)** დასტურდება შესიტყვებით „ერი საზეპურო“.* ამავე დროს, 14-ს მთარგმნელი და გელათის კატენებიანი ბიბლიის ერთ-ერთი ავტორი (თუ გადამწერი)

წარმოდგენილი და გამოთქმულია საყურადღებო დასკვნაც X-XIII სკ.თა ძეგლებში მისი დატვირთვის შესახებ.

** ეს ძალზე საყურადღებოა, რადგან საკითხავის ხელნაწერებიც სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება. შესაძლოა კვლავაც გვიანი გადამწერ-რედაქტორების კვალიც იკითხებოდეს.

ერთი და იგივე პირი ჩანს. მაგრამ თუკი შესაძლოა, რომ ორივე ძეგლი დაუკავშირდეს ნიკოლოზ გულაბერისძეს (რაც მეცნიერთა შორის უკვე გამოთქმული ვარაუდია, მელიქიშვილი 1996:18-22), უსათუოდ დამაფიქრებელია, რომ „სვეტიცხოვლის საკითხავი“ და გელათის ბიბლია „საზეპურო ერის“ ტერმინად ხმარების თვალსაზრისით განსხვავებას გვიჩვენებს. „ებრაულ ტექსტში საზეპურო შეესაბამება სიტყვას „სეგილა“, ღმერთის ძირფასი საკუთრება, ბერძნულში — ლაოც პერიოუსიოუც, გამორჩეული, საუკეთესო, აღმატებული, არაჩვეულებრივი ხალხი“ (სულავა 2004:22). ნიშანდობლივია, რომ ბიბლიის მუხლი საბას მიერაა შესწორებული. თავად სულხან-საბა საზეპუროს ამგვარ ახსნას გვთავაზობს: „ზეციური პურისმტე, ღვთიური პურისა და მადლის მოზიარე“. ეს ტერმინი „ქართლის ცხოვრებაშიც“ (სწორედ ლეონტი მროველთან!) გვხვდება: „ოი, დედაო ჩემო, არა უგულუბელეყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის“ (ქართლის ცხოვრება“ 1955:38). ნიკოლოზ გულაბერისძესთან კი ვკითხულობთ: „ნინასწარვე განეგო (!) სახიერსა მას ამის სამეფოსა ერად საზეპუროდ შემზადება და ვინათგან ნაწილიცა იყო ყოვლადმშობლისა ღვთისმშობლისა, ამისთვის უფროსლა ღირს იქმნა ამას საშინელსა მადლსა ესე კედარი, ამისთვისცა უკუე ნინასწარვე წარმოავლინა მადლი ღვთაებისა მისისა, რათა პირველადვე დაინინდოს კუართითა მით და მადლითა ღვთაებისა მისისათა“ (საბინინი 1882:77). საფიქრებელია, რომ *საზეპურო ტერმინად ნიკოლოზ გულაბერისძესთან ან „ქართლის ცხოვრებიდან“ გადავიდა ან კვლავაც საქმე გვაქვს ტექსტის გვიანი გადამწერების მიერ შეცვლასთან* (სწორედ XVII საუკუნის ჩასწორებებთან). თუმცაღა, აქ მნიშვნელოვანია თავად მესიანური იდეა. ისრაელს უნდა დაეცვა მცნება, რომ ყოფილიყო რჩეული ერი; ერის რჩეულობა, ახალ იერუსალიმად ღვთისავე განგებულებით ქართველთა ნათესავის მოაზრება კვართის იერუსალიმიდან მცხეთას ჩამობრძანებითაც გამოიხატა, რისთვისაც მირიან მეფე საგანგებოდ ალაველენს ლოცვას (საბინინი 1882:97-98). უფლის განგებულებით, ქართველთათვის რჩეულობის საწინდარი არა ღვთის მცნებათა მიდევნა, არამედ ღვთისმშობლის წილხვდომილებაა. ამავე დროს, უმნიშვნელოვანესია, რომ ქართველი ერის საზეპურო ერად გამორჩევა, ღვთისავე განგებულებით, მის გაქრისტიანებამდე კვართის ჩამობრძანებითა და „სამოელის ძალის“ ქართლის შუაგულში — წარმართული ქართლის ცენტრში — მცხეთაში დაფლვით განისაზღვრა: „ხოლო ამისიცა სათანადო არს თქმაი, რათა თვით მებრ ეშმაკნიცა მთავრისა მის და მამისა მათისა თანა ძარღვ შეჭრილ და მობრყვილებულ იქმნენ. პირველვე უკუე ამისთვის წარმოავლინა წმიდაი იგი კუართი ნათელი ნათელთა ყოველთა მფლობელისა ცეცხლისა მის ღუთაებისა გუამსა შემცუელი და დამფარველი, რათა უკუე დედასა მას ქადაქთასა საშუალ მდებარეობითა ვითარცა ცეცხლი მუცელსა შინა შთაგდებული მძაფრად უწყალოდ სცვიდეს

სამოელს“ (საბინინი 1882:77). აქვე ერთი ასპექტიც უნდა გამოვკვეთოთ, რომელზედაც ნიკოლოზ გულაბერისძე ამახვილებს ყურადღებას: მცხეთისა და ქართლის (ქართველთა ნათესავის)—საზეპურო ერის „ემშაკთა საკრველთაგან“ გათავისუფლება (განსხვავებით გამორჩევისგან) მოხდება არა კვართის ქართლში შემოსვლისთანავე, არამედ მხოლოდ ქართველთა მოქცევისა და ეკლესიის შენების შემდეგ, ე.ი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც განინმინდება ერი და უფლის განგებულებასა და ნებას ერის ნებაც დაემთხვევა (საბინინი 1882: 88-89). ძალზე საინტერესოა, რა დატვირთვა აქვს *ერს* შესიტყვებაში „საზეპურო ერი“ და რა ლექსემას მიმართავს გულაბერისძე დღევანდელი ერის მნიშვნელობით? ვხვდებით ორ ძირითად ტერმინს — *ერსა* და *ნათესავს*, თუმცაღა ერთგან გვაქვს ტერმინიც *ტომი*. დავაკვირდეთ მაგალითებს: „უგლიმი ნათესავი“ (საბინინი 1882:72), „თაყუანისსცემდეს ყოველნივე იგი ერი“ (საბინინი 1882:73), ნინო „ტიროდა ... ტყუე ქმნილობისათვის ერისა მის უგულისხმოსა“ (საბინინი 1882:73), „განხრწნეს ერი შენი“ (საბინინი 1882:73), გამოვიდა „მირიან მეფე ყოვლისა ერისა თანა“ (74), „ვედრებოდა, რაითა მოხედნეს წყალობით ერსა მას შეცთომილსა“ (საბინინი 1882:74), „ესუა მას დედა ტომისაგან ელი მლუდლისა“ (საბინინი 1882:76), „წინასწარვე განეგო სახიერსა მას ამის სამეფოსა ერად საზეპუროდ შემზადება“ (საბინინი 1882:77), „საქმე დიდი განისმა ...და საცნაურ ექმნა...ყოველსა ერსა“ (საბინინი 1882:77), „ხოლო ჩუენება ესე მოასწავებდა ერისა მის შავისა და დაბნელებულისა ნათლისლებისა მიერ ცოდუათა განსპეტაკებასა, რომელიცა ესე მცირედთა დღეთა შემდგომად უფალმან საქმით გამოაჩინა, რამეთუ ყოველი იგი ერი წმიდისა ნინოს მიერ წყლისაგან აღმომობითა განსპეტაკნეს“ (საბინინი 1882:78), „ჰყვეს შვიდნი დედანი, ნათესავით ურიანი“ (საბინინი 1882:78), „მტერი იგი ნათესავისა ჩუენისა სამოელ ამპარტავნებითა და ზუაობითა ბოროტად დაეცა“ (საბინინი 1882:82), „ყოველი ერი შემსჭულულ იყო ხედუასა მისსა“ (საბინინი 1882:83), „დედოფალი ყოვლისა მის ერისა თანა სიხარულით აქებდეს“ (საბინინი 1882:83), „მოახლებულ არს ჟამი წარწყმედისა მათისა და ამათ ნათესავთა მათგან გათავისუფლებისა“ (საბინინი 1882:89), „ქრისტიანობისა ებგურად ღირსა ქმნილ ერსა ზედა საზეპუროსა წყალობა აურაცხელისა ღვთისაგან“ (საბინინი 1882:95) და ა.შ. ამთავითვე შეიძლება დავასკვნათ, რომ *ტომი* მოხმობილ მაგალითში ნიშნავს შტოს („ტომისაგან ელი მლუდლისა“—ელი მღვდლის შტოსგან). სწორედ ამგვარადაა შესწორებული გელათის ბიბლიის „რიცხვთა“ ნიგნში სხვა რედაქციების „ნათესავი“. მოხმობილი მაგალითებიდან გამომდინარე, *ნათესავი* მოდგმას უნდა აღნიშნავდეს, ხოლო *ერი* ხალხსაც (ხალხის სიმრავლესაც) და მოდგმასაც. ბიბლიაში ერი და წარმართი ოპოზიციური წყვილია, რომელთაგან ერი ყოველთვის ღვთის რჩეულ ხალხს — ისრაელს აღნიშნავს (მელიქიშვილი 1999:212). გელათის

კატენებიანი ბიბლიის ერთ-ერთ სქოლიოში ტომისა და ერის ურთიერთმიმართება ამგვარადაა წარმოჩენილი: „ტომი უმეტეს გარემემცველობითი არს უფროა, ვიდრე სახელი ერისაჲ, ვიდრემდის იყოს ტომობაჲ, ვიდრემდე გეთსონისი სახელად, ხოლო მისგან შთამოსლვაჲ — ერად ძეთა მისთაჲ“ (A1108, ფ. 38r, Q1152, ფ. 94r). ამ შენიშვნაში საინტერესო ისაა, რომ ერი აქ გაგებულია არა როგორც ზოგადად „სახლი“, „კრებული“, არამედ სწორედ მისი ახალი, თანამედროვე მნიშვნელობით“ (მელიქიშვილი 1999:213). *შესაძლოა დავუშვათ, რომ „საზეპურო ერშიც“ ერი გულისხმობს სწორედ ამ ტერმინის თანამედროვე გააზრებას* („ერი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“, მელიქიშვილი 1999:23). როგორც ჩანს, „საზეპურო ერს“ სწორედ რელიგიურ-სიმბოლური და პოლიტიკურ-იდეოლოგიური ტერმინის დატვირთვა აქვს. ნიკოლოზ გულაბერისძე, ერთი მხრივ, ქართველ მოღვაწეთა ტრადიციას აგრძელებს და სამი ურთიერთგანმაპირობებელი წინმინდის — კვართის, სვეტისა და საკვირველმოქმედი ეკლესიის მადლმოსილების გამო ქართველ ერს რჩეულ ერს, ახალ იერუსალიმს, საზეპურო ერს უწოდებს (უფრო მეტიც, თავადაც ქმნის ახალი იერუსალიმის ხატს). ხოლო, მეორე მხრივ, ელინოფილ ავტორად რჩება და არ ავიწყდება იმ ღირსებათა ჯეროვნად შეფასება, რაც ბერძენთა ნათესავისთვის მიუმაღლებია უფალს. ამავე დროს, არც წმინდა ნინოს ღვანლის დამაკნინებელთა გაფრთხილება რჩება ურადლებოდ: „დაიყავნ პირი ბოროტად და ამაოდ დამაკნინებელი ქადაგებისა და მოქცევისა ჩვენისათვის ბუნებისა მიერ დედობრივისა, არამედ უფროსად და უმეტესად ვმობარულობდეთცა და ვმოქალაქობდეთ მყუდრებელთა მათ ჩუენთა მიმართ უგუნურების მომზრახთაო“, რადგან სწორედ ის არის ჩვენი ეკლესიის ღირსება, რაც სხვათაგან მისი პატივის დამაკნინებლად გამხდარა.

დამონებანი:

- აკაკი 1958:** აკაკის თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად. თბ.: საბჭოთა საქართველო, ტ. VIII, 1958.
- ალექსიძე 2007:** ალექსიძე ზ. „მოქცევაი ქართლისაი“. თბ.: 2007.
- ბეზარაშვილი 2004:** ბეზარაშვილი ქ. რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბ.: 2004.
- ენციკლოპედია 1991:** ბიბლიის ენციკლოპედია ორ ტომად. ტ. II, მ.: „ცენტურიონი“, 1991.
- თამარაშვილი 1995:** თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გამოსაც. მოამზადა ზ. ალექსიძემ, თბ.: 1995.
- კაკაბაძე 1966:** კაკაბაძე ს. შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი. თბ.: განათლება, 1966.
- კეკელიძე 1951:** კეკელიძე კ. ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ. I, თბ.: სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამ.-ბა, 1951.

- კეკელიძე 1957:** კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. IV ტ., თბ.: 1957.
- ლექსიკონი—ცნობარი I, 1984:** ქართული მწერლობა ლექსიკონი-ცნობარი. წიგნი I, თბ.: „განათლება“, 1984.
- ლოცვანი 2004:** ფსალმუნნი და ლოცვანი. თბ.: „აკრიანი“, 2004.
- მელიქიშვილი დ. 1996:** გელათის სალიტერატურო სკოლის ენობრივი სტილის ერთიანობისა და ინდივიდუალურობის საკითხისათვის. ჟურნ. გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი, № 2, 1996.
- მელიქიშვილი 1999:** მელიქიშვილი დ. ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან. „ლოგოსი“, თბ.: 1999.
- მეტრეველი 1998:** მეტრეველი ე. ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი. თბ.: 1998.
- მეტრეველი რ. 2000ა:** მეტრეველი რ.. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. თბ.: ნეკერი, 2000.
- მეტრეველი რ. 2000ბ:** მეტრეველი რ. საქართველოს მეფეები. თბ.: ნეკერი, 2000.
- ნიჟარაძე ბ. 1962:** ნიჟარაძე ბ. სვანური მითები. ტ. I., თბ.: 1962.
- საბინინი 1882:** საბინინი მ. საქართველოს სამოთხე. ნიკოლოზ გულაბერისძის „სვეტიცხოვლის საკითხავი“. 1882.
- სირაძე 1987:** სირაძე რ. ქართული აგიოგრაფია. თბ.: „ნაკადული“, 1987.
- სირაძე 1992:** სირაძე რ. ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა. თბ.: 1992.
- სულავა 2004:** სულავა ნ. ტერმინის „საზეპურო ერი“ ინტერპრეტაციისთვის. ჟურნ. ლიტერატურა და ხელოვნება, № 1, თბ.: 2004.
- ქადაგიძე 2001:** ქადაგიძე. თამარ მეფისდროინდელი მაციანე. თბ.: 2001.
- „ქართლის ცხოვრება“ 1955:** „ქართლის ცხოვრება“. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. ტ. I, თბ.: სახელგამი, 1955.
- ქსა I,2; 1976:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემა. თბ.: 1976;
- ღვთისმსახურის...1989:** დიდმონაშე იპოლიტე რომაელის სიტყვა ღვთის განცხადებაზე. ღვთისმსახურის სამაგიდო წიგნი, ოთხ ტომად. ტ. I, მ.: 1989.
- ჩხარტიშვილი 2007:** ჩხარტიშვილი მ., ჰიეროტოპია „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“. ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები (მასალები). თბ.: 2007.
- ცხადაძე... 1960:** ცხადაძე ქ. უცნობი ავტორის „ნინოს ცხოვრება“. 390 გვ. კ. კეკელიძე — 80. თბ.: 1960.
- ძეგლები 1964:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, თბ.: 1964.
- ძველი ქართული...1978:** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“. თბ.: გამომც. საბჭ. საქართველო. რედ. ივ. ლოლაშვილი. 1978
- ჭელიძე ედ. 1998:** იოანე პეტრინის ცხოვრება და მოღვაწეობა. ჟ. რელიგია, № I-II, 1998.
- ჯავახიშვილი II, 1983:** ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. II, თბ.: 1983.

XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა ქართული ხასიათის შესახებ

ვინ ვართ, როგორები ვართ, რა გველის მომავალში, რატომ დაგვემართა ასე? — ეს კითხვები აუცილებლად გაანვალბდათ ისტორიის ძნელბედობის გამო სამოშობლოს სხეულს იძულებით მოგლეჯილ ადამიანებს. ალბათ, იმასაც აცნობიერებდნენ, რომ მხოლოდ ისტორიის ქართველები, გარეგანი ძალები არ იყო დამნაშავე მათი ბედის ამგვარად წარმართვაში. უცხოეთში ხომ ადამიანი ბევრ რამეს სულ სხვაგვარად ხედავს, ბევრი რამ სულ სხვანაირად ეჩვენება და სულ სხვა საზომი ჩნდება ამა თუ იმ მოვლენათა შეფასების დროს. „განსაკუთრებით მწვავეა უცხოეთში ფიქრი სამშობლოზე, კერძოდ, პატარა ქვეყნის შვილისათვის და მწვავეა ეს ფიქრი მით უმეტეს, თუ ხედავ, რომ შენი ქვეყნის ბედი ქანაობს რაღაც უცნაურ საბედისწერო „საქანელაზე“ - ეს ნიკოლო მიწიშვილის სიტყვებია (მიწიშვილი 1927:74). ის 1922 წელს უკვე ემირაციაში იმყოფებოდა, 1937 წელს დააპატიმრეს და „ხალხის მტრის“ ბრალდებით დახვრიტეს.

XX საუკუნის ქართველ ემიგრანტ მოღვაწეთა გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ, ჩვენთვის ხელმისაწვდომ ნაწერებში გაბნეულია საინტერესო დაკვირვებანი ქართულ ხასიათზე. იკვეთება ქართული ბუნების თავისებურებათა ძიების რამდენიმე ტენდენცია.

უპირველეს ყოვლისა, ქართველმა ემიგრანტებმა ევროპელის თვალთაც შეაფასეს ქართველი კაცი. ეს შეფასებანი განსაკუთრებით საინტერესოაა წარმოჩენილი ვიქტორ ნოზაძის უცნობ, გამოუქვეყნებელ ნაშრომში „ქართული მოდგმა და ხასიათი. ქართველი კაცი“ (ეს არის ერთი ნაწილი ვრცელი გამოკვლევისა „გარდასულ ჟამთა საქმენი და ამბავნი“, 1948 წ.). ვიქტორ ნოზაძე განიხილავს ევროპელთა შეხედულებას ქართულ ხასიათზე (ვოიტინსკი, ერენბურგი, ალენი). ვ. ნოზაძე ამბობს: ქართველები ერთხმად აღნიშნავენ ქართველი კაცის ხასიათში მკვეთრად გამოხატულ ოპტიმიზმს, სიცოცხლის დიდ სიყვარულს, სიცოცხლით ტკობის, მეგობრობის, ნათესაური ურთიერთობის უსაზღვრო სურვილსა და უნარს, მშვიდობისაკენ სწრაფვას და ამავე დროს მუდმივ მზადყოფნას ომისათვის, დიდ მხედრულ ნიჭს, ბრძოლისუნარიანობას, პატრიოტიზმს.

ვიქტორ ნოზაძე ძალიან საინტერესოდ გვანვდის უცხოელთა დაკვირვებებს ქართულ ხასიათზე. უცხოელებს შეუშინვევიათ, რომ ქართველთა ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები აყალიბებს მას მგრძნობიარე არსებად, რაც მულავნდება თუნდაც არაოფიციალურ

ურთიერთობებში: ქართველი უცნობ ქართველს შენობით ელაპარაკება) ქალისადმი, ბავშვისადმი გამორჩეულ პატივისცემაში, მხიარულებისადმი მისწრაფებაში (განხილულია ქართული ნადიმის ადათ-წესები, რას ნიშნავს „დაპატიჟებული“ ადამიანი და რატომაა თამადის, მასპინძლის პასუხისმგებლობა ასე დიდი).

უცხოელთა აზრით, ქართველი კაცი სასტიკი არ არის. ვიქტორ ნოზაძე გვანვდის ევროპელი მეცნიერების შეხედულებებს „ქართულ ბრბოზე“ და თავადაც დაასკვნის: ქართულ ბრბოს ნგრევის სურვილი და უნარი არა აქვს, როგორც, მაგალითად, რუსულ ბრბოს... ქართველი პიროვნებაა. ქართველის ინდივიდუალობას მასა ვერ ყლაპავს.

ვიქტორ ნოზაძე შენიშნავს, რომ ქართველი კაცის სიყვარული მშვიდობის მიმართ წინააღმდეგობაშია იმ ვნებასთან, რომლითაც ქართველს უყვარს იარაღი, სამხედრო სამოსელი. მკვლევრის აზრით, ეს მისი ისტორიული ყოფის შედეგია, მას სწყუროდა მშვიდობა, მაგრამ მისთვის მუდამ იბრძოდა.

ქართველმა ემიგრანტებმა საკუთრად გამოსცადეს ნოსტალგიის სიმწარე. ვიქტორ ნოზაძე შენიშნავს, რომ ნოსტალგია ქართველისათვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია. ქართული ბუნებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი: ძლიერი მეგობრული გრძნობის, ნათესაური ურთიერთობის სურვილი და უნარი, თუნდაც ქართველის დამოკიდებულება ოჯახთან, მეუღლესთან, შვილებთან საოცარი ძალით აკავშირებს მას თავის ფესვებთან, იმ ქვეყანასთან, სადაც ეს ურთიერთობანი ჩამოყალიბდა და ქმნის ქართველი კაცის სამშობლოს მიმართ ამ ამოუცნობი, ყველა ერისათვის გასაკვირი სიყვარულის ფენომენს.

საინტერესო და რეალურია ვიქტორ ნოზაძის დაკვირვებანი ქართველი კაცის ზოგიერთ უარყოფით თვისებაზე: ქართული ბუნების საიდუმლოთა ძიებისას მკითხველი ავტორთან ერთად არკვევს ამ უარყოფით თვისებათა მიზეზებს. ცხადი ხდება, რომ ეს მიზეზები უმთავრესად თვითონ ქართველი ერის ბუნებაში უნდა ვეძიოთ. ეს ძიება უშედეგოდ არ რჩება. მკვლევარი საინტერესოდ მსჯელობს, როგორ ვითარდება და ნელ-ნელა ყალიბდება სიცოცხლის სიყვარულიდან, სილალიდან, ბედნიერებისაკენ სწრაფვიდან ე. წ. „მსუბუქი ფილოსოფია“ (სიცოცხლე წუთია, არ ღირს ჭმუნვა, ტრაგიზმი, რადგან დღეს არა, ხვალე მოკვდებით), ფანტაზიორობა, მეოცნებეობა, სიმჩატე, დღევანდელთან შეგუება, ხვალინდელ დღეზე უდარდებლობა, თვითკმაყოფილება (გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძე). სტუმართმოყვარეობიდან, სიუხვის, შემწეობის სურვილიდან, უშურველობიდან – მფლანგველობა.

ვიქტორ ნოზაძის აზრით, ქართული ხასიათი უფრო მეტად ქმნის გმირებს, ვიდრე წამებულებს. ქართველმა იცის რაინდული თავგანწირვა, ბრძოლა და სიკვდილი სახელისათვის („სჯობს სახელისა მოხვეჭა...“) ამის პარალელურად ქართველი კაცი ავლენს სხვა თვისებებსაც: იგი დიდების მოყვარეა, მასში ჭარბია მსახიობობის

უნარი (ამიტომაც უყვარს პარადები, საზეიმო სხდომები, ყრილობები, ქართული სუფრაც ხომ გარკვეულად ამის გაგრძელებაა), სურს თავის გამოჩენა, პირველობა, დიდკაცობა. ე. წ. „ზესთამჩენობა“ და „კოზოლობა“, „ქართული დიდკაცობის ფსიქოლოგია“ მავნე და უარყოფით შედეგებს იძლევა, აყალიბებს შურს, ჯიბრს, მტრობას, ხელს უშლის ერთიანი აზრის შექმნას, ძალთა გაერთიანებას.

ვიქტორ ნოზაძეს მოაქვს ერთი საინტერესო დოკუმენტი. ეს არის 1921 წლის კონსტიტუცია. დამფუძნებელმა კრებამ ამ კონსტიტუციის საფუძველზე დაადგინა, რომ პარლამენტი მთავრობის თავმჯდომარეს ერთი წლით ირჩევდა. ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავს: ფაქტია, მთავრობის თავმჯდომარის ყოველწლიური არჩევა მთავრობის თანამიმდევრულ მუშაობას უთუოდ ძალიან დააბრკოლებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს წლიური არჩევა ქართველი კაცის ბუნებას სათანადოდ ანგარიშს უწევს. მთავრობის თავმჯდომარის ყოველწლიური გამოცვლა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა დიდკაცობის სურვილს პირველობისათვის ადვილად დააკმაყოფილებდა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავს, რომ ქართველი კაცის ბევრი თვისება (სიცოცხლის სიყვარული, სათნოება, სტუმართმოყვარეობა, განათლება და ა. შ.), საფუძველია იმ ხიბლისა, რომელსაც ქართველი სხვა ერში იწვევს. მეორე მხრივ, ვილაყამ, მით უმეტეს უცხოელმა შეიძლება ჩათვალოს ის არამატერიალისტად, ზედმეტად იდეალისტად, თვითკმაყოფილად, უპასუხისმგებლოდ და ა. შ.

ქართული ხასიათის ამოცნობა, მისი თავისებურებების გაშიფვრა გრ. რობაქიძის შემოქმედების ერთი ძირითადი საკითხია. რობაქიძის ნაწერებშიც შეინიშნება ევროპული დამკვირვებლის თვალში, თუმცა შემოქმედი მაინც ქართული გენის უღრმესი ფენების მოძიებას უფრო ესწრაფვის. გავიხსენოთ, როგორ დააყენა მან ქართული მსოფლხატის შუაგულში მისივე გამოგონილი კარდუ (ქართლოს→ქართუ→კარდუ).

კარდუს ამოსაცნობად გრ. რობაქიძემ გოეთეს თაურფენომენის იდეა დაიხმარა. „საუკუნეთა მანძილზე ერთადერთი ავტორი მე ვარ, რომელიც აცნაურებს ქართველთა „მსოფლხატს“, — წერდა ის გიორგი გამყრელიძეს.

რობაქიძე ქართული ბუნების ერთ უმთავრეს თავისებურებად მიიჩნევს სწრაფვას ბედნიერებისაკენ, სილაღეს. „ქართული ბუნების მთავარი წერტილი არის „გაახარე-გაიხარე“. ქართველი ღზინისთვისაა შექმნილი (რობაქიძე 1989). ქართველები „ვალმერთებს სიცოცხლეს, როგორც ცეცხლის მოთაყვანე წარმართები“ (რობაქიძე 1917:52).

გრ. რობაქიძემ არ გაიზიარა შეხედულება, თითქოს ქართველი ყოფიერებას ზერელებდ უყურებს. ქართველისთვის სიცოცხლე ზერელებ კი არა, აზრიანია, სავსეა ღზინით, ზეიმით. „ქართველს სწორედ ის ახარებს, რომ არის, საერთოდ. ეს სიხარული ჩვენში ისეა გამჯდარი, რომ ჩვენ ხშირად ყვავილზე თუ მცენარეზე, მაგიერ იმისა,

„იზრდება“, ვამბობთ: „ხარობს“ („ქართული გენია, როკვით განფენილი“). გრიგოლ რობაქიძე ხაზს უსვამს ქართველის სილაღეს. სხვათა შორის შემდგომ ამ თვისებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გურამ ასათიანმა: არალაღი ქართველი ქართველი აღარ არის (ასათიანი 1980: 140) ხოლო აკაკი ბაქრაძემ ერთმანეთისაგან გაარჩია ავთანდილის სილაღე და კვაჭი კვაჭანტირაძის სილაღე. ამგვარი ინტერპრეტაციით გამოკვეთა ქართული ბუნების დადებითი და უარყოფითი მხარეები (ბაქრაძე 2006: 239—240).

ლალი ქართველი, ჩანს, ევროპელებმაც შენიშნეს. მათ გაიაზრეს ქართული ბუნების თავისებურებანი, ასე ვთქვათ, ისტორიულ კონტექსტში. შეეცადნენ გარკვიათ, როგორ გაუძლო ქართველმა კაცმა საუკუნეების მანძილზე ამდენ უბედურებას.

ვიქტორ ნოზაძემ ზემოთ დასახელებულ ნაშრომში სწორედ ევროპულ ტერმინზე გაამახვილა ყურადღება და ახსნა ამ ტერმინის არსი. მხედველობაში გაქვს სინტაგმა, „ესთეტიური უპასუხისმგებლობა“, რომლის ავტორია ინგლისელი მეცნიერი ალენი (1932 წელს მას დაუწერია წიგნი „ქართველი ხალხის ისტორია“).

როგორც ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავს, ამ ტერმინის შინაარსში იმალება საიდუმლოება, ერთი მხრივ, მათი მიმზიდველობისა, როგორც ხალხისა, მეორე მხრივ, საიდუმლოება მათი გადარჩენისა.

ქართველი ერი ხშირად დაუპყრიათ, ქართველი ხალხი ^{დამორჩილება} კიდევაც უცხო ძალას, მაგრამ ამ ბატონობისათვის მას სერიოზულად არასოდეს შეუხედავს. ესაა ქართველი კაცის უპასუხისმგებლობა. როდესაც ამ ბატონობას ბოლო ეღებოდა, ქართველი ხალხი თავისი ხასიათით ისეთივე რჩებოდა, როგორც უწინ იყო. შესაძლოა, შინაგანად უფრო ძლიერიც კი. ესაა მისი ესთეტიზმი. ამასვე შენიშნავდა გრიგოლ რობაქიძეც: „ნიცშეს სიტყვა – რაც ვერ მძლევს, მხდის უფრო ძლიერს, საქართველოზე თუა გამოჭრილი (რობაქიძე 1996). სწორედ ამ „ესთეტიურმა უპასუხისმგებლობამ“ დაიცვა ქართველების მთლიანობა მათი ისტორიის ცვალებადობის დროს (ნოზაძე 1948: 13). ეს თვისებაა საფუძველი მათი სიხარულისაკენ, ბედნიერებისაკენ, სილალისაკენ სწრაფვისა. რობაქიძე ამასაც ამბობს. „გულმავინყობა“ არც ისე დასაძრახია, ეს რომ არ გექონოდა, შესაძლოა, ვერც გადაგვეტანა ამდენი უბედობა, საუკუნოებში თავსდატეხილი“.

ვიქტორ ნოზაძისა და გრ. რობაქიძის ნაწერებში საინტერესოა მსჯელობა ქართველი კაცის რელიგიასთან, პოლიტიკასთან დამოკიდებულების შესახებ. ვიქტორ ნოზაძე ძირითადად ევროპელთა მოსაზრებებს აანალიზებს, თუმცა მისი დაკვირვებანიც ბევრია. ამგვარი მსჯელობის პროცესში იკვეთება ძირითადი შეხედულება: თვითონ ქართველის ბუნებაში ბევრია ქრისტიანული, მაგრამ ის არ არის ფორმალისტი. ქართველი კაცის ურთიერთობა ღმერთთან თუმცა ღრმა არის, მაგრამ ამავე დროს არის უფრო სადა და უბრალო. ქრისტიანი ქართველი შემწყნარებელია სხვა რელიგიათა მიმართ.

ქართველის ბუნება ამქვეყნად ბევრ რამეს სიცოცხლის, ადამიანის, სამშობლოს მიმართ უსაზღვრო სიყვარულს უქვემდებარებს. მისთვის ფასეულია შინაგანი თავისუფლება, შინაგანი სიკეთე, გულის კარნახი (გავიხსენოთ ვაჟას პოემები, კონსტანტინე გამსახურდიას რომანები...).

გრიგოლ რობაქიძის აზრით, ქართველი კაცი ერთდროულად ქრისტიანიცაა და წარმართიც. საერთოდ, ის არ ხედავდა დაპირისპირებას ქართულ წარმართობასა და ქრისტიანობას შორის. ქრისტიანობა წარმართობის უშუალო გაგრძელება-განვითარებად მიაჩნდა. თანაბრად ხიბლავდა წარმართობის ხორციელება და ქრისტიანობის სულიერება. გრ. რობაქიძის აზრით, ქართული კულტურის მომავალი აღორძინება სწორედ მათ ერთიანობას უნდა დაყრდნობოდა.

გრ. რობაქიძე ამბობდა, რომ ქართველისათვის მზე და ღმერთი ერთი და იგივეა: სიცოცხლის, ბედნიერების, სიხარულის წყაროა.

1926 წელს, ხუთი წლის გასაბჭოებულ საქართველოში გამომავალ ჟურნალ ქართულ მწერლობაში გამოქვეყნდა წერილი „ფიქრები საქართველოზე“, რომლის ავტორი იყო 30 წლის ნიკოლო მინიშვილი (სირბილაძე), მაშინ უკვე ცნობილი მწერალი, პროზაიკოსი და პოეტი (1896—1937). ნიშანდობლივია, რომ ქართული ხასიათის თავისებურებათა შესახებ 20—იან წლებში ატეხილი კამათის ბიძგი და იმპულსი სწორედ ემიგრაციიდან მოდიოდა. ნიკოლო მინიშვილმა წერილი 1922 წელს სტამბოლიდან გამოგზავნა...

ეს იყო ქართული ხასიათის, ქართული კულტურისა და ისტორიის ისეთი უარყოფითი შეფასება, რომლის გვერდით ერთბაშად გახუნდა ადრე გამოთქმული მძაფრი კრიტიკული თვალსაზრისები. გავიხსენოთ ჟამთააღმწერელი, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი.

ნიკოლო მინიშვილი წერდა: „როცა გადახედავ ჩვენს ისტორიას – იქ მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობის დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყვი... არის რალაცა შეკონინებული და გადაყრილი, მიბნეულ-მოზნეული. ხერხემალს ქართული იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოსას წარსულში ნუთუ საბოლოოდ და სამუდამოდ მოკლებულია საქართველო იმ „ნათლის სვეტს“, რომელიც წინ მიუძღვის ყოველს ხალხს ახალის სიტყვისა და შემოქმედებისაკენ. ორი ათასი წლის განმავლობაში მე ვერ ვხედავ ამას და მეჭვება თვით რუსთაველიც: თუ ის ჩვენი ცხოვრებისაგანაა, უსათუოდ გაუგებრობაა თუ არადა — ან რუსთაველი არაა ქართველი, ანდა მისი პოემა ადვილად ნაშოვნია სადმე... საქართველო პასიური მოვლენაა. მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან (ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ), შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო... აქედანაა მისი „უშვილოსნობა“ ანუ ბერნობა... ამის შედეგია სიმჩატე ქართველი

არსებისა, ქართული ჭკუისა... დღეს ყოველ გაკოტრებულ პოლიტიკოსს თავი წმინდა სებასტიანე ჰგონია, რომელიც დაისრულია სამშობლოთი და სამშობლოსათვის. ყოველი მეშჩანინი, რომელიც ვერ ახერხებს ნამდვილი საქონლით სპეკულაციას, სპეკულანტობს დღეს საქართველოს სიყვარულით“ (მინიშვილი 2006: 20—23).

საქართველოს ისტორიის დიდებულმა მკვლევარმა, ასევე ემიგრაციაში მყოფმა ზურაბ ავალიშვილმა, ერთმანეთისაგან გამიჯნა ორგვარი საქართველო: საქართველო არ არის მხოლოდ გულადი მეფეების ისტორია, არსებობს სხვა საქართველოც: ესაა საქართველო რჯულგანდგომილ მეფეთა, მგლებად ქცეულ მოძღვართა, ყმებით მოვაჭრე თავადთა... ეს ორი საქართველო ერთიმეორის გვერდით ცხოვრობდა, ერთიმეორეში არასოდეს გაათქვეფილა, მაგრამ ხშირად ერთი გამოჩნდებოდა ხოლმე წინა პლანზე, ხოლო მეორე ჩრდილში რჩებოდა.

ჩანს, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ქართველი ემიგრანტებისათვის წინ „მეორე საქართველო“ წამოვიდა, ამიტომაც ბიძგი მისცეს პოლემიკას. საქართველოში ბევრი ალაშფოთა ემიგრანტთა და განსაკუთრებით ნიკოლო მინიშვილის შეხედულებებმა. პოლემიკაში ერთ-ერთი პირველი გრიგოლ რობაქიძე ჩაება. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში მან არ გაიზიარა მინიშვილის სკეპტიციზმი. თუმცა მაზე ადრე თავადაც განაცხადა: „ჩვენ მეწვრიმანეებიცა ვართ და რაინდებიც, ქართველი კაცი ლაქიაც არის და მეფეც, ჟულიკიც და არისტოკრატიც... საქართველოს არ სჯერა თავისი თავისა, სურს სხვა იყოს. ქართველი გაუზრბის თავის თავს (ცუდს), რომ ნახოს თავის თავი (უკეთესი) ან კიდევ: „მე მეშინია არა ვთქვა მაინც, რომ საქართველო არის მიქარვა“ (ლექსი „საკუთარი ტოსტი“) (რობაქიძე 1920).

1927 წელს გრიგოლ რობაქიძე აღარ ფიქრობდა ასე. ამ წლის „ქართული მწერლობის“ პირველ ნომერში დაბეჭდა წერილი „საქართველოს ხერხემალი“. ამჯერად მან უარყო მინიშვილის მოსაზრებანი, გულგატეხილობა და განაცხადა: ქართული ეროვნული ენერჯია არაფრით ჩამოუვარდება სხვა ხალხებისას. მან წინ წამოსწია ის „პირველი საქართველო“, ასახული „ქართლის ცხოვრებაში“. საქართველო ცოტნე დადიანით, სარგის ჯაყელით... რუსთაველი ქართული კულტურის უღრმესი ფენებიდან ამოზრდილ მოვლენად მიიჩნია. წერილში გაიხსენა „შუშანიკის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, მთაწმინდელები და დაასკვნა, რომ „ამის შემდგომ, რასაკვირველია, რუსთაველი აღარ არის გაუგებრობა“ (რობაქიძე 1927: 29—37).

საინტერესო და ნიშანდობლივი იყო მთავარი ძარღვი ამ პოლემიკისა: იყო ცოტნე თავდადებული, მღვდელი თევდორე (ღვთის ხელი), მაგრამ იყო რუსუდან დედოფალი, ძმისწულის მკვლევლობა რომ დაგეგმა, (ეშმაკის ხელი ათამაშებდა). პოლემიკა 70 წლის შემდეგ, 1993 წელს გაგრძელდა. ამჯერად უკვე „კავკასიონის“ ფურცლებზე

თეიმურაზ მაღლაფერიძის თაოსნობით. მასალები ცალკე ნიგნადაც გამოიცა 2006 წელს ლევან ბრეგაძის რედაქტორობით.

შეფასებებში ჩანდა ის შეხედულებებიც, რომელთა მიხედვით მინიშვილი და საერთოდ ემიგრანტი მოღვაწეები ზერელედ და ფრაგმენტულად იცნობდნენ საქართველოს ისტორიას და ქართულ ლიტერატურას, რომ ამ ნიჰილიზმით ფარავნენ თავიანთ უმოქმედობას და პასიურობას.

ნიკოლო მინიშვილის ნიჰილიზმი ბევრმა ზოგადად ემიგრანტ მოღვაწეთა შეხედულებების, ობიექტური ვითარებიდან (ქვეყნის მდგომარეობა და პირადი ცხოვრება) გამომდინარე უიმედო, სასონარკვეთილი განწყობილებების, მომავლზე გულგატეხილობის გამოვლინებად მიიჩნია. რა თქმა უნდა, ემიგრანტ მოღვაწეთა ტკივილი დიდი იყო. გულგატეხილობას ჰქონდა რეალური საფუძველი, ამდენად მათი პესიმიზმი, თუნდაც საქართველოს წარსულისა და ქართული ბუნების ამგვარად გააზრება მოულოდნელი არ იყო. “სასონარკვეთილება თუ სკეპსისი, რომელიც მის ნააზრევში მერე განვითარდება, დამარცხებული ქვეყნის შვილის სასონარკვეთილებაა. ანმყოში თითქოს ალარ არსებობს. ან უკვე დამოუკიდებლობადაკარგული ქვეყნის მოქალაქე საკუთარი ერის თვისებებს ჩაუკვირდება” (ნიშნინიძე 2006: 218)

რა თქმა უნდა, ზოგჯერ ემიგრანტთა მოსაზრებანი, მათი გულგატეხილობა არ იყო მხოლოდ გოდება, სასონარკვეთა. ეს იყო სწორედ ის რომ ჩაკვირდება, განსჯის სურვილი, იმედის გაღვიძების ცდა... ჯერ კი უარყოფითი უნდა გამოეტანათ სააშკარაოზე. დაკვირვებამ და ფიქრმა ისინი მიახვედრა, რომ მხოლოდ გამირებით თავმოწონება ქვეყანას არ გამოადგებოდა. „ექიმმა“ უნდა დაამშვიდოს სწეული, რწმენა შთაუგონოს განკურნებისა, მაგრამ თუ კი უარყოფს სწეულების აშკარა სიმპტომებს და დაბეჯითებით არწმუნებს სწეულს, ყველაფერი რიგზეა და შენზე ჯანმრთელი არავის არისო, ეს ხომ მკურნალობაზე ხელის აღებას ნიშნავს და რა ფასი ექნება ამგვარ ფსიქოთერაპიას“ (ნატროშვილი 2006: 152).

ქართველი ემიგრანტებს ზოგჯერ გამოვლენილი უიმედო განწყობილებებისა და სკეპტიციზმის გამო სამშობლოს სიძულვილს ვერ დავაბრალებთ, ვერც იმას ვიტყვით, სათანადოდ არ იცნობდნენ საქართველოს წარსულს, არ აფასებდნენ გამირებს, მაგრამ, როგორც მინიშვილი წერდა, „ემიგრანტობა მეტად ცუდი „ავადმყოფობა“ და ქართველ ემიგრაციას რომ განსაკუთრებული ტკივილი მართებს ეს, ცხადია“ (მინიშვილი 2006: 14)

ემიგრანტული მწერლობის ერთი თავისებურება, თუ შეიძლება ამას თავისებურება ვუნოდოთ, ეს არის გამოკვეთილი ინტერესი იმდროინდელი საქართველოს, განსაკუთრებით, იქ მიმდინარე ლიტერატურული პროცესების მიმართ. სამშობლოსთან დასაკავშირებლად ემიგრანტები ათასნაირ კონსპირაციულ ხერხს მიმართავდნენ, ცდილობდნენ, დროულად მიეღოთ ლიტერატურა.

ყველაფერს სათანადოდ აფასებდნენ, თავიანთ პოზიციასაც გამოხატავდნენ. მხედველობაში გვაქვს ვიქტორ ნოზაძის, ვლადიმერ ბაქრაძის, ნოე ჟორდანიას, ისიდორე მანწკავას, შალვა ამირეჯიბის, ალექსანდრე მანველიშვილის, გიორგი გვაზავას, ზურაბ ავალიშვილის და სხვათა ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. როგორც ემიგრანტული პრესა ცხადყოფს, ხშირად ცხარე კამათი იმართებოდა რომელიმე საკითხის ან ლიტერატურული გმირის გარშემო. ცხადია, ემიგრანტი მოღვაწეები სამშობლოდან მიღებული ინფორმაციებისა თუ მხატვრული ლიტერატურის საფუძველზე თავიანთი შეხედულებების არა მხოლოდ დაფიქსირებას, არამედ, შესაძლოა, შეფასებასაც ახდენდნენ. ამგვარ მსჯელობათა პროცესში გაბნეულია მოსაზრებანი ქართულ ხასიათზე, ქართველი კაცის ბუნებაზე. მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“ საქართველოში 1924 წელს „მნათობში“ დაიბეჭდა. როგორც ირკვევა, პარიზში იმავე წელს მიიღო ვლ. ბაქრაძემ. 1929 წელს ჟურნალ „კავკასიონში“, ცხარე დავა გაიმართა ამ რომანის გარშემო. ერთიმეორის მიყოლებით, მე-2- მე-3 და მე-5 ნომრებში, გამოქვეყნდა ვლადიმერ ბაქრაძის, ვიქტორ ნოზაძის, ისიდორე მანწკავას წერილები. თეიმურაზის, ჯაყოს და რომანის სხვა მოქმედი პირების ხასიათების შეფასებათა პროცესში გამოიკვეთა ემიგრანტთა როგორც იდეოლოგიური შეხედულებანი, ზოგადად ქართული ბუნების ზოგიერთი თავისებურებაც. ეს ყველაფერი, ვფიქრობთ, დღევანდელი მთავის მეტად მნიშვნელოვანია, ამავე დროს მოითხოვს შემდგომ კვლევა-ძიებას.

ემიგრანტ მოღვაწეებს მდგომარეობის სირთულე, ნოსტალგიის სიმწარე აიძულებდათ, ზოგჯერ ყოფილიყვნენ სასონარკვეთილნი, სკეპტიკოსები, მაგრამ ამავე დროს ფიქრობდნენ ქართველი კაცის ხასიათის თავისებურებებზე, აკვირდებოდნენ ქართული ბუნების უარყოფით მხარეებს, ცდილობდნენ მოეძებნათ გამოსავალი. მათ ისიც იცოდნენ, რომ ნაკლი ყველა ერს აქვს. „სამანს გარეთ“ დარჩენილთათვის სამშობლოს ბედუკუღმართობა და ერის მანკიერებანი უფრო მკვეთრად ჩანდა, ემიგრანტი მოღვაწეები იმასაც აცნობიერებდნენ, რომ ამ მანკიერებათა გამომჟავნება იყო უპირველესი გზა ერის გაჯანსაღებისა, განმტკიცებისა. მიტომაც არ ეშინოდა ნიკოლო მინიშვილს იმის შედეგისა, რასაც ამბობდა: „გზის ძებნა და ეჭვიანობა, საკუთარი თავის კრიტიკა და მეტის სურვილი — ეს არაა პესიმიზმი, ახალგაზრდა უნდა აღიზარდოს ამ ძიებისა და აზროვნების ატმოსფეროში“ (მინიშვილი 2006: 73). ძიება და აზროვნება კი გამოარჩევს, თვისებათაგან რომელი გამოადგება ქართველ კაცს სამომავლოდ. ველაფერი ხომ განვითარებადია. მათ შორის ეროვნული ხასიათიც.

დამონებანი:

ასათიანი 1980: ასათიანი გ. სათავეებთან. ცისკარი, 5, 1980.

- ბაქრაძე 1999:** ბაქრაძე ა. კარდუ. გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი. თბ.: 1999.
- ბაქრაძე 2006:** ბაქრაძე ა. მკვახე შეძახილი. წიგნში: „ფიქრები საქართველოზე“. ლევან ბრეგაძის რედაქტორობით. თბ.: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2006.
- მინიშვილი 2006:** მინიშვილი ნ. ფიქრები საქართველოზე. თბ.: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2006.
- ნატროშვილი 2006:** ნატროშვილი თ. რომ მომავალი ჩვენია. წიგნში „ფიქრები საქართველოზე 2006“.
- ნიშნიანიძე 2006:** ნიშნიანიძე რ. თაობათა გადაძახილი. წიგნში „ფიქრები საქართველოზე“. ლევან ბრეგაძის რედაქტორობით. თბ.: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2006.
- ნოზაძე 1948:** ნოზაძე ვ. გარდასულ ჟამთა საქმენი და ამბავნი. ხელნაწერი 1948. ქართული ემიგრაციის მუზეუმი.
- რობაქიძე 1917:** რობაქიძე გრ. რაინდული საქართველო. გაზ. „საქართველო“, 32, 1917.
- რობაქიძე 1920:** რობაქიძე გრ. წერილები. გაზ. „ბარიკადი“, 1 თბ.: 1920..
- რობაქიძე 1989:** რობაქიძე გრ. გველის პერანგი. ფალესტრა. თბ.: 1989.
- რობაქიძე 1927:** რობაქიძე გრ. საქართველოს ხერხემალი. ქართული მწერლობა, 1, 1927.

**ლიტერატურა კაფეში
ანუ**

**ლიტერატურული კაფეს რაობა თანამედროვე
ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებაში**

დღევანდელი რეალობა არცთუ ისე დადებითად განგვანწყობს სამყაროს, მისი ცივილიზაციისა და კულტურის მიმართ. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნები, ცოდნის შექმნის დაჩქარებული ტემპი, საინფორმაციო საშუალებათა სიმრავლე ოპტიმიზმით კი არ გვმსჭვალავს, არამედ, ცოტა არ იყოს, შიშსა და უნდობლობას გვინერგავს და ისტორიასა თუ ლიტერატურაში არქაული და იმედის მომცემი სანწყისების ძიებას გვაიძულებს. ინფორმაციის განვითარება ინვესტს ექვსს, ხომ არ ქცეულა წიგნი დრომოჭმულ „პროდუქციად“, ნათელ გამოხატულებად იმ დისკრედიტაციისა, რომელშიც იგი იმყოფება თვითგამოხატვის სხვა საშუალებების სასარგებლოდ, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ზეპირმეტყველებას მწერლობის ხარჯზე?

აღსანიშნავია, რომ არასოდეს ყოფილა იმდენი მოყვარული მწერალი რამდენიც დღესაა და მიუხედავად ამისა, ბევრი ფიქრობს, რომ მწერლობის „აღსასრული“ მოახლოებულია. ერთი რამ ცხადია: დღეს ნაშლილია საზღვრები ნამდვილ ლიტერატურასა და არალიტერატურას შორის, ჟანრები არეულია, ყველაფერი მოთავსებულია ერთ სიბრტყეზე, ბაზარი გადატვირთულია ისეთი ფალსიფიცირებული პროდუქციით, რომელიც მკითხველს გემოვნებას უყალბებს და გულს უტუნს. თითქოს ჭეშმარიტი მწერლები გარიყულნი არიან; ბოლო პერიოდის ეკონომიკური კრიზისის პირობებში, წიგნებისათვის გამოყოფილი ინფორმაციული დანართები შემცირდა. მრავლად არსებობს „კომერციული ლიტერატურა“, რომელიც ყოველთვის არსებობდა, მაგრამ დღეს ის აღმავლობას განიცდის და, ყველაზე მეტად, ხელს უწყობს მენტალობის გადაგვარებას. ირგვლივ დაბნეულობაა და ამ ფონზე ჩნდება ილუზია, თითქოს ლიტერატურა შეიძლება გართობის საგანი, კომერციის ჩვეულებრივი საქონელი გახდეს. ეს პროცესი მსოფლიო მასშტაბის გახდა.

ნამდვილი ლიტერატურა ვეღარ აღწევს პრივილეგირებული საქონლის სტატუსს, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე. მას არა აქვს უნარი, სწრაფად მოიტანოს დიდი შემოსავალი. მისი ბუნებიდან გამომდინარე, ცუდადაა შეიარაღებული მასმედიის რეკლამებთან საბრძოლველად, რომლებიც წინ სწევენ უბრალო, მოკლედ მოცემულ კონსენსუსის ნაწარმოებებს, ლიტერატურას არ

ძალუძს ამგვარი ნიუანსებით დაიტვირთოს თავი, რათა უფრო დიდ მკითხველს მისწვდეს. დღეს ის, ძირითადად, კინოს ამარაგებს სცენარებით, ასევე, ნაკლები წარმატება აქვს ელექტრონულ თამაშებთან შედარებით, რომლებიც შექმნილია შუა საუკუნეების ეპოქების ან ყველა ჟანრის სიმულაციების საფუძველზე. თავის დროზე ხომ კინომ შთანთქა იმ სივრცის დიდი ნაწილი, რომელიც ლიტერატურული ტიპის თხრობას ეკავა!

თანამედროვე ლიტერატურული პროცესებისადმი თავის დამოკიდებულებას ცნობილი ფრანგი ლიტერატურათმცოდნე – ალენ ნადო – შემდეგნაირად გამოხატავს. ის წერს:

„საყოველთაო გამოტვიჩების საქმეში, ცხადია, რომ ლიტერატურა რჩება, მისდაუნებურად, წინააღმდეგობის გამწვევ კერად, თანაც საშიშ კერად, რადგანაც ლიტერატურას შეუძლია ირონიისა და კრიტიკული სულის მეშვეობით, ისე შეარყიოს სოციალური კონსენსუსის საფუძვლები, ვითომც არაფერი მომხდარა [...] ლიტერატურა დაყვანილია იმ მგომარეობამდე, რომ მან უნდა წარმოშვას ცოდნა საკუთარ რაობაზე, რითაც უკუეექტს გამოიწვევს საკუთარ ფიქციებში, ამის შედეგად მიაღწევს ავტონომიას, ურომლისოდაც იგი განწირულია გზიდან გადახვევისკენ. ლიტერატურა აღარ ღელავს არსებობის ჰიპოთეტიკურ ნებართვაზე, რომელიც მისთვის საზოგადოებას უნდა მიეცა ეკონომიკური კრიტერიუმების მიხედვით და გარკვეული შეზღუდვებით, თითქოს ლიტერატურა ფუფუნების საგანი ყოფილიყოს, ამგვარი მოსაზრება მისი დამოუკიდებლობის საბუთია და ლიტერატურის განახლების გარანტიას იძლევა“ (საღვასი... 2000: 62-63).

ამგვარი ოპტიმისტური თვალსაზრისის მიუხედავად, ნათელია, რომ გრძელდება კრიზისის ის ხანა, რაც ლიტერატურას დაუდგა 20-30-ოდე წლის წინ მსოფლიო მასშტაბით. მისთვის განკუთვნილი ადგილის შევიწროების ფონზე, შეიცვალა ისეთი პროპაგანდისტული ორგანიზმების ხასიათი, მასშტაბები და ფორმები, როგორიცაა ლიტერატურული სალონები და კაფეები. თითქოს, თანამედროვე ლიტერატურული პროცესების შემადგენელ ნაწილად იქცა დღეს სოკოებივით მომრავლებულ კაფე-რესტორნებში ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნა ან უკვე შექმნილის კითხვა-ინტერპრეტაცია. ასეთი კაფე-რესტორნები უკვე მთლიანად იღებენ თავიანთ თავზე იმ ყველაფრის საზოგადოებისთვის გაცნობას, რაც საერთოდ დაკავშირებულია ლიტერატურასთან, ხელოვნებასთან ან კულტურასთან. მათ ხელი მიუწვდებათ როგორც ადგილობრივ, ეროვნულ, ისე უცხოურ ლიტერატურაზე. ამა თუ იმ კაფეს სარეკლამო განცხადებაში ნათქვამია, რომ კაფეს მისიაა, რაც შეიძლება ბევრ ადამიანში გააღვივოს კითხვის სურვილი და დახვეწოს მათი ლიტერატურული გემოვნება. მათი მიზანია, მკითხველი და მწერალი ერთმანეთს შეახვედროს, ასევე, დაახლოვოს ის ადამიანები, ვისაც კითხვა უყვარს ან ერთმანეთისთვის ემოციების გაზიარება

სწადია. ამ განცხადებებს დღეს დიდი გამოხმაურება აქვს, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ლიტერატურული კაფეები სტუმართა სიმცირეს ნამდვილად არ „უჩივიან“. ბუნებრივია, ისმის კითხვები: რასთან გვაქვს საქმე, ლიტერატურით ადამიანების უფრო და უფრო მეტად გატაცებასთან თუ ლიტერატურასთან არასერიოზულ დამოკიდებულებასთან, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ხელოვნების კრიზისის არსებობას? აქვს თუ არა იგივე როლი დღეს ლიტერატურას კაფეში, რაც წინათ ჰქონდა? რა დადებითი მხარე აქვს ამ მოვლენას და რა — უარყოფითი?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვას განმარტობა სჭირდება. კითხვის დროს, მკითხველმა თავის თავში წარმოსახვა თუ არ გააცოცხლა და წიგნში საკუთარი თავი არ მოძებნა, სხვაგვარად, ვერანაირ ესთეტიკურ სიამოვნებას ვერ მიიღებს და არც კითხვას ერქმევა კითხვა, მაგრამ მოგეხსენებათ, ბოლო ხანებში კითხვის მოდალობები საგრძნობლად შეიცვალა. გაჩნდა კითხვის, ასევე, წერის ახალი საყრდენები, აღარაფერს ვამბობთ ვირტუალურ სამყაროზე, რომელმაც ლიტერატურული ნაწარმოების ახალი ფორმები გააჩინა. წარმოიშვა სხვადასხვა საშუალებები, რათა თანამედროვე ლიტერატურა და ლიტერატურული პროცესები წარმოჩენილიყო სრულყოფილად, მთელი თავისი მრავალფეროვნებით და გავრცელებულიყო, რაც შეიძლება, ფართო საზოგადოებაში. ამ მიზანს ემსახურება ლიტერატურული ფესტივალები, რომლებიც განაახლებენ ჟანრებს, გვთავაზობენ ინოვაციებს, რაც მდგომარეობს ნაწარმოებების თავად ავტორთა მიერ წაკითხვაში, ასევე, ამ პროცესებში მსახიობებისა და მუსიკოსების მონაწილეობაში. ახალგაზრდა მწერალთა მხარდასაჭერად და გასამხნეველად ეწყობა არაერთი ასეთი ფესტივალი, ასევე, წიგნის ფესტივალები, წიგნის სალონები, მწერლისა და მკითხველის შეხვედრები, ლიტერატურული გასიერებები და სხვა. ამ ყველაფერში მიუღებელი, ერთი შეხედვით, არაფერია.

რაც შეეხება კაფეს, ის დიდი ხანია, დაკავშირებულია მწერალთა და ხელოვანთა ცხოვრებასთან, იდეების ცხოველმყოფელობასთან. აკი ბალზაკმა მას „ხალხის პარლამენტი“ უწოდა.

ლიტერატურული კაფე ის მაგიური ადგილი იყო, სადაც სტუმართმოყვრული და თბილი ატმოსფერო სუფევდა და ადამიანები იქ თავს მყოფდოდ გრძნობდნენ.

კაფეების დამაარსებლებად გვევლინებიან თვით მწერლები, წიგნით მოვაჭრეები და გამომცემლები.

დღეს, არაერთ ქვეყანაში არსებობს ასოციაციები, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ რამდენიმე ათეულ წევრს, რომლებიც ლიტერატურულ კაფეებს კურირებენ. იქ იმართება შეხვედრები და დებატები კულტურის საკითხებზე. ყოველი შეკრება ეწყობა წინასწარ განსაზღვრულ თემასთან დაკავშირებით და საზოგადოება მიწვეულია სამსჯელოდ და საკამათოდ. შეხვედრები ზოგჯერ გაცოცხლებულია

მუსიკით, თეატრალური წარმოდგენებით, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე ცოცხალი შესრულებით. ეს ასოციაციები, ყოველ წელს მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში. მაგალითისთვის, საფრანგეთში ყველაზე მეტად ცნობილ ასოციაცია — „პოეტების გაზაფხულს“ დავასახელებდით. კაფეები ჩართულნი არიან სხვადასხვა სტრუქტურებში, ისინი პუბლიკას წარუდგენენ პოეტებს, მათ მხატვრულ ქმნილებებს, აცოცხლებენ შემოქმედებით წრეებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ლიტერატურული კაფეების გარდა, არსებობს ისტორიული კაფეები, რომლებიც ყოველ წელს აწყობენ მხატვრების გამოფენებს, ფილოსოფიურ შეხვედრებს, კონფერენციებსა თუ სიმღერისადმი მიძღვნილ საღამოებს. მთავარი მიზანი ამ კაფეებისა, მდგომარეობს იმაში, რომ შემოინახოს კაფეს სულისკვეთება და ტრადიცია, გაზარდოს მათი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული როლი როგორც დიდ ქალაქებში, ისე პროვინციებში. კიდევ, არსებობს ფილოსოფიური კაფეები. ის 1992 წ. დაარსდა პარიზში ფილოსოფიის პროფესორ მარკ სოტეს ინიციატივით. არსებობს, ასევე, პოლიტიკური და მოქალაქეთა კაფეები, რომლებიც ფილოსოფიური კაფეების „ჩამომავლები“ არიან.

როდესაც კაფე ევროპაში პირველად გამოჩნდა — ეს იყო XVII ს. I ნახევარი — მას უკვე დიდი ხნის ისტორია ჰქონდა აღმოსავლეთში. ამ სტიმულის მომცემ დაწესებულებებს ძალზედ აფასებდნენ მუსლიმანები. ევროპაში ლიტერატურული კაფეები მოდამი შემოდის საფრანგეთის რევოლუციის დროს. „როცოპე“ — პირველი პარიზული ლიტერატურული კაფე — 1636 წ. გახსნა სიცილიელმა ბურჟუამ ფრანჩესკო პროკოპიო დე კოიტელიმ. კაფე ძალიან მალე გახდა ისეთი ცნობილი ადამიანების თავშეყრის ადგილი, როგორებიც იყვნენ ლაფონტენი, დიდრო, ბომარშე, შემდეგ, ბენჟამენ ფრანკლინი, მოგვიანებით, ანატოლ ფრანსი და სხვები.

„ეოლტერი და ჟან-ჟაკ რუსო იქ ხშირად დადიოდნენ და ამგვარად ჩაუყარეს საფუძველი ერთ-ერთ პირველ ლიტერატურულ კაფეს. დიდრომ იქ ჩაიფიქრა თავისი „ენციკლოპედია“, ხოლო ბენჟამენ ფრანკლინმა — შეერთებული შტატების კონსტიტუცია.“ (პროკოპი 1998:).

კაფეს სტუმრობდნენ გამოჩენილი ხელოვანები და პოლიტიკური მოღვაწეები. ისტორიული კაფეების ცნებაც ამ ეპოქაში გაჩნდა. მას უწოდებდნენ ადგილს, სადაც „კარგად ფიქრობენ“ და „კარგად საუბრობენ“ ერთად.

თუ ისტორიას მივყვებით და თან კლასიკურ მაგალითებს მოვიხმობთ, ვიტყვი, რომ ძალზე ცნობილი იყო პარიზის შემდეგი კაფეები: „მრგვალი მაგიდა“, რომელიც 1739 წ. გაიხსნა და სამ თვეში ერთხელ ჟურნალსაც გამოსცემდა, 1812წ. დაარსებული კაფე „ორი მაიმუნი“, რომელიც ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა პარიზის ინტელექტუალურ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. XIX ს. ბოლოს მისი ხშირი სტუმრები იყვნენ ვერლენი, რემბო და მალარმე, ასევე

ოსკარ ვაილდი, რომელიც პარიზში იყო გადმოსახლებული. მოგვიანებით ეს კაფე სიურრეალისტების საყვარელ ადგილად იქცა. ლუი არაგონი ამას მოგვითხრობს თავის ნაწარმოებ „სიურრეალისტურ გამოცდილებაში“:

„კაფეში, ხმაურში, სავსე შუქში, მუჯღუგუნებში, რობერ დესნოსმა დახუჭა თვალები და ალაპარაკდა ლუდის კათხებსა და ლამბაქებს შორის, მთელი ოკეანე იღვრება თავისი წინასწარმეტყველური გამაყრუებელი ხმაურით და ორთქლით გაჯერებული გრძელი ბაირალების თანხლებით“ (არაგონი 1924:)

„ორ მაიმუნს“ ხშირად ეწვეოდა ხოლმე ჰემინგუეიც მეგობრებთან ერთად.

XX ს-ში ცნობილი კაფეები იყო 1847 წ. გახსნილი „იასამნის ხუტორი“, 1912 წ. დაარსებული „კარლტონი“ და სხვა. 20-იანი წლების ბოლოს მწერლებს და მხატვრებს „სომონის კაფე“ იზიდავდა. მისი ტერასის წინ მაგიდის გათავისუფლების მოლოდინში გატაცებით ხატავდნენ ცნობილი მხატვრები.

30-იან წლებში კაფე ისევ იყო პარიზის სულიერი ცხოვრების გული. მწერლებთან დაახლოებული ერთ-ერთი პირი, გვარად ტიბოდი, ამას შენიშნავს:

„ორი ტერასაა, ერთი სენ-ჟერმენის ბულვარზე და მეორე სენ-ჟერმენ-დე-პრეს მოედანზე. თითოეულ მათგანს თავისი პუბლიკა ჰყავს, თავისი სკოლა და სული აქვს. მათ ერთმანეთისგან კუთხის ტერასა ჰყოფს, ნაკლებ მოხერხებული და არახალხმრავალი... ელიტას სურს, ამ ადგილებში ხშირად გამოჩნდეს, სადაც მწერლები იყრიან თავს. ჟიროდუ ყოველ დილა გაზეთებს კითხულობს და თან ფუნთუშას შეექცევა, სანამ საგარეო საქმეთა სამინისტროში თავის სამუშაო კაბინეტს მიაშურებდეს; პოლ მორანი ყავას მიირთმევს ნალებით და რძით, სენტ-ევზიუპერის თავისი მდივანი ფრანსუაზ ჟირუ ახლავს“ (ლეკაფე 2007:)

II მსოფლიო ომის შემდეგ პარიზის გათავისუფლებისთანავე კაფე „ორი მაიმუნი“ ჟან-პოლ სარტრისა და მისი მიმდევრების საყვარელი ადგილი ხდება. ის და სიმონ დე ბოვუარი დილის ათი საათიდან მოდიოდნენ აქ სამუშაოდ. მოეწყობოდნენ ორ, გვერდიგვერდ მდგარ პატარა მაგიდასთან და შეუსვენებლად წერდნენ.

50-იანი წლებიდან კაფე ყველას — მსახიობების, მოდის წარმომადგენლებისა თუ უბრალო მოქალაქეების — შეხვედრების ადგილად იქცა.

საყურადღებოა, რომ 1933 წ. დაწესდა კაფე „ორი მაიმუნის“ პრიზი — 7700 ევრო, რომელიც ლიტერატურის მოღვაწეებს გადაეცემა. XX ს. II ნახევრის ცნობილი ფრანგი მწერლები: რეიმონ კენო, ანტუან ბლონდენი, ალბერ სიმონენი, რეიმონ აბელიო, ანდრე არდელე, როლან ტოპორი, პოლინ რეაჟი, კრისტიან ბოდენი, ჟან-კლოდ პიროტი ამ პრიზით დაჯილდოვდნენ.

დღეს ლიტერატურული კაფეები პროგრესს განიცდის და ძალზე პოპულარულია მთელ მსოფლიოში.

მაგალითად, პარიზის ერთი ასეთი კაფე „Arhtur-Nogent“ რეკლამაში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

„ეს არის ცხოვრების ადგილი... კაფეს კედლებზე დატოვეთ თქვენი ნააზრევო, იდეა, ფოტო, ნახატი, სკულპტურული ნამუშევარი, ისარგებლეთ ვერნისაჟებით და გაუზიარეთ ერთმანეთს თქვენი ემოციები და სიყვარული ხელოვნებისა და ლიტერატურის მიმართ.“

კაფე „les Editeurs“ — ის სარეკლამო განცხადებაში შემდეგს ვკითხულობთ:

„ძნელია, ერთი სიტყვით განისაზღვროს „les Editeurs“. ეს არის ერთდროულად კაფე, რესტორანი, ბარი, ჩაის სალონი, ბიბლიოთეკა, ორ სართულზე განლაგებული, 200 ადგილიანი კაფე... თქვენ შეგიძლიათ გადაყლაპოთ როგორც ყავა, ისე ნოველა, შესანსლოთ კერძი და რომანი, დღის პრესის ფურცლებთან ერთად დააგემოვნოთ კოქტეილი ან ხამანკები სპექტაკლიდან გამოსვლისას. შეგიძლიათ აიღოთ თაროებზე ჩამწკრივებული წიგნები და გადაიკითხოთ. საგამომცემლო სახლები მათ მრავლად გთავაზობენ – 5000 – ზე მეტს, რომლებმაც ეს კაფე აქციეს როგორც სასაფილოდ, ისე ვიტრინად, სადაც ადგენენ წიგნების ფასებს, აწყობენ შეხვედრებს და გამოფენებს. კაფე „Les Editeurs“-ში თქვენ თანაბრად იპოვნით მინიერ და წიგნისმიერ საკვებს“ (ედიტორი 2004:).

უნდა განვაცხადოთ, რომ ლიტერატურულ კაფეთა მოდას, საქართველოც უწყობს ფეხს. თბილისში არაერთი ლიტერატურული კაფეა გახსნილი. აქაც ფერებს თავისებურად ამუქებს რეკლამები, რომლებიც ცნობებსაც გვანვდის და გვეპატიჟება კიდევ. მაგალითად:

„ლიტერატურული კაფე „პაულო კოელიო“ მასპინძლობს სასიამოვნო, დასვენების მოყვარულ, ინტელექტუალურ, გემოვნებიან ადამიანებს. „პაულო კოელიო“ ხშირად გასიამოვნებთ ბლუზის და ჯაზის საღამოებით, ლიტერატურული შედევრებით. ორიგინალურად გაფორმებული წიგნების მაღაზია, ხელით ნაკეთი ნივთების ბუტიკით. უგემრიელესი ევროპული კერძები, ნამდვილი ბრაზილიური ტკბილეული და ბრაზილიური ყავა. მოუსმინეთ ბრაზილიურ მუსიკას და დაათვალიერეთ ექსკლუზიური ფოტოგამოფენები. გეპატიჟებით კაფე „პაულო კოელიოში“ — აცხადებენ კაფეს მესვეურები.

ჭეშმარიტად შესაშური მრავალფეროვნებაა, მაგრამ ძალზე ბევრი ფუნქცია -- ერთი კაფესათვის!

ლიტერატურული კაფეს განვითარების ისტორიის გადახედვით ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ კარგად გვესმის ამგვარ კაფეთა დანიშნულება და როლი ხელოვნებისა და ლიტერატურის, წერილობითი ძეგლებისა თუ იდეების პროგრესის საქმეში. ნათელია, რომ დიდი ხნის განმავლობაში, კაფეები იყო და დღესაც არის შეკრებისა და წერისთვის ხელსაყრელი ადგილი, მედიტაციის ოთახი, ოცნებისა თუ ფიქრის მიკროკოსმოსი, კონსპირატორთა და

რევოლუციონერთა, მეცნიერთა თუ მხატვრული კითხვის მოყვარულთა თავშესაყარი, ზოგჯერ მუზეუმიც კი, ან სულაც ბიბლიოთეკა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ჩნდება კითხვები: რა არის ეს, ახალი გამომსახველობა ხელოვნების განვითარების ისტორიაში თუ ხელოვნებისა და ლიტერატურის კრიზისის გაგრძელება? ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ ხელოვნება და, კერძოდ, ლიტერატურა მხოლოდ ამ ჩარჩოებში მოექცეს? ჩაითვლება თუ არა კაფეში ლიტერატურის განვითარება თანამედროვე ლიტერატურული პროცესების შემადგენელ ნაწილად?

ვფიქრობთ, ამ კითხვებზე პასუხები არაერთგვაროვანი იქნება. ზოგი საკითხს საკამათოდ და საინტერესოდ მიიჩნევს, ზოგიც — არასერიოზულად და უმნიშვნელოდ. ერთნი იტყვიან, არაფერია იმაში მიუღებელი, თუ ვინმე მაგიდასთან ყავის ჭიქით და სიგარეტით ხელში ლიტერატურით ტკბებაო. მეორენი აღშფოთებით შენიშნავენ, ლიტერატურით მანიპულირებენო. მესამენი სკეპტიკურად და უიმედოდ განაცხადებენ, წიგნს მომხმარებელი დააკლდა, კაფეში შესულ ადამიანთა უმეტესობა წიგნებით დამძიმებული თაროებისა და კარადებისკენ არც კი იხედება და იმას უფრო ფიქრობს, რომელი სასმელი ან ნამცხვარი იქნება უფრო გემრიელიო. რაც უნდა ითქვას, იმ აზრს ვერავინ გაექცევა, რომ ლიტერატურა კრიზისშია, ზოგი კომპეტენტური ადამიანის შეხედულებით, უსულო მდგომარეობაშიც კი და ამ ფონზე ლიტერატურული კაფეების, ერთი შეხედვით, ცოცხალი ატმოსფერო, იქ ნაკითხული ლექსები და შესრულებული მუსიკალური ნომრები, სხვადასხვა ატრიბუტებით (ყავის, ჩაის, კოქტეილის ჭიქებით, სიგარეტებით, ჩიბუხებით) „აღჭურვილი“ ადამიანების კმაყოფილი სახეები ვერაფერი იმედის მომცემია.

ცხადია, ბოლო პერიოდში, ლიტერატურა გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. შეცდომაა ლიტერატურის ინდუსტრიულ თუ კომერციულ მოქმედებასთან შერიგება, რაც იმის მაუწყებელია, რომ ლიტერატურას „ძალიან უჭირს“ და რომ მას აცოცხლებს საგამომცემლო მანქანა, რომელიც მოკლევადიან წარმატების ტალღას არავისთვის იშურებს. საზოგადოება აბატონებს სამომხმარებლო საქონელს. მიუხედავად ამისა, რომ დღევანდელი კრიზისი ძალზე ამცირებს მანევრირების საშუალებებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ლიტერატურა თავისთავად იმდენად არ არის საფრთხეში, რამდენადაც თვითონ ეს საზოგადოებაა საფრთხეში, რომელსაც არ აქვს უნარი ჩასწვდეს ლიტერატურის მიზნებს და მნიშვნელობას, იგნორირებს მას ან ცდილობს დაიმორჩილოს და სამსახურში ჩაიყენოს. საზოგადოება ამგვარი ქმედების გამო განწირულია, რადგან იგი კარგავს საკუთარ ორიენტირებს. თუ საზოგადოება ასეთ მდგომარეობაში დიდხანს დარჩება, მაშინ სოციალურ სხეულს ემუქრება გზიდან აცდენა, მაშინ იგი საკუთარი თავისთვის გახდება „არაკითხვადი“.

დღეს, თანამედროვე ლიტერატურამ, რომელსაც კონკურენციას უწევს ახალი ტიპის თხრობის მანერა, საკუთარი თავის გადასარჩენად, უნდა გადასინჯოს თავისი საგანი და ენის ძალით და ახალი არქიტექტონიკის შემოღებით გაანეიტრლოს გამოსახულების ძალა. ლიტერატურამ თავიდან უნდა გაიაზროს თავისი თავი, შეაფასოს საკუთარი ადგილი იმ საზოგადოებაში, რომელიც ან იგნორირებს მას, ან სურს მისი განდევნა და უთუოდ იპოვნის ძალებს გადარჩენისა და აღორძინებისათვის.

დამონემბანი:

არაგონი 1924: available from

<http://www.unimuenster.de/Romanistik/Aragon/questions.fragon.htm>; Internet.

ედიტორი 2004: available from <http://www.lesediteurs.fr>; Internet.

კაფეს 2008: www.cafes.ge; Internet.

ლეკაფე 2007: <http://lescafeslittaires.free.fr/M-PROGRAMME%2006.pdf>; Internet.

ლიტერატურული კაფე 2008: available from

www.videoclipsity.com/videoA17yfkofq/literaturuli.kafe; Internet.

პროკოპი 1998: available from <http://fr.wikipedia.org/wiki/caf%c3%49-Procopel>; Internet

სალგასი... 2000: სალგასი ჟან-პიერ, ნადო ალენ, შმიდტი ჟოელ. თანამედროვე ფრანგული რომანი. თბ.: 2000.

რუსუდან ჩოლოყაშვილი

საქართველო, თბილისი

მელიის მითოსური სახე ქართულ ფოლკლორში

განვითარების ევროპულ დონეზე მყოფი ხალხების ზეპირსიტყვიერების უპოპულარულესი პერსონაჟი – მელია ზღაპრულ ეპოსში რეალური მელიისაგან განსხვავებულ და ამავე დროს არაერთფეროვან სახეს ქმნის. ის ძირითადად ცხოველთა ზღაპრების მთავარი გმირია – ტრიქსტეტი – ტრადიციულად ცბიერი, მოხერხებული და მუხანათი. მაგრამ მელია ზღაპრულ ეპოსში მხოლოდ ტრიქსტერი არ არის. ის ზღაპრის სამივე ქვეყანაში გვხვდება, სადაც ტრიქსტერთან ასოციაციის მიუხედავად განსაკუთრებულ სახეს გვაძლევს. აქ უკვე განსხვავებულია მელიის მიზნები და მისი განხორციელებისაკენ მიმავალი გზები.

ჩვენს ნაშრომში სწორედ ამგვარ მელიაზე შევაჩერებთ ყურადღებას, რომელიც ოცამდე ტიპის ქართულ ზღაპარში გვხვდება. აქაც, ცხოველთა ზღაპრების მსგავსად, აქცენტი მის ჭამაზე კეთდება, რასაც უკვე საკრალური დანიშნულება აქვს.

მელია ქართულ ზღაპრებში ძირითადად მცენარეულ საკვებს – ვაზსა და მარცვლეულს ეტანება. მაგალითად, ნოველისტურ ზღაპარში „ობოლი და ქოსამატყუარა“ ობოლი ყვება, რომ ფეხმოტეხილ ფუტკარს, რომელიც ავაზაკმა ხალხმა გუთანში შეაბა და მიწას ახენვენიებდა, მოსწყდა კისერი. ობლის მამამ მოუსვა ნიგოზი „კისერზე ფუტკარს და მოაბა თავი, ნანიგვზარზე კი ხე ამოვიდა, გაიზარდა ერთი უშველებელი, დაისხა კაკალი... კაკალს ყვავი შეეჩვია და სულ გააჩანავა. ესროლა მამაჩემმა ბელტი და ზედ არ შერჩა?! გაიზარდა ეს ბელტი, გადიდდა, გაკეთდა სახნავ-სათიბი მიწები, გავაშენეთ ზედ ვენახი, დავრგეთ ვაზი... დაისხა ყურძენი, დამნიფდა მშვენივრად. ვაზებზე მტევნები სულ ნითლად ღვიოდა. ჩვენ ველით, რომ ან ახლა მოვკრეფთ, ან ახლა. უცებ ერთი მელა-ტურა არ შემოგვეჩვია?! გაგვიოხრა, გაგვიტიალა ერთიან, სულ ხელი აგვალბინა, ერთი სიტყვით წყალი გადაგვინურა, გამოჭამა ვენახი (რაზიკაშვილი 1951: 69-70). ეს პასაჟი აშკარად საკრალური ხასიათისაა. ყველაფერი კი გვირგვინდება მელიისა და ვენახის რიტუალური ურთერთობით, რომელთა სახეებიც გენეტიკურად მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგომი ღვთაების მეტამორფოზულ სახესხვაობას წარმოადგენს. მელია ხომ დიონისეს ერთ-ერთი იპოსტასია (ტოპოროვი 1982: 57). მელიის სახე არც ხალხური პოეზიისათვის არის უცხო. ზღაპრის აღნიშნულ მოტივს ზუსტად ესადაგება ხალხური ლექსი „მელამ ვენახი შეჭამა“, სადაც, როგორც სათაურიდანაც ჩანს, მელია აჩანავებს ვენახს:

„შემოგვეჩია მელია,

ყომრალი, თავის ფერია,
კაჭა და კაჭა ვენახი,
ავგალებინა ხელია“ (პოეზია 1979: 163).

მელია ვაზს ზღაპარ „მელია და მენისქვილეშიც“ შეექცევა. მაგალითად, მის ერთ-ერთ ვარიანტში „სამი მტევანი ყურძნის ამბავი“ მენისქვილეს „სახლის გვერდზე ერთი პატარა ვენახი ჰქონდა, შიგ სამი ვაზი ედგა. სამი მტევანი ყურძენი ება ამ ვაზს. ჩამოუვლიდა მენისქვილე ვაზებს: — თქვენ უნდა დამაქორწილოთ, სამი მტევნიდან სამი კოკა ღვინო გამომივა.

ისეთი იმედი ჰქონდა, თითქო დანურული ედგა ქვევრში. ძალიან უფრთხილდებოდა, ბუზს არ აკარებდა ახლოს. ერთხელ მენისქვილესთან მივიდა მელია:

— მენიქვილე, — უთხრა მელიამ, — ყურძენი მაჭამე და ბედსა გნეო!

მენისქვილემ ჯერ ერთი მტევანი მოუგლიჯა. შეჭამა მელიამ...“ (რაზიკაშვილი 1952: 132).

ასე განმეორდა სამჯერ. „შეაჭამა მესამე მტევანიც... გაუძღვა მელია მენისქვილეს, გაიყვანა მინდორში, სულ ღიღილო და ყაყაჩოებით ააჭრელა:

— უნდა ხელმწიფის ქალი შეგროო!“ (რაზიკაშვილი 1952: 132).

მელია არა მარტო გამოჭამს ვენახს, მისი გაშენებაც შეუძლია „ყველა თავისი საჭირო მონყობილობით“, ისევე როგორც — ყვავილებისა და ხეხილისა. მაგალითად, მელიამ, როგორც რახრახ მენისქვილის ქომავმა ცხოველმა „ნაილო ვაზის რქები დანიშნულ ადგილზე. მივიდა, ოთხივე კუთხეში დაარჭო ვაზის რქები, ნაფოტებისაგან გააკეთა მარნები, მეზვრეებისათვის გააკეთა სახლები, ჯოხის კაცები და ჯოხისავე თოფებით დააყენა მწკრივებს შორის. გადასწერა ჯვარი და მთელი ეს ცარიელი ადგილი გადაიქცა მშვენიერ ზვარდ. ზვარს შემორტყმული ჰქონდა მშვენიერი გალავანი. შიგნით გადაჭიმული იყო მარნები, მეზვრეებისათვის სახლები და მეზვრეები კი თოფით ხელში უვლიდნენ ზვარს“ (ლლონტი 1992 ა: 33-34).

არა მარტო ზვრების გაშენება, მას შეუძლია, სასიძოს სახლიდან ხელმწიფის სახლამდე „სულ ხალიჩა-ფარდაგი დაფინოს გზაზე, რომ სულ ველის ყვავილივითა ყვაოდეს... მართლაც რასა ხედავს, მთელი გზა ველის ყვავილივითა ყვაოდა — ისეთი ხალიჩა-ფარდაგი იყო დაფენილი და გზის იქით და აქეთ სხვადასხვა ხეხილი იყო ჩამწკრივებული: რიგი მნიფდა, რიგი ყვაოდა და რიგი ჩამოდიოდა“ (ლლონტი 1992ა: 33).

მელია ლექსად ნათქვამ „თხა და ვენახის“ ორ ვარიანტშიც გვხვდება განსხვავებით პოპულარული ვარიანტისაგან. ეს ზღაპარი ხომ მევენეზეობა-მელვინეობის ღვთაების სადიდებელ ჰიმნთა ჯგუფს უნდა განეკუთვნებოდეს (ზანდუკელი 1975: 98). ამდენად

მნიშვნელოვანი ჩანს მასში მელიას მონანილეობა. მაგალითად, დილომში ჩანერილ ვარიანტში:

„...მოდი, ვნახოთ ტურა, რამ შეჭამა ტურა?
მიველ, ვნახე ტურა, მელამ ჭამა ტურა.
(პოეზია 1979: 404)

მართალია, ამ ვარიანტებში მელია უშუალოდ თვითონ არ ჭამს ვენახს, მაგრამ ჭამს ვენახის მჭამელი თხის მჭამელის მჭამელს – ტურას ან კატას. შემდეგ კი შეუჭმელი არც თვითონ რჩება და მას ძალღი შეექცევა:

„მოდი, ვნახოთ მელა, რამ შეჭამა მელა?
მიველ, ვნახე მელა, ძალღმა სჭამა მელა“.
(პოეზია 1979: 404)

თუ გავითვალისწინებთ, რომ თხა ნაყოფიერების ღვთაების დიონისეს ერთ-ერთი იპოსტასია, ისევე როგორც — მელია და ვენახი, ამ ნაწარმოებების საკრალური დანიშნულება ნათელი გახდება. საერთოდ, ცნობილია, რომ ნაყოფიერების მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგომ ღვთაებას მეტამორფოზის ძალა შესწევს და ის სხვადასხვა ხალხთა მითოსურ სამყაროში როგორც მცენარეულ, ასევე ცხოველურ სახეებსაც იღებს. ამდენად არ არის გასაკვირი, რომ შემდგომი განახლებისა და საერთოდ უკვდავების მოსაპოვებლად ის თავისავე თავის იპოსტასურ სახესხვაობებს შეექცეოდეს.

იგივე მოვლენასთან გვაქვს საქმე ზღაპარში „ცხოველთა ნადი“ (ვირსალაძე 1949: 64), სადაც რიგ-რიგობით სტუმრად მისული ძღვენით ხელდამშვენებული ცხოველები: თავვი, კატა, მელა, მგელი და ბოლოს მასპინძელი – კაცი მათ წინ მისულებს გადასანსლავენ. საინტერესოა, რომ პირველი სტუმარი — თავვი ფქვილით არის ხელდამშვენებული. როგორც ვხედავთ, მათ შორის არის მელიაც. სტუმარი კი, ისიც ძღვენით ოჯახში შესული, რომ ღვთაებაა, ცნობილია (ჩოლოყაშვილი 2004: 139).

ოჯახებში სტუმრად ხელდამშვენებული მელიას სიარული მეტად პოპულარული მოტივია ქართულ ფოლკლორში და რიტუალური ქმედების შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგალითად: „მელიამ ნაფეტვარზე გაიარა, ნახა, რო ბევრი თავთავი ეყარა ტყუილად. იფიქრა: ამ თავთავებით ბევრ ზიანს ვიზამო. დაჯდა და დაიწყო თავთავების კრეფა. აკრიფა ერთი კონა, ამოიდო ილიის ძირში და გაუდგა გზას. გზაზე დაულამდა. მივიდა ერთი სახლის კარებზე და შესძახა:

- არ დამაყენებთო?
- დაგაყენებთო! – დაუძახეს.

მელიამ მიაბარა თავთავების კონა და უთხრა: — საქათმეში შეიტანეთო!

...შუალამის დროს ... ადგა მელია, აილო თავთავები და ერთ დიდ წითელ მამალს დაუდო ცხვირწინ. მეორე დღეს მოჰკითხა მასპინძელს ანაბარი. შევიდა მასპინძელი და მელიას გამოკენკილი თავთავები კი გამოუტანა...

— ან უნდა მომიტანოთ ჩემი თავთავები, არა და ის მამალი უნდა მომცეთო!

რას იზამდა მასპინძელი?! აილო და მისცა მამალი. აიყვანა მელიამ და გასწია... დაულამდა. გზაზე ერთ მეცხვარესთან დადგა. მიაბარა მამალი და უთხრა:

— ეგ მამალი არ მომიკლათ, თორემ ცხვარს წაგართმევთო“ (რაზიკაშვილი 1951: 339-340). ეგრეც მოხდა: „მისცეს მელიას ერკემალი და გაისტუმრეს“ (რაზიკაშვილი 1951: 340). მიყვანილ ერკემალში გლეხისგან ხარი წაიყვანა. სხვაგან სტუმრობისას ამ ხარს გამოსჭრა კისერი და დანა მასპინძლის უმცროს ქალს ჩაუდო ჯიბეში, რომელიც შემდეგ თან წაიყვანა სიმღერით:

„ფეტვი გავყიდე მამლადა,
მამალი – ერკემალადა,
ერკემალაი – ხარადა,
ხარაი – ლამაზ ქალადა“ (რაზიკაშვილი 1951: 341).

ამ ზღაპრებში ფეტვი მამალმა რომ მიირთვა, ის შემდეგ ერკემალმა რომ გამოასალმა სიცოცხლეს, ეს უკანასკნელი კი – ხარმა და მას უკვე ქალმა რომ გამოსჭრა კისერი, პერსონაჟთა ისეთივე ურთიერთ გადასანსვლა უნდა იყოს, როგორსაც წინა ზღაპრებში ჰქონდა ადგილი. ის რიტუალურ ქმედებად უნდა ჩაითვალოს, რასაც ზღაპრებში მოკვდავი და მკვდრეთითი აღმდგომი ღვთაების ბუნება განაპირობებს, შეექცევა რა პერიოდულად თავისსავე თავის სახესხვაობებს შემდგომი განახლების მიზნით.

როგორც ვხედავთ, ამ ზღაპრებში მელიას სტუმრად სიარული ხორბლის თავთავით იწყება. მთელ რიგ სხვა ზღაპრებშიც („მელია და კრავი“, „თხა და მელია“, „ლორი, დათვი და მელია“) ის მარცვლეული კულტურის (ხორბლის, ფეტვის, ქერის, სიმინდის) მიმართ არ არის გულგრილი. ეს ზღაპრები მინათმოქმედების მოტივის შემცველია, სადაც მელია სხვის მონაგარს იოლად ისაკუთრებს.

საერთოდ კი ზღაპრებში ძღვენით ხელდამშვენებულ მელიას ოჯახში დიდი პატივით ხვდებიან: „-მობრძანდი, მელია, სტუმარი ღვთის გაჩენილიაო!“ (ფ. არქ. კახეთი, 43: 76). უნდა აღინიშნოს, რომ მელიას სახე უძველეს სამეურნეო რიტუალშიც ჩანდა და ხშირად მომკილ ბოლო ძნას, რომელშიც მარცვლის სული ითვლებოდა ჩაბუდებულად, მელიის ფორმას აძლევდნენ, ისევე როგორც – მამლისას, თხისას, ცხვრისას (ჯალაბაძე 1986: 261).

როგორც პურის სულელები – მელია, მგელი და დათვი წისქვილის ბინადრები არიან ზღაპარში „მგელი, დათვი და მელია“. ისინი იქ

თავშეფარებულ ტრადიციული წესის დამცველს დაფარულ ცოდნას აზიარებენ და ბედსა სწევენ.

მელია მენისქვილის – ნისქვილში პურის სულის მკვლელის ქომაგი ცხოველია და ამდენად მისი მეტამორფოზული სახესხვაობა ზღაპარში „მელია და მენისქვილე“; ზღაპარ „მელია და ხელმწიფის შვილში“ (აღნიშვილი 1979: 109) კი – მონადირის მეტამორფოზული სახესხვაობა. აქ ის ნანადირევს მიირთმევს თავის ძმობილებთან – მგელთან, დათვთან და არწივთან ერთად.

ზაპარში მელიას მძღველიც არსებობს. მას საკმაოდ იოლად ნახევარქათამი ყლაპავს: „ერთი ნახევარქათამი და ერთი მელია დაძმობილდნენ. წავიდნენ გზასა. მელიამ ნახევარქათამი გააჯავრა. ნახევარქათამმა უთხრა მელიას: — მელია, სუ, თორემ ჩაგყლაპავო.

გაალო პირი და გადაყლაპა მელია“ (ცანავა 1994: 40). შემდეგ უკან ამოუშვა გადაყლაპულები: „ნაიყვანეს ნახევარქათამი და შეაგდეს საქათმეში. ნახევარქათამმა ამოუშვა მელია მუცლიდან. მელიამ დაჭამა ქათმები და გასწია თავის გზაზე“ (ცანავა 1994: 42). ამდენად მელია ზღაპრებში მესაქონლეობის მფარველი ღვთაების ფუნქციასაც ასრულებს (ჩოლოყაშვილი 2004: 151).

ხალხურ პოეზიაში მცენარეული საკვებიდან მელია არა მარტო ვენახსა და მარცვლეულს შეექცევა, არამედ ხილბოსტნეულსაც მშვენივრად მიირთმევს. მაგალითად, ლექსში „მელია“:

„საწყალი მელა ჩიოდა,
არ მამივიდა ძილია,
ბოსტანსა გადმოვეჩვიე,
ხახვს ამოუგდე ძირია.
სუყველა ხილი შევირგე,
ტყემალმა მომჭრა კბილია“ (პოეზია 1979: 173).

მელია რომ არ არის უბრალო პერსონაჟი, ამაზე სვანური ზღაპარი-გამოცანაც „რომელია უფრო დიდი“ მეტყველებს, რომელიც მთლიანად მითოსურ მოტივებზეა აგებული: „ერთი ბულა ცხოვრობდა. ისეთი უზარმაზარი იყო, წინა ფეხები ზღვას გაღმა ედგა, უკანა – ზღვის გამოღმა. ერთხელაც არის, სად იყო, სად არა, მოფრინდა ორბი, აიტაცა ეს ბულა და ავარდა ცაში. კარგა ხანი იფრინა, მაგრამ ვაკე ადგილი ვერსად იპოვა, რომ ბულა ზედ დაედო და შეექამა. ბოლოს ვილაც მეჯოგე შეამჩნია. ხედავს, მეჯოგეს იმოდენა რქამოტეხილი ვაცი მოჰყავს, ავდარში მის წვერქვეშ თავის ჯოგინანად შეეფარები. ორბმა ნადავლი ამ ვაცის მოტეხილ რქაზე დადო და ხორცს ძიღგნა დაუნყო. ჭამაში გართულს ერთი ბეჭი ძირს გადმოუფარდა. სწორედ ამ დროს მეჯოგემ ცას შეხედა, წვიმამ ხომ არ გადაიღო და ბეჭი შიგ თვალში ჩაუფარდა...

მწყემსებმა ბეჭს აქეთ-იქიდან მოსდეს კომბლები, რის ვაი-ვაგლახით ამოაგდეს თვალიდან და ცხრა მთას იქით გადაისროლეს.

გავიდა დრო. იმ ბეჭზე ერთი დიდი სოფელი გაშენდა. მალე ბეჭს მელია შემოეჩნია. ხრავს მელია ბეჭს და მთელ სოფელს ხან აქეთ უზამს პირს, ხან – იქით. სოფლელები გაოცებულები არიან – ეს რა უცნაური ამბავი გვემართება, დღეს აღამოსავლეთისაკენ გვაქვს კარ-ფანჯარა, ხვალ – დასავლეთისაკენა. ერთხელაც დაუდარაჯდნენ და რას ხედავენ, სულ მელიას ოინები კი ყოფილა! მაშინვე მოკლეს მელია, ცალ მხარეს გაატყავეს და იმ ტყავისაგან დიდმა თუ პატარამ, ყველამ ქუდი შეიკერა. მერე მელიას გადაბრუნება სცადეს, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს. ამ ამბავში რომ იყვნენ, გზად ობოლმა და-ძმამ ჩამოიარა. დამ ნახევრად გატყავებული მელია რომ დაინახა, თითისტარი მოსდო, თვალის დახამხამებაში მელია მეორე მხარეს გადააბრუნა, გაატყავა და ტყავი ძმას საქუდედ მოაზომა, მაგრამ ბიჭს ტყავი კეფაზედაც არ გასწვდა“ (ცინდელიანი 1975. 21).

ამავე ტიპისაა „ზღაპარი გამოცანა“ (ვირსალაძე 1958: 331-332), სადაც ხელმწიფეს ჰქონდა ორი დღის მინა. იქ დაათესინა პური, დაიჭირა თორმეტი კაცი და დაუყენა საყარაულოდ სახნავს. ეს ჯეჯილი ერთმა ხარმა ორ-სამ ლუკმად მოწმინდა და რალაც განგებით „ნაიქცა და მოკვდა. სამი დღის ვაჟმა ტყვია ესროლა მელიას და მოკლა. საჩუქრად ნახევარი მელიის ტყავი მიიღო. ნახევარისა მთელმა ქალაქმა შეიკერა ტანისამოსი და კიდევაც დარჩა. ვაჟმა მეორე ნახევრით შეიკერა, მაგრამ წინ კალთები, გული და სახელოები კი დააკლდა. ვინ უფრო დიდი ყოფილა – ხარი, ყორანი, ციკანი, მეცხვარე, ის ძვალი, ის მელია, თუ ის ვაჟი?“ ამ ზღაპრის პასუხი ალბათ ის არის, რომ ყველანი ტოლები არიან, რადგანაც ერთი ღვთაების მეტამორფოზული სახესხვაობები უნდა იყვნენ. თუმცა ამ შეკითხვის ჩამონათვალში ჯეჯილიც უნდა იყოს, ყველაფერი ხომ მისი შექმნით დაიწყო.

მელია სხვა ზღაპარში („მელია და მენისქვილე“) მხვნელების სურვილით ნათესებისათვის წვიმის მომყვანია, რისთვისაც ცხრილით (ცხავით, საცრით) რიტუალს ასრულებს: მელია „გზაზე მხვნელებს შეხვდა. მხვნელებმა დაუძახეს: — დაისვენე, მელიავ, პური ჭამეო.

დაისვენა მელიამ. მისცეს ერთი ცხრილი და უთხრეს:

— ნადი, სანამ ჩვენ სამხარს მოვამზადებთ, წყალი ამოგვიტანეო.

წავიდა მელია. ავსებს წყალს, მაგრამ ცხრილი რას დაიჭერდა?!“ (რაზიკაშვილი 1951: 341).

ბ. კილანავა მიუთითებს, რომ ცხავის როგორც წვიმის სიმბოლოს გააზრება დასტურდება ლაზარობის ტექსტში, სადაც ხშირად გვხვდება სტროფი:

„ცხავი აცხავებულა,
წვიმა აჩქარებულა“ (კილანავა 1981: 154).

ამიტომაც ვამბობთ ხოლმე წვიმაზე „სცრისო“.

მელია სხვაგანაც ასრულებს რიტუალს, როდესაც თავისი დაკარგული კუდის დაბრუნებას ცდილობს მუხის ძირში მიძევებით მორთულ გოგონებს აცეკვებს: მელიას „მისცა ვაჭარმა ძივები. ნავიდა, მელამ დაკიდა გულზე გოგვებს. გოგვებმა იცეკვეს მუხის ძირში. მუხამ მისცა მელას ნეკერი. ნეკერი მიუტანა თხას, თხამ მისცა რძე, რძე მიუტანა ნენეს, ნენემ დაუბრუნა კუდი“ (მსხალაძე 1973: 26).

მელიას ბევრი შეუძლია. ის ერთ ზღაპარში იმუქრება კიდეც: „—თუ ამას მამცემთ, თუ არადა აქედან აგყრითო! აიღეს და მისცეს მამალი“ (სიხარულიძე 1938: 43). ყოველივე ამის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ მელიის სახე ჩვენს მიერ განხილულ ნაწარმოებებში გენეტიკურად მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგომ ღვთაებას უკავშირდება და მისი ერთ-ერთი ზოომორფული იპოსტასია. ამიტომვე გადარჩება ის, როცა ცამდე აწვდილ კოცონში – რიტუალურ ცეცხლში აგდებენ, საიდანაც უვნებელი, უფრო სწორ – განახლებული გამოდის. კოცონი ხომ აგრაღური დღესასწაულისადმი მიძღვნილი აუცილებელი რიტუალის შემადგენელი ნაწილი იყო. მაგალითად, უძველეს დროში პარიზში იყო ჩვეულება კოცონზე ცოცხალი კატის, თხის, ზოგჯერ მელიის დანვისა. პარიზელები კოცონიდან ნახშირსა და ნაცარს აგროვებდნენ და მიჰქონდათ სახლში, სჯეროდათ რა, რომ ის მოუტანდათ ბედნიერებას (ფრეზერი 1980: 723). ვ. მანსარდტი თვლიდა, რომ ადამიანები წვავენ იმ ცხოველებს, რომლებიც განასახიერებდნენ მცენარეთა – პურის სულებს და ამდენად ჩვეულება მათი დანვისა იყო მაგიური ცერემონია, რომელიც ნათესებს აძლევდა აუცილებელ მზის სინათლეს (ფრეზერი 1980: 729).

ჯადოსნური ზღაპრის მელია გმირის ქომაგი ცხოველიც არის – მისი მეტამორფოზული სახესხვაობა. მას შემდეგ რაც ბიჭმა ის ძაღლებისა და მონადირეებისაგან დაიხსნა, „მოზრუნდა ეს მელია, მისცა ბალანი და უთხრა: ერთ გაჭირვებაში მეც გამოგადგებიო“. მართლაც განსაცდელში ჩავარდნილი ბიჭი „დაისვა მელიამ ზურგზე, ნაიყვანა, იმდენი ატარა, რომ საცა მზეთუნახავი იყო, იმის ფეხთით იატაკს ქვეშ ამოსვა“. ამა თუ იმ არსებაზე ამხედრება რომ ამ არსებად ქცევას ნიშნავს, თავის დროზე ვ. პროპი მიუთითებდა (პროპი 1946: 150). ამ დახმარებით მელიამ არა მარტო გადაარჩინა ბიჭი, ბედსაც სწია: „მზეთუნახავმა გასძახა ბიჭს: — მომიცია მალლა ღმერთი, ძირს – დედამინა, მე შენ არ გიმტყუნო, შენ ქმარი და მე – ცოლი“ (უმიკაშვილი 1964: 36-37).

ისიც უნდა ითქვას, რომ მელია არა მხოლოდ პერსონაჟია ხალხური ზღაპრებისა და პოეზიის ნიმუშებისა, არამედ მისი სახელი ამ ჟანრის ნაწარმოებთა დასაწყისსა თუ დასასრულის ფორმულებშიც გვხვდება, რომელთაც ხშირად მითოსური შინაარსი აქვთ, საკრალური დანიშნულებისანი ჩანან და არ არის გამორიცხული, ის აქ მოიხსენიებოდეს სწორედ როგორც ღვთაება. მაგალითად, არც თუ იშვიათად, ამგვარად იწყება ხალხური პოეზიის ნიმუშები:

„ელისა და მელისა,
სახლი მედგა ძელისა,
საძირკველი ვერცხლისა,
აფრა – მარგალიტისა“ (პოეზია 1979: 29).

„ელია თუ მელია,
ჩიტი მომიწველია,
ერბო მისი მონახადით
კოთხო დამიტენია“ (პოეზია 1983: 67).

ზღაპრებისათვის კი ტიპიურია ასეთი დასასრული:

„აი, ელასა, მელასა
ჭიქა მეკიდა ყელასა“ (ვირსალაძე 1958ა: 54).

აქ გამოთქმული მოსაზრება განმტკიცდება, თუ გავიხსენებთ, რომ ამგვარი დასაწყისები შელოცვებსაც ახასიათებს:

„ელი ელავდა, მელი მელობდა,
ზღვა შიშინობდა, ზღვა ფიფინობდა“ (შიოშვილი 1994: 103).

მელეტინსკი ხომ აღნიშნავს, რომ „უბრალო შელოცვებშიც კი, ჩვეულებრივ, მოცემულია მოკლე შესავალი მითური პირველწინაპრის, ღმერთის შესაბამის პარადიგმულ მოღვაწეობაზე“ (მელეტინსკი 1976).

მელიის გამორჩეულ როლზე ჩვენს რწმენებში უნდა მიანიშნებდეს ამ ფუძის მქონე ტოპონიმების სიხშირე ჩვენში: მელაანი (გურჯაანის რ-ნი), მელისხევი (თიანეთის რ-ნი) მელურა, მელე (ლენტეხის რ-ნი), მელაური (სამტრედიის რ-ნი), მელუშეთი (ჭიათურის რ-ნი), მელიტენე, მილიდდუ (ჯავახიშვილი 1960: 414), მელი-ღელე, ცნობილია ჩხერიმელას ბრძოლა. მელა (მელი) – ეს სიტყვა ხშირად უდევს საფუძვლად ქართულ გვარებს: მელაშვილი, მელაძე, მელიქაძე, მელიქიშვილი, მელინკაური. ქალის სახელია მელანო, მამაკაცისა – მელიტონი და სხვა.

იშვიათად, მაგრამ მაინც, ხერხდება ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მელიის სახელთან დაკავშირებული რიტუალების დაფიქსირება. მაგალითად: მელია – კვერია, რომელსაც მოსახლეობა რაჭაში ბოსლობის კვირაში ასრულებდა გოჭის ხუთშაბათთან და ღორის ბოსლობასთან ერთად, რომლებიც შინაურ ცხოველთა და ფრინველთათვის იყო განკუთვნილი (ბუხრაშვილი 2003: 142) მტაცებლებისგან მათ დასაცავად. მაგრამ აღნიშნული რიტუალის ამგვარი გააზრება არ არის გამორიცხული, გვიანდელი იყოს და თავდაპირველად მისადმი თაყვანისცემით ყოფილიყო განპირობებული. ასევე მელაკურკუტალობა შემოჩვეული მელიის თავიდან მოშორების ცერენომონიალად ითვლება; მელაკურკუტობია

ბავშვთა თამაშია (ალავიძე 1955), მელაობა – ერთგვარი წესჩვეულება რაჭაში (ბერიძე 1912); მელია – ტელეფია კი – ნაყოფიერების კულტისადმი მიძღვნილი ვაჟთა საცეკვაო ქმედება სვანეთში.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ არატრიქსტერი მელიის სახე ქართული ფოლკლორული მონაცემების მიხედვით გამორჩეული და საინტერესოა. ის მითოსური აზროვნებიდან იღებს სათავეს და გენეტიკურად მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგომი ღვთაების მეტამორფოზული სახესხვაობაა.

დამონებანი:

ალავიძე 1955: ალავიძე მ. ლეჩხუმური ლექსიკა. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ქუთაისი: 1955.

აღნიაშვილი 1979: აღნიაშვილი ვლ. (შემკრები). ქართული ხალხური ზღაპრები. თბ.: გამომცემლობა „ნაკადული“, 1979.

ბერიძე 1912: ბერიძე ვ. სიტყვის კონა: იმერულ და რაჭულ თქმათა. პეტერბურგი: 1912.

ბუხრაშვილი 2003: ბუხრაშვილი პ. საცხოვრისის ფენომენის ადგილის განსაზღვრისათვის ქართველი ერის ყოფასა და კულტურაში ძველად. შ. ამირანი (კავკასიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის მოამბე), IX, მონრეალი-თბილისი: 2003.

ვირსალაძე 1949: ვირსალაძე ელ. (შემდგენელი). რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები. I, თბ.: გამომცემლობა სახელგამი, 1949.

ვირსალაძე 1958: ვირსალაძე ელ. (შემდგენელი). რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები. II, თბ.: გამომცემლობა სახელგამი, 1958.

ზანდუკელი 1975: ზანდუკელი ფ. მოდი, ვნახოთ ვენახი. ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, II, ქართული ფოლკლორი, V, თბ.: გამომცემლობა

მელეტინსკი 1976: Мелетинский Е. Поэтика мифа. М.: 1976.

მსხალაძე... 1973: მსხალაძე ალ., ნოლაიდელი ნ. (შემდგენლები). ქართული (აჭარული) ზღაპრები. ბათუმი: „საბჭოთა აჭარა“, 1973.

პოეზია 1976: ქართული ხალხური პოეზია. V, შემდგენლები: მ. ჩიქოვანი, ნ. შამანაძე. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976.

პოეზია 1979: ქართული ხალხური პოეზია. VIII, მთავარი რედაქტორი მ. ჩიქოვანი. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979.

პოეზია 1983: ქართული ხალხური პოეზია. X, მთავარი რედაქტორი მ. ჩიქოვანი თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1983.

პროპი 1946: Пропп В. Я. Исторические корни волшебной сказки. Л.: Издательство ЛГУ. 1946.

რაზიკაშვილი 1951: რაზიკაშვილი თ. (შემკრები). ქართული ხალხური ზღაპრები. I, თბ.: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, თბ.: გამომცემლობა „საბლიტგამი“, 1951.

რაზიკაშვილი 1952: რაზიკაშვილი თ. (შემდგენელი). ქართული ხალხური ზღაპრები. თბ.: გამომცემლობა „საბლიტგამი“, 1952.

სიხარულიძე 1938: სიხარულიძე ქს. (შემდგენელი). ქართული საბავშვო ფოლკლორი. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1938.

ტოპოროვი 1982: Топоров В. Н. Лиса. Мифы народов мира. II, М.: Издательство "Советская энциклопедия", 1982.

უმიკაშვილი 1964: უმიკაშვილი პ. ხალხური სიტყვიერება. III, თბ.: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

- ფარქ:** შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი.
- ფრეზერი 1980:** Фрезер Дж. Золотая ветвь. М.: Изд. Политиздат, 1980.
- ღლონტი 1992ა:** ღლონტი ალ. (შემდგენელი). ხალხური ზღაპრები. I, თბ.: გამომცემლობა „განათლება“, 1992.
- შიოშვილი 1994:** შიოშვილი თ. (შემდგენელი), ქართული ხალხური შელოცვები. ბათუმი: აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, 1994.
- ჩოლოყაშვილი 2004:** ჩოლოყაშვილი რ. უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი ზღაპრულ ეპოსში. თბ.: გამომცემლობა „ნეკერი“, 2004.
- ცანავა 1994:** ცანავა ა. (შემდგენელი). მეგრული ზღაპრები და მითები. თბ.: გამომცემლობა „მერანი“, 1994.
- ცინდელიანი 1975:** ცინდელიანი უ. (შემდგენელი). სვანური ზღაპრები. თბ.: 1975.
- ხიდაშელი 2005:** ხიდაშელი მ. რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში. თბ.: გამომცემლობა „მემატიანე“, 2005.
- ჯავახიშვილი 1960:** ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. I, თბ.: თსუ გამომცემლობა, 1960.
- ჯალაბაძე 1986:** ჯალაბაძე გ. მემინდვრობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986.

კლასიკური ტექსტების იმიტაცია და ინტერპრეტაცია აკა მორჩილაძის პროზაში

XX ს-ის 60-70-იან წლებში იწყება ქართული პროზის განვითარების ახალი ეტაპი, რომელიც მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ძიებათა ძალზე მრავალფეროვან და საინტერესო სურათს წარმოაჩენს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს გურამ დოჩანაშვილის „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“, „მხოლოდ ერთი კაცი“ და სხვ. მკითხველისადმი უსაზღვრო ნდობით გამოირჩევა ის ნოვატორული ხერხები, რომლებსაც გურამ დოჩანაშვილი მიმართავს: მას არ ეშინია, რომ მკითხველს დააბნევს აფრედერიკ მეს „ოინები“, კარმენის მხატვრული სახის, როგორც თავისუფლების სიმბოლოს, მოულოდნელი რაკურსით ჩვენება, ცალკეული სიტყვების „ახსნა“ სქოლიოების მეშვეობით, მოთხრობის ფინალში „გამოყენებული ლიტერატურის მითითება“ და სხვ. საინტერესო საკითხია — რა გავლენა იქონია გურამ დოჩანაშვილის ორიგინალურმა სტილმა და სიტყვათქმნადობამ იმ თაობაზე, რომელიც სულმოუთქმელად კითხულობდა „სამოსელ პირველს“ და ყოფით მეტყველებაშიც ხშირად იყენებდა მწერლისეულ ფრაზებს? ეს, ცხადია, ვრცელი მსჯელობის თემაა, მაგრამ შეიძლება მხოლოდ ერთი ასპექტი მოინიშნოს: როდესაც ამ თაობის წარმომადგენლები გამოჩნდნენ ლიტერატურულ ასპარეზზე, მკითხველის ინტერესი ერთბაშად მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ახალგაზრდობამ მართო თავისი თემატიკა კი არ შემოიტანა ქართულ მწერლობაში, არამედ საკმაოდ ორიგინალური და განსხვავებული ნარატიული საშუალებებიც შესთავაზა მკითხველს. აკა მორჩილაძის პირველივე ნაწარმოებებმა აშკარა გახადა — ქართული პროზა ვითარდება არა ტრადიციული, გაკვალული გზით. აკა მორჩილაძეც იმ გზას დაადგა, ძალიან რომ წაავას მკითხველის ეპატაჟს, სინამდვილეში კი, გურამ დოჩანაშვილის არ იყოს, ყველაზე მეტად იმით გამოირჩევა, რომ არნახულ ნდობას უცხადებს მკითხველს. აკა მორჩილაძეც, ისევე როგორც გურამ დოჩანაშვილი, დარწმუნებულია, რომ მისი მკითხველი ინტელექტუალია და შეთავაზებულ „ინტელექტუალურ თამაშებში“ არ დაიბნევა. ეს არის, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც აახლოებს გურამ დოჩანაშვილისა და აკა მორჩილაძის ლიტერატურულ პოზიციებს ერთმანეთთან.

კონკრეტულად რა მომზადებას ითხოვს მკითხველისაგან აკა მორჩილაძის ცალკეული ნაწარმოებები? განვიხილოთ ორიოდ

მაგალითი, როდესაც ავტორი გულისხმობს იმას, რომ მკითხველისათვის ნაცნობი და ახლობელია ძველი ქართული ლიტერატურული ტექსტების ენა.

„ყოფაი და ცხორებაი მარჯვენისა შარმადინისა, მორჩილ ნიკოლაოსისა (პანტელეიმონ ბერის ჟამთააღმწერი რვეულიდან)“ — ეს არის შუა საუკუნეების ქართული პროზისათვის დამახასიათებელი სტილითა და ლექსიკით შესრულებული აკა მორჩილადის პირველი დიდტანიანი რომანის „სანტა ესპერანსას“ ერთი მონაკვეთი. სანტა სიტის მართლმადიდებლური მონასტრის ბერი ძველი ქართულით გადმოსცემს თბილისელი „განგსტერის“ ნიკა აბაიშვილის ფათერაკიან თავგადასავალს, ანუ ყოველივე იმას, რაც ბერმა თბილისიდან გამოქცეული, თავგზააბნეული კაცის აღსარების დროს შეიტყო: „ნაფერ არს ამბავი ესე მოსურვებითა აბაის შვილისა ნიკოლაოსისა, რომელმან არა იცოდა წერილობაი მონასტრული და ზიარებასა შინა და აღსარებითა მისითა უკანასკნელითა დღესა მას ხუთშაბათსა, ცისკარსა გვეაჯოს ჩუენ პანტელეიმონსა გლახაკსა ღუთისასა აღინეროს ყოველი ცხორებაი მისი სიტყუათაგან მისთა, რაიც ადრევე უამბნია ჩემდა ნდობითა და დიდითა სიყუარულითა“ (მორჩილადე 2008: 301).

90-იანი წლების საქართველოს რეალობის გაცოცხლება შუა საუკუნეების ქართული პროზისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით უჩვეულო კონტრასტულ ეფექტს ქმნის. ბერის მონათხრობის პათეტიკური ტონი ზნეობრივად დეგრადირებული თაობის პაროდირებასაც ახდენს და გასული საუკუნის თბილისის გროტესკულ სურათსაც წარმოაჩენს: „ვერესა ალაგსა შინა და მეზობელსა მისსა ვაკე ალაგსა მრავალნი იყუნეს ყრმანი და ჭაბუკნი ასევეითარ ოჯახისა სიმდიდრითა ქებულისა და სწავლითა განთქმულისა და იცნობდის ყოველი, ხოლო ყრმანი და ჭაბუკნი ესე მისდევდის განცხრომასა მას ეშმაკეულსა ბალახისა მას ხითხითასი წევასა და ათრიაქებლისა მისისა მოსარჩენელისა ნოდებულისა ნამლად შთასხმას სხეულსა შინა ნემსითა სააქიმოთი და ესევეითარ განიცხრობოდის. ხოლო მამათა თუისთა არას ეტყოდინან, რამეთუ ეკრძაღვოდინან რისხუასა მათსა, ხოლო ფასი ამისისა არა ჰქონდინან, თუმც კი ოჯახისა სიმდიდრე წინა ედვას, ოღონდაც ვერ შესთხოვდინან, მოგუე ჩუენ ფასი წამლისაი და ამისა მიზეზითა იპარვიან შინაცა და გარეთაც და მეკობრობასა იქმოდინან, ხოლო მამათა და დედათა არა უწყოდინან“ (მორჩილადე 2008: 302).

რატომ იყენებს ავტორი ძველ ქართულ ლექსიკასა თუ სინტაქსს 90-იანი წლების თბილისის ყოფის ამსახველი სურათის ხატვის დროს? თავისთავად ცხადია, რომ ეს ძველი ქართული ტექსტების პაროდირება კი არ არის, არამედ „თბილისური ამბების“ განსხვავებული რაკურსით დანახვის ცდაა. რაც უფრო თვალმისაცემია შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურული მეტყველებისათვის დამახასიათებელი პათეტიკური ტონის

შეუსაბამობა იმ ამბავთან, ამგვარი სიტყვიერი ფორმით რომ არის გადმოცემული, მით უფრო ამჟამად ამ თაობის სულიერი დეგრადაცია, მათი გაუცხოება საკუთარ კულტურულ ფასეულობებთან. უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი მიზანმიმართულად ამახვილებს მკითხველის ყურადღებას ამგვარი გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით ტექსტის ამ მონაკვეთის მთავარ სათქმელზე — ნიკოლაოს აბაისშვილის თაობამ (ცხადია, ურწმუნოების შედეგად) დაკარგა კავშირი ქრისტიანულ მორალსა და ზნეობასთან, რომლის გამოხატულებადაც (სიმბოლოდაც) უნდა მივიჩნიოთ პანტელეიმონ ბერის ტექსტი. ამის შედეგი კი არის ლამის მთელი თაობის ჯერ სულიერი დეგრადირება, შემდეგ კი ფიზიკური განადგურება.

პანტელეიმონ ბერის ტექსტი ცალკეული ფორმალური ნიშნების გამო შეიძლება აგიოგრაფიული ტექსტების იმიტაციადაც მოგვეჩვენოს. საინტერესო იქნებოდა იმის გარკვევა, შეგნებულად აკეთებს ამას ავტორი, თუ ეს თავისთავად, უნებურად ხდება, რაკი ძველი ქართული ტექსტების იმიტაცია ისედაც ინვესს მკითხველში ამგვარ ასოციაციებს? არ არის გამორიცხული, რომ ავტორს ამგვარი მიზანიც ჰქონდეს დასახული: აჩვენოს როგორია XX ს-ის მიწურულის „მონამე“ და რა ინტერესები ამოძრავებს მას იმის საპირისპიროდ, თუ რას ენერგობდნენ შუა საუკუნეებში რეალურად არსებული წმინდა მონამეები. ამ ვარაუდს წარმოშობს პანტელეიმონ ბერის ტექსტის ფინალური მონაკვეთი: „და უბედურმან ნიკოლაოს რა ისმინა სიტყუა ღუთისი, რა განეხსნა გზანი სულისა ცხონებისანი, იმუშავა დიდად და კეთილად, ვითარცა ქრისტიანემან ჭეშმარიტმან და მიეტევა მისატევებელი და იწყო მსახურებაი ქრისტესი მაცხოვრისა ჩუენისა და დგეს მონასტერსა მას და იოცნებდის, ოდეს გავათაო სამსახური ჩემი, ვიდრედე მონასტერსა მას იოვანესასა მორჩილად თქუენდა და მემოსოს ჯუცალოი ბერისა და ვიყენე ერთი ქრისტიანე თქუენ შორის, სახელითა მამისაითა და ძისაითა და წმიდისა სულისაითა უკუნიითი უკუნისამდე, ამინ“ (მორჩილაძე 2008: 305).

თუ ჩვენი ვარაუდი გამართლებულია და კავშირი ძველ ქართულ ტექსტებთან არა მარტო ფორმალურია, არამედ აზრობრივი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი მკითხველისაგან უფრო ღრმა გააზრებას ელის, ვიდრე ეს პირველი შეხედვით ჩანს. ძველი წმინდა მონამეებისაგან ისევე განსხვავდება ეს ფსევდო-მონამე, როგორც XX საუკუნის მიწურული — შუა საუკუნეებისაგან: განწყვეტილია სულიერი კავშირი და დაკარგულია ყოველგვარი ერთობის შეგრძნება ძველ ქართულ კულტურასთან, რადგან ამ თაობაში მკვდარია ის ქრისტიანული მორალი, ის სულიერი ღირებულებები, რომლებსაც ემყარებოდა და ამავე დროს გამოხატავდა ძველი ქართული ლიტერატურა. ამიტომაც ნიკოლაოს აბაის შვილი სრულიად უაზროდ იღუპება, იგი ისევე უმიზნოდ ქრება, როგორც უმიზნოდ იხეტიალა თბილისში, სტამბოლსა და თუ სანტა ესპერანსას კუნძულებზე. იგი შუა საუკუნეების გმირისაგან განსხვავებით მალალ იდეალებს კი არ

ენილება, არამედ შემთხვევითობას ანუ არარაობას, არაფერს, რადგან მისი ცხოვრება ამორალური იყო, სრულიად დაცლილი სულიერებისა და ზნეობრიობისაგან.

ამდენად, ეს არის თხრობა — რწმენით აღსავსე და რწმენის განმტკიცების მიზნით შექმნილი ტექსტების ერთი — ურწმუნოების, ნარკომანიის, ზნეობრივი ნორმების მოშლისა და სულიერი დეგრადაციის შესახებ. ძველი ქართული ლექსიკის გამოყენება კი კიდევ უფრო ამძაფრებს ამ სათქმელს, კიდევ უფრო ააშკარავებს და ცხადყოფს იმ უფსკრულს, (გრიგოლ რობაქიძის სიტყვებით რომ ვთქვათ) „უმითო ეპოქამ“ რომ შექმნა.

მსგავს ხერხს იყენებს ავტორი ერთ თავის ადრინდელ ნაწარმოებში — „ავგისტოს პასიანსი“, რომელსაც ე. წ. ფსევდოტექსტით იწყებს: იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიური ნაშრომის („ხუმარსნავლა“) მხატვრული ჩარჩოს გამოყენებით აკა მორჩილადე მკითხველს ისეთ ეპოზოდს სთავაზობს, რომელიც საერთოდ არ არის „ხუმარსნავლაში“, თუმცა ბატონიშვილის ტექსტის მცოდნე ადამიანს უჩნდება იმის ილუზია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში დაწერილი ტექსტის აქამდე უცნობ ფრაგმენტს კითხულობს. ტექსტის კითხვის დასაწყისში შექმნილ ამ ილუზიას თავად აკა მორჩილადე აქრობს, როდესაც ისეთი რეალიები შემოაქვს ამ ფსევდოტექსტში, ვერაფრით რომ ვერ იქნებოდა ორიგინალში. იოანე ბერი და ზურაბა ღამბარაშვილი XX საუკუნის მიწურულის თბილისის ერთ უბანსა (ვაკეს) და მის ბინადართ ახასიათებენ, მსჯელობენ იმავე ლექსიკითა და ფრაზეოლოგიით, როგორც იოანე ბატონიშვილის ტექსტშია. და აქ ისევ დგება მკითხველის ნდობის საკითხი.

ტექსტი სრულიად გაუგებარი იქნება იმისათვის, ვისაც არავითარი შეხება არ ჰქონია ორიგინალთან. მეტიც, მას შეიძლება მოეჩვენოს, რომ ასეთი ინტერმედია სრულიად ზედმეტია, რადგან არაფერს ეუბნება ასეთ მკითხველს და გაუგებრობასაც კი იწვევს. მაშ ვისთვისაა იგი გამიზნული? ადამიანებისათვის, ვისთვისაც „ავგისტოს პასიანსი“ მხოლოდ ორიგინალური დეტექტივი კი არ არის, არამედ დაფიქრებაა იმის თაობაზე — რა მოგვივიდა, რა გვჭირს? ნიგნში თითქოს არსად ჩანს დადებითი გმირი, არსად ჩანს სულ პატარა ნათელი სხვიც კი. ასეთი სინათლე კი სწორედ ძველ ტექსტზე, გარდასულ ეპოქებში შექმნილ ქართულ კულტურაზე მინიშნებაა — საზოგადოებას, რომელიც „ავგისტოს პასიანსში“ იხატება, მომავალი არა აქვს, ის ღპება და იხრწნება, მას სამუდამოდ დაუკარგავს კავშირი სულიერებასთან, რითიც საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა ეს ერი. მაგრამ თუ ასეთი კავშირი არ ჩანს ყოფით რეალობაში, სამაგიეროდ ეს კავშირი არსებობს ლიტერატურულ ტექსტებში. აკა მორჩილადე თითქოს ერთგვარად აგრძელებს იოანე ბატონიშვილის საქმეს — ანექსირებული და დამოუკიდებანართმეული სახელმწიფოს უკანასკნელი მეფის შვილი „ხუმარსნავლაში“ ფეოდალური

საქართველოს ნგრევის შემზარავ სურათებს აჩვენებდა. სახელმწიფოს ნგრევის მიზეზებს კი იოანე ბატონიშვილი სწორედ ზნეობრივი დეგრადაციისა და გონებრივი ჩამორჩენილობის (გაუნათლებლობის, გონებაშეზღუდულობის) დამლუპველ გავლენაში ხედავდა. პირადად ჩემზე „ავვისტოს პასიანსი“ სწორედ ამ თემაზე საუბრის გაგრძელების შთაბეჭდილებას ტოვებს.

XX საუკუნე რევოლუციების, ზნეობრივი ფასეულობებისა და მორალური ნორმების გადაფასების ეპოქაა. ეპოქა, როდესაც ადამიანი მარტო აღმოჩნდა გაუცხოებული სამყაროს წინაშე და მსოფლიო ომებისა თუ გლობალური კატაკლიზმების დროს თითქოს თავისთავად დადგა აღიარებული ქვეყნობების გადააზრების, გადაფასების აუცილებლობა. რა არის მარადიული, როდესაც ყველაფერი ირყევა, კაცობრიობის არსებობას საფრთხე ემუქრება და თითქოსდა აღარაფერია მყარი და ურყევი? ცხადია, მორწმუნისათვის ეს კითხვა საერთოდ არ დგება, მაგრამ XX საუკუნის ერთი თავისებურება ხომ ისიც არის, რომ მან სამიზად აიტაცა არასწორად გააზრებული ნიქსეს ტრაგიკული სიტყვები: „ღმერთი მოკვდა“ და ფრიად საეჭვო ღირებულებებზე დააფუძნა საზოგადოებრივი ურთიერთობები.

თუ ყველაფერი შეიძლება „გადისინჯოს“, შეიძლება „გადისინჯოს“ არა მარტო კლასიკური, არამედ თვით საკრალური ტექსტებიც კი (ამაზე მიუთითებს ნიკოს კაზანძაკის, მიხეილ ბულგაკოვისა თუ პერ ლაგერკვისტის თხზულებები). ცალსახა და ამომწურავი პასუხის გაცემა კითხვაზე — რა მიზანი აქვს ასეთ ინტერპრეტაციებს — შეუძლებელია, მაგრამ სავსებით შესაძლებელია ცალკეული ნიმუშის განხილვა იმის გასააზრებლად, თუ რა მიზნით გამოიყენა ავტორმა საქართველოში თითქმის საკრალურ ტექსტად გამოცხადებული პოემა.

გასაკუთრებით საინტერესო და ორიგინალურ ინტერპრეტაციად (კლასიკური ტექსტის პოსტმოდერნულ წაკითხვად) უნდა ჩაითვალოს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ეპიზოდის ტრანსფორმაცია აკა მორჩილადის მოთხრობაში „ნიგნი“.

მოხუცებული ნურადინ-ფრიდონი ყვება ქაჯეთის ციხის ალების ამბავს არა ისე, როგორც მოთხრობილია „გურჯების ქვეყანაში დაწერილ ნიგნი“, არამედ ისე, როგორც „სინამდვილეში იყო“. მეტიც, ფრიდონი იმდენად აღმფოთებული და შეწუხებულია „სინამდვილის“ ასეთი „დამახინჯებით“, რომ ბრძენ ალ ქაუსს სთხოვს დახმარებას — მას სურს, გაერკვეს რატომ წარმოიშვა ეს გაუგებრობა:

„სად მე და სანდ ვე ნიგნი? არა ვყოფილვარ ქაჯთა ქალაქში, მავრები მხოლოდ ალექოში მინახავს. ქუჩაში დანთი ჩხუბობდნენ ხოლმე. არავის უთქვამს, რომ მავრთა ქალაქები დამელაშქროს და იქიდან ქალი მომეტაცოს. განა ქალის მოტაცება შესაძლებელია? ან რატომ უნდა მოიტაცო ქალი, როცა მისი ყიდვა შეგიძლია?“

„სიყვარული“, უპასუხა ასუიტელმა და ჩაეძინა.

„ეს არის მეზეზი ქალის მოტაცებისა?“

„უთქვამთ მელექსეთ, რომ სხვა გემო აქვს ამგვარ საქციელს, სულ სხვა გემო. ეს დიდი გმირობაა.“

ნურადინ ფრიდონი ძალიან დიდხანს დუმდა. ჩაძინებულ ალ ქაუსს არც კი უყურებდა, არამედ მხოლოდ ჩელებს.

როდის-როდის თქვა:

„ეს არ არის გმირობა. ეს ქურდობაა.“

„აქ“, ჩაიხიბითა მძინარემ.

„აქ?“

„იქ გმირობაა.“

„იქ?“

„მენ ბევრი რამ გინახავს, კეთილო და ვაჟკაცო ნურადინ ფრიდონ. გინახავს ზღვები, რომლებიც მე არ მინახავს. მხოლოდ ხმა მესმის ამ ზღვების. მაგრამ გინახავს ის, რაც ამ ზღვებს იქითაა? გინახავს ქვეყნები, საიდანაც ქარი მოუბერავს ხოლმე?“

„იქ ურჯულოების ქვეყნებია.“

„იქ ეს გმირობაა. ამის გამო მეხოტბენი ლაპარაკობენ.“
(მორჩილაძე 2003: 52-53).

ბოლოს ფრიდონმა თავად უამბო ალ ქაუსს — რა მოხდა „სინამდვილეში“: „ვუთხარი, რომ რასაც ხელს მოკიდებენ ჩემს მინაზე და ჩემს სახლში და რასაც ზიდავენ თავიანთ გზაზე, მათია, მაგრამ ვერ ნავალ სალაშქროდ მათთან ერთად, იმიტომ, რომ არ ძალმიძს ქალის გულისთვის ჩემს ყმათა ხოცვის ცქერა. ნავიდოდი პირშავ მავრთა საჟლეტად, ის კომპი რომ ცარიელი იყოს, მაგრამ არ არის მეზრძოლის წესი ქალის გულისთვის ცეცხლის გაჩენა. გინდათ, მოგცემთ ოქროსა და ვერცხლს და გამოისყიდეთ იგი? ეს უფრო მართალი და ჭეშმარიტი იქნება. არა, ოქროდ არ მოგვცემენ იმ ქალსო, თქვა მისრელმა. მომეხვია, დამადო თავი ბეჭზე და მეცვა ასკილისფერი ხალათი და დასველდა ეს ხალათი. ამანობაში კი ვუყურებ: ინდო ჭაბუკი მოსართავეებს უჭერს ცხენს და ამხედრდა, დასჭყვივლა მართლაც რომ მეომრულად და გააქანა ცხენი ზღვის პირზე. მომშორდა, ბრძენო ალ ქაუს, მისრელი და მოახტა ცხენს და ვუთხარ: იცოდე, მისრელო, ხელს მოვიჭრი მე, ნურადინ ფრიდონი, ჩემი ხელით და გაგატან, რათა იცოდე, რომ მართალი ვარ და არ შეიძლება, რაინდი ქალის გულისთვის მრავალ სიცოცხლეს სწირავდეს. „მამ რისთვის?“ მკითხა თვალცრემლიანმა. და მიეუგე და დღესაც ასე მგონია: მხოლოდ იმისთვის, რომ არსებობს ასე: არსებობს კაცი, რომელსაც არაფრისთვის შეუძლია ვაჟკაცობის დასაბუთება. არ მომეწონა მათი ლაპარაკი, ვაჭრობას რომ ჰკავდა. არ მომეწონა, რომ მისრელი ნაჰყვა ინდოს. არ მომეწონა, ინდო ჭაბუკი რომ ერთთავად დუმდა. არ მომეწონა, რომ ქალის დასაუფლებლად ხმალია საჭირო და არა ფული. დერვიშიც კი ვერ გაამართლებს ამას. მან კი მითხრა: „არის ქვეყანა ამ ქვეყნის გარდა,“ ცხენს მათრახი გადაუჭირა...“ (მორჩილაძე 2003: 58-59).

ასე რომ, მწვავედ და გახსნილად დგება საკითხი სიმართლისა და მხატვრული გამონაგონის ურთიერთმიმართების თაობაზე: „ეს არ მომხდარა!“ შესძახა ზღვისრეთის გამგებელმა. „მოხდება“, ჩაიხიბითთა ბრძენმა, „ჩვენ უძღურნი ვართ. სამი რაინდის ამბავი აჯობებს წყლის არსებობა ამბავს.“ „ორნი იყვნენ. ორნი იყვნენ! მესამე ყასიმი იყო, ყასიმი მსახური იყო! რატომ სამნი? ჩაენერა ორი, ჩაენერა ორი, ვინც მართლა აიღო ის წყეული ციხე! მე, ქალის გულისთვის...“ ჩელებმა დაინახა, როგორ ასწია ალ ქაუს ბრძენმა თავისი შავი, ყვითელგულა ხელი და როგორ შეკრა ერთად ცერა, საჩვენებელი და შუა თითები. „მათ მიაჩნიათ, რომ ყველაფერს სამი აკეთებს. აი, ეს სამი. თქვენც სამნი ხართ. თქვენ სამნი რჩებით,“ და კვლავ ჩაეძინა...“ (მორჩილაძე 2003: 61).

კლასიკური პოემის ინტერპრეტირების მიზანიცა და ამ ორიგინალური ტექსტის მთავარი სათქმელიც ერთი პერსონაჟის — ბრძენი ალ ქაუსის — სიტყვებითაა გამოხატული: „შენს სხვა გმირობებს ვერ დაიჯერებენ, მავრთა ქვეყნიდან ქალის მოტაცების ამბავს კი საქვეყნოდ მოჰყვებიან. შენ ამბობ, რომ ერთხელ შეხვდით ერთმანეთს, მაგრამ თქვენ საუკუნო ძმებად გამოგაცხადებენ“.

მაშასადამე, ავტორის პოზიცია ამგვარად შეიძლება გამოიხატოს: ყოფითი რეალობა წარმავალია, ამიტომ სულერთია, რა მოხდა სინამდვილეში. თავად ჩელები, რომელიც ლამის მთელი ცხოვრება ნურადინ ფრიდონის მონაყოლს ინერდა და შემდეგ ასწორებდა, პატრონის სიკვდილის შემდეგ „უცნაურად“ იქცეოდა: „მოცალეობის ჟამს თვით სარდლებიც კი სთხოვდნენ, გვიამბე რამე ნურადინ ფრიდონის საგმირო ცხოვრებიდანო, ის კი ყოველთვის ერთ ამბავს ყვებოდა: იმას, თუ როგორ გამოიხსნეს მავრთა ტყვეობიდან მისმა პატრონმა და ორმა სხვა ჭაბუკმა მზეთუნახავი. სხვა ყველაფერი ზღაპარიო, იმეორებდა...“ (მორჩილაძე 2003: 63).

ასე ქრება ყოფითი ცხოვრება და ჩნდება შეგრძნება, რომ „ნამდვილი ამბების კრებული“ არაფერს არ წარმოადგენს ისევე, როგორც არაფერს არ წარმოადგენს ხილული რეალობა. ჭეშმარიტი და მარადიული მხოლოდ ის რეალობაა, უმაღლეს ზნეობრივ კატეგორიებსა და „მართალ (ღვთიურ) სამართალს“ რომ ემყარება, შეიძლება ასეც გავიგოთ პოზიცია თანამედროვე მწერლისა, რომელიც კლასიკური ტექსტების თავისებური ინტერპრეტაციებითა და იმიტაციით აგრძელებს იმ დაუსრულებელ დიალოგს მკითხველთან, სულ ცოტა, V საუკუნეში რომ დაიწყო და დღემდე გრძელდება. ოღონდ იმისათვის, რომ დიალოგი მონოლოგად არ იქცეს, თავისთავად ცხადია, აუცილებელია ისეთი მკითხველი, რომელსაც არც ეუცხოება და არც გაუძნელდება ძველი ქართული ტექსტებისა და მათი სათქმელის „შიფრის“ ამოკითხვა. ასეთი „შიფრები“ აკა მორჩილაძის პროზაში მრავლადაა (მაგალითად, ჭაბუა ამირეჯიბისა თუ კონან დოილის წიგნებიდან), მაგრამ ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა.

დამონმეზანი:

მორჩილაძე 2008: მორჩილაძე ა. სანტა ესპერანსა. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამომც. 2008.

მორჩილაძე 2003: მორჩილაძე ა. წიგნი. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამომც. 2003.

ლევან ცაგარალი

საქართველო, თბილისი

მხატვრული სამყაროს დეკონსტრუქცია ქრისტოფ რანსმაირის რომანში უკანასკნელი სამყარო

Omnia mutantur, nihil interit.

ყველაფერი იცვლება, მაგრამ არაფერი ქრება.

ავსტრიელი პოსტმოდერნისტი მწერლის, ქრისტოფ რანსმაირის (დაბ. 1954 წ.) რომანი *უკანასკნელი სამყარო*. *ოვიდიუსისეული რეპერტუარი* (*Die letzte Welt. Mit einem Ovidischen Repertoire*) გამოიცა 1988 წ. და იმთავითვე ლიტერატურული კრიტიკის ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ ყურადღების მიზეზი ექსპლიციტურ ინტერტექსტობრიობასთან ერთად იყო რომანის მხატვრული სამყაროს სრულიად ახალი, თავისებური აგებულება. მხატვრულ სამყაროში ვგულისხმობთ ნარატიული ტექსტის მოქმედების დროს, მხატვრულ სივრცეს, მოტივაციურ სტრუქტურასა და სინამდვილის სისტემას. წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ ელემენტების ანალიზის საფუძველზე შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ აღნიშნულ რომანში ხორციელდება მხატვრული სამყაროს დეკონსტრუქცია. (თავის მხრივ, *დეკონსტრუქციას* მოვიაზრებთ როგორც მხატვრული ხერხების გამიშვლებას ავტორეფლექსიის გზით და მისი კონსტრუქციული ხასიათის, გაკეთებულობის ექსპლიციტურ წარმოჩენას.) თუმცა სანამ ტექსტის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა მოკლედ გავაცნოთ ქართველ მკითხველს ნაწარმოების შინაარსი:

რომაელი, სახელად კოტა, ჩადის შავი ზღვის პირას მდებარე ქალაქ ტომისში (დღევანდელი კონსტანცია), რათა მოძებნოს თავისი მეგობარი, ნაზო, და მისი თხზულება *მეტამორფოზები*. რომიდან დევნილი მწერალი უკვალოდაა დაკარგული, ხოლო მისი თხზულება, რომლის ერთადერთი სრული ვერსიაც ამ უკანასკნელს ექსორიაში გამგზავრებამდე დაუნვამს, მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოიპოვება. რომაელი თავდაპირველად ქვის ლოდებზე ამოტვიფრულ და ნაგლეჯებზე დანერილ ფრაგმენტებს პოულობს, რომლებიც ნაზოს შეშლილ მსახურს, პითაგორას შეუსრულებია. მოგვიანებით კოტა შეიტყობს ე.წ. „ქვების წიგნის“ შესახებ, რომლის ეპიზოდებსაც მას სოფლის მეძავი, სახელად ექო, უამბობს. ბოლოს კი იხილავს „ფრინველთა წიგნს“, რომელიც თავის ფარდაგებში ჩაუქსოვია ყრუმუნჯ არაქნეს. *მეტამორფოზების* დანარჩენი ეპიზოდები, რომლებიც ნაწარმოებში ასეთი ზეპირი ან სახელოვნებო გზით არაა

არქივირებული, უშუალოდ მხატვრულ სინამდვილეში იჭრება და სოფლის მაცხოვრებლებს გადახდება თავს, რისი თვითმხილველიც თავად პროტაგონისტი ხდება.

ტექსტის პირველივე გვერდებზე გვხვდება არაერთი ელემენტი, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხატვრული სივრცისა და მოქმედების დროის იდენტიფიცირებას. ისტორიული დისკურსიდან ნასესხები სახელებით — პუბლიუს ოვიდიუს ნაზო, კოტა, ავგუსტუსი, რომი, ტომისი, *მეტამორფოზები* — თავდაპირველად ხორციელდება ანტიკური ეპოქის ისტორიული სივრცის ევოცირება, რომელიც მოიცავს რომსა და შავი ზღვის პირას მდებარე ქალაქ ტომისს. აგრეთვე, შესაძლებელია მოქმედების დროის დადგენაც: ახ. წ. 17-18 წლები (ოვიდიუსის გარდაცვალება ტომისში). იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქმე გვაქვს ე.წ. რეალისტურ ისტორიულ რომანთან, რომელიც ოვიდიუსის რომაელი მეგობრის — კოტა მაქსიმუს მესალინუსის მიერ ოვიდიუსისა და მისი დაკარგული თხზულების ძიების ფიქტიურ ამბავს მოგვითხრობს. თუმცა ტექსტი იმთავითვე არღვევს მოლოდინის ამგვარ ჰორიზონტს, ამას შემდეგი მონაცემები განაპირობებს:

1. ნივთები, ადგილები და დაწესებულებები, რომლებიც არ მოიპოვებოდა ანტიკურ ეპოქაში: ავტობუსის გაჩერება (რანსმაირი 2007: 9), სამარშრუტო ავტობუსი (რანსმაირი 2007: 100), საპნები, კონსერვების პირამიდები და მდოგვის ჭიქები (რანსმაირი 2007: 12), ცელოფანის პარკები (რანსმაირი 2007: 124), პლაკატები და პროკლამაციები (რანსმაირი 2007: 127), სახელმწიფო ბიბლიოთეკები (რანსმაირი 2007, 19), საგაზეთო კომენტარი (რანსმაირი 2007: 19), მილანური ყურნალები (რანსმაირი 2007:194), სალონები და კაფეები ევროპულ მეტროპოლებში (რანსმაირი 2007: 11), ინვალიდთა ფონდი (რანსმაირი 2007, 33), ჰოსპიტალი (რანსმაირი 2007: 230), ლიქიორი (რანსმაირი 2007: 174), ნიგნის მალაზიის ვიტრინები (რანსმაირი 2007: 40), ფელიეტონი (რანსმაირი 2007: 40), ქვაფენილი (რანსმაირი 2007: 80);
2. ტექნიკური ხელსაწყოები: სასიყვარულო ფილმები (რანსმაირი 2007: 11), რუპორი (რანსმაირი 2007: 11), პროექტორები (რანსმაირი 2007: 22), სატვირთო მანქანა (რანსმაირი 2007: 30), ბინოკლი (რანსმაირი 2007: 144), ფოტოსურათი (რანსმაირი 2007: 137), მიკროფონი (რანსმაირი 2007: 60), პისტოლეტი (რანსმაირი 2007: 85), ეპისკოპი (რანსმაირი 2007: 209), გენერატორი (რანსმაირი 2007: 184), დიზელის სუნი (რანსმაირი 2007: 185), ვოლფრამის მავთულები (რანსმაირი 2007: 187), ძრავა (რანსმაირი 2007: 202), კაბელი (რანსმაირი 2007: 203), სადესტილაციო აპარატი (რანსმაირი 2007: 228), ნათურები (რანსმაირი 2007: 81) და სხვ.;

3. რომის ქუჩების, მოედნების, დაწესებულებებისა და სხვა ადგილების სახელწოდებების გადმოცემა იტალიური ფორმულირებით: ტურინი (რანსმაირი 2007: 127), ვია ანასტასიო (რანსმაირი 2007: 11), საპატიმრო „ტრინიტა დეი მონტი“ (რანსმაირი 2007: 66), პიაცა დელ მორო (რანსმაირი 2007: 68), „აკადემია დანტი“ (რანსმაირი 2007: 144), სან ლორენცოს სახელობის ინტერნატი (რანსმაირი 2007: 95) და სხვ.;
4. რომის ტოტალიტარული რეჟიმის აღმასრულებელ უწყებათა გათანამედროვეებული სახელწოდებები: პატრული (რანსმაირი 2007: 134), სამოქალაქო პოლიციური დანაყოფი (რანსმაირი 2007: 139), სნაიპერები (რანსმაირი 2007: 139);
5. თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური რეალიები: სახელმწიფოს მიერ დევნილი პირები (რანსმაირი 2007: 125), პასპორტი და საბუთები (რანსმაირი 2007, 146), ანკეტები (რანსმაირი 2007: 223), სასაზღვრო პუნქტები, საპორტო სამსახურები და საბაჟოები (რანსმაირი 2007: 186), სააქტო ჩანანერები (რანსმაირი 2007: 67), სახელმწიფო აპარატი (რანსმაირი 2007: 67), მომწამვლელი გაზი (რანსმაირი 2007: 231), ტრანსპარანტები (რანსმაირი 2007: 163), სეპარატისტები (რანსმაირი 2007: 124);
6. გეოგრაფიული სახელები, რომლებიც არ არსებობდა ანტიკურ სამყაროში: კონსტანცა (რანსმაირი 2007: 180, 205), სევასტოპოლი (რანსმაირი 2007, 205), თურქული თაფლი (რანსმაირი 2007: 11), ესპანური ხომალდი (რანსმაირი 2007: 31), შვეიცარია (რანსმაირი 2007: 33), კონსტანტინოპოლი (რანსმაირი 2007: 94), ოდესა (რანსმაირი 2007: 180), ბიზანტია (რანსმაირი 2007: 228);
7. გერმანიის უახლესი ისტორიის გამოძახილი წიგნების დაწვისა (რანსმაირი 2007, 20) და მეორე მსოფლიო ომის საშინელებების სახით, რომლებიც ერთ-ერთ პერსონაჟს – თის გერმანელს გადახდა თავს (რანსმაირი 2007: 232);
8. ქრისტიანული ხანის რეალიები: დიდი მარხვის წინა ღამე (რანსმაირი 2007: 77), ძველმორწმუნეთა მისიონერი (რანსმაირი 2007, 94), ეპისკოპოსი (რანსმაირი 2007: 81);
9. პროფესიები, რომლებიც ანტიკურ სამყაროში არ არსებობდა: მექანიკოსი (რანსმაირი 2007, 203), ოფიცერი (რანსმაირი 2007: 223), კინომსახიობი (რანსმაირი 2007: 49), გენერალი (რანსმაირი 2007: 80);
10. თანამედროვე სამეცნიერო დისკურსის ცნებები: ფიზიკის კანონები (რანსმაირი 2007, 231), კომა (რანსმაირი 2007: 234).

ამგვარი ანაქრონიზმების სიმრავლე გამორიცხავს აღნიშნული რომანის ისტორიულობას, მით უფრო რომ ტომისის აღწერილობა არ შეესაბამება არც გეოგრაფიულ სინამდვილეს და არც ისტორიულ

წყაროებს (იხ. ეპლე 2000: 12; შმიცერი 2003: 20-21), რომში კი მითოლოგიური პერსონაჟები გვხვდება, რაც ამ ქალაქსაც წყვეტს მის ისტორიულ კონტექსტს. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ტომისი, რომელიც ქრისტოფ რანსმაირის რომანში გვხვდება, უფრო მეტად ჰგავს იმ ქალაქს, რომელიც რომაელ მწერალს აქვს აღწერილი თავისი ექსორის დროს შექმნილ თხზულებებში *სევდანი* და *წერილები პონტოდან* (შმიცერი 2003: 30). ამ ნაწარმოებებში ოვიდიუსი ცდილობს დაამძიმოს თავისი ხვედრი და ტომისი აქციოს უკაცრიელ და საშინელ ადგილად. ესაა ერთგვარი ლოცუხ *terribilis*, რომელიც უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარეობს, იგი ძალზე შორსაა რომიდან და გაუნათლებელი ბარბაროსებითაა დასახლებული. ამავე წინარე ტექსტებიდან უნდა აქონდეს ქრისტოფ რანსმაირს ნასესხები „ორწლიანი ზამთრის“, „გამგელებული ადამიანების“, „შორიდან მოსული გემისა“ და „ქარიშხლის“ მოტივები. თუმცა თანამედროვე მწერალი კიდევ უფრო შორს მიდის მასალის პოეტური დეფორმაციის მხრივ, რასაც ქვემოთ ვაჩვენებთ. როგორც ერთ-ერთი მკვლევარი აღნიშნავს, „სახელედი ტომისი და რომი მოჩვენებითი შემოთავაზებებია, ფსევდოიდენტობებია, რომლებიც როგორც აღმნიშვნელები არ შეესატყვისებთან იმას, რასაც ისინი ჩვეულებრივ აღნიშნავენ“. (ვილჰელმი 2004, 280) [აქ და ქვემოთ თარგმანი ჩვენია. – ლ.ც.]

მხატვრული დროისა და სივრცის დესტაბილიზაციისთვის რომანში გამოიყენება სხვადასხვა ენობრივი საშუალება. ასეთებია ირიბი მეტყველება და კავშირებითი კილოს ხშირი გამოყენება, მოდალიზაციის გამომხატველი სიტყვების სიუხვე („ჩანს“, „ნააგავს“, „გული უგრძნობს“, „თითქოს“, „აღბათ“ და სხვ.), უპასუხოდ დატოვებული კითხვითი წინადადებები, ირეალური შედარების წინადადებები. ამგვარი სტილისტური ხერხებით დისკურსი ორაზროვანი ხდება (ეპლე 2000, 79) და „მატულობს გაურკვეველობა, რადგან მთხრობელი ხშირად ვარაუდის ენობრივ სივრცეში მოძრაობს“. (ფიცი 1998: 257). დროისა და სივრცის გაბუნდოვანების საილუსტრაციოდ მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

„ქარიშხალი, ეს იყო ჩიტების გუნდი იქ ზემოთ, ღამის წყვდიადში; თეთრი გუნდი, შრიალით რომ ახლოვდებოდა და თურმე ვეებერთელა ტალღის გვირგვინი ყოფილა, რომელიც გემს დაატყდა თავს. ქარიშხალი, ეს იყო ღრიალი და გოდება და ამონთხეულის მჟავე სუნი გემბანის ქვეშ წყვდიადში. ეს იყო ძალღი, მღელვარე ზღვებში რომ გაგიჟებულა და ერთი მეზღვაურისთვის ძარღვები დაუგლეჯია. [...] ქარიშხალი, ეს იყო მოგზაურობა ტომისისკენ“ (რანსმაირი 2007: 7-8).

ამ მონაკვეთში ვერბალური მასალა ისეა ორგანიზებული, რომ მწყობრი სურათის შექმნა შეუძლებელია. ამკარაა სრულიად განსხვავებული სიტყვების – ქარიშხალი, ჩიტების გუნდი, ვეებერთელა ტალღა, ღრიალი და გოდება, გაგიჟებული ძალღი,

მოგზაურობა ტომისისკენ – სემანტიკური ეკვივალენტობა, რაც ნარატიულ ტექსტებში, ლირიკულისგან განსხვავებით, მონათხრობის ეპისტემურ სტატუსს აუქმებს. ანალოგიურად ბუნდოვანია რომაელის მოგზაურობის მიზანი, ქალაქი ტომისი, რომელიც ტექსტში შემდეგი სიტყვებით შემოდის: „ტომისი, მიყრუებული სოფელი. ტომისი, სადაც იქ. ტომისი, რკინის ქალაქი“ (რანსმაირი 2007:9) ამ ადგილის დროით-სივრცითი კოორდინატი უფრო გაურკვეველი ხდება, როდესაც ტექსტში ვკითხულობთ, რომ ქალაქის მკვიდრნი აპრილის თვეში „ორწლიანი ზამთრის დასასრულს“ ზეიმობენ, ზაფხული კი იმდენად ცხელი გამოდგება, რომ რკინის ქალაქი გაცხოველებული ვეგეტაციის შედეგად სიმწვანეში გაუჩინარდება. ამინდის ესოდენ რადიკალური ცვლის გამო შეუძლებელია, ტომისი რომელიმე რეალურად არსებულ კლიმატურ ზონას მივაკუთვნოთ. დროის ფენომენის დემონტაჟი უფრო აშკარაა, როდესაც აპრილის თვეში ქალაქს ეწვევა ლილიპუტი კვიპაროსი. იგი ჩვეულებრივ აგვისტოში ჩამოდის ხოლმე ტომისში და მის მკვიდრთ ფილმებს უჩვენებს. იგი ახლაც არ ღალატობს ტრადიციას: „რატომ უნდა დამორჩილებოდა ისეთი ვინმე, როგორც კვიპაროსი იყო, წელიწადის დროების კარნახს და რატომ უნდა დალოდებოდა ზაფხულის მოსვლას? პირიქით, დაე ზაფხული დალოდებოდა მას“ (რანსმაირი 2007: 21) ხოლო როდესაც მისი ფილმი სასაკლავო კედელზე აკიაფდება, მთხრობელი გვამცნობს: „აგვისტო იყო“ (რანსმაირი 2007: 24) [კურსივი ორიგინალში – ლ.ც.] მოყვანილი მაგალითების საფუძველზე ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოების დროით-სივრცით კოსმოსს არაფერი აქვს საერთო დროისა და სივრცის ემპირიულ გაგებასთან.

ამასთან, მხატვრული სინამდვილე რომანში ხშირად ინფორმაციის ან საერთოდაც ამა თუ იმ მოქმედი პირის ინტერპრეტაციის სახითაა მოცემული. თვით პროტაგონისტსაც რომში გავრცელებულმა ჭორმა უბიძგა გადახვენილი მწერლის საძიებლად. ამ ჭორის თანახმად, ნაზო გარდაცვლილიყო. ინფორმაციული წარმონაქმნია, აგრეთვე, ნაზოს პატივი: „ნაზოს პატივი მხოლოდ იქ მიიჩნეოდა რამედ, სადაც ნაწერი ფასობდა“ (რანსმაირი 2007: 40-41) რომის სტადიონზე თავისი ცნობილი სიტყვით გამოსვლისას მაყურებლები მხურვალედ უკრავენ ტაშს ნაზოს, თუმცა იქვე ირკვევა, რომ „აღტაცება მოვალეობა იყო და არც მწერალს ეკუთვნოდა და არც მის სიტყვას“ (რანსმაირი 2007: 59) სინამდვილეს სრულიად მონყვეტილია იმპერატორი. ამ უკანასკნელთან სინამდვილის სურათები მხოლოდ მისი ქვეშევრდომების, ე.წ. „აპარატის“ განმარტებების სახით აღწევს (რანსმაირი 2007: 60, 62, 64). თავის მხრივ, ავგუსტუსის რეაქციაც ამ ინფორმაციაზე სრულიად ორაზროვანია: მისი მინიმუმები ქვეშევრდომებისგან ფანტაზიასა და წარმოსახვის უნარს მოითხოვს, სწორედ მათ ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული იმპერატორის ნების აღსრულება. ამგვარი ინტერპრეტაციის მსხვერპლად იქცა რომანში მწერალი ნაზოც,

რომელიც იმპერატორის ხელის ერთი არაფრის მთქმელი ჟესტის გამო შორეულ ტომისში გადაასახლეს. ამ სადამსჯელო ღონისძიების შემდეგ ნაზო სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიამ ლეგენდად აქცია და თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოიყენა. სავსებით მართებულად შენიშნავს ერთ-ერთი მკვლევარი: “რომანი უმთავრესი თემაა ნიშნების ამაო, სუბიექტური და პერმანენტულად ცვალებადი ინტერპრეტაცია.” (ანცი 1997: 124-125)

მთელი მოქმედების დამაჯერებლობას ეჭვის ქვეშ აყენებს ის პასაჟები, რომლებიც კოტას აღქმას ასახავს. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში თხრობის აუქტორული პერსპექტივა დომინირებს, იგი მთლიანობაში მულტიპერსპექტიულია და მასში პროტაგონისტის სუბიექტურ ხედვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კოტას პერცეპციის ამსახველი წინადადებები ხასიათდება მოდალიზაციის მაღალი ხარისხითა და კლასემების – „სიზმარი“ და „სიგიჟე“ – იზოტოპიით. მაგალითად, ტრაქილაში ყოფნისას კოტას დაესიზმრა, რომ არგუსის მიერ დატყვევებული იო იყო. მუსიკის ჰანგებით ვაბრუებულ ასთვალა ურჩხულს, რომელსაც კოტა მწყემსად მიიჩნევს, ადებინა: “აი უკვე მწყემსსაც მხოლოდ ესიზმრება ძროხა, რომაელს კი მწყემსი ესიზმრებოდა, მთვარე და მთები აჩრდილებილა იყვნენ” (რანსმაირი 2007: 72). ამ პასაჟში სიზმარი რეციპროკულ მოვლენად იქცევა: თუ არგუსს ესიზმრება ძროხა, ხოლო კოტას (ძროხის სხეულში) ესიზმრება არგუსი, მაშინ გაურკვეველია, ვისი პოზიციაა სანდო. გაღვიძებული სასწრაფოდ ტოვებს ნაზოს უკანასკნელ სამყოფელს: “მთაში ამ მიყრუებული ადგილის მიუსაფრობაში მას ტომისი ისეთი შორეული და სანუგეშო ეჩვენებოდა, როგორც ადამიანური და მყუდრო ადგილი, როგორც უკანასკნელი თავშესაფარი ძილის, მოჩვენებებისა და მარტობის საფრთხის წინაშე.” (რანსმაირი 2007: 73) ჩანს, კოტა ძილსა და სიზმართან აიგივებს ამ ადგილს, ხოლო თუ ტრაქილა ძილის ეკვივალენტური ტოპოსია, მაშინ სიზმრის ლოგიკა უშუალოდ იჭრება მოთხრობილ სამყაროში და სინამდვილის ერთ-ერთ ალტერნატიულ, დიეგეზისის ფარგლებში თანაარსებულ მოდელად გვევლინება. მოგვიანებით ვკითხულობთ, რომ კოტას თურმე ტომისში გამგზავრებამდე დაუწყია თავისი ფანტაზიების დაჯერება (რანსმაირი 2007: 131). მალე რომელიც აცნობიერებს, “რომ შუალედურ სამყაროში აღმოჩნდა, სადაც ლოგიკის კანონები თითქოს აღარ მოქმედებდნენ, მაგრამ არც რაიმე სხვა კანონი შეინიშნებოდა, რომელიც მას შეაჩერებდა და გაგიჟებისგან დაიცავდა.” (რანსმაირი 2007: 193) შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთგვარი მეტა-წინადადებაა, რომელიც მეტონიმიურ მიმართებაშია მთელ ტექსტთან და ამ უკანასკნელის სისტემურ განურჩევლობას ასახავს. ტრაქილაში უკანასკნელი მოგზაურობის დროს კი პროტაგონისტს უკვე ეჭვიც აღარ ეპარება, რომ გაგიჟდა, და სწორედ ამ დროს უბრუნდებნა მას სულიერი სიმშვიდე: “რომის გონიერებასა და შავი ზღვის შეუცნობელ მოვლენებს შორის მტანჯველი წინააღმდეგობა გაქრა. დროებმა

მოიშორეს თავიანთი სახელები, ერთმანეთში გადაიხლართნენ და აიძვრნენ.” (რანსმაირი 2007: 212) ნანარმოების დასასრულ კი ვკითხულობთ წინადადებას, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ყველაფერი, რაც ამ წიგნში იყო მოთხრობილი, სხვა არაფერია, თუ არა შემოღობილი კოტას ზმანება: “სასაკლაო ხავსმოკედებული კლდება იყო [...] ქუჩები გვირაბები იყო, ეკლიან და ყვავილოვან ჯაგნარში გათხრილი, ქალაქის მაცხოვრებლები კი ფრინველებად, მგლებად და გამოძახილად ქცეულან.” (რანსმაირი 2007: 253) ამის შესახებ წერს რომანის ერთ-ერთი მკვლევარი: “გაურკვეველია, ნახოს ამბების ნაწილები ტომისში მართლაც იქცევა სინამდვილედ თუ ეს ყველაფერი მხოლოდ კოტას ფანტაზიის ნაყოფია” (ფიცვი 1998: 239).

მხატვრული სინამდვილის დეკონსტრუქციის უკიდურესი გამოვლინებაა რომანში ჩართული მოთხრობების მიზანაბიმური მიმართებები ექსტრადიეგეტურ მოქმედებასთან. ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი ჩართული მოთხრობები: აქტეონის სიკვდილის ამბავი, კეიქსისა და ალკინოეს ამბავი, დევკალიონისა და პირას ამბავი. აქტეონის ირმად გადაქცევის ამბავი, დანარჩენი ჩართული მოთხრობების მსგავსად, ნანარმოებში მედიალიზებული სახით შემოდის: საბედისწერო ნადირობის სცენა ლილიპუტი კვიპაროსის ეტლზეა გამოსახული, თავად ეტლში კი ირემია შებმული. ამგვარი დამთხვევა ძალზე უცნაურ ეფექტს ქმნის. თუ ეტლზე გამოსახული აქტეონი და ლილიპუტის ირემი ერთი-და-იგივე ტექსტობრივი ელემენტია, მაშინ იშლება საზღვარი ნახატსა და ექსტრადიეგეტურ სინამდვილეს შორის, აქტეონი „მართლაც“ ირმად გადაქცეულა და რაღაც სასწაულით გადარჩენილა. საგულისხმოა, რომ ტექსტში ელიფსურადაა გამოტოვებული როგორც მეტამორფოზის, ისე გადარჩენის სცენები. მოქმედების ამ საფეხურზე ტექსტი ჯერ კიდევ მალავს თავის დიეგეტურ თავისებურებებს. თუმცა ირმად ქცეული აქტეონი, როგორც ნარატიული მეტალეფსისი მაინც არღვევს რეალისტურ კონვენციას, ხოლო მეტამორფოზის გამოტოვებული სცენა პროლეფსისის სახით უკავშირდება მოქმედების განვითარების მომდევნო საფეხურებზე მოსალოდნელ ყველა ექსტრადიეგეტურ გადაქცევას. სწორედ ამ კავშირშია აღნიშნული პასაჟის მიზანაბიმური პოტენციალი: იგი ელიფსურად იმეორებს ნანარმოების ცენტრალურ იტერატიულ მოვლენას.

კეიქსისა და ალკინოეს ამბავი ტექსტში ფილმის სახითაა გადმოცემული. ფილმს ლილიპუტი კვიპაროსი უჩვენებს ტომისის მაცხოვრებლებს. ეს ჩართული ამბავი ტრაქიელთა მეფისა და დედოფლის ტრაგიკული სიყვარულისა ძალზე ავტორეფლექსიურია, რადგან მასში მოიპოვება მესამე დონის, მეტადიეგეტური ამბავი. ესაა სიზმარი, რომელსაც ალკინოე იხილავს იმ ღამეს, როდესაც კეიქსი გაემგზავრა საბედისწერო მოგზაურობაში. სიზმარში ნაჩვენებია კეიქსის დაღუპვა ზღვის ტალღებში, რაც მალე ზუსტად გამეორდება ფილმის ინტრადიეგეტურ სინამდვილეში. ბოლოს კი ორივე მათგანი

ფრინველებად გადაიქცევიან. თუმცა ამით არ ამოიწურება ამ ჩართული მოთხრობის მიზანბიძგური დანიშნულება, იგი ex negativo მიანიშნებს ტომისში მცხოვრები ერთ-ერთი წყვილის – ტერევისისა და პროკნეს სადო-მაზოხისტურ ურთიერთობაზე. ტერევისი ძალმომრე და უხეში ყასაბია, მისი ძელდღე, პროკნე კი უსუსური და სუსტი არსება, რომელიც ქმრის ძალადობისგან მხოლოდ საკუთარი სიმსუქნით ახერხებს თავდაცვას. ნანარმოების დასასრულ პროკნე საშინლად იძიებს ქმარზე შურს თავისი დის, ფილომელას, დასახინჩრებისთვის: დები ტერევისის ერთადერთ საყვარელ ვაჟს, იტისს, მოკლავენ. ტერევისის შიშით ორივენი ჩიტებად გადაიქცევიან, მრისხანე ტერევისი კი – ოფოფად. ამრიგად, ტერევისისა და პროკნეს ამბავი ერთგვარი პაროდიაა კეიქისისა და ალკიონეს ამბისა. ამ ორ ამბავს აერთიანებთ როგორც ცოლ-ქმრობის, ისე ფრინველებად გადაქცევის მოტივი, მაგრამ თუ პირველ მათგანში გადაქცევა სიყვარულითაა გამოწვეული, უკანასკნელში ამის მიზეზი შიში და მრისხანებაა. სამივე ნარატიულ დონეზე შენარჩუნებულია ოჯახური კატასტროფის მოტივი, რაც ამ უკანასკნელის განსაკუთრებულ სემანტიკურ მნიშვნელობაზე მიანიშნებს.

დევეკალიონისა და პირას ამბავიც მედიალიზებული სახით გვხვდება რომანში. მას სოფლის მეძავი, ექო, უამბობს კოტას. ეს ამბავი მას თავად ნაზოსგან მოუსმენია. ნანარმოებში გატარებული პაროდირების საერთო ტენდენცია ამ მითოლოგიურ წინარე ტექსტსაც შეეხო. ნარღვნის შემდეგ გადარჩენილი დევეკალიონი და პირა მოწყვნილობისგან იწყებენ კენჭების სროლას, რომლებიც ადამიანებად იქცევიან. კაცობრიობის შექმნა აქ შემთხვევით ქმედებადაა დაკნინებული, ახალ ადამიანებს კი ქვის გული და სხეული აქვთ. თუმცა ჩვენი განხილვის კონტექსტში უფრო საგულისხმოა ის 'შედეგი', რომელიც ქვეყნიერების აღსასრულის ამ ამბავს მოყვება რომანის ექსტრადიფეგეტურ სინამდვილეში. ექოსგან მონათხრობის ჩასანერად სახლში მისულ კოტას ხელი მოეცარება, რადგან ქალაქს საშინელი ავდარი დაატყდება, „ისე რომ კოტას თავი ექოს მიერ მოთხრობილ ამბავში ეგონა“ (რანსმაირი 2007: 152) ამ „კატასტროფამ“ ქალაქს დიდი ნგრევა მოუტანა, თუმცა ისევე უეცრად ჩაცხრა, როგორც ატყდა. მეტალეფსური პარალელიზმი აქაც აშკარაა: ტომისში მომხდარი ავდარი ნარღვნის ფერმკრთალი იმიტაციაა, დევეკალიონისა და პირას გაქვავებულ ნაშიერთა წარმოქმნა კი – ერთ-ერთი ექსტრადიფეგეტური მოქმედი პირის, ბატუსის ქვად გადაქცევის ეკვივალენტური.

მიზანბიძგების საფუძველზე ნანარმოების ბოლოს, ერთი შეხედვით, საერთოდ იშლება ზღვარი სინამდვილესა და წარმოსახვას, ისტორიასა და მითოსს, ზმანებასა და სიფხიზლეს შორის (ეპლე 2000: 97; ანცი 1997: 125; ჰარცერი 2000: 198, ვილჰელმი 2004: 313, შმიც-ემანსი 2004: 125, ჩეშლაკი 2007: 103). ასეთი ვარაუდის საფუძველს შემდეგი სიტყვები იძლევა: „რკინის ქალაქის მკვიდრთა არა მხოლოდ

ნარსული, არამედ მომავალი ხვედრიც ტრაქილას ლოდებზე იყო ამოტვიფრული” (რანსმაირი 2007, 252), „სინამდვილის შექმნას ჩანერა აღარ სჭირდებოდა“ (რანსმაირი 2007: 254) მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ნაწარმოებში საფეხურებრივად ხორციელდება „გადასავლა ოვიდიუსის (სახეცვლილი) „მატამორფოზების“ წარმოსახვით სივრცეში“ (ეპლე 2000: 17) „სამყაროს ტექსტად გარდაქმნა“ (ჰარცერი 2000:196), „გადასავლა ლიტერატურაში“ (ვილჰელმი 2004: 313), „ისტორიის რემითიზაცია“ (ჩეშლაკი 2007) და ა.შ. ისინი გარკვეულ სემანტიკურ ოპოზიციას ამჩნევენ ტექსტში, რომელიც სივრცობრივ დონეზე ვლინდება. მაგალითად, თომას ეპლე რომს გონებასთან აიგივებს და დიქტომიურად უპირისპირებს მას ტომისსა და იქ ხორცშესხმულ მითოსს (ეპლე 2000: 47-48), რომლის გამარჯვებაც ნაწარმოების ბოლოს ოლიმპოს მთის აღმოცენებითაა გამოხატული. განმანათლებლობასა და მითოსს შორის დიალექტიკურ მიმართებას იკვლევს რომანში საბინე ვილკეც, რომელსაც აღნიშნული მიმართება მოდერნის ეპოქის ტიპურ პოეტურ სტრუქტურად მიაჩნია (ვილკე 1992: 223-261). შედარებით ახალ გამოკვლევებში კი აღნიშნავენ, რომ „ეს უკანასკნელი სამყარო ერთდროულად მითოსურიცაა და ამითოსურიც“ (ვილჰელმი 2004: 295), ხოლო „ტომისი არ უკავშირდება არც რაიმე განსაზღვრულ ადგილს და არც გარკვეულ დროს, ზუსტად ისე, როგორც რომი“ (შმიც-ემანსი 2004: 122), რადგან „რომი“ სხვა არაფერია, თუ არა მონესრიგებული, ორგანიზებული ტომისი: მთელი მისი მტრული განწყობითა და ძალადობით“ (ციმა 2008: 420). რომანის დიეგეტური მახასიათებლებიც სწორედ ამგვარ ჰომოგენურობაზე მიანიშნებს და არ გვაძლევს საფუძველს, მასში რაიმე სივრცობრივი დიქტომიისა და საზღვრის არსებობა ვივარაუდოთ. ტექსტის პირველივე გვერდებზე „დროის სხვადასხვა დონის შემოტანით უქმდება ისტორიული ფონი და მოქმედება წყდება მის ისტორიულ კონტექსტს“ (ვილჰელმი 2004: 279) რომიც, რომელიც ძირითადად პროტაგონისტის ანალებსურად ჩართულ მოგონებებში გვხვდება, „ხომ მითოსურადაა „კონტამინირებული“: ნაზოს მებაღე და მეუღლე აგრეთვე *მეტამორფოზებიდან* გამოქცეული მოქმედი პირები არიან. კოტა თავიდანვე მითოსურ სამყაროში, მოთხრობილ კოსმოსში იმყოფება“ (ვილჰელმი 2004: 310) რომსა და ტომისს შორის მსგავსებას ისიც ცხადყოფს, რომ „მგლური ბუნება ორივე სისტემაში იჩენს თავს“ (ფიცი 1998: 303) და გაცხოველებული ვეგეტაციის შედეგად ერთნაირად ინგრევა როგორც ტომისი, ისე ნაზოს სახლი რომში (რანსმაირი 2007: 113-115), იმპერატორის საყვარელი მარტორქა შედარებულია ქვასთან (რანსმაირი 2007: 115), გაქვავება კი ტომისში მომხდარი პირველი მეტამორფოზაა. ამრიგად, ნაწარმოების პირველ თავებში მხოლოდ დაფარულია ის დიეგეტური კანონზომიერებები, რომლებიც მოგვიანებით შიშვლდება, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ მხატვრული სამყაროს მახასიათებლები იცვლება მოქმედების განვითარებასთან ერთად. ჩვენი აზრით, ნაწარმოების დიეგეზის

იმთავითვე ჰომოგენურია, მაგრამ მალავს თავის სისტემურ არასტაბილურობას.

ამასთან, მითოსისა და რაციონალიზმის დაპირისპირება *a priori* მოკლებულია ლოგიკურ საფუძველს, რადგან მითოსი სხვა არფერია თუ არა სამყაროს ახსნისა და აღწერის ცდა (სიმონისი 2004, 190). მითოსური აზროვნება თავისი არსით ეტიოლოგიურია, მოვლენების შესამეცნებლად მითოსს ისინი წარსულში გადააქვს. განხილული ნაწარმოები კი ესკატოლოგიურია, იგი გაჯერებულია საგნობრივი სამყაროს გარდაუვალი აღსასრულის განწყობით. ქრისტოფ რანმსაირის რომანს მითოსურ მოდელთან აკავშირებს მხოლოდ ერთი რამ – ფინალური მოტივაცია. თუმცა აქაც საცნაურდება განსხვავებები, რომლებიც ძირეულად ცვლიან მითოსურ სტრუქტურას. თუ მითოსში მოქმედებას წარმართავს იდუმალი ძალა, ღმერთები, ბედისწერა, *უკანასკნელ სამყაროში* ასეთი ინსტანციის ფუნქციას წინარე ტექსტი – ოვიდიუსის მეტამორფოზები ასრულებს. მართალია რანსმაირის რომანში ამ პირველწყაროს მოქმედების პაროდული ინვერსია ხორციელდება, მაგრამ ცალკეული ეპიზოდების გამაერთიანებელი კომპოზიციური პრინციპი სწორედ ოვიდიუსის თხზულებაა. ყველაფერი, რაც ნაწარმოებში ხდება, *მეტამორფოზების* სიუჟეტითაა განპირობებული. აღწერილ მოვლენებს არ გააჩნიათ სხვა მიზანი გარდა იმისა, რომ განახორციელონ ანტიკური ტექსტის „პროგრამა“. ეს უცნაური ტელეოლოგია რომანის ბოლოს ექსპლიციტურადაა თემატიზებული: „რაც ახლა ხდებოდა, იყო აღსრულება იმისა, რაც ტრაქილას ნაგლეჯებსა და აღმებზე ეწერა“. (რანსმაირი 2007: 251) ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოების მოტივაციური სტრუქტურა ესთეტიკურ-კომპოზიციურია: მოვლენებს ერთმანეთთან არა ემპირიულ-ლოგიკური პრინციპები, არამედ კომპოზიციური მთლიანობა აკავშირებს (მარტინესი/შეფელი 2000: 114).

ისმის კითხვა: ტიპოლოგიური თვალსაზრისით ფიქტიური სამყაროების რომელ მოდელს მივაკუთვნოთ აღნიშნული რომანის მხატვრული სინამდვილე? იგი ერთდროულად ჰომოგენური (მასში მოქმედებს შესაძლებლობათა ერთიანი სისტემა) და არასტაბილურია (მხატვრულ სამყაროში ურთიერთგამომრიცხავი ლიტერატურული კონვენციები თანაარსებობს). თუმცა ამით არ ამოიწურება ამ დიეგეზისის თავისებურებები. ესაა სრულიად ახალი ტიპის რეალობის სისტემა, რომელიც ინტერტექსტობრივი ელემენტების საფუძველზეა შექმნილი. უფრო ზუსტად კი, ესაა ერთგვარი არა-სისტემა, რომელიც ზოგად ლიტერატურულ კანონზომიერებებს აშიშვლებს. ანაქრონიზმების, მთხრობლის დესტაბილიზაციის, მიზანბიძგებისა და კომპოზიციური მოტივაციის თემატიზების საფუძველზე რომანში ხორციელდება მხატვრული სინამდვილის დეკონსტრუქცია, რის შედეგადაც ამკარაა, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებში ე.წ. რეალური

რეფერენტები (როგორცაა ისტორიული პირების სახელები, გეოგრაფიულ ადგილთა დასახელებანი და სხვ.) (სერლი 1996) ისეთივე ხელოვნური კონსტრუქციებია, როგორც მოქმედების განვითარების ნებისმიერი მოდელი.

ამრიგად, ქრისტოფ რანსმაირის რომანი *უკანასკნელი სამყარო* ერთგვარი მეტატექსტია, რომელიც ნარატიული ფიქციონალური ტექსტის იმანენტურ კანონზომიერებებს გვაჩვენებს, და რომლის თემაც, შესაბამისად, თავად ლიტერატურაა.

დამონებანი:

- ანცი 1997:** Anz, Thomas: "Spiel mit der Überlieferung. Aspekte der Postmoderne in Ransmayrs "Die letzte Welt". In: Die Erfindung der Welt. Zum Werk von Christoph Ransmayr. Hg. v. Uwe Wittstock. Frankfurt/M.: Fischer, 1997.
- ეპლე 2000:** Epple, Thomas: Christoph Ransmayr. Die letzte Welt: Interpretationen. – 1. Aufl. – München: Oldenbourg, 2000.
- ვილჰელმი 2004:** Wilhelmy, Thorsten: Legitimationsstrategien der Mythosrezeption. Thomas Mann, Christa Wolf, John Barth, Christoph Ransmayr, John Banville. Würzburg: Königshausen & Neumann, 2004.
- ვილკე 1992:** Wilke, Sabine: Poetische Strukturen der Moderne. Zeitgenössische Literatur zwischen alter und neuer Mythologie. Stuttgart: Metzler, 1992.
- მარტინესი/შეფელი 2000:** Martinez, Matias/Scheffel, Michael: Einführung in die Erzähltheorie. 2. Aufl. – München: Beck 2000.
- რანსმაირი 2007:** Ransmayr, Christoph: Die letzte Welt. Mit einem Ovidischen Repertoire. – 14. Aufl. – Frankfurt/M.: Fischer, 2007.
- სერლი 1996:** Searle, John: The logical status of fictional discourse. In: Expression and meaning: studies in the theory of the speech acts. Cambridge 1996.
- სიმონისი 2004:** Simonis, Annette: „Mythos“. In: Nünning, Ansgar: Grundbegriffe der Literaturtheorie. Stuttgart: Metzler, 2004.
- ფიცი 1998:** Fitz, Angela: "Wir blicken in ein ersonnenes Sehen.": Wirklichkeits- und Selbstkonstruktion in zeitgenössischen Romanen: Sten Nadolny – Christoph Ransmayr – Ulrich Woelk. St.Ingbert: Röhrig, 1998.
- შმიც-ემანსი 2004:** Schmitz-Emans, Monika: Christoph Ransmayr: Die letzte Welt (1998) als metaliterarischer Roman. In: Europäische Romane der Postmoderne. Hg. v. Anselm Maler, Ángel San Miguel, Richard Schwaderer. Frankfurt/M.: Lang, 2004.
- შმიცერი 2003:** Schmitzer, Ulrich: "Tomi, das Kaff, Echo, die Hure – Ovid und Christoph Ransmayrs Die letzte Welt: eine doppelte Wirkungsgeschichte". In: Mythen in nachmythischer Zeit: die Antike in der deutschsprachigen Literatur der Gegenwart. Hg. v. Bernd Seidensticker u. Martin Vöhler. Berlin; New York: de Gruyter, 2002.
- ჩეშლაკი 2004:** Cieślak, Renata: Mythos und Geschichte im Romanwerk Christoph Ransmayrs. Frankfurt/M.: Lang, 2007.
- ციმა 2008:** Zima, Peter M.: Der europäische Künstlerroman. Von der romantischen Utopie zur postmodernen Parodie. Tübingen u. Basel: Francke, 2008.
- ჰარცერი 2000:** Harzer, Friedmann: Erzählte Verwandlung: Eine Poetik epischer Metamorphosen (Ovid – Kafka - Ransmayr). Tübingen, Niemeyer, 2000.

რუსულან ცანავა

საქართველო, თბილისი

მეტაფორა და მეტამორფოზა

მეტაფორა (μετα-φoρá გადა—ტანა), მეტამორფოზა (μετα-μoρφoσιs გარდა-სხეულება, გარდასახვა). მეტაფორა ტროპია, პოეტური სტილისტიკის ფიგურა, მეტამორფოზა — უნივერსალური არქაული მითი. იგი ასახავს მითოპოეტური აზროვნების ყველაზე არსებით შტრიხებს, კერძოდ, წარმოდგენას, რომ ერთი შეიძლება გამოვლინდეს დაუთვლელი, შემოუფარგლავი, მრავლობითი სახით. მეტამორფოზა ადრეული რელიგიური აზროვნებისა და მითოპოეტური აზროვნების შემაერთებელი რგოლია; ის არის **სააზროვნო მექანიზმი**, თუ გნებავთ, უნივერსალური ფორმულა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქვეცნობიერისა და სამყაროს წვდომის ფენომენი. მეტამორფოზაში კოდირებულია ურთიერთობა აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის. იგი (მეტამორფოზა) ხელს უწყობს „ხატის“, „სიმბოლოს“, „ფიგურის“ წარმოშობას.

ვერ ვიტყვი, რომ მეტაფორისა და მეტამორფოზის მიმართების საკითხი მეცნიერებაში ცხარე დისკუსიის საგნად იქცა. გამოთქმული მოსაზრებები ასე შეიძლება დავაჯგუფოთ:

1. მეტაფორა და მეტამორფოზა სრულიად განსხვავებული ფენომენებია და მათი მსგავსება მხოლოდ ზედაპირულია (ვ. ვინოგრადოვი 1976, ნ. არუთიუნოვა 1990).

2. მეტაფორა და მეტამორფოზა, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა (ვ. სტევენსი 1951, მ. კუინი 1955).

ამჟამად ვერ წარმოვადგენთ ამ მოსაზრებათა დეტალურ ანალიზს (ვრცლად ამ და სხვა საკითხებზე იხ. ცანავა 2008), ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ორივე პოზიცია კატეგორიულია და აკლია არგუმენტაცია.

3. ახლა კი შევეცდები ჩამოვაცალიო ვარაუდი, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე მეცნიერის კონცეპტუალურ ხედვას. საქმე ისაა, რომ ქვემოთ წარმოდგენილი მოსაზრებები პირდაპირ არ ეხება მეტაფორისა და მეტამორფოზის ურთიერთმიმართების საკითხს, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ორი ფენომენის არსებითად მსგავს საფუძვლებსა და პრინციპებზე მიუთითებს. მხედველობაში მაქვს:

ე. კასირერის „საბაზო მეტაფორების“ კონცეფცია (კასირერი 1925).

ა. ლოსევის „აბსოლუტური მითის“ თეორია (ლოსევი 1991).

კ. ლევი-სტროსის კოდებისა და მატრიცის თეორია (ლევი-სტროსი 2000. ლევი-სტროსი 1999).

მ. ბლეკისა და პ. რიკიორის მოდელისა და ანალოგიის კონცეფცია (ბლეკი 1960. რიკიორი 1977).

როგორც აღვნიშნეთ, ეს მეცნიერები აშკარად არ ლაპარაკობენ მეტამორფოზის მიმართებაზე მეტაფორასთან, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, საბაზო//აბსოლუტური მითი, ტრანსფორმირებადი კოდები, სიტყვიერ თამაშებზე დაფუძნებული პირველი სააზროვნო მოდელიები სწორედ მეტამორფოზებია (ეტიმოლოგიური, კოსმოგონიური, კოსმოლოგიური მითები).

ერნსტ კასირერი მითოლოგიას განიხილავს ენასთან და კულტურასთან ერთად. მისი თვალთახედვით, მითოლოგია არის ჩაკეტილი სიმბოლური სისტემა, რომელშიც სიმბოლოები გაერთიანებულია ფუნქციონირების ხასიათით და გარესამყაროს მოდელირების საშუალებებით. მითოლოგიური აზროვნების თავისებურებას კასირერი ხედავს რეალურისა და იდეალურის, საგნისა და სახის, სხეულისა და თვისების, „სანყისისა“ და „პრინციპის“ განურჩევლობაში, რის საფუძველზეც მსგავსება ან მომიჯნავეობა გარდაისახება მიზეზობრივ თანმიმდევრულობად, მიზეზობრივ-შედეგობით პროცესს კი აქვს მატერიალური მეტამორფოზის ხასიათი. ურთიერთობები კი არ სინთეზირდება, არამედ იგივედება. ნაწილი ფუნქციურად მთელის იგივეობრივია. მთელი კოსმოსი მოწყობილია ერთი მოდელით და გამოიხატება ოპოზიციით — „ნმინდა“ და „პროფანული“.

კასირერის აზრით, ენა და მითი საერთო ძირიდან აღმოცენდნენ. ამ საერთოს ძიებას კი მეტაფორულ აზროვნებამდე, უფრო სწორად, ბაზისურ (საბაზო) მეტაფორებამდე მივყავართ.

ამიტომ თუ გვინდა გავიაზროთ, მითოსური და ენობრივი სამყაროების, ერთი მხრივ, ერთიანობა, მეორე მხრივ, განსხვავება, აუცილებელია ჩავნვდეთ მეტაფორის არსსა და აზრს. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. „ბაზისურ (საბაზო) მეტაფორებს“. სწორედ საბაზო მეტაფორებს უკავშირდება ენისა და მითოსური წარმოდგენების წარმოშობა. ეს პროცესი მკვლევარს ასე წარმოუდგენია: ყველაზე მარტივი ენობრივი გამოხატულება მოითხოვს გარკვეული მსოფლმხედველობრივი ან ემოციური შინაარსის გარდასახვას ბგერად, ანუ მისთვის მტრულ შეუსაბამო შინაარსად (ემოციის, აზრის გადატანა ბგერად არის პროცესი — $\mu\epsilon\tau\acute{\alpha}$ + $\phi\iota\rho\acute{\alpha}$). ეს ემოციები პირველყოფილ ადამიანს გარესამყაროსთან ურთიერთობისას უჩნდება; შიში, აღტაცება თუ სხვა ტიპის ემოცია (ანუ წარმოსახვაში აღძრული „ხატი“) ბადებს სურვილს, სხვებსაც გაუზიარონ იგი. ამ დროს იქმნება სამეტყველო ენა. ასევე მითოსური სახე აღმოცენდება ტრანსფორმაციის საშუალებით, რომლის წყალობითაც ყოველდღიურობისგან მიღებული ჩვეულებრივი ყოფითი, ყოველდღიური — პროფანული — შთაბეჭდილებები ამალღდება „ნმინდას“ რანგში. აქ ხდება არა მხოლოდ გადატანა, არამედ ჭეშმარიტი გარდასახვა სხვა გვარად.

ენა და მითი იმთავითვე იმყოფებიან ერთმანეთთან განუყოფელ კავშირში, მხოლოდ შემდეგ განცალკევდებიან, როგორც

დამოუკიდებელი ელემენტები. ისინი (ენა და მითი) წარმოადგენენ ერთი და იმავე ტოტის სხვადასხვა ყლორტებს, რომლებიც წარმოიშვნენ სულიერი გადამუშავების ერთი და იმავე აქტიდან. ამ გარდასახვის აქტის დასრულებისას იხსნება შინაგანი დაძაბულობა. „აღამიანი მისი სურვილისგან დამოუკიდებლად, იძულებული იყო ელაპარაკა მეტაფორულად; და არა იმიტომ, რომ არ შეეძლო თავისი პოეტური ფანტაზიის დაოკება, არამედ იმიტომ, რომ ფანტაზია უკიდურეს ზომამდე უნდა დაეძაბა, რათა გამოენატა თავისი სულის მზარდი მოთხოვნილება. ანუ საბაზო მეტაფორა მონაწილეობს სიტყვების წარმოქმნის პროცესში, სახელდებაში. ამიტომ არის ენა და მეტაფორა ერთი ძირიდან, შემდგომ კი სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებიან. კასირერი არ ასახელებს საბაზო მეტაფორის მაგალითებს, იმიტომ, რომ საბაზო მეტაფორა შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი სიტყვა, რომელსაც აქვს დაძაბულობა და „ტევადობა“.*

ვერასდროს გავიგებთ მითოლოგიას, თუ კარგად არ გავიაზრებთ იმას, რასაც ვუნოდებთ ანთროპომორფიზმს, პერსონიფიკაციას ან გასულიერებას. შეუძლებელი იქნებოდა გარემომცველი სამყაროს ათვისება საბაზო მეტაფორის — ამ უნივერსალური მითოლოგიის გარეშე.

მითი, ენა და ხელოვნება გამომდინარეობენ კონკრეტული დაუნანვერებელი ერთობიდან, რომელიც შემდგომში თანდათან დაიშალა სულიერი მოღვაწეობის სამ სხვადასხვა სფეროდ.

კასირერის მიერ საბაზო მეტაფორების მაგალითებად მოხმობილი მითოსური მასალა, ფაქტობრივად, მეტამორფოზების ნიმუშებია.

ა.ლოსევმა განავითარა „აბსოლუტური მითის“ კონცეფცია. მისი აზრით, აბსოლუტური მითი ვითარდება საკუთარი თავიდან და არაფერს სცნობს საკუთარი თავის გარდა. აბსოლუტური მითოლოგია არის აბსოლუტური ყოველერება, რომელმაც თავი გამოავლინა მითში. მანვე გამოყო მითისა და პოეზიის მსგავსების 3 ნიშანი:

1. გამომსახველობითობა.
2. ინტელიგენცია.
3. ხილული სურათოვნება.

* კასირერი იმონებებს უზენერის მიერ მოხმობილ მაგალითებს: ლიტვურ თეოფანიურ სახელებში თოვლის ღმერთთან ერთად არსებობს ნახირის ღმერთი — ბლავანა (ვინც ბლავის), ფუტკრების ღმერთი — ბზულია, მინისძვრის ღმერთი — მრყეველი. როგორც კი ნახირის ღმერთმა მიიღო ბლავანას სახე, იგი უნდა შეეცნოთ სრულიად სხვადასხვა მოვლენებში: მისთვის მოესმინათ ლომის ბღღვივაში, ქარიშხლის ღრიალში, ოკეანის ხმაურში. ამ თვალსაზრისით მითი ისევ და ისევ ცოცხლდება და მდიდრდება ენის წყალობით, ენა კი — მითით. ამ მუდმივი ურთიერთზემოქმედებითა და ურთიერთგამსჭვალვით დასტურდება სულიერი სანყისის ერთობა, რომლისგანაც წარმოიშვნენ ისინი — სხვადასხვა გამოხატულებებითა და საფეხურებით. (კასირერი, *ibid.* 41).

1. მითოსური და პოეტური სახეები — ორივე გამომსახველობითია. ცნება „გამო-მსახველობა“ ძალიან მნიშვნელოვანია; გამოსახვა არის „შინაგანისა“ და „გარეგანის“ სინთეზი — ძალა, რომელიც „შინაგანს“ აიძულებს, რომ გამოვლინდეს, „გარეგანს“ კი ექაჩება (ენევა) „შინაგანის“ სიღრმეში შესაღწევად. გამოსახვა (გამოხატვა) ყოველთვის დინამიკური პროცესია; მოძრაობა ხორციელდება როგორც „შიგნიდან“ „გარეთ“, ისე „გარედან“ „შიგნით“. ხატოვნად რომ ვთქვათ, გამოსახვა არის ორი ენერჯის შეხვედრის არენა (შინაგანისა და გარეგანის) და მათი შერწყმა ერთ მთელში, რომელიც ერთდროულად ერთიცაა და მეორეც. ტერმინი გამო-სახვა (გამო-ხატვა) მიუთითებს აქტიურ მიმართულობაზე, თვითგარდასახვაზე. პოეზიის მთავარი იარაღი — სიტყვა — გამომსახველია, იგი „პერსპექტიულია“ და არა „პრტყელი“. ასევეა მითიც; იგი „გამომხატველია“, ყოველთვის ჩანს, რომ მითში ორი ან მეტი შრეა. მათ ამსგავსებს ისიც, რომ მითოსური და პოეტური სახეები შეიძლება იყვნენ სქემებიც, ალეგორიებიც და სიმბოლოებიც.

2. მითოსიც და პოეზიაც არსით, ერთნაირი დოზით არიან არა მხოლოდ გამომსახველნი, არამედ ინტელიგენცია (intel-legio-დან „შეგრძნება, აღქმა, შემჩნევა; შეცნობა; აზროვნება; გარკვევა“) ანუ „გასულიერებული გამოხატვა“. ყოველი პოეტური ფორმა ყოველთვის არის რაღაც „სულჩაბერილი“, „შიგნიდან“ ხილული ცხოვრება. ასეა მითოსიც. იგი ან პირდაპირ მოგვითხრობს ცოცხალ არსებებზე, ან არაცოცხალზე მოგვითხრობს ისე, რომ ჩანს მისი თავდაპირველი სულიერი არსება. პოეტურია არა თავად საგანი, არამედ მისი გამოხატვის, გაგების საშუალება. იგივე უნდა ითქვას მითოსზე. მითოსური სახე არ არსებობს, როგორც ნივთი, რომელიც თავისთავად არის მშვენიერი. მითოსური სახე მითიურია მისი გაფორმების ანუ გამოსახვის დოზის შესაბამისად. მითიც და პოეზიაც „ცოცხლობენ“ გასულიერებულ სამყაროში და ეს გასულიერება საგნის გამოვლენის საშუალებაა.

3. პოეზიაშიც და მითშიც სახე არ საჭიროებს რამე ლოგიკურ სისტემებს, იგი ცხადი და ხილულია. ორივესთვის დამახასიათებელია ხილული სურათოვნება — შინაგანი და გარეგნული.

კ.ლევეი-სტროსის საანალიზო მასალის (მითების) დიდი ნაწილი ტრანსფორმაციებს ეფუძნება. მკვლევარის აზრით, ამ ტრანსფორმაციების საფუძველში ძვეს მეტაფორიზმი. მეტაფორიზმი ძალიან აფართოებს საზღვრებს სხვადასხვა სახეების, მოტივების და სიუჟეტური სკემების დასაახლოებლად. მას მიაჩნია, რომ მეტაფორა ეყრდნობა ლოგიკური ურთიერთობების ინტუიციას სხვადასხვა სფეროს შორის. ამასთან, თავად მითოლოგიური ლოგიკა ღრმად მეტაფორულია, რის დემონსტრირებასაც კ. ლევეი-სტროსი ახერხებს ტოტემისტური მასალის კლასიფიკაციის საფუძველზე. იგი აერთიანებს უამრავ მითს მითოსურ სისტემებში და ერთ მითს განიხილავს, როგორც მეორის „მეტაფორას“. მაგალითად: მითი

თაფლის დღესასწაულის წარმოშობაზე არის მეტაფორა თაფლის წარმოშობის მითთან მიმართებით. თაფლთან დაკავშირებული მეტაფორები ძალიან ძველია. ამერიკელ ინდიელთა მითებში (ლევინსტროსი სწორედ ამ მითებს იკვლევდა) თაფლი წარმოადგენს „საჭმლის“ მეტაფორას, რომელიც ჩაენაცვლება სექსუალობას. ე.ი. ხდება კოდის შეცვლა. „მითოლოგიურებში“ მეტაფორიზაციის შედეგად კოდის შეცვლის უამრავი მაგალითია მოყვანილი. მაგალითად, მითების პერსონაჟი ქალი სუსაი არის სამმაგი ინვერსია გოგონასი, რომელსაც ძალიან უყვარს თაფლი: ის არის მრავალშვილიანი დედა და არის მოლაღატე ცოლი. ამგვარად, *მეტაფორიზაციას ძალიან ხშირად მოყვება კოდის შეცვლა* (ლევინსტროსი 2000: 15, 253). (გოგონა—> ქალი-დედა—>მოლაღატე ცოლი).

კ.ლევინსტროსი ყველა მითში გამოყოფს „**არმატურას**“ ანუ თავისებურებათა ერთობლიობას, რომელიც საერთოა (უცვლელია) ორ ან რამდენიმე მითში, „**კოდს**“ ანუ ფუნქციათა სისტემას, რომელთა საშუალებითაც აღინიშნებიან ეს თავისებურებები და „**შეტყობინებას**“, რომელიც, შეიძლება ითქვას, მოცემული მითის შინაარსია.

ფაქტობრივად, შეტყობინება მითებში, გარკვეული თვალსაზრისით, შეესაბამება ეტიოლოგიურ თემას (კულტურისა და ბუნების სხვადასხვა ფასეულობათა წარმოშობა). მაგალითად: „ჟეს“ ტომში მითი ცეცხლის წარმოშობის შესახებ ბოროტოს ტომში ტრანსფორმირდება წვიმისა და ქარიშხლის წარმოშობად; გარეული ღორების წარმოშობის მითი ტუპის ტომში გარდაისახება სამკაულებისა და სხვა ძვირფასი ნივთების წარმოშობის მითად. ეტიოლოგიური თემის შეცვლა არის თავად შეტყობინების შეცვლა. აქ „არმატურებს“ შეადგენს მოყვრების, „მიმცემებისა“ და „მიმღებთა“, ურთიერთობა (ცოლების მიღება სხვა ნივთებზე გაცვლით და სხვა). როდესაც ცოლებს „გასცემენ“ ადამიანები, მათ მიიღებენ მხეცები; როდესაც მიმღებები არიან ადამიანები, გასცემენ — სულელები. ძალიან ხშირად მითიდან მითზე გადასვლისას არმატურა და კოდი რჩება, იცვლება შეტყობინება. შეტყობინება შეიძლება შეიცვალოს სრული ინვერსიის დონეზეც. შეტყობინება გადაიცემა კოდებით.

კ.ლევინსტროსმა დეტალურად შეისწავლა კოდიდან კოდზე გადასვლა და მათი ურთულესი გადაჯაჭვულობები.

ლევინსტროსის აზრით, *მითების წყალობით ჩვენ ვხვდებით, რომ მეტაფორა ეყრდნობა ლოგიკური ურთიერთობების ინტუიციურ წინათვრძნობას* რომელიც ერთ სფეროსა და სხვებს შორის. მეტაფორის საშუალებით ხერხდება პირველის „შეყვანა“ სხვებში მიუხედავად რეფლექსირებადი აზრისა, რომელიც ჯიუტად ცდილობს მათ დაშორიშორებას. მეტაფორა არ არის ენის სამშენისი, ყოველი მეტაფორა წმენდს ენას და აამაღლებს მას თავდაპირველ ბუნებად. მითოსური აზრი იმეორებს რაღაც ძალიან მნიშვნელოვან პროცესს, რომელიც ხდება ენაში.

ჩვენი საკვლევი საკითხის შემდგომი გაშლისთვის ძალიან საინტერესოა მეტაფორის განხილვა **მოდელთან და ანალოგიასთან** მიმართებით.

მ. ბლეკისა და პ. რიკიორის აზრით, მოდელები გაფართოებული მეტაფორებია, ანალოგიები კი მოდელების მექანიზმები.

ისინი განასხვავებენ მოდელის 2 ტიპს: I. ერთი საგნის მოდელები (მაგ.: თვითმფრინავის ან ავტომობილის სხვადასხვა მოდელი), II. ატომი, როგორც მზის სისტემის მოდელი; ან თავის ტვინი, როგორც კომპიუტერის მოდელი. ის, რომ ატომი არის მზის სისტემის მოდელი, ან ტვინი მუშაობს, როგორც კომპიუტერი, არაფრით განსხვავდება მეტაფორისგან.

ანალოგიური მოდელი „სასარგებლოა“ იმიტომ, რომ გვეხმარება „უცნობს“ მიუდგეთ „ცნობილის“ საშუალებით და გვეხმარება, გავაკეთოთ ნახტომი აზროვნებაში. ამ აზრით, მოდელები არის მეტაფორები უფრო ფართო გაგებით და მათ საფუძვლად უდევთ საბაზო მეტაფორები.

საბაზო მეტაფორების (კოდების, მეტაფორული ქსელის) კვალობაზე შეგვიძლია გამოვყოთ საბაზო მეტამორფოზები, მეტამორფოზული კოდები.

„მყარ“ (მუდმივ) მეტამორფოზაში გარდასახვა ხდება ერთხელ და სამუდამოდ მაგ.: ადამიანის სხეულის ნაწილებისგან სამყაროს და პირველნივთების შექმნა; სხვადასხვა ფრინველების, ცხოველებისა და მცენარეების წარმოშობა გარდასახვების საშუალებით.

ამგვარი მყარი მეტამორფოზები, თავის მხრივ, წარმოადგენენ მოდელებს (კოდებს) სხვა მეტამორფოზებისათვის. ამ ტიპის მეტამორფოზები ეტიმოლოგიური ხასიათისაა და მითისქმნადობის უძველეს პერიოდს მიეკუთვნება. ასეთ თხრობებში ერთმანეთს ეჯახება პირველყოფილი წარმოდგენები სამყაროს შესაქმნეზე, ყოფითი, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ასპექტები. ეს ყველაფერი ადამიანის ქვეცნობიერის დონეზე დაილექა (შეიქმნა არქეტიპები). *მეტამორფოზების ნორედ ეს უნივერსალური მოდელები დგანან მეტაფორის გვერდით.*

„მოძრავი“, არამყარი მეტამორფოზები აზრის განვითარების სხვა ეტაპს ესადაგება. მაგალითად, ღმერთებს შეუძლიათ სხვადასხვა იერის მიღება. (ტირესიასი ჯერ ქალად გარდაისახა, მერე ისევ კაცად.) ადამიანს შეუძლია მცირე ხნით სახე იცვალოს: გარდაისახოს ცხოველად, ფრინველად მცენარედ და ა. შ.

მხატვრული ლიტერატურა ორივე ფორმას იყენებს: ადამიანი თავის თავში „გრძნობს“ რომელიმე სხვა არსებას — ცხოველს, ფრინველს, მწერს, ე. ი. ხდება ემბრიონის რომელიღაც ფაზის გააქტიურება (დაბადებამდე ადამიანი ხომ ევოლუციის ყველა ძირითად ეტაპს გაივლის); გაორება. გრძნობების, განცდების, შექმნილი სიტუაციის შესაბამისად, ადამიანი თავის თავს უსადაგებს არა მარტო ამა თუ იმ ნივთს, არსებას, არამედ განყენებულ ცნებას:

ფერს, სუნს და ა.შ. ამ პროცესების დასაბამი კი არის ქვეცნობიერში არსებული მეტამორფოზის იდეა.

მეტამორფოზა აჩვენებს აზრის მოძრაობის ვექტორს, პროცესს, მიმართულებას, ამიტომ მისი ბუნება პრედიკატულია.

ასე რომ, მეტაფორის „დაბადებაში“ არც თუ უკანასკნელ ფუნქციას ასრულებს მეტამორფოზა. მეტაფორა „იბადება“ პირველყოფილი მითორელიგიური წარმოდგენების წარმოშობისას, იგი მსოფლალქმის საშუალებაა. მეტამორფოზა მეტაფორის „მექანიზმია“.

ლიტერატურულ მეტამორფოზებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს **ოვიდიუსის** „მეტამორფოზებს“, რომელშიც, ჩემი აზრით, ჩანს ავტორის დამოკიდებულება „გარდაქმნებისადმი“ პოეტიკის თვალსაზრისითაც.

ოვიდიუსის „მეტამორფოზებში“ დამუშავებულია 250-მდე ბერძნული და იტალიკურ-ეტრუსკულ-რომაული მითი; ყველა მათგანი გარდასახვაზე მოგვითხრობს. პოემაში თხრობა თანმიმდევრულია და ერთ მთლიან სისტემას წარმოადგენს: იწყება ქაოსიდან კოსმოსის წარმოშობით, რასაც მოჰყვება კოსმოგონიური მეტამორფოზები; შემდგომ აღწერილია ოლიმპიური პანთეონის ფორმირება, ციკლები და უამრავი ჩართული ამბავი, რომლებიც მეტამორფოზების ყველა შესაძლო შემთხვევას მოიცავს.

„მეტამორფოზები“ ოვიდიუსის სიმნიფის პერიოდის ნაწარმოებია. ისმის კითხვა: რისთვის დასჭირდა მწერალს ყველასთვის კარგად ნაცნობი მითების „გაღებვა“? საქმე ისაა, რომ ოვიდიუსამდეც არსებობდა მითების უამრავი კრებული და სახელმძღვანელო (პროზაულიც, და როგორც გადმოგვცემენ, პოეტურიც). მეცნიერებაში ამ ფაქტს ასე ხსნიან: ოვიდიუსს სურდა მეტემფსიქოზის პითაგორასეული კონცეფციის გამყარება მითოური მასალით. მართლაც, პოემის XV წიგნში, რომელიც პითაგორას ეძღვნება, ოვიდიუსი ვრცლად მსჯელობს სულთა გადასახლების თეორიაზე.

ამ თვალსაზრისს სავსებით ვიზიარებ, მაგრამ, ჩემი აზრით, „მეტამორფოზებში“ ჩადებულია გაცილებით მეტი, ვიდრე მეტემფსიქოზის კონცეფციის პოპულარიზაცია. უფრო სწორად, ოვიდიუსმა მოახერხა მეტემფსიქოზის ფილოსოფიურ-რელიგიური კონცეფციის დაკავშირება პოეტიკასთან. საქმე ის არის, რომ, მისივე თხზულებებდან გამომდინარე, კარგად ჩანს, რამდენს ფიქრობდა ოვიდიუსი პოეტური სიტყვის ზემოქმედების ძალაზე. თავად სულით ხორცამდე პოეტს თავისი ბიოგრაფიის არაერთ უმძიმეს მომენტში მხსნელად სწორედ ლექსი მოევლინა.

ჩემი აზრით, ოვიდიუსმა „მეტამორფოზებში“ მკითხველს აღმასის საბადო „გაუხსნა“. გენიალურმა პოეტმა ზუსტად მიაკვლია მეტაფორული ხატების ერთ-ერთ უმთავრეს „საცავს“ და შთამომავლობას საქმე გაუიოლა იმით, რომ „დაალაგა“

მეტამორფოზული ეტიოლოგიების ვარიანტები და მათგან გამომავალი დასკვნა-ფიგურები. მათ ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ „საბაზო“ მეტამორფოზები“ (საბაზო მეტაფორების კვალობაზე): ნიობე-კლდეა, არაქნე — ობობა, ზევსი — ხარი არნივი, ნვიმა, ელვა და ქუხილი; ჰერა — ძროხა, შრომანი; დიონისე — ვაზი, მტევანი, ღვინო და სხვა. ამ სახეთა ანალოგიით იოლად შეიძლება შეიქმნას ახალი ვარიანტები. „მეტამორფოზები“ სრულიად გარკვეული პრინციპით და მიზნით შეიქმნა. ეს თხზულება არის უდიდესი „გაჭრა“ ლიტერატურაში. ოვიდიუსის მიერ შემოთავაზებული პოეტური სახისმეტყველების ულევნი წყარო.

„მეტამორფოზები“ მთავრდება პოეტის ანდერძით, რომელიც ძალიან ჰგავს ჰორაციუსის ცნობილ ოდას „მელპომენესადმი“:

„დავიდგი ძეგლი ბრინჯაოზე მარადიული,
მეფეთა საძველე პირამიდებს აღმატებული
და მის დამხობის არვინ არის ან შემძლებელი
არც ქარიშხალი, არცა წარღვნა დაუნდობელი,
არც უთვალავი ნელთა რიგი და დრო მსრბოლელი“.

(ლექსის ფრაგმენტი თარგმნილია ჩემ

მიერ).

რა დგას ბრინჯაოს ძეგლის მეტაფორის უკან? პირველი მითი (ყოველ შემთხვევაში, ბერძნულ მითოლოგიაში), რომელიც ადამიანის ქვად გარდასახვაზე და ამ ფორმით მისი სახელის უკვდავებაზე მოგვითხრობს, არის ნიობეს მეტამორფოზა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ამ ტიპის მითოსური გადმოცემების „საბაზო“ მითი-მეტამორფოზა, რომელიც საფუძვლად დაედო ქვის//ბრინჯაოს ძეგლის, როგორც უკვდავების მეტაფორის მხატვრულ სახეებს (ჰორაციუსი, ოვიდიუსი, პუშკინი. გალაკტიონმა ამ „ჰანგზე გააწყო“ ლექსი „მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალ-ახალი“).

„საბაზო“ მეტამორფოზებად შეიძლება ჩავთვალოთ ღმერთებისა და ადამიანების გარდასახვები სხვადასხვა ცხოველებად და ფრინველებად. ოვიდიუსთან ზევსი გარდასახება არნივად, ხარად, ნვიმად; ჰერა — გუგულად, ძროხად, ყვავილად. ანუ, ყველა ღმერთს „თავისი“ ცხოველი, ფრინველი, მცენარე ან ბუნების ესა თუ ის მოვლენა შეესაბამება. ეს, ერთი მხრივ, მიუთითებს, რომ ამგვარი მეტამორფოზები არ არის ნებისმიერი და გარკვეულ ძალიან სიღრმისეულ ქვეცნობიერ ერთობას ეფუძნება. მეორე მხრივ, ბერძენ-რომაელ მწერალთა მიერ დამკვიდრებული „მოდელები“ თავისებურ „საბაზო“ მეტამორფოზებად იქცევენ შემდგომი ეპოქების შემოქმედთათვის არნივი-ზევსი რიგ შემთხვევაში სიმბოლოა, მაგ. ჰერალდიკაში; რიგ შემთხვევაში გამარჯვების მეტაფორა. გააჩნია, რას მოისურვებს მწერალი და როგორ „დაამუშავებს“ ამ პოეტურ სახეს. მაგრამ ის, თუ რატომ არის არნივი „სახე“, ამის განმარტებას ვგაძლევს მითი ზევსის არნივად მეტამორფოზის შესახებ.

ყველა პირველად განხორციელებული მეტამორფოზა იყო მოულოდნელი, უნიკალური და შოკისმომგვრელი; ზუსტად ისეთი ეფექტის მქონე, რასაც ინვეს „ცინცხალი“ მეტაფორა. მეტაფორისა და მეტამორფოზის გზები პირველად მაშინ გადაიკვეთა, როდესაც ადამიანის გონებაში დაიბადა გარდასახვის შესაძლებლობის იდეა და შემდგომ ამ აზრმა „გააქტიურებული“ სიტყვა წარმოშვა. გააქტიურებულ სიტყვაში იგულისხმება არა საგნების ნომინაცია, არამედ პრედიკატული კონსტრუქცია, როდესაც სიტყვა „მზად არის“ „მოქმედებისათვის“.

მეტაფორისა და მეტამორფოზის „შეხვედრა“ თუ „ამოსვლა“ ერთი საწყისიდან ამ ორი ფენომენის ძალიან ღრმა კონცეპტუალური ერთიანობის პირველმიზეზებზე (საფუძველზე) მიანიშნებს. მაგრამ შემდგომ მოვლენები ისე განვითარდა, რომ მეტამორფოზა მითში „ჩარჩა“, მისი განვითარება მეტემფსიქოზის ფორმალისტურ ასპექტს ვერ გასცდა, მეტაფორამ კი „ფრთა გაშალა“ და სამყაროს აღქმის საშუალებად იქცა.

მეტაფორების იმ ტიპს, რომლებიც მოხსენებაში განვიხილეთ, პირობითად შეიძლება ვუნოდოთ „მითოსური მეტაფორები“, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ აღნიშნული მეტაფორები მხოლოდ ანტიკური ეპოქის მწერალთა თხზულებებში გვხვდება. ახლა წარმოვადგენ გალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის ანალიზს, რომელიც, ჩემი აზრით, „მითოსური“ მეტაფორის ნიმუშია:

ცხენით ხიდზე

*ცხენი მიანგრევს ხიდებს ჩლიქით,
მაგრამ უეცრად სცქვიტა ყურები,
მისი თვალები აივსსენ — იქით
ადამიანურ უბედურებით...
მის თვალწინ გაკრთა მსუბუქი მწკრივი:
ეთამაშება ნაკადებს თევზი.
იყო მხედარი — ჩვეულებრივი —
კაცი — ვით კაცი, და არა ზევსი.*

ამ ლექსის ერთადერთი პერსონაჟი ცხენია: სწორედ ის „მიანგრევს ხიდებს ჩლიქით“, მან „სცქვიტა“ ყურები და მისი თვალები „აივსსენ“ „ადამიანურ უბედურებით“. ანალიზს ვინყებთ ფრაზით: „მის თვალწინ გაკრთა მსუბუქი მწკრივი“. რომელ მწკრივზეა ლაპარაკი? ლექსის შემდგომ სამ ტაეპში ნახსენები — „თევზი“, „მხედარი“ და „ზევისი“ გვაფიქრებინებენ, რომ პოეტის გონებაში ცნობილი მეტამორფოზული სახეები ახალ პოეტურ მეტაფორად გარდაისახა: კერძოდ, I პლანი: ცხენი ზღვათა მბრძანებლის — პოსეიდონის (//ნეპტუნის) ცხოველია. პოსეიდონის ზოომორფული იკონოგრაფია ისევე უკავშირდება ცხენს, როგორც ზევსისა — ხარს. პოსეიდონს ემორჩილება ზღვის ყველა ბინადარი და, რა თქმა უნდა, „ნაკადებთან

მოთამაშე თევზი“ (თევზის ხსენება აძლიერებს ცხენის კავშირს წყლის სტიქიასთან). II პლანი — „თვალნი გამკრთალ მწკრივში“ ცხენი მხედარიცაა. III პლანი — მიუხედავად იმისა, რომ ხარი და ცხენი უზენაესი ღვთაებების ზომომორფული ჰიპოსტასებია, ისინი მაინც ნაკლები „ღირსების“ არიან, ვიდრე თავად ღვთაებები. ცნობილი გამოთმაა: „რაც ზევსს ეპატიება, ხარს არ ეპატიება“. აქედან: „იყო მხედარი — ჩვეულებრივი — / კაცი — ვით კაცი, და არა ზევსი“. ასე რომ, სამი მითოსური პლასტის შერევით, რომელთაგან ორი (ზევსი და პოსეიდონი, შესაბამისად, ცხენი და ხარი) მეტამორფოზაა, იქმნება პოეტური ფიგურა — მეტაფორა.

დამონმებანი:

- ვინოგრადოვი 1976:** Виноградов В. В. Поэтика русской литературы. М.: 1976.
- არუტიუნოვა 1990:** Арутинова Н. Д. Теория метафоры. М.: 1990.
- სტივენსი 1951:** Stevens W. The Necessary Angel. Knopf, 1951.
- კუინი 1955:** Quinn M. Bernetta. The Metamorphic Tradition in Modern Poetry. Rutgers Univ. Press, 1955.
- ლოსევი 1991:** Лосев А. Ф. Философия Ю мифология, культура. М.: 1991.
- კასირერი 1925:** Cassirer E. Philosophie des symbolischen Formen, Zweiter Teil, Berlin, 1925.
- ლევი-სტროსი 2000:** Леви-Стросс К. От меда к леплу. Пер. с франц. Т. ШШ. М.: СПб, 2000.
- ლევი-სტროსი 1999:** Леви-Стросс К. Сырое и приготовленное. Пер. с франц. М.: СПб, 1999.
- ბლეკი 1960:** Black M. Models and Metaphors, Cornell University Press 1960.
- რიკიორი 1977:** Ricoeur P. The Rule of Metaphor, University of Toronto Press, 1977.
- ნაზონი 1960:** პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი. მეტამორფოზები. რედაქცია, შესავალი წერილი და კომენტარები აკ. ურუშაძის. თბ.: 1980. P. Ovidii Nasonis, Carmina, ed. R. Ehwald, V. Lery. T. 1-3, Lipsiae 1915-1932.
- ცანავა 2008:** ცანავა რ. მეტაფორა და მეტამორფოზა. სჯანი, № 9, 2008.

**ინტერტექსტუალური ძიებანი თანამედროვე
ქართულ პოეზიაში
(გივი ალხაზიშვილი, გიგი სულაკაური, ზვიად რატიანი,
ზაზა თვარაძე)**

XX საუკუნის მინურულს, ქართულ პოეზიაში, თავის დროზე ხელოვნურად დაბრკოლებულ მოდერნიზმს პოსტმოდერნიზმი ჩაენაცვლა და მნიშვნელოვან სახეს იგი სწორედ ამ დროიდან იღებს. პოსტმოდერნიზმმა ლირიკულ ტექსტებში თვისობრივი ცვლილებები შეიტანა: მოიხსნა ფორმისეული შეზღუდვები, თემატიკა ძნელად მოსახელთებელი გახდა. ლიტერატურული ეპატაჟები თანაბრად ხორციელდებოდა როგორც ფორმის, ისე თემატიკის რღვევის პრინციპით. 60-70-იანი წლებისაგან განსხვავებით, 80-იან წლებში ლირიკული ტექსტების შრეებში მიმალულმა და ყველაზე უფრო პოპულარულმა თემებმა (პატრიოტიზმი, სიყვარული და სხვ.) მომდევნო ათწლეულში მკითხველისაგან დისტანცირება განიცადეს, ანუ – გაბუნდოვანდნენ. ქართულ მწერლობაში ტრადიციების საკითხი იმდენად მწვავედ დადგა, რომ მოწყვეტა ტრადიციისაგან უფრო „გასაგები“ და ლოგიკური ჩანდა, ვიდრე რალაციის გაგრძელება, თუმცა ლიტერატურას თავისი კანონები აქვს, ინტერტექსტუალობაც ერთი ასეთი საშუალება იყო თვითგამოხატვისათვის, განსხვავებულობისათვის, არ-განმეორებისათვის.

ახალი ქართული ლიტერატურის ტრადიციასთან მიმართების გამო, საუკუნის დასაწყისში გამართულ საუბრებში მთელი სიმწვავეთ გამოჩნდა ის უსიამოვნო შეგრძნებები, რასაც ეს ტერმინი „ტრადიცია“ იწვევდა. „იმიტომ კი არა, — წერდა ბ-ნი რევაზ თვარაძე, რომ ტრადიციათა მიდევნების წინააღმდეგი ვიყო, სწორედ პირუკუ... იმიტომ, რომ ოთხმოცდაათიანი წლების შემდგომ ასპარეზზე მოვლენილი ახალგაზრდობა ზოგჯერ წარმოუდგენელ რასმე იქმნ: არამცთუ უგულვებელყოფს და უარყოფს ტრადიციებს, იმისთვისაც მზად არის, აგრესიულად შემტევი პოზიცია დაიკავოს და შეაჩვენოს კიდევ ტრადიციები. ასე ხდება, სახელდობრ, ლიტერატურის სფეროშიც. არადა, სწორედ ლიტერატურაა ის დარგი, სადაც ერთი ყველაზე თავმოსანონები მემკვიდრეობა დაგვრჩა ქართველებს“ (თვარაძე 2001: 3). რა თქმა უნდა, ავტორი აქ არ გულისხმობს სოციალისტური რეალიზმისა და პანეგირიკის დარგში დანერგილ ფსევდოტრადიციებს. ცოტა მოგვიანებით, ყურნალ „არილში“ მარსიანი კონვენციური ლექსის შესახებ გამოტანილ დასკვნაში წერდა, რომ „ამრეზილი დამოკიდებულება ტრადიციული ლექსის მიმართ კლასიკური პოეზიის ეპიგონთა მიმართ გამოვლენილ

რეაქციად უნდა მივიჩნიოთ და არა რუსთველურ-გალაკტიონური ტრადიციისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებად“... (მარსიანი 2004: 10). თუმცა დავამატებთ: ეპიგონობისგან არც თავისუფალი ლექსია დაზღვეული და ეს ე. წ. „აგრესიულობა“ შეიძლება ამანაც გამოიწვიოს. ეს არ ეხება ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ავტორებს და მათს ტექსტებს, რომლებშიც კარგად ჩანს, რომ ახლის შექმნის მცდელობა არ არის მიმართული შექმნილისა და არსებულის სანიანააღმდეგოდ: რაც ფასეულია, რაც ღირებულია. გივი ალხაზიშვილთან, რომელიც თანაბრად ფლობს ტრადიციულ და თავისუფალ ვერსიფიკაციას, გვხვდება „გადამუშავებული მასალა“ სხვა ტექსტებიდან, ალუზიები და რემინისცენციები, რაც ქმნის ახალ მხატვრულ სივრცეს მის პოეზიაში. ეს უფრო შესამჩნევია ალხაზიშვილის 90-იანი წლების პოეზიისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მისი ლირიკული ციკლი „ქაცვია მწყემსი“ — შეხება კლასიკასთან პერსონაჟთა იგივეობით, ქცევის მოტივებით, მოქმედების სივრცით. განსხვავება დროშია და გათანამედროვეებულ პერსონაჟთა ქმედებაში. გურამიშვილისგან აღებულ თხრობის სტილი, კლასიკურ ფორმებთან და განწყობილებებთან ამგვარი საღალბო შეთამაშება ამ ციკლის ლექსებში ირონიულ-პაროდიულ ნაკადს ქმნის. თავის მხრივ, ამას ავტორი გარკვეული კონცეფციის გამოსახატავად იყენებს. ამგვარ ინტერტექსტუალურ გადაძახილს გივი ალხაზიშვილი იმ შემთხვევისათვის იყენებს, რომელსაც წმინდა, დახვეწილი ლირიკა ვერ გუობს და რომელსაც ირონიულ-პაროდიული თუ გროტესკული კონტექსტი უფრო ესადაგება. ეს მის ბოლოდროინდელ ლირიკაშიც ხშირად იგრძნობა. ალხაზიშვილისთვის მაინც ერთ-ერთი პოეტური საშუალებაა ეს. იგი მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი შემოქმედია, უხვიც თავისი ლირიკული ტექსტებით.

გივი სულაკაურის მაგალითზე, რომელიც 80-იან წლებში იწყებს, ხოლო 90-იანში სრულად ამჟღავნებს თავის პოეტურ პროტენციას, ასევე შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ინტერტექსტუალურ გადაძახილს. რემინისცენციები მისთვისაც თვითგამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა. მასთან შინაგანად ბოლომდე განცდილია ყველაფერი — გარდასულის ღირსსახსოვარი რეალიები, არსებულის ტრაგიზმი თუ ავტობიოგრაფიული პასაჟები, ცხოვრებისეული ეპიზოდები, მოგონებები. მთლიანობაში — თაობის სულიერი პორტრეტი „სიკვდილის ნიშნით“, რომელიც თურმე მხოლოდ თამაშია — ბედისწერით მისჯილი. მისი პოეტური თამაშის ხელოვნება დაკვირვებული მკითხველისთვის ხშირად ხდის საცნაურს პოეტურ ფრაზებს, სინტაგმებს, ასოციაციებს ნაცნობი განწყობიდან. უფრო მეტად ეს არ არის თვალშისაცემი, კონკრეტულად მოსახელთებელი, მაგრამ მაინც არსებულია და გრძნობადი, რაც მთავარია — პოეტური, შთამბეჭდავი. შეიძლება დავიმონწოთ რამდენიმე პასაჟი მისი ლირიკიდან, სადაც გმირის შინაგან ხმას ფსიქოლოგიური განწყობა წარმართავს, სადაც მარტივი ყოფითი

დეტალები თუ ფერწერულად წარმოსახული სურათები მოულოდნელად სხვა შინაარსით ივსება... ვთქვათ – ზამთრის ლამის პეიზაჟებით, თოვლით და ყოველმხრივ მოუწესრიგებელი სამყაროს დისჰარმონიის შეგრძნებით... როცა ყველაფერი დაშლილია, ამოყირავებულია, ხედვისა და ქცევის ვექტორი შებრუნებული და შეცვლილი... შედეგად — იძულებითი თვითუარყოფა და გამომშვიდობება ბუტაფორიულ ჩიტებთან, ცოცხალი მასალისგან – ლექსისგან წარმოქმნილებთან. მეტაფორა „ზამთრის ლამეში“ ყოფიერების მძფრად ტრაგიკულ და კომმარულ ხედვას აღბეჭდავს, — ეს სულის ზამთარია... „ზამთარი შენში“... ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ გიგი სულაკაურის 90-იანი წლების ლირიკის უმნიშვნელოავენეს თემად იქცევა. სიკვდილშემდგარი დროის ბუტაფორიული სიტყვაა „ზამთრის ლამის ყალბი სიტბო“, თოვლი – სულის ზამთარი მასთან ხშირად ასოცირდება გალაკტიონის ტექსტებთან.. გალაკტიონთან დაკავშირებით რემინისცენციები და ციტატა – პერიფრაზები ასოციაციურ კავშირშია მის არაერთ ლექსში.

მანც რატომღაც მიხაროდა
წყალწყალა თოვლი –
აღბათ, მახსოვდა,
რომ ამ წიგნში ჩაკერებულ ბიჭების დროს
თოვლი იყო ცისფერი და
გენიალური,
იყო ლურჯიც, იისფერიც...

ეს იმ ყველაფრის Deja-vu, რაც იყო საყვარელი დროის ფანტიმი. აქ ცხადად ჩანს ინტერტექსტუალური გადაძახილი – სხვა დროსთან, სხვადასხვა თემაზე, ჩვენს მეხსიერებაში მკაფიოდ ჩარჩენილ პოეტურ სტრიქონებთან, გარდასული დროის ხილვების გასაძლიერებლად. დროის განცდა გიგი სულაკაურისთვის ჩვეულებრივი სულიერი მდგომარეობის შესატყვისია. იგი თითქოს ცდილობს ნამსხვრევებად ქცეული დროის მოკრებას (მომენტალური Deja-vu). „იისფერი თოვლი“ აქ გალაკტიონის კონცეფციასთან გადაძახილია, მონატრებაა, ნოსტალგიაა იმ ყველაფერზე, რაც ახლა უკვე წიგნში ჩაკერებულ ბიჭების სიცოცხლეში იყო. თითოეული ასოცირებული ფრაზა თუ სიტყვა, ზოგჯერ ძნელად შესამჩნევი, ტექსტში ქვეცნობიერად ჩართული და არა საგანგებოდ, — აძლიერებს ლირიკული სუბიექტის ემოციას, შესაბამისად – მკითხველის განწყობას.

გიგი სულაკაურთან ხშირად გვხვდება მთვარე, როგორც სახე-ხატი, თავისი სიმბოლური მნიშვნელობით, ნაირფეროვანი ფარული ასოციაციებით შეცვლილი, ახალ-ახალ კონტექსტში. მოგეხსენებათ, მთვარემ დიდი ხანია „დაკარგა“ პოეტური მიზიდულობის უნარი, თითქოს ამოწურა თავისი შესაძლებლობები, როგორც შთაგონების წყარომ... „მინის ცქერით დაიღალა მთვარე“... წერტილი დასვა გრანელმა... გიგი სულაკაურთან მთვარის ხატი სრულებით არ ქმნის

„არამოდურის“ უხერხულობას. პოეტი სიცოცხლეს უბრუნებს მას, თუმცა რა შუაშია მთვარე?.. მისდამი დამოკიდებულებაში თვითონ სიტყვა გაცვდა, „დაილალა“, ამოიწურა, თორემ მთვარეს ისევ შეუძლია, თანაგრძნობით დაგხედოს და სულიერი განწირულობის, ყრუ მარტოობის ჟამს არ დაგტოვოს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუკი შეძლებ და მთვარის მანამდე უხილავ ერთ სხივს მაინც აღმოაჩინ. ასეთად ხედავს პოეტი მთვარეს.

მაშინ მითხარი —
კიდევ რამდენჯერ დავიყმუვლო,
კიდევ რამდენჯერ შევალენო
ეს ნალველი, ირონია და მარტოობა
ამ სანყალ მთვარეს...
მთვარის მეტი ხომ ამ ლამეში
არავინ მყავს („მთვარე მშვიდი“ — გალაკტიონის წყნარი

მთვარე...)

ლექსის თარიღია 2000 წელი. ხომ არ არის ეს „რეაბილიტაცია“ სხვის მიერ უმართებულოდ „შეურაცხყოფილი“ მთვარისა?..

რემინისცენციით – რამდენიმე პარალელის შესახებ: „ტყე მაინც იყოს, სადაც ირმის ნაკვალევში ჩარჩენილ წყალში თვალს მოვკრავდი მთვარის გვირგვინს, თუნდაც გატეხილს“ (გ. სულაკაური)... „სოფლის გუბეში გაჩრილ მთვარეს“ (გ. ლეონიძე) გვაგონებს, მაგრამ ეს ორი განსხვავებული პოეტური ფერწერაა მშვენიერების ერთ შეჩერებულ კადრზე. ასეთი შემთხვევა შეიძლება აიხსნას იმით, რომ „ჩვენ საერთო ატმოსფეროთი ვსუნთქავთ და ძალზე ხშირად ერთმანეთისაგან თითქოს სრულიად დამოუკიდებლად ერთმანეთის მსგავს შედეგებამდე მივდივართ ხოლმე“ (მარსიანი 2004).

ასევე, უსათაურო ლექსის („მე ვარ გოლიათი“) ერთი პასაჟი: „ველოდები დიდ წყალდიდობას – როდემდე უნდა ვეგდო რიყეზე, მე ხომ მკვდარი გოლიათი ვარ, ჩემი ადგილი არის ზღვის ფსკერზე – სისხლისმსმელი თევზების ბაღში“ (გ. სულაკაური); „ნეტავი ახლა ჩემი ივრის ფსკერზე მეძინოს (ბ. ხარანაული); ესეც საინტერესო პოეტური პარალელია, სადაც ხარანაულისთვის იდილიაა მდინარის ფსკერზე სამუდამო ნოლა, სიკვდილი თითქოს სამუდამოდ კარგავს თავის შემზარავ ძალას: „ზემოთ მთვარე, მე მდინარეში და სოფლის ბოლოს – თებერვალი, შემძვრალი ხეში!“... გ. სულაკაურის ლირიკული გმირი კი ხელშესახები მატერიალურობით უკიდურესად ამძაფრებს სიკვდილის შეგრძნებას.

ისახება ორგვარი ნატვრა: ბ. ხარანაულთან – პოეტური: გიგი სულაკაურთან – ზღაპრული, ჰიპერბოლიზებული: გოლიათი (და არა კაცი), ზღვა (და არა სოფლის მდინარე) და სისხლისმღვრელი თევზების ბაღი – სამოთხის იდილიის ინფერნალიზაცია.

ზაზა თვარაძის შემოქმედებითი გზა არის გზა პოეზიიდან პროზისკენ და – პირიქით. საბოლოოდ ის მაინც პოეზიას ირჩევს იმ

უცნაური არგუმენტით, რომ მოთხრობის წერა უფრო ეზარება, პოეზია – არა, ანუ მასში პოეტია მეტი, უფრო სწორად – პოეტური. იგი თითქოს უარს ამბობს მოდურობაზე, რალაცას „უფროსის“, რალაცას ვერ ელევა. კითხვაზე, რა გავლენას ახდენს მის პოეზიაზე მოდურობა, იგი პასუხობს: „მოდურობა ჯობია, არ გაითვალისწინო. მოდურობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სტილი. სტილი არის თვითონ მწველის მთელი შინაგანი სამყარო და მოდურობა რალაც ფერუმარილივით არი – თუ აიღებ, მე მგონი, ნააგებ. მოდურობა უფრო თემატიკაშია, ვიდრე სტილში“ (თვარაძე 2005: 4). იგი ხშირად მიმართავს სტილიზაციას და პაროდისას, მათ შორის – ქრესტომატიულ კლასიკას. ზაზა თვარაძე, შეიძლება ითქვას, უფრო ძლიერი ჩანს, როცა კლასიკურ სტილს უბრუნდება. ამ შემთხვევაში თემატური სიახლე, სათქმელი ქმნის მისი პოეზიის ეფექტს.

რაც შეეხება ზვიად რატიანს, 90-იანი წლები, როცა მისი ლექსები იბჭდება, დასაწყისია პოსტსაბჭოური ეპოქისა, რომელმაც მოიტანა თავისუფლება, დამოუკიდებლობა – სამწუხარო ქართველებით და პარადოქსებით... და მაინც – რაც არ უნდა მტკივნეულად მივიღოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ეს მონაკვეთი, ფაქტია, რომ სიტყვა გახდა თავის-უფალი, შემოქმედისთვის სიტყვა თვითგამოხატვის იმ საშუალებად იქცა, რომელსაც შენიღბვა, ალეგორია, ტაბუირება აღარ სჭირდება. ამან ერთბაშად გამოაცალა პოეზიის სპექტრს ამაღლებულობის, მშვენიერების ხიბლი და ეფექტი. შემოქმედს შეუზღუდავად მიეცა საკუთარ არსში ჩაღრმავების საშუალება (რაც ჯერ კიდევ 50-იანი წლების II ნახევრიდან იღებს სათავეს ქართული ლიტერატურაში). ე. წ. პოსტსტალინური ლიბერალიზაციის შემდგომ, საკუთარ თავთან ცენზორის გარეშე დარჩენილი (შინაგანი და არა გარეგანი ცენზორის) ადამიანის ემოციები და პრობლემები არანაკლებ მტკივნეული გამოდგა. „გარდა იმისა, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა რეალიებმა ახალი წინააღმდეგობრივი ფონი შექმნეს“ (ბ. ნიფურია) თავისუფალ შემოქმედს, სიტყვით თამაშის ხელოვანს, უფრო ინტენსიურად დაეუფლა ეგზისტენციური შიში. მაღალი იდეალებისაგან მოცალეობამ იგი არნახულად შეძრა და ააფორიაქა. 90-იანელი ლირიკოსებისათვის ვერსიფიკაციული თვალსაზრისით ქართული ლექსისთვის ახალი გზების მონახვა თითქმის შეუძლებელი იყო. თავისუფალმა ლექსმა, რომელიც ამ თაობამ ძირითად გამომსახველობით იარაღად გაიხადა, უკვე მყარი ტრადიცია შექმნა მანამდე, მაგრამ ახლებმა ხედვის, გამოთქმის ალტერნატიული გზები აირჩიეს. გზებში ვგულისხმობთ იმას, რომ ამ თაობაშიც სხვადასხვა მიმართულება გამოიკვეთა. მათთვის საერთოა თანამედროვე ევროპული და ამერიკული პოეზიისკენ მიმართება (ზოგადად – ევროპეიზმი უცხო არ ყოფილა ქართული პოეზიისათვის, ამის აღნიშვნაც კი უხარხულია ალბათ, იმდენად ცხადია).

ზვიად რატიანს უდავოდ გააჩნია თავისი სათქმელი, საკუთარი ხელწერა და პოეტური მონასმი. შოთა იათაშვილი, როცა ქართულ პოეზიაში დასავლური გავლენების ისტორიაზე საუბრობს, მათ შორის, ზვიად რატიანზე, აღნიშნავს: „მის ლექსებში გადაამუშავებულია მასალა, ალბათული სულ სხვა ტექსტებიდან. აქ ალუზიებზე არაა ლაპარაკი: ალუზიები და რემინისცენციები რატიანთან თითქმის არ გვხვდება, ის „ციტირებს“, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლექსწერისა და პირად გამოცდილებასთან დამოკიდებულების სხვადასხვა ტიპებს. ამასთან, რატიანი სრულიად არ გამოიყურება მეორადად. მისი პოეტიკის აღწერა საკმაოდ რთულია: შეუძლებელია იმ ავტორების ზუსტად დასახელება, რომლებიც განსაზღვრავენ მის ძირითად ტენდენციებს... ისე კი, ალბათ მაინც შეიძლება ორი ავტორის გამოყოფა, რომლებთანაც გარკვეული თვალსაზრისით ახლოა რატიანი. ესენი არიან რობერტ ლოუელი და ბროდსკი“ (იათაშვილი 2004: 7).

გამომდინარე აქედან, ჩვენი აზრით, ზ. რატიანთან იმ შემთხვევას აქვს ადგილი, რომელზედაც აღნიშნავს რ. ბარტი: „ინტერტექსტი ანონიმური ფორმულირების ზოგადი ველია, რომლის წარმომავლობის დადგენა იშვიათ შემთხვევაშია შესაძლებელია“ (ბარტი 2005: 208). მაიკლ რიფატერისთვის „მკითხველის მიერ ტექსტების ურთიერთზეგავლენის აღმოჩენა შეიძლება იყოს მხოლოდ შემთხვევითი ასოციაცია, ერუდიტის მარჯვე აღმოჩენა“ (რიფატერი 2004: 66). სწორედ „შემთხვევითი ასოციაციები“ გვხვდება ზვიად რატიანის ლირიკულ ტექსტებში, თუმცა, საგულისხმოა ისიც, რომ ასეთ შემთხვევებში ბევრი რამ არის დამოკიდებული „მკითხველის სიმარჯვეზე“, აღმომჩენის შესაძლებლობაზე.

როცა ვმსჯელობთ ნებისმიერი პოეტის ტექსტებში სხვა ტექსტებიდან „მიღებულ მასალაზე“, ბურებრივია, უნდა კარგად ვიცნობდეთ იმ სხვას, მაგრამ, რაც სახეზეა ზემოდასახელებული პოეტების ტექსტებიდან, ის ავლენს რატიანის ლირიკის სიახლოვეს მათთან მხოლოდ ზოგად-პოეტური ეფექტებით, სათქმელის დეტალიზაციით (განსაკუთრებით რობერტ ლოუელთან, თვითონაა მთარგმნელი).

როცა ვმსჯელობთ, რომ იგი, ამისდა მიუხედავად, ინდივიდუალურია, ამის საფუძველს გვაძლევს მთელი მისი პოეზია: პიროვნული ხასიათის სიმკვეთრით, საკუთარი სივრცის დაუნჯებით, გნებავე – საკუთარი პოზითაც, პირდაპირი გაგებით (დაბნეულობის, გზაარეულობის, განზილების, სასონარკვეთის, გაოგნების, განმარტოების, ქანცგანყვეტის და ა. შ. დროს...).

ლექსებში „მცირე ელეგია მამისათვის“, „შრომაღამე“, „წერილი საიდუმლო დედას“, „მეგობარი ფანჯარა“, „მთვარე ხვალისთვის“ იგრძნობა ასოციაციური ფრთხილი (ლექსის გაუცნობიერებელი გავლენა) შეხებები სხვა ტექსტებთან, ასევე — საკუთართან. „მთვარე ხვალისთვის“ (სათაურია) – ის შეჩერებული ნამია, როცა „წყლის

ყურადღება მიიპყრო მთვარემ“ (სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე – ლეონიძესთან), რეალურად – ადამიანის, პოეტის ყურადღება მიიქცია მთვარემ „და გაჩნდა რაღაც პირობითად... სიყვარული“... „და ძნელი იყო მოხელთება იმ ერთი წამის, რათა მოგესწრო თვალის დახუჭვა და შეგენახა მთვარე ხვალისთვის“ (შენახული შთაგონებით — ი. აბაშიძე), „როცა აღარ იქნები გარეთ, როცა აღარ იქნები მთვარალი, როცა იჯდები მაგიდასთან“. მაგრამ ამ აწყობილ კომპოზიციას, ფინალში დროსთან მიმართებაში დარღვეული სინტაქსური წყობა ენაცვლება. ესეც რატიანის სტილია, რასაც არაერთხელ იყენებს წარმატებულად, რომ გამოარჩიო, იგრძნო, განასხვაო...

მე დავყურებდი შუალამის მდინარეზე არეკლილ მთვარეს,
რომლის შესახებ ხვალ ვერ დავნერ. ხვალ იჯდები
მაგიდასთან
და დიდხანს წერდი ლექსს მთვარეზე,
რომელიც გუშინ არ გინახავს...

რატიანის ბოლოდროინდელ ლექსებში უფრო და უფრო გვხვდება ალუზიები, ციტირებები ხალხური პოეზიიდან, ანდაზებიდან, რუსთაველიდან, გურამიშვილიდან, თანამედროვე პოეტებიდან. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ის გამორჩეულია და არა მხოლოდ რიცხვით, არამედ შესრულების მანერით, გამოსახვის საშუალებით. ეს მისი პოეზიის ბუნებრივი, ორგანული ნაწილია, რაღაც განსხვავებული ხიბლით.

საბოლოოდ, მთელი მათი შემოქმედების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საგრძნობი ნოვაციებითა და არდავინყებული ძველის გაახლებით ისინი ქართული პოეზიის ტრადიციების უწყვეტი გამგრძელებლები არიან. გ. ალხაზიშვილის სტიქია მაინც კონვენციური ლექსია, იგი ბევრს წერს და ამდენად საკმაოდ აქვს პოეტური თამამის ხელოვნებით შექმნილიც, ერთნაირი ოსტატობით ქმნის ტრადიციულსა თუ ნოვატორულს, თავისუფალ ლექსს. ზვიად რატიანისთვის არსებითია ვერლიბრი, მაგრამ ბოლო წლებში მიმართავს კონვენციურ ლექსს, რომელშიც ასევე იგრძნობა პოეტის ნიჭიერება და უშუალობა („წერილი საიდუმლო დედას“, „გზები და დღეები“, „ავტოსაგზაო შემთხვევა ანუ როდის წერენ გარდაცვლილები“ და სხვ. (ციკლებია)... თეორიულად მისი მიზანი ორივე შემთხვევაში ერთია: „ცივი პოეზია და არა ცხელი“!..

ტრადიციული ლექსისკენ შემობრუნება საერთოდ იგრძნობა ბოლო წლების ქართულ პოეზიაში და ეს კანონზომიერი მოვლენაა. ამის მოსალოდნელობაზე ადრევე მიანიშნებდნენ კრიტიკოსები და მკვლევარები – ა. ხინთიბიძე, გ. ბენაშვილი, თ. დოიაშვილი, ლ. ბრეგაძე, თ. ბარბაქაძე...

რამდენადაც ჩვენი ახალი პოეზიის ყურადღება განსაკუთრებით მიმართულია ევროპულისა და ამერიკულისაკენ (რაც სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია), საგანგებოდ გავიხსენებთ ამერიკელი

კრიტიკოსის საგულისხმო სიტყვებს: „ვიდრე იარსებებს კაცობრიობა და ენა – მისი მემატანე, — პოეზია იქნება ადამიანის უმთავრესი სულიერი საზრდო, პოეზია არის ხელოვნება, რომელიც არსებობდა დამწერლობის გაჩენამდე და ის ტელევიზორსაც მოინელებს და ვიდეოთამაშებსაც, მთავარია, დარჩეს ისეთად, როგორც არის – სხარტი, უშუალო, ემოციური, დაუვიწყარი, მუსიკალური“ (ჯოია 2005: 56). მისივე თვალსაზრისით, დღევანდელი პოპულარული ამერიკული პოეზიის (რეპი, სლემი, კავბოური პოეზია...) ნიშანდობლივი ტენდენციაა მისი ორიენტაცია *ლექსის ჟღერადობაზე*, რაც სულ უფრო მეტად დამახასიათებელი ხდება ე. წ. ამერიკული „ნიგნიერი“ პოეზიისათვის“ (თუმცა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან და შემდგომ ამერიკული ლიტერატურის მკვლევართა დასკვნებში რითმა და მეტრი მოძველებულ ტექნიკად მიიჩნეოდა. ეს ე. წ. ელიტარული და ევროპული ფენომენი დისკრედიტირებული იყო და დემოკრატიულ ამერიკულ ლიტერატურაში სრულიად უადგილოდ მოიაზრებოდა).

დამონებანი:

- თვარაძე 2005:** თვარაძე ზ. წერა შემოძლია, მაგრამ სხვა რამეებიც შემოძლია. არილი, 5, თბ.: 2005.
- თვარაძე 2001:** თვარაძე რ. საუბრები ქომაგში. ქომაგი, 5(55), თბ.: 2001.
- იათაშვილი 2004:** იათაშვილი შ. „ჭაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავრგე ვაზაში“ (ქართული პოეზიის კულტურული ორიენტაციის შეცვლის შესახებ). არილი, 3-4, თბ.: 2004.
- კინწურაშვილი 2005:** კინწურაშვილი მ. ინტერტექსტის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. კავკასიის მაცნე, 13, თბ.: 2005.
- მარსიანი 2004:** მარსიანი. განტვირთვა კლასიკასთან მიახლებით. არილი, 7-8, თბ.: 2004.
- რიფატერი 2004:** რიფატერი მ. ფორმალური ანალიზი და ლიტერატურის ისტორია. სჯანი, V, თბ.: 2004.
- ჯოია 2005:** ჯოია დ. თანამედროვე ამერიკული პოეზიის შესახებ, არილი, 2, თბ.: 2005.

ლია ნერეთელი

საქართველო, თბილისი

ტაბახმელა და ბეთლემი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ — სახისმეტყველება)

„ქართლის ცხოვრების“ თხრობას განსაზღვრავს ქრისტიანული მსოფლალქმა და სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგია. თითოეული მემატიანე ეფუძნება იმ სააზროვნო სისტემას, რაც კონკრეტულ-ისტორიული რეალობის გადმოცემას სრულქმნის.

ვცდილობთ რა ქართული საისტორიო მწერლობის კვლევას, იმთავითვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეუძლებელია, მემატიანის თხზულების „რეალისტური მეთოდით“ შესწავლა. აუცილებელია იმ სააზროვნო სისტემის სრული გათვალისწინება, რასაც მემატიანე ეფუძნება. „ქართლის ცხოვრება“ ისტორიული ქრონიკაა, ანუ თხრობის თემა ისტორიულია, ხოლო გამომსახველობითი საშუალებები აგოგრაფიული ჟანრის „მარტივობათა“ და „ცხოვრებათა“ ტრადიცია. თხრობაში ჩართული ბიბლიური მოტივები, წინასწარმეტყველთა და მოციქულთა ნააზრევი, ფსალმუნთა ციტატები და რემინისცენციები თხრობის პოეტური გამშვენება როდია, მათი ფუნქცია ყოველთვის განსაზღვრულია — კონკრეტული ეპოქის რეალობა მოიაზრება ბიბლიური დრო-ჟამის კონტექსტში, ერთი სურათი „ქართლის ცხოვრებიდან“ მიემართება მარადიულობას და როგორც სარკე, ისე აირეკლავს მზეს (მარადიულობას). ერის ცოდვა-ბრალის შეცნობა ღვთის თვალსაწიერში მოიხილება, ღვთის წყალობა და მფარველობა ცნაურდება, ექსატოლოგიური ჟამის გააზრება ცხადდება.

თითოეულ მემატიანეს, რომელსაც მეფის „ცხოვრების“ სრულად გადმოცემა სურს, თხრობის წარმართვისას ნიმუშად აქვს ბიბლიური მეფეთა ცხოვრებები. მემატიანე ითვალისწინებს ბიბლიური თხრობის ხატსახოვნებას და ხშირად ერთი კონკრეტული ბიბლიური მეფის ცხოვრების პარადიგმას სრულქმნის, მეფეს ამსგავსებს ამა თუ იმ წმიდანის ღვანღს. როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს: „ბიბლიური ხატები და სიმბოლოები განსაზღვრავს ძველი ქართველი ავტორების მხატვრულ აზროვნებას. ბიბლიური ეთოსი კვებავს მათ სულიერებას. ბიბლიური პიროვნებები და მოვლენები ცოცხლობენ მათ ხილვებში. ჰაგიოგრაფთა და ჰიმნოგრაფთა სინამდვილის შთამაგონებელი წყაროა ბიბლია“ (კიკნაძე, 1990:7).

საისტორიო მწერლობას ასევე განსაზღვრავს ბიბლია და წმიდანთა „ცხოვრებები“, ევანგელური თხრობა და ექსატოლოგიური საზრისი.

ამასთან, „ქართლის ცხოვრების“ თხრობა ღვთისშემეცნების გზაა. თხრობის წარმმართველია არა მხოლოდ მემატინანე, არამედ უხილავი „ხელი ღვთისა“, იგი ყოველწამიერი თანმდევია მოვლენებისა და ისევე ცხადდება სიტყვიერ ძეგლებში, როგორც ფრესკულ ხელოვნებაში „მაკურთხებელი ხელი“.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ სახისმეტყველურად მდიდარი ძეგლია. „ისტორიის“ თხრობას, რეალობის აღწერას თანადერთვის მეფის ღვანლის ქება და ხოტბა („აზმანი“). მემატინანის თხრობას განსაზღვრავს შუასაუკუნეობრივი აზროვნება და „იკონოგრაფიული პროგრამა“, რომელიც ამთლიანებს საისტორიო მწერლობას, მონუმენტური კედლის მხატვრობას, აგიოგრაფიას, ჰიმნოგრაფიას, ნუმისმატიკას. სიმბოლურობა, როგორც შუასაუკუნეების გამომსახველობითი ენა, ამ სააზროვნო სისტემას სრულქმნის.

შუასაუკუნეობრივი ხელოვნება გაიაზრება სიმბოლოს ოთხგვარი მნიშვნელობით — ბუკვალური, ალეგორიული, მორალური და ანაგოგიური. სიმბოლოს ამ ოთხი მნიშვნელობის ერთობლიობა სრულქმნის „შინაარსს“, რომლის „ნაკითხვა“ თითოეულის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია.

საისტორიო მწერლობის ოდენ „რეალისტური მეთოდით“ შესწავლამ XX ს-ის სამეცნიერო საზოგადოებას ერთგვარი უხერხულობა შეუქმნა. თხრობის სიმბოლური საზრისის, სიღრმისეული ანალიზის, საღვთისმეტყველო ტრადიციის გაუთვალისწინებლად, მემატინანეთა თვალსაჩინო იმდენად „დავინროვდა“, რომ დოგმატური ღვთისმეტყველების საწინააღმდეგოდ გარდაიქმნა. ამის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ თხრობის რამდენიმე ეპიზოდი, რომლის თანახმად, მეცნიერები „მეოთხე ჰიპოსტასის“ ცნებას ქმნიან და თამარ მეფის მემატინანის თხრობის სახისმეტყველებას, სიმბოლურ შინაარსს არ ითვალისწინებენ:

„ვითარცა მაშინ ნაბუქოდონოსორ სამთა ყრმათა ბაბილონელთა“... ასე იწყებს თხრობას მემატინანე, რასაც მოსდევს „სამებისა თანა ოთხად თანააღზევებული“, რაც „იკონოგრაფიული პროგრამა“ — „სამი ყრმა ბაბილონელის“ ბიბლიური ეპიზოდის თხრობაში განსაზღვრება, როგორც ტრადიციად იყო დამკვიდრებული ამ ეპიზოდის ფრესკულ ხელოვნებასა თუ ხელნაწერთა მინიატურებში ჩართვა.

თხრობის სიმბოლური შინაარსი სრულიადაც გამორიცხავს „სამების ჰიპოსტასის“ და „მეოთხის“ გააზრებას.

საისტორიო მწერლობის შესწავლა იკონოგრაფიული სახისმეტყველების მეთოდით ბევრწილად ცვლის „რეალისტური მეთოდით“ ნაკითხული თხრობის შინაარსს და, ვფიქრობთ, აგვარიდებს უხერხულ შეცდომებს.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს სახისმეტყველების ამ ერთი ეპიზოდის შესწავლის ცდა წარმოვადგინეთ სტატიაში „სამთა ყრმათა ბაბილონს“ თამარ მეფის „მეოთხე ჰიპოსტასად“ ცნობის ათვისტური თეორია“ (კრებ.: „შოთა მესხია — 90“, 2006).

ახლა შევეცდებით გავცეთ პასუხი იმ მეცნიერთა კითხვას, რომელთაც არ გაიზიარეს ჩვენი მოსაზრება და მიაჩნიათ, რომ მემატინეს სწორედაც თამარ მეფე „მეოთხე ჰიპოსტასად“ ჰყავს დასახული, იგულისხმება, რომ მემატინემ მეფე „გააღმერთა“, „შეცდომა დაუშვა“, „გადააჭარბა“ და ა. შ.

„მაშინ როგორ ავხსნით იმ ფაქტს, რომ მემატინე ტაბახმელაში ლაშა-გიორგის დაბადებას ადარებს ბეთლემში ყრმა-მაცხოვრის დაბადებას?!

განა თამარ მეფე ღვთისმშობელია და ტაბახმელა — ბეთლემი?!”

ამთავითვე განვმარტავთ, რომ თავისთავად ამგვარად დასმული შეკითხვა არასწორია, რადგან მემატინის თხრობას მხოლოდ რეალისტურად კითხულობს და არ ითვალისწინებს რთულ საღვთისმეტყველო სიმბოლიკას.

შეუძლებელია, რომ შუასაუკუნეობრივი აზროვნება დოგმატს, კანონიკას ეწინააღმდეგებოდეს. შეუძლებელია მემატინე, რომელიც უმეტესწილ სასულიერო პირია და ღვთისმეტყველი, მეფეს ისე გადაჭარბებულად „აქებდეს“, რომ ზომიერებამ უღალატოს და ადამიანური „ბუნების“, „ღვთიური ბუნების“, „სამების ჰიპოსტასის“ გააზრებაში შეცდეს. არასწორია დღევანდელი მკითხველი ადამიანის თვალსაწიერით რთული საღვთისმეტყველო შინაარსის მხოლოდ რეალურ ფაქტად აღქმა და სულიერი შინაარსის, საღვთო სიმბოლიკის უგულვებელყოფა. არასწორია შედარების, ეპითეტის, გაპიროვნებისა თუ სხვა მხატვრული საშუალებების მხოლოდ კონკრეტული აღქმის კონტექსტში მოაზრება.

შევეცადოთ, მემატინის თხრობაში სრულად ჩავწვდეთ საღვთისმეტყველო შინაარსის კონტექსტს:

„მიუდგა თამარ განწმენდილითა გონებითა და ტაძრისა ღმრთისა აღმსჭულაულისა სანთლითა სხეულისათა, მხურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა ტაბახმელასა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე სწორი ძისა ღმრთისა“ (ქართლის ცხოვრება 1959: 19).

მემატინე გულისხმობს თამარ მეფის წარმომავლობას: თხრობაში სიმბოლოს დონემდეა აყვანილი ისტორიული რეალობა და საიდუმლოებათა შემცველი სახეობრიობა. მთელი თხზულება ისე აიგება, რომ თამარ მეფე ღვთისმშობელს ემსგავსება. ბაგრატიონი მეფის მცდელობა მიემსგავსოს წმიდანს, მაცხოვარს, ღვთისმშობელს განმსჭვალავს „ქართლის ცხოვრებას“ და ეს სულაც არ არის უცნაური. მემატინე ჩამოთვლის ძველ მესიტყვეებს და პლუტარხოსს გამომარჩევს, თავად ცდილობს „პარალელური ბიოგრაფიის“ დარი

თხზულება სრულქმნას და თამარ მეფის „ცხოვრებას“ ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრების ქარგაზე აგებს. საღვთისმშობლო სიმბოლიკა სრულიად ცხადია თხზულებაში: ღვთისმშობლის დარად, თამარ მეფეს უყვარს ხელსაქმე. სიზმარმა გამოუცხადა და მეფემ თავისი ხელით დაართო მატყლი, მოქსოვა 12 მღვდელთმთავრის შესამოსელი.

„ხარების იკონოგრაფია“ განსახოვნდება ერთგვარად თხრობაში. ღვთისმშობელი ძაფს ართავს, ძონეული მოსავს, როდესაც ანგელოსი ეცხადება.

სიმბოლურია „ლომის ბოკვერის“ ეპიზოდის განსახოვნება მემატინის მიერ. თამარმა გამოზარდა სასახლეში ლომის ბოკვერი, რომელიც მეფის კალთაში ჩარგავდა თავს და ცრემლობდა თამარის სიყვარულით.

„ლეკვი ლომისას“ გააზრებას „ქართლის ცხოვრებასა“ და „ვეფხისტყაოსანში“ აქვს ბიბლიური წყარო და საზრისი:

ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო „იუდას ტომისგან“ მომდინარეობს. იაკობ მამამთავარმა იუდა ამგვარად დალოცა:

„ლომის ბოკვერია იუდა! არ ნაერთმევა კვერთხი იუდას და არგანი ფერხთაგან ვიდრე...“

„ვიდრე“ გულისხმობს მაცხოვარს. ასეა განმარტებული იაკობის დალოცვა, რასაც აღრმავებს „ფსალმუნთა“ სტრიქონები დავით წინასწარმეტყველის შთამომავალთა, სამეფო საგვარეულოების დალოცვას: „და-თუ-იმარხონ შვილთა შენთა ჰსჯული ჩემი და ნამებანი ჩემნი ესე, რომელ ვასწავლნე მათ და ნაშობნი მათნი დასხდენ უკუნისამდე საყდართა შენთა. რამეთუ გამოირჩა უფალმან სიონი და სათნო-იყო იგი სამკჳდრებელად თჳსა, რამეთუ მთნავს ესე“ (ფს. 131, 12-14).

ამგვარად, „ეფუცა უფალი დავითს ჭემმარტებითა“, ანუ ეს არის დავით წინასწარმეტყველის ხელდასხმა. სრულიად განსაზღვრულად ამ სტრიქონების წარწერას ისურვებს დავით აღმაშენებელი საფლავის ქვაზე.

თუ დავით აღმაშენებლის „ცხოვრება“ დავით წინასწარმეტყველის ცხოვრების ქარგას გულისხმობს, თამარ მეფის „ცხოვრება“ ღვთისმშობელთან მიმსგავსებას ესწრაფვის. ამასთან, რომ დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი ქართველი მეფეები, ბიბლიური მემკვიდრეობით „იესიან-დავითიან-სოლომონიანი“, ღვთისმშობლისა და მაცხოვრის გენეალოგიაში მოიაზრებიან.

თავად სახელი თამარ ბაგრატიონ მეფეთა სამეფო კარზე სრულიადაც არ არის შემთხვევითი; ბიბლიური შთამომავლობის სახელდებაა:

„ხოლო იუდა შვა ფარეზ და ზარა თამარისაგან“ (მათე 1, 3).

ქართველ ბაგრატიონ მეფეთა ბიბლიური წარმომავლობა დინასტიურ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას სრულქმნის.

ამ სიმბოლიკის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ კონტექსტის გააზრება.

ტაბახმელა და ბეთლემი, ლაშა-გიორგის დაბადება და მაცხოვრის შობა პარალელური თხრობის ფორმით არის შესრულებული. ტაბახმელა ბეთლემს ედარება, ხოლო ლაშა-გიორგი — „სწორი ძისა ღმრთისა“, რადგან თამარ მეფე ბიბლიური გენეალოგიით ღვთისმშობლისა და მაცხოვრის „ძირ-შტოა“, ღვთისმშობელთან მიმსგავსებულია თამარი სწორედ ამ ნათესაური სიახლოვის ძალით. თამარ მეფისაგან ლაშა-გიორგის დაბადება არ არის მხოლოდ ქართული სამეფო კარის სიხარული. ლაშა-გიორგის შობა „იუდას ძირ-შტოს“, „იესიან-დავითიან-სოლომონიანი“ მემკვიდრეობის, თავად ღვთისმშობლისა და მაცხოვრის გენეალოგიის ცხოველმყოფელობაა. ეს ნიშნავს, რომ იაკობისგან კურთხეული, ღვთისგან დალოცვილი დავით წინასწარმეტყველის სამეფო მემკვიდრეობის ძალა ცოცხალია ბაგრატიონ მეფეთა შთამომავლობაში. ამასთან, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით, თამარი დასახულია „დავითიანად“, ხოლო დავით სოსლანი — „ეფრემიანად“ (კეკელიძე 1956: 316; სულავა 2002: 59-64). თხრობის კონტექსტი ამ სააზროვნო სივრცეს გულისხმობს და სახისმეტყველურ გააზრებას არ სცილდება. თამარ მეფე, თამარის დედა ბურდუხან დედოფალი, როგორც ბაგრატიონთა შთამომავლობის გამგრძელებელი, დედობრიობის მადლით ღვთისმშობლის მფარველობაში მოიაზრებიან.

„ძე სწორი ძისა ღმრთისა“ ამ კონტექსტს გულისხმობს. ღვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანაში ღვთისმშობლისგან ბაგრატიონთა მემკვიდრეობის მფარველობას სრულქმნის. „სწორი“ აღნიშნავს მსგავსს, ფარდს, დარს, ანუ გათანაბრებულს. არ გულისხმობს იგი ჰიპოსტასურობას, ანუ „ბუნებით ღვთიურობას“, არამედ მხოლოდ მემკვიდრეობითობას, ნათესაურ სიახლოვეს.

ბაგრატიონი მეფეები ხალხურ ტრადიციულ აზროვნებაში სწორედ ამგვარად განსახოვნდებიან: „ღმერთთან წილდებულია“ თამარ მეფე, თქმულების თანახმად, სასწაულებრივად ჩაისახა ლაშა-გიორგი... გამოქვაბულში დაყუდებული ბერი თამარს დალოცავს, ჯვარს გადასახავს და ეტრატს მიართმევს, სადაც დიდებულთა გადანყვეტილება წერია. მეფე ამოიკითხავს ფსალმუნის სიტყვებს ნაყოფიერი და ბერნი ხის შესახებ და დაორსულდება. ცხრა თვის თავზე ვაჟი ეყოლება: „დაბადებითვე მსგავსი ბრწყინვალე ვარსკვლავისა“ (ხალხური სიბრძნე, III, თბ., 1964, გვ. 99).

ბაგრატიონები, ღვთისმშობლისა და მაცხოვრის გენეალოგიის ძალით, ხალხურ წარმოდგენაში ღვთიემიმადლებულნი არიან, სასწაულებრივი უნარით, განკურნების ძალით დაჯილდოვებულნი, „ოქროს სვეტი“ ადგათ, „ხმალი სჭრის ბაგრატინისა“, „ეტლი თან მიჰყვით ღვთისაო“. ბაგრატიონ მეფეთა გარდაცვალება არა სწამს ხალხს, ისინი მარადიული სიცოცხლით წარმოდგებიან... თამარ მეფე ციდან ჩამოსულმა ანგელოზებმა ოქროს აკვანში ჩააწვინეს და ზეცას გაფრინდნენ...

ერეკლე მეფე „არ მოკვდა, ღმერთთან ნავიდა, ძმა არის განაყარია“. ის, რაც მემატეიანეთა თხრობაში რთული საღვთისმეტყველო შინაარსით გადმოიცემა, ხალხურ აზროვნებაში რწმენით განსახოვნდება. ორივეს საფუძვლად უდევს ბაგრატიონთა ბიბლიური ჩამომავლობა და არა „ღვთისსწორობის პოლიტიკური თეორია“.

ფერთამეტყველების თვალსაზრისით, იუდას ტომის ფერი მენამულია, ძონეულია, ძვირფასი თვალი ძონეული, სმარაგდი და იაკინთი, პორფირი და ბისონი, მენამულისფერის სიჭარბე, გვირგვინსა და ჯვრებში, მეფეთა სამოსელში იაკინთი სწორედ იუდას ძირ-შტოს ბიბლიური სიმბოლიკის განსახოვნებაა და მაცხოვრისა საღვთისმშობლის მენამულისფერი შესამოსელის მიმსგავსებულობა.

ამრიგად, მემატეიანის თხზულება, რომელიც თამარის გარდაცვალების შემდგომ დაინერა, თამარის მეფობას ღრმადსიმბოლური შინაარსით აცისკროვნებს, „აზმანი“ შარავანდედით მოსავს მეფის ხატ-სახეს. სულიერი შინაარსი თხრობის წარმართვის აუცილებელი თანმდევია. უამისოდ, ვფიქრობთ, ირღვევა მემატეიანისეული გააზრება და უსამართლოდ იკარგება თხზულების ღმრთიესულიერი შინაარსი.

დამონებანი:

კეკელიძე 1956: კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. I, თბ.: 1956.

კიკნაძე 1989: კიკნაძე ზ. საუბრები ბიბლიაზე. თბ.: 1989.

სულავა 2002: სულავა ნ. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია და პოლიტიკური იდეოლოგია, კრებ.: ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემები (ეძღვნება პროფესორ ლევან მენაბდის დაბადებიდან 75-ე წლისთავს). თბ., 2002.

ქართლის ცხოვრება 1959: ქართლის ცხოვრება. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.: 1959.

დავით ნონოლაური

საქართველო, თბილისი

მხატვრული აზროვნება და ღირებულებითი ორიენტაციის რაობა

ყველა დროში და ნებისმიერ ქვეყანაში ხელოვანნი ვილაცის ან რალაცის მხატვრულ სახეებს ქმნიდნენ. ვილაცაში, ცხადია, იგულისხმება ადამიანი, მისი სულიერ-გონითი შესაძლებლობები, ხოლო რალაცაში — სამყარო — ბუნებისა და კაცთა ცხოვრების თავისთავადობა. შემოქმედმა თავისი პოეტური ნიჭი და მხატვრული ფანტაზია ორიგინალურად უნდა შეუფარდოს რეალობის მოვლენებს. მხატვრული აზროვნების წესი მუდმივად დაკავშირებული ისეთ ძირეულ ღირებულებით ფენომენებთან, როგორცაა: სამყარო-ბუნება, სოციალური ყოფა და ადამიანის სულის დაუდგრომელი მოძრაობა. ამავე მოვლენებიდან იბადებოდა ინდივიდთა სპეციფიკური ფილოსოფიურ-მეცნიერული და რელიგიური წარმოდგენების მთელი შინაარსიც. სამყაროს მხატვრული ათვისება კი იმით განსხვავდებოდა სინამდვილის მეცნიერული და რელიგიური ასახვისაგან, რომ იგი თავისუფალი პოეტური პირობითობების დამწვებით მისგან იდეალური საზრისით განსხვავებულ პოეტურ რეალობას ქმნიდა. შემოქმედებითი თავისუფლებით პირობებში მხატვრული მოთხოვნილება და ფანტაზია ბუნებაში, ცხოვრებასა და ადამიანის სულიერებაში უთვალავ თავისებურ მოვლენას პოულობს. ხელოვნების ქმნილებებში ხდება რეალობაში ნაპოვნი მოვლენების მასშტაბური განზოგადება, ან ზოგადი აზრის კონკრეტულ სურათებად წარმოდგენა. მხატვრული აზროვნების ეს წესი ყოვლისმომცველია და ამის გამო მას რეალობიდან მცირე რამ თუ რჩება პოეტურად აუთვისებელი. მწერლის დაკვირვების საგანი არ არის მხოლოდ მატერიალური გარემო. იგი სულიერი ქმედების უღრმეს პროცესებსაც სწვდება და აფასებს. შემოქმედი არ ცხოვრობს მხოლოდ ბუნებასა და სოციალურ გარემოში. მწერალი დედამიწაზე შექმნილი სიმბოლურ-მეტაფორული სამყაროს მკვიდრიცაა. ამიტომაც ნებისმიერი ნიჭიერი პოეტი საკუთარი თავის დაუცხრომელი მსაჯულია. იგი საკუთარი პოეზიის ხარისხითა და ღირსებებით განიკითხავს თავის თავს. ეს განკითხვა იმასაც გულისხმობს, რომ შემოქმედი თვითგამოხატვის სუბიექტურ უნარებსაც აფასებს. ამიტომაც მისი ცნობიერება წარმოსდგება მთელი სამყაროს დამტევ ურთულეს ფენომენად, რომელშიც ცნობიერისა და არაცნობიერის ურთიერთქმედების ლამის კოსმიური მასშტაბის პროცესები მიმდინარეობს.

შემოქმედის ფანტაზიამ უნდა თანაზიარად იქციოს ყველაფერი, რასაც კი მისი ხედვა, სმენა და, საერთოდ, სულიერება მისწვდება.

ხელოვანმა უნდა გახსნას ადამიანის ბუნების უთვალავი თავისებურება. ყოველივე აღნიშნულს პოეტი მიემართება როგორც განმცდელი, შემმეცნებელი, შემფასებელი და მხატვრულად გარდამსახავი, ანუ ახლის მქმნელი. იგი მუდმივად მიმართულია იქეთკენ, რომ მკითხველისათვის საჭირო, მშვენიერი და იდეალური რამ შექმნას. ამგვარი ქმნადობისათვის მომართული განწყობა, მხატვრული აზროვნება და წარმოსახვა განასახიერებს უჩვეულო მეტამორფოზებს, რაც ხშირად დროისა და სივრცის კონკრეტულ მოთხოვნებშიც ვეღარ თავსდება. ამგვარ პოეტურ ძალისხმევას შედეგად მოსდევს ისეთი მხატვრული სახეების დაბადება, რომელნიც ზედროულნია. მხატვრული აზროვნება და წარმოსახვა შემოქმედებითი პროცესის ყამს ისეთ დიად ერთიანობას ქმნის, რომელიც თავისკენ მიიზიდავს ადამიანის ცნობიერების ყველა სხვა უნარს. ხშირად ეს არის მხატვრულ ქმნილებათა პრობლემურობისა თუ პოლიფონიურობის საფუძველი. მხატვრული აზროვნების სისტემურობა პოეტურ სახეთა ურთიერთმიმართებებსა და ნაწარმოების სიუჟეტში გამოიხატება, თუმცა, ცხადია, აქ სრულად ვერ გამოჩნდება შემოქმედებით-მხატვრული პროცესის თანმხლები ყველა დეტალი. ამიტომაც ლიტერატურისმცოდნეობა ნებისმიერი მწერლის თხზულების შეფასებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ავტორის ან სხვათა მიერ გამოთქმულ აზრებს კონკრეტული ქმნილების შემოქმედებითი ისტორიის შესახებ. საერთოდ, ასეთი მასალის შეფასებიდან იწყება მხატვრული ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზი. მხატვრულმა წარმოსახვამ წინასწარ უნდა წარმოადგინოს მიახლოებითი მოდელი, რომელიც ხშირად მოულოდნელი მოქმედების განხორციელებასაც არ გამორიცხავს. მწერლის ფანტაზია არღვევს გეგმებს და ზოგჯერ რადიკალურად ცვლის ჩანაფიქრს. როცა მხატვრული აზროვნება საბოლოო ფორმით დაამკვიდრებს ერთი ნაწარმოების სიუჟეტს, იწყება სხვა პოეტური ჩანაფიქრის რეალიზება და შემოქმედის წარმოსახვაც სხვაგვარად გადაწყობა, რათა გამოძერწოს ახალი ქმნილების შინაარსი და ფორმა. აქ, პოეტური აზროვნების პროცესში ჩართულია შემოქმედის ცნობიერების ყველა უნარი. პოეტური მოთხოვნის რეალიზებისთვის შემოქმედის ცნობიერება ახდენს საკუთარი სულიერი შესაძლებლობების კონცენტრირებას. მხატვრული ფანტაზიისა და წარმოსახვის როლი ძალიან იზრდება მაშინ, როცა მწერალი დაკვირვების ობიექტის შესახებ საკმარის ცოდნას ვერ ფლობს. ასეთ ვითარებაში მხატვრული აზროვნება ფაქტების თავისებური მეტამორფოზით ახდენს ცოდნის კომპენსაციას და მთელი ძალით ემყარება ინტუიციას და ღირებულებებით ორიენტაციის დიდ შემოქმედებებს.

მწერლის მხატვრული აზროვნება თვალნათლივი ანალიტიკურ-სინთეტური ბუნებისაა. ანალიტიკურ-სინთეტური შესაძლებლობები

პოეტური აზროვნებისა მოიცავს ადამიანის გრძნობად-
ინტელექტუალური უნარების მთელ სისტემას.

ასეთი ძალით აღჭურვილი ერთობა პოეტური აზროვნებისა და წარმოსახვისა შემოქმედებით-მხატვრული პროცესის მიმდინარეობის ყამს ერთგვარ გაბატონებულ სახეს იღებს და ადამიანის სულიერი უნარების მთელ სპექტრს მოიცავს. ეს მტკიცე კავშირი მხატვრული აზროვნებისა და წარმოსახვისა ბუნებრივ-სოციალური გარემოდან მოპოვებული ნაირგვარი ღირებულებების ბაზაზე, მათი ახლებური იდეურ-მხატვრული ფუნქციების გამოკვეთის ძალით ამკვიდრებს თვითმყოფად პოეტურ ფასეულობებს, მათ შესატყვის სიტყვიერ რეალობას.

მწერალი ამ მიზნის მისაღწევად ნაირგვარ მოვლენებს ერთმანეთთან აკავშირებს, აზვიადებს ან აკნინებს მათ თავისთავადობას, წარმოადგენს ტიპურს, ცხადყოფს მარადიულს თუ წარმავალს და ყოველივეს ორიგინალური ნაწარმოების მხატვრული მოქმედებით გააცოცხლებს. ამ დროს შემოქმედებითი აზროვნება, ფანტაზია და წარმოსახვა შეიძლება ძალიან გააქტიუროს და ნაყოფიერიც გახადოს ეროვნული და საკაცობრიო საქრობების მხატვრულ ღირებულებებად დამკვიდრების რაციონალურმა მოთხოვნილებამ.

მხატვრული ნაწარმოების სისტემურობაში გარკვეული ხარისხით იკვეთება თვით შემოქმედის აზროვნების თავისებურებები, მისი ცნობიერების ინტელექტუალური, რწმენითი და მხატვრულ-ესთეტიკური ნაკადების ფუნქცია. ყოველი ახალი ნაწარმოების შექმნა ავტორისგან ითხოვს მათი სტრუქტურის ერთიმეორისგან ძირეულ განსხვავებას, ფორმისა და შინაარსის თვითმყოფადობის გამოკვეთას. ეს დაუსრულებელი შემოქმედებითი პროცესი მწერლისაგან ღირებულებათა ორიგინალური ურთიერთმიმართებების მნიშვნელობის გახსნას და ამგვარი შეინაარსისათვის შესატყვისი სიტყვიერი ფორმის მიცემას გულისხმობს. მხატვრული ინტერესები, შემოქმედებითი პროცესის ბუნება ღირებულებითი ორიენტაციების ოსტატურ გამოყენებას ეფუძნება.

ფაქტია, რომ გენიალურ შემოქმედთაც კოსმოსის, ცხოვრების, და ინდივიდების ცნობიერების საიდუმლო ბოლომდე არ ეხსნება. პოეტური განცდა-განწყობილებების მარადიული მოძრაობა ცვალებადობის ერთ-ერთი მიზეზი აღნიშნულიცაა. ამასთანავე, ხელოვანის მხატვრული ჩანაფიქრი ყოველთვის არ იქცევა რეალობად. იგი ხშირად რჩება მწერლის არსებაში შესასრულებელ, ანუ გარკვეული დროით გადავადებული ოცნების სახით. ამგვარი ნაოცნებარი ან სრულდება ან არა, თუმცა ახალი ნაწარმოების შექმნის მოტივად კი შეიძლება დიდხანს დარჩეს.

ნიჭიერი მწერლების თვალსაზრისით მხატვრული აზროვნების საფუძველი სინამდვილის უსაზღვრო მრავალფეროვნებაა. ეს მრავალფეროვნება გენიოსებმაც ვერ შეაფასეს ისე, რომ მისი

მრავალი საიდუმლო ამოუხსნელი არ დარჩენოდათ. ამიტომაც, რეალობასთან ხელოვნების მიმართების რთული შინაარსის ახსნა-გაგებას მრავალი შემოქმედი, ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და ლიტერატურისმცოდნე ცდილობდა. ამ პრობლემის მიმართ საგანგებო ინტერესი ვაჟა-ფშაველამაც მრავალჯერ გამოავლინა. მისი განმარტებით, მხატვრულ ნაწარმოების შექმნის პროცესში ის, რაც სუბიექტის გარეთ არსებობს შემეცნების, ღირებულებათა შეფასების, რწმენისა და პოეტური მოთხოვნების ძალით ხელოვანის ცნობიერების შიგნით გადაინაცვლებს და ამ ცნობიერების ნაირგვარ ფენომენტთა ურთიერთზეგავლენის მეშვეობით ორიგინალურ პოეტურ სახეებად იქცევიან. სინამდვილიდან ათვისებული მოვლენები უშუალოდ შეერწყმიან მხატვრული აზროვნების ნაირგვარ უნარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ობიექტური სუბიექტურზე ზემოქმედებს, ხოლო განცდილი, წარმოსახული ობიექტური კი სუბიექტური შინაარსით ივსება.

ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისით, მხატვრული აზროვნების ბუნება და მასში მოქმედი ფენომენტების მნიშვნელობა შემოქმედების ნაყოფში, მხატვრულ ქმნილებაში უნდა გამოიკვეთოს. სწორედ მანვე უნდა ნათელყოს მხატვრულ ფასეულობათა ნაირგვარი ასპექტებიც. ეს კი თავისთავად გულისხმობს, რომ უკუ კავშირის ძალით შეფასდეს მწერლის ორიგინალურობა. ნაწარმოებში უნდა გამოჩნდეს ავტორის არა მარტო ნიჭი, არამედ თეორიული და მხატვრული აზროვნების მრავალმხრივობაც. პოეტი აღნიშნავს, რომ მხატვრული აზროვნება ითვისებს მთელ სინამდვილეს და გვიჩვენებს მასში არსებული უთვალავი ღირებულების იერარქიული კავშირების სისტემურ ხასიათს.

ვაჟა-ფშაველა „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევდა მე-12 საუკუნის საქართველოსა და იმ დროის ქართველთა ეროვნული სულის გამომხატველ შედეგად. იგი წერს, რომ რუსთაველი „... ღვიძლი შვილთა თავისი ერისა, მისი სულის, სისხლის და ხასიათის წარმომადგენელია, რომელშიც მთელს ერს მის კულტურულ ავლადიდებას, როგორც ფოკუსში, მოუყრია თავი. იგი იმავე დროს სარკეა თავის ერისა, არაჩვეულებრივი, არამედ ცოცხალი, მისი ნაწარმოებიც მუდამ ცოცხალია, სადაც ხალხი თავის-თავსა ჰხედავს, თავის „მე“-ს, თავის ვინაობას შესტრფის და შესტრფის იმასაც, ვინც ეს სარკე ისე მოაწყო, რომ ერმა ამ სარკეში ჩახედვით იცნოს თავისი თავი. დიად, შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“, ასე რომ არ იყოს, ხომ ქართველებს ასეთი სიყვარულიც არ ექნებოდა შოთასი“.*

ვაჟასეულ ასეთ შეფასებაში, ცხადია, მოცემულია რუსთაველის მხატვრული აზროვნებისა და წარმოსახვის მასშტაბების

* ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, გვ. 304, შემდგომ ამ გამოცემის ტომი და გვერდი ტექსტში მიეთითება.

დახასიათებაც. მაშასადამე, „ვეფხისტყაოსანი“ პოეტურმა ცნობიერებამ, მხატვრულმა ნიჭმა და ფანტაზიამ სარკედ წარმოადგინა, რომელშიც დიდი სიმართლით აისახა მთელი ერის სულიერ-გონითი შესაძლებლობები, მისი ხასიათი და კულტურული ავლადიდება. ვაჟას სიტყვით, საზოგადოდაც, „გენიოსს არ შეუძლიან იგრძნოს ეს ცხოვრება ნახევრად, მესამედად ან მეოთხედად, არამედ ჰგრძნობს მთლად, ერთობლივ“ (IX, 295). პოეტის თვალსაზრისით, გენიოსის ფანტაზია ყოვლისმომცველია. იგი მუდმივად აკავშირებს ერთიმეორესთან ბუნებრივ, სოციალურ და პიროვნულ-ინდივიდუალურ მოვლენებს. ამიტომაც, მისი მრწამსით, ნიჭიერია ის მწერალი „ვისაც დიდად უყვარს ადამიანი, დიდად მონადინებულია გააბედნიეროს იგი, ვისაც დიდად უყვარს ცხოვრება და ენიაზება მისი გაუკეთესება. ამისათვის საჭიროა დიდი გრძნობა, დიდი ცოდნა ადამიანის სულისა და მისი ცხოვრებისა“ (IX, 298). ამასთანავე, ვაჟა-ფშაველას გაგებით, „გარეშე ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრებისა არ არის პოეზია: ვისაც კარგად ესმის ბუნება და ცხოვრება, თუნდა ლექსებს, დრამებს, რომანებს არ წერდეს, მაინც პოეტია. არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასახელოთ რომ მისი მსგავსი თვით ბუნებაშიაც არ მოიპოვებოდეს... რაც უნდა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიოს კაცობრიობის ცხოვრებამ, მაინც მასში უნდა სჩანდეს ისევე ბუნება საერთოდ... ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენშია. საით, როგორ შეგვიძლიან იგი თავიდან ავიშოროთ, იმას გავექცნეთ, დავემალნეთ?! ცოცხალნიც მისნი ვართ და მკვდარნიც“ (IX, 394-395). უფრო მეტიც, ვაჟა-ფშაველა გვაუწყებს, რომ „ამ პატარა არსებას — ადამიანს, თითქოს მთელი ბუნება თავის ვინაობაში მოუთავსებია... ნამდვილად ასეა, დიდება და სახელი მწერალს, რომ ეს შეუნიშნავს“ (IX, 395). ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ-კრიტიკული ნეტილებიდან მოტანილი ეს შეფასებები ცხადყოფს, თუ როგორ ესახებოდა მას მხატვრული აზროვნებისა და წარმოსახვის კავშირი სამყაროს დიად ერთიანობასთან, ბუნებრივ-სოციალურ მოვლენებთან. ბუნებასთან ადამიანის, პოეტის დამოკიდებულების მრავალმხრივი შინაარსის გასაგებად ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული წერილების გარდა თუ ვაგვისენებთ მის ლირიკას, პოემებს: „ბახტრიონს“, „გველის მჭამელს“, „მთათა ერთობას“ და მრავალ პროზაულ ქმნილებას, ნათელი გახდება, თუ შემოქმედის აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა სამყარო-ბუნებას მხატვრული აზროვნებისა და წარმოსახვისათვის. პოეტი დიდი მწერლების შემოქმედებითი ინტერესების ფუნდამენტურ პრინციპად ღრმა დაკვირვებით მიგნებულ ამ აზრს მიიჩნევდა: „ვინც ბუნების ავი და კარგი შეიგნო, იმას არ გაუძნელდება ცხოვრების ვითარების გაგება. მხოლოდ უნდა მწერალი უყურებდეს ცხოვრებას, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ბუნების თვალებით“ (IX, 396). ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიურ-ესთეტიკური და მხატვრული ნააზრევი ბუნების კანონზომიერებათა სისტემას, ანუ კოსმიურ მთელს „საბრძნო

ნიგნად“ მიიჩნევს. ნიჭიერმა შემოქმედმა უწინარეს ყოვლისა ეს „საბრძნო ნიგნი“ უნდა წაიკითხოს და მხატვრული აზროვნებისა და წარმოსახვის შემაპირობებელ ფენომენად აღიაროს. ამას გულისხმობს პოეტის სიტყვები, მწერალი ცხოვრებას „ბუნების თვალებით“, უნდა უყურებდესო. ვაჟა-ფშაველას აღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ მხატვრული აზროვნება, წარმოსახვა და ფანტაზია ბუნებისა და საზოგადოების ცხოვრების შუაგულში უნდა მოექცეს და იქედან პოეტურად გაანათოს სამყარო-ბუნებისა და კაცთა ისტორიული ურთიერთობის, ბუნებისა და სოციალური ღირებულების საზრისი, მისი ჭეშმარიტი იერარქიული შინაარსი. გარემოში ოდითგანვე დამკვიდრებული ღირებულებები ნიჭიერ მწერლებს აძლევენ საშუალებას იპოვონ ახალი ორიენტირები, ახალი კავშირები, რათა პასუხი მისცენ დროის მოთხოვნებს. ვაჟა-ფშაველა „ბუნების თვალებით“ მაყურებელ გენიოსებად რუსთაველს, შექსპირს, სერვანტესს და გოეთეს ასახელებდა. კერძოდ, აღნიშნული აზრით, რუსთაველის ქმნილების შესახებ ამბობდა: „ვეფხისტყაოსანში“ ყველაფერი ბუნებრივია, მთელი სხეული და მისი სული და გული. უწესო ბუნების წინააღმდეგ იქ არაფერი მოიპოვება, იმიტომ უკვდავია ეს ნაწარმოები... ვიდრე ბუნებაა თავისი ძალით მმართველი კაცთა სიცოცხლისა, „ვეფხისტყაოსანიც“ იქნება ჩვენთვის გონების მმართველი...“ (IX, 397). ამგვარი ფილოსოფიური აზრისა და პოზიციის საფუძველზე ვაჟა-ფშაველამ კატეგორიულად და შეურყეველი არგუმენტებით უარყო პოეზიის წარმავლობის, მისი მოკვდავობის შესახებ გავრცელებული მაშინდელი აზრი. მისი მრწამსით, მხატვრული აზროვნება, წარმოსახვა, ფანტაზია და იდეალი მანამ იარსებებენ, სანამ ბუნება იქნება თავისი ძალით, თუ კანონზომიერებებით მმართველი კაცთა სიცოცხლისა. მხატვრული აზროვნების, პოეზიის ძალას, მის საკაცობრიო ფუნქციებს და თვითმყოფადობას, მეცნიერება და რელიგიური რწმენა ალტერნატივას ვერასოდეს შეუქმნის, ისევე, როგორც ხელოვნების დარგები ვერ შეენაცვლებიან რელიგიურ გრძნობას და მეცნიერულ შემეცნებას. ამგვარი აზრის გამოთქმით ვაჟა-ფშაველამ ცხადყო მხატვრული აზროვნებისა და წარმოსახვის განუზომელი ღირებულება და ავტონომიურობა. სინამდვილის ათვისების პროცესში, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავდა პოეტისათვის იმას, რომ მეცნიერულ შემეცნებას და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს მხატვრული აზროვნება გაუვალთ კედლით ემიჯნებოდა და მათ მიღწევებს საკუთარი მიზნებისათვის არ იყენებდა. მეცნიერული შემეცნება, რელიგიური რწმენა და მხატვრული აზროვნება მათი თვითმყოფადი ბუნების მიუხედავად, რომ ერთიმეორის განუყრელი მოკავშირენი არიან ამას ადასტურებს ვაჟა-ფშაველას მთელი ცხოვრება და შემოქმედება. პოეტის მრწამსით, პოეზიას, მეცნიერებას და რელიგიას ერთიმეორის მიმართ გაბატონებული თუ აღმატებული ფენომენის პოზიცია არ უნდა ეჭიროს, თუ კი სურს, რომ სიცოცხლეს როგორც

ერთ-ერთ უალტერნატივო და დიად ღირებულებას სარგებელი მოუტანონ. პოეტს სჯერა, რომ თუ სიცოცხლე არ იქნება სრულქმნილი ან იგი საერთოდ არ იარსებებს, მაშინ მათი ფუნქციების არსებობაც ეჭვქვეშ დადგება. ვაჟა-ფშაველას გაგებით, უნივერსუმმა შექმნა სამყაროსა და სიცოცხლის ერთიმეორეზე დამოკიდებული მიმართებები. სათავე დაუდო ცოდნის, რწმენის და მხატვრული წარმოსახვის თანასწორუფლებიანობას სიცოცხლის სრულქმნის პროცესში. ამიტომ სამყარო-ბუნება და სიცოცხლე თანაბარი საფუძველია რწმენის, მეცნიერებისა და ხელოვნებისა, თუმცა ისინი სიცოცხლის ზოგადი დანიშნულების წინაშე აღსასრულებელი ვალის გამოვლენის ფორმით ერთიმეორისაგან დიდად განსხვავდებიან. ასეთი შინაარსის მსოფლხედვასა და პოეტურ მრწამსს ეფუძნებოდა თვითონ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ინტერესები, მისი საზღვარდაუდებელი ფანტაზია. ასეთი ყოვლისმომცველი მსოფლგაგების მქონე მწერლის შემოქმედებაში ამათუიმ ფილოსოფიურ-რელიგიური „იზმის“, რომელიმე ქმნილების უძირაღეს მოტივად აღიარება არასწორი იქნებოდა. ვაჟასთვის დასაბამიერი ბუნებრივ-სოციალური ღირებულებების საზრისის გამოხატვაა მთავარი და არა ის, თუ რა როლი აქვს ცვალებად მოძღვრებებს პოეტურ აზროვნებაში. იგი არ არის ისეთი მოაზროვნე და მხატვარი, რომ ყველანაირ თეორიას ემორჩილებოდეს. პოეტს მეცნიერების, რელიგიისა და ხელოვნების აღმასვლის საფუძვლად სამყარო-ბუნების და კაცთა ცხოვრების თავისთავადობა, ამ თავისთავადობის უშუალო ათვისება მიაჩნია. ასეთი ინტერესით გადანვდა ვაჟა-ფშაველა უძველეს მითოსურ-რელიგიურ თქმულება-გადმოცემებს, როგორც შემოქმედებით წყაროებს. პოეტმა მრავალგზის გამოავლინა სიმპათია მთიელ ხევისბერთა რწმენის, საქმიანობისა თუ პიროვნული ღირსებების მიმართ. მან ისეთ ყოვლისგანმსაზღვრელ ზნეობრივ გრძნობას, როგორც სინდისია, პოემა მიუძღვნა. პოემა „სინდისში“ ამ მრავლის მეტყველი ღვთაებრივი გრძნობის უღრმესი საზრისი გახსნა ყოველგვარი იზმებისგან თავისუფალ, კერძოდ, აბელისა და კაენის ოჯახურ გარემოში. ამით ვაჟა-ფშაველამ გვითხრა, რომ მხატვრული აზროვნების პროცესისათვის თეორიულ მოძღვრებებს განსაკუთრებული ძალა არ ჰქონდა. მისი გაგებით, ადამიანთა ბედისა და ხასიათის არსის გასარკვევად მთავარი იყო ბუნებასთან, ცხოვრებასთან უშუალო და თავისუფალი მიმართება. ვაჟა-ფშაველას პოეტური წარმოსახვისა და ფანტაზიისათვის უძველეს მასალას, ხშირად, ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მარად არსებულ ბუნების ქმნილებებს: მთას, არწივს, ქუჩს, იას, მთის წყაროს და სხვას.

პოეტის მხატვრული აზროვნება ეძიებდა შთაგონების ისეთ წყაროებს, რომელნიც ცხადყოფდნენ ადამიანის დასაბამიერ, შეუმღვრეველ სულიერ-გონით შესაძლებლობებს, უშუალო ზნეობრივ გრძნობებს. ვაჟა ამბობდა, რომ ბუნება და ცხოვრება ხშირად „თეორიების მთხზველთა“ სურვილებს არ მიყვება და ამიტომ

მხატვრული შემოქმედება და მისი დანიშნულება პირდაპირ უნდა მიემართებოდეს სინამდვილის მოვლენებს. პოეტის რწმენით, „კაცობრიობის ცხოვრების ღერძის“ სიმტიცე განპირობებული იყო არა სწრაფნარმავალი თეორიებით, არამედ ბუნებისა და ცხოვრების მარადმოქმედი კანონზომიერებების ძალით, მათი უშუალო წვდომა-შეფასების შესაძლებლობებით. ხილულ რეალობასთან ასეთ მხატვრულ-ესთეტიკურ მიმართებას ეფუძნება ვაჟა-ფშაველას მხატვრული აზროვნება და შემოქმედებითი ინტერესები.

ვაჟა-ფშაველას თეორიულ-ლიტერატურული ნააზრვეი გვაუწყებს, რომ პოეტის მხატვრული აზროვნება და წარმოსახვა უნდა ემყარებოდეს ბუნებისა და ცხოვრების თავისთავადი წესრიგით განსაზღვრულ მოვლენათა სისტემურობას.

მწერალმა მრავალჯერ დაახასიათა მხატვრული აზროვნების სპეციფიკური მთლიანობა და მასში შემავალი ცნობიერების უნარებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ღირებულებებით ორიენტაციას მიაკუთვნა. შეიძლება ითქვას, რომ ვაჟამ ღირებულებებით ორიენტირების მოვლენის სიტყვიერი ხელოვნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არაერთხელ აღიარა. პოეტის რწმენით, მხატვრული აზროვნების თავისუფლებისათვის ღირებულებებით ორიენტაცია დიდი ნაყოფის მომტანი იყო. ამის საფუძველი კი ის არის, რომ ღირებულებათა სუბიექტური არჩევანი და შეფასება ახლოსაა შემოქმედებით სილალესთან, პოეტური განწყობა და იდეალის სამომავლო მიზანთან.

ვაჟა-ფშაველას თეორიულ ნააზრვესა და მხატვრულ პრაქტიკას შორის სრული ჰარმონია სუფევს. პოეტის მრწამსით, მხატვრული აზროვნება, წარმოსახვა და ფანტაზია, ღირებულებებით ორიენტაციის ფენომენთან ერთად შემოქმედებითი სიხლის დამკვიდრების საფუძველია. მწერლის ფიქრით, სინამდვილესთან მიმართებისას აღნიშნული მოვლენები გამოამზეურებენ სამყაროს როგორც მატერიალურ, ისე სულიერ-მხატვრულ ფასეულობებს.

მხატვრული აზროვნება, წარმოსახვა და ღირებულებათა შემეცნება-შეფასება, ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისით მთელ, რეალურ და სულიერ-იდეალურ სინამდვილეს მოიცავს. ამის გამო განუზომელი მნიშვნელობა აქვს მწერლის შემოქმედებით-მხატვრული მიზნების რეალიზებისათვის შემოქმედის საარსებო გარემოს სტრუქტურის ყოველმხრივ ათვისებას. აღნიშნულის გარეშე შეუძლებელია მწერლის ნაწარმოებების იდეურ-მხატვრულ ღირებულების ცხადყოფა.

განუყოფელი სახისა იყო ვაჟა-ფშაველას საარსებო და შემოქმედებითი მოღვაწეობის პირობები. იგი ერთდროულად ცხოვრობდა ფშავის გვაროვნულ-თემური და საქართველოს ბარის ფეოდალურ-ბატონყმურ საზოგადოებრივ გარემოში. ეს ორნაირი ყოფა არა ამრტო სოციალური სტრუქტურის ძირეული ნიშნებით განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან, არამედ ადათებითა და მორალური გრძნობების თვითმყოფადობითაც. ვაჟა-ფშაველას

მხატვრული ქმნილებებისათვის ძირითადი წყარო მაინც მთის მოვლენები და სულიერი ფასეულობები იყო.

პოეტმა მთელი სიცოცხლე ფშავში გაატარა და უშუალოდ შეითვისა ფშაველთა ათასწლეულებამოვლილი თავისებური ცხოვრება. ფხოვი (ფახუვა), მეცნიერების აზრით, ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან იხსენიება ხეთურ დოკუმენტებში. ეს კუთხე მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე ინარჩუნებდა გვაროვნულ-თემური ცხოვრების ძირითად წესებს, მთელ რელიგიურ და მითოსურ რწმენა-წარმოდგენებს, ე.ი. ღირებულებათა მთელ ტრადიციულ სისტემას. ყოველდღიური ცხოვრებით ვაჟა განასახიერებდა ფშაველი კაი ყმის სულიერ სარდაფებსა და ხასიათს, თუმცა იგი კაი ყმებისაგან განსხვავდებოდა თავისი ცხოვრების შემოქმედებითი, შინაარსით და ფილოსოფიურ-პოეტური აზროვნებით. პოეტის უმთავრესი შემოქმედებითი მიზანი ეთნოგრაფიული ღირებულებების ეროვნულ და საკაცობრიო მხატვრულ ფასეულობად გადაქცევას გულისხმობდა. ეს ნიშნავდა ერთიმეორის მსგავსი და განსხვავებული ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების თავისუფალ პოეტურ შეფასებასაც. ამ ღირებულებათა მთლიანობა მოიცვა ვაჟას პიროვნულმა განწყობამ და მხატვრულმა აზროვნებამ, მან ფშავური უძველესი, მითოლოგიური და პრემითოლოგიური რწმენა-წარმოდგენები და ახალი მოვლენები ერთიმეორესთან შეადუღა და თავისი უკვდავი პოეტური სახეების კუთვნილებად აქცია. მხატვრულად მოდელირებული ფშავური ეთნოგრაფიული მასალა და ფშავურივე დიალექტის ათასწლეულებამოვლილი პოეტურ-ენერგეტიკული პოტენციალი მწერლის შემოქმედებისათვის უნიკალური აღმოჩნდა. მრავალგვარ ღირებულებათა კავშირებს უშუალოდ დააფუძნა ფილოსოფიურ-აქტიოლოგიური ინტერესებიცა და მხატვრული ფანტაზიის უსაზღვრო მასშტაბებიც. ამასთანავე, ვაჟა-ფშაველას პოეტური აზროვნების თავისებურებას განსაზღვრავდა ისიც, რომ ფშავის გვაროვნული-თემური საზოგადოება არ იყო წედებრივად, უფლებრივად, ქონებრივად და, რაც მთავარია, რელიგიურ-ზნეობრივი მრწამსის მიხედვით დახარისხებულ-დიფერენცირებული. ბუნებრივმა თანასწორობა-სამართლიანობამ აქ ადამიანების თავისებური თვითცნობიერება, ხასიათი და ხალხური პოეტური იდეალები ჩამოაყალიბა. ფშაველებმა არავის მისცეს უფლება დაერღვია ან შეეცვალა მათი თეოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული გვაროვნულ-თემური ცხოვრება. მათ ხანგრძლივად დაარწმუნეს საქართველოს მეფეები იმაში, რომ მთის გარემოსთან შეფარდებული უკლასო, უკონფლიქტო გვაროვნულ-თემური წესები უკეთესი იყო.

ფხოვი უბადლოდ იცავდა მტერთაგან საქართველოს საზღვარს. ფშაველები ყოველთვის ერთგულად ედგნენ გვერდით საქართველოს მეფეებს დიდი საქვეყნო საქმეების მოგვარების ჟამს. მეფეებიც, ალბათ, ამის გამო არ ხელყოფდნენ მათს ძირეულად განსხვავებული

სოციალური ცხოვრების თავისთავადობას. რუსული კოლონიალიზმის ხანაშიც ფშაველები ახერხებდნენ მამა-პაპური ადათ-წესების საფუძველზე წარმართათ თავიანთი ცხოვრება. ბოლოს, XX საუკუნის 30-იანი წლებიდან სოციალისტურმა რუსეთმა მთის ფერდობებზე არსებულ ფშავეურ თემ-სოფლებს შეუქმნა კოლმეურნეობები, პარტიული ორგანიზაციები. მონოპარტიულმა მცდარმა იდეოლოგიურ-ეკონომიკურმა სისტემამ ღია თუ ფარული ხრიკების გამოყენებით, ოთხი ათეული წლის განმავლობაში ბოლო მოუღო თემურ ყოფას, და ეს კუთხე ნასოფლარებად გადააქცია. ფშავის დაძლიის და დაცლის მიზეზებს ვაჟა-ფშაველა ველარ მოესწრო.

მოკლედ აღწერილი ფშავის ვითარება ნათელყოფს, თუ როგორი იყო მწერლის საარსებო გარემო, მისი მსოფლხედვის, მხატვრული აზროვნებისა და წარმოსახვის ამოსავალი მოვლენების ბუნება. ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისით, დედამიწის ნებისმიერ მივარდნილ-მივიწყებულ კუთხეში დიდ ხელოვანს შეეძლო აღმოეჩინა ზოგადასაკაცობრიო რანგის სულიერ-გონითი ღირებულებები. ამ ღირებულებებს განუზომელი ძალა ჰქონდა შემოქმედებითი განწყობის შესაქმნელად და მხატვრული წარმოსახვის გასაცხოველებლად. თვითონ ვაჟას შემოქმედის მხატვრულ-წარმოსახვითი მიმართებები მიაჩნდა პოეტური ფასეულობების დამკვიდრების ამოსავლად. მისი ფიქრით, შემოქმედების წყარო ყველა მწერალს სჭირდება, მაგრამ მთავარი მაინც ავტორის სუბოიექტური სულიერ-გონითი შესაძლებლობებია. მწერლის მსოფლხედვამ, ნიჭმა და ესთეტიკურლმა გემოვნებამ ნაირგვარი ბინებრივი და სოციალური ღირებულებების საგანძურში უნდა აღმოაჩინოს სიახლის მშვენიერება და ეს მშვენიერება ღირებულებითი ორიენტაციის ფენომენზე დააფუძნოს. მხატვრული სახეების შექმნის პროცესში კი ღირებულებითი ორიენტაციების მოხმობა, ვაჟა-ფშაველას მრწამსით, უშუალოდაა დაკავშირებული „უნახავის დანახვის“ მარადიულ ადამიანურ ნყურვილთან.

რამაზ ჭილაია

საქართველო, თბილისი

გარესამყარო მხატვრულ ტექსტში

პიროვნების წარმოჩენის რელისტური კონცეპცია გულისხმობდა ორგვარ ოპოზიციას: ადამიანი და სამყარო — ადამიანი და ადამიანი. რა თქმა უნდა, ამგვარი დაყოფა პირობითია: ერთი მხრით, სამყარო ადამიანით სულდგმულობს, მეორე მხრით — „მე“-ს დაპირისპირებული სხვა ადამიანიც ხომ სამყაროს აცნობიერებს. ეს თვალსაზრისი უინტერესო არ უნდა ჩანდეს, იგი შესაძლებელია საფუძვლად დაედოს XIX საუკუნის რეალისტური რომანის ტიპოლოგიას.*

სინამდვილე, რომელსაც მხატვრული ნაწარმოები გვაზიარებს, ემპირიულ რეალობასთან მკითხველის ესთეტიკური მიმართების შედეგია. რეალისტურ ხელოვნებაში მხატვრული სამყარო გრძნობადი და მატერიალური სანყისების სისავსით ხასიათდება. იგი ყველა ბუნებისმიერი სტიქიის ერთობლიობათა და ე.წ. „ხელქმნილი“ ბუნების (შენობები, ავეჯი და მისთ.) შერწყმის შედეგია. ამ სამყაროში არსებობენ ადამიანები, ყალიბდება ურთიერთმიმართებანი, არსებობს საზოგადოება და მიედინება დრო-ჟამი. თუმცა კი, საგნებიც, ბუნების მოვლენებიც, პიროვნებანიცა და თავად ისტორიული პროცესიც სინამდვილის მხოლოდ კონცეპტუალურად დატვირთული ანარეკლია.

ლიტერატურულ სახეთა პლასტიკურობა იმითაა ნიშანდობლივი, რომ გმირთა პორტრეტების წარმოჩენასთან ერთად, ვეცნობით საგნობრივ მრესაც, რომელშიც გმირებს უნევთ არსებობა.

მწერლისეულ სააზროვნო სივრცეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იმ საგნობრიობის ასახვის რაგვარობა, რომელთა

* XIX საუკუნის რომანის ტიპოლოგიაზე საუბრისას, რუსულ (და არამარტო რუსულ) კრიტიკულ სააზროვნო ველში განარჩევენ რომანის ტოლსტოისებურ და დოსტოევსკისებურ ტიპს (საზიარო თვისებების მქონედ მოიაზრებენ ტოლსტოის და ტურგენიევის რომანებს, რომელიც განსხვავდება დოსტოევსკის ნაწარმოებისაგან). მ. ბახტინი, შესაბამისად, მათ მონოლოგიურ და პოლიფონიურ რომანებად ახარისხებს. ტოლსტოისებური ვარიანტი წინ წამოწევს ისტორიულ, სოციალურ, პოლიტიკურ, ყოფით სანყისს; დოსტოევსკისთან წამყვანია ზნეობრივი და ფილოსოფიური სანყისი. აქვე დავძენთ, თუ ბახტინი, დოსტოევსკის შემოქმედებით, ყოველმხრივ ცდილობს პოლიფონიურობის დამკვიდრებას, ქართული ესთეტიკური მსოფლმხედველობისათვის იგი სრულიად ორგანულად ჩანს. ქართული სახისმეტყველებითი ველი ვერ ეგუება ერთმოვანებას, ერთფეროვნებას, ერთსახოვნებას.

გარემოცვაშიც ადამიანს უწევს არსებობა.* ნივთი, საგანი განუყოფელია ადამიანისეული ყოფისგან. ქართული ესთეტიკური მსოფლმხედველობის კლასიკური ფორმა (პირველ რიგში რუსთაველი და ვაჟა) სულიერ სანყისს, როგორც წესი, განუყოფლად აუღლებს ნივთებთან, მატერიალურთან. კულტურაში არ არსებობს „წმინდა მატერიალური“ ან „წმინდა სულისმიერი“ მოვლენები; ნივთიერი (ნივთი), როგორც კულტურისმიერი საგანი, იქმნება როგორც თავისი მატერიალური საგნობრიობით, ასევე, სხვა საგნებისადმი (ნივთებისადმი) მიმართებითაც.

ყოველი ეპოქა ბადებს მისთვის დამახასიათებელ ნივთიერ სახეს. ამ მხრივ, ნიშანდობლივია ბაროკო და კლასიციზმის პერიოდი, რომელთაც საგრძნობი დალი დაასვეს კულტურის ნივთიერ არეალს.

ხელოვნება, სახისმეტყველება სულიერების სფეროა, ამდენად, ნივთიერზე მსჯელობა ერთგვარად აკნინებს მას. ლიტერატურათმცოდნეობითი მისწრაფებანი უფრო „მაღალს“ გულისხმობს, თუმცა ყოველთვის უწევს საგნობრივთან და ნივთიერთთან შეხებას.

მწერლისეულ თვალსაწიერში მოიაზრება აქსიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა პრობლემები; მაგრამ მწერლის მზერა უცილებლად ეხება, ასევე, ნივთიერ თუ საგნობრივ სფეროსაც. მხატვრული აზრის განვითარება, საზრდოებს რა ცხოვრებისეულ მოვლენათა მრავალფეროვნებით, საყრდენს ეძებს საგნობრივ განსახოვნებაში.

მხატვრული ნაწარმოების ქსოვილში განფენილი „საგნები“, მათი სიმრავლისა და ნაირფერობის მიუხედავად, ურთიერთდაკავშირებულნი არიან და წარმოქმნიან მეტ-ნაკლებად შეკრულ მთლიანობას.

მხატვრულ ლიტერატურაში ასახული საგნები, თავისი არსით, ესა თუ ის ერთეული საგნებია. მწერლობაში ასახვას პოულობს არა ადამიანისა თუ ადამიანურობის ზოგადი იდეა, არამედ ცალკეული ადამიანები. ამავე ნიშნით, ლუარსაბის სახლ-კარი თუ ოთარაანთ ქვრივის სამოსახლო, ერთეული, ინდივიდუალური საგანია, მსგავსად ზაალ არაგვის ერისთავის „კლდოვან კიდის თავზე ღრუბლიდან გამოსული უზარმზარი ციხე-დარბაზისა, რომელიც შეუპოვრად გადმომდგარიყო და სანუგემოდ გადაჰყურებდა არემარეს“ („ბაში-აჩუკი“).

ბუნება და საგნობრივი შრე (ნივთიერი სამყარო) რთულ ურთიერთმიმართებაშია. თუ ბუნების სამყარო გახსნილია, თავისუფალია და მიმართული „კოსმიურისაკენ“, საგანი, პირაქეთ, დახშულია, დამოკიდებულია და შექცეულია „კოსმიურს“.

* საგანი, ნივთი უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა ისტორიული პოეტიკის პოზიციით. ემპირიული საგანი საფუძველია მხატვრულისა. ხაზგასასმელია, რომ ეს პრობლემა, ნაკლებადაა ნაკვლევი

ბუნება თავისთავადი არსის შემცველია, ნაკლებადაა დამოკიდებული ადამიანზე. მაშინ როდესაც, საგანი (ნივთი) „მიბმულია“ ადამიანს და მის გარეშე აზრი ეკარგება, ადამიანით სულდგმულობს. ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული საგნების მომეტებული ნაწილის თვითმყოფადი ხასიათის გამოყოფით უნდა გავხაზოთ, რომ ეს საგნები გარკვეული სტრუქტურული („ფორმალური“) ნიშნებითაა აღჭურვილი. ყოველი საგანი ნიშან-თვისებათა სიმრავლით გამოირჩევა. იმავდროულად, როგორც ავეუსტინე ნეტარი წერს — „საგნები იმგვარია, როგორც მათ ღმერთი ჭვრეტს“. ამით, იგი საგნის იდეაზე მიგვანიშნებს.

ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი პოლ რიკორი თავის ყველაზე გახმაურებულ ნაშრომში „დრო და თხრობა“ („**Temps et recit**“), რომელიც მიზნად ისახავს საკაცობრიო კულტურის ერთიანობის დასაბუთებას, აღნიშნავს — სიტყვათა მთხზველი ჰქმნის არა საგნებს, არამედ კვაზი-საგნებს; ის მოქმედებს ფორმულით — „უკეთუ ამგვარად“, „ამგვარად რომ ყოფილიყო“. ამ აზრით, არისტოტელესეული ტერმინი „**mimesis**“-ი იმ ზღვარის სიმბოლოა (სადღეისოდ დამკვიდრებული ტერმინოლოგიით), რომელიც აპირობებს სწორედ ლიტერატურული ნაწარმოების ლიტერატურულობას.

Н.М. ХАЙБУЛАЕВА

Россия, Дагестан, Махачкала

Формирование образа Кавказа и кавказцев в русской публицистической литературе XIX века (по материалам газеты «Кавказ»)

Одним из определяющих факторов формирования образов и стереотипов являются особенности развития исторических связей между народами, характер и длительность их складывания. В этом плане изучение особенностей трансформации образа кавказца в русской публицистической литературе представляет значительный интерес.

Публицистика оказывает значительное влияние на общественное мнение, может дать установку на восприятие того или иного социального явления, объекта действительности. Соответственно образы и стереотипы, созданные в публицистических материалах XIX века о Кавказе, продолжают оказывать длительное влияние на массовое сознание.

Задачей нашего исследования является анализ публицистических произведений, опубликованных в газете «Кавказ», что позволяет определить уровень восприятия Кавказа и кавказцев, выяснить, что конкретно привнесено в понимание Кавказа российским обществом в первой половине XIX века; позволит получить более результативные ответы на вопросы о характере горца, о национальной жизни, о восприятии его идеологии. Таким образом, мы можем обозначить доминирующие в последующем в русской публицистической и художественной литературе типичные конструкции, традиционные образы и стереотипы кавказца.

Для России газета «Кавказ» сыграла особую роль. Она положила начало знакомству русского общества с горным краем, была «неистощимым магазином» (В. Белинский) для русской «кавказской» литературы, откуда черпалась информация для сюжетов и образов, впоследствии претерпевающих различные авторские и литературные трансформации. Как писала газета, русские писатели впервые «воспели неувядаемую прелесть Кавказа, семейный и общественный быт горцев, суровые патриархальные обычаи... любовь их к свободе, мощь духа...» («Кавказ» 1899:№1).

В.Г.Белинский, характеризуя газету «Кавказ», писал: «Это издание, по своему содержанию столь близкое сердцу даже туземного народонаселения, распространяет между ним образованные привычки и дает возможность грубые средства к рассеянию заменить полезными и благородными» (КЭС 1955:321).

О Кавказе писали политические деятели и дипломаты, чиновники и офицеры, учёные и духовные лица, литераторы и любознательные путешественники. Научные труды, официальные донесения, обозрения, дневники, описания путешествий, письма к издателям журналов, к родным и друзьям – все это повествует о Кавказе. Необходимо отметить, что многие труды проходили, так сказать, апробацию на страницах «Кавказа» (И. Н. Березина, Е. Л. Маркова, Н.П. Семенова, В.А. Сологуба, П. Егорова и др.) и уже затем выходили отдельными изданиями, публиковались в сборниках или перепечатывались другими газетами и журналами.

В исследуемый нами период пресса не обладала такой политической силой и влиянием, которое она имеет сейчас. Не существовало института военных корреспондентов, кратковременные контакты с краем, недостаток литературного опыта начинающих публицистов определяли характер и качество публикуемых материалов.

Нагромождение разнородной информации: естественно-географические и исторические сведения о Кавказе, о культуре, быте и нравах, традициях и характере народов – составляло содержание этих трудов.

Освещение темы Кавказской войны занимало лидирующую позицию среди публицистического материала о Кавказе, так как на тот период возникла необходимость определения собственных позиций по отношению к войне на Кавказе и к его народу как непосредственно русской общественности, так и представителей творческой интеллигенции.

По утверждению психолога Г.У. Солдатовой, «негативный этнический образ совпадает с осознанием ситуации как конфликтной» (Солдатова 1998:64). Сопутствует этому фактору и всё растущее непонимание между народами, которое, по словам Гюстава Лебона, «разъединяет народы столь же, сколь и противоположность их интересов» (цит. по Солдатова 1998:64).

Следовательно, Кавказскую войну можно рассматривать как один из факторов, определивших этническую характеристику горцев в русской публицистической литературе XIX века.

Власть и общество рассматривали горцев как нецивилизованные племена, «хищников», живущих разбоем, и были уверены в праве на их насильственную цивилизацию. Кавказская война и колонизаторская политика России оправдывались тем, что народы Кавказа приобщались к цивилизации. Целесообразность завоевания Кавказа объединяла как либеральные, так и консервативные круги Российской империи.

Очень часто в литературе освещались вопросы методов управления и их эффективности. Многие из публицистов придерживались мнения, что «добро надо делать насилем». Об этом в газете «Кавказ» писалось: *«Незабвенный на Кавказе Ермолов наказывал хищников изгнанием и*

виселицю; потому-то горцы и говорили о нем, что горы дрожат от его змева, что взор его рассекает как молния» («Кавказ» 1854:№33).

Еще дальше в своих размышлениях шел В.А. Соллогуб. По мнению писателя, *«вражда к России действительно составляет теперь что-то общее между невежественным злодейством кавказских изуверов и просвещённым стремлением наших образованных христианских наций. Не станем говорить, как уродливо и постыдно такое сообщество, другие беспристрастные публицисты прежде нас, и при другом случае, предали суду истории неестественный союз западного креста с луною» (В.А. Соллогуб 1854).*

Оправдывая военные действия России на Кавказе, авторы публицистических произведений прибегали к военной стилистике: *«бороться с врагом», «усмирять силой оружия», «подчинить горы»,* что явно не является свидетельством миролюбивой политики правительства. Они также писали о воинственном, разрушительном духе – неизбежном качестве горца.

Образ строился по теории эволюционной лестницы. Противопоставлялись варвары и цивилизаторы. Стереотипными для горцев являлись такие характеристики: *«хищник», «дикарь», «хищная трусливая татарва».* Газета Кавказ писала: *«дикий горец, доведенный до отчаяния голодом, поневоле может обратиться в дикого зверя, а в лучшем случае принужден будет жить исключительно грабежом и разбоем» («Кавказ» 1899:№12), или: «Дагестан – это классическая страна войны кавказской, это гнездо юридикзма, газавата и других проявлений дикой воинственной жизни Кавказа...» («Кавказ» 1858:№70).* Применение жёстких мер находило свое оправдание в глазах русской общественности.

Знакомство же с бытом и обычаями народов Кавказа только усиливало представление об их дикости и отсталости: *«Один из туристов, посетивших Кавказ, выразился, что жена у здешнего горца заменяет египетскую печку для высиживания детей и рабочую скотину для домашнего обихода». Горцы питают «варварское презрение к женскому полу. Назовите осетина женщиной - и вы нанесете ему смертельную обиду, несмотря на то, что он прехладнокровно откликнется по имени Черной Собаки, Щенка, Осленка и т. п.» («Кавказ» 1853:№33).*

Однако встречались публикации и такого содержания: *«Покориться добровольно горцы не хотели, да и не могли; они были страстно привязаны к своей родине, за нее они сражались и умирали: дороже же всего горцам была своя свобода; им смерть казалась слаще покорности; никогда в жизни они еще не признавали над собой ничьей власти. Сложить же горцев силою было очень трудно; им помогала в борьбе сама природа»; «Горцы вообще не переимчивы. Они прекрасно понимают, что хорошо у русских, но сами не подражают им. Если вы спросите горца, от чего он не сделает чего-нибудь у себя, что он сам*

хвалил у русских, вы всегда услышите один ответ: адат юкь (у нас нет этого обычая)» («Кавказ» 1858:№18).

Вместе с тем, при всем сходстве оценок, материал, публикуемый в газете Кавказа, знаменует собой качественно новый этап разработки темы Кавказа. Если в русской ориентальной литературе мы наблюдаем, что на народы Кавказа смотрят сквозь призму собирательных понятий и абстрактных обобщений: *«татары», «лезгины», «жители Востока», «мусульмане», «иноверцы»,* то в очерках о народах Кавказа, опубликованных в газете, раскрывается многообразие народов населяющих данный регион, особенности их характера и поведения. К примеру, очерки *«О Камалил Башире», «Суд отца»* и др. воссоздают не образы-клише, не обезличенных героев, а живых людей в их неповторимом своеобразии. Газета *«Кавказ»* сообщала, что регион населяют *«...многочисленные племена гор, и каждое из этих поколений имеет свой особенный тип, свою физиономию, и физическую, и нравственную: каждый говорит, думает, чувствует и понимает по-своему и требует особого почета о его благосостоянии... Вникните в жизнь каждого из этих племен – и вас вознаградит за все высокий интерес» («Кавказ» 1846:№2).*

Исследователи традиционно обуславливают формирование национального менталитета с природными условиями, которые накладывают отпечаток на характер народа, на его народный дух. В этом плане интересна теория Л.Н. Гумилева о природно-географическом факторе, влияющем на формирование этноса: *«неравномерность распределения биохимической энергии живого вещества биосферы за длительное историческое время должна была отразиться на поведении этнических коллективов в разные эпохи и в разных регионах» (Гумилев 1991:69).*

Первые же строки *«Очерка Северной стороны Кавказа»* определяют основную идейную позицию очерков, которая заключается в том, что *«природа, несомненно, имеет влияние на дух, деятельность своих питомцев и от её же богатства и силы зависит их благосостояние».* Или же: *«свойство жаркого климата и плодотворность почвы, с лихвою вознаграждающей малейшие усилия, распространили между татарами Закавказья, как и на всем востоке, всеобщую лень и беспечность» («Кавказ» 1846:№2).*

Редакция газеты обращает внимание, как читателей, так и авторов статей на те негативные последствия публикаций, которые не всегда несли верную информацию о горцах. *«Можно ли требовать, чтобы человек, хотя и весьма умный, но вовсе с противоположными туземцу понятиями, не зная языка и духа народа, мог верно судить о нравах и обычаях по одной лишь кратковременной наглядке? От этого родилось столько нелепых сказаний и басен о быте кавказских народов» («Кавказ» 1846:№2).* Известный американский психолог Дэвид Мацумото считает,

что этнографическое исследование предполагает глубинное изучение какой-то одной культуры, что требует погружения в неё в течение продолжительного периода времени.

Из вышеизложенного следует, что формирование национальных образов и стереотипов – процесс сложный и длительный. Одними из основных факторов, влияющих на формирование инонационального образа, являются: характер складывания исторических связей; общественно-политическая ситуация а также заданность этнической характеристики.

Литература:

Гумилев 1991: Гумилев Л.Н. Субэтноты. Ж.: Диалог. № 17, 1991.

КЭС 1955: Кавказский этнографический сборник. Т. 1. М., 1955.

Кавказ: Газета «Кавказ». Тифлис, 1846 – 1858 гг.

Солдатова 1998: Г.У. Солдатова Психология межэтнической напряженности. М., 1998.

Соллогуб 1854: В.А Соллогуб. Кавказ в восточном вопросе. Газ.: «Кавказ», № 100, 1854.

ლელა ხაჩიძე

საქართველო, თბილისი

საგალობლის გენეზისი და სტრუქტურა

არქაული ღვთისმსახურება, როგორც ცნობილია, შედგებოდა ორი ელემენტისაგან. ეს იყო „სახარება“ და „ფსალმუნი“ — კითხვა და გალობა. ორივე მათგანს დღესაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ ლიტურგიაში. შესაბამისად, ეს იყო პირველი წიგნები, რომლებიც ითარგმნა ამა თუ იმ ქრისტიანი ერის ენაზე. ამ წიგნების პირველი თარგმნების წარმომავლობა, ბუნებრივია, პირდაპირ მიანიშნებს ამა თუ იმ ერის სარწმუნოებრივ და კულტურულ ორიენტირებს. ვფიქრობ, დღეს უკვე უდავოა, რომ საქართველოსთვის ეს ორიენტირი იყო ბიზანტია.

თვით ბერძნული გალობის გენეზისის საკითხი კი პრობლემატურია დღესაც. ძირითადი თეორიები და მოსაზრებები ქრისტიანული საგალობლის გენეზისის შესახებ სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- 1) ანტიკური
- 2) აღმოსავლური
- 3) ბიბლიური

თითოეულ მათგანს კვლევის ხანგრძლივი ისტორია აქვს.

I (ანტიკური) თეორიის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ის „თავისებური პოეზია, რომელიც შექმნა ბიზანტიამ“ შინაარსის მხრივ არსებითად განსხვავდება ანტიკური პოეზიისაგან, მაგრამ ჰიმნოგრაფები პირველ ხანებში „ტრადიციით განაგრძობდნენ ანტიკური ლექსთწყობის მიხედვით ლექსის წერას“ (ყაუხჩიშვილი 1973:128). ეს, რა თქმა უნდა, ხელოვნური იყო და როგორც წესი, ჰიმნოგრაფები არღვევდნენ „კვანტიტეტზე აგებული ლექსის“ სიზუსტეს.

ამ პერიოდს „გარდამავალს“ უწოდებენ ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში.

რამდენადაც ამ დროს ანტიკური ლექსწყობის წესები ხელოვნურად იყო გამოყენებული ქრისტიანულ საგალობლებში, ბუნებრივია, ეს დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. მკვლევართა თვალსაზრისით „ეს პროცესი დამთავრებული ჩანს VI საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც პოეტმა რომანოზმა შეთხზა ისეთი ჰიმნები, სადაც ანტიკური მეტრიკის წესები აღარ ჩანს და რიტმიულობა ემყარება ბიზანტიურ-ბერძნული ენის ბუნებრივ თვისებებს“ (ყაუხჩიშვილი 1973:129).

აღმოსავლური ტრადიციის ცნება ძირითადად გულისხმობს ორ წყაროს — ებრაულს და სირიულს. ე. უელემის მიხედვით, მოციქულთა ხანაში მოღვაწე ქრისტიანები, ბუნებრივია, გალობის ნიმუშს იღებდნენ სინაგოგიდან. ამ ტრადიციას შემდგომში დაემატა

საგალობელთა ახალ-ახალი სახეობები. მეცნიერის აზრით: „ქრისტიანული პოეზიის ჩასახვისთანავე ლიტურგიის ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურება იყო კავშირის შენარჩუნება ფსალმუნებისა და გალობების ტრადიციულ ებრაულ საგანძურთან, ხოლო ახალი ჰიმნები იქმნებოდა იმ ნიმუშების მიხედვით, რასაც უკვე იცნობდა ქრისტიანული მრევლი ებრაული რიტუალიდან“ (უელემი 1980:146).

ამრიგად, ამ თვალსაზრისის მიხედვით, თავდაპირველი წიაღი, სადაც უნდა ვეძიოთ ქრისტიანული საგალობლის სათავე, არის ებრაული ტრადიცია. განვითარების შემდგომ ეტაპზე კი, როცა ქრისტიანებს მოუხდათ უშუალო შეხება გარემომცველ წარმართულ ცივილიზაციასთან, შეიქმნა ახალი ტიპის საგალობლები – წარმართული (ბერძნული) პოეზიის ნიმუშების მიხედვით (უელემი 1980:146).

წარმართობიდან ახლადმოქცეულ ბერძენთათვის ჰიმნების გალობა დღის გარკვეულ მონაკვეთებში არ იყო უცხო ან უცნაური. ამას ადასტურებს პ. მასის მიერ გამოცემული უძველესი წერილობითი წყაროები (მასი 1933). წარმართული ღვთისმსახურება გვიან ანტიკურ ხანაში საგანგებოდაა შესწავლილი მ. ნილსონის მიერ (ნილსონი 1945).

ჰიმნებს ქმნიდნენ გნოსტიკოსებიც – ბასილიდე, ვალენტინუსი, ბარდესანსი და სხვები. ეკლესიამ, რომელიც თავიდან ხელს უწყობდა ამგვარ შემოქმედებას, მალე გააცნობიერა შესაძლო საფრთხე – ეკლესიის დოგმებთან ამგვარი საგალობლების შეუსაბამობისა.

IV საუკუნის ბოლოს ლაოდოკიის კრებამ აკრძალა „კერძო ფსალმუნების“ შესრულება ტაძრებში, გარდა „დავითის“ ანუ ასორმოცდაათი ფსალმუნის და მათზე დართული ბიბლიური გალობებისა. მიუხედავად ამისა, ჰიმნოგრაფებს არ ეკრძალებოდათ საკუთარი რელიგიური გრძნობების გამოხატვა. ეკლესიის პოზიცია უფრო ზუსტი და ნაკლებად რიგორისტული ფორმით გამოიხატა 563 წლის საეკლესიო კრებაზე. ჰიმნები, რომლებიც არ ემყარებოდა წმ. წერილის პასაჟებს, ამოღებულ იქნა ღვთისმსახურებიდან.

ასეთი იყო რეალობა, რომლის გამოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ აკად. კ.კეკელიძის შემდგომი მსჯელობა: „უნდა შევნიშნოთ, რომ მონასტრები თავდაპირველად გაურბოდნენ ჰიმნების ხმარებას, იქ უფრო ფეხგადგმული იყო ფსალმუნური ელემენტი. ბერების შეგნებით, ჰიმნები, საერო ან მსოფლიო სამრევლო ეკლესიათა საქმეა, ბერებსა და მონასტრებს ის არ შეევენის, მაგრამ დროთა განმავლობაში ჰიმნოგრაფიამ იმათშიაც გაიკაფა გზა და შექმნა ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი ბერძნული პოეზიისა, სახელდობრ – სასულიერო ან საეკლესიო პოეზია“ (კეკელიძე 1968:588).

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის სირიული პოეზიიდან წარმომავლობის საკითხს ეხება გრიმის, მაიერის, მასის, ემეროს და ბაუმშტარკის ნაშრომები. ამ ნაშრომებში ნაჩვენებია, რომ

კონტაკიონის თავისებურებები მოდის სირიული პოეზიის ძირითადი პოეტური ფორმებიდან, რომლებიც გავრცელებული იყო IV-V სს-ში – ესაა „მემრა“, „მადრაშა“ და „სოგითა“. კონტაკიონის ჩამოყალიბებაში მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეულია „მემრა“, პოეტური ჰომილია.

ჯერ ვეპოფერმა, შემდეგ უელეშმა ნათლად აჩვენეს ეგრემ ასურის გავლენა რომანოზის ცნობილ საგალობელზე „საშინელი სამსჯავროს“ შესახებ. ეს გავლენა იმდენად დიდია, რომ რომანოზის საგალობლის ცალკეული სტროფები ხშირად ეფრემის შესაბამისი ჰომილიის პერიფრაზს წარმოადგენს.

V საუკუნიდან იქმნება პირველი ქრისტიანული ტროპარები, რომლებსაც მოყვება კონდაკიონები და კანონები.

როგორც აკად. ელ. მეტრეველი აღნიშნავს, ამ ტროპარებს შინაარსობრივი კავშირი აერთიანებდა: „მაკავშირებელი პირველი ტროპარი ბიბლიური გალობის ტექსტს წარმოადგენდა, რაც განსაზღვრავდა მთელი კომპოზიციის განწყობილებასა და შინაარსს. ბიბლიური ოდების დასაწყისები კანონის ოდების სახელწოდებათა სახით შემოგვინახა კანონმა, ხოლო მაკავშირებელ ტროპარად ანუ ირმოსად იქცა ოდის ან გალობის I ტროპარი, რომელიც შინაარსობრივად ეხმაურებოდა იმ ბიბლიურ ოდას, რომლის სახელწოდებასაც ატარებდა კანონის გალობა. ქართულმა კანონმა დიდხანს შეინარჩუნა გალობის სახელწოდებად ბიბლიურ ოდათა დასაწყისები. ბერძნულსა და სლავურ კანონებში უკვე X საუკუნეში ისინი შეცვალა ოდათა რიცხობრივმა აღნიშვნამ (I-IX ოდები) (მეტრეველი 1971: 037).

ცნობილი ლიტურგისტის –ა. ბაუმშტარკის დაკვირვებით ბიზანტიური ლიტურგიკის უძველეს ძეგლებში ბიბლიური საკითხავების გვერდით სრულდებოდა რეჩიტატივით შესასრულებელი 9 ბიბლიური გალობა, რომელსაც ის ბიზანტიური კანონის პირველსახეს უწოდებს. უძველესი საგალობლები (მცირე ფორმის) თავდაპირველად ბიბლიურ გალობათა სამკაულად იყო განკუთვნილი.

აკად. ელ. მეტრეველის დაკვირვებით ქართულ ენაზე შემონახული უძველესი კანონი დამასკელის წინა პერიოდისაა, სადაც „გალობის პირველ ტროპარს არა აქვს ძლისპირის ფუნქცია“. (მეტრეველი 1971: 040). ეს იმას ნიშნავს, რომ არ არის დაცული ტროპარებს შორის სილაბური თანაფარდობა. გალობა სტროფული შედგენილობისაა. სასულიერო გალობის ამ ფორმას პ. ინგოროყვა „წყობილ სიტყვა რიცხუდს“ უწოდებს.

ჭმეანი გალობის განვითარების პროცესი უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში, რაც საგანგებოდაა შესწავლილი ელ. მეტრეველის მიერ, იმ საერთო შთაბეჭდილებას ქმნის, რომ, ძველი ქართული ქრისტიანული ლიტურგიის მიხედვით ჰიმნოგრაფიის წარმოშობა უშუალოდ ბიბლიას უკავშირდებოდას.

არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს საგალობლის სტრუქტურა და მისი ინტერპრეტაციის პრინციპები. ვფიქრობ, დღეს უკვე

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ სასულიერო მწერლობა ზოგადად და მის დარგთან ერთ-ერთი ყველაზე კანონიკური – ჰიმნოგრაფია – ნაკითხული უნდა იქნეს ეპოქის კონტექსტში. ჰიმნოგრაფია, ვფიქრობ, სხვებზე უფრო მეტად ვერ ეგუება უადგილო „თავისუფლებას“.

ჰიმნოგრაფია ლიტურგიკული პოეზიაა. ამიტომ ჰიმნოგრაფთა მიზანს, პირველ ყოვლისა, ლიტურგიის მოთხოვნათა სრულად ასახვა წარმოადგენდა. ჰიმნოგრაფიის კვლევაც აქედან უნდა დაიწყოს.

ლიტურგიკული ფუნქციის გათვალისწინებასთან ერთად, ჰიმნოგრაფთა მიზანია საგალობლებში ბიბლიის და ცნობილ ჰიმნოდთა მემკვიდრეობის მაქსიმალური სისრულით შემოტანა. ამ ორ ძირითად წყაროზე დაყრდნობით ამბობს ჰიმნოგრაფი საკუთარ სათქმელს. ჰიმნოგრაფიის თანამედროვე აზრით გაგებული ორიგინალობა მხოლოდ ამის მიღმა ძვეს და მისი მიკვლევა საჭიროებს ქართული და ბერძნული ჰიმნოგრაფიის, ბიბლიური წიგნების (პირველ ყოვლისა, „სახარებისა“ და „ფსალმუნის“) გათვალისწინებას. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ „მდიდარმა ჰიმნოგრაფიულმა ლიტურატურამ საუკუნეების მანძილზე მხატვრული სახეების საკუთარი სამყარო შექმნა“ (მეტრეველი 1971: 04). აქ ბევრი რამაა დაშტამპული, ეტიკეტად ქცეული.

სანიმუშოდ შეიძლება განვიხილოთ დიდმარხვის IV კვირიაკის მწუხრისათვის განკუთვნილი იოანე მინჩხის უფ. ლალატყავსა. სხუანი. კმა დ.“ უკვე მოტანილი სათაური გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს მკაცრად განსაზღვრულ ტექსტთან, რომლის „ამოცნობა“ სათანადო კანონების მიხედვით უნდა მოხდეს:

მე ვითარცა ხე ზამთრისაჲ,
ფურცელდაცვენებული – რაჲ
განვშიშულდი მადლისაგან ღმრთისა, რომელი
მომეცა, რამეთუ ზუერსა მას
ცოდვისასა ვიუნჯებდ
და მოვაძულვე ღმერთსა
დამბადებელსა თავი ჩემი.
და სირცხვლეული
ან ცრემლით გევედრები
სახიერსა
და ძურუკსენებელსა ღმერთსა
და ვესავ წყალობასა შენსა.

არა ღირს ვარ მე ნოდებად
წინაშე შენსა, მამაო,
არცა ჯერ-არს ლოცვაჲ ჩემი მართალთა თანა,
რამეთუ სავეს ვარ ცოდვითა
და არანმიდებითა
და ვერ მკადრე ვარ კმამალლად
ვედრებასა შენდა მომართ,
არამედ მღუმრიად,

სულთქუმით და ცრემლითა
გვედრები
ურიცხუთა შეცოდებათა
და ბრალთა ჩემთა შენდობასა.

უკუეთუ მსაჯული იგი
უნყალო მწყალობელ ექმნა
ქურივსა მას, რომელი მარადის აწყინებდა,
რამდენ უფროსს მონყალვ ღმერთი
სახიერ არს მათ ზედა,
რომელნი დღე და ღამე
ევედრებიან მარადის.
ან ჩუენცა, ძმანო,
უნყინოდ ვილოცვიდეთ
ღმრთისა მიმართ
და ვითხოვდეთ შენდობასა
ცოდებათასა და დიდსა წყალობასა.

ღმრთ. საღმრთოთა წერილთა

საგალობელში დამუშავებულია მეზვერისა და ფარისევლის მოტივი, რაც შეესაბამება როგორც ძველ (იერუსალიმურ) კალენდარს, ისე იერუსალიმური სისტემით ამ დღისათვის დაწესებულ საკითხავს ლუკას სახარებიდან – 18, 9-14, რომელიც მეზვერისა და ფარისევლის იგავს წარმოადგენს.

საგალობელი იწყება შთამბეჭდავი მხატვრული სახით, რომელსაც მოსდევს ცოდვის „ზუერის“ თავისებურად დამუშავებული თემა. საგალობლის II ტროპარის განწყობილებაც სავსებით შეესაბამება ამ დღისათვის დაწესებული სახარების მე-13 მუხლს: „ხოლო მეზუერე იგი შორს დგა და არა იკადრებდა თუალთაცა ზე ახილვად, არამედ იცემდა მკერდსა და იტყოდა: „უფალო, მიღხინე მე ცოდვილსა ამას“ (ლუკა 18,13).

ლუკას სახარებაში მეზვერისა და ფარისევლის იგავს წინ უძღვის უწყალო მსაჯულისა და მავედრებელი ქვრივის ეპიზოდი (ლუკა 18,1-7). სწორედ ამ ეპიზოდითაა შთაგონებული საგალობლის უკანასკნელი — III ტროპარი. სახარების გავლენა საგალობლის სხვა ნაწილებშიც იგრძნობა. მაგ., საგალობლის II ტროპარის დასაწყისი 2 სტრიქონი ლუკას სახარებაში (15, 21) უძღები შვილის სიტყვებს წარმოადგენს.

ამრიგად, მინჩხის ეს საგალობელი დაწერილია დიდმარხვის IV კვირიაკის ძველი კალენდრისა და ამ დღის იერუსალიმური სისტემით დაწესებული სახარების საკითხავის გათვალისწინებით.

ეს და ნებისმიერი სხვა საგალობელიც, როგორც წესი, ზუსტად შეესაბამება ლიტურგიაში მათთვის განწესებულ ადგილს.

ბუნებრივია, ფორმით და კომპოზიციით ბევრად რთული საგალობლის – კანონის შექმნა ემყარება სხვა წყაროებსაც.

ასე მაგ. იოანე მინჩხის წმ. თევდოსი დიდი სასწაულთა მოქმედისა (19 იანვარი) და ექვთიმე დიდი პალესტინელისადმი (20 იანვარი) მიძღვნილი კანონები ისევე, როგორც წმ. გიორგისადმი (23 ნოემბერი) მიძღვნილი კანონი ემყარება ამავე დღეებზე განწესებულ ბიბლიურ საკითხავებს, ჰომილიებს და ამ წმინდანების ცხოვრებათა ამსახველ აგიოგრაფიულ თხზულებებს.

კიდევ ერთი წყარო, რომელთაგან მიმართებითაც შესაძლებელია ჩამოთვლილი კანონების შესწავლა ამ წმინდანებისადმი მიძღვნილი ბერძნული საგალობლებია. ეს ფართო და მრავალმხრივი სფეროა, რომელიც აღარ ტოვებს სუბიექტური „ჩართვების“ ადგილს ჰიმნოგრაფიის მწყობრ და მიზანმიმართულ სისტემაში.

დამონმებანი:

კეკელიძე 1960: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ.: 1960.

მაასი 1933: Maas P., *Epidaurische Hymnen, Schriften d. Königsberger gelehrten Ges. IX, geisteswiss., vol. V*, 1933.

მეტრეველი 1971: მ. მ. მ. მეტრეველი ე., ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, თბ.: 1971.

ნილსონი 1945: Nilsson M.P., *Pagan Divine Service in Late Antiquity*, Harvard Theological Review, XXXVIII, 1945.

უელეში 1980: Wellesz E., *A History of Byzantine Music and Hymnography*, Oxford, 1980.

ყაუხჩიშვილი 1973: ყაუხჩიშვილი ს., ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973.

მაია ჯალიაშვილი

საქართველო, თბილისი

თამაზ ბიბილურის ნარატივის თავისებურებანი (რომანი „შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“)

თამაზ ბიბილურის პროზა უდავოდ გამორჩეულია XX საუკუნის II ნახევრის ქართულ ლიტერატურაში. მისი მოთხრობები და რომანები მეტყველებენ ამ მწერლის ორიგინალურ სტილზე. თხრობის მისეული მანერა სრულიად განსხვავდება და ყურადღებას იმსახურებს. თამაზ ბიბილური ქართული ენის სიღრმისეულ ნარმოჩენას მიესწრაფვოდა. მისი ნაწარმოებები აღბეჭდილია თავისებური რიტმითა და გამომსახველობით.

მწერლის ოსტატობაზე მეტყველებს, უპირველესად, მისი პროზის ნარატივი, თუ როგორ აგებს თავისი თხრობის ხვეულებს, რას მიმართავს თხრობითი სტრუქტურების შესაქმნელად. ამჯერად რომან „შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“ ნარმოვანჩენტ მისი თხრობის ნაირფეროვნებას.

რომანში შვიდი მთავარი პერსონაჟია და შვიდივე ნარმოაჩენს სამყაროს მრავალფეროვნებას. ეს სათაურმივეა აქცენტირებული. შვიდი სამყაროული მთლიანობის სიმბოლოა, ექვს დღეში შექმნა ღმერთმა ყოველივე, თავისი შექმნილი შეაფასა, როგორც „ძალიან კარგი“ (ბიბლია 1989: 14) და დაისვენა, ასე რომ, შვიდი საკრალური რიცხვია. ამ რომანშიც 7 პერსონაჟი სრულყოფილების სიმბოლოა, მერვე პერსონაჟი კი რომანის ბოლოს გამოჩენილი ტოროლაა, თუმცა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მწერალმა სათაურშიც წარმოაჩინა, იმიტომ, რომ თუ შვიდი ადამიანი მიწიერ მრავალფეროვნებას გამოხატავს, ტოროლა — ზეციურს, ასე რომ, შვიდი ხმისა და ტოროლასათვის გაიაზრება, როგორც მინისა და ზეცის ერთიანობა. მწერალი ცდილობს სწორედ ეს წარმოაჩინოს რომანში, მიწიერისა და ღვთაებრივის განუყოფლობა, ოცნებისა და რეალობის ერთიანობა. ამ სათქმელს მიჰყვება და ემორჩილება რომანის რიტმი. თუმცა ნაწარმოებში ერთი პერსონაჟი კიდევაა, ესაა მარტოსული „ამბების მთხზველი“, მაგრამ მისი მარტოსულობა მოჩვენებითია, ის არის რომანის მხატვრული სამყაროს შემოქმედი და ამიტომ უხილავად ყოველ პერსონაჟში განზავებული, თუმცა ხანდახან მკითხველს თავს შეახსენებს ხოლმე, როგორც ინდივიდუალური პიროვნება, რომლის წარმოსახვის ძალაზეც დამოკიდებულია პერსონაჟთა ბედი. ამ შემთხვევაში, იგი ხაზგასმით არ იზიარებს იმ შეხედულებას, რომ შექმნილი პერსონაჟები ხელიდან უსხლტებიან, არამედ ბოლომდე მის ნება-სურვილს მიჰყვებიან, ამიტომაცაა, ალბათ, რომ რომანი რაღაც მათემატიკური სიზუსტით არის აგებული.

რომანი პერსონაჟთა ნარატივის შესაბამისად დაყოფილია შვიდ თავად. ცალ-ცალკე ნოველებივით იკითხება და თანვე ერთიანია,

რადგან, მწერლის აზრით, ადამიანები ხილული თუ უჩინარი ძაფებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. შვიდივე აუცილებელია იმისთვის, რომ ჩალაურის მითი შემოიჭრას რომანში. მუსიკალური ბგერაც შვიდია და სამყაროს ჰარმონიულობას გამოხატავს. ამ პერსონაჟთა სხვადასხვა ხმაც ერთიანობაში სიმფონიასავით უღერს.

შვიდივე, აგრეთვე, ალეგორიულად, ადამიანის ვნებებს განასახიერებს. შვიდივე გამოხატავს ადამიანის მიწიერსა თუ ზეციურ მისწრაფებებს. მწერალი თხრობას ერთგვარი, კინოსთვის დამახასიათებელი მონტაჟის ტექნიკით აგებს. პირველ კადრად წარმოაჩენს ფერწერულ სურათს, მდინარის (რომელიც ცხოვრების სიმბოლოა) ნაპირას, ჭალაში, შვიდი სხვადასხვა ადამიანი შეკრებილა, შვიდივე ფერადოვნადაა ჩახატული ამ სურათში. „რით გახდა ეს სურათი დაუფინყარი, თუმცა არც ერთ მხატვარს არ დაუხატავს? რად ჩარჩა მეხსიერებაში შეთხზული ამბის ავტორს ის გარინდელი და მაინც რალაცის მომლოდინე სახეები? რამ შეყარა ეს შვიდი ადამიანი აქ, ამ მდინარის პირას? შემთხვევამ თუ აუცილებლობამ? საიდან მოდიოდნენ? სად მიდიოდნენ? ნავიდნენ თუ სულ ასე დარჩნენ სამუდაოდ როგორც ხსოვნაში, როგორც ქვაში გამოთლილნი ან ტილოზე დახატულნი?“ (ბიბილური 1987: 296) და, რაც მთავარია, შვიდივე ჩალაურში მიდის სხვადასხვა მიზეზითა და მიზნით, მაგრამ მათ სწორედ ეს მიზანი—ჩალაურში წასვლა აერთიანებთ. აქამდეც სხვადასხვა გზით მოსულან, სხვადასხვა ფიქრი და საზრუნავი აქვთ, „ყველა თავისას იტყვის, ყველა საკუთარ ხმაზე დაიჩივლებს. ტოროლა? ამ შვიდ ხმას ტოროლა ბოლოს შემოუერთდება, ან, უფრო სწორედ, კი არ შემოუერთდება, გააგრძელებს და დააბოლოებს შვიდი ხმის ქოროს, უკვე დაშლილს, დაქუცმაცებულს და აქეთ-იქით გაფანტულს“. ასე რომ, თავიდანვე იქმნება ჩალაურის სიმბოლო, რომელიც სამოთხედაც შეიძლება გავიაზროთ.

მდინარის გადალახვა სიმბოლურად განწმენდას, განახლებას ედარება. ყოველ შემთხვევაში, მისი გადალახვის გარეშე ჩალაურში ვერ მიხვალ თუ მიბრუნდები. „განწმენდისა“ თუ „სინანულის“ მოტივს ამძაფრებს წვიმაც, რომელიც ჩალაურისკენ მიმავალ მგზავრებს რამდენიმე დღე შეაფერხებს. ეს „შეფერხება“ კი ერთმანეთისთვის უცხო ადამიანებს სიყვარულის, ნდობისა და თანაღმობის გრძნობით დააკავშირებს. წვიმა კი, სიმბოლურად, წარღვნის ანალოგია.

ეს შვიდი ადამიანი შეიძლება გავიაზროთ, როგორც ერთი (სხვადასხვა გამოვლინებაში), გამთლიანებული, მარადიულ განზომილებაში შესასვლელად გამზადებული.

რომანის შვიდივე თავს თავისი ფაბულა და სიუჟეტი აქვს და ყველგან წრიულად ვითარდება ამბავი, დასასრულიდან დასაწყისისკენ, ანმყოდან წარსულისკენ. მწერალი სათითაოდ შეავლებს ამ პერსონაჟებს თვალს და ყოველი მათგანის ისტორიას ცალკე მოგვითხრობს. აი, ისინიც: აბრია მახაური სიკვდილთან შესაგვეგებლად მიდის ჩალაურში, აქ ეგულება შვილიშვილი გიორგი,

რომლის ყურებაშიც სურს გარდაიცვალოს. გარსოს დედა, საკუთარი ხარები რომ მოიპარა, რადგან ჩამორთმევას უპირებდნენ და ჩალაურში გამოიქცა. გოგონა, სიყვარულში რომ შეცდა და აქ სირცხვილს გამოერიდა, ლელა შვილიშვილთან ერთად, ქალაქის ურჩხულს რომ დააღწია თავი და ახლა მშობლიურ ჩალაურში სურს დარჩენილი სიცოცხლის შვილიშვილთან ერთად გატარება, ფუძის აღორძინება. გელა, რომელიც საყვარელ სახედარს დაეძებს და პელო, კაჭკაჭა დედაბერი, თავისი ქორწინების მოწმეს რომ დაეძებს, რათა მისი უკვე გარდაცვლილი მიხო კანონიერ ქმრად უღიარონ და პენსია დაუნიშნონ.

მწერალი თხრობისას უპირატესად ირჩევს მესამე პირს, ე.ი. ყოვლისმცოდნის ნილაბს ირგებს, მაგრამ ხანდახან პერსონაჟებს გადაულოცავს ხოლმე ამ როლს. ასეა, როდესაც თავის ამბავს მთლიანდ პერსონაჟი, კაჭკაჭა დედაბერი ჰყვება.

„სამყარო მართლაც ისევ სავეა იდუმალებითა და მიუწვდომლობით, მომავალ საუკუნეთა ადამიანი, თუ დედამიწამ კიდევ გასძლო, აუცილებლად უდიდესი მისტიკოსი იქნება“, — ასე ფიქრობს „ამბების მთხვეელი“ (ბიბილური 1987: 482) ე.ი. თვითონ მწერალი, რომელიც სწორედ ასეთი „მისტიკოსია“ და ქმნის, უპირველესად, მისტიკას ჩალაურისას, სადაც რომანის პერსონაჟები მიდიან.

„ჩალაური მოგონილი არ არის. ჩალაური არსებობს და იარსებებს მანამდე, სანამ არსებობს კაცთა მოდგმა“. მაინც რა არის ეს ჩალაური, რომელსაც მწერალი წარმოაჩენს, როგორც მარადიულობასთან ნილნაყარს. ის არსებობს, როგორც ოცნება და ილუზია, წარმოსახვითი სივრცე, სადაც თავს იყრიან მატერიალური თუ სულიერი გზები. თავს იყრიან და მერე ერთ გზად ერთიანდებიან, გზად, რომელსაც ადამიანის თვალი (გონებისა და სულისა) ვეღარ სწვდება. ჩალაურამდე კი ცხოვრებისეული გზაჯვარედინებია, ადგომა და დაცემა, სასონარკვეთილება და იმედი.

„ჩალაური ყველაფერია: ჩვენი ხსოვნა, ჩვენი მოგონება, ჩვენი წარსული. ვიდრე ჩალაური გახსოვს, არაფრისა არ უნდა გეშინოდეს. ყველას თავისი ჩალაური აქვს, ყველანი ჩვენი ჩალაურიდან მოვდივართ. მოვდივართ არხეინად გალაღებულნი და არის ერთი დრო, სიჭაბუკის დრო, როცა აღარც კი გვახსოვს, რომ ჩალაურიდან ნამოვედით.

ეს ხანმოკლე დროა... რაც უფრო ვბერდებით და წუთისოფელს ვემშვიდობებით, ჩალაური ჩვენი ხსნა გვგონია. ბოლოს ყველანი, ფიქრით მაინც, აუცილებლად, ისევ ჩალაურში ვბრუნდებით“ (ბიბილური 1987: 507)

ჩალაური მაღლაა, ზეცასთან ახლოს, საიდანაც „ღმერთთან მისასვლელად დიდი გზა აღარ დაგჭირდება“. ასე რომ, ჩალაურისკენ მიმავალი გზა, რეალურ პლანში თვითონ ცხოვრებაა. ყველანი ამ გზას მივყვებით, რადგან თვითონ სიცოცხლეა გზა, გზა სიყმანვილიდან

სიჭაბუკისკენ და სიჭაბუკიდან სიბერისაკენ.

თამაზ ბიბილური ერთ ინტერვიუში აღნიშნავდა: „აქ ყველაზე უფრო გზის სიმბოლიკა მხიბლავდა. ყველანი, შვიდივენი და, ალბათ, ტოროლაც, სადღაც მიდიან. ეს დეტალი უკვე თვით კაცთა ცხოვრების მოდელის შექმნის შესაძლებლობას მაძლევდა“. მართლაც, გზა რომანში თითქოს თავის ნარატივს ქმნის. უპირველესად, ეს არის გზა დაბადებიდან სიკვდილისაკენ, შემდეგ, დანარჩენი უამრავი გზა გადაეხლართება ერთმანეთს: ხორციელი ცხოვრებიდან სულიერისკენ, გზა სიძულვილიდან სიყვარულისკენ და პირიქით, გზა ხსოვნიდან დავინწყებისკენ და სხვა. რომანის პერსონაჟები ამ გზებს მიჰყვებიან, ზოგს რეალურად, ზოგს წარმოსახვით და უნებურად, ცნობიერად თუ არაცნობიერად, იმეორებენ სიცოცხლის მისტერიას. ქრისტე ამბობდა, მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლეო (იოანე, 14,6). რომანის პერსონაჟთა სვლასაც ეს საფანელი უდევს, ჩალაურში იპოვონ ხსნა, სიამრთლე, სიმშვიდე.

იტალო კალვინო წერილში „სიმსუბუქე“ პერსევსის მიერ მედუზა გორგონას მოკვლის შესახებ მითს წარმოაჩენს, როგორც პოეტისა და სამყაროს ურთიერთობის ალეგორიას. პერსევსი გაქვავებას იმით გადაურჩება, რომ გორგონას კი არა, ბრინჯაოს ფარზე არეკლილ მის სახეს უმზერს, თანაც, ქარსა და ღრუბლებს ეყრდნობა. მედუზას სისხლიდან კი ფრთოსანი რაში, პეგასი იშვება. ე. ი. ერთი მხრივ, არსებობს საზარელ არსებათა რეალობა, როგორც ტვირთი და ამ რეალობიდან „არეკილილი სამყარო“, როგორც სიმსუბუქე — მხატვრული რეალობა.

კალვინოს მთელი კაცობრიობა „სიმძიმემისჯილად“ წარმოუდგება, რომელიც მუდამ ცდილობს სიმსუბუქის მოპოვებას ხელოვნების გზით. მწერლები გამოარჩევენ ერთგვარ „ეგზისტენციალურ პოზიციას“, რომელიც საშუალებას იძლევა, სულიერი, საზოგადოდ, „ცხოვრებისეული დრამა მელანქოლიის გარდა, ირონიითაც შევამსუბუქოთ“.

ამგვარი სიმსუბუქის („ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქის“ მილან კუნდერასეული „აუტანელი სიმძიმის“ კონტექსტით) განცდას იწვევს თამაზ ბიბილურის ეს რომანი, რომელიც შეიძლება, პერსევსის ფარს შევადაროთ, რომლითაც მწერალი იგერიებს მედუზას (რეალობის) შემოხედვას, და არამცთუ გაქვავებას იცილებს თავიდან, არამედ „კლავს“ ამ მედუზას მისი მხატვრულ რეალობად გარდაქმნის გზით. ამ რომანში რეალობა კი არ შთანთქმავს და სრესს თავისი ტვირთით ადამიანს (რაც ხშირად არის ალწერის საგანი ლიტერატურისა), არამედ უკან იხევს და ქრება, თუმცა არა სამუდამოდ, არამედ მხოლოდ ძალის მოკრებისა და ხელახალი გამოჩენისათვის.

სიმბოლურად, ეს შვიდი თავი რომანისა გამოხატავს შვიდ სხვადასხვა გზას ღვთის საუფლოსკენ. საინტერესოა ამ შვიდივე თავის სათაური: 1. „სიტყვები“, 2. „მოპენის ბალადა“, 3. შიში, 4.

„მონმე“, 5. „პოეტის სიკვდილი“, 6. „სახედარი“, 7. „ეპილოგი ჩალაურში“.

თვითონ ამ თავებში, რომლებშიც ცალკეული პერსონაჟის სულიერ-ფიზიკური თავგადასავალი მოთხრობილი, ჩართულია მათ ნათესავთა, ნაცნობ-მეგობართა ამბებიც, ასე რომ, მთლიანობაში რომანი ნუთისოფლის გრანდიოზულ ტილოდ ნარმოგვიდგება, რომელზეც დახატულ-დატეულია ადამიანის ყოველგვარი ვნება, რაც კი სიცოცხლეში შეიძლება გამოავლინოს: სიყვარულიცა და სიძულვილიც, შიშიცა და სიმამაცეც, სიკეთეცა და ბოროტებაც, შურიცა და თანადგომაც, ხელგაშლილობაცა და სიძუნევც.

რომანის თხრობის რიტმი იმდენად მონესრიგებულია, რომ ერთბაშად გიორვეს და პერსონაჟებზეც, რალაცნაირად, სწორედ ამ რიტმით გაფიქრებს. მწერალი ქმნის სამყაროს, კაცობრიობის მიკრომოდელს შვიდი პერსონაჟით, რომლებიც სხვადასხვა სოფელში ცხოვრობენ, სხვადასხვა ასაკისა და განსხვავებული „რეალობის“ მატარებელნი არიან, მაგრამ ისინი ყველანი ერთ წერტილში, გზის ერთ მონაკვეთზე იკრიბებიან განგების ძალით. ეს გზა კი ჩალაურისკენ მიდის.

პირველ თავს მრავალმნიშვნელოვანი სახელწოდება აქვს „სიტყვები“. სიტყვა მწერლისთვის, რა თქმა უნდა, უპირველესად ღმერთია, ამიტომაც უღრმავდება სიტყვათა მისტიკას. იგი წარმოაჩენს, რა გავლენას ახდენენ ცალკეული სიტყვა ადამიანზე. სიტყვები, რომლებიც დროთა მსვლელობას არ ემორჩილებიან და მარადის სიციცხლესა და სიცხადეს ინარჩუნებენ. მწერალი წარმოაჩენს იმ რამდენიმე სიტყვას, რომელთაც კვალი დატოვებს აბრიას ცხოვრებაში. თითოეულ სიტყვასა თუ გამოთქმას თავისი ისტორია აქვს. მწერალი აღწერს, როგორ შეიჭრნენ ეს სიტყვები პერსონაჟის ცნობიერებაში და სამუდამოდ დამკვიდრნენ. „მახაურმა არ იცოდა, რომ მთავარი ამქვეყნად სიტყვა იყო, ყველაფრის უტყუვრად გამომხატველი სიტყვა, რომ ის, რასაც ცხოვრება ერქვა, ორიოდ დაუვიწყარი სიტყვისგან შედგებოდა, დაუფიქრებლად წამოსროლილი ან დიდი ხნით საგულდაგულოდ აწონილ-დანონილი სიტყვებისაგან. მახაურს რომ შესძლებოდა ამ ცალ-ცალკე მავან და მავან დროს გაფანტული სიტყვების შეკონინება, მთელი ნუთისოფელი გამოვიდოდა, მთელი ცხოვრება და მახაურს შეაძრწუნებდა სიტყვის ამგვარი მაგიური ძალა. მახაურმა მარტო ის იცოდა, რომ ზოგჯერ ამბავი აღარ ახსოვდა ხეირიანად, სიტყვა კი სამუდამოდ ჩარჩენილიყო ხსოვნაში და ვერარა დრო ველარ შლიდა“. ავტორი მთხრობელი მესამე პირში ჰყვება აბრიას ამბავს, მაგრამ ავტორისეული ნარაჯიის პლანი ხშირად იცვლება, მას პერსონაჟის ფიქრთა ნაკადი ჩაენაცვლება, ახლა უკვე პერსონაჟი გამოდის მთხრობელად.

აბრიას ამბის ჭრელ ხალიჩაზე კი ცალკე გამოკვეთილ ფერებად ჩაენვება მაიკოს, ნიკას, ნენეს, ნუცას და სხვათა ამბები. ყველა ფერი მეტყველია და შთამბეჭდავი.

როგორც აღვნიშნეთ, რომანის პერსონაჟთა ხმებს დროდადრო თავის ხმას უერთებს „ამბის მთხზველი“, იგივე მწერალი, რომლის აზრითაც, ადამიანის მთელი ცხოვრება სწორედ ცალკეულ სიტყვათა გარშემო იყრიდა თავს. ამ სიტყვებს თავად ცხოვრება თხზავს, მაგრამ ამ სიტყვების გარეშე ცხოვრებაც კი უძლიერი იქნება, რომ რაიმე შეთხზას, კომპოზიცია შეკრას, დაფარული გააცოცხლოს. ვილაცას გულში ჩაგვახედოს. ჰო, სიტყვა ყოფილა ის, რითაც კაცის ცხოვრება იწვნება, თუნდაც თვითონ სიტყვა არც ისმოდეს, არც მართლა იწერებოდეს“. სიტყვები კლავდნენ მახაურს და ისევ სიტყვები აცოცხლებდნენ.

საგულისხმოა, რომ ამ თავის გმირად მოჩანს გიორგი, აბრიას შვილიშვილი, რომელიც ნაწარმოებში მხოლოდ ერთხელ გამოჩნდება, მაგრამ აბრიას ბოლო დღეებში ცხოვრება მასზე შეხვედრაზე ფიქრითაა სავსე. ის გააცოცხლებინებს წარსულსაც და საკუთარ თავსაც შეამეცნებინებს. და თუ ბედნიერებაზე იფიქრებს, მხოლოდ იმ ერთადერთ ნუთს ჩათვლის ბედნიერად, როდესაც მიუღლის ცხედართან განმარტოებულს გიორგი დაადგება თავს და ეტყვის: „აქ ვიქნებიო“.

რომანის მეორე თავში, „შოპენის ბალადა“ რომ ჰქვია, ახალგაზრდა ქალ-ვაჟის სიყვარულის ამბავია მოთხრობილი. პირველი ვნების გამოხატვის სიძლიერითა და იუმორით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსსაც“ რომ მოგვაგონებს. ამ ნოველაშიც იცვლება ნარაციის სხვადასხვა პლანი. ყურადღებას იქცევს პარალელური თხრობა. მაგალითად, კინოდარბაზში აჩვენებენ ფელინის „ამარკორდს“ და მაყურებელთა დარბაზში ამ ფილმის მსგავსი სურათები თამაშდება, ტრაგიკომიკურობით შეფერილი. თითქოს ეკრანიდან გადმოვიდნენ პერსონაჟები და მაყურებელს შეერივნენ. განსაკუთრებით შთამბეჭდავი გიჟი გუგულას ამბავია, რეალური და წარმოსახული ერთმანეთში რომ ერევა. საერთოდ, ამგვარი პერსონაჟი რომანის შვიდივე თავშია, ისინი ამსუბუქებენ ამბების ტრაგიკულობას და ყოველივეს წარმავლობასა და ხანმოკლეობაზე მიანიშნებენ. ნოველაში ერთი ეპიზოდია, როდესაც სოფელი შოფერი ავთო და შეცდენილი ელისო რადიოს უსმენენ: „კაცმა რომ თქვას, რატომ არ შეიძლება ამის მოსმენაო, გაიფიქრა შოფერმა, აბა, ყური დაუგდე, თითქო გელაპარაკებო. ნეტა რას მეუბნებო, დაძაბული უსმენდა, მაგრამ მუსიკა მუსიკად რჩებოდა და ბიჭს სიტყვით არაფერს ეუბნებოდა, ბიჭი მარტო უთქმელ და აუხსნელ სიმშვიდეს გრძნობდა. თითქოს ყველაფერი ავინყდებოდა. თითქოს ვილაცა აღერსით უსვამდა თავზე ხელს და რაღაც სანეტაროს ჩასწურწრულებდა. თავისკენ უხმობდა. ყველაფერს უადვილებდა, ბიჭს შეეშინდა, კიდეც არაფერი ჩავიდინოო და გოგოს ხმამალა გასძახა: — ეგ რაღას უკრავს?

— შოპენის ბალადა.

— შოპენი ვილა?

- იყო ერთი...
- სიმღერას იგონებდა?
- ხო...

— ის შოპენი ალბათ ბედნიერი იყო, — გაიფიქრა ბიჭმა“ (ბიბლიური 1987: 423) ასე შეაფასა შოპენის ბალადის დიდებულება უბირმა ბიჭმა, რადგან მიხვდა, რომ ხელოვანმა სწორედ ის ლურჯი ფრინველი მოიხელთა, რომლის დევნაში ამაოდ იღლებოდნენ ადამიანები.

ნოველა „შიში“ მოგვითხრობს გარსოს დედის, ძილა კობაიძის ამბავს. მკითხველის თვალწინ ჩაივლის უბრალო გლეხი ქალის ტანჯული ცხოვრება, იხატება სამამულო ომისა და შემდგომი ეპოქის პირქუში სურათები, მაგრამ მწერალს ადამიანის სულის სიღრმეების წარმოჩენა უფრო იტაცებს და ჩვენ წინ გადმოშლის თვალუწვდენელ უფსკრულებს ადამიანის სულისას, სადაც დიდი ლამეები და ბრწყინვალე სინათლეებია, თანაც პარალელურად და ერთნაირი ინტენსივობით. ამ თავში საოცარი სიცხადით ხატავს მწერალი, როგორ ამარცხებს სუსტი ქალი დიდი შიშს და მიემართება ჩალაურისკენ. „ამ გზაზე მეთვალყურედაც მხოლოდ ის ვარსკვლავები თუ გამოდგებოდნენ, რომელნიც ყველაფერს ხედავდნენ, მაგრამ არაფერს იტყოდნენ, ან თუ იტყოდნენ, მილიარდ წელთა მერე, თუ ამ პატარა ცთომილი დედამინის ამბავი იმათ საუფლოში სალაპარაკო გახდებოდა“.

„კაჭკაჭი დედაბრის გამოჩენით თითქოს კომედია დაიწყო“ — ასე იწყება რომანის შემდეგი თავი „მონმე“. კაჭკაჭი დედაბერი თვითონ ჰყვება ამბავს, არავინ იცის, რა არის მართალი და რა ტყუილი, მთავარია, რომ ჰყვება გულიანად, თავისთავსა და შვილებზე, შვილიშვილებზე, მეზობელზე, სოფელზე და ეს ამბები სავსეა ცრემლითა და სიხარულით. დედაბერი წამით შეჩერდება და მკითხველს ჩააკვირდება კითხვით: „თავი ხომ არ შეგანწყინეთ? არა, დავიჯერო? მეჯავრება, ბევრი ლაპარაკი რო იციან ხოლმე...“ (ბიბლიური 1987: 485). ეს სიტყვები რეფრენივით მეორდება. მართლაც, ბევრს ლაპარაკობს პელო ბებო, იკივ ეკაჭკაჭი დედაბერი, მაგრამ ისეთი ხალისითა და იუმორით ყვება, რომ მკითხველს არ სწყინდება მოსმენა.

ლელა ლუდუშაურის ამბავია მოთხრობილი თავში, „პოეტის სიკვდილი“ რომ ჰქვია. ქალაქმა — ურჩხულმა წაართვა, ჩანთქა და მოინელა მისი ერთადერთი ვაჟი, ახლა მისი ცხედრის ჩალაურში წაღებაზე ოცნებობს, მაგრამ ჯერ თვითონ უნდა წავიდეს, თან შვილიშვილი გაიყოლოს. ფუძე და ფესვი აჩვენოს და ააღორძინოს. ჩალაური ტრიალებდა ხსოვნაში და შვილიშვილისთვისაც „სიტყვა ერთ ადგილზე გაყინული აღარ იყო“. ბიჭმა იგრძნო, „ჩალაური თურმე მართლა ცოცხლობდა. ჩალაური თურმე ყველაფერი ყოფილა. ხსოვნა, მოგონება, წარსული-რომ ყველას თავისი ჩალაური ჰქონია, რომ ყველანი ჩალაურიდან მოვდივართ და ბოლოს, ფიქრით მაინც,

აუცილებლად ჩალაურში ვბრუნდებით, და ვიდრე ჩალაური გვეგულება, არაფრისა არ უნდა გვეშინოდეს“.

ჩართულ ამბებს შორის ყურადღებას იქცევს ძილას მიერ საკუთარი ხელით მოქსოვილი კაბის ამბავი. კაბა თითქოს სულიერდება და ძილას აქვს განცდა, რომ თუ მას რაიმე ხელს შეუშლის განზრახვის აღსრულებაში, მაშინ ეს კაბა მარტო გაიპარება ჩალაურში. ეს კაბა მისთვის „პირველი სამოსელივითაა“, მისი გახდითა და შენახვით ძილა ქალაქის ურჩხულის ტყვე ხდება, მაგრამ გაქცევისას კვლავ ამ კაბას ჩაიცვამს და ამგვარად თითქოს სულიერ ძალას მოიკრებს ვრცელი და ძნელი გზის გასავლელად.

მეექვსე თავში, „სახედარი“ რომ ჰქვია, გელა ბიჭის და მისი მეგობრის, სახედრის ამბავია მოთხრობილი, ეს სახედარი ხუან რამო ხიმენესის პლატეროს მოგვაგონებს თავის ერთგულებითა და ჭკვიანური გამოხედვით. სწორედ სახედრის გახსენება გააღვიძებს მასში უძღვები შვილობის განცდას, ამიტომაც გადანყვეტს სახედარი ჩალაურში იპოვოს და მასთან ერთად დაუბრუნდეს მშობლიურ სახლ-კარს.

„ამბების მთხვევლა“ შვიდივეს ამბავი მოგვითხრო, უბრალოდ და ბუნებრივად. მას სურს, რომ ყველაფერი კეთილად დაასრულოს, „შვიდთა თემმა“ იპოვოს, რასაც ეძებს და კვლავაც ისე მოხდეს, როგორც ბევრჯერ მომხდარა; „ჭირი „იქ“ იყოს, ლხინი „აქა“. მკითხველს უყვარს კეთილი დასასრული. მკითხველის ხსენებაზე შეთხზული ამბების ავტორს ახლა იმან გაუელვა, რომ ამ შვიდი ადამიანის ამბავი დედამიწის ზურგზე შეიძლება შვიდ კაცსაც კი არ სჭირდებოდეს. ამის გაფიქრებაზე ყველაფერმა აზრი დაკარგა. ამგვარი რამ ხშირად ემართებათ ხოლმე ამბის მთხვევლებს“, მაგრამ ამბავი გრძელდება და იწერება რომანის ბოლო თავი „ეპილოგი ჩალაურში“. შვიდთაგან ერთი, ლელა ლუდუშაური, ადიდებულ მდინარეში იღუპება, გამოქცეულ გოგოსა და გარსოს დედას ხარებთან ერთად სახლში დააბრუნებენ. თვითონ ჩალაურში კი მხოლოდ კაჭკაჭა დედაბერი და გელა ჩაალწევენ.

„ლიტერატურა პლასტიკური ველია, — წერს ჟერარ ჯენეტი წერილში „ლიტერატურის უტოპია“, — გამრუდებული სივრცე, სადაც ნებისმიერ მომენტში ყველაზე მოულოდნელი ურთიერთობები და ყველაზე პარადოქსული შეხვედრებია შესაძლებელი“.

ამგვარი „მოულოდნელი ურთიერთობებისა“ და „პარადოქსული შეხვედრების“ ადგილია ჩალაური — თამაზ ბიბილურის ლიტერატურული უტოპია. ჩალაური, როგორც აღვნიშნეთ, სამოთხის პარადიგმაცაა (გურამ დოჩანაშვილისეულ „ლამაზ ქალაქსაც“ რომ მოგვაგონებს), ხსნის სივრცეა.

ერთად შეკრებილი „შვიდი ხმა“, ჰამონიულობისა და სრულყოფილების სიმბოლოა. ამ შვიდ ხმაში ერთიანდება მინა და ცა, სულიერი და უსულო, მატერიალური და წარმოსახული. ასე რომ, რომანი შეიძლება გავიაზროთ, როგორც „ჰიმნი“ სიცოცხლისათვის,

თანვე სიკვდილისათვის და, აქედან გამომდინარე, სამყაროსათვის. და, რაც მთავარია, „სიცოცხლის რომანტიკისათვის“, რომლის მარადიულობისაც სჯეროდა მწერალს და მკითხველის დარწმუნებასაც ცდილობდა. სწორედ ამიტომაც წარუძმდვარა რომანს შონ ო კეისის სიტყვები: „სანამ ამოდის თუ ჩადის მზე, სანამ მიიქცევა და უკუიქცევა ზღვა, სანამ გალობენ ფრთოსნები და ყვავილები ყვავიან, სანამ იდგებიან მთანი, სანამ ბიჭს კლავს გოგოს სურვილი, ხოლო გოგოს სურს, სასურველი იყოს, მანამ არ ჩაქრება სიცოცხლის რომანტიკა“ (ბიბილური 1987: 293)

მთელი რომანი სწორედ მზის ამოსვლა-ჩასვლაა, ოღონდ ყოველ დღეს განსხვავებული ფერითა და სურნელით. ამ „ფერადოვნებას“ აღმქმნელი სჭირდება, თამაზ ბიბილურისთანა „მთხველი ამბებისა“.

მიუხედავად ჩვენი საუკუნის პრაგმატულობისა, „ამბის მთხველს“ სჯეროდა, რომ ოცდამეერთე საუკუნე „ცის საუკუნე“ იქნებოდა. კვლავ დაინერებოდა ლექსები ვარსკვლავებზე, კვლავ გვეყვარებოდა და რომ ამაზე დიდი რამ არ არსებობდა სამყაროში.

ჩალაური რომანის პერსონაჟებისთვის ის ადგილია, სადაც სამყაროსთან შერწყმა-გამთლიანება უნდა განხორციელდეს. მწერლისთვის მთავარია არჩევანი — გადაწყვეტილების მიღება — ჩალაურში წასვლა. ზოგი ახალგაზრდობაში იღებს ამ გადაწყვეტილებას, ზოგი — სიბერეში, ზოგი შემთხვევით ირჩევს ამ გზას, ზოგი გააზრებულად. ზოგი აღწევს ჩალაურამდე, ზოგი — ვერა. ზოგს იღებს ჩალაური, ზოგს — არა.

ვინ გამოიგონა ჩალაური? „ამბების მთხველმა“ თუ მან, ვინც „კაცთა მოდგმის მთელ ცხოვრებას თხზავს“. ვინც იგონებს სიტყვებს და თვითონ არის „სიტყვა“. სიტყვა, რომელიც მოიცავს დასაწყისსა და დასასრულს.

თამაზ ბიბილურის აზრით, სიტყვა ყოფილა ის, რითაც კაცის ცხოვრება იწერება, თუნდაც, თვითონ სიტყვა არ ისმოდეს, არც მართლა იწერებოდეს“. ბორხესის ცნობილი ციტატა გვახსენდება: „მსოფლიო ისტორია ეს არის წმინდა წერილი, რომელსაც ჩვენ ვშიფრავთ და გუმანით ვწერთ, და რომელშიც ასევე გვწერენ ჩვენ“.

ასე რომ, მწერალიც და მის მიერ გამოგონილი პერსონაჟებიც „სხვისი“ დაწერილები არიან, ამიტომაც ასე ხშირად თავნებობენ პერსონაჟები, მათ შორის ეს „შვიდნი“, ჯიუტად მიმავალნი ჩალაურისაკენ. მწერალს სურს, მკითხველს დაამახსოვროს ისინი „მდინარის პირას გაკრული სურათით“ — თანაც, ნანვიმარ ჭალაში, როდესაც გადაწმენდილი ფერები ხასხასებენ. ისინი ყველანი პოეტები არიან, ოღონდ, როგორც გიორგი ლეონიძე იტყოდა, არა „ქალაქდზე რითმებით მოლაპარაკენი“, არამედ პოეტური გულით, პოეტური თვალთ და დიდი ოცნებით გასხვიოსნებულნი. ეს „დიდი ოცნება“ ჩალაურია, რომლის დევნაში შეიძლება სიცოცხლე გაილიოს.

აბრია მახაურმა ჩალაურამდე მისასვლელ მოჩითულ ველზე დაღია სული. ეს რომანის ბოლო ეპიზოდია. ისე მოკვდა, შვილიშვილს

ვერ უყურა თვალეში, მაგრამ „ამბების მთხზველისგან“ ის მაინც „დასაჩუქრდა“ — იგი სიკვდილის წამებში ტოროლას შეჰყურებდა და მის გალობას ისმენდა. ცაში მონავარდე ფრინველსა და მომაკვდავ ადამიანს შორის უხილავი ძაფები იბმება. ტოროლაც ეთხოვება სიცოცხლეს თავისი სიმღერით. იქმნება მშვენიერის, ამაღლებულის განცდა. მწერალსაც, ალბათ, ეს სურდა, რომანიდან მკითხველის სულსა, გულსა და გონებაში გადადენილიყო „დიდი ოცნება“, ამიტომაც მთავრდება რომანი ამ სიტყვებით: „აბრია მახაურს, სიკვდილს რომ ხვდებოდა, ტოროლას გალობა ჩაესმოდა. იმ წამში კი მზის ერთ პლანეტა დედამინაზე ამაზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა“ (ბიბლიური 1987: 716)

დამონმებანი:

ბიბლიური 1987: ბიბლიური თამაზ, შვიდი ხმისა და ტოროლასათვის. თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1987.

ბიბლია 1989: ბიბლია. დაბ.1,31. თბ.: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემა, 1989.

ბია ჯონსაძე

საქართველო, თბილისი

Femme Fatal

ანუ

იოსიფ ბროდსკის სიყვარული

რუსი პოეტი და კრიტიკოსი გიორგი ჩულკოვი (1879-1939) ემილ ვერჰარნზე დანერილ სტატიაში წერდა: „პოეტის გაგება მისი სიყვარულის ამოცნობას ნიშნავს. ოსტატის სრულყოფილებაზე ბევრი თვისების გათვალისწინებით ვმსჯელობთ, მაგრამ მისი მნიშვნელობა მხოლოდ ერთი რამით ფასდება: სიყვარული, ვნება განსაზღვრავს შემოქმედის პოეტური ნიჭიერების სიღრმესა და სიმაღლეს“.

ვინც იოსიფ ბროდსკის პოეზიას იცნობს, მისთვის კარგა ხანია, საიდუმლო აღარ არის, რომ ინიციალები „მ.ბ.“ — ბროდსკის სატრფიალო ლექსების ეს ორასოიანი ეპიგრაფი — მარინა ბასმანოვას აღნიშნავს. თავისუფლად ვიტყვით, რომ ბროდსკის ფიზიკური და შემოქმედებითი ბიოგრაფია ამ ბედისწერადქცეულმა ქალმა შვა, ისევე, როგორც — ბროდსკის ვაჟი. ვიტყვით, მაგრამ თვით ბროდსკი შეგვეჩინა აღმდეგებოდა.

1990 წელს იოსიფ ბროდსკიმ დაწერა ესეი „Altra Ego“, ლათინურ სიტყვას „სხვა“ სქესი შეუცვალა და სათაურად მივიღეთ ის, რასაც ერთი სიტყვით ვერ ვიტყვით (თუ საერთოდ შევძელით თქმა): მდებრობითი სქესის „სხვა“, რომელიც მევე ვარ;

მაინც რის თქმას შეეცადა ნობელიანტი, მეორედ დაცოლშვილებული, სახელმოხვეჭილი და ინტელექტუალურ მეტრად ქცეული ბროდსკი?

მისი მტკიცებით, პოეტი, გავრცელებული შეხედულებისამებრ, მართლაც დონ ჟუანი კი არა, მონოგამია, ერთის ერთგული და მოთაყვანე. და ეს ერთიც მუზაა, ოლონდ — სხვად გარდასახული. მუზა სატრფოს ალტერნატივა კი არა, მისი წინამორბედაა. ის ზემოქმედებს პოეტის გრძნობათა განვითარებაზე. იგი პასუხისმგებელია არა მხოლოდ პოეტის ემოციურ მდგომარეობაზე, არამედ — მის მიერ ვნების ობიექტის შერჩევასა და ამოჩემებაზე. ის, რაც გრძნობათა სფეროში სიკერპესა და შეპყრობილობას ეთანადება, არსებითად, მუზის დიქტატია. მუზის არჩევანი ყოველთვის ესთეტიკური წარმომავლობისაა.

მუზის ხმა გადაალახინებს პოეტს ყველა კავშირს, ბედნიერების კატასტროფებსა და პაროქსიზმებს რეალური სატრფოს ფასად, ან — უიმისოდ. ამრიგად, პოეტის სიყვარული მისივე მონოლოგის ეკვივალენტია. როცა პოეტს უყვარს, ენა თავისი დაბადების

ადგილისაკენ ექაჩება და, სრულიადაც აღარ გიკვირს, როცა ამას შედეგად მოსდევს დანგრეული ბუდეები, დაცილებული წყვილები ან... ძალიან გრძელი ლექსები...

ბროდსკის, შესაბამისად, არ სჯეროდა (ან წერდა, არ მჯერაო), რომ ბიოგრაფიის, ცხოვრების ცოდნით შესაძლებელი იყო ხელოვნების გაგება. პოეტის ცხოვრება პოეტის ხელობის მძევალია და არა — პირიქით.

ბროდსკი აბუჩად იგდებდა ვულგარიზებულ ფსიქონალიზს და მის ზოგად სქემას: მუზის ქალური არსება პოეტის მამაკაცურ არსებას გულისხმობს, ხოლო მუზის მამაკაცური არსება — პოეტის ქალურ არსებას. დასკვნებიც ერთმანეთზე უფრო მეტად ბანალურად ეჩვენებოდა: სწორედაც რომ სატრფოა მუზა. ან: ლექსი ავტორის ეროტული სწრაფვების სუბლიმაციაა.

ეგებ, მხატვრული და ეროტული ორივე შემოქმედებით ენერგიას გამოხატავს და ორივე სუბლიმაციაა?!

რაც შეეხება მუზას: ბროდსკის რწმენით, ეს იგივე ენაა. იგი ყოველთვის პოეტის მოკარნახედ რჩება, იმის მიუხედავად, სად და როგორ ცხოვრობს მისი ესა თუ ის ფავორიტი. ცხოვრება და წერა სხვადასხვა საქმიანობაა.

ბროდსკი ეთანხმება გამოთქმას: „კაცისათვის ქალის სახება უცილოდ მისივე სულის სახებაა“. სიყვარულის — ამ მეტაფიზიკური ღვინის — მიზანი სულის ფორმირება ან არსებობის ღვარძლისაგან გათავისუფლებაა. სატრფო პოეტის სულის ტვიფარია.

ესეის VIII თავში ბროდსკი წერს იმას, რისი თქმაც ობივატელებსაც კი ერცხვინებათ: სატრფიალო ლექსი ყველაზე ხშირად სატრფოს გულის მოსანადირებლად იწერებაო. მაგრამ სწორედ ასეთ ლექსს მიჰყავს ავტორი ემოციურ და ეგებ, ლინგვისტურ უკიდურესობამდე, რის შედეგადაც პოეტი უკეთ აცნობიერებს თავის ფსიქოლოგიურ და სტილისტურ პარამეტრებს. არ არის გამორიცხული, სატრფოსაც კი დაეპატრონოს.

სატრფიალო ლირიკაში პოეტს შეუძლია ერთი ადრესატით დაკმაყოფილდეს ან ავტონომიური დინამიკა და მასშტაბი განავითაროს. ეს განპირობებულია ენის ცენტრიდანული ბუნებით. შედეგად ვიღებთ ან ერთი პირისადმი მიძღვნილ სატრფიალო ლექსების ციკლს, ან — სხვადასხვა მიმართულებით განფენილ ლექსებს. აქ მხოლოდ სტილისტური არჩევანია შესაძლებელი, რადგან სატრფიალო ლირიკა უცილოდ ნარცისისტულია, პოეტისავე გრძნობებს გამოხატავს და უფრო პოეტის ავტოპორტრეტს შეესაბამება, ვიდრე — სატრფოს პორტრეტს. რომ არა ჩანახატები, ტილოები, მინიატურები და ფოტოები, ვერც კი გავიგებდით, ვისზეა ლექსი. ის კი არა, როცა პოეტთა სატრფოების პორტრეტებს ვუყურებთ, ძალზე ცოტა თუ გვესმის ამ მზეთუნახავებისა, ან მზეთუნახავებად სულაც აღარ გვეჩვენებიან. ამიტომაც სულის ხატ-

სახესა და ჟურნალის ყდაზე გამოსახულს სხვადსხვაგვარად უნდა მივუდგეთ.

თუ ლექსში მხოლოდ სატრფოს ფოტოა, მკითხველი წაგებულ ირჩება. ლექსი ხომ სულს უკავშირდება, ოღონდ როგორც პოეტის სულს, ისე — მკითხველისა. სატრფოს პოეტრეტი პოეტის მდგომარეობაა, საკუთარი ინტონაციით, საკუთარი სიტყვებით დახატული. სატრფოს პოეტურ პორტრეტში მისი კერძოობითობა კი არა, უნივერსალობაა მთავარი. უბრალოდ რომ ვთქვათ, სატრფიალო ლექსი ამოძრავებელი სულია. და თუ ის კარგი ლექსიცაა, შესაძლოა, თქვენი სულიც შეძრას. თუ სატრფიალო ლექსი მეტაფიზიკურ განზომილებას ან თვითუარყოფას (ელიოტი) აღწევს, ერთმანეთისაგან არჩევ სატრფიალო ლექსს და სიყვარულით ნაკარნახებ სტროფებს.

სატრფიალო ლექსში ნაცვალსახელი „მე“ სხვა ვინმეს ნიშნავს. აქ პოეტის ადამიანურ არსებას ლუპიტაც ვერ მოძებნით. სატრფიალო ლექსის თემად ნებისმიერი რამ გამოდგება: სატრფოსთან დაკავშირებულიცა და მისგან დაშორებულიც. მაგრამ მკითხველი მიხვდება, რომ სიყვარულით შთაგონებულ ლექსს კითხულობს ყურადღების იმ ინტენსივობის წყალობით, რომელიც სამყაროს დეტალებს ეთმობა, რადგან სიყვარული რეალობისადმი დამოკიდებულებაა, ჩვეულებრივ — რომელიღაც სასრულისა რაღაც უსასრულობისადმი.

სატრფო მუზის დუბლიორია, ოღონდ — მუზასთან მისსავე ენაზე მოლაპარაკე. სატრფო არ არის თავისთავად ამაღლებული: შესაძლოა, სრულიადაც არ აინტერესებდეს პოეზია და მგზნებარე თაყვანისმცემლის ნაცვლად რომელიმე რიგით უტიფარს ჩაუგორდეს ლოკინში... მაგრამ სატრფოს ძალუძს თავისი ქმედებითა და სიტყვებით განსაზღვრულ მომენტში ენის მექანიზმის ამოძრავება. სატრფო არ არის მუზა, იგი მუზას ლაპარაკს აიძულებს.

სატრფო კვდება. მუზა — არა. შეიძლება, პოეტიც მოკვდეს, მაგრამ მუზა სხვას აირჩევს.

„მაშ, დავტოვოთ მუზა — ამბობს ბროდსკი, — თავისი ფლეიტითა და მინდვრის ყვავილებისაგან დანწული გვირგვინით. ეგებ, ასე მაინც დაუსხლტეს ბიოგრაფებს!“ (იოსიფ ბროდსკის თხზულებანი 2000: 68-79).

* * *

ყოველგვარ კატეგორიზმთან პიროვნული შეუთავსებლობის მიუხედავად, ვიტყვით, რომ ბროდსკის ეს ესეი *სავანებოდ შეთხზულად* გვეჩვენება.

1990 წელს მან ბრიტანეთის აკადემიაში ყოველწლიური ლექცია წაიკითხა „Times“-ის ლიტერატურული დამატებისათვის, რომელიც შემდეგ გარდაქმნა ესეიდ. ლონდონში ბროდსკიმ, ასე ვთქვათ, თავისი შეხედულებები დააჭაშნიკა და მერეღა დაბეჭდა. რადგან საქმე

დაბეჭდვაზე მიდგა, მან 1989 წელს დაბეჭდა ლექსი, რომელიც მიუხედავად მისი უსათაურობისა, ერთი ცხოვრების სათაურადაც უნდა გამომდგარიყო და — მეორისაც. აქ ბოლოჯერ გაიეღვება ინიციალები — **მ.ბ.** იმის ნიშნად, რომ პოეტი მათ აღარასოდეს გაშიფრავს არც როგორც ადამიანი, არც — როგორც შემოქმედი.

აი, ეს ლექსიც:

სუფთა ჰაერი მომენატრა, ძვირფასო, ჰოდა,
გამომაკეთა ოკეანის ჟანგბადმა ცოტა.
ჩინურ მარაოს დაამსგავსა ზეცა დაისმა,
ხოლო ღრუბლები — შავ სახურავს როიალისა.
ოცდახუთი წლის წინ გიყვარდა ლულა, ფინიკი,
წერდი, ხატავდი, არ გაკრთობდა ჩემთან ქილიკი,
მერე ქიმიკოს-ინჟინერმა თავბრუ დაგხვია
და წერილებით თუ ვიმსჯელებთ, შარში გაგხვია,
დაგონჯებულხარ, სტუმრობ ტაძრებს და პანაშვიდებს,
ჩვენი საერთო მეგობრების სულებს ამშვიდებ.
და კარგიც კია, რომ სხვისთვისაც განაჩენია
უფრო უაზრო განშორება, ვიდრე — ჩვენია.
გაიგე, გაქრა ეგ სხეული, სახე, სახელი,
აღარაფერი გვაკავშირებს, აღარაფერი.
სამუდამოა ჩადენილი ერთხელ ცოდვები,
ბედთან მეორე დაბადებით თუ გასწორდები.
თუმც, დაბრუნება ამა ქვეყნად უფრო ძნელია —
სათადარიგო წლები ხელში შემომელია.
შენც გაგიმართლა: ამ ფოტოზე თუ გამოჩნდები
ახალგაზრდულად და არასდროს დანაოჭდები.
მახსოვრობასთან დროის მარცხი არის მარტივი —
ვხვდები, ვენევი, მელიმება სეკუნდანტივით.

ესეიში „Altra Ego“ ბროდსკი იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ ქალი, რომლის გამოც მისი ცხოვრება საბედისწეროდ შეიცვალა, მხოლოდ მუზის ორეული, მუზის დუბლიორი, პოეტის შემოქმედებითი დელირიუმის გამომწვევი თვითამგზნები საშუალება, ლიტერატურული მომენტი იყო... კიდევ ერთხელაც გავიმეორებდით ამ „ზერთულ“ წინადადებას და მხოლოდ იმის ნიშნად, რომ პოეტისა გვჯერა; მაგრამ ბიოგრაფიის მოსხეპვა, მისი უგულებელყოფა სულაც არ არის პოეტური რენომეს ამალღების თავისთავადი გარანტია: ბროდსკის, უბრალოდ, არ სურს, რაიმემ, თუნდაც საყვარელი ქალის ლალატმა, სასამართლომ, გადასახლება, დისიდენტის შლეიფმა, სამშობლოდან გადახვენამ... განაპირობოს მისი პოეტური ფიზიონომია; ის ყოველგვარი დრამატიზების წინააღმდეგია და, სხვათა შორის, ამ ესეიში მას აღარც ეტყობა ისეთი გააგება, როგორც — ადრინდელ ინტერვიუებში. ბროდსკი დამკვიდრებას უარყოფით იწყებს. სიზიფოსის მითის კამიუსეული ინტერპრეტაცია თანგავს და აბსურდს ეხლება. და ის მძვინვარეა, როგორც — არასდროს. ასეთი სულიერი თვითდათმობის ფასად ბროდსკი გახდა ის, რაც გახდა. ამგვარი შინაგანი

დისციპლინისა და მობილიზების წყალობით ცდილობს პოეტი გარეგნული არტე ფაქტების უარყოფას თუ არა, აბუჩად აგდებას მაინც.

და მაინც, ვინ იყო *femme fatal*, რომელსაც მიეძღვნა ბროდსკის თითქმის ყველა სატრფიალო შედეგრი?

* * *

ბროდსკიმ მარინა 1962 წლის 2 იანვარს გაიცნო ლენინგრადელი კომპოზიტორის, მაშინ კონსერვატორიის სტუდენტ ბორის ტიშჩენკოს სახლში. ტიშჩენკოს ბროდსკისათვის უგრძობი ნიშნებია, რომ ბასმანოვა მისი საცოლვე იყო (რეინი 2004).

უცნობია, როგორ, მაგრამ ამ შეხვედრით დაიწყო ბროდსკი-ბასმანოვას საკმაოდ დიდხანანი და დიდი წინააღმდეგობებით აღსავსე ურთიერთობა.

ბროდსკი ოცდამეორეში იყო, მარინა — ორი წლით უფროსი.

ვეცდებით, თვითმხილველთა პირით აღვწეროთ მარინას გარეგნობა და სახასიათო ნიშნები:

ანა ახმატოვა: „გამხდარი, ჭკვიანი... თანაც როგორ ძალუძს თავისი მშვენიერების წარმოჩენა! არავითარი კოსმეტიკა... ცივ წყალს შეისხამს და... მორჩა!“

ლუდმილა შტერნი: „მწვანეთვალეობა, მაღალშუბლიანი, მუქყავისფერთმიანი... ძალზე ფერმკრთალს, საფეთქელთან ცისფერი ძარღვები აჩნდა, ანემიურს წააგავდა. სხვები სწორედ ამაში ჭვრეტდნენ მის იდუმალეობას“.

დიმიტრი ბობიშევი იხსენებს მის ჩუმ, მონოტონურ, უინტონაციო ხმას, გრძელ ნაბლისფერ თმას, დუნე მიმიკას და თითქოს რუხი ფარდით დაფარულ მომწვანო თვალეებს...

ბროდსკი კრანახის მადონას ადარებდა და განსაკუთრებით, მისი ერთგვარად მოშრიალე ხმა ხიბლავდა. ხანდახან მიუტრიალდებოდა და ძალზე მომჭირნედ მოუბარ მარინას სიყვარულით ჰკითხავდა: „რა ჩავიშრიალეთ ახლა?“ (ბლომბერგი 2008:)

თვითნასწავლი მხატვარი და მუსიკოსი მარინა (მარინა) ბასმანოვა დაბადებულა 1938 წელს ცნობილი მხატვრების ოჯახში: მამა — პაველ ბასმანოვი ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში ითვლებოდა ნიჭიერ ფერმწერად. გახლდათ მარგინალი მხატვრისა და ფერწერის თეორეტიკოსის, კაზიმირ მალევიჩის მოწაფის, ვლადიმერ სტერლიგოვისა (1904-1973) და კუზმა პეტროვ-ვოდკინის (1878-1939) შეგირდი. მისი ჯგუფი პოეტ მიხაილ კუზმინის (1875-1936) გარშემო ერთიანდებოდა. ამბობენ, რომ მარინას ხატვას თვით სტერლიგოვი ასწავლიდა.

მარინას დედა — ნატალია გიორგის ასულიც მხატვარი-გრაფიკოსი გახლდათ. წიგნების ილუსტრირებისას მარინასაც იხმარდა ხოლმე.

ბასმანოვებმა (მარინას ჩათვლით) თავიანთი ცხოვრება გაატარეს პეტერბურგში, გლინკას ქუჩაზე, ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ტაძრისა და მარიამის თეატრის შუა მდებარე სახლში, რომელიც ადრე ბენუას ოჯახის რომელიღაც წევრს ჰკუთვნებია (ნედოშვინი, ლეპსკი 2008:).

თვითმხილველები და ნაცნობები წერენ, რომ მარინა იყო მორცხვი, არ ბრწყინავდა გონებამახვილობით, არაფრით გამოირჩეოდა კომპანიაში, მაგრამ ხანდახან მის მომწვანო თვალებში შმაგი გამომეტყველებაც იელვებდა... რადგან მარინა თითქმის სულ დუმდა, ხოლო იოსიფი არასოდეს ყვებოდა, რაზე ლაპარაკობდნენ, მარინას გაგება საკმაოდ რთული იყო. ყოველ შემთხვევაში, ძნელდებოდა იმის დადგენა, რით ხიბლავდა იგი საზოგადოების სულსა და გულს — ბროდსკის.

მარინას თან მცირე ბლოკნოტები დაჰქონდა და ხანდახან შიგ რაღაცას ხატავდა. ერთხელ დიმიტრი ბობიშევეს უთქვამს, მე დავინახე დიდი შედეგის წინასახე, რომელიც შედეგად ველარ გარდაიქმნაო. ბობიშევი მის ნახატებს „ნაზ კუბიზმად“ მოიხსენიებდა. მასვე თუ დავუჯერებთ, მარინას შეეძლო გატაცებით ემსჯელა სივრცესა და მის თვისებებზე, სარკეებზე ცხოვრებასა და მხატვრობაში. მარინას ხშირად ხედავდნენ კონსერვატორიაში. იგი უთუოდ მანამდე ერკვეოდა მუსიკაში, ვიდრე ბროდსკი კლასიკისადმი თავის ინტერესს გამოავლენდა. მარინა გარდა იმისა, რომ ლამაზი იყო, ქალის ის არქექტიპიც გახლდათ, რომელიც ყოველთვის იზიდავდა ბროდსკის ჯერ კიდევ ჰოლივუდის მსახიობ ზარა ლენადერის ერთ ნაალაფარ ფილმში ნახვის დროიდან.

ბროდსკი და მარინა ხშირად ჩნდებოდნენ ერთად ლენინგრადის ბოჰემურ წრეებში. უყვარდათ მარინას სახლის ახლოს სანკტ-პეტერბურგის საადმირალოს რაიონში მდებარე კუნძულსა და კლასიციზტურ არქიტექტურულ ანსამბლ „ახალ ჰოლანდიაში“ სეირნობა. ხშირად შეუვლიდნენ ხოლმე ლუდმილა და ვიქტორ შტერნებს, ჩაის სვამდნენ, თბებოდნენ, ყვავილებს ჩუქნიდნენ მასპინძლებს... ლუდმილა შტერნი წერს: „იოსიფს მარინასთვის თვალის მოცილება არ შეეძლო და აღფრთოვანებით აკვირდებოდა ყოველ მის ჟესტს: როგორ გადაიყრიდა თმას უკან, როგორ ეჭირა ფინჯანი, როგორ იყურებოდა სარკეში...“ შტერნების მოსამსახურეს შეუნიშნავს: „შეამჩნიეთ, როგორ უელავს თვალები? დამიჯერეთ, აღქაჯია და ოსია (ბროდსკის კნინობითი სახელი, გ.ჯ.) მოაჯადოვა. არაერთხელ გადმოაყრევინებს ცრემლებს...“

იაკობ გორდინის თქმით, რადგან მარინას ბავშვობიდან იცნობდა, საბედისწერო ქალად არ მიიჩნევა. წყვილი ხშირად სტუმრობდა მის ოჯახს, თუმც, გორდინებს არ ეგონათ, რომ იოსიფისათვის ასე სერიოზული იყო მარინასთან ურთიერთობა.

დიმიტრი ბობიშევის შეფასებით, იოსიფი წყალხმელეთა ცხოველებისა და ფრინველების ენაზე ცდილობდა მათი სიახლოვის

ნარმოჩენას, მარინა კი თავის დამოუკიდებლობას უსვამდა ხაზს. მარინა თვითმკმარი ადამიანი იყო და შესაძლოა, აღიზიანებდა კიდევ მისდამი ასეთი ძლიერი მიჯაჭვულობა, ასეთი ძლიერი ვნება...

წყვილის ურთიერთობა, თუ ასე თქმა შეიძლება, მიქცევ-მოქცევილი ხასიათისა იყო. როგორც ჩანს, ხშირად ჩხუბობდნენ. პოეტი ვლადიმირ უფლიანდი იხსენებს მასთან შინ მისულ ჭუჭყიანი დოღბანდით მაჯებგადახვეულ იოსიფს, რომელსაც ვენების გადაჭრა ეცადა. ამ ფაქტს ადასტურებს ლუდმილა შტერნიც (უფლიანდი 2004:).

ასე იყო თუ ისე, ბროდსკისა და ბასმანოვას ჯერ ისევ შეყვარებულ წყვილად აღიქვამდნენ (ბროდსკი მარინას საცოლის სტატუსითაც ნარუდგენდა ხოლმე ნაცნობ-მეგობრებს).

* * *

1963 წელს ბროდსკის ურთიერთობა გაურთულდა ლენინგრადის ხელისუფლებასთან. ე. ევტუშენკოს თქმით, იმის მიუხედავად, რომ ბროდსკი არ წერდა აშკარა ანტისაბჭოურ ლექსებს, მათი ფორმა და შინაარსის დამოუკიდებლობა, ასევე, ინდივიდუალური ქცევა, იდეოლოგიურ მეთვალყურეებს მოსვენებას უკარგავდა.

1963 წლის 29 ნოემბრის გაზეთ „ვეჩერნი ლენინგრადში“ ა. იონინის, ი. ლერნერის, მ. მედვედევის ხელმოწერით დაიბეჭდა პასკვილი „ლიტერატურის ახლო-მახლო მოწრიალე მუქთახორა“, რომელშიც ბროდსკისა და მის ახლობლებზე ეწერა: „რამდენიმე წლის წინ ლიტერატურის ახლო-მახლო გამოჩნდა ყმანვილკაცი, საკუთარ თავს მგოსნად რომ მიიჩნევდა. მეგობრები უბრალოდ „ოსეის“ ეძახდნენ. სხვაგან სრული სახელით — იოსიფ ბროდსკიდ მოიხსენიებდნენ. რა „ხურჯინით“ მხარდამშვენებულს განეზრახა ლიტერატურაში მოსვლა ამ თავკერდა მამლაყინისა? მის ანგარიშზე იყო თხელი რვეულში ჩანერილი ორიოდ ათეული ლექსი, რომლებიც იმას მოწმობდნენ, რომ მათი ავტორის მსოფლმხედველობა აშკარად მოიკოჭლებდა. ის ბაძავდა პესიმიზმისა და ადამიანის უნდობლობის მქადაგებელ პოეტებს, მისი ლექსები „დეკადენტშიჩინის“, მოდერნიზმისა და სავსებით ჩვეულებრივი აბდაუბდის ნაზავი გახლდათ. საწყალობლად გამოიყურებოდა ბროდსკის მიმბაძველობა. კაცმა რომ თქვას, არც შეეძლო დამოუკიდებლად წერა: ძალღონე არ შესწევდა. არ ჰყოფინდა ცოდნა, კულტურა. ან რა ცოდნა უნდა ჰქონოდა უსწავლელსა და გაუნათლებელს, საშუალო სკოლაც რომ ვერ დაემთავრებინა? უაზრობა, სამარისეულ-სამგლოვიარო თემატიკა — ეს ბროდსკის უწყინარ გართობათა მხოლოდ ნაწილია. კიდევ ერთი განცხადება: „სხვისი სამშობლო შემყვარებიაო“, — წერს. როგორც ხედავთ, ეს პარნასისკენ თავდაჯერებულად მცოცავი პიგმეი არც ისე უწყინარი ყოფილა. იმ განცხადებით, რომ სხვისი სამშობლო შეუყვარდა, ზედმეტ გულახდილობას ავლენს. მას მართლაც არ უყვარს თავისი ქვეყანა და არც მალავს. მეტიც! დიდი ხნის განმავლობაში გეგმავდა ამ ქვეყნის ღალატს. ვინ ახვევია გარს

ბროდსკის, ვინ ამხნევეს მას თავისი შეძახილებით? მარიანა ვოლნიანსკაია, დაბადებული 1944 წელს, რომელსაც ბოჰემური ცხოვრების ტრფიალმა მისი ბედით გულწრფელად შეწუხებული პენსიონერი დედა მიატოვებინა; ვოლნიანსკაიას მეგობარი ნეჟდანოვა, იოვას მოძღვრებისა და ყოველგვარი მისტიკის მქადაგებელი; ვლადიმერ შვეიგოლცი, რომლის ფიზიონომიასაც ხშირად მოჰყრავდით თვალს სახალხო რაზმების მიერ დახატულ სატირულ პლაკატებზე; სისხლის სამართლის დამნაშავე ანატოლი გეინმანი; უსაქმური ეფიმ სლავინსკი, რომელსაც ურჩევნია თვეობით ინვეს მხართეძოზე სხვადასხვა ექსპედიციაში, დანარჩენ დროს კი, იმუქთახოროს და უცხოელების ირგვლივ იტრიალოს; ბროდსკის უახლოეს მეგობართა შორის იხილავთ ლიტერატურის ახლო-მახლო მონრიალე უბადრუკ ვლადიმერ გერასიმოვს და უცხოური ხარახურის გადამყიდველ შილინსკის, მეტსახელად, ჟორას. ეს ჯგუფი არა თუ ქებით ანებივრებს ბროდსკის, არამედ მისი შემოქმედების ნიმუშებს ახალგაზრდებშიც კი ავრცელებს. ვინმე ლენინდ არონზონი თავის მანქანაზე ბეჭდავს, გრიგორი კოვალენი, ვალენტინა ბაბუშკინა და ვ. შიროკოვი, მეტსახელად „გრაფი“, ამ ლექსებით მსურველებს ამარაგებენ“. სტატიის ბოლოს, ავტორები პირდაპირ მოუწოდებდნენ ლენინგრადის შესაბამის ორგანოებს და თანამოქალაქეებს, თავიდან მოეცილებინათ მუქთამჭამელი: „ცხადია, უნდა დამთავრდეს ამ მოპოეტო ელემენტის ფერების დრო. ბროდსკის ადგილი ლენინგრადში არ არის. არა მხოლოდ ის, მის ირგვლივმოფენილ საშიშ გზას ადგანან. იოსიფ ბროდსკის მსგავს ლიტერატურის ახლო-მახლო მონრიალე უსაქმურებს ცუდი დღე ელით. არ მივცემთ წყლის ამღვრების უფლებას!“

იოსიფს დეტალურად განუხილავს ფელეტონი და საპასუხო წერილი დაუწერია, რომელიც ზედმეტად გამომწვევად მოსჩვენებია მარინას და იაკობ გორდინისათვის მისი რედაქტირება უთხოვია. იოსიფი უგულოდ დათანხმებია, მაგრამ შემდეგ მეგობრის არც ერთი შენიშვნა არ გაუთვალისწინებია (გორდინი 2000: 193)

ორგანიზებულმა ჯამუშობამ და წასისინების შემთხვევებმა იმრავლა. ბროდსკისთვის ლენინგრადში დარჩენა უსაფრთხო აღარ იყო (*იოსიფ ბროდსკი, მშვენიერი ეპოქის დასასრული* 2008: 22-26).

* * *

პოეტ ევგენი რეინს, ბროდსკის განუყრელ მეგობარსა და პოეტურ მეტრს, ბროდსკი დაურწმუნებია, რომ ლენინგრადს უნდა გასცლოდა, ნაუყვანია მოსკოვში, მწერლისა და დრამატურგის ვიქტორ არდოვისა (ზილბერმანი) და მსახიობ ნინა ოლშევსკაიას სტუმართმოყვარე ოჯახში, სურდა პ. კაშჩენკოს სახელობის ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაემალა, თუმც, იქ დარჩენაზე ბროდსკის უარი უთქვამს.

ბროდსკის მეგობრისა და სატრფოს საბედისწერო ურთიერთობა, ალბათ, პოეტის ქალაქიდან წასვლამდე დაიწყო.

ვინ არის ეს „მეგობარი“?

დიმიტრი ბობიშევი (დაბ. 1936) პოეტი; 1979 წელს ემიგრაციაში წავიდა და დღეს ილინოისის შტატის უნივერსიტეტის სლავისტიკის პროფესორია. ავტორია რამდენიმე პოეტური კრებულისა და მემუარული პროზისა „აქ ვარ!“

ვინ იყო მაშინ?

ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, ანა ახმატოვას „ობოლთაგან“ ერთ-ერთი, რეინის, ნაიმანის, ბროდსკის თანამომძე; დიმიტრი ბობიშევს მოქეიფე, მექალთანე და ცოტა არ იყოს, ყიამყრალი ახალგაზრდის რეპუტაცია ჰქონდა, რაზეც ეს კალამბურიც მეტყველებს: «Друг разврата, мастер пьянства, ненавистник постоянства. А по ближе разгляды – лицемер и разгильдяй».

ეჭვს არ იწვევს, რომ ბასმანოვა ბობიშევს ბროდსკიმ გააცნო. ზემოთ მითითებულ მემუარებში „ადამიანიტექსტი“ (ასე უწოდებს თავს ბობიშევი, გ.ჯ.) იხსენებს მარინასთან პირველ შეხვედრას. ქალს მასზე თავიდან დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია: ოღონდ, ისე კარგად დაავიმახსოვრე, აღწერაც კი ზედმეტად მეჩვენებო.

ვინ დაეხმარა ბობიშევს ბასმანოვას მშვენიერების სათანადოდ შეფასებაში?

რა თქმა უნდა, ბროდსკი, რომელსაც მეგობრისთვის ზეთის საღებავებით შესრულებული სატრფოს პორტრეტი უჩვენებია: „უეცრად აღვიქვი მისი სილამაზე. მომიხდა ამ ტუჩების დაკოცნვა“, — წერს ბობიშევი (ისე გამოდის, რომ ბროდსკი არა მხოლოდ გენიალური პოეტი, ასეთივე მხატვარიც ყოფილა!).

უცნობია, მაგრამ იოლად სავარაუდო, რომ ბობიშევისა და ბასმანოვას ურთიერთობა ჯერ ბროდსკისაგან იდუმალად დაიწყო, შემდეგ კი, როცა იოსიფი იძულებული გახდა, ქალაქი დაეტოვებინა, უფრო გამოაშკარავდა.

ბასმანოვა არაფერს წერს, არავის ხვდება. დუმს. მხოლოდ ეკლესიებს სტუმრობს. ტელეფონით ჟურნალისტის მიერ სულ ერთხელ დასმულ კითხვებს, ბროდსკის ლექსები წაიკითხეთ და ყველაფერს მიხვდებითო, უპასუხა.

გვრჩება ერთადერთი ტექსტი, რომელიც ბობიშევს ეკუთვნის. მის მიხედვით, ბობიშევს პირველად თვითონ ბასმანოვა შეხმიანებია ტელეფონით და შემოვივლიო, უთხოვია. ბობიშევი არას ამბობს, საიდან ჰქონდა მარინას მისი ტელეფონის ნომერი.

მარინა მართლაც მისულა ბობიშევის ციცქნა ოთახში: „იგი მაგიდასთან დავსვი. მე გასაშლელ სანოლზე გადავჯექი“. ბასმანოვას უთქვამს, კარი დაკეტე, ხელი რომ არ შეგვიშალონო. ბობიშევს გასეირნება შეუთავაზებია. ბობიშევის მტკიცებით, ეს ინტელექტუალური დიეტა ქალისათვის იმიტომ შეუთავაზებია, რომ თავს ბროდსკის მეგობრად მიიჩნევდა: „მასთან საუბარი საინტერესო,

წარმტაცვიც კი იყო, თუმც, აბსტრაქტულ, თუ შეიძლება ითქვას, მეტაფიზიკურ თემებს ვეხებოდით“.

მარინას, რამდენადაც ცნობილია, ორი წიგნი უჩუქებია დიმიტრისთვის: რაინდი მარია რილკეს „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანანერები“ — ეს შენზეაო, და „რომანტიკოსებიდან სიურიალისტებამდე“ — ფრანგი პოეტების ბენედიქტ ლივშიცისეული თარგმანები. ამ უკანასკნელის გარეკანზე მომძღვნელს რომელიღაც იდუმალ ენაზე (ბასმანოვას შიფრი) წაენერა: „ჩემს საყვარელ პოეტს. მარინა!“

ბასმანოვასავე უჩუქებია ბობიშვიისთვის ქარქაშიანი სამონადირეო დანა და თითქოს, ხუმრობით (ან არც თუ ისე ხუმრობით!) ეთქვას კიდევ, გაალისფრეო.

არც ბობიშვიი დარჩენია ვალში: პოემა შეუთხზავს და ზედ წაუნერია: „ჩემს სათუთსახიან თანამეინახესა და მუზას“...

ბობიშვიი: „მარინას თავი დამოუკიდებლად ეჭირა: თვითონ მირეკავდა, შემომივლიდა კიდევ... როგორც ჩანს, არავის წინაშე არ გრძნობდა ვალდებულებას. მეტიც: ის ხაზს უსვამდა თავის გაუცხოებას...“

„ამასობაში ჩვენი განკერძოებული მეგობრობა გრძელდებოდა. შეხვედრები საკმაოდ უმანკო, თუმც გალანტური იყო. დავდიოდით გამოფენებზე, კონცერტებზე, ბევრს ვსეირნობდით. ხანდახან ერთად ვხატავდით კიდევ...“

ისევ ბობიშვიი: „მე და მარინას ისედაც დისტილირებული ურთიერთობა არავითარი ალერსით არ ამღვრეულა და თითქოს, დიდხანს ვაპირებდით კიდევ ამ არახორციელი და აღფრთოვანებული ინტერესის შენარჩუნებას“.

ერთხელ მარინა, იოსიფი და დიმიტრი პროსპექტს ერთად გამოჰყოლიან. ბროდსკის შეურაცხყოფელი რაღაც ნამოუძახია ბობიშვიისთვის: „საპასუხოდ ხელი შევმართე, მაგრამ გონებამ, სადაც ჯერ კიდევ ამაღლებული ადგილი ეპყრათ ცნებებს — პოეზია, სიტყვა, ღმერთი — შეაჩერა იგი. ქუჩის მეორე მხარეს გადავვდი და ყოველგვარი მეგობრული მოვალეობისაგან თავი გათავისუფლებულად მივიჩნიე“.

ინურებოდა 1963 წელი. ბროდსკი ლენინგრადიდან გადახვეწილიყო.

ბობიშვიი: „მარინამ ჩემთან ერთად მოინდომა საათის თორმეტჯერ ჩამოკვრის მოსმენა, ხოლო როცა მე უბრალოდ ვუპასუხე — რა თქმა უნდა-მეთქი — მრავალმნიშვნელოვნად გამიმეორა კითხვა. მეც კიდევ ერთხელ დავეთანხმე“. ბობიშვიეს შვებულება წამოსწვია, თხილამურით სრიალი დაუგეგმავს და ლენინგრადთან ახლოს, ზელენოგორსკისა და კომაროვოს საზღვარზე მდებარე, საერთო მეგობარ შეინინის აგარაკზე დასახლებულა. ახალი 1964 წლის დადგომას ბროდსკის (ბობიშვიის) ახლობლებიც იქ შეხვედრიან.

მარინა მოგვიანებით მოსულა. ცოტა ხნის შემდეგ ბობიშევი და მარინა სანთლებით ხელში კომპანიას გამოჰყოფიან და კარგა ხანს უვლიათ გარეთ.

ბობიშევი: „შეგჩერდით. ვაკოცე. ვიგრძენი მისი თმის თოვლიანი სურნელი. გემო ღრმად შეიჭრა ჩემში და იქვე დარჩა“.

ისევ ბობიშევი:

„— მომისმინე, ვიდრე რიტუალურ სიტყვებს ვიტყვოდე, ერთი მნიშვნელოვანი რამ უნდა გკითხო...“

— რა?

— იოსიფს რაღას ვეუბნებით? ჩვენ მეგობრები ვიყავით, მართალია, ახლა აღარ ვმეგობრობთ, მაგრამ... ის ხომ თითქოს თავის საცოლედ მიგიჩნევდა? ალბათ, ახლაც ასე ფიქრობს... სხვებსაც ასე ჰგონიათ... რას იტყვი?

— მე ასე არ მგონია. მან კი, რაც უნდა, ის იფიქროს...

„მე ასე არ მგონია...“ — ესე იგი თავისუფალია და ეს საკმარისია. ნარმოვთქვი [რიტუალური] სიტყვები, რომელთა თქმა ნუთით გადავდე, პასუხად იგივე მივიღე და ჩვენ ერთნი გაგხდით“.

ბობიშევი იხსენებს მის და ბასმანოვას ამ დიალოგსაც:

„— მაგრამ შენ გესმის, რომ ახლა მთელი სამყარო ჩვენს წინააღმდეგ აღდგება?“

— ეს ალიკები და გალიკები (მოაგარაჟე ცოლ-ქმარი ალია და გალიკ შეინინები, გ.ჯ.) მიგაჩნია მთელ სამყაროდ? ასე ძალიან გჭირდებიან ისინი?

— არა. თუ ერთად ვიქნებით, არაფერიც არ მჭირდება.

თუმც, ჩემი მეგობრისაგან განსხვავებით, მე ვალიარები ამ „გალიკების“ ზურგსუკან ლანძღვის, ფურთხების, ჭორაობის, ცილისნამების, იარლიყების მინებების, კვანტის დადებისა და ა.შ. უსაზღვრო და დაუსჯელ შესაძლებლობას“.

ამ სიტყვების შემდეგ (და ალბათ, რაღაც ქმედებებისაც!), აღმოდებული მარინას სანთლის ალი ჯერ სერპანტინს, შემდეგ ფარდებს გადასდებია და მცირე ხანძრის მომსწრენიც შექნილან: „რა ლამაზია!“ — აუღელვებლად ამბობდა მარინა, რომელიც ძველ გრძნობას წვავდა და ახალს ალაგზნებდა.

აგარაკზე მყოფთათვის ნათელი გახდა, რომ მეგობრის საცოლის „მეურვედ“ დარჩენილ ბობიშევს სრულად ჩაენაცვლებინა ბროდსკი. სხვათა შორის, ამ უკანასკნელსაც ავი წინათგრძნობა იპყრობს, არად აგდებს დაპატიმრების აშკარა საფრთხეს, ევგენი რეინისაგან, რომელმაც ლუდმილა შტერნთან ერთად საცოლის ლაბატიც დაუდასტურა და მეგობრისაც, ოც მანეთს სესხულობს და მატარებლის ბილეთის ასაღებად გარბის. მოსკოვშივე იტყობს, რომ ბასმანოვას დაუხატავს ფიგურა — სასიყვარულო სამკუთხედი, სახელწოდებით: „შენ, მე + ვიღაც ბობიშევი“...

ბობიშევი პირველად თვითონ შეხვედრია ლენინგრაღში ჩამოსულ ბროდსკის.

„— არ მინდა, სხვისგან გაიგო, თანაც დამახინჯებულად... რალაც შეიცვალა, რაც, ალბათ, შენც გეხება. მე ცხოვრებას მარინას ვუკავშირებ.

— რის თქმა გინდა?

— იმის, რომ ჩვენ ახლა ერთად ვართ.

— შენ რა, იწევი მასთან? — ბროდსკის მხოლოდ ეს აინტერესებს. ბობიშევს კი შეუძლია იმაზე იმსჯელოს, რომ ეს საკითხი აშორებთ, მაგრამ ლიტერატურა აერთიანებთ, სადაც ის ბროდსკის მხარესაა და ა.შ.

„რა ლიტერატურა! მისთვის მხოლოდ იმ საგნად ვიქეცი, რომელიც მარინასთან შეხვედრას უშლიდა“, — წუხდა ბობიშევი.

ბროდსკი იხსენებს, თუ როგორ უთვალთვალებდა ერთხელ მარინას, შემდეგ კი დევნა შეწყვიტა:

„ნამდვილი მიზეზი იმისა, თუ რატომ გააჩერდი, ის იყო, რომ უეცრად გავაცნობიერე ჩემი ვახელების ხასიათი. ეს იყო საკბილოს დადევნებული მონადირის სიხარული — სხვაგვარად, რალაც ატავისტური, პირველყოფილი... ამ განცდას არაფერი ჰქონდა საერთო ეთიკასთან, სინდისის ქენჯნასთან, ტაბუსა და სხვა მისთანებთან. სულაც არ მრცხვენოდა, რომ ჩემი გოგონა საკბილოს ადგილზე დავაყენე. უბრალოდ, გადაჭრით უარყვავი მონადირეობა. ტემპერამენტის საკითხია, არა? ჯაშუშებიც იმიტომ კი არ გვძულს, რომ ევოლუციის კიბის დაბალ საფეხურზე დგანან, არამედ იმიტომ, რომ ღალატი აიძულებთ დაქვეითებას“.

ბობიშევი მარინაზე დაქორწინება გადაწყვიტა. მარინას ამის გაგონებაც არ სურდა — იოსიფს ამ წინადადებით უკვე მოეებზრებინა თავი.

შინ ჩაიკეტა. ბობიშევისთვის აღარ დაურეკავს. თვითონ კი ტელეფონი არ ჰქონდა.

ბობიშევს შვებულების დარჩენილი დღეების ნაცნობ აგარაკზე გატარება უცდია. მეგობრებს უთქვამთ, რომ ბასმანოვასგან ნაჩუქარი დანა ბროდსკის წაეღო და არც მათ უცდიათ ხელის შეშლა. ბობიშევის საყოველთაო ოსტრაკიზმიც იქ დაიწყო: მეგობრებმა ბობიშევი გაკიცხეს და მისი იქ დარჩენა შეუძლებლად მიიჩნიეს. 1964 წლის 13 თებერვალს ბროდსკი მოულოდნელად დააპატიმრეს.

დაიწყო პოეტზე ღირსების ამყრელი ექსპერიმენტების ჩატარება: წინასწარი დაკავების საკნები, ფსიქიატრიული საავადმყოფოები, სასამართლოები... ევგენი რეინის შენიშვნით, სასამართლო სხდომები კარგა ხანს გაგრძელდა, რის გამოც ლენინგრადის ინტელიგენციასა და ლიტერატურის ახლო-მახლო მყოფ კომპანიაში იშვა ერთგვარი უსაფრთხო ოპოზიცია: სწორედ იქ და, არა — ბროდსკის უახლოეს მეგობრებში, დაიბადა ბობიშევისათვის ბოიკოტის გამოცხადების იდეა.

იაკობ გორდინი იხსენებს, რომ ელემენტარულ თანაგრძობა არ გასჩენია მარინასა და ბობიშევის საქციელისადმი და ვერც ვერავითარი ახსნა-განმარტება შეაცვლევინებდა აზრს.

„ორი საუკეთესო მომენთია ჩემს ცხოვრებაში. პირველი ის, როცა მარინა გამოჩნდა მილიციის განყოფილებაში, სადაც ერთი კვირა თუ ათი დღე გავატარე. შიდა ეზოში უცებ კნავილი გავიგონე — მარინას შიგნით შემოედგინა და გისოსებს იქიდან კნაოდა... მეორე ის, როცა საგიჟეში ჩამსვეს და ეზოში მარინა დავლანდე... არსებობს რალაც, რომელიც იმაზე მნიშვნელოვანია, რაც ხდება“, — იხსენებდა ბროდსკი.

1964 წლის 13 მარტს გამართულმა სასამართლომ პოეტს მუქთახორობისათვის ხუთი წლით გადასახლება და ფიზიკური მუშაობა მიუსაჯა. ბროდსკი არხანგელსკის ოლქის კანოშის რაიონის სოფელ ნორენსკში გადასახლეს.

* * *

ქალაქიდან გაქრა ბასმანოვაც. ბობიშევისთვის ინტუიციას უკარნახია, სად შეიძლება ყოფილიყო მარინა. წასულა არხანგელსკში და მართლაც იქ აღმოუჩენია. რაყიფებს შორის შეტაკება გარდაუვალი გახდა. შესაძლოა, იქვე მიყრილი ცულებიც გამოეყენებინათ. ბოლოს ბროდსკის უთქვამს, ცარიელი ხელით ვიჩხუბოთო. ბობიშევი აღიარებს, რომ ჯიბეში სახარატო დანა სდებია, თუმც, აღარ გამოუყენებია, რადგან მარინას რალაც უთქვამს ყურში ბროდსკისთვის და ეს უკანასკნელიც დამშვიდებულია. ბობიშევი და მარინა ლენინგრადში დაბრუნებულან. მემუარისტები შენიშნავენ, რომ მარინას ნორინსკში ყოფნისას ბროდსკის ლექსებსაც ბედნიერი ელფერი მიეცათ, რაც სათაურებშიც კი ჩანს: „ბედნიერი ზამთრის სიმღერა“, „თაფლობის თვის ციციქნა ნაჭერი“, „ინგლისური საქორწინო სიმღერებიდან“...

იაკობ გორდინის თქმით, ვერასოდეს აპატიებს თავს, რომ 1964 წელს გადასახლებაში მყოფ ბროდსკის ეგვენი რეინის თხოვნით ამ უკანასკნელის პოემა „თვალი და სამკუთხედი“ წაუღო. რეინს მიაჩნდა, რომ ბროდსკისათვის საინტერესო იქნებოდა მისი პირადი დრამის პოეტური აღწერა. ბროდსკის თვალი გადაუვლია ხელნაწერისათვის, შუბლი შეუჭმუნხავს და მისთვის ჩვეული ჟესტით — თავში ხელის შემოკვრით — გამოუხატავს ტანჯვა:

„რისთვის ჩამომიტანე ეს?“

როგორც ამბობენ, მარინა კიდევ ჩასულა ნორინსკში.

ერთხელაც, ცრემლმორეულსა და ბროდსკისგან ოთხი თვის ორსულს ბობიშევისთვის მიუკითხავს და აბორტის გასაკეთებლად გაყოლა უთხოვია. ბობიშევეს ეს აზრი უარუყვია. ხუთი თვის შემდეგ კი დათანხმებულია, მარინა ასეთ მდგომარეობაშიც მიეღო. ბობიშევი ირონიულად შენიშნავდა, არლეკინიდან პიეროდ გადავიქცეო.

ვითარება ისევ მარინას გადანყვეტილებამ დაძაბა: დედა-შვილი სამშობიაროდან ბობიშევის ნაცვლად შინ გადასახლებიდან ახლად დაბრუნებულმა ბროდსკიმ გამოიყვანა. ჯერ დიდი დრამატული თეატრის მხატვრის ედუარდ კოჩერგინის სახლში ყოფილან, შემდეგ მარინა და ბავშვი ბასმანოვებთან გადასულან, სადაც ბროდსკის არ იღებდნენ. (სხვათა შორის, მარინამ ანდრეი ბასმანოვად გააფორმა). იქ ცოტა ხანს ბობიშევიც სტუმრობდა, შემდეგ ფეხი აღუკვეთია.

ვლადიმირ უფლიანდის თქმით, იოსიფი მიდიოდა მასთან, ტიროდა... კი არ წუნუნებდა, ბრაზობდა: ვერ გაეგო, რა აკლდა სამაგალითო ქმრობისათვის! უფლიანდი ორ მიზეზს ასახელებს: პირველი მეტოქეობა იყო: ცოლს თავი პირველ მზეთუნახავად მიაჩნდა, ქმარს — პირველ პოეტად; მეორე — ეკონომიკური გაჭირვება გახლდათ. იოსიფთან ცხოვრება, ალბათ, რთული იყო. ქალს სურდა სიასამურის ქურქით ევლო, იოსიფს კი ყავის ფულის შოვნაც უჭირდაო.

იოსიფს იშვიათად შეეძლო მარინასა და შვილის ნახვა — ბასმანოვები შინ არ უშვებდნენ. დაიწყო ხანმოკლე, მაგრამ ხშირი რომანების ხანა. ლიზა აპრაქსინა, შემდგომში მსახიობ ოლეგ დალის მეუღლე იხსენებს თავის ვნებიან გატაცებას:

„იოსიფს არმიყობის ძალზე თავისებური მეთოდი ჰქონდა: ელვისებურად გესხმოდა თავს, მაშინვე პაემანზე გითანხმდებოდა და ამბობდა, რომ გაცნობა ყველაზე კარგია ველოსიპედით სეირნობისას“... თუმც, ეს რომანები მალე ბეზრდებოდა. ისევ მარინას იხსენებდა. ამერიკაში გადახვენამდე მან მოასწრო მოსკოველი და პეტერბურგელი ლამაზმანებისათვის თავბრუს დახვევა. განსაკუთრებულად კონცენტრირებული იყო მეგობართა ცოლებზე — რამდენიმე ოჯახიც კი დაანგრია, თანაც — ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე. თავის დროზე ხომ არავის შეჰბრალებია — მაშ, თვითონ რატომღა უნდა გაფრთხილებოდა სხვებს?

უყვარდა თუ რა მარინას ბროდსკი? არავინ იცის ზუსტი პასუხი. ბევრი ფიქრობს, რომ ბროდსკი და ბასმანოვა ერთმანეთის შესაფერისი წყვილი იყო: ორივეს გრძნობა ხელიდან გასხლტომის საფრთხისა და განუხრელი გავლენის დაკარგვის შიშით მძაფრდებოდა.

ბროდსკის 1972 წლამდეც შეეძლო სსრკ-დან წასვლა, მაგრამ დროს წელავდა, მარინასთან დაბრუნება ეიმედებოდა. 1972 წელს ყველაფერი დასრულებულად ჩათვალა. ის აგარაკიც კი მოინახულა, სადაც უღალატეს — ასე ვთქვათ, მისი პიროვნულ-პოეტური ცხოვრების სიმბოლოს გამოემშვიდობა.

ამერიკაში გადაბარგებული ბროდსკი ფულს უგზავნიდა მარინასა და შვილს. ანდრეი რამდენჯერმე ჩასულა კიდევ შტატებში. ურთიერთობა დიდად არ აენწყოთ. ვლადიმირ უფლიანდის მტკიცებით, როცა ბროდსკის ლექსი „ტიბერიუსის ბიუსტი“ და სტროფი — „და

სალამს გიძღვნი — შენც ხომ კახბა გყავდა მეუღლედ!“ — ნაუკითხავს, დაუქადნია, დედის შეურაცხყოფას არ ვაპატიებო.

ამბობენ, რომ მარინა მზადაც კი იყო, მასთან ნიუ-იორკში გასამგზავრებლად, მაგრამ თვითონ ბროდსკიმ აღარ მოინდომა — ალბათ, იმიტომ, რომ ყველაფერი იმ ცხოვრებაში დასრულდა, აქ კი მარინას ადგილი აღარ იყო.

ბროდსკის ბოზიშვეთან ურთიერთობა შტატებში ცხოვრების დროსაც არ აღუდგენია, თუ არ ჩავთვლით დიმიტრის ინიციატივით გამართულ ერთ სატელეფონო საუბარს წმინდა ლიტერატურულ (კერძოდ, ახმატოვაზე) თემაზე.

ანდრეი ბასმანოვმა ვერ მოასწრო, დედის გაკილვის გამო შური მამაზე ეძია.

55 წლის ბროდსკი 1996 წელს გარდაიცვალა (გამალოვი 2000: ულანოვი 2004: ბოზიშვეი 2002: არმალინსკი 2003:).

* * *

სიკვდილამდე ექვსი წლით ადრე ბროდსკიმ დაწერა ბასმანოვას უარსაყოფი ლექსი.

ლუდმილა შტერნს წერილი გაუგზავნია მეგობრისთვის:

„ჯოზეფ, მაპატიე ან უარმყავი, მაგრამ დუმილი არ შემიძლია. რა ამცნე ამ ლექსით სამყაროს? რომ, ბოლოს და ბოლოს, გადაიყვარე მ.ბ. და მისი მზერისგან ოცდახუთი წლის შემდეგ გათავისუფლდი? ქრონიკული სენისაგან განიკურნე? რაში დასჭირდა „ეთერის ნებიერ ძეს“ ოკეანის იქით მცხოვრები ქალისთვის შეფურთხება, ქალისთვის, რომელიც „ანგელოსებსა და ღმერთზე მეტადაც კი უყვარდა?“

ბროდსკის არაფერი უპასუხია.

დამონებანი:

არმალინსკი 2003: Армалинский М. Постстрочный комментарий к Бобышеву, человекутексту. განთავსებულია 2003 წლის 3 სექტემბრიდან, მის.: <http://www.mipco.com/win/GEr100/html>

ბლომბერგი 2008: Бломберг С. Арлекин, Пьеро, Коломбина... (О Дмитриии Бобышеве, Иосифе Бродском и Марине Басмановой), განთავსებულია 2008 წლის 27 მაისიდან, მის. : [http:// www. jerusalem-korczak-home.com/kk/ya/13.htm](http://www.jerusalem-korczak-home.com/kk/ya/13.htm).

ბოზიშვეი 2002: Бобышев Д. Я здесь!, журнал «Октябрь», №11, 2002.

ბროდსკი 2008: ბროდსკი ი. მშვენიერი ეპოქის დასასრული. თარგმნა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო გია ჯოხაძემ. თბ.: 2008.

გამალოვი 2000: Гамалов А. «Пока ты была со мною, я знал, что я существую»..., განთავსებულია 2000 წლის დეკემბრიდან, მის.: <http://www.kariera.org.ru/12-00/loveKo56.html>;

გორდინი 2000: Гордин Я. Переключка во мраке. СПб., 2000.

ნარკვევები... 2000: Сочинения Иосифа Бродского, т.VI, М., 2000.

- ნედოშვინი... 2008:** Недошвин В., Лепский Ю., «М.Б.», Российская газета – Федеральный выпуск, № 4668 от 24 мая, 2008.
- ულანოვი 2004:** Уланов М. Опыт одиночества: Иосиф Бродский, журнал «Другие Берега», № 3; 2004.
- უფლიანდი 2004:** Уфлянд В. Иосиф Бродский в любовном треугольнике, განთავსებულია 2004 წლის 19 მარტიდან, მის.: <http://www.sem40.ru/ourpeople/destiny/10265>;
- რეინი 2004:** Рейн Е. «Свидетели обвинения не знали, о ком идет речь...», განთავსებულია 2004 წლის 17 თებერვლიდან, მის.: <http://www.izvestia.ru/person/article44409/?print>